ვლადიმერ ვახანია

იოსებ ბესარიონის ძე სტალინის პირადი საიდუმლო სამსახური

(სტრატეგიული დაზვერვა და კონტრდაზვერვა)

დოკუმენტების კრებული

ი.ბ. სტალინის პირადი დაზვერვისა და კონტრდაზვერვის თანამშრომლების მიერ შედგენილი აგენტურული პატაკები, სპეციალური შეტყობინებები, საინფორმაციო შეტყობინებები, ცნობები და მოხსენებითი ბარათები

თბილისი-მოსკოვი
სვაროგი
2008 წელი

სარჩევი

ავტორისგან (ქართული გამოცემისთვის) 3
შესავალი 5

თავი I. „მეხუთე კოლონის“ ლიკვიდაცია სსრკ-ში 9
ნაწილი 1. ტროცკისტული იატაკქვეშეთი 9
ნაწილი 2. სამხედროთა შეთქმულება 40
ნაწილი 3. სპეცსამსახურების და პარტაპარატის კულისებში 63
ნაწილი 4. ხელისუფლების ეშელონების წმენდა 75

თავი II. მეორე მსოფლიო ომის კვირაძალს 93
ნაწილი 1. გერმანია, იაპონია, თურქეთი, ფინეთი და რუმინეთი 93
ნაწილი 2. აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვა 115
ნაწილი 3. სიტუაციის ანალიზი. ომისთვის მზადება 154

თავი III. დიდი სამამულო ომი. 1941-1945 211
ნაწილი 1. 1941-ის მძიმე თვეები 211
ნაწილი 2. ძნელი გზა გამარჯვებამდე 231
ნაწილი 3. პარტიზანული და დივერსიული ომი 243
ნაწილი 4. სსრკ-ის დასავლელი მოკავშირეები.
დაზვერვითი სპეცოპერაციები 251
ნაწილი 5. შეცდომები და ღალატი 262
ნაწილი 6. დიდი მხედართმთავარი 273

თავი IV. მშვიდობა ომის შემდეგ 299
ნაწილი 1. ომის გამოძახილი 299
ნაწილი 2. „ცივი ომის“ დასაწყისი 304
ნაწილი 3. „ავიატორების“ და „მარშლების“ საქმე 322
ნაწილი 4. სტალინის ახლო გარემოცვაში 345
ნაწილი 5. ლენინგრადის საქმე 352
ნაწილი 6. აბაკუმოვის საქმე 365
ნაწილი 7. ბერიაზე ნადირობა 396
ნაწილი 8. მაო ძედუნი მოსკოვში. ვიზიტის საიდუმლოებანი 418

*რედაქტორი — **ლაშა ნადარეიშვილი***
*მთარგმნელი — **არმაზ სანებლიძე***
*დიზაინი — **ილია თიღილაური***
*სტილისტ-კორექტორი — **ნონა ხუციშვილი***

ავტორისგან

ქართული გამოცემისთვის

წიგნი, რომელსაც წარმოგიდგენთ, არის დოკუმენტების პირველი კრებული, სადაც თავმოყრილია მასალები იოსებ ბესარიონის ძე სტალინის პირადი საიდუმლო არქივიდან, რომლებიც სტრატეგიული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა მომაწოდეს.

მოცემული დოკუმენტები კონკრეტული მაგალითებით გვაჩვენებენ, თუ როგორ მუშაობდა ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაცავად სტალინის პირადი დაზვერვა და კონტრდაზვერვა.

ამ წიგნის ერთ-ერთი ღირებულება ისიც არის, რომ აქ წარმოდგენილი მასალებით ვიგებთ, როგორ მუშაობდა სტალინი, რადგან ყველა ხელმისაწვდომი ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ასახული იყო მისი მოღვაწეობა, ბელადის გარდაცვალების შემდეგ გაანადგურა ხრუშჩოვმა.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ ბოლო წლებში იმძლავრა მეორე მსოფლიო ომის ისტორიის და ამ ომში იოსებ სტალინის ჭეშმარიტი როლის მასობრივმა დამახინჯებამ. უეჭველია, რომ ომში გამარჯვება დიდწილად განსაზღვრა სწორედ სტალინის მხედართმთავრულმა ხელმძღვანელობამ და წინასწარგანჭვრეტის უნარმა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სტალინი კაცობრიობის ისტორიაში შევიდა, როგორც უგამორჩეულესი პოლიტიკური მოღვაწე, ვისი ეპოქაც ბოლომდე შესწავლილი და გამოკვლეული ჯერ კიდევ არ არის. ამასთან, გვერდს ვერ ავუვლით იმ გარემოებას, რომ სტალინი ქართველია და, როგორც პიროვნება, ქართველი ხალხის დიადი მემკვიდრეობის, მისი უმდიდრესი ისტორიისა და თვითმყოფადობის წარმომსახველია.

სტალინის ერთ-ერთი დამსახურება პირადი საიდუმლო სამსახურის შექმნაა, რომელიც არასოდეს ყოფილა აფიშირებული და ამოცნობილი, და რომლის გამოყენებით მან შეძლო ბევრი ისეთი გადაწყვეტილებისა და საქმის განხორციელება, რომელიც დღესაც აისახება მსოფლიო პოლიტიკაში.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ალბანეთში ემიგრირებულმა მისი

პირადი საიდუმლო სამსახურის უფროსმა ალექსანდრე ჯუღამ განაცხადა: „დამთავრდა ეპოქა გენიოსების, დაიწყო სულელების ეპოქა“

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც (რომელიც გამოვავლინე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მასალების კვლევის დროს), რომ სტალინი, რომელიც პირადი საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებს დიდად ენდობოდა, უაღრესად კრიტიკულად უდგებოდა მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და ყოველთვის როდი ეთანხმებოდა მათ.

ვფიქრობ, მკითხველი დაინტერესდება წიგნით, როგორც სტალინის ისტორიული დროის ფაქტობრივი მასალების კრებულით.

ვლადიმერ ვახანია,
აკადემიკოსი

შესავალი

ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ მიმდინარე პარტიულ-პოლიტიკური ბრძოლის პირობებში იოსებ სტალინი იძულებული იყო, 1925 წლის ბოლოს შეექმნა თავისი პირადი საიდუმლო სამსახური — სტრატეგიული დაზვერვა და კონტრდაზვერვა, რომელიც დაეფუძნა ბუდიონის ცხენოსანთა პირველი არმიის განსაკუთრებულ განყოფილებას.

თავდაპირველად საიდუმლო სამსახურს სათავეში ჩაუდგა სერგეი ნიკოლაევი, ცხენოსანთა პირველი არმიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი. შემდეგ მას ხელმძღვანელობდნენ გენერლები: ალექსანდრ ლავროვი, ალექსანდრ ჯუღა და იური მარკოვი (ფსევდონიმებია). შეტყობინებას სტალინს უგზავნიდნენ „ამხანაგ ივანოვის“ სახელზე.

სრულიად საიდუმლოდ

სტრატეგიული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მუშაობის მთავარი დებულებები

1. **კადრების გულდასმით შერჩევა.**

ამხ. ი.ბ. სტალინის პირადი საიდუმლო სამსახურის ნამდვილი მზვერავი ან კონტრმზვერავი შეიძლება იყოს მილიონიდან ერთი.

2. **დაზვერვის ან კონტრდაზვერვის მუშაობაში აჩქარება არ შეიძლება, საჭიროა მოთმინებისა და თავდაჭერილობის გამოვლენა.**

3. **ზუსტადაა წარმოსადგენი ის სიძნელეები, რომლებიც კონკრეტული ოპერაციის შესრულებისას დაბრდება ამხ. ი.ბ. სტალინის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის თანამშრომელს.**

ამ სიძნელეების გადასალახავად ყოველდღიურად უნდა მოვამზადოთ მზვერავები და კონტრმზვერავები, ისინი არ უნდა შეაშინოს ამ სიძნელეებმა, უნდა ახსოვდეთ, რომ ომში არიან და მზად უნდა იყვნენ ნებისმიერი დავალების შესასრულებლად.

4. **სტრატეგიული აგენტურა გადმობირებული უნდა იყოს მრა-**

ვალი ათწლეულით წინასწარ. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. მაგალითად, ომის წინ ან ომის დროს, სერიოზული კონტრრევოლუციური ან სტიქიური არეულობისას, რომლებიც სოციალისტური წყობის არსებობას დაემუქრება.

5. **უნდა გვახსოვდეს, რომ ჯაშუშებსა და მოღალატეებს უცხოეთის დაზვერვა გადაიბირებს საბჭოთა ადამიანების წრიდან, იმათ, ვინც დაავადებულია კარიერიზმით და სიხარბით, სურთ მდიდრული ცხოვრება, საყვარლების ყოლა, საზღვარგარეთ მოგზაურობა და პირადი გამდიდრების მიზნით, სასახლის კარის გადატრიალების გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდების ბუნდოვანი პერსპექტივა ესახება. უცხოეთის დაზვერვა ფართოდ იყენებს ადამიანებს, რომლებიც დაავადებულნი არიან ნაციონალისტური გადმონაშთებით.**

6. **ამხ. ი.ბ. სტალინის პირადი საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები ნებისმიერ ვითარებაში უნდა იყვნენ გულმართალნი და კომუნიზმის უსაზღვროდ ერთგულნი.**

ა. ჯუღა.

სტალინის პირადი საიდუმლო სამსახურის ამოცანა იყო: საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა საქმიანობაზე ყოველდღიური საგულდაგულო დაკვირვება, მსოფლიოში ცნობილ უცხოელ პოლიტიკურ მოღვაწეთა შესწავლა და მათი საქმიანობის რეგულარული გაშუქება, განსაკუთრებით კი კულისებს მიღმა ძალებისა, რომლებიც მათ ზურგს უკან დგანან და სინამდვილეში მართავენ მსოფლიოს.

პირადი საიდუმლო სამსახურის შექმნით სტალინს საშუალება მიეცა, გაენადგურებინა ყველა შეთქმულება და ოპოზიციური მიმდინარეობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

კრებულის ავტორი–შემდგენელი,
აკადემიკოსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
ვლადიმერ ვახანია



გენერალისიმუსი იოსებ სტალინი პოტსდამის კონფერენციაზე.
1945 წელი



„სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განსაკუთრებული რწმუნებული სტრატეგიული კონტრდაზვერვის საქმეში გენერალ-ლეიტენანტი ჯუღა ასრულებს განსაკუთრებული მნიშვნელობის და საიდუმლო სპეციალურ დავალებას. ყველა პარტიულმა, საბჭოთა და სამხედრო ხელმძღვანელმა, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელმა ალმოუჩინოს მას ყოველმხრივი დახმარება და უსიტყვოდ შეასრულოს ყველა მისი დავალება.

სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი.ბ. სტალინი“

თავი I
«მეხუთე კოლონის» ლიკვიდაცია სსრკ-ში

ნაწილი 1
ტროცკისტული იატაკქვეშეთი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სამოქალაქო ომის დროს განადგურდა დაახლოებით ორნახევარი მილიონი აქტიური კონტრრევოლუციონერი. დაახლოებით ამდენივე გაიქცა საზღვარგარეთ. დანარჩენები კი დარჩნენ ქვეყანაში და პოტენციურად ქმნიან ანტისაბჭოთა და ჯაშუშური მოღვაწეობის ბაზას.

ა. ჯულა

ცნობა

ზოგიერთი კომუნისტის ანტისაბჭოთა გადაბმარების სათავეები

ზოგიერთმა მათგანმა, რომლებიც ნამდვილი კომუნისტები კი არ იყვნენ, არამედ მიტმასნილები, როგორც მაშინ მათ უწოდებდნენ, მოიპარა გარკვეული ძვირფასეულობა, მაგრამ სოციალისტურ ქვეყანაში ქონებად ვერ აქცია და მნიშვნელოვნად გამდიდრების საშუალება არ მიეცა. აქედან მომდინარეობს მათი ოცნება, შეთქმულების გზით შეცვალონ არსებული სოციალისტური საზოგადოების არსი, მოახდინონ კაპიტალიზმის რესტავრაცია. სწორედ ეს ადამიანები ეგებიან უცხოეთის დაზვერვის ანკესს.

ა. ჯულა

ცნობა

ჯერ კიდევ სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის წლებში ინგლისის მთავრობა დაზვერვის სამსახურებს მოძღვრავდა: „ბოლშევიკები უნდა განიხილოთ როგორც აშკარად აღიარებული მტრები“

ა. ლავროვი

ცნობა

უცხოელი რეზიდენტები თავიანთ აგენტურას მიუთითებენ: გაბედულად გამოდით პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ. თუ ხელი ჩაგავლეს, მოინანიეთ, სხვა არაფერი. ბოლშევიკები კეთილი და მიმნდობი ადამიანები არიან, გაპატიებენ.

ს. ნიკოლაევი

ამ ინსტრუქციას ასრულებდნენ 1934 წელს პარტიის XVII ყრილობაზე ფარისევლური მონანიებით სიტყვით გამოსულები: ბუხარინი, ზინოვიევი, კამენევი, ლომინაძე, პრეობრაჟენსკი, პიატაკოვი, რადეკი, რიკოვი და ტომსკი.

ს. ნიკოლაევი

ცნობა

ლენინის დროს პოლიტბიუროს წევრები იყვნენ: ლენინი, სტალინი, ტროცკი, კამენევი, კრესტინსკი. პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები: ზინოვიევი, ბუხარინი, კალინინი.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სსრკ სახკომსაბჭოს 1934 წლის 5 ნოემბრის დადგენილების თანახმად სსრკ შინსახკომთან შეიქმნა განსაკუთრებული სათათბირო.

ცკ პოლიტბიუროს 1934 წლის 8 აპრილის სხდომის №48 ოქმის ამონაწერი:

„შინაგან საქმეთა სახალხო კომისართან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს დებულების შესახებ.

1. უფლება მიეცეს შინსახკომს საზოგადოებრივად საშიშად მიჩნეული პირები ღია ზედამხედველობით გადაასახლონ 5 წლამდე ვადით, დედაქალაქებში, დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში ცხოვრების აკრძალვით, მოათავსონ შრომა-გასწორების ბანაკებში და ბანაკებთან არსებულ საიზოლაციო შენობებში 5 წლამდე ვადით, ასევე, გაასახლონ სსრკ-დან საზოგადოებრივად საშიში უცხოეთის მოქალაქეები.

2. უფლება მიეცეს შინსახკომს, ის პირები, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან ჯაშუშობაში, მავნებლობაში, დივერსიულ და ტერორისტულ საქმიანობაში, მოათავსოს საპყრობილეში 5-დან 8 წლამდე ვადით.

3. შინსახკომის სახალხო კომისართან არსებული განსაკუთრებუ-

ლი სათათბიროს შემადგენლობა:

ა) შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე,

ბ) შინსახკომის რწმუნებული რსფსრ-ში,

გ) მილიციის მთავარი სამმართველოს უფროსი,

დ) მოკავშირე რესპუბლიკის შინსახკომის სახალხო კომისარი, რომლის ტერიტორიაზეც აღიძრა საქმე.

4. განსაკუთრებული სათათბიროს სხდომაში აუცილებლად მონაწილეობს სსრკ პროკურორი ან მისი მოადგილე. იმ შემთხვევაში, თუ არ დაეთანხმება, მას შეუძლია გამოიტანოს პროტესტი, რომელიც გაიგზავნება სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებული სათათბიროს გადაწყვეტილება შეჩერდება საკავშირო ცაკ-ის პრეზიდიუმის დადგენილებამდე"

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ტროცკისტული ანტისაბჭოთა იატაკქვეშა ორგანიზაციის აქტიურ მონაწილეებზე საზღვარგარეთიდან მიღებული მონაცემების შესახებ.

ტროცკი — გერმანული დაზვერვის აგენტია 1921 წლიდან, ინგლისის — 1926 წლიდან;

ნ.ნ. კრესტინსკი — გერმანული დაზვერვის აგენტია 1921 წლიდან;

ა.პ. როზენჰოლცი — გერმანული დაზვერვის აგენტია 1923 წლიდან, ინგლისის — 1934 წლიდან;

მ.ა. ჩერნოვი — გერმანული დაზვერვის აგენტია 1928 წლიდან, მის გადაბირებაში მონაწილეობდა ემიგრაციაში მყოფი მენშევიკი დანი;

ვ.ფ. შარანოვიჩი — პოლონეთის დაზვერვის (პოლონეთის გენშტაბის მეორე განყოფილების) აგენტია 1921 წლიდან;

გ.ფ. გრინკო — პოლონეთისა და გერმანიის დაზვერვის აგენტია 1932 წლიდან.

ნ.ნ. კრესტინსკი, რომელიც 1921 წლის ზამთარში ტროცკის დავალებით იმყოფებოდა ბერლინში, შეხვდა გერმანიის რაიხსვერის სარდალს სექტს და გერმანიის გენშტაბის უფროსს ჰასეს. რუსეთიდან ჯაშუშური ცნობების მიწოდების საფასურად ყოველწლიურად მიღებულ ფულს (250 000 მარკა) გადასცემდა ტროცკის.

როზენჰოლცს, ტროცკის მითითებით, რეგულარული კავშირი ჰქონდა დამყარებული გერმანელ ელჩებთან მოსკოვში. პირადად ხვდებოდა სექტს და ჰასეს და გადასცემდა მათ საიდუმლო მონაცემებს.

მეფის ოხრანკის აგენტები იყვნენ:

ი.ა. ზელინსკი — სამარის ჟანდარმერიის სამმართველოს აგენტი 1911 წლიდან, პროვოკაციული მუშაობისთვის ყოველთვე იღებდა ფულად ჯილდოს. მეტსახელები: „სათვალიანი“ და „საგაფი“;

ვ.ი. ივანოვი — ტულის ოხრანკის აგენტი 1911 წლიდან.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ტროცკი აქტიურად აწინაურებს და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელ პოსტებზე გაჰყავს პირადად მისი ერთგული ადამიანები.

ს. ნიკოლაევი

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *„ამხ. ნიკოლაევ! ყურადღებით შეისწავლეთ ეს ადამიანები“.*

ცნობა

ლევ ტროცკი — უსასტიკეს სახელმწიფო მოღვაწეთაგანია, მისთვის უცხო არ იყო მასობრივი დახვრეტები, მძევალთა წამება, იგი საკონცენტრაციო ბანაკების შექმნის ინიციატორია. ჩამოაყალიბა ნაციონალური ნაწილები, რომლებიც არ იყვნენ ქვეყნის მოსახლეობასთან დაკავშირებულნი — ლატვიელ მსროლელთა, უნგრელთა, ჩინელთა რაზმები — და იყენებდა მასობრივი ტერორისათვის. ტროცკი იყო კაზაკების, მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა ფიზიკური განადგურებისა და მართლმადიდებლური ტაძრების, მონასტრების ძარცვის მთავარი ორგანიზატორი, იმ ობიექტების განადგურების ინიციატორი, რომლებიც შეადგენდნენ რუსული კულტურისა და ერის საფუძველს. მისმა თანამებრძოლმა და პროტეჟემ ტუხაჩევსკიმ სამოქალაქო ომის წლებში თავი გამოიჩინა როგორც სადამსჯელო ოპერაციების სპეციალისტმა, ხელმძღვანელობდა კრონშტადტის აჯანყების და ტამბოვის გუბერნიაში ანტონოვის გლეხთა აჯანყების ჩახშობას, ფართოდ იყენებდა მომწამლავ ნივთიერებებს, მასობრივ დახვრეტებს, მძევალთა წამებას, ანადგურებდა მთელ სოფლებს, ჰქმნიდა უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკებს.

ვ. ჟუხრაი

ცნობა

ტროცკის მომხრეები აყვანილნი არიან აქტიურ-ოპერატიულ დამუშავებაში.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეხსობინება

დადგენილია, რომ ტროცკისტები ცდილობენ, საბჭოთა კავშირში შექმნან ახალი ნეპმანური ბურჟუაზიის პოლიტიკური ორგანიზაცია, ბურჟუაზიული პარტია — კაპიტალისტური რესტავრაციის პარტია.

ს. ნიკოლაევი

ცნობა

ამხანაგმა სტალინმა თქვა: „ტროცკისტები უნდა დაიხვრიტონ, განადგურდნენ. ისინი მსოფლიო პროვოკატორები, ფაშიზმის უბოროტესი აგენტები არიან“

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეხსობინება

შინსახკომის სახალხო კომისართან არსებული განსაკუთრებული ბიუროს ხელმძღვანელმა იაკოვ სერებრიანსკიმ პარიზში აღმოაჩინა და მოსკოვში ფარულად გადმოგზავნა ტროცკის არქივი.

ტროცკის შვილი სედოვი, რომელიც აკავშირებდა მას საბჭოთა კავშირში იატაკქვეშა ანტისაბჭოთა ტროცკისტულ ორგანიზაციასთან, გარდაიცვალა ნიცაში აპენდიციტის ოპერაციის შემდეგ ნარკოზის ზედმეტი დოზის გამო.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ტროცკის ვაჟი სედოვი გარდაიცვალა აპენდიციტის ოპერაციის შემდეგ პარიზში. აქცია განახორციელეს ლავროვის თანამშრომლებმა. ეჭვი შეეცადა, ეს „დამსახურება“ თავისთვის მიეწერა, რითაც ფრიად გაახალისა ამხანაგი სტალინი, რომელიც ამის შემდეგ აკვირდებოდა მას, როგორც ადამიანს, რომელსაც ფალსიფიცირება შეუძლია.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პატაკი

სსრკ შინსახკომის უცხოეთის განყოფილების უფროსმა შპიგელგლაზმა, რომელსაც ტროცკის ლიკვიდაცია ჰქონდა მინდობილი, შეგნებულად ჩააგდო ეს დავალება.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ეს აგენტურული პატაკი შემოწმებით დადასტურდა. შპიგელგლაზი დაპატიმრებულ იქნა და დაიხვრიტა.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მექსიკაში გამოვიდა ტროცკის ანტისაბჭოთა სტატიები: „სტალინი — ჰიტლერის ინტენდანტი“ *(„ბიულეტენ ოპოზიციი“, №79-80, 1939 წლის აგვისტო-სექტემბერი-ოქტომბერი. — შემდგენ.)* და „ტყუპი ვარსკვლავები: ჰიტლერი-სტალინი“ *(უფრო ზუსტად, „ორმაგი ვარსკვლავი: ჰიტლერი-სტალინი“, „ბიულეტენ ოპოზიციი“, №81, 1940 წლის იანვარი. — შემდგენ.)*.

ა. ლავროვი

ცნობა

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *„ტროცკისტულ მოძრაობაში ტროცკის გარდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურები არ არიან. თუ ტროცკის ბოლო მოეღება, კომინტერნს საშიშროება აღარ დაემუქრება. ტროცკისტები იმპერიალიზმის ერთგული ქოფაკები არიან. ისინი უნდა დაიხვრიტონ, როგორც ცოფიანი ძაღლები“*

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

პირველი თავდასხმა ტროცკიზე ჩავარდა. მიუხედავად იმისა, რომ მექსიკაში, ვილაში ოთახი, სადაც ის და მისი ცოლი იმყოფებოდნენ,

ტყვიებით მთლიანად დაიცხრილა. ტროცკი კუთხეში, საწოლს უკან დაიმალა და გადარჩა.

ა. ლავროვი

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *„ამხანაგო ლავროვ! თუ მეორე აქცია ტროცკის მიმართ ჩავარდება, ჩართეთ სამსახური, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ. ტროცკი უნდა მოისპოს, რადაც უნდა დაგვიჯდეს“*

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

მტრული საქმიანობისთვის სსრკ-დან ტროცკის გასახლების შესახებ

ОГПУ-სთან არსებულმა განსაკუთრებულმა სათათბირომ 1929 წლის 18 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება სსრკ-ის ფარგლებიდან ტროცკის გასახლების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მას აცნობეს 1929 წლის 20 იანვარს. პოლიტბიუროს სხდომაზე მისი გასახლების წინააღმდეგ ხმა მისცა პოლიტბიუროს სამმა წევრმა — რიკოვმა, ბუხარინმა და ტომსკიმ. იმის გამო, რომ არცერთ ქვეყანას არ სურდა მიეღო საერთაშორისო ბანდიტი-ჯაშუში, დაპატიმრებულმა ტროცკიმ 12 დღე-ღამე დაჰყო განსაკუთრებულ მატარებელში, რომელიც კურსკის ოლქის ერთ პატარა სადგურში იყო გაჩერებული.

მას შემდეგ, რაც თურქეთი მის მიღებას დასთანხმდა, 1929 წლის 10 თებერვალს იგი გემ „ილიჩით“ გაიგზავნა ამ ქვეყანაში, სადაც 4 წელიწადი იცხოვრა. შემდეგ ცხოვრობდა დანიაში, ნორვეგიაში, საფრანგეთში (პარიზში), ბოლოს — მექსიკაში. ცხოვრობდა მეხიკოს შემოგარენ კოიოანში, ვენის ქუჩაზე, ვილაში, რომელსაც იცავდნენ. 1940 წლის 21 აგვისტოს ტროცკი, რომელსაც სსრკ შინსახკომის აგენტმა ალპინისტური წერაყინი თავში ჩაარტყა, 19 საათსა და 20 წუთზე მექსიკის ერთ-ერთ კლინიკაში გარდაიცვალა. თავდასხმა ტროცკიზე, რომელსაც დაუსწრებლად მისჯილი ჰქონდა სიკვდილი, განახორციელა სსრკ-ის შინსახკომის თანამშრომელმა, სახელმწიფო უშიშროების კომისარმა ლეონიდ ეიტინგონმა (ფსევდონიმები: ამხანაგი კოტოვი და გენერალი ლეონოვი).

ა. ჯულა

1940 წლის 24 აგვისტოს „პრავდაში“ გამოქვეყნდა სარედაქციო სტატია „საერთაშორისო ჯაშუშის სიკვდილი“, მექსიკაში ტროცკის

მკვლელობის შესახებ *(ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებით, სტატია სტალინის დაწერილი იყო. — შემდგენ.)*. „ტროცკის უახლოესმა თანამოღვაწეებმა აღიარეს, რომ ისინი, თავიანთ შეფთან ერთად, უკვე 1921 წლიდან საერთაშორისო ჯაშუშები იყვნენ. ისინი, ტროცკის მეთაურობით, ერთგულად ემსახურებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და იაპონიის დაზვერვებსა და გენერალურ შტაბებს“

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

აქტიური ტროცკისტები — უცხოეთის დაზვერვის აგენტები: ზინოვიევი, კამენევი, ევდოკიმოვი, ბაკაევი, მრაჩკოვსკი, ტერ-ვაგანიანი, სმირნოვი, დრეიზერი (ტროცკის ყოფილი პირადი მცველი), რეინგოლდი, პიკელი, გოლცმანი, ფრიც-დავიდი (ი.დ. კრუგლიანსკი), ოლბერგი, ბერმან-იურინი, მ.ი. ლურიე, ნ.ლ. რახია.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

იაგოდამ მიიღო მითითება, აქტიურად დაამუშაოს კამენევი. ამხანაგმა სტალინმა თქვა: „მიხედეთ კამენევს. ვფიქრობ, რომ რიუტინთან არის დაკავშირებული. ლევ ბორისოვიჩი ისეთი არ არის, მალე დანებდეს. მე მას ოც წელიწადზე მეტია, ვიცნობ. იგი მტერია“

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ნადეჟდა სერგეევნა ალილუევას *(ი.ბ. სტალინის ცოლი. — შემდგენ.)* ახლო, მეგობრული ურთიერთობა აქვს ბუხარინთან, ენუქიძესთან, რედენსთან, მიქოიანის ცოლთან — აშხენთან, მოლოტოვის ცოლთან — პოლინა ჟემჩუჟინასთან, ცოლ-ქმარ სვანიძეებთან. სიმპათიით არის განწყობილი კამენევის, ზინოვიევის, ტროცკისა და სხვა ოპოზიციური ვიგინდარების მიმართ, რაც ნათლად გამჟღავნდა 1927 წელს ცნობილი ტროცკისტის იოფეს დაკრძალვის დროს, რომელმაც მხილების შიშით თავი მოიკლა. პრომაკადემიაში მასთან ერთად მოს-

წავლეთა შორის საუბრების დროს იწონებს ანტისაბჭოთა „რიუტინის პროგრამას“

ა. ლავროვი

მოხსენდა. საქმეში. ლავროვი.

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რიუტინი ამხანაგ სტალინის შესახებ: „საიდან გაჩნდა? ეს მზარეული მართლაც ძალიან ცხარე კერძებს დაამზადებს“

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

მიღებულია მონაცემები, რომ რიუტინი უცხოეთის დაზვერვის აგენტია. ცნობები გულდასმით მოწმდება.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

როცა საქ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს სხდომაზე დადგა საკითხი რიუტინის, როგორც ხალხის მტრის, დაპატიმრების შესახებ, იგი დაიცვა კიროვმა და ამჯერად უცხოეთის დაზვერვის აგენტი რიუტინი გადარჩა.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

(აგენტურული მონაცემებით)

დაახლოებით 1933-1934 წლებში კიროვმა ორჯონიკიძესა და კოსიორთან საუბრისას განაცხადა: „დადგა დრო, ბოლო მოვუღოთ შიდა ბრძოლას“. ეს იმ დროს ითქვა, როცა კლასობრივმა ბრძოლამ ქვეყანაში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

(კიროვზე თავდასხმის შესახებ)

პირველი აგენტურული მონაცემებით, კიროვის მკვლელობის მომზადებაში მონაწილეობდნენ სსრკ შინსახკომის სახალხო კომისარი იაგოდა და ჭ. ლენინგრადის შინსახკომის სამმართველოს თანამშრომლები: მედვედი, ზაპოროჟეცი და სხვ.

კიროვის მკვლელი დაკითხეს ლ. შეინინმა და აგრანოვმა. ეს უკანასკნელი ხალხის მტრებთან კავშირის გამო ნდობას არ იმსახურებს.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

იაგოდამ, მედვედმა, ზაპოროჟეცმა აღიარეს, რომ მონაწილეობდნენ კიროვის მკვლელობის მომზადებაში და ამისთვის დაიხვრიტნენ.

საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს სხდომაზე ოპოზიციონერთა ურთიერთდაპირისპირების დროს გაირკვა, რომ რიკოვმა და ბუხარინმა მისცეს მითითება თავიანთ თანამებრძოლებს, ე.წ. მემარჯვენეებს, ტერორის გზით მოეცილებინათ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობა (მათ შორის, კიროვიც) და, უწინარეს ყოვლისა, ამხ. ი.ბ. სტალინი. ეს საკითხი დაწვრილებით განიხილეს საკ. კპ (ბ) ცკ პლენუმზე 1937 წლის 27 თებერვალს.

აი, ამონარიდი სასამართლო სხდომაზე სსრკ შინსახკომის ყოფილი სახალხო კომისრის, მემარჯვენე ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის აქტიური მონაწილის გ. იაგოდას ჩვენებიდან: „1934 წელს, ზაფხულში ენუქიძემ მაცნობა მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის ცენტრის გადაწყვეტილება კიროვის მკვლელობის განხორციელების შესახებ. ამ გადაწყვეტილებაში უშუალოდ მონაწილეობდა რიკოვი. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფები კონკრეტულად ამზადებდნენ ამ მკვლელობას. ენუქიძე მოითხოვდა, რომ მე არავითარი წინააღმდეგობა არ შემექმნა ამ საქმისათვის. აქედან გამომდინარე, იძულებული ვიყავი, წინადადება მიმეცა ზაპოროჟეცისთვის, რომელსაც ლენინგრადში შინსახკომის უფროსის თანამდებობა ეკავა, ხელი არ შეეშალა კიროვის წინააღმდეგ ტერაქტის განხორციელებისთვის.

გარკვეული დროის შემდეგ ზაპოროჟეცმა მაცნობა, რომ შინსახკო-

მის ორგანოების მიერ დაკავებულია ნიკოლაევი, რომელსაც რევოლვერი და კიროვის მარშრუტი უპოვეს, და ნიკოლაევი გაუშვეს. ამის შემდეგ მალევე კიროვი თვით ნიკოლაევმა მოკლა"

ახლა კი — ამონარიდი იაგოდას პირადი მდივნის, სსრკ შინსახკომის მდივნის პ. ბულანოვის ჩვენებიდან: „როცა ლენინგრადში ჩამოსულმა მთავრობის წევრებმა ბორისოვი სმოლნიში გამოიძახეს, რათა მოწმის სახით დაეკითხათ, ზაპოროჟეცმა, რომელიც შეშფოთებული იყო და ეშინოდა, რომ იგი გასცემს მათ, ვინც მის ზურგს უკან იდგა, მისი მოკვლა გადაწყვიტა. იაგოდას მითითებით, ზაპოროჟეცმა მოაწყო ისე, რომ მანქანას, რომელსაც იგი სმოლნიში მიჰყავდა, ავარია შეემთხვა. ბორისოვი ამ ავარიაში მოკლეს"

სასამართლო სხდომის დროს კამენევმა აჩვენა: „მე ზინოვიევთან და ტროცკისთან ერთად ვიყავი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ტერორისტული შეთქმულებისა, რომელიც ჩაფიქრებული იყო ჩვენი ქვეყნის მთავრობისა და პარტიის ხელმძღვანელების წინააღმდეგ მთელი რიგი ტერაქტების მოსაწყობად და რომელმაც განახორციელა კიროვის მკვლელობა".

ს. ნიკოლაევი

ცნობა

სკკპ XXII ყრილობაზე ხრუშჩოვი და მისი თანამზრახველნი შეეცადნენ, კიროვის მკვლელობის ბრალდება მოეხსნათ ლენინგრადის ტროცკისტული ცენტრისთვის, რომელიც დაკავშირებული იყო უცხოეთის დაზვერვებთან და რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კამენევი და ზინოვიევი. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ „არის მონაცემები", რომლებიც თითქოს ადასტურებენ, რომ კიროვის მკვლელობაში ლამის თვით სტალინია დამნაშავე.

ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ პროვოკაციულ „დასაბუთებას" — თითქოს სტალინი დაკავშირებულია კიროვის მკვლელობასთან — აქტიურად ავრცელებდა ხალხის მტერი ტროცკი.

ხრუშჩოვისა და შელეპინის მტკიცება, რომ კიროვის მკვლელობასთან შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული სტალინი, შემოწმებით იმდენად ყალბი და პროვოკაციული აღმოჩნდა, რომ ამ „საქმის" შესასწავლად ხრუშჩოვის მიერ შექმნილი სკკპ ცკ კომისია იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ამგვარი მტკიცების არავითარი საფუძველი არ არსებობს.

ვ. ყუხრაია

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

კიროვის ქვრივს მარია მარკუსს ყოველდღიურად ფარულად უთვალთვალებენ.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ზინოვიევი შეურაცხყოფს ლენინის ხსოვნას, თავის გარემოცვაში დაცინვით აცხადებს: „ლენინს სურდა სოციალიზმის ერთ ქუჩაზე აშენება“

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ამხანაგმა სტალინმა ზინოვიევის შესახებ თქვა: „1898 წლიდან 1917 წლის თებერვლამდე ჩვენ, ძველი არალეგალები, ამხ. ზინოვიევს არ შევხვედრივართ არც იატაკქვეშ, არც ციხეებში, არც გადასახლებაში“

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1922 წელს საკ. კპ (ბ) ცკ გენერალური მდივნის პოსტზე ამხ. სტალინის არჩევის წინ ზინოვიევი ასეთ ინსტრუქციას აძლევდა თავის მომხრეებს: „არჩევნებზე ამ პოსტზე ჩვენ ხმა უნდა მივცეთ სტალინს. იგი უცხოტომელია, რომელსაც რუს ხალხში ფესვები არა აქვს, ამიტომ, ბუნებრივია, დასჭირდება პარტიაში გავლენიანი ადამიანების მხარდაჭერა, თავის საქმიანობაში მათი ყოველდღიური ხელმძღვანელობა. ჩვენი მიზნებისთვის ბრძოლის პროცესში ადვილად შევძლებთ მის მართვას“

ს. ნიკოლაევი

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *„კრეტინები. ამხ. ნიკოლაევ, მოამზადეთ მისი დაპატიმრება“*

ცნობა

კამენევი ცდილობს, ოპოზიციურ პოლიტიკურ მოღვაწედ წარმოგვიდგეს, თუმცა, უცხოეთის დაზვერვის ჩვეულებრივი აგენტია.

ა. ჯულა
1936 წლის 15 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

თავი მოიკლა (ტყვია დაიხალა) საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს ყოფილმა წევრმა ტომსკიმ.

ა. ჯულა

ცნობა

ამხანაგმა სტალინმა თქვა: „მისი თვითმკვლელობა პარტიის წინაშე მისი ბრალის დადასტურებაა“

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

აქტიურ ტროცკისტ ფრუმკინს, რომელსაც ოპოზიციონერები განათლებულ ეკონომისტად ასაღებენ და რომელიც ინდუსტრიალიზაციისკენ მიმართული პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ გამოდის, ყველგან დაათრევს და წინ სწევს კამენევი.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სასამართლო სხდომაზე კამენევის ჩვენებიდან:

„კამენევი: ბუხარინი ჩემსავით ფიქრობს, მაგრამ სხვა ტაქტიკას ირჩევს. იგი არ ეთანხმება პარტიის ხაზს, თუმცა, პარტიაში ჩანერგვის და ხელმძღვანელობის პირადი ნდობის მოპოვების ტაქტიკას დაჟინებით ანხორციელებს“

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ინგლისში სამხედრო ატაშემ, კორპუსის მეთაურმა ვიტოვტ პუტნამ დრაიზერისა და სმირნოვის მეშვეობით ტროცკისტულ იატაკქვეშა ორგანიზაციას გადასცა ტროცკის ინსტრუქციები სსრკ-ში ანტისაბჭოთა ძირგამომთხრელი მუშაობის გასაშლელად. დაპატიმრებულებმა ზინოვიევმა, კანელმა და რეინგოლდმა დაკითხვაზე აჩვენეს, რომ ტროცკის ამ ინსტრუქციებს აქტიურად ასრულებდნენ ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი, პიატაკოვი, სერებრიაკოვი, სოკოლნიკოვი, რადეკი და უგლანოვი.

როგორც კი გაიგო, რომ მისი მტრული საქმიანობა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისთვის გახდა ცნობილი, ტომსკიმ თავი მოიკლა.

პროცესზე სსრკ გენერალურმა პროკურორმა ა.ი. ვიშინსკიმ თქვა: „მოვითხოვ, რომ ეს ცოფიანი ძაღლები დაიხვრიტოს ყველა უკლებლივ". საკ. ალკ ცკ პირველი მდივანი ალექსანდრ კოსარევი მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის მტერ პოსტიშევთან.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1936 წლის 26 აგვისტოს დახვრიტეს კამენევი და ზინოვიევი. დახვრეტის წინ ზინოვიევი ისტერიკაში ჩავარდა, აბსოლუტურად დაიბნა. ტიროდა და ყვიროდა: დაურეკეთ ამხანაგ სტალინს! ღმერთს თანადგომას ემუდარებოდა.

კამენევი თავზარდაცემული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ დასახვრეტად გარეგნულად მშვიდად მიდიოდა.

ს. ნიკოლაევი

1936 წლის 27 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
ასლი. ცნობა.
განსაკუთრებული საქალალდედან

დახვრეტამდე ცოტა ხნით ადრე ამხ. სტალინმა ვოროშილოვისა და ეჟოვის თანდასწრებით პირადად დაკითხა კამენევი და ზინოვიევი.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეგყობინება

(აგენტურული მონაცემებით)

რადეკმა ტროცკისგან რამდენიმე წერილი მიიღო (1932 წლის მარტი, 1934 წლის აპრილი, 1935 წლის დეკემბერი, 1936 წლის იანვარი). რადეკს ინსტრუქციას რომ აძლევდა, ტროცკი წერდა, რომ სტალინური ცკ-ის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთიანდებიან ანტისაბჭოთა ძალები სსრკ-ში, რომ ზინოვიეველებმა მიიღეს გადაწყვეტილება გაერთიანდნენ ტროცკისტებთან ერთიან ანტისაბჭოთა ბლოკში და რომ ბრძოლის მთავარ ფორმად რჩება ტერორის ორგანიზება. 1933 წელს ტროცკიმ და ზინოვიევმა განახორციელეს აქტიური ღონისძიებები ლენინგრადში ტერორისტული ცენტრის მოსაწყობად, რომელმაც კიდეც განახორციელა კიროვის მკვლელობა 1934 წლის 1 დეკემბერს. კიროვის მოკვლის შემდეგ რადეკი შეხვდა ბუხარინს, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარ რედაქტორს. რადეკის შეკითხვას — იზიარებს თუ არა იგი, ბუხარინი, საკ. კპ (ბ) ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ტერორისტულ საქმიანობას, ბუხარინმა დადებითად უპასუხა. კამენევმა გააფრთხილა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის აქტიური მოღვაწე სოკოლნიკოვი, რომ იგი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მას მიმართავენ უცხოეთის დაზვერვათა წარმომადგენლები. 1934 წელს ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის წარმომადგენლები, ტროცკის მითითებით, აქტიურად ეძებდნენ კონტაქტებს უცხოეთის დაზვერვის წარმომადგენლებთან.

ს. ნიკოლაევი
1936 წლის 18 იანვარი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

პარტიულ წრეებში რადეკს ეძახიან „კრადეკს — ჭურდსა და გაქნილს, მაიმუნისსახიანს“. ამხ. სტალინი რადეკის შესახებ: „წვრილმანი ტროცკისტი, თანაც რწმენის გარეშე“

ზინოვიევი ტოვებს პატივმოყვარე, გაუნათლებელი, თავხედი და მშიშარა არარაობის შთაბეჭდილებას.

ერთ-ერთ საუბარში ამხ. სტალინმა ჩვენი სამსახურის შესახებ თქვა: „ძლიერი სახელმწიფოს ლიდერი უთუოდ ხდება დამოკიდებული უშიშ-

როების სამსახურზე, თუ მის საპირწონეს არ შექმნის. ვინ დაგვიცავს დამცველებისგან?“

ა. ჯული

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1928 წელს ბუხარინი და რადეკი გერმანიაში იყვნენ.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

აგენტურული მონაცემებით, ლიკვიდირებული ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის პარალელურად მოქმედებდა და მოქმედებს ტროცკის ინიციატივით შექმნილი (იგი ენერგიულ ღონისძიებებს განახორციელებდა სსრკ-ში იატაკქვეშა, ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად) ეგრეთ წოდებული სათადარიგო, პარალელური ცენტრი, რომლის აქტიური წევრები არიან ი.ლ. პიატაკოვი, კ.ვ. რადეკი, გ.ი. სოკოლნიკოვი და ლ.პ. სერებრიაკოვი.

ამ ანტისაბჭოთა ცენტრის ძირითადი ამოცანაა საბჭოთა მთავრობის ძალადობრივი დამხობა და სსრკ-ში კაპიტალიზმის რესტავრაცია საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი უცხოური სახელმწიფოების დახმარებით. ამ ბლოკის წევრები იმსახურებენ იმას, რომ მათ მოექცნენ, როგორც თეთრგვარდიელებს.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაკეტი

თანამზრახველების წრეში ხალხის მტერმა, ინგლისის ჯაშუშმა, აქტიურმა ტროცკისტმა სერებრიაკოვმა განაცხადა: „სტალინის არ გვეშინია. თუ გაყოყოჩდა, მოვხსნით“

ს. ნიკოლაევი

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *„ფართოდ აბიჯებ. შარვალი გაგეხევა“*

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

1935 წლის დეკემბერში ტროცკი შეხვდა ჰიტლერის მოადგილე ჰესს.

დაიდო შემდეგი შეთანხმება:

ა) გარანტირებულ იქნას კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გერმანული მთავრობისადმი და მასთან აუცილებელი თანამშრომლობა უმნიშვნელოვანეს საკითხებში;

ბ) დავთანხმდეთ ტერიტორიულ დათმობებს;

გ) კონცესიების ფორმით (ან რაიმე სხვა ფორმით) უფლება მიეცეთ გერმანელ მრეწველებს, სსრკ-ში ექსპლუატაცია გაუწიონ ისეთ საწარმოებს, რომლებიც გერმანიის მეურნეობის აუცილებელი ეკონომიკური დანამატია (რკინის მადანი, მარგანეცი, ნავთობი, ოქრო, ტყე);

დ) სსრკ-ში შეიქმნას ხელსაყრელი პირობები კერძო გერმანული საწარმოების საქმიანობისათვის;

ე) ომის დროს გაიშალოს აქტიური დივერსიული მუშაობა სამხედრო საწარმოებში და ფრონტზე. ეს დივერსიული მუშაობა უნდა განხორციელდეს ტროცკის მითითებით და შეთანხმებული უნდა იყოს გერმანიის გენშტაბთან.

ა. ლავროვი
1936 წლის 2 თებერვალი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

1935 წ. დეკემბერში ჟურნალისტმა კ.ვ. რადეკმა, ცნობილმა ტროცკისტმა მიიღო ტროცკის დირექტიული წერილი ანტისაბჭოთა საქმიანობის გაშლის შესახებ. ტროცკი წერდა, რომ სსრკ-სადმი მტრულად განწყობილი უცხოეთის სახელმწიფოების დახმარების გარეშე საბჭოთა მთავრობის შემცვლელი პარალელური ბლოკის ანტისაბჭოთა მთავრობა ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს.

აი, ზოგიერთი ამონარიდი ამ წერილიდან:

„უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ შეიძლება ხელისუფლებაში მოსვლა უმნიშვნელოვანესი კაპიტალისტური სახელმწიფოების კეთილსასურველი დამოკიდებულების გარეშე, განსაკუთრებით, საბ-

ჭოთა კავშირისადმი ისე აგრესიულად განწყობილი სახელმწიფოებისა, როგორიც გერმანიისა და იაპონიის ახლანდელი მთავრობებია. სრულიად აუცილებელია, ამთავითვე ვიქონიოთ ამ მთავრობებთან კონტაქტი და მოლაპარაკება“

და შემდეგ: „აუცილებლად მოგვიწევს დავთანხმდეთ ტერიტორიულ დათმობებს. იაპონიას დავუთმოთ ზღვისპირეთი და ამურისპირეთი, გერმანიას — უკრაინა“

და შემდეგ: „გერმანიისა და იაპონიის კაპიტალის სსრკ-ში საექსპლუატაციოდ შემოშვება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნის მსხვილ კაპიტალისტურ ინტერესებს. სოფლად ჩვენ გამოგვყვებიან ის ფენები, რომლებმაც ვერ დაძლიეს კაპიტალისტური ფსიქოლოგია და უკმაყოფილონი არიან კოლმეურნეობებით... (**სტალინის შენიშვნა მინდორზე:** „ლაპარაკია კულაკებზე“).

საჭიროა დავიხიოთ კაპიტალიზმისაკენ. რამდენად შორს, როგორი მოცულობით, ახლა ძნელი სათქმელია, — ამის კომენტირება მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიძლება“

პარალელურ ტროცკისტულ ბლოკს მიაჩნია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის დარაზმვის მთავარი მეთოდები ქვეყანაში დამნაშავეობის, ტერორის, დივერსიებისა და მავნებლობის ორგანიზებაა.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

ეგრეთ წოდებულ ტროცკისტულ პარალელურ ცენტრში შედიან:

1. პიატაკოვი იური (გიორგი) ლეონიდოვიჩი, დაბადებული 1890 წელს, მძიმე მრეწველობის მინისტრის მოადგილე.

2. სოკოლნიკოვი გრიგორი იაკოვლევიჩი, დაბადებული 1888 წელს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე.

3. არნოლდი ვალენტინ ვოლფრიდოვიჩი, დაბადებული 1894 წელს, საერთაშორისო ავანტიურისტი, ერთ დროს ცხოვრობდა გერმანიასა და ამერიკაში, შვედეთსა და ნორვეგიაში.

4. ბოგუსლავსკი მიხეილ სოლომონოვიჩი, დაბადებული 1888 წელს.

5. გრაშე ივან იოსიფოვიჩი.

6. დრობნისი იაკობ ნაუმოვიჩი, დაბადებული 1891 წელს.

7. კნიაზევი ივან ალექსანდროვიჩი, დაბადებული 1893 წელს.

8. ლივშიცი იაკობ აბრამოვიჩი, დაბადებული 1896 წელს, გზათა მიმოსვლის სახალხო კომისრის მოადგილე.

9. მურალოვი ნიკოლაი ივანოვიჩი, დაბადებული 1877 წელს.

10. კორკინი ბორის ოსიპოვიჩი, დაბადებული 1845 წელს.

11. პუშინი გავრილ ეფრემოვიჩი, დაბადებული 1896 წელს.

12. რატაიჩაკი სტანისლავ ანტონოვიჩი, დაბადებული 1894 წელს.

13. სტროპლოვი მიხეილ სტეპანოვიჩი, დაბადებული 1899 წელს.

14. ტუროკი იოსიფ დმიტრიევიჩი, დაბადებული 1900 წელს.

15. შესტოვი ალექსეი ალექსანდროვიჩი, დაბადებული 1896 წელს.

ცენტრის ამოცანა: ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციაზე უარის თქმა, თავდაცვით და საკავშირო დაქვემდებარების განსაკუთრებული მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოებში მავნებლობის ორგანიზება, კაპიტალური სახსრების გაფანტვა მეორეხარისხოვან საწარმოებს შორის, ე.წ. დაუსრულებელი მშენებლობების შექმნა, დივერსიებისა და ტერაქტების მოწყობა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ს. ნიკოლაევი

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *„ამხ. ნიკოლაევ, დაინტერესდით იაგოდათი. სავსებით შესაძლებელია, რომ იაგოდა ხელს აფარებდა ლიკვიდირებულ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბლოკს, სხვაგვარად ასე დიდხანს ვერ იარსებებდა. სავსებით შესაძლებელია, რომ იგივე ხდება ე.წ. ტროცკისტულ პარალელურ ბლოკთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ ადრე იაგოდა შემთხვევით არ უჭერდა მხარს ბუხარინ-რიკოვის ჯგუფს.*

სტალინი“

ცნობა

იაგოდას აქტიური აგენტურულ-ოპერატიული დამუშავების დროს სრულად დადასტურდა ამხ. სტალინის ვარაუდი. 1937 წლის 4 აპრილს იაგოდა დაპატიმრებულ იქნა და 1938 წლის 16 ივნისს დაიხვრიტა. 1936 წლის 25 აგვისტოს დაიხვრიტნენ გაერთიანებული ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის მონაწილენი, რომელშიც შედიოდა იაგოდა.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1938 წლის 5 მარტის სასამართლო სხდომაზე სსრკ შინსახკომის ყოფილი სახალხო კომისრის იაგოდას ჩვენებიდან: „ჩემი მფარველობით ОГПУ-შინსახკომში მუშაობდნენ უცხოეთის დაზვერვათა აგენტები: კარლ პაუკერი, ზაპოროჟეცი, ვოლოვიჩი, ვინევსკი, გაი და სხვები. მე ვიცოდი ამის შესახებ და ყოველთვის ხელს ვაფარებდი, მიმაჩნდა, რომ ეს იყო ოპოზიციის ძვირფასი შენაძენი და დიდი ძალა ხელისუფლებაში რიკოვის, ბუხარინის, ენუქიძის, კამენევის, ზინოვიევისა და სხვა ოპოზიციონერების მოსვლის შემთხვევაში“

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მედიცინის პროფესორის დ.დ. პლეტნევის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ, რომელსაც ბრალად ედება გორკისა და კუიბიშევის დანაშაულებრივი მოკვდინება მათი შეგნებულად არასწორი მკურნალობის გზით. თხოვნაში შეწყალების შესახებ პლეტნევი წერს: „მე სრულად ვაღიარე ჩემთვის წარდგენილი ბრალდება, რასაც ადასტურებს ჩემი მოქმედება გამოძიების მიმდინარეობისა და სასამართლოს დროს. რადგან მე ვმოქმედებდი იაგოდას ბრძანებით, ვმოქმედებდი იაგოდას ზეწოლით, რომელიც მემუქრებოდა, რომ დანაშაულის ჩადენაზე უარის თქმის შემთხვევაში, გამანადგურებდა არა მარტო მე, არამედ მთელ ჩემს ოჯახს, გთხოვთ შეწყალებას“

ა. ჯულა

რეზოლუცია: „დაერთოს ცნობებს. ჯულა“.

სრულიად საიდუმლოდ

ამონაწერი საკ. კპ (ბ) ცკ-ის 1937 წლის 2-3 მარტის სხდომის №9 ოქმიდან. ამხ. ეჟოვს, ამხანაგებს მოლოტოვს, ხრუშჩოვს, ბულგანინს, კაგანოვიჩს, პოსპელოვს.

5. იაპონელ-გერმანელ-ტროცკისტული აგენტების მავნებლობის, დი-

ვერსიებისა და ჯაშუშობის გაკვეთილები.

დამტკიცდეს საკ. კპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს მიერ ძირითადად მოწონებული საკ. კპ (ბ) ცკ-ის პლენუმის რეზოლუციის პროექტი: „შინსახკომში იაპონელ-გერმანელ-ტროცკისტული აგენტების მავნებლობის, დივერსიებისა და ჯაშუშობის გაკვეთილები“

ამხ. ეჟოვის მოხსენების შესახებ 1937 წლის 3 მარტს საკ. კპ (ბ) ცკ-ის მიღებულმა რეზოლუციამ დაიგვიანა სულ ცოტა 4 წლით. შესაძლებელი გახდა შედარებით დაუსჯელად გაეშალათ მავნებლური, დივერსიული, ჯაშუშური და ტერორისტული საქმიანობა შინსახკომის სუსტი მუშაობის წყალობით.

საკ. კპ (ბ) ცკ-ის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად კონტრრევოლუციის წინააღმდეგ უფრო ორგანიზებული და მწვავე ბრძოლის შესახებ (საკ. კპ (ბ) ცკ-ის და სსრკ სახკომსაბჭოს 1933 წლის 8 მაისის ინსტრუქცია, საკ. კპ (ბ) ცკ-ის დახურული წერილი ამხ. კიროვის მკვლელობასთან დაკავშირებული მოვლენების გაკვეთილების შესახებ და სხვა), შინსახკომმა არ შეასრულა ეს მითითებები და ვერ შეძლო დროზე ემხილებინა ანტისაბჭოთა ტროცკისტული ბანდა.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ძირითადი ნაკლოვანებანი:

ა) სათანადო სიმაღლეზე არ დგას აგენტურული მუშაობა. აგენტურის გადმობირება ხდებოდა შემთხვევით და თვითდინებით. როგორც წესი, ყურადღება არ ექცეოდა ძირითად და გადამწყვეტ უბნებს, სადაც კარგად გამართული აგენტურული ქსელი უნდა ყოფილიყო.

განსაკუთრებით სუსტი იყო აგენტურა ტროცკისტებს, ზინოვიეველებსა და მემარჯვენეებს შორის, მათი უმეტესი თავშეყრის ადგილებშიც კი.

აგენტურა არ იყო თითქმის არცერთ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში, არც ტროცკისტულში. შინსახკომის ოპერატიული ხელმძღვანელი მუშაკები, როგორც წესი, აგენტურასთან პირადად არ მუშაობდნენ. აგენტებთან შეხვედრებით და მათგან მასალების მიღებით დაკავებულები იყვნენ ნაკლებად კვალიფიციური რიგითი თანამშრომლები.

აგენტურის ასეთი ცუდი ხელმძღვანელობის შედეგად მის რიგებში ბევრი მოღალატე აღმოჩნდა.

მხოლოდ მოსკოვში გამოვლენილია 65 მოღალატე აგენტი, რომლებიც სისტემატურად ახდენდნენ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების დეზინფორმირებას, ხლართავდნენ საქმეს, აქტიურად ხელს უწყო-

ბდნენ ტროცკისტების დაუსჯელ საქმიანობას;

ბ) კვალიფიციური აგენტურის არყოლამ, არსებული აგენტურის უუნარო ხელმძღვანელობამ განაპირობა საგამოძიებო საქმიანობის ცუდი მომზადება. გამოძიება, რომელსაც არ ჰქონდა საკმარისი საქმიანი მასალები აგენტურიდან, ხშირად დამოკიდებული ხდებოდა დამნაშავის კეთილ ნებაზე, მისცემდა თუ არა ამომწურავ ჩვენებას, ე.ი. მთელი გამოძიება აგებული იყო ბრალდებულის ნებაყოფლობით აღიარებაზე. ამიტომ დამნაშავე ელემენტები ახერხებდნენ გამოძიებისთვის დაემალათ თავიანთი ანტისაბჭოთა საქმიანობის ყველაზე შავბნელი მხარეები;

გ) მთელ თავის პრაქტიკაში სსრკ შინსახკომი ახორციელებს დამსჯელ პოლიტიკას, განსაკუთრებით, ტროცკისტებისა და საბჭოთა ხალხის სხვა მტრების მიმართ.

1935-1936 წლებში ჩატარებული დაპატიმრებების ანალიზმა გვაჩვენა, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მთავარი დარტყმა მიმართული იყო არა ორგანიზებული კონტრრევოლუციური ფორმირებების წინააღმდეგ, არამედ, უპირატესად, ანტისაბჭოთა აგიტაციის ცალკეული ფაქტების, თანამდებობრივი დანაშაულის, ხულიგნობის, ყოფითი დანაშაულისა და ა.შ. წინააღმდეგ. 1933-1936 წლებში რეპრესირებულთა საერთო რაოდენობის 80 პროცენტი მოდის სხვადასხვა სახის წვრილმან დანაშაულზე, რომლებიც, არსებითად, მილიციის საქმიანობის ობიექტებია და არა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების;

დ) კიდევ უფრო მოუთმენელია სსრკ შინსახკომის მიერ დაწესებული ციხის რეჟიმი საბჭოთა ხელისუფლების ბოროტი მტრების — ტროცკისტების, ზინოვიეველების, მემარჯვენე ესერებისა და სხვათა მიმართ.

პოლიტპატიმრები იმყოფებოდნენ საპატიმრო ადგილებში, რომლებიც იძულებით დასასვენებელ სახლებს უფრო ჰგავდა, ჰქონდათ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები (ლიტერატურის, ქაღალდის და წერითი საშუალებების განუსაზღვრელი რაოდენობით ხმარება, განუსაზღვრელი რაოდენობით წერილებისა და დეპეშების მიღების უფლება, საკნებში საკუთარი ინვენტარის განლაგება და სახაზინო კვებასთან ერთად განუსაზღველი რაოდენობისა და ასორტიმენტის ამანათების მიღება).

კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის მსჯავრდებულებს საშუალება ეძლეოდათ, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონოდათ ერთმანეთთან, განეხილათ ქვეყნის პოლიტიკური მოვლენები, შეემუშავებინათ თავიანთი ორგანიზაციების ანტისაბჭოთა მუშაობის გეგმები, კავშირი დაემყარებინათ გარეთ დარჩენილებთან;

ე) სახელმწიფო უშიშროების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებაა ჩეკისტური კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და აღზრდის პრაქტიკა. აწინაურებდნენ პირმოთნეებსა და მლიქვნელებს. შედეგად, ცალკეულ რგოლებში შეაღწიეს უცხო და დანაშაულებრივმა ელემენტებმა. გამოაშკარავებულია რიგი შემთხვევებისა, როცა ჯაშუშებმაც შეძლეს შეღწევა (პოლონელები — სოსნოვსკი, მეზანუსი, პოლონურ-გერმანული — ილინიჩი და სხვ.). ზოგიერთი მათგანი სისტემატურად აცნობებდა მემარჯვენე ტროცკისტული ორგანიზაციების წევრებს მათი ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ შინსახკომში არსებული მასალების შესახებ (ტაგანროგის შინსახკომის საქალაქო განყოფილების უფროსი ბაგანოკი, ნოვოჩერკასკის შინსახკომის საქალაქო განყოფილების უფროსი შაპოვალოვი, უკრაინის შინსახკომის სპო-ს ყოფილი უფროსი კოზელსკი და სხვ.). სუსტადაა დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ჩეკისტურ კადრებს შორის. ზოგიერთი ჩეკისტი მოწყდა პარტიულ ცხოვრებას და ჩაიკეტა მხოლოდ საკუთარ უწყებრივ ინტერესთა წრეში. ცუდად მუშაობდა სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსი მოლჩანოვი. მისი საქმიანობა ხასიათდება როგორც დანაშაულებრივი. უკვე 1932-33 წლებში მას ხელთ ჰქონდა ყველა ძაფი, რათა სრულად ემხილებინა ტროცკისტების საზარელი შეთქმულება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ტროცკისტულ საქმიანობას, 1933 წლიდან მოყოლებული, უშუალოდ ხელს აფარებდა აგენტი „3“ (შინსახკომის მოსკოვის ოლქის სამმართველო). აცნობებდა ანტისაბჭოთა ცენტრის მუშაობის შესახებ, რომელშიც შედიოდნენ: დრეცუერი, მურალოვი, პიატაკოვი, რადეკი და სხვ. ბრალი დაედო „პროვოკაციაში“ და განსაკუთრებული სათათბიროს მიერ მიესაჯა 5 წლით გადასახლება, მისი პატაკებით დაპატიმრებული აქტიური ტროცკისტი-აგენტები ხრუსტალიოვი და ზიბერმანი გათავისუფლდნენ.

ტროცკის დახვრეტილი ემისარი — ტერორისტი ვ. ოლბერგი 3 წლის

განმავლობაში დაუსჯელად აყალიბებდა ტერორისტულ ჯგუფებს, რომლებიც პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მოკვლას ცდილობდნენ.

მოლჩანოვი დაკავშირებული იყო ტროცკისტ ფურერთან, რომელსაც სისტემატურად უყვებოდა მის ხელთ არსებულ ტროცკისტთა ანტისაბჭოთა საქმიანობის მონაცემების შესახებ, ის კი ლივშიცს გადასცემდა. ასეთია იმის ძირითადი მიზეზი, რომ შინსახკომმა ვერ შეძლო, დროზე ემხილებინა გერმანულ-იაპონური დაზვერვის აგენტების — ტროცკისტების საზარელი ანტისაბჭოთა შეთქმულება.

საკ. კპ (ბ) ცკ-ის პლენუმი ადგენს... წინადადება მიეცეს შინსახკომს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ შექმნას სანდო აგენტურა, რომელიც გულდასმით იქნება შერჩეული და განაწილებული იმ უბნებზე, სადაც თავს იჩენს საბჭოთა ხელისუფლების მტრების ყველაზე მეტად აქტიური მოღვაწეობა.

დედანთან სწორია: ***ს. ნიკოლაევი***

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის
წყარო „ზორკი“
მიიღო ზორინმა

აგენტურული პაპაკი

1917 წელს ამერიკის სპეცსამსახურმა ბუხარინი რუსეთში გამოგზავნა ლენინურ ბოლშევიკურ პარტიაში ჩასანერგად. იაპონიაში გავლით ყოფნისას იგი გადაიბირა იაპონიის დაზვერვამ. იაპონიაში ყოფნის დროს მთვრალი ბუხარინი შევიდა ბორდელში, სადაც მოუწყვეს პროვოკაცია — იჩხუბა, ამასთან ერთად მას ბრალი დასდეს არასრულწლოვანის გაუპატიურებაში, რისთვისაც იაპონიის კანონებით მას სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. ეს „ბრალდება“ თითქოს საფუძვლად დაედო მის გადაბირებას.

ა. ლავროვი

ცნობა

აღნიშნული პატაკი მიღებულია საკ. კპ (ბ) აპრილის (1929 წ.) პლენუმის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე. გულდასმით მოწმდება.

ს. ნიკოლაევი

საეცშეტყობინება

1928 წ. 11 ივლისს ბუხარინი შეხვდა კამენევს და თავისი გიმნაზიელი ამხანაგის სოკოლნიკოვის თანდასწრებით, რომელიც ეჭვმიტანილია ინგლისის დაზვერვასთან კავშირში, შეეცადა განეხილა საკ. კპ (ბ) ცკ-ის წინაალმდეგ ბრძოლის ფორმები და მეთოდები. ბუხარინთან საუბრის შემდეგ კამენევმა ჩაიწერა საუბრის ძირითადი შინაარსი. კამენევის ეს ჩანაწერი აღმოჩნდა ტროცკისთან და გარკვეული დროის შემდეგ შეიტყო ჩვენმა კონტრდაზვერვამ. აი, საუბრის კამენევისეული ჩანაწერი.

სოკოლნიკოვი: ბუხარინი საბოლოოდ განუდგა სტალინს და ტრაგიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

ბუხარინი: სტალინი არის ჩინგიზ-ყაენი და უპრინციპო ინტრიგანი, რომელიც ყველაფერს ძალაუფლების შენარჩუნებას უქვემდებარებს.

სტალინმა იცის ერთი საშუალება — შურისძიება, და, ამავე დროს, დანას ჩაგცემს ზურგში. მერწმუნეთ, მალე სტალინი ჩვენ ასო-ასო აგვქნის.

რაც შეეხება სტალინის პოლიტიკურ ხაზს, იგი დამღუპველია რევოლუციისათვის და სამოქალაქო ომისკენ მივყავართ. მასთან ერთად დავიღუპებით.

სოკოლნიკოვი: ტომსკიმ, რომელიც ერთხელ სტალინის გვერდით მაგიდასთან იჯდა, მას უთხრა: „ჩვენი მუშები მალე სროლას დაგიწყებენ“

ბუხარინი: სტალინისა და გონებაჩლუნგი მოლოტოვის დროს, რომელიც მარქსიზმს მასწავლის და რომელსაც ჩვენ „ქვის უკანალს“ ვეძახით, არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

კამენევი: რა ძალა გყავთ?

ბუხარინი: ჩვენი პოტენციური ძალა უზარმაზარია. რიკოვი, ტომსკი, უგლანოვი — აბსოლუტურად ჩვენი მომხრეები არიან. მე ვცდილობ, სტალინს ჩამოვაშორო პოლიტბიუროს სხვა წევრები, მაგრამ ჯერ ცუდად გამომდის. ორჯონიკიძე რაინდი არ არის. მოდიოდა ჩემთან და აგინებდა სტალინს, გადამწყვეტ მომენტში კი გვიღალატა. ვოროშილოვმაც და კალინინმაც უკანასკნელ მომენტში გვიღალატეს. მე ვფიქრობ, რომ სტალინს რაღაც განსაკუთრებული ჯაჭვებით ჰყავს ისინი დაბმული. საკ. კპ (ბ) ორგბიურო ჩვენია. აგრეთვე ОГПУ-ს ხელმძღვა-

ნელები იაგოდა და ტრილისერიც, ანდრეევიც ჩვენ გვიჭერს მხარს.

ჩემი მთავარი პოლიტიკური ამოცანა ის არის, რომ თანმიმდევრულად განვუმარტო ცკ-ის წევრებს სტალინის დამღუპველი როლი და საშუალო ცეკისტი მისი მოხსნის აუცილებლობამდე მივიყვანო.

კამენევი: მაგრამ ჯერ მან თქვენ გადაგაყენათ.

ბუხარინი: ჩვენ რისი გაკეთება შეგვიძლია? სტალინის მოხსნას ცკ ახლა მხარს არ დაუჭერს. მაგრამ საამისოდ მზადება მიმდინარეობს. ჟღეგმავ, „პრავდაში" გამოვაქვეყნო სტატიები სტალინის კრიტიკით, ასევე, — რიკოვის მოხსენება, რომელშიც ყველაფერს ვიტყვით.

მოულოდნელად ბუხარინი ისტერიკაში ჩავარდა და კამენევის გასაკვირად იყვირა:

— თუ ქვეყანა იღუპება, ჩვენც ვიღუპებით, თუ ქვეყანა გამოძვრება — სტალინი დროზე გაუხვევს და ჩვენ მაინც ვიღუპებით. რა უნდა ვქნათ?

კამენევმა არ უპასუხა. გარეგნულად რომ დამშვიდდა, ბუხარინმა თქვა:

— სტალინი ავრცელებს ხმებს, რომ თქვენ და ზინოვიევი ჯიბეში ჰყავხართ ჩასმული. იგი შეეცდება „მოგისყიდოთ" უმაღლესი დანიშვნებით, ან დაგნიშნავთ ისეთ ადგილებზე, რომ შეგიტყუოთ, — და უცებ ბუხარინმა უიმედოდ განაცხადა, — ჩვენ, ალბათ, არაფერი ვიცით.

და იქვე სთხოვა კამენევს:

— მე გთხოვთ, რომ თქვენ ზინოვიევთან ერთად სტალინის მხარდაჭერით არ დაეხმაროთ მას ჩვენს დახრჩობაში. გთხოვთ, უთხრათ თქვენებს, რომ თავს არ დაგვესხან.

ბუხარინთან საუბრის ჩანაწერის ბოლოს კამენევმა აღნიშნა: „ბუხარინი უაღრესად თავზარდაცემული და უკიდურესად გაწამებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი განწირულობა"

ს. ნიკოლაევი

ცნობა

ბუხარინისა და რიკოვის საქმის შემსწავლელი კლენუმის კომისიის სხდომის ოქმიდან. 1937 წლის 27 თებერვალი

კომისიის 20 წევრიდან სასამართლოსთვის გადაცემის და უმაღლესი სასჯელის — დახვრეტის წინადადებას ხმა მისცეს: ეჟოვმა, ბუდიო-

ნიმ, მანუილსკიმ, შვერნიკმა და კოსარევმა. უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ამხ. სტალინის წინადადებას. „გაირიცხონ საკ. კპ (ბ) ცკ-ის შემადგენლობიდან ბრალდების გულდასმით შემოწმებამდე. სასამართლოს არ გადაეცეს“ მიქოიანის ხელით მიწერილია: ბუხარინისა და რიკოვის საქმე კი გაიგზავნოს სსრკ შინსახკომში.

ა. ჯუღა

ცნობა

ბუხარინის განცხადება კამენევისა და ზინოვიევის, მტრულ საქმიანობაში ბუხარინის თანამზრახველთა დახვრეტის გამო: „მხოლოდ სულელს (ან მოღალატეს) არ ესმის მნიშვნელობა ძლევამოსილი მიჯნების: ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულაკობის ლიკვიდაცია, ორი დიადი ხუთწლედი, ზრუნვა ადამიანზე, ტექნიკის დაუფლება და სტახანოვური მოძრაობა, შეძლებული ცხოვრება, ახალი კონსტიტუცია.

მხოლოდ სულელს (ან მოღალატეს) არ ესმის, რა ლომისებური ნახტომები გააკეთა ქვეყანამ, რომელსაც შთააგონებდა და წარმართავდა სტალინის რკინის ხელი...

არამზადები *(კამენევი, ზინოვიევი, რეინგოლდი და სხვ. — შემდგენ.)* რომ დახვრიტეს, შესანიშნავია. ჰაერი უცებ გაიწმინდა.

პროცესს უზარმაზარი საერთაშორისო მნიშვნელობა ექნება“

ს. ნიკოლაევი

ცნობა

ბუხარინი ნიკოლაი ივანოვიჩი, დაბადებული 1888 წელს, რუსი, დაიბადა მოსკოვში გიმნაზიის მასწავლებლის ოჯახში, მოსკოვის უნივერსიტეტის სწავლადაუმთავრებელი სტუდენტი. თითქოს 1906 წელს შევიდა ბოლშევიკების პარტიაში და უკვე 1908 წელს პარტიის მოსკოვის კომიტეტის წევრი იყო.

რამდენჯერმე დააპატიმრა მეფის პოლიციამ, მაგრამ დაპატიმრების შემდეგ ყოველთვის ათავისუფლებდნენ.

1910 წლის ბოლოს გადაასახლეს ონეგაში, საიდანაც საზღვარგარეთ გაიქცა. საზღვარგარეთ ყოფნისას, 1914 წელს დააპატიმრა ავსტრიის პოლიციამ რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით. გაათავისუფლეს არასაკმარის მტკიცებულებათა გამო და გაასახლეს შვეიცარიაში. 1915 წლის ივლისში იმყოფებოდა შვედეთში, სადაც

დააპატიმრეს და გაასახლეს ქვეყნიდან. ერთი პერიოდი ცხოვრობდა ნორვეგიასა და დანიაში.

1916 წლის ოქტომბერში არალეგალურად ჩავიდა ამერიკაში, სადაც ლიტერატურულ თანამშრომლად დაიწყო მუშაობა რუსულენოვან ყოველდღიურ გაზეთში „ნოვი მირ“. აქ ბუხარინი შეხვდა ტროცკის, რომელიც თავის უახლოეს გარემოცვაში მას ფრიად არასახარბიელოდ მოიხსენიებდა. ტროცკი ბუხარინზე ამბობდა: „ამ ადამიანის თვისება ისეთია, რომ იგი ყოველთვის ვინმეს უნდა ეყრდნობოდეს, ვინმესთან იყოს, მიეტმასნოს ვინმეს. თავისდა შეუმჩნევლად ექცევა სრულიად საწინააღმდეგო გავლენის ქვეშ და იწყებს თავისი კერპის ლანძღვას ისეთივე თავდადებული აღფრთოვანებით, როგორითაც ეს-ესაა განადიდებდა მას. მე არასოდეს აღმიქვამს იგი ძალიან სერიოზულად“

განსაკუთრებით ეშინოდა ბუხარინს, რომ რამენაირად არ გამჟღავნებულიყო მისი მონაწილეობა 1918 წლის ანტისაბჭოთა შეთქმულებაში ვლადიმერ ილიჩ ლენინის მკვლელობის მიზნით.

როცა 1938 წლის მარტში სასამართლოზე ბუხარინის კონტრრევოლუციური მოღვაწეობის ეს ეპიზოდი ამოტივტივდა, იგი ისტერიკულად აყვირდა: „მე ლენინის მოკვლა კი არ მინდოდა, არამედ ლენინის საქმის!“

სსრკ შინსახკომის შიდა ციხეში ყოფნისას, სიკვდილმისჯილმა ბუხარინმა 1938 წლის 13 მარტს შეწყალების თხოვნით მიმართა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ბუხარინი წერდა:

„სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ვთხოვ შემიწყალოს. სასამართლოს განაჩენი მიმაჩნია სამართლიან საზღაურად ჩემს მიერ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულობათა გამო სოციალისტური სამშობლოს, მისი ხალხის, პარტიის, მთავრობის წინააღმდეგ. ჩემს გულში არა მაქვს პროტესტის არცერთი სიტყვა. ჩემი დანაშაულის გამო მე ათჯერ უნდა დავეხვრიტეთ. პროლეტარულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც დავიმსახურე ჩემი დანაშაულებრივი საქმიანობით, და მზადა ვარ მივიღო სასჯელი და მოვკვდე სამართლიანი აღშფოთებით, ზიზღითა და სიძულვილით გარემოსილი დიადი და გმირული საბჭოთა ხალხისა, რომელსაც ასე მუხანათურად ვუღალატე... მინდა დავარწმუნო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, წელიწადზე მეტ ხანს ციხეში ყოფნის დროს იმდენი ვიფიქრე და გადავაფასე,

რომ ჩემი დანაშაულებრივი წარსულიდან, რომლის მიმართ მე თვითონ აღშფოთებითა და ზიზღით ვარ განწყობილი, ჩემს თავში ახლა აღარაფერი დარჩა... ვთხოვ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეწყალებასა და დანდობას. მე შინაგანად განვიარაღდი და გადავიარაღდი ახალ სოციალისტურ წყობაზე.

ვიფიქრე ყველა საკითხზე, ჩემი თეორიული შეცდომებით დაწყებული, რომლებიც პირადად ჩემთვის საფუძვლად ედო ჯერ გადახრებს, შემდეგ კი სულ უფრო საშიშ დანაშაულს... ჩვენმა ძლიერმა ქვეყანამ, ძლიერმა პარტიამ და მთავრობამ ჩაატარეს გენერალური წმენდა. კონტრრევოლუცია გასრესილი და უვნებელყოფილია. სოციალისტური სამშობლო გმირული მარშით გამოდის მსოფლიო ისტორიაში უდიდესი ძლევამოსილი ბრძოლის ასპარეზზე. ქვეყნის შიგნით სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ვითარდება ფართო სოციალისტური დემოკრატია. დიადი შემოქმედებითი და ნაყოფიერი ცხოვრება ყვავის.

მოხარული ვარ, რომ პროლეტარიატის ხელისუფლებამ გაანადგურა ყველაფერი დანაშაულებრივი, რომელიც ჩემში ლიდერს ხედავდა და რისი ლიდერიც მე ნამდვილად ვიყავი.

მტკიცედ ვარ დარწმუნებული: გავა წლები, სტალინის ხელმძღვანელობით გადაილახება დიადი ისტორიული მიჯნები და თქვენ არ დაიჩივლებთ მოწყალებისა და პატიების იმ აქტის გამო, რომელსაც გთხოვთ. მთელი ჩემი ძალებით შევეცდები დაგიმტკიცოთ, რომ პროლეტარული სულგრძელობის ეს ჟესტი გამართლებული იყო.

ნიკოლაი ბუხარინი
მოსკოვი, 1938 წლის 13 მარტი
შინსახკომის შიდა ციხე“

იმავე დღეს ბუხარინმა კიდევ ერთხელ მიმართა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს თხოვნით შეწყალების შესახებ, რომელშიც წერდა:

„ვთხოვ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეწყალებას. მე დიდად დამნაშავე ვერ სოციალისტური სამშობლოს წინაშე და ჩემი დანაშაული უსაზღვროა...

დაჩოქილი ვდგავარ სამშობლოს, პარტიის, ხალხისა და მისი მთავრობის წინაშე და პრეზიდიუმს ვთხოვ შეწყალებას.

ნიკოლაი ბუხარინი
1938 წლის 13 მარტი. მოსკოვი“.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბუხარინს შეწყალებაზე უარი უთხრა.

ამონაწერი სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის 14 მარტის სხდომის №2 ოქმიდან:

„ნიკოლაი ივანოვიჩ ბუხარინის შუამდგომლობა შეწყალების შესახებ.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ 1938 წლის 13 მარტს ანტისაბჭოთა „მემარჯვენე ტროცკისტული“ ბლოკის საქმეზე სასჯელის უმაღლეს ზომამისჯილ ნიკოლაი ივანოვიჩ ბუხარინს შუამდგომლობაზე უარი ეთქვას.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი“.

დედანთან სწორია: ***ს. ნიკოლაევი***

ცნობა

„სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ა.წ. 13 მარტს უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მომისაჯა დახვრეტა. გთხოვთ შეწყალებას. ჩემი ბრალი პარტიისა და სამშობლოს წინაშე უდიდესია, მაგრამ მე მაქვს მხურვალე სურვილი და, ვფიქრობ, ძალაც, თუნდაც მცირედით გამოვისყიდო იგი. გთხოვთ მენდოთ, რომ მე საბოლოოდ გაფუჭებული ადამიანი არა ვარ. ჩემს ცხოვრებაში იყო ნათელი წლები რევოლუციისათვის პატიოსანი მუშაობის. და მე ახლა შევძლებ დავამტკიცო, რომ ჩემს მიერ ჩადენილ დანაშაულობათა შემდეგაც კი შეიძლება გახდე პატიოსანი ადამიანი და პატიოსნად მოკვდე. გთხოვთ, მაჩუქოთ სიცოცხლე“

ა.ი. რიკოვი
1938 წლის 13 მარტი

ცნობა

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რიკოვს შეწყალებაზე უარი უთხრა.

ცნობა

ცკ პლენუმზე ბუხარინისა და რიკოვის წინააღმდეგ მკვეთრი პოლიტიკური ბრალდებებით გამოვიდა მიქოიანი. ძალიან ჰგავს იმას, რომ

მან შესაბამისი დავალება მიიღო ინგლისის დაზვერვისგან. რადგან ბუხარინი და რიკოვი ტირაჟიდან გავიდნენ და ინგლისელებისთვის საინტერესონი აღარ არიან, მათ სჭირდებათ, რადაც უნდა დაუჯდეთ, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობაში შეინარჩუნონ თავიანთი აგენტი ა. მიქოიანი.

ა. ჯულა

ცნობა

დაპატიმრებული უცხოელი ჯაშუშების ასეთი გულახდილი აღიარება შემთხვევითი არ იყო. საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ვ.ი. ლენინი ამბობდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება ერთი პერიოდი უხერხემლო იყო. სასამართლო ორგანოები საბჭოთა ხალხის უბოროტეს მტრებს მათი დაპატიმრების შემდეგ „მონანიებისა“ და დაპირების შემთხვევაში, რომ არ იბრძოლებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, დახვრეტის ნაცვლად „საზოგადოებრივ საყვედურს“ უცხადებდნენ და ათავისუფლებდნენ. ტროცკისტულ-ზინოვიევურ, ბუხარინულ-რიკოვულ ბანდიტებს ეგონათ, რომ თუ ისინი გულწრფელად მოჰყვებოდნენ თავიანთი მტრული საქმიანობის შესახებ, მათ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ.

ა. ჯულა

ნაწილი 2
სამხედროთა შეთქმულება

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1924 წლიდან სახელმწიფო უშიშროების ორგანოები აწარმოებენ დამუშავებას „გენშტაბელები“, რომელიც 3 500 ადამიანს ეხება. დამუშავების მთავარი ფიგურანტები არიან იაკირი და კორკი. დასახელებულ 3 500 პირს შორის არიან ბუდიონი და შაპოშნიკოვი.

ს. ნიკოლაევი

სტალინის რეზოლუცია: *„ამხანაგო ნიკოლაევ! გაითვალისწინეთ, რომ პროვოკაციები უცხოური დაზვერვების ჩვეული მეთოდია პატიოსანი საბჭოთა მუშაკებისთვის სახელის გატეხის საქმეში. ამხ. ბუდიონისა და შაპოშნიკოვის მიმართ აშკარა პროვოკაციაა. დააკვირდით „გენშტაბისტების“ აგენტურულ დამუშავებას, გულმოდგინედ შეამოწმეთ მასში მოცემული ცნობები“.*

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის
წყარო „სოკრატი“
მიიღო ზორინმა 1936 წლის 26 დეკემბერს

აგენტურული პაპაკი

„პირველი მსოფლიო ომის წლებში გერმანელთა ტყვედ ყოფნისას ანგოლშტადტის ციხეში ტუხაჩევსკიმ ოთხჯერ სცადა ტყვეობიდან გაქცევა. მეოთხე გაქცევის დროს მოკლეს გერმანელი გუშაგი. გაქცევის მონაწილეებს, რომლებიც დააკავეს, სასიკვდილო განაჩენი — ჩამოხრჩობა ემუქრებოდათ. საკუთარი სიცოცხლე რომ გადაერჩინა, ტუხაჩევსკი გერმანელ დაზვერვასთან თანამშრომლობას დათანხმდა. ინსცენირებულ იქნა მეხუთე გაქცევა და ტუხაჩევსკი რუსეთში აღმოჩნდა.

გერმანული დაზვერვისგან ტუხაჩევსკიმ მიიღო დავალება, ბოლშევიკების გამარჯვების შემთხვევაში შესულიყო ლენინურ პარტიაში და როგორც სამხედრო სპეციალისტს დაეკავებინა რომელიმე სამეთაურო თანამდებობა და მთელი ძალით ეცადა სასამსახურო კიბეზე აღმასვლა.

წმინდა სადაზვერვო საქმიანობის გარდა მას უნდა ჩამოეყალიბებინა ამა თუ იმ მიზეზით უკმაყოფილო სამხედროების ჯგუფი და მოემ-

ზადებინა კონტრრევოლუციური გადატრიალება.

სამოქალაქო ომის დროს ტუხაჩევსკის კავშირი გერმანულ დაზვერვასთან გარკვეული დროით გაწყდა და აღდგა 1925 წელს გერმანიაში მანევრებზე მისი ყოფნისას.

ტუხაჩევსკის კავშირი გერმანიის სპეცსამსახურებთან აღადგინა გერმანული დაზვერვის თანამშრომელმა ქალმა, რომელიც მუშაობდა ფსევდონომით „ჯოზეფინა გენზა“. იგი თავის დროზე მონაწილეობდა გერმანული დაზვერვის მიერ ენუქიძისა და კარახანის გადაბირებაში. მასთან მეკავშირედ არის რუძუტაკი.

გერმანული დაზვერვის მონაცემებით, არსებობს ფართომასშტაბიანი შეთქმულება საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და სსრკ-ში კაპიტალიზმის რესტავრაციის მიზნით, კაპიტალისტური დასავლეთისთვის სანედლეულო დანამატად მისი გადაქცევისათვის. ამ შეთქმულების პოლიტიკური ხელმძღვანელები არიან ტროცკი, ბუხარინი, რიკოვი, რუძუტაკი, იაგოდა, ენუქიძე. სამხედრო შეთქმულების სათავეში დგანან ტუხაჩევსკი, იაკირი, უბორევიჩი, კორკი, ეიდემანი და გამარნიკი. წარსულში ყველანი — ტროცკის დანიშნულები. ტუხაჩევსკიმ გერმანულ დაზვერვას გადასცა სსრკ ოპერატიული გეგმის ასლი. სსრკ-ის მნიშვნელოვან სამხედრო საიდუმლოებათა შესახებ ინფორმაციას სისტემატურად აცნობებს იაკირიც“

ცნობა: მოხსენდა ამხ. ივანოვს.

პატაკში მითითებული ყველა პირი შინსახკომის მიერ აქტიურ დამუშავებაშია.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

(საარქივო მასალების მიმოხილვა)

ტუხაჩევსკი მიხაილ ნიკოლაევიჩი, დაბადებული 1893 წელს, დაიბადა სმოლენსკის ოლქის საფონოვის რაიონის სოფელ სლედნევოში მემამულის ოჯახში. 1912 წელს დაამთავრა კადეტთა I კორპუსი, 1914 წლის ივლისში კი მოსკოვის ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პოდპორუჩიკობა მიიღო და სემიონოვის გვარდიული პოლკის მე-7 ასეულის უმცროს ოფიცრად იქნა გამწესებული.

1915 წლის 19 თებერვალს გერმანელებმა დაატყვევეს, სადაც ორ

წელიწადზე მეტს იმყოფებოდა და გადაბირებულ იქნა გერმანული დაზვერვის მიერ.

1917 წლის 12 ოქტომბერს საფრანგეთისა და ინგლისის გავლით ტუხაჩევსკი რუსეთში ჩამოვიდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, 1918 წლის 5 აპრილს ცაკ-ის რსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრის ნ.ნ. კულიაბკოს რეკომენდაციით მიიღეს ბოლშევიკურ პარტიაში.

მუშაობდა ცაკ-ის სამხედრო განყოფილების წარმომადგენლად, რომლის უფროსი იყო აბელ ენუქიძე. უშუალოდ ურთიერთობდა ცაკ-ის თავმჯდომარე ი.მ. სვერდლოვთან.

1918 წლის 27 მაისს ტუხაჩევსკი დაინიშნა მოსკოვის თავდაცვის რაიონის სამხედრო კომისრად.

1918 წლის 19 ივლისს თეთრჩეხების აჯანყებასთან დაკავშირებით ტუხაჩევსკი აღმოსავლეთის ფრონტზე გაგზავნეს. ნ.ნ. კულიაბკოს პროტექციით, გამგზავრების წინ ტუხაჩევსკი სასაუბროდ შეხვდა ვლადიმერ ილიჩ ლენინს. მანდატში, რომელიც ტუხაჩევსკიმ მიიღო, ეწერა: „ამის წარმომდგენი მოსკოვის რაიონის სამხედრო კომისარი მიხაილ ნიკოლაევიჩ ტუხაჩევსკი მივლინებულია აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდლის მურავიოვის განკარგულებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის სამუშაოთა შესასრულებლად წითელი არმიის უმაღლეს სამხედრო გაერთიანებად ორგანიზებისა და ფორმირებისათვის და მათი სარდლობისათვის“

ყოფილი პოდპორუჩიკი ტუხაჩევსკი დაინიშნა აღმოსავლეთ ფრონტის I არმიის სარდლად, რომელიც პენზა-სიზრანი-სიმბირსკი-სამარის რაიონში მოქმედებდა. ამ არმიის სამხედრო საბჭოს წევრი იყო კუიბიშევი, ვისაც ტუხაჩევსკი დაუმეგობრდა. მალე მან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მ.ვ. ფრუნზესთან. სამოქალაქო ომის დროს ტუხაჩევსკი დაუმეგობრდა გ.კ. ორჯონიკიძეს, ს.მ. კიროვს, უნშლიხტს და ანტონოვ-ოვსეენკოს.

1918 წლის ივლისში თეთრჩეხებმა და თეთრგვარდიელებმა ხელთ იგდეს უფა და სიმბირსკი, აგვისტოს დასაწყისში — ყაზანი. საბჭოთა რესპუბლიკისთვის უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. მაგრამ ამ დაძაბულ მომენტში ტუხაჩევსკის სარდლობის ქვეშ მყოფი პირველი არმია (სამხედრო საბჭოს წევრი ვ. კუიბიშევი) პასიურად იქცეოდა. საჭირო გახდა ლენინის პირადი ჩარევა, რომ ბრძოლაში ჩაბმულიყო.

აი, რა იყო ნათქვამი ამის გამო მთავარსარდლის დეპეშაში ფრონ-

ტის სარდლისათვის: „სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ლენინმა მიბრძანა, გაცნობოთ, პირველი არმია რატომ ცხოვრობს ვაგონებში და არ გადადის საველე ბრძოლაზე? მიიღეთ ზომები ჯარის მატარებლებიდან გამოსაყვანად. ჯარებმა ჩამოაყალიბონ აღალები“ მხილების შიშით ტუხაჩევსკი არაჩვეულებრივად გააქტიურდა, რის შედეგადაც პირველმა არმიამ 50 დღეში ბრძოლებით 800 ვერსი გაიარა.

ამან საფუძველი მისცა პირველი არმიის პოლიტკომისარ ვ. კუიბიშევს, განეცხადებინა, რომ ტუხაჩევსკის აქვს დიდი ორგანიზატორული შესაძლებლობა მთელი არმიის მუშაობის საფუძვლიანი გარდაქმნისათვის.

ტუხაჩევსკის „არაჩვეულებრივი“ სარდლობის ნიჭის შესახებ ლეგენდას აზვიადებდა და ავრცელებდა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ტროცკი, რომელიც სისტემატურად აწინაურებდა მას სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობებზე, რასაც ხელი უნდა შეეწყო ტუხაჩევსკის ზრდისათვის და პოპულარობისათვის.

დაჭრილ ვლადიმერ ილიჩზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისი მშობლიური სიმბირსკის აღებამ ჯარების მიერ, რომელთაც ტუხაჩევსკი სარდლობდა.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

იმის შესახებ, თუ რომელ ჩაშალა ვარშავაზე შეტევა ტუხაჩევსკიმ 1920 წელს

1920 წლის 25 აპრილს პოლონეთი თავს დაესხა საბჭოთა რუსეთს.

1920 წლის 28 აპრილს ტროცკის წინადადებით ტუხაჩევსკი დაინიშნა დასავლეთის ფრონტის სარდლად.

1920 წლის 14 მაისს ტუხაჩევსკიმ, ისე, რომ არ დალოდებია ფრონტზე მომავალი დამხმარე ძალის თავმოყრას და იმ მოტივით, რომ აუცილებელი იყო თეთრპოლონელებისთვის, რომლებიც შეტევისთვის ემზადებოდნენ, წინმსწრები დარტყმის მიყენება, განახორციელა პირველი შეტევითი ოპერაცია.

ორი კვირის განმავლობაში დასავლეთის ფრონტის ჯარებმა 100-130 კილომეტრით წაიწიეს. მაგრამ ამ წარმატების შენარჩუნებისათვის რეზერვი არ იყო და მალე თეთრპოლონელებმა, რომლებმაც მაშველი ჯარი მიიღეს პოლონეთიდან და უკრაინიდან, მოახერხეს ამ წარ-

მატების ლიკვიდირება. დასავლეთის ფრონტის შეტევა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩაიშალა. წარმატებით ფრთაშესხმული თეთრპოლონელები შეტევაზე გადმოვიდნენ. საბჭოთა ჯარებმა შეიერთეს რეზერვები და თავად გადავიდნენ შეტევაზე. მას შემდეგ, რაც რამდენიმე ძლიერი დარტყმა განახორციელეს, საბჭოთა ჯარები ვარშავის მისადგომებს მიუახლოვდნენ. ტუხაჩევსკიმ და მე-15 არმიის სარდალმა კორკმა აქაც ჩაშალეს ვარშავაზე შეტევა. აი, რა იყო ნათქვამი დასავლეთის ფრონტის განსაკუთრებული განყოფილების პატაკში.

დასავლეთის ფრონტის ჯარების სარდლის ტუხაჩევსკის შესახებ

1920 წლის 13 მაისს დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები პოლონელებზე 26 ათასი კაცით მეტი იყო.

მე-15 არმიას სარდლობდა ა.ნ. კორკი. 1920 წლის 16 მაისის დღის ბოლოსთვის მე-15 არმიის ძირითადი ძალები, რომლებიც ჩრდილოდასავლეთის მიმართულებით უტევდნენ, დესნა-ზიაბკის მიჯნაზე გავიდნენ. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ გაეგრძელებინათ წინსვლა ვარშავისაკენ, არმიის სარდალმა კორკმა ბრძოლის მიმდინარეობისას დაიწყო ჯარების რთული გადაჯგუფება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. შედეგად, დაირღვა ჯარების მართვა და შენელდა მათი წინსვლა.

ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარებმა კი ტუხაჩევსკის ბრძანებით დაიწყეს ფრონტის სამი, ერთმანეთს მოწყვეტილი მიმართულებით შეტევა. მოწინააღმდეგემ ისარგებლა საბჭოთა ჯარების შეტევის ტემპის შენელებით და განახორციელა თავისი ნაწილების გეგმაზომიერი უკანდახევა, რეზერვებით გაამაგრა მისთვის საშიში მიმართულებები.

პოლონეთის სარდლობამ გამოიყენა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მე-16 არმია ტუხაჩევსკის ბრძანებით შეტევაზე გადავიდა მხოლოდ 19 მაისს, როცა მე-15 არმიის დარტყმების ძალა მნიშვნელოვნად დასუსტდა, მისი შეტევა კი ჩაიხუთა.

მე-16 არმია მთელი ძალით შეტევაში ფაქტობრივად მხოლოდ 28 მაისს ჩაერთო, მაშინ, როცა მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე მნიშვნელოვნად გაუარესდა და მას აღარ შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა შექმნილ მდგომარეობაზე.

ყველაფერთან ერთად, ფრონტისა და ზურგის დაწესებულებების ხელმძღვანელობასა და არმიას შორის კავშირის არარსებობის გამო, აგრეთვე არასაკმარისი აღალის მიზეზით ტყვია-წამლის რეგულარუ-

ლი მიწოდება ჩაშლილი იყო. დამრტყმელ მიმართულებებზე ტუხაჩევსკიმ გააშორიშორა ძალები. თავის მხრივ არ ზრუნავდა აუცილებელ რეზერვებზე.

ამ ყველაფერმა შესაძლებლობა მისცა პოლონელთა სარდლობას, თავი მოეყარა რეზერვებისთვის და განეხორციელებინა კონტრდარტყმა.

შედეგად, დასავლეთის ფრონტების საბჭოთა არმიები, რომლებსაც ძალიან ცუდად მართავდნენ სარდალი და ფრონტის შტაბი, იძულებული გახდნენ, მტრის უპირატესი ძალების შემოტევის გამო უკან დაეხიათ.

შეტევაზე გადმოსულმა პოლონელთა ჯარებმა 1920 წლის 8 ივნისისათვის დაიკავეს რაიონი დვინა-ზიაბკოს დასავლეთით. პოლონეთის ფრონტი სტაბილური გახდა, შეტევა ვარშავაზე ჩაიშალა.

დასკვნა

ძალების დაქსაქსვამ და არმიებში რეზერვების არქონამ ფრონტის სარდლობას შესაძლებლობა არ მისცა, შეეტია მთავარი მიმართულებით — ვარშავაზე. წითელი არმიის დარტყმის ძალა მის შესაძლებლობაზე სუსტი აღმოჩნდა იმიტომაც, რომ ფრონტის სარდლობამ თავი ვერ გაართვა მე-15 და მე-16 არმიების შეთანხმებული მოქმედების ორგანიზებას. მოწინააღმდეგემ ამით ისარგებლა, თავი მოუყარა რეზერვებს, მიაღწია უპირატესობას მე-15 არმიის დასუსტებულ და დაქსაქსულ ნაწილებზე, თვითონ გადმოვიდა შეტევაზე და 1920 წლის 1-დან 8 ივნისამდე დასავლეთის ფრონტის ნაწილებს უკან დაახევინა მათ საწყის პოზიციებზე.

საბჭოთა ჯარების შეტევამ ამ პერიოდში ვერ მიაღწია დასახულ მიზანს, უფრო ზუსტად, ჩაიშალა. სარდლობამ აშკარად ვერ შეაფასა მოწინააღმდეგის ძალა და შესაძლებლობა. ამით შეიძლება, უწინარეს ყოვლისა, იმის ახსნა, რომ დაკავებული პოზიციები ვერ იქნა შენარჩუნებული და არ განხორციელდა ღონისძიებები მოწინააღმდეგის კონტრდარტყმის მოსაგერიებლად. უარყოფითად იმოქმედა კავშირის ცუდმა ორგანიზაციამ, ამის შედეგად, შეტევის პირველსავე დღეებში დაიკარგა ნაწილების მართვა არმიებისა და ფრონტის მხრიდან.

ს. ნიკოლაევი

ცნობა

ტუხაჩევსკის გამოქვეყნებული აქვს შემდეგი შრომები:

1. რამდენიმე სტატია თემაზე „ბრძოლა კონტრრევოლუციური აჯან-

ყებების წინააღმდეგ“ 1921 წელს.

2. ბროშურა „სტრატეგია ეროვნული და კლასობრივი“. ლექციები, რომლებიც ტუხაჩევსკიმ წაიკითხა საშტაბო და სამწყობრო მეთაურების უმაღლეს კურსებზე.

3. „კლასთა ბრძოლა“ მ., 1921 წელი.

4. „მანევრირება და არტილერია“ მ., 1924 წელი.

იყო სამხედრო აკადემიის უფროსი. 1922-დან 1925 წლამდე სარდლობდა დასავლეთის ოლქის ჯარებს. 1925-დან 1928 წლამდე — მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბის უფროსი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე (1937 წლის 10 მაისს გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან), შემდეგ — ვოლგისპირეთის ოლქის ჯარების სარდალი. სამსახურებრივ კიბეზე ტუხაჩევსკის აწინაურებდა ტროცკი, სანამ მას პოსტიდან მოხსნიდნენ და სსრკ-დან გაასახლებდნენ. ტუხაჩევსკის საყვარელი კუზმინა და დავალებების შემსრულებელი უცხოეთის დაზვერვის აგენტები აღმოჩნდნენ.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

1931 წლიდან ტუხაჩევსკი დამუშავებაში ჰყავდა მის საყვარელს, შინსახკომის აგენტს ზაიონჩკოვსკაიას, რომელთანაც, მისი აგენტურული პატაკებით თუ ვიმსჯელებთ, იგი ფრიად გულახდილი იყო. 1934 წლის 12 დეკემბერს ზაიონჩკოვსკაიამ გვაცნობა, რომ მასთან საუბრის დროს ტუხაჩევსკიმ უთხრა, რომ მზადდება თავდასხმა ამხანაგ სტალინზე. ამხანაგ სტალინს ახლო მანძილიდან ესვრის სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც სამსახურებრივი მდგომარეობა საშუალებას აძლევს, არა მარტო მიუახლოვდეს ამხანაგ სტალინს, არამედ გარკვეული დროის მანძილზე იყოს მის გვერდით.

ს. ნიკოლაევი

ცნობა

გაძლიერდა ამხ. სტალინის დაცვის ღონისძიებები. მიმდინარეობს აქტიური ძებნა ტერორისტის, ვისზეც ტუხაჩევსკი ზაიონჩკოვსკაიას ეუბნებოდა.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1936 წლის 14 აგვისტოს ლენინგრადში დაპატიმრებულია კორპუსის მეთაური პრიმაკოვი, როგორც ტროცკისტულ-ზინოვიევური იატაკქვეშა ორგანიზაციის იატაკქვეშა საბრძოლო ჯგუფის მონაწილე. 1936 წლის 20 აგვისტოს იმავე ბრალდებით დაპატიმრებულია კორპუსის მეთაური პუტნა. 1936 წლის 31 აგვისტოს მან აღიარა ტერორისტულ ჯგუფში თავისი მონაწილეობა და პრიმაკოვის მონაწილეობა ამ ჯგუფში.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მტრული მოღვაწეობისთვის დაპატიმრებულმა კორპუსის მეთაურმა პრიმაკოვმა დაკითხვაზე აჩვენა, რომ მასთან საუბარში კორპუსის მეთაურმა კუიბიშევმა (ვალერიან კუიბიშევის მოგვარე) თავდაცვის სახალხო კომისარ ვოროშილოვზე თქვა: „ნაგანიდან სროლის მეტი მას არაფერი აინტერესებს. მას სჭირდება ხმელნიცკის მსგავსი ლაქიები ან კულიკის მსგავსი სულელები, ან შაპოშნიკოვისნაირი მოხუცები, რომლებიც ყველაფერზე თანახმანი არიან. ვოროშილოვს არ ესმის თანამედროვე არმია, არ ესმის ტექნიკის მნიშვნელობა“

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ტუხაჩევსკის დაპატიმრებისა და ჩვენებების შესახებ

დაპატიმრებულია 1937 წლის 22 მაისს ქ. კუიბიშევში. ჩხრეკის დროს ამოღებულია: ორდენები, მაუზერი, სანადირო თოფი, შვიდი ხმალი, დურბინდი, ჰოგრიტი, წერილები, ფოტოსურათები, დოკუმენტები.

25 მაისს მოთავსებულია შინსახკომის შიდა ციხეში (პატიმარი №94). ტუხაჩევსკის დაპატიმრების გამო პოლიტბიურომ მიიღო შემდეგი დადგენილება:

„საკ. კპ (ბ) ცკ წევრებსა და ცკ წევრობის კანდიდატებს კენჭისყრისთვის წარედგინოს შემდეგი წინადადება:

„საკ. კპ (ბ) ცკ-მა მიიღო მონაცემები, რომლებიც ამხელს საკ. კპ (ბ) ცკ წევრს რუძუტაკს და საკ. კპ (ბ) ცკ წევრობის კანდიდატს ტუხაჩევსკის ანტისაბჭოთა ტროცკისტულ-მემარჯვენე შეთქმულთა ბლოკში და სსრკ-ის წინააღმდეგ ჯაშუშურ მუშაობაში ფაშისტური გერმანიის სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიურო საკ. კპ (ბ) წევრებსა და წევრობის კანდიდატებს კენჭისსაყრელად წარუდგენს საკითხს პარტიიდან რუძუტაკისა და ტუხაჩევსკის გარიცხვისა და მათი საქმის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისთვის გადაცემის შესახებ“

საკ. კპ (ბ) ცკ წევრები და წევრობის კანდიდატები ორი დღის განმავლობაში ამ საკითხზე გამოკითხულ იქნენ.

რუძუტაკი და ტუხაჩევსკი პარტიიდან გაირიცხნენ. პრიმაკოვთან, პუტნასთან და ფელდმანთან დაპირისპირების შემდეგ ტუხაჩევსკიმ სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ეჟოვის სახელზე დაწერილ ბარათში (1937 წლის 26 მაისს) განაცხადა შემდეგი: „მე დამაპირისპირეს პრიმაკოვთან, პუტნასთან და ფელდმანთან, რომლებიც ბრალს მდებენ ანტისაბჭოთა სამხედრო-ტროცკისტული შეთქმულების ხელმძღვანელობაში. გთხოვთ, მაჩვენოთ ამ შეთქმულების ორიოდე სხვა მონაწილის ჩვენებები, რომლებიც აგრეთვე ბრალს მდებენ. პირობას ვდებ, მოგცეთ გულწრფელი, რაიმეს დაფარვის გარეშე ჩვენება ამ საქმეში ჩემი ბრალეულობის შესახებ, ისევე, როგორც შეთქმულების სხვა პირთა შესახებ“

ს. ნიკოლაევი

1937 წლის 26 მაისს ეჟოვის სახელზე ტუხაჩევსკის დაწერილი განცხადებიდან

„დამაპატიმრეს 22 მაისს, 24-ში ჩამომიყვანეს მოსკოვში, პირველად დამკითხეს 25-ში და დღეს, 26 მაისს, ვაცხადებ, რომ ვაღიარებ ანტისაბჭოთა შეთქმულების არსებობას და რომ მე მას სათავეში ვუდექი. ვალდებულებას ვიღებ, მოვუთხრო გამოძიებას ყველაფერი, რაც შეთქმულებას ეხება, არ დავფარო მისი არცერთი მონაწილე, არცერთი ფაქტი და დოკუმენტი.

შეთქმულება 1932 წელს იღებს სათავეს. მასში მონაწილეობდნენ: ფელდმანი, ალაფუზოვი, პრიმაკოვი, პუტნა და სხვ., რაზეც დამატებით დაწვრილებით მივცემ ჩვენებას“

შეთქმულების შესახებ ტუხაჩევსკის დაწვრილებით ჩვენებებს შეიცავს

დაკითხვის ოქმი (6,5 გვერდი). ტუხაჩევსკის ჩვენება და აგენტ „სოკრატის“ შეტყობინება (გერმანიის დაზვერვის მიერ მისი გადაბირების შესახებ) სრულად ემთხვევა ერთმანეთს. გამომძიებელი, რომელსაც ტუხაჩევსკის საქმე მიჰყავდა, „სოკრატის“ აგენტურულ პატაკს არ იცნობდა.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ამონაწერი ტუხაჩევსკის საქმეზე სამხედრო-ტროცკისტული შეთქმულებების მონაწილეთა დაკითხვის ოქმიდან

1937 წლის 29 მაისს ეჟოვის მიერ ტუხაჩევსკის დაკითხვის დროს ტუხაჩევსკის მიერ მიცემული ჩვენებიდან:

„ტუხაჩევსკი: ჯერ კიდევ 1928 წელს ენუქიძემ ჩამითრია მემარჯვენე ორგანიზაციაში. 1934 წელს მე პირადად დავუკავშირდი ბუხარინს. ჯაშუშური ურთიერთობა გერმანელებთან დავამყარე 1925 წლიდან, როცა იქ ვიყავი სწავლებასა და მანევრებზე *(გერმანულ დაზვერვასთან კავშირს ტუხაჩევსკი ერთ-ერთი თავისი საყვარლის, გერმანული სპეცსამსახურის აგენტის ვინმე კუზმინას მეშვეობით ამყარებდა. გერმანული და ინგლისური დაზვერვების ორმაგი აგენტი აღმოჩნდა ტუხაჩევსკის დავალებათა შემსრულებელიც. — შემდგენ.)*.

ეჟოვი: ვინ შეგახვედრათ სედოვს *(ტროცკის შვილს. — შემდგენ.)*?

ტუხაჩევსკი: პუტნამ. ოცდათექვსმეტ წელს ლონდონში ჩემი ჩასვლის დროს.

ეჟოვი: შეთქმულებაში ვისთან იყავით დაკავშირებული?

ტუხაჩევსკი: ფელდმანთან, სერგეი სერგეევიჩ კამენევთან, იაკირთან, ეიდემანთან, ენუქიძესთან, ბუხარინთან, კარახანთან, იაგოდასთან, სმირნოვთან, ოსეპიანთან და პიატაკოვთან“

ეჟოვის სახელზე ტუხაჩევსკის მიერ საკუთარი ხელით დაწერილ განცხადებაში ნათქვამია:

„დიახ, კრემლში სამხედრო გადატრიალების განხორციელების გეგმა არსებობს. ხელმძღვანელ შტაბში შედიან ტუხაჩევსკი, კორკი და პუტნა“

(კორპუსების მეთაურები პრიმაკოვი და პუტნა, რომლებიც 1936 წლის აგვისტოში დააპატიმრეს, ცხრა თვის განმავლობაში უარს ამბობდნენ ჩვენების მიცემაზე, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დაადას-

ტურეს ტუხაჩევსკის საქმეზე სხვა დაპატიმრებულთა ჩვენებები. — ვ. უუხრაი).

„პრიმაკოვი: შეთქმულების ხელმძღვანელ ბირთვში შედიოდნენ ტუხაჩევსკი, იაკირი, პუტნა და მე“

პრიმაკოვმა დაასახელა 40 მონაწილე სამხედრო ხელმძღვანელი მუშაკებიდან.

პუტნამ *(საზღვარგარეთ მყოფი ტროცკი მისი მეშვეობით ამყარებდა კავშირს შეთქმულების ხელმძღვანელებთან. — შემდგენ.)* აჩვენა, რომ მან პირადად გადასცა ტუხაჩევსკის ტროცკის წერილი, რომლითაც იგი წინადადებას აძლევდა მას, მონაწილეობა მიეღო შეთქმულებაში. ტუხაჩევსკიმ უთხრა პუტნას, რომ ტროცკის შეიძლება ჰქონდეს მისი იმედი... რაც შეეხება თანამონაწილეებს, პუტნამ დაასახელა იგივე პირები, რომლებიც გასცა პრიმაკოვმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ სხვადასხვა გამომძიებლები დაჰკითხავდნენ. მათი ჩვენებები დაადასტურა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიის უფროსმა, კორპუსის მეთაურმა კორკმა.

ფელდმანის გარდა ტუხაჩევსკის მტრული მოღვაწეობის შესახებ ჩვენებები მისცეს: მედვედმა, ვოლოვიჩმა (სამთავრობო დაცვის უფროსის მოადგილე), გაიმ (სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი). გაიმ და პროკოფიევმა 1937 წელს აპრილის ბოლოს დაკითხვებზე აჩვენეს, რომ ტუხაჩევსკი, კორკი, ეიდემანი დაკავშირებული იყვნენ იაგოდასთან, შეიარაღებულ ძალებს ამზადებდნენ ა/ს *(ანტისაბჭოთა. — შემდგენ.)* გადატრიალებისთვის.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეციალური შეტყობინება

ნ.მ. ტუხაჩევსკის ჩვენებიდან:

„ბამომძიებელი: თქვით, მოქალაქე ტუხაჩევსკი, ვინ ჩაითრიეთ სამხედრო შეთქმულებაში?

ტუხაჩევსკი: ოლქების სარდლები, სახკომის სამმართველოების უფროსები, აკადემიების უფროსები და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლები“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
ასლი

„სსრკ შინსახკომის ნერილიდან

სტალინს, მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს.

გიგზავნით ბ.მ. ფელდმანის, წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის სამმართველოს (კადრების სამმართველო) ყოფილი უფროსის 1937 წლის 19 მაისის დაკითხვის ოქმებს.

ფელდმანმა აჩვენა, რომ იგი არის სამხედრო-ტროცკისტული შეთქმულების მონაწილე და ჩათრეული იყო მ.ნ. ტუხაჩევსკის მიერ 1932 წლის დასაწყისში. შეთქმულთა შორის ფელდმანმა დაასახელა იაკირი, ეიდემანი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი სვიცკი, ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე კუტეპოვი, ცაკის სკოლის (განთავსებულია კრემლში) უფროსი, საინჟინრო აკადემიის უფროსი სმოლინი, ავტოჯავშანსატანკო სამმართველოს უფროსის მოადგილე ოლშანსკი. გთხოვთ, განიხილოთ ფელდმანის მიერ დასახელებული შეთქმულების დანარჩენი მონაწილეების დაპატიმრების საკითხი.

ეჟოვი“

რეზოლუცია: *ტუხაჩევსკის საქმეში.* ***ა. ლავროვი.***

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მხილების შიშით, 31 მაისს თავი მოიკლა იატაკქვეშა ტროცკისტული ორგანიზაციის აქტიურმა მონაწილემ, საკ. კპ (ბ) ცკ ყოფილმა წევრმა და წითელი არმიის პოლიტსამმართველოს ყოფილმა უფროსმა ი.ბ. გამარნიკმა.

ს. ნიკოლაევი

ცნობა
ტუხაჩევსკისა და სხვათა გასამართლების შესახებ

უზენაესი სასამართლოს პლენუმმა შექმნა უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულო. ტუხაჩევსკისთან ერთად სასამართლოს წინაშე წარსდგნენ: იაკირი, კორკი, უბორევიჩი, ეიდემანი, ფელდმანი. მიღებულ იქნა საქმის დახურულ სხდომაზე განხილ-

ვის გადაწყვეტილება, დაცვისა და ბრალდების მონაწილეობის გარეშე და მოწმეების გამოუძახებლად.

სპეციალური სასამართლო საკრებულოს შემადგენლობა: თავმჯდომარე ულრიხი, წევრები: ბუდიონი, შაპოშნიკოვი, ბლიუხერი, ალკსნისი, ბელოვი, დიბენკო, კაშირინი, გორიაჩევი.

სასამართლოს მდივანმა განსასჯელებს ჩააბარა საბრალდებო დასკვნის ასლები. განსასჯელებმა (მათ შორის ტუხაჩევსკიმაც) სასამართლო სხდომის დროს თავი დამნაშავედ ცნეს და ძირითადად დაადასტურეს წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები. განსასჯელი იაკირი, შეწყალებას რომ იხვეწებოდა, მთელი ძალით ცდილობდა ტუხაჩევსკის „ჩაძირვას". ამავე მიზეზით, განსასჯელმა ფელდმანმა დაწვრილებით ილაპარაკა განსასჯელთა დანაშაულებრივ მოღვაწეობაზე (სტენოგრამის 12 გვერდი). საკუთარი თავის დახსნის მიზნით განსასჯელი კორკი ყველაფერს დანარჩენ განსასჯელებს აბრალებდა, რომლებიც თავიანთ მხრივ მას მატყუარას და პროვოკატორს უწოდებდნენ, ყველაფერს ტუხაჩევსკის აბრალებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ სწორედ მან ჩაითრია ისინი შეთქმულებაში.

ს.ნიკოლაევი

იაკირის წერილიდან ამხ. სტალინს

„წარდგენილი მაქვს სახელმწიფოს ღალატის ბრალდება, მე ვაღიარე ჩემი დანაშაული და სრულად ვინანიებ. ახლა მე პატიოსანი ვარ ყველა ჩემს სიტყვაში, მოვკვდები თქვენდამი, პარტიისა და სამშობლოსადმი სიყვარულის სიტყვებით, კომუნიზმის გამარჯვების უსაზღვრო რწმენით"

საბოლოო სიტყვაში განსასჯელები სიყვარულს ეფიცებოდნენ სამშობლოს, პარტიას, ამხ. სტალინს.

სასამართლოს ყველა წევრმა, გამონაკლისის გარეშე, სასამართლო სხდომის დროს დიდი აქტივობა გამოიჩინა. დაკითხვის დროს აბნევდნენ და ამხელდნენ განსასჯელებს.

1937 წლის 11 ივნისს, 23 სთ 35 წუთზე თავმჯდომარე ულრიხმა წაიკითხა განაჩენი: ყველა, რვავე მსჯავრდებულის დახვრეტა ქონების კონფისკაციით. 1937 წლის 12 ივნისის ღამეს ისინი დაიხვრიტნენ. დახვრეტის შესახებ აქტი ხელმოწერილია ვიშინსკის, ულრიხის, ცესარსკის, იგნატოვის და შინსახკომის კომენდანტის ბლოხინის მიერ.

ა. ლავროვი

ცნობა

უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენით დაიხვრიტნენ:

1. ტუხაჩევსკი, თავდაცვის სახალხო კომისრის ყოფილი მოადგილე, დაპატიმრების წინ — ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის სარდალი.

2. იაკირი, დაპატიმრებამდე კიევის სამხედრო ოლქის სარდალი.

3. უბორევიჩი, დაპატიმრებამდე ბელორუსიის სამხედრო ოლქის სარდალი.

4. ეიდემანი, დაპატიმრებამდე „ოსოავიახიმის“ თავმჯდომარე.

5. კორკი, დაპატიმრებამდე ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიის უფროსი.

6. პრიმაკოვი, დაპატიმრებამდე ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდალი.

7. პუტნა, დაპატიმრებამდე სამხედრო ატაშე ინგლისში.

8. ფელდმანი, დაპატიმრებამდე წითელი არმიის კადრების მთავარი სამმართველოს უფროსი.

საქმე განხილული იყო 1934 წლის 1 დეკემბრის კანონით დადგენილი წესის მიხედვით. პროცესი დაიწყო 1937 წლის 11 ივლისს.

სასამართლო განხილვა განახორციელა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სპეციალურმა სასამართლო საკრებულომ შემდეგი შემადგენლობით:

1. პირველი რანგის სამხედრო იურისტი ვ.ვ. ულრიხი — თავმჯდომარე.

2. მე-2 რანგის არმიის სარდალი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე და წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი ი.ი. ალკსნისი.

3. პირველი რანგის არმიის სარდალი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე და გენერალური შტაბის უფროსი ეგოროვი.

4. მარშალი ვ.კ. ბლიუხერი, შორეული აღმოსავლეთის წითელდროშოვანი ცალკე არმიის ხელმძღვანელი.

5. მარშალი ს.მ. ბუდიონი — წითელი არმიის კავალერიის ინსპექტორი.

6. პირველი რანგის არმიის სარდალი, მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი ი.პ. ბელოვი.

7. დივიზიის მეთაური, სტალინის სახ. მე-6 კაზაკთა ცხენოსანთა კორპუსის სარდალი ე.ი. გორიაჩევი.

8. არმიის მეორე რანგის სარდალი, ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდალი პ.ს. დიბენკო.

9. მეორე რანგის არმიის სარდალი, ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი ნ.დ. კაშარინი.

იმ შემთხვევისთვის, თუ უცხოეთის აგენტურა და მათი ტროცკისტულ-ზინოვიევური, ბუხარინულ-რიკოვული დამქაშები შეეცდებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის ორგანიზებას (რაც ნაკლებ სავარაუდოა, რადგან განსასჯელებს არა აქვთ ფესვები შეიარაღებულ ძალებში და ხალხის საყოველთაო ზიზღით არიან გარემოსილნი), მოსკოვის რაიონში გადმოყვანილია განსაკუთრებულად ბრძოლისუნარიანი პირველი ცხენოსანი არმია ბუდიონის სარდლობით, რომელიც სამოქალაქო ომის დროს ამხანაგ სტალინის მიერაა შექმნილი.

ა. ჯულა

ცნობა

ტუხაჩევსკის საქმეზე სასამართლო სხდომის სტენოგრამა სრულად უარყოფს ანტისაბჭოთა ლეგენდას განსასჯელთა უდანაშაულობის შესახებ და იმის შესახებ, რომ სამსახურშიც და სასამართლოშიც რაინდულად იქცეოდნენ, „შიშისა და საყვედურის გარეშე“ ფელდმანმა „თანამებრძოლებს“ რომ მიმართა, თქვა: „თქვენ, როგორც ინსტიტუტელ ქალიშვილებს, გეშინიათ, საგნებს თავიანთი სახელები უწოდოთ, სრულიად ჩვეულებრივი ჯაშუშობით იყავით დაკავებულები, აქ კი გსურთ, ეს ყველაფერი უცხოელ ოფიცრებთან ლეგალურ ურთიერთობად გადააქციოთ“

ს. ნიკოლაევი

ცნობა

1923 წლის 20 სექტემბერს რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილებოდა დასავლეთის ფრონტის სარდლის პოსტზე ტუხაჩევსკის საქმიანობა. ტუხაჩევსკის ემუქრებოდა პარტიიდან გარიცხვა და სამხედრო ტრიბუნალისთვის გადაცემა. იგი ტროცკიმ გადაარჩინა, მოახერხა, რომ ამ სხდომას მიეღო გადაწყვეტილება ტუხაჩევსკის საქმის რკპ (ბ) ცკ-ის ცენტრალური საკონტროლო კომისიისთვის გადაცემის შესახებ.

რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს სხდომის ოქმში ნათქვამია: „მიღებულ

იქნას ამხ. ტროცკის წინადადება ამხ. ტუხაჩევსკის შესახებ მასალების ცსკ-ში გადაცემის შესახებ და დასავლეთის ფრონტის ავტორიტეტული რევოლუციური სამხედრო საბჭოს დაუყოვნებლივ დანიშვნის შესახებ, ორგბიუროს დაევალოს, სასწრაფოდ შეცვალოს დასავლეთის ფრონტის რსს შემადგენლობა და წარმოადგინოს პოლიტბიუროზე დასამტკიცებლად“

რკპ (ბ) ცკ საკონტროლო კომისიის მიერ ჩატარებული გამოძიების მსვლელობის დროს, ტროცკის ზეგავლენით ვარშავაზე შეტევის ჩაშლა შეფასდა არა როგორც ტუხაჩევსკის დანაშაულებრივი ჩანაფიქრის შედეგი, არამედ, როგორც წინასწარ განუზრახველი მისი სამეთაურო მოღვაწეობის დასანანი შეცდომა. ამ გადაწყვეტილების შესახებ ვ.ი. ლენინი წერდა: „ჩვენი შეტევის დროს, ვარშავისკენ ზედმეტად სწრაფი წინსვლის დროს, უეჭველია, შეცდომა იყო დაშვებული. მე ახლა არ დავიწყებ იმის გარჩევას, სტრატეგიული იყო ეს შეცდომა თუ პოლიტიკური, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანს, ვფიქრობ, რომ იგი მომავლის ისტორიკოსების საქმე უნდა გახდეს“

თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ ყოფნის დროს შეიარაღებათა საკითხებში, ტუხაჩევსკი შეეცადა, მოეწყო ფართომასშტაბიანი მავნებლობა — ჩაეშალა ახალი ტექნიკით წითელი არმიის აღჭურვა. ჯერ კიდევ 1930 წელს, იმის მომიზეზებით, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები ახალი საბრძოლო ტექნიკით აღჭურვაში ჩამორჩება გერმანულს, გვთავაზობდა ტანკებისა და თვითმფრინავების გამოშვების ისეთ გეგმებს, რომლებიც წმინდა წყლის „მანილოვშჩინა“ იყო და შეეძლო მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალისტური მშენებლობის ჩაშლა. ამასთან, როგორც თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, ცდილობდა, არ დაეწყოთ სერიული წარმოება ისეთი სამხედრო ტექნიკის, რომელიც თავისი ხარისხით საუკეთესო საზღვარგარეთულ ნიმუშებს აღემატებოდა.

ს. ნიკოლაევი

ცნობა

ქვემეხების სახელგანთქმული კონსტრუქტორი ვასილი გავრილოვიჩ გრაბინი იძულებული იყო, საჩივრით მიემართა ამხ. სტალინისათვის იმის გამო, რომ ტუხაჩევსკი უარზეა, დათვალიერებაზე წარადგინოს მის მიერ შექმნილი ზარბაზანი. შემდგომში, დიდი სამამულო ომის წლებში ეს ზარბაზანი მსოფლიოში საუკეთესო აღმოჩნდა. 1942

წლის 1 იანვარს სტალინმა უთხრა გრაბინს: „თქვენმა ქვემეხმა გადაარჩინა რუსეთი“.

ვ. ჟუხრაი

ცნობა

ჩვენი შეიარაღებული ძალების ტანკებითა და თვითმფრინავებით სწრაფად აღჭურვის შესახებ ტუხაჩევსკის წინადადების შესრულება ობიექტურად შეუძლებელი იყო. კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით ნაკლები გვქონდა ქვანახშირი და ფოლადი. მაგალითად, 1940 წელს გერმანიამ ევროპაში მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებთან ერთად გამოადნო 31,8 მლნ ტონა ფოლადი, სსრ კავშირმა კი — 18,3 მლნ ტონა ფოლადი. 1940 წელს გერმანია თვითონ მოიპოვებდა 257,4 მლნ ტონა ქვანახშირს, სატელიტებთან ერთად კი — 439 მლნ ტონას. საბჭოთა კავშირი მოიპოვებდა მხოლოდ 165,9 მლნ ტონა ქვანახშირს.

სსრკ-ზე თავდასასხმელად ჰიტლერელებს რომ ამზადებდნენ, იმპერიალისტები აქტიურად აიარაღებდნენ ფაშისტურ გერმანიას.

მაგალითად, აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით გერმანიაში 300-მდე დიდი სამხედრო ქარხანა აშენდა.

დაახლოებით 90 მლრდ მარკიდან, რაც ფაშისტურმა გერმანიამ ომისთვის მოსამზადებლად დახარჯა, უდიდესი ნაწილი იყო კრედიტები, რომლებიც მას აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის მონოპოლიებმა მისცეს. 1938 წელს გერმანიაში შეზიდეს 3 640 ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები. აქედან 152 ათასი ტონა მიიღეს აშშ-დან და ჰოლანდიის ინდოეთიდან. შედეგად, 1940 წელს სამხედრო წარმოება გერმანიაში 1939 წელთან შედარებით ორი მესამედით გაიზარდა, ხოლო 1932 წელთან შედარებით — 22-ჯერ. 1941 წელს გერმანიის მრეწველობამ დაამზადა 11 ათასზე მეტი თვითმფრინავი, 5 200 ტანკი და ჯავშანმანქანა, სხვადასხვა კალიბრის 30 ათასი ქვემეხი, 1,7 მილიონამდე კარაბინი, შაშხანა და ავტომატი. შეიარაღების დიდი მარაგი ფაშისტებმა ხელთ იგდეს ევროპული ქვეყნების ოკუპაციის შედეგად.

ტუხაჩევსკის „პროექტების“ შესახებ: 1930 წლის მარტში მის ერთერთ მოხსენებით ბარათს საბჭოთა შეიარაღებული ძალების „სწრაფი“ გადაიარაღების შესახებ სტალინმა წააწერა: „მიკვირს, როგორ შეუძლია მარქსისტს საკითხების ასე დაყენება: ამგვარი გეგმების შესასრულებლად საბჭოთა კავშირს ხომ არა აქვს ეკონომიკური შესაძლებლობა“ თავის ამ აზრს რომ განმარტავდა, სტალინმა თქვა: „ტუხაჩევსკის

გეგმა „მემარცხენე ფრაზით“ მოდური გატაცების შედეგია, ქაღალდებით, კანცელარიული მაქსიმალიზმით გატაცების შედეგია. ანალიზი რიცხვებით თამაშით არის შეცვლილი, ხოლო წითელი არმიის ზრდის მარქსისტული პერსპექტივა — ფანტასტიკით. ასეთი გეგმის განხორციელება ნიშნავს, დავღუპოთ ქვეყნის მეურნეობაც და არმიაც. ეს ყოველგვარ კონტრრევოლუციაზე უარესი იქნებოდა“ საკ. კპ (ბ) ცკ-მ უარყო ტუხაჩევსკის ავანტიურისტული გეგმა და ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე მიიღო საბჭოთა შეიარაღებული ძალების გადაიარაღების რეალური გეგმა, რომლის განხორციელებამაც შემდგომში შეგვაძლებინა ფაშისტური გერმანიის განადგურება.

ОГПУ-ს თავმჯდომარე მენჟინსკი თავის დროზე ტუხაჩევსკის დაპატიმრებას მოითხოვდა, ამტკიცებდა, რომ აგენტურული მონაცემებით, იგი მტრულადაა განწყობილი საკ. კპ (ბ) ცკ-ის წინააღმდეგ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ბოლშევიკური ტემპების წინააღმდეგ, კოლმეურნეობების წინააღმდეგ. ტუხაჩევსკის მავნებლური საქმიანობის შესახებ პირველად ჩვენებები მისცეს ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის ორმა პროფესორმა — მასწავლებელმა კაურინმა და ტროიცკიმ, რომლებიც სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დააპატიმრეს მაშინ, როცა აგენტურული საქმის „ვესნას“ გამო დააპატიმრეს სამი ათასზე მეტი ოფიცერი და გენერალი — ყოფილი სამხედრო სპეციალისტები.

მაშინ ი.ბ. სტალინმა ვოროშილოვთან და ორჯონიკიძესთან ერთად კრემლში ერთმანეთს დაუპირისპირა ტუხაჩევსკი, კაკურინი და ტროიცკი.

მათ მიერ ტუხაჩევსკისადმი წაყენებული ბრალდებები ჩათვალეს არასაკმარისად არგუმენტირებულად და კონკრეტული მტკიცებულებებით დაუდასტურებლად, მით უფრო, რომ ტუხაჩევსკის თავდებად დაუდგნენ იმ დროს ცნობილი სარდლები გამარნიკი, საკ. კპ (ბ) ცკ წევრი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პოლიტსამმართველოს უფროსი, იაკირი და დუბოვოი, რომლებიც შემდგომ ხალხის მტრები აღმოჩნდნენ.

ა. ჯულა

ცნობა

1937-1938 წლების ხალხის მტრების პროცესებზე რომ ვლაპარაკობთ, რომლებშიც ტუხაჩევსკიც გადიოდა, უნდა ვთქვათ, თუ კონკრეტულად რაში ადანაშაულებდნენ მათ. აი, ამონარიდი ნ.ი. ბუხარინის,

ა.ი. რიკოვის, გ. გ. იაგოდას, ნ. ნ. კრესტინსკის, ხ. გ. რაკოვსკის, ა.პ. როზენჰოლცის, ვ.ი. ივანოვის, მ.ა. ჩერნოვის, გ.ფ. გრინკოს, ი.ა. ზელენსკის, ა. ბესონის, ა. იკრამოვის, ფ. კორჟაევის, ვ.ფ. შარანგოვიჩის, პ.გ. ზუბარევის, პ.პ. ბულანოვის, ლ.გ. ლევინის, დ.დ. პლეტნევის, ი.ნ. კოზაკოვის, ვ.ა. მაქსიმოვ-დიკოვსკის და პ.პ. კრუჩკოვის საქმიდან: „საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების დაზვერვათა დავალებით ჩამოაყალიბეს შეთქმულთა ჯგუფი, სახელწოდებით „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი“, რომელმაც ამოცანად დაისახა უცხოეთის სახელმწიფოთა სასარგებლო ჯაშუშობა, მავნებლობა, დივერსიები, ტერორი, სსრკ-ის სამხედრო ძლიერებისთვის ძირის გამოთხრა, სსრკ-ზე ამ სახელმწიფოთა თავდასხმის პროვოცირება, სსრკ-ის დანაწევრება და მისთვის უკრაინის, ბელორუსიის, შუა აზიის რესპუბლიკების, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ზღვისპირეთის და შორეული აღმოსავლეთის ჩამოცილება უცხოეთის დასახელებული სახელმწიფოების სასარგებლოდ, დაბოლოს, სსრკ-ში არსებული სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების დამხობა და კაპიტალიზმის აღდგენა, ბურჟუაზიის ძალაუფლების აღდგენა“

ვ. ჟუხრაი

ცნობა

1937 წლის 4 ივლისს კრემლში გამართული სამხედრო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ი.ბ. სტალინის გამოსვლიდან

„თქვენს სახეებზე ვხედავ დაღვრემილობას და ერთგვარ დაბნეულობას. გასაგებია, რომ ძალიან მძიმეა, მოისმინო ბრალდებები იმ ადამიანთა მიმართ, ვისთან ერთადაც ათეულობით წლები ხელიხელჩაკიდებული ვმუშაობდით და ვინც ახლა სამშობლოს მოღალატე აღმოჩნდა. მაგრამ არ ღირს დაღვრემად და მწუხარებად. მართალია, არასასიამოვნო, მაგრამ კანონზომიერი მოვლენაა. მართლაც: რატომ უნდა ინტერესდებოდნენ სოფლის მეურნეობის დარგით, ტრანსპორტის, მრეწველობის მდგომარეობით და გვერდით გადადონ წითელი არმია? უნდა ვიფიქროთ, პირიქით, — უცხოურ დაზვერვას ყოველთვის აინტერესებდა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები, შემოგზავნიდნენ ჯაშუშებსა და რეზიდენტებს, რათა გაეგოთ, რომელია მისი ყველაზე სუსტი ადგილები.

აი, აქ გამოვიდა ამხ. კულიკი, რომელმაც თქვა, რომ ტუხაჩევსკი

ხალხის მტერი გახდა თითქოს იმიტომ, რომ იგი ყოფილი მემამულეა.

ეს მცდარი აზრია, იგი ბიოლოგიურია და არა სოციალური. ავიღოთ, მაგალითად, კაგანოვიჩის მოადგილე გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატში ლიფშიცი (ლიფშიცი გაასამართლეს პიატაკოვთან, რადეკთან და სხვებთან ერთად 1937 წლის იანვარში), იგი ხომ შთამომავლობით პუტილოველი მუშაა, მაგრამ მტერი აღმოჩნდა.

მთავარი გადაგვარებაა.

ტუხაჩევსკი გადაიბირა გერმანულმა დაზვერვამ, უფრო ზუსტად, მზვერავმა ჟოზეფინამ ჯერ კიდევ მაშინ, როცა გერმანიაში აკადემიაში სწავლობდა. ვინ იფიქრებდა, რომ შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის სამხედრო საბჭოს წევრი არონშტამი მოღალატე აღმოჩნდებოდა?

რაგინდ საშიში იყოს შეთქმულთა გეგმები, ისინი დროზე ვამხილეთ. მათ ვერ შეძლეს თავიანთი შხამიანი ფესვების გადგმა არმიის ნიადაგში.

სახელმწიფო გადატრიალების მომზადება სათავეში მდგომი სამხედროების შეთქმულებაა, რომელსაც არა აქვს დასაყრდენი ხალხში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არ ცდილობდნენ გადაებირებინათ თქვენგან, ამ დარბაზში მსხდომთაგან ვინმე, ჩაეთრიათ თავიანთი დანაშაულებრივი გაზრახვის განხორციელებაში.

როგორ გადაიბირებდნენ შეთქმულთა რიგებში? „აი, ბიჭებო, როგორაა საქმე. ГПУ ჩვენს ხელთაა, იაგოდა ჩვენს ხელთაა, კრემლი ჩვენს ხელთაა (კრემლის კომენდანტი პეტერსონი), მოსკოვის ოლქი, კორკი და გორბაჩოვი ჩვენთანაა.

ყველაფერი ჩვენთანაა. ან ახლა უნდა გამოხვიდეთ, ან ხვალ, თორემ, როცა ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, პირში ჩალაგამოვლებულები დარჩებით“

და ბევრი სუსტი, მერყევი ადამიანი ფიქრობდა, რომ ეს საქმე რეალურია, ეშმაკმა დალახვროს, სარგებლიანიც კი იქნება. თუ ხელიდან გაუშვებ, ამასობაში დააპატიმრებენ მთავრობას, დაიკავებენ მოსკოვის გარნიზონს და სხვა ასეთი ამბები მოხდება, შენ კი მშრალზე დარჩები. ზუსტად ასე მსჯელობს თავის ჩვენებებში კრემლის კომენდანტი ლატვიელი პეტერსონი. ხელებს შლის და ამბობს: საქმე რეალურია, რატომ მეთქვა უარი გადაბირებაზე?

იჭონიეთ გამბედაობა, ამოდით ამ ტრიბუნაზე და ყველაფერი პატიოსნად მოყევით. თქვენ გაჩუქებთ სიცოცხლეს და მდგომარეობას

შეგინარჩუნებთ არმიაში.

თქვით, მერეცკოვ (დიდხანს მუშაობდა ბელორუსიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად, როცა ჯარებს უბორევიჩი სარდლობდა), უბორევიჩი გითრევდათ შეთქმულებაში?"

მერეცკოვი: „დიახ... ეს, მგონი, 1935 წელს იყო, როცა ჩვენ სოჭში ერთად ვიყავით"

სტალინი (სხდომის ბოლოს): „ის, რაც სხდომაზე ითქვა, შეინახეთ, ვითარცა სახელმწიფო საიდუმლო"

თათბირის შემდეგ დააპატიმრეს 400 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის, თათბირზე დამსწრენიც.

ა. ლავროვი

ცნობა

თავდაცვის სახალხო კომისარიატთან არსებული სამხედრო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე თავდაცვის სახალხო კომისრის კ.ე. ვოროშილოვის გამოსვლიდან. გაიმართა კრემლში 1937 წ. 1-დან 4 ივლისამდე.

მისი მოხსენება დასათაურებული იყო: „შინსახკომის ორგანოების მიერ მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში მხილებული კონტრრევოლუციური შეთქმულების შესახებ". ესწრებოდნენ სამხედრო საბჭოს მუდმივი წევრები და 116 სამხედრო მუშაკი ადგილებიდან და თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატიდან. ვოროშილოვი: „შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გამოაშკარავებულია არმიაში დიდი ხნის მანძილზე არსებული და დაუსჯელად მოქმედი, მკაცრად კონსპირირებული კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ არმიის სათავეში მდგარი ადამიანები. ის, რომ ეს ადამიანები — ტუხაჩევსკი, იაკირი, უბორევიჩი და რიგი სხვა ადამიანებისა ერთმანეთთან ახლოს იყვნენ, ჩვენ ვიცოდით, ეს საიდუმლო არ იყო. მაგრამ სიახლოვიდან, თუნდაც ასეთი ჯგუფური ახლობლობიდან კონტრრევოლუციამდე ძალიან შორია..."

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

1938 წლის მარტში რიკოვის, ბუხარინის, კრესტინსკის, საკ. კპ (ბ) ცკ ყოფილი წევრების იაგოდას, ზელინსკის, ივანოვის, იკრამოვის,

ჩერნოვის, საკ. კპ (ბ) ცკ წევრობის ყოფილი კანდიდატების როზენგოლცის, გრინკოს, პარტიული კონტროლის კომისიის ყოფილი წევრის მარანგოვიჩის ღია პროცესის დროს გაირკვა, რომ ხალხის მტრები არიან საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი რუძუტაკი, საკ. კპ (ბ) ცკ წევრები ვარეიკისი, ანტიპოვი, ლობოვი, ლიუბიმიხი, კაბანოვი, რაზუმოვი, რუმიანცევი, საკ. კპ (ბ) ცკ წევრობის კანდიდატი კომაროვი (საბინოვი), საკ. კპ (ბ) ცკ ყოფილი წევრები ა.პ. შმიდტი და ა.პ. სმირნოვი, რომლებიც აყვანილნი არიან აქტიურ აგენტურულ-ოპერატიულ დამუშავებაში. მიმდინარეობს მათზე მიღებული ცნობების შემოწმება და მზადება მათ დასაპატიმრებლად. მარტის პროცესზე განსჯილთა დიდი ნაწილი, რომლებსაც სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიესაჯათ, 1938 წლის 15 მარტს დაიხვრიტნენ. დაკავებულები არიან ს.ვ. კოსიორი, გუბარევი და ეიხე.

ერთმანეთს პირზე წაუყენეს გენშტაბის უფროსი, მარშალი ეგოროვი და ბელოვი, გრიაზნოვი, გრინკო და სედეკინი, როცა ეგოროვი მხილებული იქნა შეთქმულებასა და მტრულ მოქმედებაში. ეგოროვი გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან, მიმდინარეობს მისი აქტიური დამუშავება. ეგოროვის ცოლი ცეშკოვსკაია პოლონეთის ჯაშუში აღმოჩნდა (პოლონეთის გენშტაბის მე-2 განყოფილების საიდუმლო თანამშრომელი).

აქტიურად მიმდინარეობს შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის ყოფილი სამხედრო მინისტრის და 1924 წლიდან შორეული აღმოსავლეთის წითელი არმიის უცვლელი სარდლის ბლიუხერის დამუშავება. ფაქტობრივად, შეგნებულად გაართულა ხასანის ოპერაცია. არტილერიას მითითება მისცა ესროლა მიდამოსთვის და არა იაპონელთა დაზვერილი საცეცხლე წერტილებისთვის, რომლებიც ამის შედეგად გადარჩა და წითელი არმიის ნაწილებმა მძიმე დანაკარგი განიცადეს.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ამხანაგ სტალინის საუბრის ჩანაწერი ბლიუხერთან 1938 წლის 1 აგვისტოს.

სტალინი: „მითხარით, ამხ. ბლიუხერ, პატიოსნად, გაქვთ თუ არა

სურვილი, ნამდვილად ეომოთ იაპონელებს? თუ ასეთი სურვილი არა გაქვთ, მითხარით პირდაპირ, როგორც კომუნისტს ეკადრება“

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ბლიუხერი გამოიძახეს მოსკოვში და 1938 წლის 22 ოქტომბერს დააპატიმრეს.

ა. ჯულა
1938 წ. 23 ოქტომბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მარშალი ბლიუხერი დააპატიმრეს 1938 წ. 22 ოქტომბერს. ხასანის ტბასთან მოვლენების დროს არტილერიას უბრძანა ესროლა არა იაპონელების გამაგრებაში დაზვერილი საცეცხლე წერტილებისთვის, არამედ მიდამოსთვის. შედეგად, იაპონელთა საცეცხლე წერტილები (უმრავლესობა) დაუზიანებელი დარჩა და წითელი არმიის მებრძოლებმა დიდი დანაკარგი განიცადეს. შედეგად, მხოლოდ დიდი მსხვერპლის ფასად გახდა შესაძლებელი ზაოზერნაიას და ბეზიმიანაიას აღება. ბლიუხერის მოღალატური მოქმედების შედეგად 1938 წლის 29 ივლისს დაწყებული ჩვენი ჯარების საბრძოლო მოქმედება ხასანის ტბის რაიონში დამთავრდა მხოლოდ 1938 წ. 11 აგვისტოს.

ა. ჯულა

ნაწილი 3
სპეცსამსახურების და პარტპარატის კულისებში

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მიხაილ ვასილიევიჩ ფრუნზე მოკვდა ოპერაციის დროს ნარკოზის გადაჭარბებული დოზის გამო.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ანტისაბჭოთა მიზნებისათვის, სსრკ-ში დივერსიული და ტერორისტული აქტების განსახორციელებლად ფრანგულ დაზვერვაში თეთრემიგრანტების აგენტებად გადაბირებას აქტიურად აწარმოებს ფრანგული კონტრდაზვერვის „სიურტე ჟენერალის“ აგენტი, მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი ა.ს. რიაზანოვი, რომელიც ადრე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეფის ოხრანკის ხელმძღვანელებთან. ამასვე აკეთებს ინგლისური და გერმანული დაზვერვის ორმაგი აგენტი, ჟანდარმერიის ყოფილი გენერალი კლიმოვიჩი. გერმანული დაზვერვის აგენტია ჟანდარმერიის ყოფილი გენერალი გლობაჩევი.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სსრკ შინსახკომის რეზიდენტის, სახელმწიფო უშიშროების კომისრის ორლოვ-ნიკოლსკის მიერ ესპანეთიდან ჩამოტანილი ოქრო სსრკ სახელმწიფო ბანკშია მოთავსებული. მის ხარჯზე იფარება მებრძოლ რესპუბლიკურ ესპანეთში გასაგზავნი სამხედრო და სასურსათო მიწოდებანი.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ესპანეთში შინსახკომის რეზიდენტის, სახელმწიფო უშიშროების კომისრის ორლოვ-ნიკოლსკის სიძე, უკრაინის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ყოფილი მოადგილე კაცნელსონი მტრული საქმიანობის გამო დაიხვრიტა. თვით ორლოვ-ნიკოლსკის საეჭვო კავშირები აქვს აშშ-ში. მიზანშეწონილია ორლოვ-ნიკოლსკის ესპანეთიდან გამოწვევა.

ა. ჯული

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

გამოძახებით საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე ორლოვ-ნიკოლსკიმ უარი თქვა.

ა. ჯული

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

დაზვერვის პასუხისმგებელი თანამშრომლის, სახელმწიფო უშიშროების კომისრის ორლოვ-ნიკოლსკის მიერ სამშობლოს ღალატისა და ამერიკაში გაქცევის შესახებ

1934-1935 წწ. ორლოვ-ნიკოლსკი სსრკ შინსახკომის არალეგალურ რეზიდენტად მუშაობდა ინგლისში. უნარიანად ამყარებდა კავშირს საბჭოთა დაზვერვის მნიშვნელოვან აგენტებთან ფილბისთან, ბერჯესთან, კენკროსთან, ბლანტთან და მაქსიმოვთან.

ესპანეთში შინსახკომის რეზიდენტად მუშაობის დროს განახორციელა ესპანური ოქროს ჩამოტანა სსრკ-ში, რომელიც გამოყენებულია ესპანეთის რესპუბლიკისთვის შეიარაღებისა და სურსათის მიწოდებისთვის; ესპანეთში ბევრი ტროცკისტის, მათ რიცხვში, ესპანეთის ტროცკისტების ლიდერის ანდრეი ნინის ლიკვიდაცია. როცა შეიტყო თავისი მეგობრებისგან სსრკ შინსახკომში, რომ ეჭვმიტანილია ამერიკულ დაზვერვასთან კავშირში (ვისგან, გამოვლენილი არ არის), უარი თქვა გამოძახებით სსრკ-ში დაბრუნებაზე, გაიტაცა ესპანური რეზიდენტურის კუთვნილი 60 ათასი დოლარი და გაიქცა ამერიკაში.

ორლოვ-ნიკოლსკი კარგად იცნობს ჩვენს აგენტებს, რომლებიც არალეგალურად მუშაობენ ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში.

პროფილაქტიკის მიზნით დაკავებულები არიან საბჭოთა კავშირში მცხოვრები ორლოვის ოჯახის წევრები. მას აცნობეს, რომ თუ იგი არ დაბრუნდება სსრკ-ში და განაგრძობს თავის მტრულ საქმიანობას, მათ დახვრეტენ. ამის შემდეგ ამხ. სტალინის სახელზე ორლოვმა გამოგზავნა წერილი, რომელშიც ითხოვდა, შეეწყვიტათ მისი და მისი ნათესავების დევნა, სანაცვლოდ კი ჰპირდებოდა, რომ არ გათქვამდა ესპანური ოქროს გამოზიდვის ფაქტს და მისთვის ცნობილი აგენტების სახელებს. მიგვაჩნია, რომ ორლოვის ამ წინადადებას უნდა დავთანხმოთ, რადგან თუ რაიმე მიზეზით ჩაიშლება ორლოვის ლიკვიდაცია, კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩვენი მნიშვნელოვანი აგენტურის ჩავარდნა გარდაუვალია.

ა. ლავროვი, ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

1938 წლის ნოემბერში სსრკ შინსახკომის სახალხო კომისარმა ბერიამ ამხ. სტალინის განკარგულებით გასცა ბრძანება, შეეწყვიტათ ორლოვ-ნიკოლსკის ძებნა და დევნა. ორლოვ-ნიკოლსკიმ თავისი პირობა შეასრულა. მისი ნათესავების რეპრესირება არ მომხდარა.

ა. ლავროვი, ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სამშობლოს ღალატა და 1938 წლის ზაფხულში იაპონელებთან გაიქცა აქტიური ტროცკისტი, სსრკ შინსახკომის შორეული აღმოსავლეთის მხარის სამმართველოს უფროსი გ. ლუშკოვი, სსრკ შინსახკომის ცენტრალური აპარატის ყოფილი თანამშრომელი. ამჟამად იაპონელები შეისწავლიან საკითხს — შეიძლება თუ არა, გამოიყენონ ცნობები, რომლებიც მას გააჩნია, ამხ. სტალინზე თავდასხმის ორგანიზებისათვის.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

ეჟოვი აგროვებს მაკომპრომეტირებელ მასალებს პოლიტბიუროს წევრებზე, მათ შორის, ცდილობს იგივე გააკეთოს ამხ. სტალინის მიმართაც.

პროვოკაციულ ყალბ საბუთებს ინახავს თავის სამუშაო ოთახში, პირად სეიფში.

ს. ნიკოლაევი

სტალინის რეზოლუცია: *„ამხ. ნიკოლაევ! ყურადღებით დააკვირდით ეჟოვს. კარგად შენიღბულ მტერსა ჰგავს. არის მონაცემები, თითქოს მან დამალა, რომ ეროვნებით ლიტველია.*

ჩაატარეთ საიდუმლო ჩხრეკა ეჟოვის სამუშაო ოთახში. მის სეიფში აღმოჩენილ პოლიტბიუროს წევრების მაკომპრომეტირებელ დოკუმენტებს ფოტოსურათები გადაუღეთ და პირადად მე მომახსენეთ.

ი. სტალინი“

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

1935 წლის 29 სექტემბერს საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება.

პ. 190. ამხ. ეჟოვის მივლინების შესახებ.

მიეცეს ამხ. ეჟოვს ა.წ. 1 ოქტომბრიდან ორთვიანი შვებულება და ცოლის თანხლებით სამკურნალოდ გაიგზავნოს საზღვარგარეთ ექიმების დასკვნის შესაბამისად, საამისოდ გამოიყოს ასიგნება 3 000 მანეთი უცხოურ ვალუტაში.

ცნობა

საზღვარგარეთ ყოფნისას ეჟოვი გადაიბირა გერმანულმა დაზვერვამ ჰომოსექსუალიზმის ნიადაგზე. მას გააცნეს თერთმეტი წლის ლამაზი ბიჭი. მასთან სქესობრივი აქტის დროს ეჟოვს ფოტოსურათი გადაუღეს და წარუდგინეს მას ეს ფოტოსურათები. ეჟოვს განუცხადეს, რომ თუ იგი უარს იტყვის გერმანულ დაზვერვასთან თანამშრომლობაზე, ამ ფოტოსურათებს მიაწვდიან სსრკ ხელმძღვანელობას. ბევრი ფიქრის შემდეგ ეჟოვი დათანხმდა.

მის გადაბირებაში მონაწილეობდა ცნობილი გერმანელი მზვერავი ქალი, რომელიც მუშაობდა ფსევდონიმით „ჟოზეფინა გენზა“ ადრე ის მონაწილეობდა საკ. კპ (ბ) ცკ წევრის ენუქიძის და საკ. კპ (ბ) ცკ წევრობის კანდიდატის კარახანის გადაბირებაში. მასთან კავშირში იმყოფებოდა რუძუტაკი. ეჟოვს ინსტრუქციას რომ აძლევდა, „ჟოზეფინა გენზამ“ უთხრა: „თქვენი მთავარი ამოცანაა, რადაც უნდა დაგიჯდეთ, დარჩეთ სსრკ ხელმძღვანელობაში იქს დღემდე. ამ მიზნის შესასრულებლად იბრძოლეთ სოციალიზმისათვის, როგორც შეძლებთ. არ შეჩერდეთ, თუ მოგიწევთ თქვენი თანამოაზრეებისა და ჩვენი აგენტების განადგურება. ოღონდ დაარწმუნეთ საკ. კპ (ბ) ხელმძღვანელობა, რომ თქვენ კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული რევოლუციონერი ხართ“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

გაირკვა, რომ ეჟოვი, ეროვნებით ლიტველი, გერმანული და პოლონური დაზვერვების აგენტია, რომელიც ჩვენს პარტიაშია შემოგზავნილი.

ა. ჯულა

ცნობა

დაპატიმრების შემდეგ, სუხანოვის ციხეში ყოფნისას, დაკითხვის დროს ეჟოვმა აღიარა გერმანული დაზვერვის მიერ მისი გადაბირების ფაქტი.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

საკ. კპ (ბ) ცკ-ს შემადგენლობიდან გარიცხვის დროს ამხ. სტალინმა უთხრა შინსახკომის ყოფილ სახალხო კომისარ ნიკოლაი ეჟოვს: „ყველაზე მეტად მე ვარ დამნაშავე, თქვენ რომ განდეთ შინსახკომი, თქვენ კი ჩვეულებრივი საწყალი ალკოჰოლიკი აღმოჩნდით“

ეჟოვი დაიხვრიტა საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ დაუსაბუთებელი რეპრესიების გამო.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება
ეჟოვის დასახვრეტის შესახებ

ეჟოვი დასახვრეტად რომ მიჰყავდათ, ცდილობდა, პარტიის პატიოსან წევრად წარმოჩენილიყო, მღეროდა „ინტერნაციონალს“

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ეჟოვი ნიკოლაი ივანოვიჩი. განათლება — დაწყებითი სასწავლებლის ერთი კლასი, დამატებით 1927 წელს დაამთავრა საკ. კპ (ბ) ცკ-სთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის პეტერბურგის ერთწლიანი კურსები. დახვრეტილია. ნათესავებს ეცნობათ, რომ მოკვდა ტვინში სისხლის ჩაქცევის შედეგად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ნ.ი. ეჟოვი 1934 წელს სამკურნალოდ საზღვარგარეთ იმყოფებოდა;

იაკირი 1934 წლის სექტემბერში კარლსბადში სამკურნალოდ იმყოფებოდა;

მ.მ. კაგანოვიჩი — პოლიტბიუროს წევრის ლაზარ მოისეევიჩ კაგანოვიჩის ძმა 1934 წელს იყო ინგლისში, სადაც ინგლისურმა დაზვერვამ გადაიბირა.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1941 წლის 20 თებერვალს პარტიულ კონფერენციაზე მოლოტოვმა საკ. კპ (ბ) ცკ წევრად რეკომენდაცია მისცა კუუსინენს, რომელიც იმ დროს კარელია-ფინეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო.

კუუსინენის ცოლი აინო კუუსინენი დაპატიმრებული იყო და ხანგ-

რძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დაპატიმრებული იყო მისი ვაჟიც.

აგენტურული მონაცემებით კუუსინენი ფარული ანტისაბჭოთა განწყობილებისაა, ნდობას არ იმსახურებს.

ამავე პარტიულ კონფერენციაზე მოლოტოვმა საკ. კპ (ბ) ცკ წევრად რეკომენდაცია გაუწია მაისკის, რომელიც ინგლისურ დაზვერვასთან კავშირშია ეჭვმიტანილი.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ლიტვინოვი (მეერ ბალახი), იგივე ფინკილშტეინი, ფარული ანტისაბჭოელია, რომელსაც სოლიდური კავშირები აქვს ამერიკისა და ინგლისის მმართველ წრეებთან, პოლიტიკურ ნდობას არ იმსახურებს, ჩვენი კონტრდაზვერვის აქტიურ დამუშავებაშია.

ა. ლავროვი, ა. ჯულა
1938 წ. 18 ივლისი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ეგრეთ წოდებული ქართული ინციდენტის შესახებ

სერგო ორჯონიკიძემ თავის ბინაში სახეში გაარტყა ა. კაბახაძეს *(ასეა დედანში. — მთარგმნ.)*, რომელმაც მას „სტალინის სახედარი“ უწოდა. ანტისაბჭოელ-ნაციონალისტებს საქართველოში სათავეში უდგანან მდივანი, ოკუჯავა და ქავთარაძე.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1937 წლის ივლისში თბილისში გაიმართა პროცესი, რომელზეც გაასამართლეს ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა და სხვა ნაციონალისტები. შეთქმულები დაიხვრიტნენ. თბილისში დაყინებით ვრცელდება პროვო-

კაციული ხმები, რომ, როცა მდივანი დასახვრეტად მიჰყავდათ, მან თითქოს თქვა: „გადაეცით სტალინს, რომ დანტონის შემდეგ რობესპიერის რიგი დადგა“

ს. ნიკოლაევი

ცნობებში. ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1937 წლის მაისში მტრული საქმიანობისათვის დააპატიმრეს მ.ე. ჩუდოვი და ი.ფ. კოდაცკი — უწინ კიროვის უახლოესი თანამშრომლები, ბელორუსიაში კი დაპატიმრებულია კიროვის პროტეჟე პ.ფ. გიკაილო.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

1929 წელს დანიშნული სსრკ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი იაკობ არკადიევიჩ იაკოვლევი ხალხის მტერი აღმოჩნდა.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

უცხოეთის დაზვერვასთან კავშირის გამო დაპატიმრებულია კალინინის ცოლი ეკატერინა ივანოვნა ლორბერგი, რომელიც მანამდე ამერიკაში იმყოფებოდა. ამასთან დაკავშირებით, სიმთვრალის ძლიერ სტადიაში მყოფმა კალინინმა ამხანაგ სტალინზე ბილწად თქვა: „ეს ცხენი ჩვენს საზიდარს ოდესმე თხრილში ჩააგდებს“

ს. ნიკოლაევი

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *„ამხ. ნიკოლაევ! კალინინს ჯერჯერობით ხელი არ ახლოთ. მისი ცოლი გასამართლდეს სსრკ შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს მიერ“*

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

კალინინის ცოლი მსჯავრდადებულია განსაკუთრებული სათათბიროს მიერ უცხოეთის დაზვერვასთან კავშირის გამო და მოთავსებულია შრომა-გასწორების ბანაკში.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სსრკ შინსახკომის კადრების განყოფილების გამგემ (ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1936 წ. 15 ოქტომბრიდან 1937 წლის 17 მაისამდე) მიხაილ იოსიფოვიჩ ლიტვინმა, რომელიც დაკავშირებული იყო ტროცკისტებთან, თავი მოიკლა.

ს. ნიკოლაევი
1937 წლის 20 მაისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

შინსახკომის მოსკოვის ოლქის სამმართველოს უფროსი ვ.ა. კარუცკი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მემარჯვენეთა იატაკქვეშა ორგანიზაციასთან, 1938 წლის 13 მაისის ღამით თავის მოკვლას შეეცადა. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობისგან 1938 წ. 14 მაისს ბოტკინის სახ. საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ს. ნიკოლაევი

საინფორმაციო შეტყობინება

ამხანაგ სტალინისთვის გამოგზავნილი რასკოლნიკოვის წერილი ინგლისური დაზვერვის მიერ არის ორგანიზებული.

1919 წელს რასკოლნიკოვი (რომელიც ადრე ფსიქიკურად დაავადებული იყო) ოკუპანტმა ინგლისელებმა ტყვედ ჩაიგდეს. ჩაიყვანეს ლონდონში, სადაც ინგლისურმა დაზვერვამ გადაიბირა. მასთან მუშაობდა ინგლისელი მზვერავი ბრიუს ლოკარტი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ცნობილი იყო ელჩების შეთქმულების საქმესთან დაკავშირებით, დააპა-

ტიმრა ВЧК-მ და გაიცვალა დატყვევებულ საბჭოთა მეზღვაურებზე.

რასკოლნიკოვი რამდენჯერმე შეეცადა თავის მოკვლას, ერთხელ ვენები გადაიჭრა, მაგრამ გადაარჩინეს. 1939 წლის 12 სექტემბერს გადმოხტა ნიცის (საფრანგეთი) ფსიქიატრიული საავადმყოფოს ფანჯრიდან და თავი მოიკლა.

ა. ლავროვი, ა. კულა
1939 წლის 24 სექტემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სამშობლოს მოღალატე, ОГПУ-ს ყოფილი რეზიდენტი სტამბოლში გ.ს. აგაბეკოვი, რომელიც საზღვარგარეთ გაიქცა, ლიკვიდირებულია პარიზში.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სსრკ შინსახკომის კადრების განყოფილების უფროსი ვეინშტოკი იაკოვ მარკოვიჩი, რომელიც უცხოეთის დაზვერვის აგენტი აღმოჩნდა, 1939 წლის 22 თებერვალს დაიხვრიტა.

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

წითელი არმიის გენშტაბის დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსი ბერზინი მჭიდროდაა დაკავშირებული ტროცკისთან.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სსრკ შინსახკომის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი არტუზოვი (ფრაუჩი) არტურ ხრისტიანოვიჩი, შვეიცარიელი ემიგრანტის შვი-

ლი, ეროვნებით იტალიელი, საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის გამო დაიხვრიტა.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ВЧК-ში ძერჟინსკის სამი მოადგილე პეტერსი, ლაცისი (სუდრაბსი) და უშლიხტი უცხოეთის დაზვერვების აგენტები აღმოჩნდნენ. სამივე დაიხვრიტა.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მტრული მოღვაწეობისთვის დახვრეტილი ВЧК-ს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე უშლიხტი ძერჟინსკის ცოლის სოფია სიგიზმუნდოვნა მუშკატის ბიძაშვილი იყო.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისართან არსებული სპეცჯგუფი, რომლის ამოცანა იყო ტერორისა და დივერსიების ორგანიზება საზღვარგარეთ, გაუქმდა 1938 წლის ნოემბერში. ამ ჯგუფის თანამშრომელთა შორის, საბჭოთა ხელისუფლებისადმი უანგაროდ ერთგულ თანამშრომლებთან ერთად, უცხოეთის დაზვერვათა აგენტებიც აღმოჩნდნენ.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

წითელი არმიის ავიაციაში ავარიებისა და კატასტროფების შესახებ (საკ. კპ (ბ) ცკ და სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილება) (1941 წ. 9 აპრილი — *შემდგენ.*)

საკ. კპ (ბ) ცკ-მ და სსრკ სახკომსაბჭომ დაადგინეს, რომ წითელ არმიაში ავარიები და კატასტროფები არათუ მცირდება, არამედ მფრი-

ნავთა და მეთაურთა შემადგენლობის მოშვებულობის გამო, რასაც შედეგად მოსდევს ფრენის სამსახურის ელემენტარული წესების დარღვევა, უფრო და უფრო იზრდება. მოშვებულობის გამო ავარიებსა და კატასტროფებში ჩვენთან ყოველდღიურად იღუპება საშუალოდ 2-3 თვითმფრინავი, რაც წელიწადში 600-900 თვითმფრინავია.

მოშვებულობა და უდისციპლინობა ავიაციაში არათუ არ აღიკვეთება, არამედ სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელთა მიერ ერთგვარად წახალისდება კიდეც იმით, რომ ავარიებსა და კატასტროფებში დამნაშავენი არსებითად დაუსჯელნი რჩებიან. სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობა ხშირად უმალავს მთავრობას ავარიებისა და კატასტროფების ფაქტებს. ნოვოსიბირსკიდან ტაშკენტში საავიაციო პოლკის გადაფრენის დროს 3 თვითმფრინავი დაიმტვრა, 2-მა ავარია განიცადა. დაიღუპა თვითმფრინავის ეკიპაჟების 12 წევრი, დაიჭრა — 4 ადამიანი.

საკ. კპ (ბ) ცკ და სსრკ სახკომსაბჭო ადგენენ:

1. მოიხსნას ამხ. რიჩაგოვი წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსის პოსტიდან და თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის პოსტიდან, როგორც უდისციპლინო, რომელმაც თავი ვერ გაართვა სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელის მოვალეობას.

საყვედური გამოეცხადოს ტიმოშენკოს, რომელიც დაეხმარა რიჩაგოვს, დაეფარა საკ. კპ (ბ) ცკ-საგან და სსრკ სახკომსაბჭოსგან წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალებში არსებული ნაკლოვანებები და წყლულები.

*ცკ მდივანი **ი. სტალინი***

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შენიშვნა

1941 წლის 24 ივნისს დაკითხვაზე რიჩაგოვმა აღიარა თავისი წევრობა ანტისაბჭოთა შეთქმულთა ორგანიზაციაში, რომლის დავალებითაც სხვა პირებთან ერთად აწარმოებდა მავნებლურ საქმიანობას წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალებში. გერმანულ დაზვერვასთან კავშირს უარყოფს. 1941 წლის 28 ოქტომბერს სხვა დაპატიმრებულებთან ერთად გასამართლების გარეშე დაიხვრიტა.

ა. კული

ნაწილი 4
ხელისუფლების ეშელონების წმენდა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

პარტიის მე-18 ყრილობისათვის (1939 წ.) საკ. კპ (ბ) ცკ 71 წევრიდან დარჩა 25, ცკ წევრობის 68 კანდიდატიდან — რვა.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ცნობა

მტრული საქმიანობისთვის დაიხვრიტნენ:

1. კრილენკო ნიკოლაი ვასილიევიჩი, დაბადებული 1885 წელს — 1938 წლის 29 ივლისს.

2. კამენსკი გრიგორი ნაუმოვიჩი, დაბადებული 1895 წელს — 1938 წლის 10 თებერვალს.

3. ეიდემანი რობერტ პეტროვიჩი — 1937 წლის 12 ივნისს.

4. პოსტიშევი პაველ პეტროვიჩი — 1939 წლის 26 თებერვალს.

5. პიატნიცკი იოსიფ არონოვიჩი — 1939 წლის 29 ივლისს.

6. რუძუტაკი იან ერნესტოვიჩი — 1938 წლის 29 ივლისს.

7. როდიონოვი მიხაილ ივანოვიჩი — 1950 წლის 1 ოქტომბერს.

8. შაცკინი ლაზარ აბრამოვიჩი — 1937 წლის 10 იანვარს.

ა. ჯულა

ცნობა

დაპატიმრებულ ხალხის მტრებს შორის უმეტესობა უცხოელია. უბორევიჩი, კორკი, ეიდემანი, პუტნა — ბალტიისპირელებია. საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული გადახვევებისთვის, რომლებზეც ლაპარაკია ამხ. სტალინის სტატიაში „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან", პასუხისმგებლობა ეკისრებათ: შუა ვოლგისპირეთში — ხატაევიჩს, შავმიწანიადაგიან ცენტრში — ვარეიკისს, დასავლეთ ციმბირში — ეიხეს, ჩრდილოეთ კავკასიაში — ანდრეევს, ქვემო ვოლგისპირეთში — შაბალდაევს.

მაგალითად, ცენტრალურ შავმიწანიადაგიან ოლქში, რომელსაც ვარეიკისი ხელმძღვანელობდა, 1929 წლის 10 ოქტომბრისათვის კო-

ლექტრიზაციის 5,9 პროცენტი 1930 წლის 1 მარტისთვის 81,8 პროცენტამდე გაიზარდა. როგორ სწრაფადაც იქმნებოდა კოლმეურნეობები, ასევე სწრაფად იშლებოდა. ეს იყო საკოლმეურნეო მშენებლობის დისკრედიტაციის თავისებური მეთოდი.

ს. ნიკოლაევი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

რეპრესირებულია თავდაცვის სახალხო კომისრის 6 მოადგილე და ოლქებისა და ფლოტების 17 სარდალი.

ს. ნიკოლაევი

გასაკვირი არაფერია. ყველა მათგანი თავის დროზე შერჩეული და თანამდებობაზე დანიშნული იყო ხალხის მტრის ტროცკის მიერ.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სამხედრო საბჭოს ძველი შემადგენელობის 108 წევრიდან რეპრესირებულია 98 ადამიანი. აქ გასაკვირი არაფერია, რადგან ისინი ნიუ-იორკის ანტისაბჭოთა ცენტრის აგენტის ტროცკის მიერ დანიშნული კადრები იყვნენ.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ლენინის გარდაცვალების შემდეგ მისმა ცოლმა კრუპსკაიამ ე.წ. ლენინის ანდერძი (სინამდვილეში იგი არ არსებობდა. „ანდერძი“ აშკარა ფალსიფიკაციაა, რომელიც ინგლისური დაზვერვის მიერ არის ორგანიზებული) გადასცა „სხვაგვარად მოაზროვნე კომუნისტებს“ ორი ბარათი, რომლებიც ვითომ ლენინის მიერ იყო დაწერილი, პირველად მე-15 პარტიული კონფერენციის წინ ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნდა.

ა. ჯულა
1949 წლის 18 აპრილი

ცნობა

ამხანაგმა სტალინმა ერთხელ კრუპსკაიას უთხრა: „ჩვენ ვნახავთ, ლენინის როგორი ცოლიც ხართ და რა საეჭვო, აშკარად ანტისაბჭოთა კავშირები გაქვთ ამერიკულ წრეებთან“ ამის შემდეგ, ს. ნიკოლაევის დამოწმებით, კრუპსკაია მოთქმით ტიროდა და გორავდა ნოხზე. ამხ. სტალინთან საუბრის შესახებ მოუყვა კამენევს და ზინოვიევს და ეკითხებოდა, რა უნდა გაეკეთებინა. დიდხანს იფიქრეს. მხოლოდ ორთვე-ნახევრის შემდეგ უთხრა კრუპსკაიამ ლენინს სტალინთან საუბრის შესახებ.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

შეიარაღებული ძალებიდან სხვადასხვა მიზეზით (ასაკის, მორალური გახრწნის, ლოთობის, სამეურნეო დანაშაულისათვის), მათ შორის, პოლიტიკური არასაიმედოობის გამო სამხედრო საქმეში გამოცდილი 40 ათასამდე მეთაური დაითხოვეს. ეს საკითხი დაწვრილებით განიხილეს საკ. კპ (ბ) ცკ იანვრის პლენუმზე (1938 წ. იანვარი). 11 ათასი დათხოვნილი, მალე მათი რაოდენობა 18 ათასამდე გაიზარდა, დააბრუნეს არმიაშიც და ფლოტშიც.

ამხანაგმა სტალინმა უბრძანა, გულდასმით შეემოწმებინათ სსრკ შინსახკომის მიერ დაპატიმრებული 2 100 ყოფილი სამხედრო მოსამსახურის საქმეები.

აღმოჩნდა, რომ ამ საქმეების ნაწილი აგებული იყო პროვოკაციებსა და სიცრუეზე. წარსულში ცნობილი სამხედრო მოღვაწეები, რომლებიც ამ საქმეებში გადიოდნენ, გათავისუფლდნენ პატიმრობიდან და კვლავ დაინიშნენ სამეთაურო თანამდებობებზე შეიარაღებულ ძალებში.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ყოფილი კულაკები, რომლებიც ცაკ-ისა და სსრკ სახკომსაბჭოს 1931 წლის 1 თებერვლის დადგენილების თანახმად არიან გადასახლებულნი, სპეცჩასახლება-ში იმყოფებიან კომის ასსრ-ში, ალტაის მხარეში, კემეროვის, კუსტანაის, მურმანსკისა და ხერსონის ოლქებში. 1941 წლის დასაწყისისათვის სპეცჩასახლების ადგილებში 930 221 ადამიანი იმყოფება.

ა. ჯულა
1941 წლის 12 აპრილი

უნდა ვალიაროთ, მტრული მეხუთე კოლონის — უცხოეთის აგენტურის ლიკვიდაცია 1937-1938 წლებში უსაფუძვლო მსხვერპლის გარეშე არ განხორციელებულა. სსრკ სახალხო კომისრების იაგოდასა და ეჟოვის დროს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში შემძვრალი კარიერისტები და უცხოეთის დაზვერვის აგენტები პარტიის სადამსჯელო პოლიტიკის კომპრომეტაციისა და სახელმწიფოს ძლიერების შერყევის მიზნით ანადგურებდნენ საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ კადრებს.

დაპატიმრებულთა დიდი რაოდენობისთვის გამოტანილმა გამამართლებელმა განაჩენებმა დაადასტურეს, რომ სსრკ შინსახკომის სახალხო კომისარი ეჟოვი და მისი მოადგილეები რიგ შემთხვევებში უსაფუძვლოდ აპატიმრებდნენ საბჭოთა მოქალაქეებს, საკ. კპ (ბ) ცკ ზურგს უკან თვითნებობდნენ.

წიგნში „ცხოვრების მიზანი“ ცნობილმა ავიაკონსტრუქტორმა ა.ს. იაკოვლევმა, რომელსაც არაერთხელ უსაუბრია სტალინთან, დაწერა, რომ ერთ-ერთი საუბრის დროს 1940 წლის ზაფხულში ბელადმა თქვა: „ეჟოვი არამზადაა, 1937 წელს ბევრი უდანაშაულო ადამიანი დაღუპა. ამის გამო დავხვრიტეთ“

გენერალური პროკურორი პანკრატოვი საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ამბ. ი.ბ. სტალინისა და სსრკ სახკომსაბჭოში ამხ. ვ.მ. მოლოტოვისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში წერდა: „იმ საქმეების გადახედვისას, რომლებიც განიხილეს ყოფილმა შინსახკომის სამმართველოების სამეულებმა და განსაკუთრებულმა სათათბიროებმა, გვხვდება ფაქტები, როცა სასჯელის უმაღლესი ზომა მისჯილი ჰქონდათ ადამიანებს, რომლებსაც დანაშაული არ ჩაუდენიათ, ან ჩაიდინეს, მაგრამ ისეთი, რომლის გამოც არ შეიძლებოდა მათი სიკვდილით დასჯა. მათ მიმართ განაჩენი აღსრულებულია.

ადგილებიდან შემოდის შეკითხვები დახვრეტამისჯილთა საქმეების გადახედვის შესაძლებლობისა და წესის შესახებ.

ამ რიგის საქმეები უნდა გადაიხედოს. შინსახკომის სამმართველოს სამეულის ან განსაკუთრებული სათათბიროს გადაწყვეტილება დახვრეტის შესახებ უქმდება ან იცვლება სრულიად საიდუმლო წესით და, გარდა შინსახკომისა და პროკურატურისა, არ გადაეცემა არცერთ დაწესებულებას, მათ შორის, არც ნათესავებს.

სასჯელმისჯილის ნათესავების რეაბილიტაცია. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა და საკავშირო პროკურორმა ჩაატარონ გამოძიება

იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დაუსაბუთებლად და უკანონოდ მიუსაჯეს დახვრეტა, და დამნაშავენი მისცენ პასუხისგებაში.

გთხოვთ მითითებას.

1939 წლის 13 დეკემბერი"

არსებობს მონაცემები, რომ ეჟოვის დაპატიმრების შემდეგ 1939, 1940 და 1941 წლების განმავლობაში სოციალისტური კანონმდებლობის დარღვევისათვის დააპატიმრეს და მსჯავრი დაადეს შინსახკომის 30 ათას თანამშრომელს.

სსრკ სახკომსაბჭოსა და საკ. კპ (ბ) ცკ 1938 წლის ნოემბრის დადგენილებაში „დაპატიმრებების, საპროკურორო ზედამხედველობისა და გამოძიების წარმოების შესახებ" ნათქვამია: „ხალხის მტრები, რომლებმაც შეაღწიეს შინსახკომის ორგანოებში როგორც ცენტრში, ასევე ადგილებზე, განაგრძობდნენ თავიანთ ძირგამომთხრელ საქმიანობას და ცდილობდნენ, ყოველნაირად გაეყალბებინათ საგამომძიებლო და აგენტურული საქმეები. ისინი შეგნებულად ამახინჯებდნენ საბჭოთა კანონებს, სჩადიოდნენ სიყალბეს, საგამოძიებო დოკუმენტების ფალსიფიცირებით, უმნიშვნელო მიზეზით, სრულიად უმიზეზოდაც კი აპატიმრებდნენ ადამიანებს, პროვოკაციული მიზნით ქმნიდნენ „საქმეებს" უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ, და, ამავე დროს, ყველა ზომას ხმარობდნენ დანაშაულებრივ ანტისაბჭოთა საქმიანობაში თავიანთი თანამებრძოლების დასაფარად და განადგურებისგან გადასარჩენად"

სტალინმა განახორციელა გადამწყვეტი ღონისძიებები თვითნებობისა და უკანონობის აღსაკვეთად, რასაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, გაწმინდა ისინი ჯაშუშებისა და პროვოკატორებისგან.

სტალინის ინიციატივით, 1939 წელს ბანაკებიდან გათავისუფლდა 327,4 ათასი კაცი, რომლებიც სისხლის სამართლის უმნიშვნელო დანაშაულისთვის იყვნენ მსჯავრდებულნი, მათ შორის, ბანაკებიდან — 223,6 ათასი ადამიანი, კოლონიებიდან — 103,8 ათასი.

1939 წლის 10 ივნისს საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს სხდომაზე მიიღეს დადგენილება ბანაკებში პატიმართა მუშაობის შესახებ.

„შრომის ნაყოფიერების ამაღლების ძირითადი სტიმული წარმოების კარგი მუშაკების მომარაგებისა და კვების გაუმჯობესებაა. სამუშაოზე უარის მთქმელთა და გამცდენთა წინააღმდეგ განახორციელონ იძულების მკაცრი ღონისძიებანი. ბანაკის ცხოვრებისა და წარმოების განსაკუთრებულად ბოროტი დეზორგანიზატორები დაიხვრიტონ. ზემოქმედების ამ ღონისძიებათა გამოყენების ყველა შემთხვევა ფართოდ

აცნობონ ბანაკებში მყოფთ. ბანაკის შრომითი ძალა საკვებითა და საწარმოო ტანსაცმლით მომარაგდეს იმ ანგარიშით, რომ შესაძლებელი იყოს. ნებისმიერ საწარმოში მისი მაქსიმალურად გამოყენება"

ამრიგად. აგენტურულ-ოპერატიული დამუშავების დროს, რაც შინსახკომის ორგანოებმა განახორციელეს, მთლიანად დადასტურდა აგენტ „სოკრატის" შეტყობინება. დადგინდა, რომ ტროცკიმ, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში განაგებდა სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს (თავდაცვის სახკომატს), შეიარაღებულ ძალებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე თავისი აგენტურის დანიშვნა შეძლო. მასში აღმოჩნდნენ თავდაცვის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელების ნაწილი და თითქმის ყველა ოლქისა და ფლოტის სარდალი, მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელები მათ დანაშაულებრივ საქმიანობას ფარავდნენ შინსახკომის ორგანოებში შეღწეული უცხოეთის დაზვერვების აგენტები იაგოდა, ფრინოვსკი, მედვედი, ვოლოვიჩი (შინსახკომის სამთავრობო დაცვის უფროსის მოადგილე), გაი (სსრკ შინსახკომის იმ განსაკუთრებული განყოფილების უფროსი, რომელიც ვალდებული იყო, კონტრდაზვერვითი სამუშაო განეხორციელებინა შეიარაღებულ ძალებში), პროკოფიევი (სსრკ შინსახკომის სახალხო კომისრის მოადგილე) და სხვები.


კონტრრევოლუციური ორგანიზაციების გამოვლენილმა მონაწილეებმა და უცხოელთა აგენტებმა გამოძიებისა და სასამართლო სხდომების დროს მთლიანად აღიარეს თავიანთი დანაშაულებრივი ანტისაბჭოთა საქმიანობა და დამსახურებულად დაისაჯნენ.

თუ რამდენად მოახერხა უცხოეთის აგენტურამ, დაეკავებინა უმაღლესი პოსტები პარტიასა და ქვეყანაში, დაბეჯითებით დასტურდება ფაქტით, რომ საკ. კპ (ბ) ცკ 139 წევრიდან და კანდიდატიდან, ვინც პარტიის XVII ყრილობაზე აირჩიეს, 98 კაცი შემდგომ რეპრესირებული იქნა. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ყველა შიდა თუ გარე შეთქმულება უძლურია, თუ საამისო შიდა პირობები არ არსებობს.

ქვეყანაში მტრული მეხუთე კოლონის ლიკვიდაციამ ხელი შეუწყო 1941-1945 წლების სამამულო ომში გამარჯვების მიღწევას. მხოლოდ 1940 წელს და 1941 წლის დასაწყისში მოხერხდა 66 კარგად კონსპირირებული გერმანული დაზვერვის რეზიდენტურის ლიკვიდირება, ლიკვიდირებულია აგრეთვე 1 600 მნიშვნელოვანი ფაშისტი აგენტი, მათ შორის 1 400 — სსრკ დასავლეთ რაიონებში.

ვ. უუხრაი






ბაქოს გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს პატიმარი. 1908 წელი




იოსებ სტალინი, ალექსეი რიკოვი, ლევ კამენევი (როზენფელდი), გრიგორი ზინოვიევი (რადომისლსკი)



ანასტას მიქოიანი, იოსებ სტალინი,
სერგო ორჯონიკიძე. 1925 წელი



სერგეი კიროვი, ლაზარ კაგანოვიჩი, სერგო ორჯონიკიძე,
იოსებ სტალინი, ანასტას მიქოიანი კრემლის ეზოში. 1932 წელი



ნიკოლაი ეჟოვი, მიხაილ კალინინი, იოსებ სტალინი



ლევ ტროცკი
(ლეიბა ბრონშტეინი)
წითელ მოედანზე



ლევ ტროცკის
უკანასკნელი ფოტო



ლიდერები: იოსებ სტალინი პოლიტბიუროს წევრებთან — კალინინთან, ვოროშილოვთან, კიროვთან, ორჯონიკიძესთან და კუიბიშევთან ერთად



იოსებ სტალინი საკ. კპ (ბ) XV ყრილობის დელეგატებს შორის




საკ. კპ (ბ) XVI ყრილობის დელეგატი იოსებ სტალინი



იოსებ სტალინი. 1935 წლის თებერვალი



იოსებ სტალინი და
სერგეი კიროვი
ლენინგრადში. 1926 წელი



იოსებ სტალინი და
სერგეი კიროვი
ბელომორ-ბალტიის არხის
დათვალიერებისას.
1933 წლის ივლისი



სტალინი და კაგანოვიჩი
კიროვის კუბოსთან.
1934 წლის 5 დეკემბერი, მოსკოვი



კიროვის დაკრძალვის
სამგლოვიარო პროცესია.
1934 წლის 6 დეკემბერი, მოსკოვი






ბუხარინი პარტიის
აქტივისტებთან ერთად



„სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს!“
მშრომელთა მიტინგი. მოსკოვი, 1937 წელი



ტუხაჩევსკიმ სტალინობა მოინდომა...



პირველი საბჭოთა მარშლები: (სხედან): მიხაილ ტუხაჩევსკი, კლიმენტ ვოროშილოვი, ალექსანდრ ეგოროვი, (დგანან): სემიონ ბუდიონი, ვასილი ბლიუხერი. 1935 წელი



იოსებ სტალინი და
ლეგენდარული მფრინავი ვალერი ჩკალოვი. 1936 წელი




სტალინი, ჩკალოვი, ბელიაკოვი:
შეხვედრა შორეული გადაფრენის შემდეგ. 1936 წლის 10 აგვისტო



სოსო ჯუღაშვილი პირველი მეუღლის ეკატერინე სვანიძის კუბოსთან



იაკოვლევი, კალინინი, სტალინი და მოლოტოვი დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე საქართველოს დელეგაციის წევრებთან ერთად



იოსებ სტალინი მეუღლესთან ნადეჟდა ალილუევასთან ერთად „როლს-როისში“. კრემლი, 1923 წელი



იოსებ სტალინი და კლიმენტ ვოროშილოვი მეუღლეებთან ერთად სოჭში. 1932 წელი



იოსებ სტალინი და მაქსიმ გორკი.
1931 წლის 19 მარტი



მაქსიმ გორკის დაკრძალვა.
1936 წლის 21 ივნისი



სტალინი პარტიულ ამხანაგებთან ერთად. 1939 წელი

თავი II
მეორე მსოფლიო ომის კვირაძალს

ნაწილი 1
გერმანია, იაპონია, თურქეთი, ფინეთი და რუმინეთი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანელ მეწარმეებს შეაქვთ თავიანთი წვლილი ჰიტლერული პარტიის ფინანსურად დასახმარებლად. შესატანის ოდენობა ყოველწლიურად მიღებული მოგების 5 პროცენტია. მიზანი: ზემოგების მიღების მიზნით მოიპოვონ მსოფლიო ბატონობა, შექმნან უძლიერესი, დიადი გერმანული იმპერია. ამასთან, ფსონს რასიზმზე დებენ. ჰიტლერს და მის პატრონებს — მრეწველ მაგნატებს რასიზმი მიაჩნიათ ყველაზე უფრო მოსახერხებელ საშუალებად, რომელიც შეიძლება დაუპირისპირონ გერმანელი მშრომელების კლასობრივ შეგნებას. აქედან — ფსონის დადება ეგრეთ წოდებულ არიულ რასაზე.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ცნობა

ჰიტლერს აქვს დიდი ნებისყოფა და გამორჩეული ჭკუა. გერმანიის ფაქტობრივი დიქტატორია, რომელიც ცივი სისასტიკით ერთპიროვნულად მმართველობს. ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლა მსოფლიოს იმპერიალისტური წრეების მიერ არის ორგანიზებული (უპირატესად ამერიკულ-ინგლისური იმპერიალიზმის მიერ), რომლებიც იმედოვნებენ, ფაშისტური გერმანიის ხელით გაუსწორდნენ საბჭოთა კავშირს. ჰიტლერის დიდი და მსოფლიოსთვის საშიში პირადი ნაკლი არის ის, რომ იგი აშკარად ავადმყოფურად დარწმუნებულია საკუთარ გენიალურობაში და თითქოს მისთვის დამახასიათებელ „ზებუნებრივ ინტუიციაში“, ამასთან, არ შეუძლია რეალური სინამდვილის

ანალიზი — ხედავს მხოლოდ იმას, რისი დანახვაც სურს.

გონივრულად ორგანიზებული პროპაგანდისტული მუშაობის წყალობით, გერმანელების უდიდესი რაოდენობა ფანატიკურად მიჰყვება ჰიტლერს. გერმანელი ნაცისტების მთავარი ლოზუნგებია: „ერთი რაიხი, ერთი ფიურერი“, „გაუმარჯოს გამარჯვებას“, „ფიურერისთვის სიკვდილი გერმანელის უზენაესი მოწოდებაა!“

მთელ თავისუფალ დროს ჰიტლერი კითხულობს. კითხულობს სწრაფად, ბევრს და საფუძვლიანად. შედეგად, დააგროვა დიდი ცოდნა სხვადასხვა დარგში, რითაც ხშირად განაცვიფრებს მასთან მოსაუბრე ადამიანებს. წიგნში „მაინ კამპფი“ ჰიტლერი წერს: „კითხვის ხელოვნება, ისევე, როგორც თვით პროცესი სწავლებისა, შემდეგია: დაიხსომო მთავარი და დაივიწყო ყველაფერი ზედმეტი“

ჰიტლერის, როგორც პიროვნების სრულად დასახასიათებლად შეიძლება დაგვეხმაროს მისი შემდეგი გამონათქვამი: „დედამიწა, როგორც გარდამავალი თასი, უძლიერესის ხელში მოსახვედრად ისწრაფვის. აი, უკვე მრავალი ათასწლეულია, ამ მიწაზე მიმდინარეობს განუწყვეტელი ბრძოლა“

ა. ლავროვი
1939 წლის 16 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

1939 წლის 14 აგვისტოს ჰიტლერის განცხადების შემდეგ: „უდიდესი დრამა კულმინაციას უახლოვდება. პოლიტიკური და სამხედრო წარმატების მისაღწევად აუცილებელია რისკის გაწევა“, გენერალმა თომასმა ჰიტლერის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათში აღნიშნა: „სწრაფმდინარე ომი და სწრაფმდინარე მშვიდობა სრული ილუზიაა. პოლონეთზე თავდასხმა მიგვიყვანს მსოფლიო ომამდე, რომლის საწარმოებლად გერმანიას არა აქვს არც ნედლეული, არც სურსათი“

გერმანიის სამხედრო-სამრეწველო შტაბის შეფასებით, ლითონი ომის 9-12 თვეს ეყოფათ, კაუჩუკი — 5-6 თვეს, ნავთობი — 4-5 თვეს.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

სსრკ-სა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულებიდან *(1939 წლის 23 აგვისტო. — **შემდგენ.**)*.

„მხარეები თავს შეიკავებენ ერთმანეთის მიმართ აგრესიული მოქმედებისა და თავდასხმისაგან და მხარს არ დაუჭერენ მესამე სახელმწიფოს, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილე მისი მხრიდან „სამხედრო მოქმედების ობიექტი“ გახდება... მხარეები ასევე კისრულობენ ვალდებულებას, რომ არ მიიღებენ მონაწილეობას სახელმწიფოთა დაჯგუფებებში, რომლებიც მიმართული იქნება ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲑᲐᲙᲘ

მზადდება პროვოკაცია გერმანია-პოლონეთის საზღვარზე, რომელიც ჰიტლერს პოლონეთზე თავდასხმის საბაბს მისცემს და მეორე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი იქნება.

1939 წლის 22 აგვისტოს ბერხტეს-გადანში გერმანელი გენერლების წინაშე გამოსვლისას ჰიტლერმა თქვა: „ჩვენი პოწინააღმდეგენი საწყალი ჭიები არიან. მე ისინი მიუნჰენში ვნახე“

„მე მივცემ ომის დაწყების პროპაგანდისტულ საბაბს. მნიშვნელობა არა აქვს, იქნება იგი დამაჯერებელი, თუ — არა. გამარჯვებულს შემდეგ არ შეეკითხებიან, ამბობდა თუ არა სიმართლეს. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ბლოკადის. აღმოსავლეთი უზრუნველგვყოფს პურით, ხორცით, ქვანახშირით, ტყვიით და თუთიით. ეს არის დიდი მიზანი და იგი მოითხოვს უზარმაზარ ძალისხმევას. მე მხოლოდ იმის მეშინია, რომ რომელიმე მეღორე შუამავლობას შემოგვთავაზებს“

ა. ლავროვი
1939 წლის 24 აგვისტო

წინადადება „აღმოსავლეთი უზრუნველგვყოფს პურით, ხორცით, ქვანახშირით, ტყვიით და თუთიით“ ხაზგასმულია ამხ. სტალინის მიერ.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲠ ᲨᲔᲯᲐᲛᲑᲘᲜᲔᲑᲐ

მანერჰეიმის ზოლი მდებარეობს ფინეთის ყურის გასწვრივ ლადოგის ტბამდე, სიგრძით 136 კილომეტრია. სამი თავდაცვითი, გამაგ-

რებული ზოლი, სიღრმეში 90 კილომეტრზე მეტია, 670 მსხვილი გამაგრებული პუნქტი.

ახლახან ფინეთში ჩასული იყო გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ფრიც გალდერი. დაინტერესდა მურმანსკისა და ლენინგრადის ოპერატიულ-სტრატეგიული მიმართულებებით.

ლენინგრადის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვრის ლენინგრადიდან ჩრდილოეთით რამდენიმე ათეული კილომეტრით გადატანა. ფინეთთან ასეთი მოლაპარაკების შედეგად ფინელები მიიღებდნენ 5 520 კილომეტრ საბჭოთა ტერიტორიას 2 761 კილომეტრი ფინეთის ტერიტორიის სანაცვლოდ.

ა. ლავროვი
1939 წლის 26 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1. ჰიტლერთან თათბირის შესახებ. 1940 წლის 22 ივლისი

ჰიტლერი: „სტალინი ელაციცება ინგლისს იმ მიზნით, რომ აიძულოს, განაგრძოს ომი და ამით შეგვბორკოს ჩვენ, რათა მოიგოს დრო და ხელთ იგდოს ის, რისი ჩაგდებაც სურს, მაგრამ ვერ ჩაიგდებს, თუ მშვიდობა დამყარდება. იგი მიისწრაფვის იმისკენ, რომ გერმანია ძალიან არ გაძლიერდეს. მაგრამ არ არის არავითარი ნიშანი, რომ რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრებს.

რუსული პრობლემა შეტევით გადაწყდება. უნდა მოვიფიქროთ მომავალი ოპერაციის გეგმა... დავამარცხოთ რუსეთის სახმელეთო არმია, ან, უკიდურეს შემთხვევაში, დავიკავოთ ისეთი ტერიტორია, რომლითაც შესაძლებლობა მოგვეცემა, რუსეთის ავიაციის თავდასხმისაგან დავიცვათ ბერლინი და სილეზიის სამრეწველო რაიონი. სასურველია რუსეთის ისეთ სიღრმეში შეღწევა, რომ ჩვენმა ავიაციამ შეძლოს მისი უმნიშვნელოვანესი ცენტრების განადგურება. აუცილებელია 80-100 დივიზია. რუსეთს 50-75 კარგი დივიზია ჰყავს“. გერმანიის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა ფონ ბრაუხიჩმა მიიღო ჰიტლერის დავალება, დაიწყოს სსრკ-ზე თავდასხმის გეგმის შემუშავება.

ამ გეგმას უშუალოდ გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის სამხედრო-ოპერატიული სამმართველოს უფროსის, გენერალ იოდლის ხელმძღვანელობით ამუშავებს გენერალ-მაიორი მარქსი.

ყველაზე უფრო სანდო ოფიცრებთან საუბრისას იოდლმა თქვა, რომ ჰიტლერმა გადაწყვიტა, დაიწყოს საომარი მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ 1940 წლის შემოდგომაზე.

თავდაპირველად სსრკ-ზე თავდასხმის გეგმას ეწოდებოდა „აღდგენა აღმოსავლეთში“, შემდეგ სახელწოდება „ფრიცით“ შეცვალეს, რის შემდეგაც ჰიტლერმა ბრძანა, ამ გეგმისთვის ეწოდებინათ „ბარბაროსა“ (ჟღალწვერა).

1940 წლის 18 დეკემბერს ხელი მოაწერა დირექტივას ოცდამეერთე ნომრით საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესახებ.

პაროლი ჯარებისთვის — თავდასხმის დაწყების ბრძანება — სიტყვა „დორტმუნდი“

2. გერმანიის მონოპოლიების მოგებათა შესახებ

გამალებულმა შეიარაღებამ, რომელიც დაკავშირებული იყო გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის მომზადებასთან, გაზარდა მონოპოლიების მოგება. თუ კონცერნ „იგფარბენინდუსტრის“ მოგება 1938/39 წელს 535 მლნ მარკა იყო, 1940/41 წელს უკვე 846 მლნ მარკა გახდა, ხოლო კონცერნ „კლანკნერ აგ“-ს — შესაბამისად 106,9 და 163,67 მლნ მარკა.

მსოფლიო ბაზრებზე იმპერიალისტთა შორის წინააღმდეგობებსა და კონკურენტულ ბრძოლაზე საუბრისას გერმანელმა მილიარდერმა კრუპმა განაცხადა: „ამ ბრძოლაში ჩვენ გვჭირდებოდა მტკიცე ხელმძღვანელობა. ჰიტლერმა იგი მოგვცა ჩვენ“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

1940 წლის 29 ივლისს გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის სამხედრო-ოპერატიული სამმართველოს უფროსმა, გენერალმა იოდლმა ჰიტლერისგან მიიღო დავალება, დაუყოვნებლივ შესდგომოდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმების შემუშავებას. სამხედრო-ოპერატიული სამმართველოს ოფიცერთა ვიწრო წრეში, ვინც მასთან ერთად საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმაზე მუშაობდა,

იოდლმა თქვა, რომ ფიურერმა გადაწყვიტა, რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყოს 1940 წლის შემოდგომაზე.

ა. ლავროვი
1940 წლის 1 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეჯამებინება

თათბირი ჰიტლერთან 1940 წლის 31 ივლისს ბერგჰოფში

(სტენოგრაფიული ჩანაწერი)

ამ თათბირზე ჰიტლერმა განაცხადა: „რუსეთი უკმაყოფილოა დასავლეთ ევროპაში მოვლენების სწრაფი განვითარებით. საკმარისია, რუსეთმა ინგლისს უთხრას, რომ მას არ სურს იხილოს ზედმეტად ძლიერი გერმანია, რომ ინგლისელები ჩაებღაუჭონ ამ განცხადებას, როგორც წყალწაღებული ხავსს და იმედი მიეცემათ, რომ ექვს-რვა თვეში საქმე სულ სხვაგვარად შემობრუნდება.

თუ რუსეთი განადგურდება, ინგლისი უკანასკნელ იმედს დაკარგავს. მაშინ ევროპასა და ბალკანეთში იბატონებს გერმანია.

დასკვნა: ამ განსჯიდან გამომდინარე, რუსეთი ლიკვიდირებულ უნდა იქნას. ვადა — 1941 წლის გაზაფხული *(სტალინმა ეს წინადადება წითელი ფანქრით ორჯერ გახაზა. — შემდგენ.)*.

რაც უფრო სწრაფად გავანადგურებთ რუსეთს, მით უკეთესი. ოპერაციას აზრი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი სწრაფი დარტყმით მთელ სახელმწიფოს ერთბაშად გავანადგურებთ. ტერიტორიის მხოლოდ ნაწილის დაპყრობა არასაკმარისია.

ზამთარში მოქმედების შეჩერება საშიშია. ამიტომ უკეთესია დავიცადოთ, მაგრამ მივიღოთ რუსეთის განადგურების მტკიცე გადაწყვეტილება.

ეს, აგრეთვე, აუცილებელია ბალტიის ზღვაზე მდგომარეობის გათვალისწინებითაც. მეორე დიდი სახელმწიფოს (რუსეთის) ყოფნა ბალტიის ზღვაზე აუტანელია. საომარი კამპანიის დაწყება — 1941 წლის მაისი. ოპერაციის ხანგრძლივობა — ხუთი თვე. უმჯობესი იქნებოდა, წლეულსვე დაგვეწყო, მაგრამ ეს ხელს არ გვაძლევს, რადგან ოპერაცია ერთი დარტყმით უნდა განვახორციელოთ. მიზანი — რუსეთის სასიცოცხლო ძალის განადგურება.

ოპერაცია იყოფა:

1-ლი დარტყმა: კიევი, დნეპრზე გასვლა; ავიაცია ანადგურებს მდინარის გადასასვლელებს. ოდესა.

მე-2 დარტყმა: ბალტიისპირეთის ქვეყნების გავლით — მოსკოვზე; შემდეგ ორმხრივი დარტყმა — ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან; მოგვიანებით — ნაწილობრივი ოპერაცია ბაქოს რაიონის ხელში ჩასაგდებად.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1939 წლიდან 1940 წლის აგვისტომდე იაპონიამ თავისი შეიარაღებული ძალები გაზარდა 12 დივიზიით — 250 ათასი კაცით, სამხედრო-საჰაერო ძალები გაზარდა ახალი კონსტრუქციის 1 000 თვითმფრინავით, გადააკეთა საზღვაო გემები 1 მლნ 250 ათასი ტონა საერთო წყალწყვის.

ა. ლავროვი
1940 წლის 15 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ერთი იაპონური რაზმი (რაზმი №731), რომელსაც ევალება ბაქტერიოლოგიური ომის წარმოება — შავი ჭირის, ქოლერის, ჰაეროვანი განგრენის, მუცლის ტიფის, პარატიფის, ციმბირის წყლულის ბაქტერიები, — კოდირებულია „კვანტუნის არმიის პროფილაქტიკისა და წყალმომარაგების სამმართველოს“ სახელწოდებით. 1940 წლის ზაფხულში ჩინეთში, ნიმბოს რაიონში თვითმფრინავიდან გაფანტეს შავი ჭირის ბაქტერიები, რის შედეგადაც წარმოიქმნა ეპიდემია და ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

ა. ლავროვი
1940 წლის 18 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

საკუთარ გარემოცვასთან სუფრასთან ერთ-ერთი საუბრის დროს, რომელიც საათობით გრძელდება, ჰიტლერმა თქვა: „ინგლისელები

საცოდავი, წვრილმანი მედუქნეებია, რომლებიც იმდენად ახლომხედველები არიან, რომ ვერ ამჩნევენ, რა საშიშროებას შეიცავს მათთვის რუსეთი“

ა. ლავროვი
1940 წლის 18 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მოლოტოვის ჰიტლერთან მოლაპარაკების დროს *(1940 წლის 12-13 ნოემბერი. — შემდგენ.)*, უკანასკნელი ცდილობდა მოეტყუებინა საბჭოთა მთავრობა, მოედუნებინა მისი სიფხიზლე ფაშისტური გერმანიის მიმართ, შეენიღბა გერმანიის სსრკ-ზე თავდასხმის მზადება და თქვა: „ევროპის ორი დიადი ხალხი მიაღწევს უფრო მეტს, თუ ერთად იქნებიან, ვიდრე მაშინ, თუ ერთმანეთის წინააღმდეგ იმოქმედებენ“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ბერლინში მოლოტოვთან საუბრის დროს ჰიტლერმა თქვა: „დარწმუნებული ვარ, რომ ისტორია საუკუნოდ დაიხსომებს სტალინს“ მოლოტოვმა უპასუხა, რომ მას ეჭვიც არ ეპარება, რომ ასე იქნება, რის შემდეგაც ჰიტლერმა დაამატა: „მაგრამ იმედი მაქვს, რომ ისტორია მეც დამიხსომებს“ მოლოტოვის აზრით, ჰიტლერს, ცოტა არ იყოს, ეშინია სსრკ-ის და ეშინია სტალინის.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანიაში ჰიტლერთან მოლაპარაკების შემდეგ თანამშრომლებთან საუბრის დროს მოლოტოვმა თქვა: „ჰიტლერი სულელი არ არის, ძალიან ნიჭიერი ადამიანია“

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲞᲐᲙᲘ

1940 წ. 3 დეკემბერს ჰიტლერმა ინახულა ავადმყოფი ფელდმარშალი ფონ ბოკი, რომელმაც ამ შეხვედრის შესახებ თავის დღიურში ჩაწერა შემდეგი: „ჩემი ავადმყოფობის შესახებ რამდენიმე შენიშვნის შემდეგ მან (ჰიტლერმა) მითხრა, რომ აუცილებელია საბჭოთა კავშირის აღგვა პირისაგან მიწისა. მაშინ ინგლისი უფრო სწრაფად დაკარგავს მსოფლიო მნიშვნელობასა და გავლენას. მე, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა ამ სიტყვებმა და ფრთხილად შევნიშნე, რომ რუსეთის თვალუწვდენელი სივრცე, ჩვენთვის უცნობი მისი შეიარაღებული ძალები, ჩვენი შეიარაღებული ძალებისთვისაც კი რთულსა ხდის ამ ამოცანის შესრულებას. ფიურერს სახე გაუცივდა და გაუმკაცრდა. მან უკმეხად მიპასუხა, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ გალაშქრება გერმანიისთვის ბედისმიერი დანიშნულებაა. წასვლის წინ კვლავ დატკბა და რწმენა გამოთქვა, რომ გამოვჯანმრთელდები და გადამწყვეტ როლს შევასრულებ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲨᲔᲙᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ

5.12.1940 წ.

ჰიტლერთან გამართული თათბირის შესახებ

ჰიტლერი: „უწინდელი სამხედრო კამპანიების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შეტევა შესაბამის ხელსაყრელ მომენტში უნდა დაიწყოს. ხელსაყრელი დროის არჩევა დამოკიდებულია არა მხოლოდ ამინდზე, არამედ მხარეთა ძალების შეფარდებაზე, შეიარაღებაზე და ა. შ. რუსები შეიარაღებაში ისევე ჩამოგვრჩებიან, როგორც ფრანგები. რუსებს ცოტა აქვთ თანამედროვე საველე არტილერიის ბატარეები. ყველაფერი დანარჩენი მოძველებული მატერიალური ნაწილია: ჩვენი ტანკი T-III 50 მმ ქვემეხით (გაზაფხულზე 1 500 გვექნება), როგორც წარმოგვიდგენია, აშკარად სჯობნის რუსულ ტანკს. რუსეთის ტანკების ძირითად ნაწილს ცუდი ჯავშანი აქვს.

რუსი ადამიანი არასრულფასოვანია“

წითელ არმიას რომ ახასიათებდა, ჰიტლერმა განაცხადა: „არმიას

არ ჰყავს ნამდვილი მეთაურები. ძალიან საეჭვოა, რომ ბოლო დროს მათ შეძლეს არმიაში სამხედრო ხელმძღვანელობის სწორი პრინციპების დანერგვა. რუსეთის არმიის დაწყებული რეორგანიზაცია გაზაფხულისთვის მას უკეთესს ვერ გახდის. გაზაფხულზე ჩვენ აშკარა უპირატესობა გვექნება მეთაურთა შემადგენლობის, მატერიალური ნაწილის, ჯარების მხრივ. ეს ყველაფერი რუსებს, უეჭველია, უფრო დაბალი ხარისხის ექნებათ. ასეთ არმიას ძლიერი დარტყმა რომ მივაყენოთ, მისი განადგურება გარდაუვალია.

რუსული არმიის წინააღმდეგ შეტევის დროს საჭირო არ არის, პირისპირ შევავიწროვოთ, რადგან ეს საშიშია. დასაწყისიდანვე ჩვენი შეტევა ისეთი უნდა იყოს, რომ ცალკეულ ჯგუფებად დავაქუცმაცოთ რუსული არმია და მოვაშთოთ იგი „ტომრებში“

ა. ლავროვი

ცნობა

სტალინმა წითელი ფანქრით ორი ხაზით გაბაზა ბოლო წინადადება და ძახილის ნიშანი დაუსვა.

ვ. ჟუხრაი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ გალდერის შენიშვნები (13.12.1940 წ. ჰიტლერთან თათბირისათვის)

„ევროპაში ჰეგემონიის საკითხის გადაწყვეტას წინ ეღობება რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომ აუცილებელია, მოვემზადოთ რუსეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, თუ ამას პოლიტიკური სიტუაცია მოითხოვს (დაინტერესებული სამსახურების ინსტანციები მიიღებენ შესაბამის დავალებებს).

ერთ ფრონტზე ომის საწარმოებლად ჩვენ (ე.ი. სახმელეთო ჯარებს) გაზაფხულისთვის (1941 წ.) უნდა გვყავდეს 130-140 დივიზია. სამხედრო-საჰაერო ძალებს ორ ფრონტზე მოუწევს ომი, რაც ქვეყნის ტერიტორიისა და ორივე ფრონტზე სახმელეთო ჯარების დაცვას ნიშნავს (ზაფხულში დღისით ბომბების დაშენის ოპერაციების შეზღუდვა).

სამხედრო-საზღვაო ფლოტმა უნდა უზრუნველყოს ბალტიის ზღვის იზოლაცია ორ ფრონტზე ომის საწარმოებლად. ჩვენ არ ვეძებთ კონფლიქტს რუსეთთან, მაგრამ 1941 წლის გაზაფხულიდან მზად უნდა ვიყოთ ასეთი ამოცანის შესასრულებლად“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲞᲐᲙᲘ

1941 წლის 2 თებერვალს ჰიტლერმა კვლავ ინახულა ავადმყოფი გენერალ-ფელდმარშალი ფონ ბოკი.

ჰიტლერის ამ ვიზიტის შესახებ ბოკმა თავის დღიურში ჩაწერა: „იმ პესიმიზმისგან განსხვავებით, რომელსაც ავლენს გენერალური შტაბი, ჰიტლერი დარწმუნებულია, რომ მოსკოვი სწრაფად განიცდის კრახს. მე შევნიშნე, რომ ჩვენ რუსებს დავამარცხებთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ბრძოლით გვიპასუხებენ. მაგრამ მათთან ძნელი იქნება რაიმე მშვიდობიანი მოლაპარაკების გამართვა. ფიურერმა მიპასუხა, რომ ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით ჩვენ შესანიშნავი მდგომარეობა გვაქვს. თუ რუსები უკრაინისა და მოსკოვის დაკარგვის შემდეგ განაგრძობენ წინააღმდეგობის გაწევას, ჩვენ წინ წავალთ, ციმბირამდე. მიუხედავად ამისა, — ვთქვი მე, — ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ბედის უკუღმართობისთვის. ამაზე ჰიტლერმა მტკიცედ მიპასუხა: „დარწმუნებული ვარ, რომ მათ მოეჩვენებათ, თითქოს ქარიშხალმა ახვეტა“

გამოჯანმრთელების შემდეგ ბოკი შეხვდა ჰიტლერს, რომელმაც აცნობა მას გერმანიის მიზნის შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში: „რუსეთის დანაწევრება მცირე სახელმწიფოებად და გერმანიის გავლენის სფეროს განვრცობა შორს — ურალს იქით“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲨᲔᲙᲣᲛᲑᲘᲜᲔᲑᲐ

1941 წლის 28 თებერვალს გენერალ-მაიორ თომასთან (გერინგის უახლოესი თანაშემწე, გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობასთან არსებული სამხედრო-ეკონომიკური შტაბის უფრო-

სი) გაიმართა თათბირი „ბარბაროსას“ გეგმის დამატებით „ოლდენბურგის“ შტაბის შექმნის შესახებ საბჭოთა კავშირის რაიონებისა და ოლქების გაძარცვის შესახებ, რომლებიც ოკუპირებული იქნება საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შემდეგ.

„შესაქმნელი შტაბის სამუშაო დარგების ორ სექტორად დაყოფა:

ა) შეტევის დროს მოწინავე ნაწილების მიდევნება, რათა თავიდან ავიცილოთ მარაგების განადგურება და უზრუნველვყოთ უმნიშვნელოვანესი ქონების გამოზიდვა.

ბ) ოკუპირებული სამრეწველო რაიონების მართვა და მათი მიმდებარე ეკონომიკური რაიონების შეფასება.

მთავარი ამოცანა: ნედლეულის რეკვიზირება და ყველა მნიშვნელოვანი საწარმოს დაპატრონება (მურა ნახშირი, მადანი, ქიმია, ნავთობი).

ეკონომიკის განყოფილებამ ყველა განყოფილების უფროსს და პოდპოლკოვნიკ ლუთერს უნდა წარუდგინოს რუსეთის შესახებ დამუშავების თითო ეგზემპლარი“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ამონარიდი გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსის დირექტივიდან.

უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკი.

1941 წლის 13 მარტი

სრულიად საიდუმლოდ

ინსტრუქცია განსაკუთრებული ოლქების შესახებ №21 დირექტივისათვის (გეგმა „ბარბაროსა“)

„საომარი მოქმედების დროს დაკავებული ტერიტორია, როგორც კი შესაძლებლობა მოგვეცემა, უნდა დაიყოს, სპეციალური მითითებებისამებრ, ცალკეულ სახელმწიფოებად დამოუკიდებელი მთავრობებით“

„სახმელეთო ჯარების მთავარსარდალს უფლება აქვს, განახორციელოს თავისი ძალაუფლება ამ ტერიტორიაზე და საამისოდ რწმუნებით აღჭურვოს არმიებისა და არმიების ჯგუფების სარდლები“

„ეს ტერიტორია, დასახლებული ხალხების ეროვნებისა და არმიების ჯგუფების საზღვრების გათვალისწინებით, თავდაპირველად დაიყოფა ოლქებად: ჩრდილოეთის (ბალტიისპირეთი), ცენტრალურ

(ბელორუსია) და სამხრეთის (უკრაინა). ამ ოლქებში პოლიტიკური მმართველობა გადაეცემა რაიხსკომისრებს, რომლებიც ფიურერისგან მიიღებენ შესაბამის ინსტრუქციებს“

„სამხედრო ოპერაციების დაწყებისთანავე სახმელეთო ძალების მთავარსარდალი გადაკეტავს საბჭოთა კავშირ-გერმანიის საზღვარს (შემდგომში საომარი მოქმედების რაიონის ზურგის საზღვარს) ყოველგვარი არასამხედრო სამგზავრო, საქონელბრუნვისა და საფოსტო-სატელეგრაფო კავშირისათვის“

შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსი კეიტელი.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲞᲐᲙᲘ

1941 წლის 17 მარტს, 15-დან 20 სთ და 30 წუთამდე გაიმართა თათბირი ჰიტლერთან.

ჰიტლერის გამონათქვამები ოპერაცია „ბარბაროსას“ შესახებ (სტენოგრაფიული ჩანაწერის ასლი).

„ჩვენ თავიდანვე უნდა მივაღწიოთ წარმატებას. ყოველგვარი მარცხი დაუშებელია.

მიზანშეუწონელია, გეგმაში ჩავრთოთ ის ძალები, რომელთა იმედი გარკვეულად არა გვაქვს. რაც შეეხება სახმელეთო ჯარებს, დარწმუნებით შეიძლება იმედი ვიქონიოთ მხოლოდ გერმანული ჯარების. ფინური ჯარები: მათგან შეიძლება ველოდოთ მხოლოდ იმას, რომ შეუტევენ ხანკოს და რუსეთის ფლოტს ბალტიისპირეთის რაიონში უკანდახევის შესაძლებლობას არ მისცემენ.

რუმინეთის იმედი არ შეიძლება გვქონდეს. რუმინეთის შენაერთებს შემტევი ძალა არა აქვთ.

შვედეთისგან არაფერს არ უნდა ველოდოთ, რადგან არაფრის შეთავაზება არ შეგვიძლია.

უნგრეთი სანდო არ არის. მას რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრების არავითარი მიზეზი არა აქვს. მისი მიზნები იუგოსლავიით შემოიფარგლება და აქ რამეს შევთავაზებთ.

სლოვაკები სლავები არიან. ისინი შეიძლება მოგვიანებით გამოვიყენოთ (როგორც საოკუპაციო ჯარები). რაკიტნოს რაიონში ჭაობები, როგორც ჩანს, არც ისე გაუვალი უნდა იყოს. როგორც ჩანს, არმიებს

შეეძლებათ აქ გავლა.

არმიების ჯგუფებმა „ჩრდილოეთმა“ და „ცენტრმა“ წინ უნდა წაიწიონ მდ. დნეპრამდე, შემდეგ კი დნეპრი საფარად გამოიყენონ და თავიანთი ძალები ჩრდილოეთისკენ მიმართონ. მოსკოვის დაპყრობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

არმიების ჯგუფი „სამხრეთი“: შეუტიონ ყველგან — პრინციპულად მცდარია. მდინარეები პრუტი და დნესტრი ისეთი ზღუდეებია, რომლებზეც ნებისმიერი შეტევა დაბრკოლდება. თავდაცვა დნესტრზე გაცილებით მტკიცეა, ვიდრე თავდაცვა რაინზე. ამიტომ არ უნდა შევუტიოთ პრუტის მიმართულებით. ამით აქედან მხოლოდ გავრეკავთ რუსებს, არადა, ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ისინი დარჩნენ *(სტალინმა ლურჯი ფანქრით ხაზი გაუსვა ამ წინადადებას. — ვ. ეუხრაი)*.

დასკვნა: რუმინეთის მიმდებარე რაიონებში ზუსტად იმდენი ჯარი უნდა გამოვიყენოთ, რამდენიც მის დასაცავად იქნება აუცილებელი. ყველა დანარჩენი კარპატების ჩრდილოეთით უნდა გამოვიყენოთ: ფრონტალურად, ჩრდილოეთის ფლანგზე დამრტყმელი დაჯგუფების შემდგომი გაძლიერებით ახალი მოძრავი შენაერთების თავმოყრის გზით. შეძლებისდაგვარად სწრაფად გამოვიყვანოთ რუმინეთიდან სატანკო ნაწილები. ზურგის რაიონების შესახებ: ჩრდილოეთ რუსეთში, რომელიც ფინეთს გადაეცემა — არავითარი სიძნელე. ბალტიისპირეთის სახელმწიფოები თავიანთი ადგილობრივი თვითმმართველობით შემოგვიერთდება. რუმინელები სიხარულით მიგვიღებენ, უკრაინა — უცნობია, დონის კაზაკები — უცნობია. ჩვენ უნდა შევქმნათ კომუნიზმისგან თავისუფალი რესპუბლიკები. სტალინის მიერ აღზევებული ინტელიგენცია უნდა განადგურდეს. ველიკოროსიაში აუცილებლად უნდა განვახორციელოთ უმკაცრესი ტერორი“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გენერალ-პოლკოვნიკ გალდერის ჩანაწერები
ჰიტლერის თათბირისათვის 1941 წლის 17 მარტს

1. „ბარბაროსა“. ოპერაციის დაწყება 16.05. — სახმელეთო ჯარები გარანტიას იძლევა, თუ ჯარების მე-3 ეშელონი, რომელიც ოპერაცია „მარიტა“ში მონაწილეობს, შეძლებს თავმოყრის დაწყებას 10.04.

2. მოწინააღმდეგე. ბალტიისპირეთის სახელმწიფოებზე ზემოქმე-

დება. სმოლენსკი. მინსკი. სატრანსპორტო გადაზიდვები (გერმანიის) სამხედრო საჰაერო ძალების მოთხოვნით ადრევე დაიწყო. ამიტომ ყურადღება (რუსების) უკვე გაძლიერდა.

3. ძალების თავმოყრა: დამატებით — რუმინეთი: სამი რჩეული დივიზია, ერთი მოტომექანიზებული დივიზია, ოთხი სამთო ბრიგადა — ბუკოვინაში. დანარჩენი დივიზიები — ოკუპაციისათვის.

უნგრეთი: ერთი სამთო ბრიგადა — მარცხენა ფლანგზე; დანარჩენი სამი ბრიგადა — რეზერვი.

ძალების დაკლება ოპერაცია „ბარბაროსასთვის“ ზიანის მიუყენებლად შეუძლებელია.

მოწინააღმდეგე: 100 მსროლელთა დივიზია, 25 ცხენოსანი დივიზია, 30 მოტორიზებული შენაერთი. სულ — 155 დივიზია.

ჩვენ — 101 ქვეითი დივიზია, 1 ცხენოსანი დივიზია, 32 მოძრავი დივიზია. სულ — 134 დივიზია.

4. რეზერვი — სულ 21 დივიზია (2 სატანკო დივიზიას პლუს 1 მოტორიზებული დივიზიის ჩათვლით): მათგან 9 დივიზია მონაწილეობს ოპერაცია „მარიტაში“ მაშასადამე, გარანტირებულია მხოლოდ 12 დივიზიის მონაწილეობა. ძალიან ცოტაა! კიდევ 5 დივიზია დასავლეთიდან (12-დან).

5. სამხედრო-საზღვაო ფლოტი:

ა. საზღვაო ტონაჟი ზღვაზე — ომის გამოცხადებიდან 14 დღის შემდეგ. შავ ზღვაზე ჩვენს განკარგულებაშია სატრანსპორტო საშუალებები საერთო ტვირთამწეობით 100 ათასი ტონა.

ბ. დაიბლოკოს რუსული ფლოტი. ხანკო, ალანდის კუნძულები.

6. სამხედრო-საჰაერო ძალები:

ა. დესანტის გადასხმა ოდესის რაიონში.

ბ. ტრანსპორტი მომარაგების ტვირთის გადაზიდვებისთვის.

გ. საზენიტო საფარველი — სუსტია . საკმარისია მხოლოდ ქ. ხანკოს ზურგის ნაწილების დასაცავად.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲞᲐᲙᲘ

1941 წლის 25 მარტს გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა გალდერმა თავის დღიურში ჩაწერა: „აღმოსავლეთში დაჭრილების მიღებისთვის მზადება. აღ-

მოსავლეთში ჰოსპიტალური ბაზისთვის არსებობს 50 ათასი საწოლი (საეტაპო სამხედრო ჰოსპიტლები). ისინი ემორჩილება არმიის რეზერვის სარდალს. მოვამზადებთ 38 სანიტარულ მატარებელს ამ ჰოსპიტლებიდან დაჭრილების გერმანიაში საევაკუაციოდ.

ჰოიზინგერი:

ა. აღმოსავლეთ ფრთაზე ახალ ვითარებასთან დაკავშირებით სტრატეგიული გაშლის დირექტივაში („ბარბაროსა") ცვლილების შეტანა. ცვლილება სამხედრო-საჰაერო ძალებისადმი მოთხოვნებში.

ბ. მზადების ჭრილში რუსული და გერმანული ძალების შედარება.

20.04-მდე ჩვენ რუსებზე გაცილებით სუსტები ვართ. 20.04-ის შემდეგ დივიზიები ისეთი რაოდენობით შემოგვემატება, რომ ეს საშიშროება მთლიანად აღმოიფხვრება".

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

გებელსი სსრკ-ზე თავდასხმის დროს გერმანელთა ჯარების მთავარი ამოცანის შესახებ: „ფიურერმა დაწვრილებით ამიხსნა ვითარება. რუსეთზე შეტევა დაიწყება, როგორც კი დასრულდება ჩვენი ძალების გაშლა. რუსები თავმოყრილნი არიან სწორედ საზღვარზე. ეს ყველაზე უკეთესია, რისი იმედიც შეიძლება გვქონოდა, უფრო საშიში იქნებოდა, სილრმეში ეშელონებად რომ განლაგებულიყვნენ. მათ აქვთ 150-200 დივიზია, შეიძლება, ცოტა ნაკლები, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, დაახლოებით იმდენივე, რამდენიც ჩვენ. მაგრამ მატერიალური ძალის მხრივ ისინი ჩვენ საერთოდ ვერ შეგვედრებიან. ჩვენ არ ვკამათობთ პრესაში, ხმას არ ვიღებთ საერთოდ და ერთ მშვენიერ დღეს დავარტყამთ"

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საღაზვერვო შეგყობინება

ჰიტლერულ შეიარაღებულ ძალებში მიმდინარეობს ოფიცერთა შემადგენლობის გაძლიერებული დამუშავება პირწავარდნილი ანტისაბჭოთა სულისკვეთებით „რუსეთის სპეციალისტთა" რეგულარული ლექციების მეშვეობით.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

ჰიტლერულ ხელმძღვანელობაში მოვალეობის განაწილების შესახებ სსრკ-ზე თავდასხმის მზადების მიმდინარეობისას.

ა. სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბი — უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი გალდერი — ძირითადად აღმოსავლეთზე შეტევის დოქტრინის კონკრეტული საკითხების დამუშავება.

ბ. ჰერმან გერინგი — აღმოსავლეთის ტერიტორიების ძარცვა მათი დაპყრობის შემდეგ. ეგრეთ წოდებული „ოლდენბურგის“ გეგმა.

გ. ალფრედ როზენბერგი — საოკუპაციო ადმინისტრაცია.

დ. ჰაინრიხ ჰიმლერი — საბჭოთა ხალხის ფიზიკური განადგურების აპარატის ორგანიზაცია და მომზადება.

ე. მარტინ ბორმანი — ჰიტლერთან ერთად ყველა საერთო, უმთავრესი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია აღმოსავლეთით ლაშქრობასთან.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1941 წლის აპრილში იუგოსლავიაზე შეტევის დროს ჰიტლერელებმა ბულგარეთის ტერიტორიაზე გაიარეს. აქ მათ სრული მხარდაჭერა ჰქონდათ.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1941 წლის 29 აპრილს ჰიტლერთან ბამართული თათბირი „ბარბაროსას“ გეგმისთვის დამატებების შესახებ. გეგმა „ოლდენბურგის“ ნაწილი

სსრკ ოლქების გასაძარცვად იქმნება 4 ინსპექცია:

1. ლენინგრადი („ჰოლშტეინი“). სამეურნეო რაზმები ქალაქებში: ვილნიუსი, რიგა, ტალინი, ლენინგრადი, მურმანსკი, ფილიალები ვოლოგდასა და არხანგელსკში.

2. მოსკოვი („ზაქსენი"). სამეურნეო რაზმები ქალაქებში: მინსკი, მოსკოვი, ტულა, გორკი, ფილიალები ბრიანსკში, იაროსლავლში, რიბინსკში.

3. კიევი („ბადენი"). სამეურნეო რაზმები ქალაქებში: ლვოვი, კიევი, კიშინიოვი, ოდესა, ხარკოვი, დნეპროპეტროვსკი, სტალინო, როსტოვი, სტალინგრადი, ფილიალები ქალაქებში: სევასტოპოლი, ქერჩი, ვორონეჟი, კურსკი.

4. ბაქო („ვესტფალენი"). სამეურნეო რაზმები: კრასნოდარი, გროზნო, ვორონეჟი, თბილისი, ბაქო, ერთი ფილიალი ბათუმში.

რეზერვში, მეხუთე ინსპექციასთან ერთად, პირობითი სახელწოდებით „ჰესენი" იქნება ერთი სამეურნეო რაზმი („ბორკუმი") და 2 ფილიალი.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გებელსმა თავის დღიურში ჩაწერა: „გერმანიაში ძალიან ცუდადაა სურსათის საქმე, მოგვიწევს ხორცზე ნორმის კიდევ უფრო შემცირება. მაშ, წინ! უკრაინის მდიდარი მინდვრები გვიზიდავს"

ა. ლავროვი
1941 წლის 8 მაისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანიის იმპერიული უშიშროების საგარეო დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსის შელენბერგის მოხსენებიდან *(მომზადებულია ჰიტლერისათვის 1941 წლის 10 მაისს ინგლისში ჰესის გაფრენასთან დაკავშირებით. — შემდგენ.)*

„... წლების განმავლობაში ჰესი იმყოფებოდა ბრიტანეთის დაზვერვისა და გერმანიაში მისი თანამზრახველების გავლენის ქვეშ. სწორედ მათი დახმარებით მან გადაწყვიტა გადაფრენილიყო შოტლანდიაში... ჰესი რომ შეამოწმეს, ინგლისელებმა დაასკვნეს, რომ მისი აუხსნელი ქმედება და საქმეები უფრო ფსიქიატრის კომპეტენციაა, ვიდრე პოლიტიკური ცენზორის"

ა. ლავროვი

ცნობა

სინამდვილეში ჰესი მიფრინავდა გერმანიის ინგლისთან კავშირის დასამყარებლად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ მარცხი განიცადა. ინგლისელებს პანიკურად ეშინიათ გერმანიის და არ სჯერათ მისი.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსის ბრძანება სამხედრო განსჯადობის შესახებ „ბარბაროსას“ რაიონში.

„უმაღლესი მთავარსარდლის შტაბ-ბინა
1941 წლის 13 მაისი
სრულიად საიდუმლოდ

საქმის აღძვრა ისეთი ქმედებისათვის, რასაც სამხედრო მოსამსახურეები და მომსახურე პერსონალი ჩაიდენენ მტრულ სამოქალაქო პირთა მიმართ, აუცილებელი არ არის იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს ქმედება ერთდროულად სამხედრო დანაშაული ან გადაცდომაა.

შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის
შტაბის უფროსი კეიტელი“.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაბაკი

1941 წლის 15 მაისს გერმანიის სამხედრო ნაწილებში მიიტანეს ევროპული რუსეთის სამხედრო-გეოგრაფიული რუკები. რუკებზე თანდართულ ტექსტში ნათქვამია: „ცენტრალური რუსეთი რუსეთის გულია, რომლის ხელში ჩაგდების შემდეგ მძლავრი შეიარაღებული ძალები მთელი ქვეყნის პარალიზებას მოახდენს და გათიშავს უდიდესი საბჭოთა სახელმწიფოს ყველა შემადგენელ ნაწილს, პერსპექტივაში კი მისი განადგურება შეუძლია. ცენტრალურ რუსეთზე შეტევის მთავარი მიზანი არის მოსკოვი“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1941 წლის მაისში გერმანელმა ბომბდამშენმა „იუნკერს-52“-მა შეუმჩნევლად გადაუფრინა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას და დაფრინდა მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე, რამაც აფიქრებინა ჰიტლერს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არ არის, მოიგერიოს ჰიტლერული აგრესია.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სურსათსა და სოფლის მეურნეობაში რწმუნებულის სტატსმდივნის ბაკეს ინსტრუქციიდან საოკუპაციოდ გამიზნულ სსრკ ტერიტორიაზე თანამდებობის პირების ქცევის შესახებ.

1941 წლის 1 ივნისი

„... თქვენი ღირსების შეგრძნებით უნდა განახორციელოთ ყველაზე უფრო სასტიკი და ულმობელი ღონისძიებები, რომლებსაც თქვენგან სახელმწიფო მოითხოვს. ცალკეული პირების ხასიათის სიმტკიცის უქონლობა სამუშაოდან მათი მოხსნის უეჭველი საბაბია. ის, ვინც ამ საფუძველზე იქნება გაწვეული, ვერ შეძლებს საპასუხისმგებლო პოსტების დაკავებას იმპერიის საზღვრებში.

ნუ ილაპარაკებთ, იმოქმედეთ. რუსს ლაპარაკში ვერ მოუგებთ და სიტყვებით ვერ გადაარწმუნებთ. ლაპარაკი მას თქვენზე უკეთ შეუძლია, რადგან იგი თანდაყოლილი დიალექტიკოსია და მემკვიდრეობად მიღებული აქვს „მიდრეკილება ფილოსოფოსობისკენ“ ნაკლებად სიტყვები და დებატები. მთავარია მოქმედება. რუსს მოსწონს მხოლოდ მოქმედება, რადგან ბუნებით ქალური და სენტიმენტალურია. „ჩვენი ქვეყანა მდიდარი და ბარაქიანია, წესრიგი კი არ არის, მოდით და დაგვეპატრონეთ“. ეს გამოთქმა გაჩნდა რუსეთის სახელმწიფოს შექმნისთანავე, როცა რუსები ნორმანებს ეძახდნენ, მოსულიყვნენ და ემართათ ისინი. ეს განწყობა წითელ ზოლად გასდევს რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის ყველა პერიოდს: მონგოლთა ბატონობას, პოლონელთა და ლიტველთა ბატონობას, მეფეთა თვითმპყრობელობას და გერმანელთა ბატონობას, ლენინამდე და სტალინამდე ჩათვლით.

რუსებს ყოველთვის სურთ, იყვნენ მასა, რომელსაც მართავენ. ასე

აღიქვამენ ისინი გერმანელთა მოსვლას, რადგან ეს მოსვლა ეთანხმება მათ სურვილს: „მოდით და გვეპატრონეთ“

ბაკე“.

დედანთან სწორია: ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერინგის ეგრეთ წოდებული მწვანე საქაღალდე: ჰიტლერელი ოკუპანტების მოქმედების შესახებ საბჭოთა კავშირის დაპყრობილ ტერიტორიაზე.

1941 წლის 15 ივნისი

„ოკუპაციისთვის გამიზნული ოლქების გამოყენება უნდა წარმოებდეს, უწინარეს ყოვლისა, მეურნეობის სასურსათო და ნავთობის დარგების სფეროებში. მივიღოთ გერმანიისთვის რაც შეიძლება მეტი სურსათი და ნავთობი — ასეთია კამპანიის მთავარი ეკონომიკური ამოცანა“.

„პირველი ამოცანაა გერმანული ჯარების სურსათით უზრუნველყოფა ოკუპირებული ოლქების ხარჯზე, რათა ამით შევამსუბუქოთ სასურსათო მდგომარეობა ევროპაში და განვტვირთოთ ტრანსპორტი“

„მთავარი სამრეწველო ნედლეული არის ნავთობი. ღონისძიებათა შორის, რომლებიც არ განეკუთვნება სასურსათო მომარაგებას, ყველა საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია ნავთობის მოპოვებასთან და მის გამოტანასთან, ყველა შემთხვევაში პირველ ადგილზე უნდა დადგეს. იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც ნავთობის რაიონებს ეხება, განსაკუთრებით, კავკასიას, შეიქმნება ნავთობის კონტინენტური სააქციო საზოგადოება“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული ბატაკი

გერმანია აუცილებლად თავს დაესხმება საბჭოთა კავშირს 1941 წლის ივნისში, რადგან არა აქვს საკუთარი ნავთობი და მარცვლეულის საკმარისი რაოდენობა, რაც მას სჭირდება მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად საომარი მოქმედების საწარმოებლად.

ა. ლავროვი
1941 წლის 16 ივნისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

რაიხსლაიტერ როზენბერგის სიტყვიდან საბჭოთა კავშირის დანაწევრების შესახებ.

1941 წლის 20 ივნისი

დღეს ჩვენ ვეძებთ „ჯვაროსნული ლაშქრობას“ ბოლშევიზმის წინააღმდეგ არა მხოლოდ იმიტომ, რომ სამარადისოდ გავათავისუფლოთ „საწყალი რუსები“ ამ ბოლშევიზმისგან, არამედ იმიტომ, რომ განვახორციელოთ გერმანული მსოფლიო პოლიტიკა და უშიშარვყოთ გერმანული იმპერია.

ჩვენი პოლიტიკის ამოცანები, როგორც ვფიქრობ, მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ გონივრული და მიზანმიმართული ფორმით ავიტაცოთ ყველა ამ ხალხის მისწრაფება თავისუფლებისკენ და მივცეთ მათ გარკვეული სახელმწიფოებრივი ფორმები, ანუ საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ტერიტორიიდან ორგანულად გამოვჭრათ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები და ავამხედროთ ისინი მოსკოვის წინააღმდეგ, რითაც გერმანიის იმპერიას საუკუნოდ გავათავისუფლებთ აღმოსავლური მუქარისგან.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

ჰიტლერის წერილიდან მუსოლინის (1941 წლის ივნისი).

„დუჩე! ამ წერილს გწერთ იმ მომენტში, როცა თვეების განმავლობაში განუწყვეტელი ფიქრი, აგრეთვე, მუდმივი ნერვიული ლოდინი დამთავრდა ჩემს ცხოვრებაში უძნელესი გადაწყვეტილების მიღებით. რაც შეეხება აღმოსავლეთში ბრძოლას, დუჩე, იგი უთუოდ მძიმე იქნება. მაგრამ მე ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი დიდ წარმატებაში. თუ მე იძულებული ვიყავი, ამ წლის ბოლოსთვის დამეტოვებინა 60 ან 70 დივიზია, ეს მხოლოდ ნაწილია იმ ძალებისა, რომლებიც იძულებული ვარ, აღმოსავლეთ ფრონტზე მყავდეს. შინაგანად თავისუფლად ვგრძნობ თავს მას შემდეგ, რაც ამ გადაწყვეტილებამდე მივედი“

ა. ლავროვი

ნაწილი 2
აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1938 წლის 23 მარტს დიდ ბრიტანეთში სსრკ-ის ელჩთან ი.მ. მაისკისთან საუბრის დროს ჰიტლერული გერმანიის მხრიდან ინგლისისთვის მუქარის შესახებ უინსტონ ჩერჩილმა თქვა: „ჩვენ უსიკვდილოდ გვჭირდება ძლიერი რუსეთი. მე მძულს ტროცკი, დიდი ხანია, თვალს ვადევნებ მის საქმიანობას და რუსეთის ბოროტ გენიად მიმაჩნია. მე მთლიანად სტალინის პოლიტიკის მომხრე ვარ. სტალინი ქმნის ძლიერ რუსეთს, ეს ზუსტად ის არის, რაც ახლა ყველაზე მეტადაა საჭირო“

ჩერჩილი ვარაუდობს, გამოიყენოს სსრკ ინგლისის ინტერესებისათვის საბრძოლველად ჰიტლერის წინააღმდეგ.

ინგლისისა და სსრკ-ის კავშირის მოწინააღმდეგენი ლონდონსა და ვაშინგტონში ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს იმის თაობაზე, რომ ვითომ სსრკ სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სიდიდე არ არის და არ შეუძლია ქმედითი სამხედრო დახმარების გაწევა ჩეხოსლოვაკიისათვის.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

1938 წ. 17 მაისს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ბენეშმა ვიწრო წრეში განაცხადა: „რუსეთთან კავშირი მეორეხარისხოვანი ფაქტორია. თუ დასავლეთ ევროპა აღარ დაინტერესდება რუსეთით, ჩეხოსლოვაკიასაც დაეკარგება ყოველგვარი ინტერესი ამ კავშირისადმი“

ა. ლავროვი

მოხსენდა ამხ. ივანოვს 1938 წლის 19 მაისს.

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

მიუნჰენის შეთანხმების შემდეგ გერმანიაში საფრანგეთის ელჩმა ა. ფრანსუა-პონსემ 1938 წ. 3 ოქტომბერს გერინგთან საუბრისას განაცხადა: „დალადიე ძალიან ენდობა ფიურერს და მოხარული იქნებოდა, თავი დაეღწია „სახალხო ფრონტისთვის" საფრანგეთში და მოსკოვთან კავშირისათვის"

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

ბერჰტესგადენში ჰიტლერთან შეხვედრის წინ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა გალიფაქსმა 1938 წლის 12 სექტემბერს პრემიერ ჩემბერლენთან საუბრისას განაცხადა: „მე შევძლებ, დავარწმუნო იგი (ჰიტლერი), რომ მას აქვს განუმეორებელი შესაძლებლობა, მიაღწიოს ინგლის-გერმანიის ურთიერთგაგებას ჩეხოსლოვაკიის საკითხის მშვიდობიანად გადაჭრის გზით. წარმოგიდგენთ პერსპექტივას, გამომდინარე იქიდან, რომ გერმანია და ინგლისი — ევროპული სიმშვიდის ორი ქვეყანა და კომუნიზმის წინააღმდეგ მთავარი საყრდენია, ამიტომ აუცილებელია, მშვიდობიანად გადავლახოთ ჩვენი ამჟამინდელი სიძნელეები. (...) ალბათ, შესაძლებელი იქნება, ვიპოვოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მისაღები იქნება ყველასათვის, რუსეთის გარდა"

ამერიკის ელჩი ინგლისში ჯ. კენედი 1938 წ. 13 ივლისს ინგლისში გერმანიის ელჩთან გ. დირკსენთან საუბრისას, აშშ-ის მთავრობის აზრს რომ გამოხატავდა, ამტკიცებდა, რომ გერმანიას აღმოსავლეთში თავისუფალი ხელები უნდა ჰქონდეს.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

1938 წლის 6 დეკემბერს საფრანგეთისა და გერმანიის თავდაუსხმელობის შესახებ დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ საფრანგეთის სა-

გარეო საქმეთა მინისტრმა ჟორჟ ბონემ თქვა: „ამიერიდან გერმანიის პოლიტიკა ბოლშევიზმთან ბრძოლაზეა ორიენტირებული. გერმანია გამოხატავს აღმოსავლეთისკენ აგრესიის თავის ნებას“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეჯამება

ინგლისის პრემიერ-მინისტრ ნეველ ჩემბერლენის მიერ თავისი დისთვის გაგზავნილი წერილიდან.

1939 წ. 26 მარტს ინგლისის პრემიერმა ჩემბერლენმა დისთვის გაგზავნილ წერილში საბჭოთა კავშირისადმი თავისი დამოკიდებულების შესახებ დაწერა შემდეგი: „უნდა ვაღიარო, რომ რუსეთისადმი უაღრესად უნდობლად ვარ განწყობილი. სრულებით არ მჯერა, რომ მას შეუძლია ეფექტიანი შეტევითი ოპერაციების განხორციელება, კიდეც რომ სურდეს ამის გაკეთება. მე არ ვენდობი მის მოტივებს, რომლებსაც, მიმაჩნია, ცოტა რამ აქვთ საერთო თავისუფლების ჩვენეულ გაგებასთან. იგი ცდილობს, ყველა გათელოს“

ა. ლავროვი
1939 წლის 28 მარტი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტური პაკეტი

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩრდილოეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელი კოლერი 1939 წლის 26 აპრილს ამტკიცებდა, რომ მისი მთავრობა ხელ-ფეხს არ შეიბოჭავს სსრკ-ის გამო, რადგანაც სურს მისცეს გერმანიას შესაძლებლობა, განავითაროს აგრესია აღმოსავლეთისკენ რუსეთის ხარჯზე.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტური პაკეტი

1939 წლის 16 მაისს ბრიტანეთის მთავრობის სხდომაზე გალიფაქსმა განაცხადა: „სსრკ-სთან სამხედრო ხელშეკრულების წინააღმ-

დეგ პოლიტიკური არგუმენტები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამხედრო მოსაზრებანი ამგვარი პაქტის სასარგებლოდ“

ჩემბერლენი: „მე უმალ გადავდგები, ვიდრე საბჭოებთან კავშირს ხელს მოვაწერ. რაც შეეხება რუსებს, ისინი მართლაც მიისწრაფვიან, მიაღწიონ ჩვენთან შეთანხმებას“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1939 წლის 4 ივლისს ბრიტანეთის მთავრობამ განიხილა მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკების საკითხი. მიღებულია გადაწყვეტილება: ყოველნაირად გააჭიანურონ მოლაპარაკება და შეთანხმებამდე საქმე არ მიიყვანონ.

დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ინგლისის პარლამენტის წევრმა ლოიდ ჯორჯმა ამ მოლაპარაკებებზე ინგლისის მთავრობის მოქმედების შესახებ შემდგომ განაცხადა:

„მისტერ ჩემბერლენი უშუალოდ ჰიტლერთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. მასთან შესახვედრად გერმანიაში გაემგზავრა. იგი და ლორდი გალიფაქსი რომშიც ჩავიდნენ. ისინი იყვნენ რომში, მუსოლინის სადღეგრძელოს სვამდნენ და კომპლიმენტებს ეუბნებოდნენ. მაგრამ ვინ გაგზავნეს რუსეთში? ამ მიზნისთვის ვერ იპოვეს კაბინეტის ყველაზე მოკრძალებულ წევრთა შორის; მათ გაგზავნეს საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკი. ეს შეურაცხყოფაა. მათ არა აქვთ ზომიერების გრძნობა, ისინი ვერ ითვალისწინებენ მდგომარეობის ამჟამინდელ სირთულეს, როცა მსოფლიო უფსკრულის პირას აღმოჩნდა“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ამენგარული პაქტი

ბერლინში მიაჩნიათ, რომ თუ სსრკ, ინგლისი და საფრანგეთი შეძლებენ მოლაპარაკებას, მათ წინააღმდეგ გერმანიის ომი შეუძლებელი იქნება.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

ინგლისის დაზვერვის თანამშრომელმა მონტგომერი ჰაიდმა ვაშინგტონში გერმანიის საელჩოს მიუგდო პროვოკაციული დეზინფორმაცია: „როგორც კი ჰიტლერი თავს დაესხმება ინგლისს, სსრკ იმავე წუთს დაიწყებს სამხედრო მოქმედებას გერმანიის წინააღმდეგ. პრევენტიულ დარტყმას მიაყენებს სამხრეთ პოლონეთს“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

შინსახკომში, ლიტერულ საქმეში „შავი ბერტა“ მოთავსებულია ლონდონიდან აგენტის (ფილბი) შეტყობინება, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ინგლისის დაზვერვას უბრძანა, ყველა საშუალებით გაავრცელოს მტკიცება, რომ სსრკ ამზადებს პრევენტიულ დარტყმას ფაშისტურ გერმანიაზე, რომ ომი სსრკ-სა და გერმანიას შორის გარდუვალია. ფაშისტური რაიხის ხელმძღვანელებს სსრკ-ის მხრიდან ომის შესაძლებლობით აშინებენ.

მიზანი: გერმანია სსრკ-ის წინააღმდეგ ომში გამოიწვიონ.

ა. ლავროვი

მოხსენდა ამხ. ივანოვს.

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საეცშეტყობინება

ინგლისის მთავრობამ შეიმუშავა გეგმა ღონისძიებებისა, რომლებმაც უნდა გამოიწვიოს ჰიტლერის სსრკ-ზე თავდასხმის პროვოცირება. მთავარი ამ ღონისძიებათაგან „ცნობების“ გავრცელებაა, რომ სსრკ ამზადებს პრევენტიულ დარტყმას გერმანიის წინააღმდეგ.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

ინგლისი და საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში პოლონეთს არ დაეხმარებიან.

ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეების მიზანია, მიუახლოვონ ჰიტლერის ჯარები სსრკ-ის საზღვრებს, რათა მათ შეძლონ, თავს დაგვესხან.

ა. ლავროვი
1939 წლის 18 ოქტომბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

ინგლისის დელეგაციის მოქმედების შესახებ მოლაპარაკებაზე მოსკოვში.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვში ინგლისის საელჩოს თანამშრომლებს აცნობა, რომ ჰიტლერული აგრესიის აღკვეთის მიზნით არავითარი ხელშეკრულება სსრკ-სა და ინგლისს შორის დადებული არ იქნება. დიდი ბრიტანეთის მიზანია, ერთმანეთს დააჯახოს სსრკ და გერმანია.

ინგლისელები ვერ ხვდებიან, რომ ამხ. სტალინმა იცის მათი მზაკვრული გეგმები. სსრკ-ის ინტერესებისთვის საჭიროა, დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი (რომელსაც გვთავაზობს გერმანია) ფაშისტურ გერმანიასთან.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანიასთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულების ხელმოწერამ *(1939 წ. 23 აგვისტო. — შემდგენ.)* ლონდონში პანიკა გამოიწვია.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1940 წ. 7-8 მაისს ინგლისის პარლამენტში ომის მიმდინარეობის განხილვა. ჩემბერლენის გრძელმა და არადამარწმუნებელმა მოხსენებამ პარლამენტის ბევრი წევრი გააღიზიანა.

ინგლისის სამხედრო მინისტრი ჰორ-ბელიშა: „ჩვენ ყოველთვის ვაგ-

ვიანებთ, უიმედოდ ვაგვიანებთ. ჩვენ გვმართავენ ბებრები, რომელთაც არ ესმით მდგომარეობა და დროის მოთხოვნები. რითაა დაკავებული მთავრობა? ისეთი ქაღალდების შედგენით, რომლებიც არავის სჭირდება! პრემიერი გვარწმუნებს, რომ არავითარი ომი არ იქნება და რომ გაზაფხულისთვის გერმანიასთან მშვიდობას მოვაწერთ ხელს. სისულელეა!“

ლეიბორისტი ეტლი: „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთავრობას არ შეუძლია დაგეგმვა, არა აქვს საკმარისი ინფორმაცია და არ შეუძლია, ყურადღება გაამახვილოს მთავარ საკითხებზე. მის ანგარიშზე მხოლოდ წარუმატებლობებია. იმ ბრძოლაში, სადაც ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება, არ გვაქვს უფლება, ქვეყნის ბედი იმ ხელმოცარულებს ან იმ ადამიანებს ჩავუგდოთ ხელში, ვისაც დასვენება სჭირდება“

გავლენიანი კონსერვატორი ლ. ემერი: „დადგა დრო, ჭეშმარიტად ეროვნული მთავრობის შედგენისა. წაგიკითხავთ, თუმცა, ამის დიდი სურვილი არ მაქვს, კრომველის სიტყვებს, რომლებითაც მან „გრძელ პარლამენტს“ მიმართა მაშინ, როცა კრომველი მივიდა დასკვნამდე, რომ ამ პარლამენტს ერის საქმეების წარმართვა აღარ შეუძლია. კრომველმა მაშინ თქვა: „თქვენ მეტისმეტად დიდხანს ისხედით საიმისოდ, სიკეთე რომ აკეთოთ. წადით და დაე, ბოლო მოგეღოთ. თუ ღმერთი გწამთ, წადით“

ლოიდ ჯორჯი: „პრემიერი ყველას მსხვერპლის გაღებისკენ მოუწოდებდა. საზეიმოდ ვაცხადებ, რომ მას პირადად შეუძლია საუკეთესო მაგალითის მოცემა ამ მიმართულებით. გამარჯვების საქმეში იგი უდიდეს წვლილს შეიტანდა, თუ მსხვერპლად შეწირავდა იმ პოსტს, რომელიც ახლა უკავია“

კარიერისტული მოსაზრებებით, ჩერჩილი ჩემბერლენისა და მისი მიუნჰენელების კომპანიის წინააღმდეგ არ გამოსულა. თავის ახლობელთა წრეში კი განაცხადა: „ჩემბერლენს სურდა ვეფხვზე *(ჰიტლერს გულისხმობდა)* და მის მიმდევრებზე ამხედრებულიყო, ეს სისულელეა“

ჩემბერლენის მთავრობისადმი ნდობის საკითხზე კენჭისყრის შედეგები: ნდობას ხმა მისცა პარლამენტის 281 წევრმა, მთავრობის წინააღმდეგ — 200-მა. პარლამენტის სხდომის შემდეგ, ჩემბერლენი, ვითომ თავისი ინიციატივით, გადადგა. პრემიერ-მინისტრად დაინიშნა უინსტონ ჩერჩილი, რომელმაც ამ პოსტზე დანიშვნისას განაცხადა: „მე ვერაფერს შემოგთავაზებთ, გარდა სისხლის, შრომის, ცრემლისა და ოფლის. ჩვენს წინაა ჟამი მძიმე ტანჯვისა. თქვენ მკითხავთ, როგო-

რია ჩვენი მიზანი. გიპასუხებთ ერთი სიტყვით: გამარჯვება, გამარჯვება რადაც უნდა დაგვიჯდეს. გამარჯვების გარეშე სიკვდილს ვერ გადაურჩება ბრიტანეთის იმპერია“

გალიფაქსი საგარეო საქმეთა მინისტრად დარჩა. სამხედრო მინისტრად დაინიშნა იდენი. ანტისაბჭოელებს ინგლისში მეთაურობს სემიუელ ჰორი, თავგადაკლული მიუნჰენელი, რომელმაც დიდი ბრიტანეთის ინტერესები ჰიტლერს ანაცვალა. ჩერჩილისა და ინგლისის მთავრობის ზურგს უკან დგას და მის საქმიანობას წარმართავს მსხვილი მონოპოლიების წარმომადგენელი, საგაზეთო მაგნატი ლორდი ბრივერბრუკი, რომელიც ინგლისის ფარული დიქტატორია. იგი უმსხვილესი მრეწველების ნებას გამოხატავს და დიდი ბრიტანეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს. მოქმედებს ხისტად და მკაცრად. იმდენად მძიმედაა დაავადებული ასთმით, რომ შეტევების დროს, მდგომარეობა რომ როგორმე შეუმსუბუქონ, თვითმფრინავით ჰაერში აჰყავთ. ჩერჩილი გამოცდილი პოლიტიკოსია, მაგრამ მასში ბევრი რამაა მსახიობური, თამაშობს მაყურებლებზე. ეძალება ალკოჰოლს. მტკიცე ანტისაბჭოელია. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე გალიფაქსის დატოვება მეტყველებს, რომ ინგლისის მიერ განხორციელებული პროვოკაციული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, მისწრაფება — უბიძგონ საბჭოთა კავშირს გერმანიასთან საომრად, გაგრძელდება. აქ არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ ჰიტლერს, რომელმაც ერთხელ განაცხადა: „ინგლისელები პატივს სცემენ მას, ვინც ნოკაუტში აგდებს“ ეშმაკეული ფიურერი მართალია: კბილებში რომ მოხვდებათ, ინგლისელები უცებ ფხიზლდებიან და რეალისტური პოლიტიკის განხორციელებას იწყებენ.

ტყუილად კი არ განაცხადა თავის დროზე მათმა ერთ-ერთმა გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ: „ინგლისს არა ჰყავს მუდმივი მოწინააღმდეგეები ან მოკავშირეები, მუდმივი მხოლოდ მისი ინტერესებია“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეხსენება
ჩერჩილის შესახებ

„1940 წლის 10 მაისს უინსტონ ჩერჩილი დაინიშნა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრად, ამავდროულად იგი არის პარლამენტში თემთა პალატის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი. 1940 წლის

სექტემბერში აირჩიეს ინგლისის მმართველი კონსერვატიული პარტიის — მონოპოლისტური კაპიტალის ლიდერად. აქამდე კონსერვატორებს მისდამი ირონიული და უაღრესად მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ.

ერთმა ჟურნალისტმა ფრიად ხატოვნად გამოხატა ეს დამოკიდებულება: „კონსერვატორები სავსებით მზად იყვნენ, უფლება მიეცათ მისთვის (ჩერჩილისთვის), ეთამაშა ინგლისური ღრენია ბულდოგის როლი, მაგრამ მიაჩნდათ, რომ ასეთი ბულდოგის ადგილი სასადილოში კი არა, საძაღლეშია, ეზოში“

როგორც შთამომავლობითი ინგლისელი არისტოკრატის, ჰერცოგ მალბოროს ვაჟს, აქვს მტკიცე კავშირები ინგლისის სამეფო კარზე, ინგლისის ორივე პოლიტიკური პარტიის (კონსერვატიული და ლეიბორისტული) ხელმძღვანელობაში, ინგლისის ინტელიგენციის წრეებსა და ხელოვნების მოღვაწეთა შორის.

დიდი ბრიტანეთის სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელობა და მთელი მისი საგარეო პოლიტიკა თავმოყრილია ჩერჩილის ხელში და მის ზურგს უკან მდგარი კულისებსმიღმა პირებისთვის.

უინსტონ ჩერჩილმა დაამთავრა ცხენოსანთა სასწავლებელი, რომლის დამთავრებისთანავე მიენიჭა სამხედრო წოდება ჰუსართა ლეიტენანტი. სხვაგან არსად ოფიციალურად არ უსწავლია. უმაღლესი განათლება არა აქვს, მაგრამ თვითგანათლების შედეგად (ისტორიაში, ფილოსოფიაში,. ხელოვნების ისტორიაში, მრავალი წიგნის გულდასმით წაკითხვის შედეგად), აგრეთვე სხვადასხვა ხელმძღვანელ პოსტებზე პრაქტიკული მუშაობით (ინგლისის პარლამენტის მუშაობაში რეგულარული მონაწილეობის გარდა უინსტონ ჩერჩილს ეკავა პოსტები: ვაჭრობის მინისტრის, დაკავებული იყო ვაჭრობის, მრეწველობის, ნაოსნობის, რკინიგზის, მთავრობის მუშათა კლასთან ურთიერთობის, საავტორო უფლებებისა და პატენტების საკითხებით; სამხედრო-საზღვაო მინისტრის; ფინანსთა მინისტრის (მნიშვნელობით მეორე პოსტი ინგლისის მთავრობაში); შინაგან საქმეთა მინისტრის; სამხედრო მინისტრის; აქვს ფართო საერთო თვალსაწიერი.

ჩერჩილის მსოფლმხედველობა ძირითადად ჩამოყალიბდა ისტორიკოსების მაკალეისა და გიბონის შრომების, კიპლინგის ნაწარმოებების გავლენით, რომელიც ხოტბას ასხამდა ინგლისური იმპერიალიზმის დამპყრობლურ პოლიტიკას. ოფიციალური უმაღლესი განათლების არქონის მიუხედავად ჩერჩილმა შეძლო გამხდარიყო ცნობილი

ჟურნალისტი და ლიტერატორი, რაც მისი პიროვნების განსაკუთრებულობაზე მიგვანიშნებს. ავტორია მრავალრიცხოვანი წიგნებისა, რომლებიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დაწერილია თანაშემწეებისა და ლიტერატორ-დამმუშავებელთა დახმარებით.

სამხედრო წოდება — მაიორი. ექვსი თვის განმავლობაში მეთაურობდა ბატალიონს. მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში ინგლის-ბურების ომში, ინდოეთში, სუდანსა და ეგვიპტეში. ბრძოლის დროს თავი გამოავლინა როგორც გაბედულმა და შეუპოვარმა მეომარმა.

უკიდურესობამდე გააებული ანტისაბჭოელია. ცხოველური სიძულვილი აქვს დიდი ოქტომბრის რევოლუციისა და, საერთოდ, რუსეთის, ეზიზღება როგორც დიდი სახელმწიფო, რომელმაც თავისი მოქმედებით არაერთხელ ჩაშალა ინგლისელთა ხრიკები ევროპასა და აზიაში. მომხრეა რუსეთის დანაწევრებისა წვრილ, ეკონომიკური თვალსაზრისით სუსტ სახელმწიფოებად. ერთ-ერთი ორგანიზატორია 1918-1920 წლებში თეთრგვარდიული არმიებისა და ინტერვენციისა რუსეთის ცალკეულ სახელმწიფოებად დაშლის მიზნით და შემდგომ რუსეთისა და მისგან გამოყოფილი ამ სახელმწიფოების ინგლისური იმპერიალიზმის კოლონიებად გადასაქცევად. ინგლისის სამხედრო მინისტრი რომ იყო, ჩერჩილმა ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებს რუსეთში გაუგზავნა დიდი რაოდენობით აღჭურვილობა და იარაღი, რისთვისაც მილიონობით გირვანქა სტერლინგი გამოიყენა. დაუღალავად საჯაროდ აცხადებდა, რომ ჩანასახშივე უნდა დაახრჩონ სოციალისტური რევოლუცია რუსეთში. ჩერჩილის აქტიური მოღვაწეობის წყალობით თეთრგვარდიელი გენერლები დენიკინი და კოლჩაკი რუსეთში სამოქალაქო ომის მიმდინარეობისას აქტიურად იცავდნენ ინგლისური იმპერიალიზმის ინტერესებს.

ამ მიმართებით საინტერესოა აქტიური თეთრგვარდიელის ბორის სავინკოვის ჩვენება, რომელმაც 1924 წელს მის საქმეზე მიმდინარე სასამართლო გამოძიებაზე მისცა: „ჩერჩილმა (იმ დროს ინგლისის სამხედრო მინისტრმა) მაჩვენა რუსეთის სამხრეთის რუკა, რომელზეც ალმებით ნაჩვენები იყო დენიკინისა და ჩვენი (საბჭოთა) ჯარების განლაგება. მან დენიკინის ალმები მაჩვენა და უცებ მითხრა: „აი, ჩემი არმია“

„რუსეთი, რომლის შემადგენლობაში შევიდოდა რამდენიმე სახელმწიფო ფედერაციის საფუძველზე, — პროვოკაციულად წერდა ჩერჩილი, რუსეთში ინტერვენციის დროს, — ნაკლებად საშიში საფრთხე იქნებოდა ყველა ქვეყნის მომავალი მშვიდობისათვის, ვიდრე ვრცელი

ცენტრალიზებული სამეფო მონარქია. ახლა სწორედ ისეთი მომენტია, როცა იმგვარი კრიტიკული მდგომარეობის გამო, რომელშიც იმყოფება რუსეთში არსებული ყველა პარტია და ყველა მისი სამხედრო ძალა, იქმნება შესაძლებლობა, მოკავშირეთა გონივრული შერიგების პოლიტიკის დახმარებით მოვლენები სწორედ ასეთი მიმართულებით შემოვაბრუნოთ“

ასეთი ოცნება მხოლოდ ჩერჩილს არ ჰქონდა.

1919 წლის ნოემბერში ინგლისის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა, ამერიკული დელეგაციის წევრთან, ვინმე პოლოკთან საუბარში თქვა: „დადგა დრო, ვნახოთ, შეიძლება თუ არა მივაღწიოთ შეთანხმებას საბჭოთა მთავრობასთან იმაზე, რომ საქართველო, აზერბაიჯანი, ბესარაბია, უკრაინა, ბალტიის პროვინციები და ფინეთი, ასევე, შესაძლებელია, ციმბირიც, დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ.

ერთიანი რუსეთი ყოველთვის სერიოზული საშიშროება იქნება ევროპისათვის“

ინგლისური იმპერიალიზმის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია რუსეთის დანაწევრებისკენ, წითელ ზოლად გასდევს დიდი ბრიტანეთის მთელ საგარეო პოლიტიკას. ინგლისი აკეთებს ყველაფერს, რათა ამ მიზნით შიგნიდან ააფეთქოს რუსეთი. ამასთან მთავარი მიზანია, რუსეთის ინგლისის კოლონიად გადაქცევა.

ერთ დროს რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა ძალიან ზუსტად შენიშნა: „ტემზის ნაპირებზე თავი მოიყარა კაპიტალისტური სამყაროს მთელმა პოლიტიკურმა სიბრძნემ. ტემზის სახელმწიფო ადამიანებს შეუძლიათ შორს გაიხედონ და აქვთ გამახვილებული გუმანი აღმავალი პოლიტიკური ძალების მიმართ. შეთანხმდნენ ახალ ისტორიულ ძალასთან, რათა გააუვნებელყონ იგი, — აი, ინგლისის ტრადიციული სახელმწიფო ხელოვნების ზეიმი“

ინგლისური იმპერიალიზმის მხრიდან ჩვენი ქვეყნისთვის მოსალოდნელი საფრთხის შეუფასებლობა, მრავალწლიანი გამოცდილებისა და ინგლისური დაზვერვის მზაკვრობის გათვალისწინებით, დაუშვებელია. ამიტომ ინგლისური აგენტურის დაუნდობელი განადგურება ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

გამოვლენილი ინგლისელი აგენტები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არალეგალურად იმყოფებიან და ჩვენი მხედველობის არეში ხვდებიან, ან ნეიტრალიზდებიან, ან ხდება მათი გადმობირება და ჩვენთან მუშაობის მიზნით ინგლისში დაბრუნდება.

ეს რომ არ გავიკეთოთ, საბჭოთა ხალხს დიდი უსიამოვნებანი ელოდება.

ინგლისელი პროფესიონალი მზვერავები, რომელთაც ქება-დიდებას ასხამს ჩერჩილი (ამტკიცებს, რომ ინგლისური დაზვერვა მსოფლიოში უძლიერესია), უმეტესად, როგორც ჩვენმა გამოცდილებამ გვაჩვენა, არიან მშიშრები და, ამასთან, უაღრესად გაიძვერები და მზაკვრები, აბსოლუტურად არ გააჩნიათ მორალური პრინციპები.

როცა მათ სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება, თავისუფლად თანხმდებიან გადმობირებაზე. ფულზე უაღრესად დახარბებულები არიან.

ამჟამად (სტრატეგიული ხასიათის საკითხებში) ინგლისური დაზვერვისა და ინგლისის მთავრობის საქმიანობა ჩვენს კონტროლქვეშ იმყოფება.

მინისტრის პოსტიდან გათავისუფლების შემდეგ ჩერჩილი დიდი ხნით ჩამოაცილოს ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებას: არამარტო ვერ ხვდებოდა მთავრობაში, არამედ არაერთხელ ჩავარდა პარლამენტის არჩევისას.

იძულებული იყო, თავი შეენახა მხატვარ ჩარლზ მორენის ფსევდონიმით დახატული თავისი სურათების გაყიდვითა და ლიტერატურული საქმიანობით. მისი ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, როცა მიიღო მემკვიდრეობა გარდაცვლილი შორეული ნათესავის, მარკიზა ლონდონდერისგან. როგორც ჩანს, მემკვიდრეობის მიღება ჩერჩილის, როგორც მომავალი პერსპექტიული პოლიტიკოსის, გარკვეული ფარული წრეების (უწინარესად — ამერიკელების) მიერ დაფინანსების მხოლოდ ფიქტიური საფარველია. მაგრამ ჩერჩილის დაფინანსების წყაროს დადგენა, თუ ასეთი მართლაც არის, ჯერ ვერ მოხერხდა. სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ ერთი რამ — მისი ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა მას შემდეგ, რაც დაამყარა მეგობრული ურთიერთობა გავლენიან ამერიკელ მოღვაწესთან, ვინმე ბერნარდ ბარუხთან, რომელსაც დიდი გავლენა აქვს პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტზე და რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ინგლისის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწესთან, ლორდ ბივერბრუკთან. ეს უკანასკნელი ჩერჩილის ახლო მეგობარი გახდა. შემდგომ სწორედ ბერნარდ ბარუხმა დააახლოვა ჩერჩილი რუზველტთან, მერე კი ურჩია, გამხდარიყო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი და ამერიკის მმართველი წრეების მიერ ამ ღონისძიების მხარდაჭერა განახორციელა.

თავისი პოლიტიკური მრწამსით ჩერჩილი სიმპათიითაა განწყობი-

ლი ფაშიზმის მიმართ. განსაკუთრებით ფაშისტების ბრძოლის მიმართ მუშათა კლასის წინააღმდეგ. 1927 წელს იმყოფებოდა რომში, როგორც ბენიტო მუსოლინის საპატიო სტუმარი.

პრესკონფერენციაზე აღფრთოვანებული ადიდებდა ფაშისტ დიქტატორს.

„როგორც მრავალი სხვა ადამიანი, — ამბობდა ჩერჩილი ამ პრესკონფერენციაზე, — მე მომხიბლა სენიორ მუსოლინის რბილმა მანერამ. ყველა ხედავს, რომ იგი მხოლოდ იტალიელი ხალხის ხანგრძლივ კეთილდღეობაზე ფიქრობს“

იტალიელ ფაშისტებს რომ მიმართავდა, ჩერჩილმა განაცხადა: „იტალიელი რომ ვყოფილიყავი, დარწმუნებული ვარ, მთელი სულითა და გულით ვიქნებოდი თქვენს გვერდით, ლენინიზმის წინააღმდეგ თქვენს ტრიუმფალურ ბრძოლაში. მაგრამ ინგლისში ჩვენ არ გვიხდება ამ საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლა ისეთი მძიმე ფორმით, როგორც თქვენთან. ჩვენ საქმის კეთების ჩვენი მეთოდი გვაქვს, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებთ კომუნიზმთან შერკინებაში და მოვაშთობთ მას“

1935 წლის სექტემბერში ჩერჩილმა საჯაროდ განაცხადა, რომ მუსოლინი „დიდი ადამიანი და ბრძენი მმართველია“

მუსოლინისთან თავისი „მეგობრობის“ გამოყენებით, ცდილობდა, იტალია ინგლისისკენ „გადაექაჩა“, ფაშისტი დიქტატორის მოსყიდვასაც ცდილობდა, მაგრამ ხელი მოეცარა.

ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში ჩერჩილმა, ინგლისელ პოლიტიკოსთაგან პირველმა შეამჩნია ფაშისტური გერმანიის მხრიდან ინგლისის მიმართ მზარდი საშიშროება. რის გამოც 1933 წლის აპრილში ერთ-ერთ თავის გამოსვლაში განაცხადა:

„გერმანელები მოითხოვენ თანასწორობას შეიარაღებაში და თანასწორობას არმიისა და ფლოტის ორგანოებში. ეს მეტად საშიში მოთხოვნებია. მაგრამ თუ გერმანია თავის მეზობლებთან სამხედრო მდგომარეობაში სრულ თანასწორობას მიაღწევს, იმ დროს, როცა მისი საკუთარი პრეტენზიები ჯერ კიდევ არ იქნება დაკმაყოფილებული და როცა მას ასეთი განწყობილება ექნება, რომელსაც ჩვენ მწუხარებით დავაკვირდებით, უეჭველად აღმოვჩნდებით საერთო ევროპული ომის განახლების პირას“ უნდა დავაფასოთ ჩერჩილის წინასწარმეტყველება. მისი პროგნოზი გამართლდა.

ჰიტლერმა საჯაროდ განაცხადა: „კარგი იქნებოდა, რომ ადამიანებს ინგლისში დაეივიწყებინათ ზოგიერთი მანერა, რაც მათ ვერსალის ეპოქი-

დან მემკვიდრეობად მიიღეს. ჩვენ ვეღარ ავიტანთ გუვერნანტების მეურვეობას". ამ დროიდან ჩერჩილი, მისი მეგობრები და მფარველები ცდილობენ ააცილონ საფრთხე ინგლისს და ფაშისტური აგრესია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართონ. ასეთი პოლიტიკა ინგლისისთვის ტრადიციულია. ჯერ კიდევ 1917 წელს პეტროგრადზე გენერალ კორნილოვის კონტრრევოლუციური შეტევის ჩაშლის შემთხვევაში, ინგლისელები აპირებდნენ გერმანული ჯარების გამოყენებას რევოლუციის გასანადგურებლად.

1918 წელს ლონდონში გამოჩნდა გეოგრაფიული რუკები, რომელზეც კოლის ნახევარკუნძული (ნიკელით უაღრესად მდიდარი) ინგლისის კოლონიების მწვანე ფერად იყო შეღებილი.

ჩერჩილის დამოკიდებულება ჰიტლერისადმი

ჩერჩილს აშკარად ესიმპათიურება ჰიტლერი, როგორც კომუნიზმის მტერი. ამავე დროს ეშინია, რომ ინგლის-ამერიკული იმპერიალიზმის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად გამოზრდილი გერმანელი იმპერიალისტები თავს დაესხმიან ინგლისს. რაც შეეხება ჩერჩილის დამოკიდებულებას ჰიტლერის პიროვნებისადმი, 1935 წელს სტატიაში „ჰიტლერი და მისი არჩევანი" იგი წერდა:

„მიუხედავად იმისა, რომ არცერთ მომდევნო პოლიტიკურ მოქმედებას არ ძალუძს დაგვავიწყოს არასწორი ქმედება, ისტორიაში უამრავი მაგალითია, როცა ადამიანებს, რომლებმაც ხელთ იგდეს ძალაუფლება მკაცრი, უწყალო და დაშინების მეთოდებით, ამის მიუხედავად, მათ ცხოვრებას განიხილავენ როგორც მთლიანობას, აფასებენ როგორც დიდ ფიგურებს, რომელთა მოღვაწეობამ გაამდიდრა კაცობრიობის ისტორია"

და შემდეგ: „ევროპაში უძლიერეს სახელმწიფოდ გერმანიის აღორძინებაში მიღწეული წარმატების შემდეგ, მან (ჰიტლერმა) არამარტო აღადგინა თავისი ქვეყნის მდგომარეობა, არამედ ფრიად მნიშვნელოვნად შეცვალა პირველი მსოფლიო ომის შედეგები. რაც უნდა იფიქრონ ამ ძალისხმევაზე, იგი უეჭველად დგას კაცობრიობის ისტორიის გამორჩეულ მიღწევათა რიგში"

1937 წელს ჩერჩილი ჰიტლერის შესახებ წერდა:

„ზოგიერთს შეიძლება არ მოსწონს ჰიტლერის სისტემა, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც აღფრთოვანებულია მისი პატრიოტული მიღწევებით. ჩვენი ქვეყანა რომ დამარცხებულიყო, ჩვენ უნდა გვეპოვა ასე-

თივე შესანიშნავი ლიდერი, რომელიც აღადგენდა ჩვენს გამბედაობას და დაგვიბრუნებდა ჩვენს ადგილს ხალხთა შორის“

ჩერჩილის დამოკიდებულება მიუნჰენის გარიგების მიმართ

იგი ინგლისის დამარცხებად მიაჩნია. „უომრად დავმარცხდით, — თქვა ჩერჩილმა მიუნჰენის გარიგების გამო, — რომლის შედეგებს ძალიან დიდხანს ვიწვნევთ. ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი ისტორიის საშინელი ეტაპი, როცა ევროპის წონასწორობა დაირღვა. ჩემთვის აუტანელია მისი ძალისა და გავლენის ქვეშ მოქცევა და იმის შეგნება, რომ ჩვენი არსებობა დამოკიდებული იქნება მის კეთილ ნებასა და ახირებაზე“. მაგრამ ჩერჩილი ჩემბერლენის პოლიტიკას ღიად არ დაპირისპირებია.

როცა ინგლისის პარლამენტმა 366 ხმით 144-ის წინააღმდეგ დაამტკიცა მიუნჰენში დადებული ხელშეკრულება, ჩერჩილმა მხოლოდ თავი შეიკავა კენჭისყრისგან.

1939 წლის მაისიდან ჩერჩილი აქტიურად გამოდის სსრკ-სთან სამხედრო ხელშეკრულების დასადებად, ამტკიცებს, რომ ეს ერთადერთი გზაა გერმანიის აგრესიისთვის გზის გადასაღობად. ასე, 1939 წლის 4 მაისს ჩერჩილმა განაცხადა: „არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს ნაცისტური აგრესიის შემოტევისგან აღმოსავლეთის ფრონტის დაცვისა რუსეთის მხრიდან აქტიური ხელშეწყობის გარეშე. უმთავრესია, დრო არ დავკარგოთ“

ინგლისის პარლამენტში სსრკ-სთან მიმდინარე მოლაპარაკების გამო გამოსვლისას, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები და გერმანულ-ფაშისტური აგრესიის საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართვას ცდილობდნენ, ჩერჩილმა თქვა:

„ვერ გამიგია, რა გაქვთ საწინააღმდეგო, რომ რუსეთთან დაიდოს ხელშეკრულება, რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ შემოთავაზებული ფართო და მარტივი ფორმით? კავშირის ერთადერთი მიზანია — წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესიის შემდგომ აქტებს და დაიცვას აგრესიის მსხვერპლნი. ცუდი რა არის ამ უბრალო წინადადებაში? რატომ არ გსურთ, რუსეთის მოკავშირე გახდეთ დღეს, როცა ამით შეძლებთ ომის თავიდან აცილებას?“ ფაშისტური გერმანიის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლებით, მოთხოვნით, რომ საბ-

ჰოთა კავშირთან დადებულიყო სამხედრო ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ, ჩერჩილმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ინგლისელ ხალხში. აქტიური მიუნჰენელის ჩემბერლენის მთავრობაში იგი სამხედრო-საზღვაო მინისტრად და კაბინეტის წევრად ინიშნება.

1939 წლის სექტემბერში ჩერჩილთან მიმოწერას იწყებს აშშ-ის პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი.

„მე მსურს, — სწერდა იგი ჩერჩილს, — რომ თქვენ და პრემიერ-მინისტრმა იცოდეთ, ყოველთვის მოხარული ვიქნები, თუ პირადად თქვენ მაცნობებთ ყველაფერს, რასაც საჭიროდ ჩათვლით“

ამ მომენტიდან იწყება წერილების რეგულარული გაცვლა რუზველტსა და ჩერჩილს შორის. წერილებს ეს უკანასკნელი ხელს აწერს ფსევდონიმით „ყოფილი სამხედრო მეზღვაური“.

ალიანსი, რომელიც დამყარდა რუზველტსა და პირწავარდნილ ანტიკომუნისტ ჩერჩილს შორის, შემთხვევითი არ არის. ამერიკული იმპერიალიზმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისეთივე უბოროტესი მტერია, როგორიც ინგლისური. 1917 წელს აშშ-ის იმპერიალისტები აკეთებდნენ ყველაფერს, რაც მათზე იყო დამოკიდებული, რათა ჩაეხშოთ სოციალისტური რევოლუცია რუსეთში, გადაექციათ იგი თავიანთ კოლონიად.

ამ მიზნით აშშ-მა თავის აგენტს კერენსკის მისცა 5 მილიარდი დოლარის სესხი. ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე აშშ-ის ელჩი რუსეთში ფრენსისი ეკითხებოდა ამერიკის მაშინდელ სახელმწიფო მდივან ლანსინგს, როგორ აღიქვამს სახელმწიფო დეპარტამენტი, რუსეთს, როგორც კოლონიას რომ მოეპყრონ. სწორედ ის ფრენსისი, რომელიც კერენსკის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისგან მოითხოვდა, მოეწყოთ ტერორისტული აქტი და მოეკლათ ვლადიმერ ილიჩ ლენინი.

1919 წელს ერთ-ერთი გავლენიანი ამერიკული გაზეთი წერდა: „აშშ-ს ბევრი იარაღი და დოლარი აქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეადგინა რუსეთის სპეციალური რუკა, რომელზეც რუსებისთვის მხოლოდ შუა რუსეთის ზეგანი იყო გამოყოფილი. რუსეთის დანარჩენი ტერიტორია უნდა გადასულიყო აშშ-ის, ინგლისის, იაპონიის და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მფლობელობაში. რუკის დანართში განმარტებული იყო, რომ რუსეთი უნდა დაიყოს დიდ ოლქებად, თითოეული თავისი განსაკუთრებული ეკონომიკური ცხოვრებით. ამასთან,

ეს ოლქები ეკონომიკურად ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ რუსებს საშუალება არ მიეცეს, კვლავ შექმნან ერთიანი სახელმწიფო. აშშ-ის იმდროინდელი პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის ინიციატივით შეიქმნა ამერიკული კომპანია „სამხედრო-სავაჭრო საბჭოს რუსეთის განყოფილება“

აი, ასეთ ამოცანებს უსახავდა თავის თავს და რუსეთს ეს „კომპანია“:

„წიაღისეულის დაზვერვა, რკინის მადნის და ძვირფასი მინერალების მოპოვების ორგანიზება, მიწისა და ტყის სავარგულების შესყიდვა, სასტუმროებისა და რესტორნების ყიდვა და მშენებლობა, რკინიგზების ყიდვა და ექსპლუატაცია. საკრედიტო და საბანკო ოპერაციები (რუსეთის ეკონომიკის აშშ-ის ეკონომიკისადმი დაქვემდებარება კაბალური სესხების მიცემის გზით)“

ცნობილია ისიც, რომ აშშ-მა კაპიტალისტური ქვეყნებიდან უკანასკნელმა (მხოლოდ 1933 წ.) ცნო საბჭოთა რესპუბლიკა (სამაგიეროდ, პირველმა ცნო კერენსკის კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობა), ამერიკულმა მონოპოლიებმა, ინგლისურთან ერთად შექმნა, შემდეგ კი გერმანიის ხელისუფლებაში მოიყვანა ჰიტლერი იმ იმედით, რომ აემხედრებინა სსრკ-ის წინააღმდეგ.

აშშ-ის იმპერიალისტი მრეწველები ხარბად უცქერდნენ და უცქერიან რუსულ ოქროს, პლატინას, ვოლფრამს, ნავთობს, ქვანახშირს, მადანს, ტყეებს. ამ ყველაფრის ხელში ჩასაგდებად, ისინი მზად არიან, გარისკონ და ნებისმიერი სამხედრო ავანტიურა, ომიც კი განახორციელონ სსრკ-ის წინააღმდეგ, უკეთესია, რასაკვირველია, სხვისი ხელით — ფაშისტური გერმანიის ხელით.

ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე ფრენსისი აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ლანსინგს რუსეთის შესახებ სწერდა:

„ევროპული და ამერიკული გაზეთები დაწვრილებით აღწერენ ამ იმპერიის დიდებულებას, მის დაუმუშავებელ სიმდიდრეებსა და კოლოსალურ შესაძლებლობებს. ომის დამთავრების შემდეგ დაიწყება დიდი ბრძოლა რუსული ბაზრისთვის. ამერიკელი მეწარმენი როგორც სანუკვარ ლუკმას, ისე უცქერიან მინერალების ბუდობებს, ჰიდროენერგიის უდიდეს წყაროებს და რკინიგზების მშენებლობის იმ შესაძლებლობას, რასაც ეს ქვეყანა იძლევა.

ყველას მიაჩნია, რომ მსოფლიოში არ არის სხვა ისეთი მხარე, რომე-

ლიც შეძლებს შეედაროს მას“

შემთხვევით არ იყო, რომ ლენინი წერდა: „ინგლისურ-ამერიკული იმპერიალიზმი არის ყველაზე რეაქციული, ყველაზე ცოფიანი, რომელიც ახრჩობს ყველა მცირე და სუსტ ხალხს, აღადგენს რეაქციას მთელ მსოფლიოში“

რადგან აშშ-ში ქვეყანას სინამდვილეში მრეწველი-მილიარდერები მართავენ, საშიშროება, რომელიც მათი მხრიდან ჩვენს ქვეყანას ემუქრება, საკმაოდ რეალურია. საბჭოთა კავშირი ჰეშმარიტად ყელში აქვთ გაჩხერილი.

აშშ-ის ნამდვილი, კულისებიდან მოქმედი მთავრობა მრეწველთა ეროვნული ასოციაციაა (შემოკლებით მეა), რომელშიც ტონის მიმცემი 400 ზემდიდარი ამერიკელია. ეს არის აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალის გონებრივი ცენტრი.

მრეწველთა ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელობა (ეგრეთ წოდებული მრგვალი მაგიდა, 10 უმსხვილესი მილიარდერის შემადგენლობით) აყალიბებს აშშ-ის სახელმწიფო აპარატს. პროფესიონალ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებიდან ირჩევს იმათ, ვისაც კარგად იცნობენ მონოპოლიები და რომლებიც ეკონომიკური თვალსაზრისით მთლიანად მათზე არიან დამოკიდებულნი.

შემთხვევითი არ არის, რომ ჯერ კიდევ 1914 წელს აშშ-ის იმდროინდელი პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი თავის წიგნში „ახალი თავისუფლება“ წერდა: „შეერთებული შტატების მთავრობის პატრონი შეერთებული შტატების მრეწველთა და კაპიტალისტთა კავშირია“

აშშ-ში მილიარდობით დოლარი იხარჯება იმისთვის, რომ ამერიკის სახელმწიფო მანქანამ იმუშაოს იმათ სასარგებლოდ, ვინც ამ დოლარებს იძლევა. შედეგად, აშშ-ის ხილული, ოფიციალური ხელისუფლება (მათ შორის, პრეზიდენტიც) მორჩილად განახორციელებს ნამდვილი, უხილავი ხელისუფლების — მონოპოლიების ინტერესებს.

1918-1919 წლებში 339-ე ამერიკული დივიზია, რომელიც „მოკავშირეთა“ ეგრეთ წოდებულ საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში შედიოდა, წითელი არმიის წინააღმდეგ არხანგელსკის ჩრდილოეთით იბრძოდა. 1918 წლის აგვისტოში აშშ-ის მთავრობამ გამოჰყო შეიარაღებული ძალები ვლადივოსტოკის ოკუპაციისთვის.

ამერიკელი მზვერავები: ამერიკის გენერალური კონსული მედლინ სამერსი, შემდეგ — მისი შემცვლელი დევიდ კლინტონ პული, რომელიც რუსეთში აშშ-ის ელჩის ფრენსისის სპეციალურ თანაშემწედ

იყო დანიშნული, ამერიკული დაზვერვის რეზიდენტი ვინმე კალამატიანო ფრენსისთან მჭიდრო კონტაქტში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ხლართავდნენ უამრავ შეთქმულებას, რომლებიც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ასე, კლინტონ პული 1918 წლის მაისში ვაშინგტონში გაგზავნილ პატაკში წერდა: „შექმნილია ჯგუფი, რომელიც ჩამოაყალიბებს ისეთ მთავრობას, ბოლშევიკების გადაყენებას რომ შეძლებს“.

1918 წლის 25 აგვისტოს გენერალურ საკონსულოში მის სამუშაო ოთახში დეტალურად განიხილეს ბოლშევიკების ბელადებზე თავდასხმის გეგმა.

ამერიკელი მღვდლის ქალიშვილი კაპლანი, რომელმაც ლენინს ესროლა, თავდასხმის წინ აშშ-დან ჩამოვიდა.

მეფის ყოფილ ოფიცერთა გადაბირებით, თეთრგვარდიელ გენერლებთან კალედინთან და კრასნოვთან მათი შემდგომი გაგზავნით აქტიურად იყო დაკავებული ამერიკელი მზვერავი ვ. ბარი, რომელიც უცხოელი კომერსანტის ნიღაბს იყო ამოფარებული.

ВЧК-ის მიერ დაპატიმრებულმა კალამატიანომ, რომელმაც აღიარა ამერიკულ დაზვერვასთან კავშირი, მოსკოვში მის მიერ შექმნილი აგენტურული ქსელის შესახებ აჩვენა:

„ჩვენი ორგანიზაცია ჯერ კიდევ 1918 წლის აპრილში ჩაისახა. ასეთი ორგანიზაციის სასურველობა და მიზანშეწონილობა ბატონ სამერსთან — რუსეთში ჩრდილოეთ ამერიკის გენერალურ კონსულთან — ჩემი საუბრების თემა იყო“.

1918 წლის 21 თებერვალს ფრენსისმა ვაშინგტონში გაგზავნა შიფროგრამა, რომელშიც ნათქვამი იყო: „დაბეჯითებით მოვითხოვ, რათა ჩვენს კონტროლს დავუქვემდებაროთ ვლადივოსტოკი, ინგლისელებსა და ფრანგებს — მურმანსკი და არხანგელსკი“

ამერიკელი ოკუპანტები საბჭოთა მიწაზე მხეცურ საშინელებას სჩადიოდნენ. ასე, ოკუპირებული არხანგელსკის ციხეებში გამომწყვდეული ჰყავდათ 38 ათასი პატიმარი, მათგან 8 ათასი დახვრიტეს, ათასამდე დაიღუპა შიმშილისა და ცემისაგან. ანალოგიურ დანაშაულს სჩადიოდნენ ამერიკელი ინტერვენტები ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მიწებზე. ამერიკული საექსპედიციო კორპუსის სარდალი, გენერალი გრევსი თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების უმოწყალობის შესახებ წერდა:

„სისასტიკე ისეთი იყო, რომ რუს ხალხს 50 წლის შემდეგაც ემახსოვრება იგი“

ამერიკის მმართველმა წრეებმა თავიანთ ინტერესებში გონივრულად გამოიყენეს ინგლისისა და საფრანგეთის ანტისაბჭოთა პოლიტიკა. ანტანტის უმაღლესი სარდლობის წერილში „რუსეთში მოკავშირეთა ინტერვენციის აუცილებლობის შესახებ“ 1919 წლის 18 იანვარს ნათქვამი იყო:

„თუ ანტანტას სურს შეინარჩუნოს ასეთი შრომით მოპოვებული თავისი გამარჯვების ნაყოფი, მან თვითონ უნდა გამოიწვიოს რუსეთის გადაგვარება ბოლშევიზმის დამხობის გზით და აღმართოს მტკიცე ზღუდე ამ ქვეყანასა და ცენტრალურ სახელმწიფოებს შორის. ინტერვენცია, რომელიც ამ მიზნისკენ მიისწრაფვის, მისთვის სასიცოცხლო აუცილებლობაა, პოლიტიკურ სიძნელეებს კი, რომელთაც იგი წარმოქმნის, არ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ინტერვენციაზე უარის სათქმელად ან მისი განხორციელების გადასავადებლად... ბოლშევიკური რეჟიმი შეუთავსებელია მტკიცე მშვიდობის დამყარებასთან. ანტანტის სახელმწიფოებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მისი რაც შეიძლება მალე მოსპობა, მისი სოლიდური ვალია, ამ მიზანს დაუკავშიროს თავისი ძალისხმევა“. 1919 წლის 15 თებერვლისთვის რუსეთში ინგლისისა და საფრანგეთის ინტერვენტების 130 ათას კაცამდე იყო შემოსული.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდნენ ინგლისისა და საფრანგეთის მზვერავები: ლოკარტი, ჰილი, რეილი, აკრიდე ვერტიმონი, ნისელი, დიუმა, რომლებიც საფრანგეთის ელჩთან ნულანსთან თანამშრომლობდნენ და რომელთა კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ესერების პარტიის ყველაზე უფრო აქტიური წევრები — ტერორისტები (სავინკოვი, ტიმოფეევი, დავიდოვი, რიხტერი და სხვ.).

ინგლისელი მზვერავი ჯორჯ ჰილი, რომელიც რუსეთში კამბერ-ჰიგსის გვარით მუშაობდა და დაკავშირებული იყო ვლადიმერ ილიჩ ლენინის მკვლელობის მცდელობასთან, 1932 წელს გამოაქვეყნა მემუარები, სადაც წერს: „მე ყოველდღიურად ვხვდებოდი რეილის (ინგლისელი მზვერავი, რომელიც რუსეთში პირადად უინსტონ ჩერჩილმა გამოგზავნა) და იგი მაცნობდა სახელმწიფო გადატრიალების გზით ბოლშევიკების დამხობის თავის საქმიანობასა და გეგმებს. რეილის გეგმა გაბედული და ოსტატურად დამუშავებული იყო. მას გამიზნული

ჰქონდა ლატვიელ მსროლელთა მიერ, რომლებიც პირად დაცვაში იმყოფებოდნენ, ბოლშევიკების მთელი აღმასრულებელი კომიტეტის დაპატიმრება ლენინის ჩათვლით. მე მუდმივად საქმის კურსში ვიყავი. რეილის რამე რომ დამართოდა, მე უნდა გამეგრძელებინა ეს საქმე“

ზომაზე მეტად თავგამოდებულმა კონტრრევოლუციონერმა, ინგლისელი და ამერიკელი ჯაშუშები რომ არ შეეშინებინა, საჭიროდ არ ჩათვალა, ეთქვა, რომ თეთრი ტერორის საპასუხოდ, რომელიც ასე დაუფიქრებლად გააჩაღა კონტრრევოლუციამ რუსეთში, ბოლშევიკებმა გამოაცხადეს წითელი ტერორი, რომლის დროსაც განადგურდა უცხოური აგენტურის მიერ შექმნილი ორგანიზაციები, მათი მონაწილენი კი დახვრიტეს. მათ შორის დაიხვრიტა ჩერჩილის მეგობარი, „ლეგენდარული“ რეილი, ლენინზე თავდასხმის უშუალო ორგანიზატორი.

1918 წლის 2 სექტემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა (რსბაკი) გამოაცხადა, რომ „თეთრი ტერორის საპასუხოდ ცხადდება მასობრივი წითელი ტერორი, რომ საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეებსა და სოციალისტური იდეების მატარებლებზე ყოველ თავდასხმაზე პასუხს აგებს ყველა კონტრრევოლუციონერი და ყველა მათი სულისჩამდგმელი“

წარსულში ასეთი დაწვრილებითი ჩახედვა დაგვჭირდა იმიტომ, რომ თქვენი ყურადღება კიდევ ერთხელ მიგვექცია ინგლის-ამერიკის მმართველი წრეების, მათ შორის, უინსტონ ჩერჩილის დღევანდელი პოლიტიკის ანტისაბჭოთა ფესვებისთვის. გვეჩვენებინა მათი დაზვერვების საქმიანობის ძირითადი მიმართულება.

ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ მმართველ პოლიტიკოსებთან ურთიერთობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ისინი ძალიან ხშირად სასურველს სინამდვილედ მიიჩნევენ, მზვერავები კი, პატრონების გული რომ მოიგონ, თავიანთ პატაკებს მათ გუნება-განწყობას უსადაგებენ.

აი, ამის დამადასტურებელი რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი. ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის ხელმძღვანელი წრეები დარწმუნებულები იყვნენ, რომ პირველი მსოფლიო ომით გაპარტახებულ რუსეთში ინტერვენცია იქნება რაღაც პოლიციური აქციის მსგავსი, „მცირე“ სამხედრო გასეირნება, რომელიც აღსავსე იქნება ეგზოტიკით და რომანტიკული თავგადასავლებით *(ამ აბზაცის გასწვრივ მინდორზე სტალინს ჩაუნიშნავს: „პოლიტიკური კრეტინები“ — შემდგენ.)*.

ფრანგი მზვერავი გენერალი ბერტელო არწმუნებდა საფრანგეთის პრეზიდენტს, რომ რუსეთში სოციალისტური რევოლუციის ჩასახშობად საკმარისი იქნება ერთი კარგად მომზადებული შეიარაღებული დივიზია.

ბერტელოსთან საუბრის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა პუანკარემ დღიურში ჩაწერა: „მოკავშირეთა ჯარების ხუთი ან ექვსი ათასი სავსებით საკმარისი იქნება, რათა გავაკონტროლოთ რუსეთის მთელი ტერიტორია“ საფრანგეთის პრეზიდენტს ამაშივე არწმუნებდა სხვა ფრანგი მზვერავი — გენერალი ტაბუი. რუსეთიდან პარიზში გაგზავნილ თავის პატაკში იგი წერდა:

„ამჟამად რუსეთი შეიძლება შევადაროთ ისეთ დეზორგანიზებულ ქვეყნებს, როგორიცაა სუდანი და კონგო, სადაც რამდენიმე დისციპლინებული ბატალიონი სავსებით საკმარისია წესრიგის დასამყარებლად და ანარქიის აღსაკვეთად“

ინგლისის ელჩს რუსეთში ბიუკენენს მიაჩნდა, რომ რუსეთში სოციალისტური რევოლუციის ჩახრჩობა შეიძლება ერთი საექსპედიციო კორპუსის მეშვეობით.

დღესაც მეტ-ნაკლებად სერიოზულ მზაკვრობას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ჩაიფიქრებენ და გულით ატარებენ ნიუ-იორკში და პოტომაკის ნაპირებზე და, უეჭველია, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი მიიღებს მონაწილეობას ამ საქმეში.

აშშ-ის იმპერიალისტები ჩვენი მთავარი მტრებია, ინგლისელებზე არანაკლებ ბოროტები. ფაშისტური გერმანია მხოლოდ საშუალებაა, „ხელებია“, რომლებითაც რუსეთის განადგურებას ცდილობენ.

ინგლისელ და ამერიკელ პოლიტიკოსებთან, მათ შორის, ჩერჩილთან ურთიერთობისას აუცილებლად მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ისინი უკიდურესად ფარისევლები არიან: თავიანთ აგრესიულ მისწრაფებებს ცრუ ოფიციალური განცხადებებით ფარავენ. ასე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ინტერვენციას რომ ამზადებდნენ, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა 1917 წლის დეკემბრის ოფიციალურ დეკლარაციაში განაცხადეს: „ყოველგვარი იდეა, თითქოს ჩვენ თანავუგრძნობთ კონტრრევოლუციას, დიდი შეცდომაა“

აი, რა იყო თქმული აშშ-ის პრეზიდენტის ვილსონის წერილში 1918 წლის მარტში: „შეერთებული შტატების მთავრობა ყველა საშუალებას გამოიყენებს, რათა კვლავ უზრუნველყოს რუსეთის სრული სუვე-

რენიტეტი თავის შინაგან საქმეებში და მისი დიადი როლის აღდგენა ევროპისა და თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებაში“

დასკვნა: გადის წლები, ამერიკის პოლიტიკურ ასპარეზზე იცვლებიან პოლიტიკოსები, ხოლო აშშ-ის პირწავარდნილი ანტისაბჭოთა კურსი უწინდებური რჩება.

შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკული დაზვერვის ხელმძღვანელი უილიამ დონოვენი, რომელიც რუსეთში ამერიკის პრეზიდენტის რწმუნებული იყო, ჯერ კიდევ 1919 წლის ივლისში პირადად მონაწილეობდა კოლჩაკის შეტევის მომზადებაში, ზემოთ ნახსენები დევიდ პული დღესაც ამერიკის დაზვერვის განყოფილების უფროსია, ხოლო ჯორჯ ჰილი, ინგლისის დაზვერვის პასუხისმგებელი თანამშრომელი, ამჟამად ამ სამსახურის წარმომადგენელია სსრკ-ში *(ამ წინადადების გასწვრივ სტალინს ლურჯი ფანქრით წაუწერია: „ამხ. ლავროვ! დროულად რატომ არ მომახსენეთ, რომ ჯორჯ ჰილი, მოსკოვში ინგლისის საელჩოს თანამშრომელი, ამხანაგ ლენინზე თავდასხმის თანამონაწილეა?“ — შემდგენ.)*.

ფრანკლინ რუზველტი უინსტონ ჩერჩილის შესახებ

„მას (ჩერჩილს) დღეში ასამდე იდეა უჩნდება, მათგან დაახლოებით ოთხი ღირებულია“

უინსტონ ჩერჩილის ხასიათის, ჩვეულებებისა და უცნაურობათა შესახებ

უკიდურესად პატივმოყვარეა. ყველაზე მეტად უპირატესობას ანიჭებს ძალაუფლებასა და დიდებას. ფული უყვარს, მაგრამ ძალაუფლება და სახელი პირველ ადგილზეა. მზადაა, ნებისმიერი საშუალებით მათ მოსაპოვებლად. ოცნებობს ნაპოლეონის დაფნის გვირგვინზე. იგი მისი მთავარი გმირია, რომლის ბრინჯაოს ბიუსტი ყოველთვის დგას მის საწერ მაგიდაზე. ნიჭიერი დემაგოგი და უაღრესად ცვალებადი ვერაგი ადამიანია, რომელსაც შეუძლია, ძალაუფლებისთვის ბრძოლის დროს შეიცვალოს საკუთარი შეხედულებები და მიდრეკილება გარემოებიდან გამომდინარე. უკიდურესად თავდაჯერებული და ყოყლოჩინაა, ქვეშევრდომთა მიმართ ქედმაღალი და უხეშია. ინგლისის მმართველ წრეებში უმრავლესობა მას უპრინციპო, არასანდო და პოლიტიკურად უკიდურესად საშიშ ადამიანად

მიიჩნევს. ამის გამო ბევრი მტერი ჰყავს.

სოციალური პრობლემების მოგვარების დროს უპირატესობას ანიჭებს ძალას, პოლიციისა და ჯარის გამოყენებას (პოლიციის მიერ მუშების ცემა, დემონსტრაციების დარბევა).

თავისი ავადმყოფური თავდაჯერებულობისა (სჯერა, რომ ბედით უდიდეს საქმეთა კეთება აქვს წინასწარდასახული) და ქედმაღლობის გამო ხშირად ვარდება უხერხულ მდგომარეობაში და ქვეყნის სასაცილოც კი ხდება. ასე, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნისას 1 200 პოლიციელით დაარბია 300 ინგლისელი ქალის დემონსტრაცია (ე.წ. სუფრაჟისტი ქალების), რომლებიც ცდილობდნენ პრემიერ-მინისტრისთვის პეტაციის ჩაბარებას. დემონსტრანტების დასამორჩილებლად, მისი ბრძანებით, ლონდონში, ლივერპულსა და ლანელიში ჯარისკაცებმა ესროლეს მუშებს. იყვნენ დაზოცილები.

ბეწვის საყელოიან პალტოში ექსტრავაგანტულად გამოწყობილმა და აბრეშუმის შლაპიანმა ჩერჩილმა ასობით ჯარისკაცთან და პოლიციელთან ერთად ლონდონის ერთ-ერთ ქუჩაზე „ალყაში“ მოაქცია სახლი, რომელშიც მხოლოდ ორი დამნაშავე სროლით იცავდა თავს. ენამწარე ინგლისელმა ჟურნალისტებმა დასცინეს ჩერჩილს და ამ „ალყას“ უწოდეს „ბრძოლა სიდნეი-სტრიტზე“ და სამასხრო გახადეს არა მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით, არამედ საფრანგეთშიც კი. ლონდონისა და პარიზის კინოთეატრებში მაყურებელთა ერთსულოვანი ხარხარის თანხლებით კინოქრონიკაში უჩვენებდნენ ფილმს, ჩერჩილი პირადად როგორ ხელმძღვანელობდა იმ სახლისთვის ალყის შემორტყმას, რომელშიც მხოლოდ ორი ბოროტმოქმედი აფარებდა თავს და როგორ მიაგორეს ამ სახლთან ზარბაზანი. ინგლისის მეფემ გააფრთხილა ჩერჩილი, რომ მან — შინაგან საქმეთა მინისტრმა და კაბინეტის წევრმა საქვეყნოდ გასამასხარავებლად თავი არ უნდა გაიხადოს.

ჩერჩილის პოლიციური მოღვაწეობა იმდენად წარუმატებელი იყო, რომ იძულებული გახდნენ, გაეთავისუფლებინათ იგი შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან.

ჩერჩილს არც სამხედრო ოპერაციებში სწყალობს ბედი. აშკარად ვერ ხდება ნაპოლეონი. მის სამხედრო მოღვაწეობაში რიგი სერიოზული ჩავარდნაა. შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან გათავისუფლების შემდეგ ჩერჩილი სამხედრო-საზღვაო მინისტრად დაინიშნა. აქ მისმა ენერგიულმა მოღვაწეობამ არსებითად გააძლიერა ინგ-

ლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბრძოლისუნარიანობა: იგი კარგად მომზადებული აღმოჩნდა პირველი მსოფლიო ომისათვის. მაგრამ, მას აქაც თან სდევდა წარუმატებლობა.

გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა სამი ინგლისური კრეისერი. 1 500 ინგლისელი ოფიცრისა და მეზღვაურის დაღუპვა დააბრალეს ჩერჩილს, რომელმაც უკიდურესი თავდაჯერებულობის გამო, საადმირალოს მოთხოვნის მიუხედავად, წინდაუხედავად არ გაიყვანა ეს ხომალდები ჰოლანდიის სანაპიროდან. საკუთარი დაკნინებული ავტორიტეტის ამაღლებას რომ შეეცადა, ჩერჩილმა კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა. ახლა უკვე ანტვერპენში მოქმედებისას მან დაარწმუნა ბელგიელები, მტრისთვის არ დაეთმოთ ანტვერპენის ციხესიმაგრე, ებრძოლათ ინგლისური დამხმარე ძალის მოსვლამდე. მიაღწია იმას, რომ გამოუგზავნეს ორი ცუდად შეიარაღებული და ცუდად გაწვრთნილი ინგლისური ბრიგადა. ამის შემდეგ ციხესიმაგრის დაცვის საქმე ფაქტობრივად საკუთარ ხელში აიღო, მბრძანებლობდა ბელგიის მეფეს და სხვა სარდლებს. ციხესიმაგრე დაეცა, ჩერჩილი კი გაიწვია ინგლისის მთავრობამ, გაასწრო.

ჩერჩილის ავტორიტეტი კარგა ხნით დაეცა.

მისმა მტრებმა ამით დაუყოვნებლივ ისარგებლეს. ერთ-ერთი გავლენიანი კონსერვატორი ბონარ ლოუ წერდა: „ჩერჩილის ანტვერპენული ავანტიურა აბსოლუტურად სულელური საქმეა, რომელიც გაუწონასწორებელი გონების მქონე მინისტრმა განახორციელა“

მაგრამ ჩერჩილი არ ცხრებოდა. მალე მან შეძლო ინგლისის მთავრობის ახალ ავანტიურაზე შეგულიანება, „დაუმტკიცა“, რომ ინგლისური ფლოტი მისი ხელმძღვანელობით შეძლებდა დარდანელის სრუტით გასვლას, კონსტანტინოპოლის დაბომბვას და აიძულებდა თურქეთს, გამოსულიყო ინგლისის წინააღმდეგ ომიდან. ჩერჩილის ერთ-ერთი მთავარი მოსაზრება იყო იმის მტკიცება, რომ მის მიერ დასახული ოპერაცია ხელს შეუშლიდა რუსეთს დარდანელის სრუტის ხელში ჩაგდებაში, რაც დიდი ბრიტანეთის ინტერესს უპასუხებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ავანტიურა, სახმელეთო ფრონტზე ოპერაციებით მხარდაუჭერელი ფლოტის მოქმედება ჩაიფუშა. 7 გემის დაკარგვის შემდეგ (რამდენიმე წუთში ჩაიძირა თურქეთის პოზიციებზე შტურმის მონაწილე გემების ნახევარი), ინგლისის მთავრობამ შეწყვიტა სრუტეების ხელში ჩაგდების ოპერაცია.

სახმელეთო ფრონტზე ინგლისის ჯარების დაგვიანებული მოქმედე-

ბა, რომელიც ინგლისის ფლოტის მოქმედებას მოჰყვა, ასევე წარუმატებელი იყო. 47 ათასი კაცის დაკარგვის შემდეგ ინგლისელები იძულებული გახდნენ, აქაც შეეწყვიტათ საომარი მოქმედება.

ინგლისურ გაზეთ „მორნინგ პოსტში" გამოქვეყნდა ჩერჩილის შემარცხვენელი წერილები: „ადმირალი-დილეტანტი", „საოცარი დილეტანტი", „პოლიტიკოსი სპეციალისტის წინააღმდეგ", „ძალიან ბევრი ჩერჩილი" და სხვა.

ჩერჩილი მოხსნეს სამხედრო-საზღვაო მინისტრის პოსტიდან. მისი გადაყენების შემდეგ ლორდი ბივერბრუკი წერდა:

„1915 წელს ჩერჩილი ჩამოვარდა იმიტომ, რომ ზედმეტად თავდაჯერებულად და გაუფრთხილებლად იქცეოდა".

ხელი მოეცარა ჩერჩილს სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობისას მეორე მსოფლიო ომის დროსაც. 1940 წელს ევროპის ფრონტზე ინგლისურმა არმიამ სრული მარცხი განიცადა, დიუნკერკიდან ევაკუაციის დროს მთელი თავისი შეიარაღება მიატოვა.

ინგლისელთა სამასათასიან საექსპედიციო კორპუსს გერმანელები მთლიანად გაანადგურებდნენ, რომ არა ფაშისტურ გერმანიაში მოქმედი საიდუმლო აგენტურა, რომელმაც დაარწმუნა ჰიტლერი, რომ ინგლისთან მომავალში ზავის დადებისა და სსრკ-ის წინააღმდეგ ინგლისთან ერთობლივი მოქმედების ინტერესებიდან გამომდინარე, ნება დაერთო ალყაში მყოფი ინგლისური ჯარებისთვის, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ კუნძულზე.

თავისი ახალი დამარცხება რამენაირად რომ დაეფარა, ჩერჩილმა, მისთვის დამახასიათებელი თეატრალური პათოსითა და დემაგოგიით განაცხადა: „ჩვენ არ დავნებდებით და არ დავმორჩილდებით. ჩვენ ბოლომდე წავალთ, ვიბრძოლებთ საფრანგეთში, ვიბრძოლებთ ზღვებსა და ოკეანეზე, ჩვენ ვიბრძოლებთ აღმატებული რწმენით და მზარდი ძალით ჰაერში, ჩვენ ვიბრძოლებთ სანაპიროზე, ვიბრძოლებთ გადმოსხმის პუნქტებში, ჩვენ ვიბრძოლებთ ველად და ქუჩებში, ვიბრძოლებთ გორაკებზე, ჩვენ არასოდეს დავნებდებით".

უინსტონ ჩერჩილის „უცნაურობათა" შესახებ

ხშირად იცვამს უცნაურ, მასხარის კოსტიუმის მსგავს კოსტიუმ-კომბინეზონს უამრავი „ელვა" შესაკრავით.

სადილის შემდეგ შაბათსა და კვირას ქალაქგარეთა რეზიდენციაში ყოფნის დროს სტუმრებთან ხასხასა ფერის ხალათში გამოწყობილი

გამოდის. ასე გამოწყობილი უყურებს ფილმებს (მათ შორის საყვარელია „ლედი ჰამილტონი“). ფილმების ნახვის შემდეგ ადის თავისთან და, როგორც წესი, დილის 4 საათამდე მუშაობს.

უკიდურესად სიტყვამრავალია. შეუძლია, საათობით ესაუბროს სტუმრებს პოლიტიკურ თემებზე, ამასთან ყური უგდოს მხოლოდ საკუთარ თავს, დატკბეს საკუთარი მჭევრმეტყველებით და აბსოლუტურად არ უსმინოს თანამოსაუბრეებს. სჭირს გრაფომანია. ქვეშევრდომებს აიძულებს, იკითხონ მის მიერ დაწერილი უამრავი ბარათი და მემორანდუმი სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის ისეთებზეც, რომლებშიც კომპეტენტური არ არის (მაგალითად, ეკონომიკა).

ხასიათით ავანტიურისტია, მძაფრი თავგადასავლების მოყვარული, იმპულსური და გაუწონასწორებელია. გაუთავებლად, მენტორული ტონით ყველა საკითხზე მოძღვრავს თავის კოლეგებს. სერიოზულად მიაჩნია, რომ გმირია, რომელიც ქმნის ისტორიას, აშკარად დაავადებულია განდიდების მანიით. შესაძლებელია, ჩერჩილის უცნაურობანი გამოწვეულია იმით, რომ დღენაკლული დაიბადა (ვადაზე ორი თვით ადრე), ბავშვობაში კი ტვინის უძლიერესი შერყევა დაემართა (ხიდან ჩამოვარდა, სამი დღე უგონოდ იყო და სამი თვე საწოლში გაატარა), რასაც ერთი წლის განმავლობაში მკურნალობდა.

ჩერჩილი ნებისყოფიანი და გაბედული ადამიანია.

ინგლისის თანამედროვე პოლიტიკურ მოღვაწეთა უკიდურესად ფერმკრთალ კაბადონზე უინსტონ ჩერჩილი უეჭველად გამორჩეული, თუმცა, ფრიად წინააღმდეგობრივი ფიგურაა. მასში საღი აზრი საოცრადაა შერწყმული პრიმიტიულ ავანტიურიზმთან. საოცრადაა მიდრეკილი პროვოკაციებისადმი. პოლიტიკურად აბსოლუტურად არასანდოა. განსაკუთრებით საშიშია ის, რომ იგი გატაცების კაცია და ძალიან ხშირად ხედავს იმას, რაც სურს, სასურველს სინამდვილედ მიიჩნევს. თუმცა, იგივე სჭირს ბევრ თანამედროვე ინგლისელ პოლიტიკურ მოღვაწეს.

ჩერჩილის მტკიცება, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე მის მოსვლამდე ინგლისი განიარაღებული და თავდაცვის საკითხების უცოდინარი იყო, სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ. ეს განცხადება ჩერჩილმა თვითრეკლამის მიზნით გააკეთა.

სინამდვილეში ინგლისი მეორე მსოფლიო ომისთვის მზადების პერიოდში გამალებულად იარაღდებოდა. ამას დაბეჯითებით ადასტურებს დიდი ბრიტანეთის სამხედრო ბიუჯეტის ზრდა: 1935-36 საბიუ-

ჯეტო წელს — 136,9 მილიონი ფუნტი სტერლინგი, 1938-39 საბიუჯეტო წელს უკვე 254,4 მილიონი ფუნტი სტერლინგი. მაგრამ ჩერჩილი მართალია იმაში, რომ ინგლისის სამხედრო მომზადების საკითხებში შეიმჩნევა არსებითი ნაკლოვანებანი, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ მმართველ წრეებში ყოველთვის დარწმუნებულნი იყვნენ — ჰიტლერული აგრესია უწინარესად მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლისის მთავრობაში საქმის წარმოების წესის მიხედვით ჩერჩილს შეუძლია დაიტოვოს მასთან მიტანილი დოკუმენტების ასლები, რომელთა უმრავლესობა საიდუმლოა. ამას აკეთებს საარქივო მასალების დაგროვების მიზნით, რომლებსაც, იმედოვნებს, შემდგომში გამოიყენებს ლიტერატურული შრომების შექმნის დროს.

ჩერჩილის პირად ცხოვრებაზე საიდუმლო ყოველდღიური თვალთვალის ორგანიზებით ჩვენ გვაქვს საშუალება, რეგულარულად გავეცნოთ ამ დოკუმენტებისა და წერილების შინაარსს.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1940 წლის 14 ივლისს ჰიტლერელები შევიდნენ პარიზში. 1940 წლის 17 ივლისს საფრანგეთმა შეწყვიტა წინააღმდეგობა.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

საფრანგეთის ასე უცბად განადგურების მიზეზების შესახებ.

საფრანგეთის უმსხვილესმა მრეწველებმა საკუთარი ნებით გაუხსნეს ჰიტლერს თავიანთი ქვეყნის ჭიშკარი, განაცხადეს, რომ უმჯობესია ჰიტლერი, ვიდრე „სახალხო ფრონტის" გამარჯვება. სწორედ ეს არის მიზეზი ეგრეთ წოდებული უცნაური ომისა, რომელსაც საფრანგეთი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ეწეოდა. საფრანგეთის მმართველები შეშინდნენ სოციალისტური რევოლუციით, რომელიც მწიფდებოდა და ფრანგი ხალხი ჰიტლერის ჩექმის ქვეშ ჩააგდეს.

ა. ლავროვი

საინფორმაციო შეტყობინება

შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი აქტიურად ხელახლა ქმნიან გერმანიის სამხედრო პოტენციალს, გერმანიას საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად ამზადებენ.

1938 წელს გერმანიაში შეზიდულია (ათას ტონ.)

დასახელება	საერთო იმპორტი	ბრძანებითის მეშვეობით	საფრანგეთის კოლონიების ხათვლით	აშშ-დან	სულ აშ ქვეყნებიდან	% გერმანიის იმპორტთან
ხორბალი	1267,7	321,3	—	243,9	565,7	44,6
მატყლი	166,1	72,7	6,9	1,6	81,2	48,9
ბამბა	352,8	36,3	3,9	85,0	125,2	35,5
კაუჩუკი	108,5	50,3	4,9	6,0	61,2	56,4
ნავთობპროდუქტები	3640,6	18,5	2,5	984,2	1005,2	30,4
რკინის მადანი	19270,5	1595,9	6,124	—	7684,3	35,1
მანგანუმის შემადგენლობით	1865,3	122,8	731,5	0,9	855,2	45,8
მანგანუმის მადანი	425,9	287,3	1,0	—	288,3	67,7
სპილენძის მადანი	653,9	193,3	159,5	—	352,8	54,6
ტყვიის მადანი	140,3	58,8	—	—	58,3	41,3
თუთიის მადანი	185,0	68,3	—	—	68,3	36,9
ქრომის მადანი	176,4	92,5	—	—	92,5	52,4
ნიკელის მადანი	34,2	17,4	—	—	17,4	50,9
სპილენძი (კართან ერთად)	358,4	128,9	—	92,3	221,2	61,7
ალუმინი (კართან ერთად)	18,8	9,2	0,9	1,8	11,9	63,2

მეორე მსოფლიო ომის წინ ნედლეულის 28 ძირითადი სახეობიდან გერმანიას მხოლოდ შვიდი ჰქონდა. შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან და საფრანგეთიდან შემოჰქონდა სტრატეგიული ნედლეულისა და მასალების თითქმის 50 პროცენტი. გერმანიაში ნავთობპროდუქტების მთავარი შემომტანი ომის კვირაძალს აშშ იყო.

აი, ასეთი იყო 1938 წელს ნავთობის იმპორტი გერმანიაში (მილიონობით გერმანულ მარკაში): აშშ — 84,4, ვენესუელა — 8,2, ჰოლანდიის ინდოეთი — 76,8, რუმინეთი — 36, მექსიკა — 19,8, ირანი — 8,1.

1938 წელს გერმანიაში შეზიდეს 3 640 ათასი ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები. მათგან 2 520 ათასი ტონა — აშშ-დან და ჰოლანდიის ინდოეთიდან.

1940 წელს გერმანიამ ოკუპირებულ ქვეყნებთან ერთად გამოადნო 31,8 მლნ ტონა ფოლადი, ქვანახშირი თვითონ მოიპოვა 257,4 მლნ ტონა, სატელიტებთან ერთად — 439 მლნ ტონა.

საბჭოთა კავშირმა, შესაბამისად, — 18,3 მლნ ტონა და 165 მლნ ტონა.

აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით მოკლე დროში გერმანიაში აიგო 300-ზე მეტი მსხვილი სამხედრო ქარხანა.

1939 წელთან შედარებით 1940 წელს სამხედრო მრეწველობა გერმანიაში ორი მესამედით გაიზარდა, 1932 წელთან შედარებით — 22-ჯერ.

1940 წელს გერმანიის სამხედრო მრეწველობამ შეიარაღებულ ძალებს გადასცა (აწარმოა წლის მანძილზე) 9 500 თვითმფრინავი, 1 800 ტანკი, 4 000 ქვემეხი, 5 700 ტყვიამფრქვევი, 1 400 000 შაშხანა.

აშშ-ის მონოპოლისტები გერმანიის უმსხვილესი ფირმების აქციებს ყიდულობენ და კარტელური შეთანხმების საშუალებით მონაწილეობენ ძირითადი სტრატეგიული მასალების წარმოებაში, აწვდიან ჰიტლერს ბენზინს.

დაახლოებით 90 მილიარდი მარკიდან, რაც ფაშისტურმა გერმანიამ ომის სამზადისისთვის დახარჯა, დღეისთვის უმეტესი ნაწილი კრედიტებია, რომლებიც მას აშშ-მ, ინგლისმა და საფრანგეთმა მისცა.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ცნობა

ინგლის-ამერიკის თანამედროვე ურთიერთობის ზოგიერთი მთავარი ასპექტის შესახებ

ამ ურთიერთობის განმსაზღვრელია ინგლისის და აშშ-ის ხანგრძლივი ბრძოლა მსოფლიო ასპარეზზე კაპიტალის დაბანდების, გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროებისთვის.

აშშ-ის თანამედროვე საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანათაგან ერთ-ერთია მსოფლიო ბატონობაზე მისი იმპერიალისტური მოწინააღმდეგეების — გერმანიისა და იაპონიის განადგურება სსრკ-ის, ინგლისისა და ჩინეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით. თვითონ

განზე გადგებიან და შემოიფარგლებიან ამ ქვეყნებისთვის იარაღის მიწოდებით, საკუთარ შეიარაღებულ ძალებს კი მსოფლიო ბატონობისთვის მომავალი ბრძოლებისთვის ხელუხლებელს დატოვებენ. აშშ-ის ამგვარი პოლიტიკა სრულად უპასუხებს ამერიკული მონოპოლიების ინტერესებს, რომლებიც გამალებულ შეიარაღებაზე ზღაპრულ მოგებას მოიხვეჭენ და ამ მიზნით სამხედრო შეტაკებებს პროვოცირებენ მთელ მსოფლიოში. ამერიკული ყოველკვირეული „ნიუ-მესიზი" ამასთან დაკავშირებით წერდა: „უოლ-სტრიტი და მისი ბარომეტრი ბირჟა ლოკულობენ, რათა სამხედრო მოქმედებანი ევროპაში რაც შეიძლება მალე „ნამდვილ" ომად აყვავდეს და ბაზარზე სამხედრო ფასები და სამხედრო მოთხოვნა დაამკვიდროს"

აშშ-ში დღეს გაბატონებულია ეგრეთ წოდებული შეზღუდული ომის იდეა, რომლის მსვლელობისას ამ ქვეყნის მმართველი წრეები აპირებენ არა მხოლოდ გამდიდრებას შეიარაღების მიწოდებით, არამედ იმასაც, რომ გერმანიასთან ომში ინგლისის დასუსტება გამოიყენონ დიდი ბრიტანეთის აზიურ და აფრიკულ სამფლობელოებში შესაღწევად და, საბოლოო ჯამში, მათ ხელში ჩასაგდებად. სწორედ ამ მიზეზების გამო ამერიკელები კარგა ხნის განმავლობაში არ ჩქარობდნენ დიდი ბრიტანეთის დასაღუპად განწირული იმპერიის გადარჩენას, ფაქტობრივად, არსებით დახმარებას არ უწევდნენ გერმანიასთან ბრძოლაში. ჩერჩილმა წარმოუდგენელი ძალისხმევის წყალობით, აშშ-ში მხოლოდ რამდენიმე სამხედრო დაკვეთის განთავსება შეძლო, ასევე უკიდურესად უმნიშვნელო ამერიკული მოწოდებისა და დრომოჭმული 50 საესკადრო ნაღმოსნის ინგლისისთვის გადაცემა მოახერხა. ამ ნასუფრალის სანაცვლოდ ინგლისი იძულებული იყო, აშშ-ისთვის იჯარით გადაეცა თავისი სამხედრო-სტრატეგიული ბაზები დასავლეთ ნახევარსფეროში.

ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა გერმანიას, იტალიასა და იაპონიას შორის სამმხრივი პაქტის (ღერძი: ბერლინი-რომი-ტოკიო) დადების შემდეგ, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც გაცხადდა, რომ ჰიტლერი აპირებს ბრაზილიის „ახალ გერმანიად" გადაქცევას და აშშ-ზე თავდასასხმელ პლაცდარმად მის გამოყენებას. ამჟამად მიმდინარეობს მზადება ბრაზილიაში ასიათასიანი ამერიკული არმიის გადასაგზავნად. შეშინებულმა ამერიკელმა მაგნატებმა — მორგანმა, ლამონტმა, გუგენჰაიმმა, ვარბურგმა, დუგლასმა, ჯონ როკფელერმა და სხვებმა დაინახეს, რომ მათ კაპიტალს და სიცოცხლესაც კი უშუალოდ დაემუქრა საფრთხე, და მოითხოვეს ინგლისისთვის დაუყოვნებ-

ლივი და არსებითი დახმარების გაწევა.

მათგან ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, ამერიკის უგვირგვინო მეფეთაგან ყველაზე უფრო გავლენიანი ჯონ როკფელერი აცხადებს:

„უკანასკნელ უკიდურესობამდე, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ბრიტანეთის იმპერიის მხარეს უნდა ვიდგეთ“

ამ პოლიტიკის არსს რომ განმარტავდა, აშშ-ის მთავარი საზღვაო შტაბის უფროსი, ადმირალი სტარკი, რომელმაც რუზველტის დავალებით შეიმუშავა მის მიერ დამტკიცებული, აშშ-ის ე.წ. შეზღუდული, „დოგის“ სახელით კოდირებული, ომის გეგმა, თანდართულ მემორანდუმში წერდა:

„თუ ინგლისი მოიპოვებს გადამწყვეტ გამარჯვებას გერმანიის წინააღმდეგ, ჩვენ შევძლებთ გავიმარჯვოთ ყველგან, თუ დამარცხდება, დიდი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით: შეიძლება, ყველაფერი არ დავკარგოთ, სამაგიეროდ, ვერსად ვერ გავიმარჯვებთ“

ამჟამად აშშ-ში ინგლისს განიხილავენ, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას ჰიტლერის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც, ჩერჩილის თქმით, გაცოფდა და დაკბინა თავისი პატრონები.

ამჟამად ინგლისსა და კანადას ნება დართეს, შეისყიდონ აშშ-ში წარმოებული სამხედრო პროდუქციის 50 პროცენტი. მაგალითად, სადღეისოდ ინგლისმა შეუკვეთა აშშ-ში წარმოებული 26300 სამხედრო თვითმფრინავი.

ამასთან, ინგლისის მიმართ აშშ-ის იმპერიალისტური ზრახვები არ იცვლება — ხელთ იგდოს ინგლისის კოლონიები და დომინიონები (განსაკუთრებით, ნავთობით მდიდარი რაიონები).

ტაქტიკა: გერმანიის წინააღმდეგ — ინგლისის და იაპონიის წინააღმდეგ ჩინეთის დაპირისპირების მხარდაჭერა, ამით დროის მოგება მძლავრი შეიარაღებული ძალების შესაქმნელად მსოფლიო ბატონობის მოპოვების მიზნით და, უწინარეს ყოვლისა, ბრიტანეთის იმპერიის სამფლობელოთა მისატაცებლად.

აშშ-ის ეროვნული მრეწველობის საბჭოს პრეზიდენტმა ჯორდანმა, 1940 წლის 10 დეკემბერს ამერიკელი ბანკირების ასოციაციის კრებაზე გამოსვლისას, ასე განსაზღვრა ინგლისის მიმართ წარმოებული პოლიტიკა:

„მთავრობისთვის ნორმალური და კანონიერია პოლიტიკის მიზნებთან დაკავშირებული ყველა ფაქტის დამალვა. მაგრამ თითოეულისთვის გასაგებია, აშშ-ის მთავრობა ინგლისის ეკონომიკური მოკავშირის როლში გამოდის ბრიტანეთის იმპერიის მტრების წინააღმდეგ

ბრძოლაში მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში, რათა, თუ შესაძლებელი იქნება, არ დაუშვას მისი დაშლა, და, თუ ეს შეუძლებელი შეიქმნა, დაიკავებს მის ადგილს, როგორც მემკვიდრე ყველაფერ იმისა, რაც იმპერიის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლევამოსილებისგან დარჩება. თუ ჩვენი დახმარებით ინგლისი ამ ბრძოლიდან დამარცხებული გამოვიდა, იგი იმდენად გაღატაკდება ეკონომიკურად და იმდენად შეერყევა პრესტიჟი, რომ უკვე სრულიად წარმოუდგენელი იქნება, აღიდგინოს ან შეინარჩუნოს გაბატონებული მდგომარეობა მსოფლიო პოლიტიკაში. ძალაუფლების სკიპტრა აშშ-სთან გადადის“

(სტალინმა ბოლო წინადადება ლურჯი ფანქრით გაბაზა. ამ წინადადების გასწვრივ — მინდორზე კი დაწერა „NB (კარგად დაიხსომე). ინგლის-ამერიკის იმპერიალისტური წინააღმდეგობანი გამოვიყენოთ საბჭოთა კავშირის ინტერესებისთვის“ — ვ. ჟუხრაი).

1941 წლის 17 იანვარს თეთრ სახლში, პრეზიდენტ რუზველტთან გაიმართა საიდუმლო თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ: გენერალი მარშალი, ადმირალი სტარკი და სამხედრო-საზღვაო მინისტრი ნოქსი. განიხილეს ინგლისის მიმართ სტრატეგიული პოლიტიკის შემუშავების საკითხი. განხილვის შემდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: „ინგლისელებს არასოდეს ავიწყდებათ თავიანთი ომისშემდგომი ინტერესები — კომერციული და სამხედრო. ჩვენც აგრეთვე, საბოლოო ჯამში, საკუთარ ინტერესებზე უნდა ვიზრუნოთ“

აშშ-ის მიმართ ინგლისის პოლიტიკის შესახებ

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე მოსვლის შემდეგ თავის მთავარ ამოცანას ჩერჩილი ხედავს იმაში, რომ აშშ ჩაითრიოს მეორე მსოფლიო ომში, ამასთან — დაუფარავ ომში იაპონიის წინააღმდეგ. იგი იმედოვნებს, რომ ამით შეძლებს არსებითად გააძლიეროს ინგლისის თავდაცვა, ხოლო აზიასა და წყნარ ოკეანეზე ბრიტანეთის სამფლობელოების დაცვა ამერიკელებს დააკისროს. ინგლისის ტრადიციული პოლიტიკაა ნაკვერჩხლების სხვისი ხელით აკრეფა.

1941 წლის 29 იანვრიდან, ორი თვის განმავლობაში ვაშინგტონში მიმდინარეობდა სამხედრო მოლაპარაკება ინგლისისა და ამერიკის დელეგაციებს შორის, კოდური სახელწოდებით ABC. ინგლისელი ოფიცრები აშშ-ში ჩავიდნენ სამოქალაქო კოსტიუმებში გამოწყობილები, შემსყიდველი კომისიის სახით. აშშ-ის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: გენერალი ემბრიკი (დელეგაციის მეთაური), ამერიკის არმიის შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი, ბრი-

გადის გენერალი ლ. ჯეროუ, სამხედრო დაზვერვის უფროსი, ბრიგადის გენერალი მაილსი, კონტრადმირალი ტერნერი, ავიაციის პოლკოვნიკი მაკნერნი, ადმირალი გორმლი, ინგლისში აშშ-ის სამხედრო ატაშე, გენერალი ლი და საზღვაო ატაშე, კაპიტანი კერკი.

ინგლისის დელეგაციაში შედიოდნენ: ადმირალი ბელერსი, გენერალ-მაიორი მორისი, კონტრადმირალი დენკუერტსი, ავიაციის ბრიგადის გენერალი სლესორი, აშშ-ში ინგლისის სამხედრო-საზღვაო ატაშე, l რანგის კაპიტანი კლარკი და პოდპოლკოვნიკი კორნუოლ-ჯონსი.

განიხილეს შემდეგი საკითხები:

აშშ-ის და ინგლისის სამხედრო მდგომარეობა.

წყნარ და ატლანტის ოკეანეებში სახმელეთო და საზღვაო ძალების ერთობლივი მოქმედების სტრატეგიული ამოცანები.

სამხედრო ოპერაციების კოორდინაცია.

საომარი მოქმედების თეატრებზე პასუხისმგებლობის განაწილება და აუცილებელი ძალების გამოყოფა.

საორიენტაციო გეგმების შეთანხმება და სარდლობის პრინციპების დადგენა.

ინგლისის მიმართ გამომუშავებული პოლიტიკის მიხედვით, აშშ-მ თავი აარიდა იმ სამხედრო ვალდებულებების მიღებას, რომლებიც დააკისრებდა მას წყნარ ოკეანეზე ინგლისის ინტერესების დაცვას. ინგლისელები შეეცადნენ, დიპლომატიური ხრიკებით მიეღოთ თავისი. იმის მომიზეზებით, რომ სინგაპურის სამხედრო-საზღვაო ბაზას გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სამხედრო-საზღვაო ბაზას პერლ-ჰარბორში, მოითხოვეს, ოთხ მძიმე ამერიკულ კრეისერს, ერთ ავიამზიდს, ათობით ამერიკულ თვითმფრინავსა და წყალქვეშა ნავს მუდმივ სადგომად აერჩიათ სინგაპური. ინგლისელების წინადადება რომ მიეღოთ, ამ ციხესიმაგრეზე იაპონელების თავდასხმის შემთხვევაში, აშშ ავტომატურად ჩაებმებოდა იაპონიის წინააღმდეგ ომში.

ადმირალ სტარკისა და გენერალ მარშალის წინადადებით, ინგლისელთა წინადადება უარყვეს. 1941 წლის 19 თებერვალს აშშ-ის პრეზიდენტისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში ინგლისელთა წინადადებების შესახებ სინგაპურში ამერიკელების ესკადრის გაგზავნის შესახებ, ნათქვამი იყო: „შეერთებული შტატების თანხმობა, უზრუნველყოს სინგაპურის დაცვა, მოითხოვს იმ ძალების გამოყოფის ვალდებულებას, რომლებიც საჭიროა ამ ამოცანის შესასრულებლად. მოკლედ, შეერთებულმა შტატებმა სწრაფად უნდა გაანადგუროს იაპონია და

იკისროს პასუხისმგებლობა ბრიტანეთის იმპერიის მნიშვნელოვანი ნაწილის უსაფრთხოებაზე“

სინგაპურის შესახებ თავიანთ წინადადებაზე ინგლისელებმა ამერიკული დელეგაციისგან მიიღეს პასუხი, რომ იაპონიის წინააღმდეგ ერთობლივ საომარ ღონისძიებათა განხორციელებას მიიჩნევენ ნაადრევად და თავდაცვის მომზადების საქმეში ჯერ უმჯობესია პარალელურად მოქმედება.

ამრიგად, ინგლისმა თავის ჩანაფიქრში — ამერიკელების ხელებით ეომა, განიცადა ფიასკო და საომარი მოქმედების მოწინავე პოზიციებზე აღმოჩნდა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ შორეულ აღმოსავლეთშიც და ამერიკელ ლანდსკნეჰტად იქცა. ინგლისელებისთვის სამხედრო დახმარებაზე უარის თქმის შემდეგ აშშ-ის მთავრობამ დაიწყო მზადება ხმელთაშუა ზღვის რაიონში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიციების დასაკავებლად, რომელთა ტრამპლინად გამოყენებას ვარაუდობენ ახლო და შუა აღმოსავლეთის (ნავთობი) ქვეყნების, ჩრდილოეთ აფრიკაში „არავისად“ დარჩენილი საფრანგეთის კოლონიების ხელში ჩასაგდებად.

ამ მიზნით, 1941 წლის თებერვალში აშშ-ის სტრატეგიული დაზვერვის უფროსი დონოვანი, მეტსახელად „ცოფიანი ბილი“, ჩავიდა ახლო აღმოსავლეთში. ბრიტანეთის იმპერიისთვის ხმელთაშუა ზღვას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს: ეს ინგლისელებისთვის მათი სამფლობელოებისკენ მიმავალი უმოკლესი გზაა. მოლაპარაკების დროს ჩერჩილმა რამდენჯერმე ისტერიკა მოუწყო რუზველტს, განუცხადა, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე იმიტომ კი არ მოსულა, რათა ბრიტანეთის იმპერიის დაშლის მოწმე გამხდარიყო, და მოსთხოვა, უფრო არსებითი დახმარება გაეწია ომში ჩართული ინგლისისათვის. ამასთან, მიუთითა მის უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რის გამოც მას არ შეუძლია, შეერთებული შტატებიდან მიღებული შეიარაღებისთვის გადაიხადოს ნაღდი ფული. ჯერ კიდევ 1940 წლის დეკემბერში ჩერჩილი რუზველტს სწერდა: „ახლოვდება დრო, როცა ჩვენ ვეღარ შევძლებთ, გადავიხადოთ ნაღდი ფული მიღებულ მასალებზე. თუმცა, რაც შეიძლება, ყველაფერს ვაკეთებთ და თავს არ ვარიდებთ შესაბამის მსხვერპლს, ვალუტით გადახდა რომ ვაწარმოოთ. ვფიქრობ, დამეთანხმებით, პრინციპულად არ იქნებოდა სწორი, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენი სისხლის ფასად გამარჯვებას მოვიპოვებთ, გადავარჩენთ ცივილიზაციას, შეერთებული შტატები კი შეიარაღების დასამთავრებლად დროს მოიგებს, ჩვენ თავით ფეხებამდე შიშვ-

ლები დავრჩეთ“ ბრიტანეთის იმპერიის მოსალოდნელი დაღუპვის შესახებ ჩერჩილის გოდებას რუზველტი ყურადღებას არ აქცევს, და, როგორც ყველა ამერიკელ პოლიტიკოსს, ამერიკული მონოპოლიების კონკურენტებთან ბრძოლის ძირითადი პრინციპი — „სუსტებს თელავენ, ძლიერებს ეთანხმებიან“ — საერთაშორისო ურთიერთობაზე გადააქვს, ამავე დროს, ხვდება, რომ მოსაძებნია რაღაც ახალი ფორმები ინგლისისთვის ამერიკული შეიარაღების გადასაცემად, რა თქმა უნდა, მომავალში ანაზღაურებით. მით უფრო, რომ ამერიკელი ბიზნესმენები ამას უკავშირებდნენ ომის გაგრძელებას, მომგებიანი სამხედრო დაკვეთებისა და დიდი სამხედრო მოგების მიღებას. მაგრამ მმართველ ამერიკელ პოლიტიკოსებს ეშინიათ ინგლისელების ტრადიციული მუხანათობის, დარწმუნებულები არ არიან, რომ ინგლისი ჰიტლერის წინააღმდეგ ომს სრულ გამარჯვებამდე გააგრძელებს. ამერიკის მთავრობაში გაისმის ხმები, რომ თუ ინგლისი თავისთვის მომგებიანად ჩათვლის, დაუყოვნებლივ დაუზავდება გერმანიას და ამერიკის შეერთებულ შტატებს მისი დარტყმის ქვეშ დააყენებს.

შექმნილი ვითარების გასარკვევად 1941 წლის 9 იანვრიდან 8 თებერვლამდე ინგლისში იმყოფებოდა რუზველტის უახლოესი თანაშემწე, გამოცდილი პოლიტიკოსი და ბრძენი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე ჰარი ჰოპკინსი.

ვაშინგტონში დაბრუნებისთანავე მან პრეზიდენტს მოახსენა, რომ ინგლისი ბოლომდე იომებს, მაგრამ მას დახმარება სჭირდება, თორემ იგი ვერ შეძლებს თავისი კუნძულების ფაშისტური გერმანიის შეჭრისგან დაცვას.

ამერიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება: „გადაეცეს ინგლისს შეიარაღება და მასალები სესხად ან იჯარით, წარმოქმნილი ვალის შემდგომ გადახდით“ (ლენდ-ლიზი). რადგან კაპიტალისტურ სამყაროში არავითარი შეთანხმებისა არ სჯერათ, ამერიკის მთავრობა მოიქცა ისე, როგორც ნებისმიერი მევაჭრე: გირაოს სახით ამერიკული სამხედრო გემით აშშ-ში ჩაიტანა 148 მილიონი დოლარის ღირებულების ინგლისური ოქრო. ინგლისი ეკონომიკურად ამერიკაზე მთლიანად დამოკიდებული გახდა. ამერიკელ წამყვან ბანკირთა წრეში ინგლისს დამცინავად „ამერიკულ ჩაუძირავ ავიამზიდად“ მოიხსენიებენ. შეკითხვას: შეიძლება თუ არა გადაცემული იარაღის ვალში ინგლისს ჩამოვართვათ მისი სამფლობელოები ოსტ-ინდოეთში, სამხედრო-საზღვაო მინისტრი ნოქსი უპასუხებს: „დადგება დრო, როცა აშშ დიდი ბრიტანეთის ნებაყოფლობითი თანხმობით შეიძენს ვესტ-ინდოეთში ინგლისურ კუნძუ-

ლებს“ ლენდ-ლიზის მთავარი მიზანი ისაა, რომ დაიცვას ამერიკული იმპერიალიზმის ინტერესები აგრესიულ გერმანულ-იაპონურ ბლოკთან ბრძოლაში სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების დახმარებით. ამასობაში შექმნას მძლავრი ამერიკული სამხედრო ძალები და ფეხქვეშ ამოიდოს ომით დასუსტებული სახელმწიფოები მთელ მსოფლიოში, ამრიგად მოიპოვონ მსოფლიო ბატონობა.

ინგლის-ამერიკული ბიზნესის „მახინჯი“ მხარის შესახებ

ინგლისისა და აშშ-ის მაქსიმალურ მოგებას გამოდევნებული მრეწველები თავიანთ ხალხებს ღალატობენ. ასე, გერმანული თვითმფრინავები, რომლებიც ბრიტანეთის კუნძულებს ბომბავენ, ინგლისურ-ამერიკული მონოპოლიების მიერ მიწოდებული ბენზინით დაფრინავენ, იაპონიის ავიაციასა და ფლოტს შეუძლია იმოქმედოს და მოქმედებს აშშ-დან მიწოდებული საწვავით.

აშშ-ის მმართველ წრეებში ძალიან დიდია იმ პოლიტიკოსების გავლენა, რომლებიც მოგების მიზნით უაღრესად დაინტერესებულნი არიან იაპონიისთვის ამერიკული საქონლისა და სტრატეგიული ნედლეულის მიწოდებით. უწინარეს ყოვლისა, ისინი არიან ბანკირები „ფერსტ ნეიშნ ბენკ ოფ ნიუ-იორკიდან“ და „გარანტი ტრასტიდან“ (მორგანის ჯგუფი), „ბენკ მენჰეტენიდან“ (კუნ-ლების ჯგუფი), „იუნიონ ტრასტ K“-დან (მელონის ჯგუფი).

სტრატეგიულ საქონელს იაპონიას აწვდის ამერიკის 10 უმსხვილესი მეტალურგიული კომპანია (მათ შორის, — აშშ-ის პოლიტიკურ სამყაროში ისეთი გავლენიანი, როგორიც „იუნაიტედ სტეიტს სტილი“), 8 უდიდესი ნავთობკომპანია (მათ შორის, — „სტანდარტ ოილი“, „შელ ოილი“, „ტექსას კორპორეიშნი“), მანქანათმშენებელი 15 კომპანია (მათ შორის, „ჯენერალ ელექტრიკი“, „ჯენერალ მოტორსი“, რომელთა გავლენის შესახებ ამერიკაში ამბობენ: „რაც ჯენერალ მოტორსისათვის სასარგებლოა, სასარგებლოა აშშ-სთვის“; „ფორდ მოტორი“, „კრაისლერი“, „დიუპონ დე ნემური“, „ისტმენ კოდაკი“, „დუგლას ეირკრაფტი“, „ლოკჰიდ ეირკრაფტი“). 4 ამერიკული კომპანია იაპონიას აწვდის ბამბას; იაპონიისთვის ამერიკული პროდუქციის მიწოდებიდან განსაკუთრებით დიდი შემოსავალი აქვს გემების კომპანიებს „პასიფიკ ლაიკსს“ და „იუნაიტედ სტეიტს ლაიკსს“

1941 წლის იანვარში აშშ-მ იაპონიას მიჰყიდა მის მიერ იმპორტირებული ლითონისა და ბამბის 40 პროცენტი, ჯართის 70 პროცენტი, ნავთობპროდუქტების 50 პროცენტი, ავტონაწილების 95 პროცენტი.

ამერიკული დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, კონტრადმირალი ზაქარისი ამტკიცებს, რომ ბევრ ამგვარ ოპერაციაზე, ჯერ კიდევ 1940 წელს ოფიციალურად შემოღებული ემბარგოს მიუხედავად, აშშ-დან იაპონიისთვის სტრატეგიული საქონლის მიწოდება აქტიურად გრძელდება.

ინგლისი და აშშ აქტიურად აიარაღებენ თავიანთ მტრებს. ხოლო კაპიტალისტური სამყაროს საქმოსნებზე დამოკიდებული მთავრობები ვერაფერს უხერხებენ მოღალატე მრეწველებს. ამასთან, იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში მის ისეთ მოკავშირეს, როგორიც ჩინეთია, აშშ უმნიშვნელო რაოდენობით აწვდის სტრატეგიულ საქონელსა და შეიარაღებას. ჩინეთისთვის მიცემულმა აშშ-ის კრედიტმა (როცა გერმანიასა და იაპონიისათვის მიწოდებები მილიარდობით დოლარია) შეადგინა მხოლოდ 175 მილიონი დოლარი. ეს იმ ვითარებაში, როცა ამერიკის სამხედრო-საზღვაო მინისტრი ნოქსი აცხადებს: „რაც უფრო წარმატებულად გაუწევს წინააღმდეგობას ჩინეთი იაპონიას, მით უფრო ნაკლებად იქნება შესაძლებელი, რომ იაპონიამ სამხრეთისკენ, თბილი ზღვების რაიონისკენ წინ წაიწიოს“

შეიარაღების ზრდის შესახებ აშშ-ში

უახლოეს პერიოდში გათვალისწინებულია არმიის რიცხობრივი შემადგენლობა 1 200 ათას კაცამდე გაიზარდოს, მობილიზაციის შემთხვევაში შეიარაღება დამატებით 800 ათას კაცზე მომზადდება. გათვალისწინებულია სამხედრო-საზღვაო ძალების 70 პროცენტით გაზრდა (200 საბრძოლო გემით). მოცემულ მომენტში ამერიკული სამხედრო-საზღვაო ფლოტი შედგება ხომალდებისგან, რომელთა საერთო წყალწყვაა 3 745 ათასი ტონა. ეშინიათ, რომ გერმანია და იაპონია აშშ-ის ტერიტორიას თავს დაესხმება. განზრახული აქვთ, რომ გერმანიისა და იაპონიის დამარცხების შემდეგ, ორი ფლოტი — წყნარი ოკეანისა და ატლანტის — გამოიყენონ ომით დასუსტებული ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიების, განსაკუთრებით, ბრიტანეთის იმპერიის კოლონიებისა და დომინიონების მისათაცებლად.

საავიაციო მრეწველობამ სამხედრო სამინისტროსგან მიიღო დაკვეთა 80 ათას თვითმფრინავზე, 4 535 სამხედრო თვითმფრინავი, რომლებიც სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვისაა განკუთვნილი, უკვე მწყობრში ჩადგა. აშშ-ის შეიარაღებული ძალების განვითარების ე.წ. ხანგრძლივი პროგრამა ითვალისწინებს დაახლოებით 8,8 მლნ კაციან (215-მდე დივიზია) არმიას, მათგან 2 მლნ კაცი — სამხედრო-საჰაერო ძალებში.

მიმდინარეობს მზადება ამერიკული იმპერიალიზმის დამპყრობლური ინტერესების მიზნით ევროპასა და სხვა კონტინენტებზე 5 მლნ კაციანი სამხედრო კონტინგენტის გადასასროლად.

ჟანდარმერიის გენერალ ტოძიოს — პირწავარდნილი ანტისაბჭოელისა და ფაშისტის — ხელისუფლებაში მოსვლას ვაშინგტონში პირდაპირ უკავშირებენ უახლოეს ხანში იაპონელების ჩვენზე თავდასხმისთვის მზადებას. ამ აზრს სრულად იზიარებს ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლობა: გენერალი მარშალი, ადმირალი სტარკი, გენერლები ბლაიდენი, არნოლდი, ჯეროუ, ადმირალები ინგერსოლი და ტაუერსი, წყნარი ოკეანის ამერიკული ფლოტის სარდალი, ადმირალი ჭიმელი, ამერიკული სამხედრო დაზვერვის უფროსი, გენერალი მაილსი. აქედან — ერთგვარი უზრუნველობა აშშ-ზე იაპონიის მოულოდნელი თავდასხმის შესაძლებლობის მიმართ. გასაოცარია, რომ პერლ-ჰარბორზე იაპონელების თავდასხმისათვის მზადების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, პირები, ვისზეც აშშ-ის თავდაცვაა დამოკიდებული, ამ შეტყობინებას გულგრილად ეკიდებიან და მას მორიგ დეზინფორმაციად მიიჩნევენ.

ამერიკული დაზვერვის ხელმძღვანელები იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ასეთი ხასიათის ინფორმაცია ინსპირირებულია საბჭოთა კავშირის მიერ, რომლისთვისაც მომგებიანია, ამერიკამ დაიწყოს ომი რუსეთის ძველისძველ მტერთან — იაპონიასთან.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

იუგოსლავიის ელჩი მოსკოვში გავრილოვიჩი ორმაგი აგენტია, საბჭოთა და ინგლისის დაზვერვების აგენტი.

ა. კული
1941 წლის 12 ივლისი

ნაწილი 3
სიტუაციის ანალიზი. ომისთვის მზადება

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ა.მ. ზაპოროჟეცი, რომელიც ამხ. სტალინის დავალებით იმყოფებოდა ახალ საზღვარზე თავდაცვითი სიმაგრეების მშენებლობის მიმდინარეობს შესამოწმებლად, თავდაცვის სახალხო კომისარ ტიმოშენკოს მოხსენებით ბარათში აცნობებს: „გამაგრებული რაიონები, რომლებიც ჩვენს დასავლეთ საზღვრებზე შენდება, უმეტესად არაბრძოლისუნარიანია“

ა. ჯუკი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ცნობა

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს და სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენებითი ბარათიდან უკრაინის დასავლეთი ნაწილის მხარის შესახებ სსრკ ახალ საზღვრებზე.

მხარე მდინარეებით ძლიერ არის დაყოფილი ცალკეულ მაღლობებად ციცაბო ფერდობებითა და ფლატეებით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჭაობები და ტორფნარია, წვიმიან ამინდში გზები ჩვეულებრივ გაუვალი ხდება.

ა. ჯუკი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

შორეულ აღმოსავლეთში (ჩინეთი, იაპონია) და დასავლეთ ევროპაში აქტიურად მუშაობს ჩვენი აგენტურული ქსელი 300-ზე მეტი საიდუმლო თანამშრომლის შემადგენლობით.

ა. ლავროვი
1941 წლის 10 ივნისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სახელმწიფო უშიშროების კომისარ ეიტინგონთან საუბრისას *(სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე, რომელსაც გერმანიის თავდასხმის კვირაძალს დაეკისრა სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციების განხორციელება ომის შემთხვევაში. — **შემდგენ.**)* გენერალმა პავლოვმა განაცხადა: ომის დროს ძირგამომთხრელი სამუშაოები მოწინააღმდეგის ჯარების ზურგის დეზორგანიზაციისთვის საჭირო არ არის. ჩვენ თვითონ გავართმევთ თავს.

ა. ჯუკოვი
1941 წლის 15 ივნისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ცნობა

ომისწინა წლებში თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეები: ე.ა. შჩადენკო, ი.ნ. ფედორენკო, ა.ვ. ხრულევი, პ.ფ. ჟიგარევი.

ა. ჯუკოვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ა.ს. იაკოვლევთან ი.ბ. სტალინის საუბრის ჩანაწერი

*(ალექსანდრ სერგეევიჩ იაკოვლევი, სახელგანთქმული ავიაკონსტრუქტორი, 1939 წლის ოქტომბერში დაინიშნა საავიაციო დელეგაციის საავიაციო კომისიაში, რომელსაც მეთაურობდა ივან ფიოდოროვიჩ თევოსიანი და საშუალება ჰქონდა, გასცნობოდა ევროპული ქვეყნების, მათ შორის, ფაშისტური გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებს. შეხვედრა სტალინთან 1939 წლის ნოემბერში გაიმართა. საუბრის სტენოგრამა ჩაიწერა სტალინის თანაშემწემ ა.ნ. პოსკრებიშევმა. დაბეჭდილი სტენოგრამის ასლი ინახებოდა სტრატეგიული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის არქივში. — **შემდგენ.**)*.

სტალინი: როგორია თქვენი მთავარი დასკვნა, ამხანაგო იაკოვლევ, მას შემდეგ, რაც დასავლეთის ქვეყნების საავიაციო ტექნიკას გაეცანით?

იაკოვლევი: თვითმფრინავის საერთო არქიტექტურისა და თვით-

მფრინავმშენებლობის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტის თვალსაზრისით ჩვენი ქვეყანა ტოლს არ უდებს დასავლეთ ევროპას. მაგრამ, ამხანაგო სტალინ, ჩვენ მათ ჩამოვრჩებით წარმოების კულტურაში, ჩვენი მანქანების დეტალებში სრულყოფაში.

სტალინი: მოკლედ მოჰყევით იმ ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალების მდგომარეობის შესახებ, რომლებშიც იყავით.

იაკოვლევი: თუ ნებას დამრთავთ, იტალიით დავიწყებ.

იტალია არასოდეს იყო მოწინავე საავიაციო ქვეყანა, თუმცა, მუსოლინის მთავრობა ყველა ღონისძიებას ხმარობს მისთვის საჭირო შთაბეჭდილების შესაქმნელად. ამ მიზნით მუსოლინი, რომელიც მთავრობის მეთაურის პოსტს უთავსებს ავიაციის მინისტრის პოსტს, ყოველმხრივ ახალისებს რეკორდებსა და სპორტულ ფრენებს, დიდ თანხებს აძლევს ცალკეულ კონსტრუქტორებსა და მფრინავებს ტრანსატლანტიკური გადაფრენების ორგანიზებისთვის, ფულს არ იშურებს „საჩვენებელი“ ინსტიტუტებისა და აეროდრომების შესაქმნელად.

იტალიელმა მფრინავმა დონატიმ თვითმფრინავ „კაპრონით“ შეძლო სიმაღლეში მსოფლიო რეკორდის დამყარება — 14 ათას მეტრამდე, მფრინავმა ანჟელომ საბრძოლო თვითმფრინავ „მაკი-72“-ით — მსოფლიო რეკორდი სისწრაფეში — 710 კმ საათში. მაგრამ მონტეჩელიოში ჩვენს მიერ ნანახი მანქანები, მათ შორის, უახლესიც, თავიანთი სქემით სულაც არ იყო ორიგინალური. ერთია — ცალკეული სარეკორდო თვითმფრინავების დამზადება, სხვაა — ძლიერი საჰაერო ფლოტის შექმნა. იტალიის საავიაციო მრეწველობის სახელდახელო გაცნობამაც კი დაგვანახვა მოჩვენებითის სინამდვილესთან შეუთავსებლობა.

საფრანგეთში ვესტუმრეთ ყველაზე ცნობილი ფრანგი კონსტრუქტორების — ბლერიოს, რენოს, პოტეზისა და მესიეს ქარხნებს. არაფერი ახალი და თანამედროვე თვითმფრინავების დამზადების ტექნოლოგიაში ჩვენ იქ არ გვინახავს. საფრანგეთის საავიაციო ქარხნებს რომ ვათვალიერებდი, უნებურად ვუდარებდი ჩვენს ქარხნებს და ყოველთვის დიდი კმაყოფილებით ვასკვნიდი, რომ მასშტაბით, დანადგარების ხარისხით ვერცერთი ფრანგული საწარმო ვერ შეედრება ნებისმიერ ჩვენს რიგით საავიაციო ქარხანას.

სტალინი: ხომ არ აზვიადებთ?

იაკოვლევი: არ ვაზვიადებ, ამხანაგო სტალინ, ნამდვილად ასეა. 30-იანი წლების შუაში საფრანგეთი წვალება ახალი სახეობების თვითმფრინავების უდიდესმა რაოდენობამ, და ავიამშენებლებმა, რომლებ-

საც ამის გამო თავგზა აებნათ, ვერ შეძლეს აერჩიათ ისეთები, რომელთა სერიულ, მასობრივ წარმოებას ომის დროს გამოსაყენებლად დაიწყებდნენ. შედეგად, სახეზეა ჩამორჩენა სავარაუდო მოწინააღმდეგისგან — ჰიტლერული გერმანიისგან.

1939 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, საფრანგეთი თვითმფრინავების გარეშე აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი თვითმფრინავების გარეშე, რომელთაც შეეძლოთ მეტოქეობა გაეწია გერმანული „მესერშმიტებისა“ და „იუნკერსებისათვის“, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ გერმანული ავიაცია რამდენჯერმე სჭარბობდა საფრანგეთისას.

ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საფრანგეთი ასე სამარცხვინოდ დამარცხდა. საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შესწავლისას ჩამომიყალიბდა შთაბეჭდილება, რომ ფრანგი მმართველები უფრო კაპიტულაციისთვის იყვნენ მომზადებულები, ვიდრე წინააღმდეგობის გასაწევად.

რაც შეეხება ინგლისს, ავიაგამანადგურებელი „სპიტფაირი“ და ბომბდამშენი „ლანკასტერი“ ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების საფუძველია. მძიმე, ოთხძრავიან „ლანკასტერის“ ბომბებით დატვირთვა 6-7 ტონაა, მაქსიმალური სიჩქარე 450 კილომეტრი საათში.

ინგლისური გამანადგურებელი „ჰარიკეინი“ და ბომბდამშენი „უიტლი“ თავიანთი საფრენოსნო-საბრძოლო მახასიათებლებით გერმანულ თვითმფრინავებს კონკურენციას ვერ უწევენ. ინგლისელების იმედია შესანიშნავი გამანადგურებელი „სპიტფაირი“, რომლის სერიული წარმოება მიმდინარეობს.

ვნახეთ ორი ახალი ინგლისური მონოპლანიც: „ჰაუკერის“ ფირმის ავიაგამანადგურებელი სახელწოდებით „ჰარიკეინი“ და ინგლისის საავიაციო ტექნიკის უახლესი ნიმუში — გამანადგურებელი „სუპერმარინი“ როგორც ჩანს, „ჰარიკეინები“ და „სპიტფაირები“ თამაშობს მთავარ როლს ფაშისტური გერმანიის მიერ ინგლისზე საჰაერო შეტევების მოგერიებაში.

ახლა კი ჩვენს შესაძლო მოწინააღმდეგეზე — ფაშისტური გერმანიის შესახებ.

გერმანიის საავიაციო მრეწველობა ძირითადად სამი ტიპის თვითმფრინავს ამზადებს: „მესერშმიტი-109“, „იუნკერსი-87“ და „იუნკერსი-88“ უშვებენ, აგრეთვე, სატრანსპორტო თვითმფრინავს „იუნკერს-52“-ს და მზვერავს — „ფბ-189“ მცირე რაოდენობით აგებენ აგრეთვე მძიმე გამანადგურებელს „მესერშმიტი-110“ და აშკარად დაძველებულ ბომბ-

დამშენებს „ჰეინკელი-111“-ს და „დორნიე-217“-ს. „ჰეინკელის“ სიჩქარე დაახლოებით 430 კილომეტრია საათში. „დორნიესი“ რამდენადმე მეტია.

გერმანიის თვითმფრინავების პარკში სჭარბობს „მესერშმიტი-109“, რომელსაც გერმანელები სიამაყით „ზეცის მეფეს“ უწოდებენ.

როგორც ცნობილია, ჩვენი გამანადგურებლები „И-15“ და „И-16“ საჰაერო ბრძოლებში გერმანელებს პირველად ესპანეთში დაუპირისპირდნენ. ეს იყო პირველი გერმანული გამანადგურებლები „მე-109B“, რომელთა სიჩქარე საათში 470 კილომეტრზე მეტი არ არის. ჩვენი გამანადგურებლები სიჩქარით „მესერშმიტებს“ არ ჩამოუვარდებოდა, შეიარაღება კი ორივეს თითქმის ტოლფასი ჰქონდა — 7,6-მილიმეტრიანი კალიბრის ტყვიამფრქვევები. მანევრირება ჩვენს თვითმფრინავებს უკეთესი ჰქონდა და „მესერებმა“ ეს თავიანთ თავზე იწვნიეს. ამის გამო ჩვენთან სამამულო გამანადგურებელი ავიაციის მოდერნიზაციებს არ ჩქარობდნენ.

გერმანელებმა კი ჩვენზე ადრე გაითვალისწინეს ესპანეთის ცაში საჰაერო ბრძოლების გამოცდილება, ჩვენზე უკეთ გამოიყენეს ესპანეთის პოლიგონის გაკვეთილები.

მათ რადიკალურად გააუმჯობესეს თავიანთი საბრძოლო მანქანები „მე-109“, დაუყენეს „დაიმლერ ბენც-601“-ის 1100 ცხენისძალის სიმძლავრის ძრავა, რისი წყალობითაც ფრენის სიჩქარე საათში 570 კილომეტრამდე გაზარდეს. შეაიარაღეს 20-მილიმეტრიანი კალიბრის ქვემეხით და ამით მისი ცეცხლის სიმძლავრე გაზარდეს.

ამ სახით მიიღეს სერიულ წარმოებაში „მესერშმიტი“ „მე-109E“ მარკით.

1938 წლის აგვისტოში ორი ათეული „მე-109E“ ესპანეთში გაგზავნეს. ამ თვითმფრინავების უპირატესობა ჩვენს „И-15“-სა და „И-16“-ზე აშკარაა.

სტალინი: საკითხის ისტორია ჩემთვის ცნობილია. მაშასადამე, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩვენი გამანადგურებლების ძირითადი მასა გერმანელებისას წინააღმდეგობას ვერ გაუწევს?

იაკოვლევი: წინააღმდეგობას გაუწევს მხოლოდ ჩვენი ახალი გამანადგურებლები — „მიგი“, „იაკი“ და „ლაგი“, რომელთა ნიმუშები მხოლოდ 1940 წელს გამოჩნდა, მაგრამ ახლა სერიულ წარმოებაშია ჩაშვებული. სამწუხაროდ, ამხანაგო სტალინ, ჩვენი ბომბდამშენების შედარება გერმანულ „იუნკერს-88“-თან ჩვენთვის წამგებიანი იქნება. სიჩქარეში, ბომბებით დატვირთვაში გერმანელებს უპირატესობა აქვთ

ბომბდამშენ ავიაციაშიც. გერმანულ ბომბდამშენებზე უკეთესი ჩვენი მოპიკირე ბომბდამშენის „Пе-2“-ის სერიული წარმოება მხოლოდ ახლახან დაიწყეს.

ხოლო სახმელეთო ჯარებთან ურთიერთობის თვითმფრინავი, ისეთი, როგორიც გერმანული მოპიკირე ბომბდამშენი „იუნკერს-87“-ია, ჩვენ არ გვაქვს.

ასევე ახლახან დაიწყეს ილიუშინის ჯავშნიანი მოიერიშე „Ил-2“-ის სერიული წარმოება, თვითმფრინავის, რომელიც „იუ-87“-ზე მრავალმხრივ უმჯობესია.

სტალინი: გამოდის, რომ ჩვენ სწორად მოვიქეცით, როცა 1939 წელს ფაშისტურ გერმანიასთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დავდეთ, რამაც წელიწად-ნახევრის განმავლობაში ამოსუნთქვის საშუალება მოგვცა?

იაკოვლევი: ეს ჭეშმარიტად გენიალური გადაწყვეტილება იყო, ამხანაგო სტალინ.

დროის მოგება განსაკუთრებით ძვირფასი იყო ჩვენი ავიაციისათვის: ამან საშუალება მოგვცა, 1939-1940 წლებში შეგვექმნა სრულიად ახალი ტიპის საბრძოლო მანქანები და 1941 წლისთვის დაგვეწყო მათი სერიული წარმოება. ამის გარეშე გერმანელები, მით უფრო — იაპონელებთან ერთად, 1939 წელს უეჭველად გაგვანადგურებდნენ.

სტალინი: თქვა რუქამ არაკი! მაგრამ თქვენ მართალი ხართ, ძალიან გაგვიჭირდებოდა. გამოდის, რომ ეშმაკობით ვაჯობეთ ჰიტლერს, ვერ დაეხმარა „ნორდული“ ეშმაკობა?

იაკოვლევი: ასე გამოდის, ამხანაგო სტალინ.

სტალინი: მომიყევით თქვენი საერთო შთაბეჭდილება გერმანიის შესახებ. თქვენ დაკვირვებული კაცი ხართ და უეჭველად შეამჩნევდით ბევრ საინტერესო რამეს.

იაკოვლევი: გააჩნია, რა გაინტერესებთ, ამხანაგო სტალინ.

სტალინი: როგორია საერთო მდგომარეობა ბერლინში? იგრძნობა, რომ გერმანია ინგლისს ეომება?

იაკოვლევი: ომის კვალი ქალაქში არ ჩანს. მოკავშირეთა ავიაცია უფრო აშინებს, ვიდრე მოქმედებს. მისი თავდასხმის დროს მდგომარეობა ბერლინში უფრო სასწავლო განგაშს ჰგავს. თუმცა, საჰაერო განგაშის გამოცხადების დროს გერმანელები დისციპლინებულად იმალებიან ბომბსაფრებში და სხედან იქ განგაშის დამთავრებამდე.

დღისით მაღაზიებთან რიგები დგას და ქალაქში ჩვეულებრივი ცხოვრება გრძელდება. მამაკაცთა უმრავლესობას რომელიმე ფორმა აც-

ვია: სამხედრო, ესესელის, პოლიციელის, ფაშისტური პარტიის ფორმა: შავი შარვალი და ყავისფერი პიჯაკი სვასტიკიანი სამკლავურით, მეეზოვებსაც კი, ქუჩის დამლაგებლებს ფორმის ქუდები ახურავთ. ყველგან გამოკრულია ჩერჩილის გამოსახულებიანი პლაკატები წარწერით: „მტერი ნომერი პირველი“ და ლოზუნგები: „ღმერთო, დასაჯე ინგლისი!“ საერთაშორისო და პოლიტიკურ საკითხებზე საუბრის ამოჩემებული თემა ინგლისელების დაცინვაა.

ჰიტლერელები რატომღაც უკიდურესად აგდებულად უყურებენ თავიანთ მოკავშირე იტალიელებს. ერთი გერმანელი ავიაკონსტრუქტორი სადილის დროს ასეთ ანეკდოტს მომიყვა: „იტალიელების ტანკები გერმანელებისგან განსხვავდება იმით, რომ სამი სიჩქარე აქვთ უკან და ერთადერთი — წინ“. გერმანულ კინოთეატრებში აჩვენებენ დოკუმენტურ ქრონიკას პოლონეთთან ომის შესახებ — „პოლონეთი ცეცხლში“ — გერმანული ავიაციის მიერ ამ ქვეყნის ბარბაროსული დაბომბვის შესახებ.

სტალინი: მე ვნახე ეს სურათი. ასეთი რამ შეიძლება შემთხვეოდა ქვეყანას, რომელსაც უაღრესად სუსტი ჰაერსაწინააღმდეგო დაცვა აქვს.

იაკოვლევი: ბერლინში ებრაელები ვალდებულნი არიან, მარცხენა ხელზე ატარონ ყვითელი სამკლავური შავი ასოთი „Y“ („იუდა“). ტაქსებში ხშირად ნახავთ წარწერებს: „ებრაელებს არ ვემსახურები“, კინოთეატრის სალაროებთან კი: „ბილეთები ებრაელებისთვის არ იყიდება“ ბულვარებში ებრაელებისთვის სკამები ყვითლადაა შეღებილი, აწერია „ფიურერიუდენ“ (ებრაელებისთვის) და ბულვარისკენ ზურგითაა შეტრიალებული. ასეა მთელ გერმანიაში. ებრაელთა დარბევებიც იშვიათი არ არის.

სტალინი: მომახსენეს, რომ ჰიტლერელები აპირებენ ფიზიკურად ამოწყვიტონ ებრაელები როგორც გერმანიაში, ისე ოკუპირებულ ქვეყნებში. ამ მიზნით მათ შეიმუშავეს ებრაული მოსახლეობის ამოყლეტის სპეციალური გეგმა, რომელიც კოდირებულია „ვანზეეს კოდის“ სახელწოდებით. ცოდვაა შრომისმოყვარე და ნიჭიერი ებრაელი ხალხი, რომელსაც ექვსი ათასი წლის ისტორია აქვს. მისმა წარმომადგენელმა, სხვადასხვა სფეროების თვალსაჩინო მეცნიერებმა, არსებითი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მომზადებაში. დღეს ებრაელი ხალხის გადარჩენის რეალური იმედი საბჭოთა კავშირია. ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც ებრაელი მოქალაქენი, ისევე, როგორც სხვა ჩვენს დიად სამშობლოში მცხოვრები ხალხების

წარმომადგენლები, ჭეშმარიტად თანასწორ და თავისუფალ ადამიანებად გრძნობენ თავს.

ინგლისელები და ამერიკელები, რომლებიც ებრაელების მეგობრობას იჩემებენ, და ამავე დროს შექმნეს და აღზარდეს ჰიტლერელები, ბევრს ლაყბობენ მათი გადარჩენის აუცილებლობაზე, პრაქტიკულად კი არაფერს აკეთებენ საამისოდ. ეხმარებიან ჰიტლერს, განახორციელოს თავისი კაციჭამიური გეგმები.

იაკოვლევი: ასე რატომ სძულთ ჰიტლერელებს ებრაელები?

სტალინი: კაპიტალისტური კონკურენციის გამო, რურის მაგნატები გერმანიაში ებრაელი კაპიტალისტების კაპიტალს ხელთ იგდებენ და ამას რასობრივი თეორიის დროშით ნიღბავენ, თავიანთ ქოფაკებს — ჰიტლერელებს ყველა ებრაელს უსისინებდნენ.

რომელია, თქვენი აზრით, თანამედროვე გერმანელების განმასხვავებელი თვისება?

იაკოვლევი: თავდაჯერება.

სტალინი: ეგ ყოველთვის საკმარისად ჰქონდათ და ღუპავდა კიდეც.

იაკოვლევი: მაგრამ ამჟამად, ამხანაგო სტალინ, ფაშისტური პროპაგანდის შედეგად გამონაკლისის გარეშე ყველას — კონსტრუქტორიდან მებარგულამდე — სხვა ხალხებზე აღმატებულობის შეგრძნება აქვს.

სტალინი: უნტენმენშენები — არასრულფასოვანი ადამიანები, ასე უწოდებენ, მგონი, თანამედროვე გერმანელები ყველა სხვა ხალხს?

იაკოვლევი: სწორედ ასეა, ამხანაგო სტალინ.

სტალინი: არა, ჩვენ სწორად ვიქცევით, რომ ასე დაუნდობლად ვსჯით ყველა რჯულისა და შეფერილობის ნაცისტებს. ისინი ჩვენი მტრების საუკეთესო თანაშემწეები და საკუთარი ხალხის უბოროტესი მტრები არიან. ნაციონალისტების სანუკვარი ოცნებაა, დაანაწევრონ საბჭოთა კავშირი ცალკეულ „ნაციონალურ“ სახელმწიფოებად — მაშინ იგი მტრების იოლი ნადავლი გახდება. ხალხები კი, რომლებიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ, უმეტესად ფიზიკურად განადგურდებიან, დარჩენილი ნაწილი დამპყრობთა უსიტყვო და საწყალ მონებად იქცევიან. შემთხვევითი არ არის, რომ უკრაინელი ხალხის საძულველმა მოღალატეებმა — უკრაინელი ნაციონალისტების ლიდერებმა, ყველა ამ მელნიკებმა, ბანდერებმა უკვე მიიღეს გერმანული დაზვერვის დავალება უკრაინელებში, რომლებიც იგივე რუსები არიან, გააღვივონ რუსებისადმი სიძულვილი და საბჭოთა კავშირიდან უკრაინის გამოყოფას მიაღწიონ. რომის იმპერიიდან მოყოლებული, ძველი სიმღერაა: გათიშე და იბატონე. ინგლისელებმა განსაკუთრე-

ბულ წარმატებას მიაღწიეს ეროვნული გათიშულობის გაღვივებასა და ხალხების ერთმანეთზე წასისინებაში. ასეთი ტაქტიკის წყალობით, სხვადასხვა ხალხის უსუსური ბელადების მოსყიდვით, ინგლისმა, მსოფლიოს პირველმა ფაბრიკამ, მოკულობით მცირემ, მოახერხა, ხელთ ეგდო უზარმაზარი ტერიტორიები, დაემონებია და გაეძარცვა მსოფლიოს მრავალი ხალხი, შეექმნა „დიადი“ ბრიტანული იმპერია, რომელშიც, როგორც ტრაბახით აცხადებენ ინგლისელები, არასოდეს ჩადის მზე.

ჩვენთან, სანამ ცოცხლები ვართ, ეს ხრიკები არ გაუვათ. ასე რომ, ამაოდ უწოდებენ ჰიტლერელი ჩერჩეტები საბჭოთა კავშირს ხუხულას, რომელიც პირველი სერიოზული გამოცდისთანავე დაიშლება. იმედი აქვთ, რომ საბჭოთა ხალხების მეგობრობა მტკიცე არ არის და ისინი წაეჩხუბებიან ერთმანეთს. თუ გერმანია თავს დაესხმება საბჭოთა კავშირს, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ, თავიანთი სიცოცხლის ფასად, როგორც უსაყვარლეს სამშობლოს, დაიცავენ მას. მაგრამ ნაციონალისტების შეუფასებლობა დაუშვებელია. დაუსჯელად მოქმედების უფლება თუ მივეცით, ბევრ უბედურებას გადაგვყრიან. აი, რატომაა საჭირო, ამოვდოთ მათ რკინის ლაგამი, უფლება არ მივცეთ, ძირი გამოუთხარონ საბჭოთა კავშირის ერთიანობას.

მითხარით, ამხანაგო იაკოვლევ, როგორ უყურებენ გერმანელი მფრინავები საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალებს?

იაკოვლევი: აშკარად აგდებულად, ამხანაგო სტალინ, ჩვენი ავიაცია მათ არასრულყოფილად, „აზიურად“ მიაჩნიათ, რომელსაც არ ძალუძს, წინ აღუდგეს მათ „დაუმარცხებელ“ „ლიუფტვაფეს“

სტალინი: ეს მათ საბოლოო ჯამში დაღუპავს. მოწინააღმდეგის შეუფასებლობა უაღრესად საშიში რამეა.

იაკოვლევი: ამხანაგო სტალინ, ნება მომეცით, შეგეკითხოთ — რატომ გამიმჟღავნეს გერმანელებმა თავიანთი სამხედრო საიდუმლოებანი — მაჩვენეს თავიანთი უახლესი სამხედრო საავიაციო ტექნიკა?

სტალინი: ალბათ, დაშინება სურთ. ჩვენი სიმტკიცის გატეხა — ძველი ხერხია. ასე ჯერ კიდევ ჩინგის ყაენი იქცეოდა, რომლის ჯაშუშები, იმ ხალხებს შორის, ვის ტერიტორიაზეც შეჭრას აპირებდა თათარმონგოლთა ცხენოსანი ჯარი, ავრცელებდნენ ხმებს მისი არმიის უძლეველობის შესახებ და, უნდა ვთქვათ, რომ ჩინგის ყაენის ეს ხერხი ხშირ შემთხვევაში შეუმცდარად მოქმედებდა, ასუსტებდა აგრესიის მსხვერპლთა წინააღმდეგობის გაწევის ნებასა და უნარს. მაგრამ ამაოდ აქვთ ამის იმედი ჰიტლერელებს. ჩვენ მშიშრები არა ვართ.

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სსკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს
გაფართოებული სხდომის სტენოგრამა

(ჩატარების დრო — 1941 წლის მაისის ბოლო. ესწრებოდნენ სკ. კპ (ბ) პოლიტბიუროს წევრები, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, თავდაცვის სახალხო კომისარი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, შინსახკომის სახალხო კომისარი, თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისრები და წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ჟუკოვი, რომელმაც ახლახან შეცვალა ამ პოსტზე არმიის გენერალი მერეცკოვი. განიხილეს ქვეყნის თავდაცვისათვის მზადების საკითხები. განსახილველი საკითხების განსაკუთრებული საიდუმლოების გამო დამსწრეთ აეკრძალათ ჩანაწერების გაკეთება. სხდომის სტენოგრამას ერთადერთ ეგზემპლარად პირადად წერდა სტალინის თანაშემწე პოსკრებიშევი. სტენოგრამის ასლი ინახებოდა სტრატეგიული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის არქივში. — შემდგენ.)

სტალინი: მდგომარეობა ყოველდღიურად რთულდება და საკმაოდ შესაძლებელია, რომ ფაშისტური გერმანია მოულოდნელად თავს დაგვესხას. ამის დაჯერება, რა თქმა უნდა, ძნელია, რადგან გერმანია არც ეკონომიკური, არც სამხედრო თვალსაზრისით დღეს საბჭოთა კავშირთან ომისთვის მზად არ არის. მაგრამ ისეთი ავანტიურისტებისგან, როგორიც ჰიტლერული ხროვაა, ყველაფერს შეიძლება ელოდო, მით უფრო, რომ ჩვენ დიდი ხანია ვიცით — ფაშისტური გერმანიის თავდასხმა მზადდება აშშ-ისა და ინგლისის მონოპოლისტების უშუალო მხარდაჭერით. ინგლისურ-ამერიკული აგენტურა გერმანიაში ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ გერმანია რაც შეიძლება მალე ჩააბან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში. ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტები ფაშისტურ გერმანიას განიხილავენ, როგორც საბჭოთა კავშირისა და მთელ მსოფლიოში დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ დამკვრელ ძალას. ამაში ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ დავრწმუნდით, როცა გავაანალიზეთ ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეების პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის მიერ ერთა ლიგაში განიარაღების შესახებ შეტანილი წინადადებების ჩასაგდებად, აგრეთვე, უნამუსო, პროვოკაციული, ე.წ. „ჩაურევლობის“ პოლიტიკის შესაწყვეტად, რომელმაც ააღორძინა გერმანული აგრესია. საკმარისია გავიხსენოთ, რომ გერმანიასთან თავდა-

უსხმელობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის წინა დღეს, ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი ჩემბერლენი, ინგლისის მმართველი წრეებისთვის ჩვეული ფარისევლობით, აკეთებდა ყველაფერს, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რათა ჩვენი ქვეყნისკენ მოემართა ფაშისტური გერმანიის დარტყმა.

მოსკოვში სამი დელეგაციის — ინგლისის, საფრანგეთის და საბჭოთა დელეგაციების მოლაპარაკების დროს ფაშისტური გერმანიის მხრიდან აგრესიის კოლექტიური მოგერიების საკითხზე, გაირკვა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციები შეგნებულად აჭიანურებდნენ მოლაპარაკებას და არ ჰქონდათ თავიანთი მთავრობების დავალება, ხელი მოეწერათ საბჭოთა კავშირთან რაიმე სამხედრო ხელშეკრულებისთვის გერმანიის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში საბჭოთა კავშირთან ერთობლივი მოქმედების შესახებ. ამავე დროს შევიტყვეთ, რომ ინგლისის მთავრობა ჩვენთან მოლაპარაკების პარალელურად საიდუმლო მოლაპარაკებას მართავს ჰიტლერთან, ჩვენს ზურგს უკან გერმანელებს სთავაზობს, დადონ ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ და გერმანიამ და ინგლისმა ერთმანეთში გაინაწილონ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ტერიტორიები.

ამ პოლიტიკის არსის გაგება რთული არ არის. ერთმანეთის წინააღმდეგ სამხედრო კონფლიქტში ჩაითრიონ გერმანია და საბჭოთა კავშირი, განზე გადგნენ და თვითონ კი, როგორც ინგლისელებს სჩვევიათ, სხვისი ხელებით ნარის კრეფას აპირებენ და იმედოვნებენ, რომ მას შემდეგ, რაც გერმანია და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს გაანადგურებენ, თვითონ შეინარჩუნებენ საკუთარ შეიარაღებულ ძალებს და განუყოფლად და მშვიდად იბატონებენ მსოფლიოში. ორ კურდღელს მოკლავენ: მოსპობენ საბჭოთა კავშირს და მსოფლიო ასპარეზს ჩამოაცილებენ მსოფლიო ბატონობისთვის ბრძოლაში თავიანთ კონკურენტს — ფაშისტურ გერმანიას. 1939 წელს გერმანიასთან დადებულმა ჩვენმა ხელშეკრულებამ ჩაუშალა მათ ეს მზაკვრული ჩანაფიქრი. ინგლისელ-ამერიკელი პოლიტიკანები, ისევე, როგორც არაერთხელ წარსულში, მაგალითად, როგორც დაუესის ცნობილი გეგმის შემთხვევაში, აშკარად პირში ჩალაგამოვლებულები დარჩებიან.

1931-დან 1941 წლის დასაწყისამდე საგარეო პოლიტიკური საქმიანობა რომ შევაჯამოთ, მთავარი იქნება ის, რომ ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის ხრიკების მიუხედავად, შევძელით, თავიდან აგვეცილებინა საბჭოთა კავშირის ჩათრევა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში. სხვა შემთხვევაში, ჩვენ მოგვიწევდა, მარტოდმარტოს გვებ-

რძოლა ორ ფრონტზე: ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ დასავლეთში და აღმოსავლეთში იაპონიის წინააღმდეგ, რომელიც მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში დაუფარავად თავს დაგვესხა. ამჟამად საბჭოთა საზღვარი გადაწეულია შორს, აღმოსავლეთისაკენ, რაც საშუალებას გვაძლევს, თავდასხმის შემთხვევაში ჩვენი შეიარაღებული ძალები გავშალოთ და საომარი მოქმედება წარვმართოთ ჩვენი სასიცოცხლო მნიშვნელობის პუნქტებიდან მოშორებით. ხალხინ-გოლთან იაპონელების განადგურებამ მნიშვნელოვნად დააცხრო იაპონელი სამურაების საბრძოლო გზნება და მათ ჩვენთან ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება დადეს.

ამრიგად, გერმანიასთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება ჩვენი მხრიდან სწორი პოლიტიკური ნაბიჯი იყო. მან საშუალება მოგვცა, უფრო უკეთესად მოგვემზადებინა ქვეყანა თავდაცვისათვის, საშუალება მოგვეცა, გაგვეხლიჩა ჩვენს წინააღმდეგ მომართული იმპერიალისტების მიუნჰენის ფრონტი — გერმანიის, იტალიის, ინგლისის, საფრანგეთისა და მათ ზურგს უკან მდგარი აშშ-ის შემადგენლობით. შედეგად, ჩაიფუშა იმპერიალისტური სახელმწიფოების გამოლაშქრება სსრკ-ის წინააღმდეგ. ეს არის მთავარი შედეგი.

რით შეიძლება ავხსნათ ის გარემოება, რომ მეორე მსოფლიო ომი, ინგლის-ამერიკის მმართველი წრეების მოლოდინის საწინააღმდეგოდ, გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმით კი არ დაიწყო, არამედ გერმანიის იმპერიალისტების შეტაკებით ინგლისის, საფრანგეთის იმპერიალისტებთან და მათ ზურგს უკან მდგარი აშშ-ის მონოპოლიებთან? ჯერ ერთი, ეს, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება იმპერიალისტებს შორის ობიექტური წინააღმდეგობებით. მონოპოლიების ბრძოლა გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროებისთვის, უდიდესი მოგების უზრუნველყოფისათვის პრაქტიკულად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგობანი საბჭოთა კავშირთან — ახალ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობასთან. ინგლისურ-ამერიკული იმპერიალიზმი თავის კონკურენტებს გერმანიისა და იაპონიის სახით ვერ დაუთმობდა კაპიტალისტურ სამყაროზე ბატონობის უფლებას.

მეორე, ეს აიხსნება იმით, რომ ფაშისტური გერმანიის მმართველ ხროვას არ შეუძლია, არ გაითვალისწინოს პირველი მსოფლიო ომის გაკვეთილები: იგი ყოველნაირად ცდილობს, თავიდან აიცილოს ომი ორ ფრონტზე და თავისი მოწინააღმდეგენი სათითაოდ დაამარცხოს. რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ინგლისი და საფრანგეთი სსრკ-ზე სუსტი

მოწინააღმდეგენი არიან, გადაწყვიტეს მათგან დაეწყოთ. ცნობილია, მაგალითად, გერმანიის თავდასხმის მომენტისათვის ბრიტანეთის კუნძულებზე ინგლისს 20 ათასი გაწვრთნილი ჯარისკაცი ჰყავდა, ჰქონდა 200 ზარბაზანი და 50 ტანკი.

მესამე, თუ ჰიტლერელები მაინც გაბედავენ, თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს, ამას გააკეთებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიმორჩილებენ დასავლეთ ევროპას და გერმანული იმპერიალიზმის სამსახურში ჩააყენებენ ევროპული ქვეყნების ყველა რესურსს, რითაც საფუძვლიანად გაამაგრებენ და გააძლიერებენ გერმანიის სამხედრო ძლევამოსილებას.

ერთი სიტყვით, მდგომარეობა უაღრესად რთულია და არ უნდა დავივიწყოთ დიდი ლენინის სიტყვები, რომ ჩვენ ყოველთვის ყოველგვარი შემოსევის პირზე ვდგავართ. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ფხიზლად უნდა ვითვალისწინებდეთ მსოფლიო ბურჟუაზიის გააფთრებულ ბორგვას, და ინგლისელ და ამერიკელ ომის გამჩაღებლებს სხვისი ხელით ნარის გლეჯის საშუალება არ მივცეთ.

ახლა კი მოდით, ვნახოთ, რა მდგომარეობაა ჩვენთან ქვეყნის თავდაცვის მზადების საქმეში. ამხანაგო ჟუკოვ, გთხოვთ, გისმენთ.

ჟუკოვი: ამხანაგებო, რადგან აქ დამსწრეთათვის ქვეყნის თავდაცვისათვის მზადების საქმეში ბევრი რამ კარგადაა ცნობილი, ნება მომეცით, შევჩერდე მხოლოდ უმთავრესზე.

მსროლელთა ჯარები. ამა წლის მარტის ბოლოს მსროლელთა დივიზიების და ჯარის სხვა სახეობათა შემადგენლობის შესავსებად თადარიგიდან გაწვეულია 800 ათასი წითელარმიელი და სერჟანტი. 1941 წლის აპრილში მსროლელთა ჯარებისთვის დადგინდა საომარი დროის შტატი, რომლის მიხედვით დივიზიაში უნდა იყოს 14,5 ათასი კაცი, 78 საველე ქვემეხი, 54 ტანკსაწინააღმდეგო 45 მმ კალიბრის ზარბაზანი, 12 საზენიტო ქვემეხი, 82-120 მმ კალიბრის 66 ნაღმსატყორცნი, 16 მსუბუქი ტანკი, 13 ჯავშანმანქანა, სამი ათასზე მეტი ცხენი. ეს იდეალია. დღეისთვის კი საზღვრისპირა ოლქებში ას სამოცდაათი დივიზიიდან და ორი ბრიგადიდან 19 დივიზია დაკომპლექტებულია 5-6 ათასი კაცით, 7 ცხენოსანი დივიზია — საშუალოდ 6 ათასი კაცით, 144 დივიზიაში 8-9 ათასი კაცი ჰყავთ. შიდა ოლქებში კი დივიზიების უმრავლესობა შემცირებული შტატებითაა დაკომპლექტებული, მსროლელთა ბევრი დივიზია მხოლოდ ყალიბდება. დივიზიებში მებრძოლთა რაოდენობა განსაზღვრულ 14,5 ათასამდე რომ შევავსოთ, ქვეყანაში საყოველთაო მობილიზაცია უნდა გამოვაცხადოთ.

ჯავშანსატანკო ჯარები. სატანკო მრეწველობა გამოირჩევა განვითარების მაღალი ტემპით და სამამულო მანქანების კონსტრუქციული სრულყოფილებით. 1938 წელს ოცდაათიან წლებთან შედარებით ტანკების წარმოება სამჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. ამჟამად, საკ. კპ (ბ) ცკ და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, იქნება ტანკები უფრო ძლიერი ჯავშანდაცვითა და შეიარაღებით, უფრო მოძრავი და ექსპლუატაციაში უფრო სანდო (საშუალო T-34 და მძიმე ტანკები „KB“). ამავე დროს, არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ტანკშენებელი ქარხანა გეგმას ვერ ასრულებს, ჯარების შეიარაღება „KB“ და T-34 ტანკებით უაღრესად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ახალი ტანკების მიღება პრაქტიკულად 1940 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყეს ჯავშანსატანკო სასწავლებლებმა და საზღვრისპირა ოლქების ჯარებმა. ჩვენს წინაშე მდგარ პირველი რიგის ამოცანებს შორის უაღრესად მნიშვნელოვანია ახალი მექანიზებული კორპუსების ფორმირება. ჯერჯერობით მხოლოდ ცხრაა შექმნილი, მიმდინარე წლის მარტში მიღებულია გადაწყვეტილება ჩვენს მიერ მოთხოვნილი 20 მექანიზებული კორპუსის ფორმირების შესახებ. მაგრამ ჩვენ ვერ გავთვალეთ ჩვენი სატანკო მრეწველობის ობიექტური შესაძლებლობა.

ახალი მექკორპუსების სრულად დასაკომპლექტებლად საჭიროა 16,6 ათასი მხოლოდ ახალი ტიპის ტანკი, სულ კი 32 ათასი ტანკი. ერთ წელიწადში ამ რაოდენობის მანქანებს პრაქტიკულად ვერსაიდან ვერ მივიღებთ, საამისოდ არ გვყოფნის არც ტექნიკური, არც მეთაურთა კადრები.

არტილერია. 1 იანვრიდან დღემდე წითელმა არმიამ მიიღო 29 637 საველე ქვემეხი, 52 407 ნაღმტყორცნი, სულ კი ქვემეხი და ნაღმტყორცნი, ტანკების ზარბაზნების ჩათვლით — 92 578. ამ იარაღის უდიდესი უმეტესობა საჯარისო არტილერიაზე მოდის, რომელიც ნაწილებისა და გაერთიანებების საშტატო განრიგში შედის.

საზღვრისპირა ოლქების საჯარისო არტილერია ქვემეხებით ძირითადად საშტატო ნორმებამდე არის დაკომპლექტებული. დავიწყეთ 27 საარტილერიო პოლკისა და მთავარსარდლობის რეზერვის 10 საარტილერიო ტანკსაწინააღმდეგო ბრიგადის დაკომპლექტება.

ამჟამად ჩვენ გვაქვს ჰაუბიცის სამოცი და ზარბაზნების თოთხმეტი საარტილერიო პოლკი მთავარსარდლობის რეზერვიდან, რაც, რა თქმა უნდა, გადამწყვეტ როლს შეასრულებს ფაშისტური გერმანიის სატანკო შეტევების მოგერიებაში, თუკი იგი მაინც გადაწყვეტს, თავს

დაესხას საბჭოთა კავშირს. ამავე დროს, არ შეიძლება, არ ვაღიაროთ, რომ მთავარსარდლობის რეზერვის არტილერია არასაკმარისია. ამასთან საარტილერიო წევა ცუდი განვლადობისაა და უგზოობისას მანევრირების საშუალებას არ იძლევა.

მინდა აგრეთვე აღვნიშნო, რომ მთავარი საარტილერიო სამმართველო სათანადოდ ვერ აფასებს ისეთ მძლავრ რეაქტიულ იარაღს, როგორიც არის БМ-13 („კატიუშა“). აუცილებელია, ამხანაგო სტალინ, დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას გადაწყვეტილება მათი სასწრაფო სერიული წარმოების დასაწყებად. უნდა გაკეთდეს ყველაფერი, რაც შესაძლებელია, რათა ჯარებმა რაც შეიძლება მალე მიიღონ ეს მრისხანე იარაღი.

კავშირგაბმულობის ჯარები, საინჟინრო ჯარები. რკინიგზა და გზატკეცილები. საკ. კპ (ბ) და სსრკ სახკომსაბჭოს კომისიამ, რომელიც 1940 წლის შუაში მუშაობდა, სამართლიანად მიუთითა, რომ მშვიდობიანობის დროის საინჟინრო ჯარები ვერ უზრუნველყოფს მათ ნორმალური გაშლას ომის შემთხვევაში. ამის გამო ამ ჯარების საკადრო ნაწილების შტაბები გავზარდეთ. ფორმირებულია ახალი ნაწილები, მიღებულია ზომები საინჟინრო ძალების საერთო მომზადების გასაუმჯობესებლად. ჩვენი უაღრესად სუსტი ადგილი კავშირგაბმულობის ჯარებია, რომლებსაც არ ჰყოფნით კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებები, ფაქტობრივად, არ არსებობს კავშირგაბმულობის ქონების სამობილიზაციო და ხელშეუხებელი მარაგი.

გენშტაბის რადიოკავშირი უზრუნველყოფილია PAT-ის ტიპის რადიოსადგურებით 39 პროცენტით, ხოლო РАФ ტიპის რადიოსადგურებით და მათი შემცვლელი II-АК-თი და სხვა რადიოსადგურებით — 60 პროცენტით, დამტენი აგრეგატებით — 45 პროცენტით. საზღვრისპირა დასავლეთის სამხედრო ოლქის განკარგულებაშია საჭირო რაოდენობის რადიოსადგურების მხოლოდ 27 პროცენტი, კიევის სამხედრო ოლქში — 30 პროცენტი, ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქში — 52 პროცენტი. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა რადიო და სადენებიანი კავშირის საშუალებებში. მიწისქვეშა საკაბელო ქსელი, რომელიც აუცილებელია ოპერატიული და სტრატეგიული ინსტანციების მომსახურებისთვის, საერთოდ არ არსებობს.

მცდარია მტკიცება იმისა, რომ ომის დროს ფრონტების, შიდა ოლქების და მთავარსარდლობის რეზერვის ხელმძღვანელობისთვის უპირატესად გამოყენებული იქნება კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საშუალებანი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ВЧ კავშირი.

აუცილებელია სასწრაფო ზომები, რათა, სანამ გვიან არ არის, მოვაწესრიგოთ სატელეფონო-სატელეგრაფო ქსელი, რადიო და რადიოსატრანსლაციო ქსელი. კარგად აწყობილი კავშირის გარეშე შეიარაღებული ძალები წარმატებით ვერ იბრძოლებენ.

მნიშვნელოვანი პრობლემაა გამაგრებული ზღუდეების მშენებლობა სახელმწიფო საზღვრების გასწვრივ, გზატკეცილებისა და გრუნტის გზების მდგომარეობა. ახალი გამაგრებული რაიონების მშენებლობას დასავლეთის საზღვარზე შევუდექით 1940 წლის დასაწყისში. დღეისთვის შევძელით 2 500 რკინაბეტონის ნაგებობის აშენება, მათგან 1 000 აღჭურვილია არტილერიით, დანარჩენი 1 500 — მხოლოდ ტყვიამფრქვევებით. გამაგრებული რაიონების მშენებლობა დამთავრებული არ არის და ამ მხრივ ახალი საზღვარი უკიდურესად სუსტია. ამასთან დაკავშირებით, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, განვაცხადო, რომ ამხ. კულიკის, შაპოშნიკოვისა და ჟდანოვის წინადადებებით განხორციელებული ჩვენი ძველი საზღვრების გამაგრებული რაიონების გაიარაღება აშკარად მცდარია. ისინი შეიძლება კიდევ გამოგვადგეს.

სტალინი: თქვენ მიგაჩნიათ, რომ ძველ საზღვრებამდე დავიხევთ?

ვოროშილოვი: ამხანაგი ჟუკოვი აქ აშკარად გადაჭარბებით აფასებს მომავალ მოწინააღმდეგეს და სათანადოდ ვერ აფასებს ჩვენს ძალებს.

ჟუკოვი: ომში ყველაფერი ხდება, ამხანაგო სტალინ. მე მივეჩვიე, ყოველთვის უარესისთვის ვიყო მზად. მაშინ მოულოდნელობანი არ ხდება. რაც შეეხება ამხანაგ ვოროშილოვის შენიშვნას, მის მიერ მოწინააღმდეგის შეუფასებლობა ერთხელ უკვე ძვირად დაუჯდა ჩვენს შეიარაღებული ძალებს ფინეთის კამპანიის დროს.

სტალინი: მაშასადამე თქვენ, ამხანაგო ჟუკოვ, თვლით, რომ ძველი გამაგრებული რაიონების განიარაღება, რათა აქ მოხსნილი შეიარაღებით აღვჭურვოთ გამაგრებული რაიონები ახალ საზღვარზე, საჭირო არ არის? სწორად გაგიგეთ?

ჟუკოვი: სავსებით სწორად, ამხანაგო სტალინ.

სტალინი: კარგი, ვიფიქრებთ. განაგრძეთ, ამხანაგო ჟუკოვ.

ჟუკოვი: გზატკეცილების ქსელი ბელორუსიისა და უკრაინის დასავლეთ ოლქებში ძალიან ცუდ მდომარეობაშია. ბევრი ხიდი ვერ გაუძლებს საშუალო ტანკებისა და არტილერიის წონას, თემშარები კი კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს.

საზღვრისპირა სარკინიგზო რაიონები ნაკლებადაა მოწყობილი ჯარების მასობრივად გადმოსხმისათვის. ამაზე მეტყველებს შემდეგი რიცხ-

ვები. ლიტვის საზღვრისკენ მიმავალ გერმანელთა რკინიგზის განვლადობა დღე-ღამეში 220 მატარებელია, ჩვენი ლიტვის გზას, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრამდე მიდის, მხოლოდ 84 მატარებლის გატარება შეუძლია. უკეთესი მდგომარეობა არ არის ბელორუსიისა და უკრაინის დასავლეთ ოლქების ტერიტორიაზე: აქ ჩვენ მოწინააღმდეგეზე თითქმის ორჯერ ნაკლები რკინიგზის ხაზები გვაქვს. სარკინიგზო ჯარები და სამშენებლო ორგანიზაციები 1941 წლის განმავლობაში ვერ შეასრულებენ იმ სამუშაოებს, რომლებიც შესასრულებელია.

სამხედრო-საჰაერო ძალები. 1939 წლიდან დღემდე წითელმა არმიამ მრეწველობისგან მიიღო 17 745 საბრძოლო თვითმფრინავი, მათგან 3 719 ახალი ტიპის თვითმფრინავი. კონსტრუქტორები: ს.ვ. ილიუშინი, ა.ი. მიქოიანი, ს.ა. ლავოჩკინი, ვ.მ. პეტლიაკოვი, ა.ს. იაკოვლევი თავიანთ ახალგაზრდულ კოლექტივებთან ერთად სამხედრო ავიაციას აწვდიან გამანადგურებლებს Як-1, Миг-3, Лагг-3, მოიერიშეს Ил-2, მოპიკირე ბომბდამშენს Пе-2 და მრავალ სხვას — სულ 20 ტიპის თვითმფრინავებს. მაგრამ სამხედრო-საჰაერო ძალებში ჭარბობს ძველი კონსტრუქციების მანქანები. სპეციალისტების მონაცემებით, მანქანების დაახლოებით 75-80 პროცენტი საფრენოსნო-ტექნიკური მონაცემებით ჩამორჩება ფაშისტური გერმანიის მსგავსი ტიპის თვითმფრინავებს. ახალი თვითმფრინავების მატერიალურ ნაწილს მხოლოდ ახლა ითვისებენ, თანამედროვე საავიაციო ტექნიკით საავიაციო ნაწილების არაუმეტეს 21 პროცენტის გადაიარაღება მოვასწარით.

სამხედრო-საავიაციო ძალების უმნიშვნელოვანესი სახეობების შეფარდება ასეთია: ბომბდამშენი ავიაპოლკები — 45 პროცენტი, გამანადგურებლები — 42 პროცენტი, მოიერიშე, მზვერავი და სხვა — 13 პროცენტი. დაწყებულია 25 ახალი ავიადივიზიის ფორმირება.

შესაძლებელი საომარი ოპერაციების ხასიათმა განსაზღვრა საჰაერო-სადესანტო ჯარების მნიშვნელოვანი ზრდის აუცილებლობა. ამა წლის აპრილში დაიწყო ხუთი საჰაერო კორპუსის ფორმირება. შევძელით მათი დაკომპლექტება პირადი შემადგენლობით, მაგრამ საბრძოლო ტექნიკა არ გვეყო.

საერთოდ, ჩვენი სამხედრო-საჰაერო ძალები რეორგანიზაციის, ახალ მატერიალურ ნაწილზე გადასვლის და მფრინავებისა და ტექნიკური შემადგენლობის გადამზადების სტადიაში იმყოფება. ერთი-ერთნახევარი წელიწადის შემდეგ ჩვენი ავიაცია წარმოგვიდგება სრულიად განახლებული, მძლავრი საბრძოლო სახით.

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარები. ამჟამად საშუალო კალიბრის ქვემეხებით აღჭურვილია მათი 85 პროცენტი, მცირე კალიბრის ქვემეხებით — 70 პროცენტი. არასრული დაკომპლექტება ავიაგამანადგურებლებით 40 პროცენტია, საზენიტო ტყვიამფრქვევებით დაკომპლექტება 70 პროცენტი, აეროსტატებითა და პროჟექტორებით — სანახევროდ. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საარსებო ამოცანაა გამანადგურებელი კორპუსების შექმნა მოსკოვისა და ლენინგრადის დასაცავად. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ბოლომდე დახვეწილი არ არის, უახლესი ტექნიკით აღჭურვა და მისი ათვისება მხოლოდ დაიწყო.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი. სამხედრო-საზღვაო ძალების ოპერატიულად გამოყენების საკითხებში სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობს საერთო ოპერატიული და სამობილიზაციო გეგმებით, რომლებსაც შეიმუშავებს გენერალური შტაბი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის აღჭურვის ტემპი იზრდება. 1940 წლის მხოლოდ 11 თვის განმავლობაში წყალში ჩაშვებულია 100 ნაღმოსანი, წყალქვეშა ნავი, ტრალერი, ტორპედოიანი კატარღა, რომლებიც საბრძოლო თვისებებით გამოირჩევა. სულ 1940 წელს უნდა აგებულიყო სხვადასხვა კლასის 270 გემი. იქმნება ახალი სამხედრო-საზღვაო ბაზები, დამატებით ვითვისებთ რაიონებს ბალტიის, ბარენცის და შავ ზღვებზე.

ჩვენს შორეულ აღმოსავლეთს ზღვიდან საიმედოდ იცავს წყნარი ოკეანის ფლოტი. მის შემადგენლობაში შედის: ორი კრეისერი, ერთი საესკადრო ნაღმოსნების ლიდერი, 12 საესკადრო ნაღმოსანი, 78 წყალქვეშა ნავი, 204 ტორპედოიანი კატარღა, სადესანტო ხომალდები, ტრალერები და სხვა გემები, ათას ხუთასი თვითმფრინავი.

სადღეისოდ ჩვენი ფლოტის შემადგენლობაში 600-ზე მეტი საბრძოლო გემია. მათ შორის: 3 სახაზო გემი, 7 კრეისერი, 49 საესკადრო ნაღმოსანი, 218 წყალქვეშა ნავი და 300-ზე მეტი მცირე ხომალდი და კატარღა. სამხედრო-საზღვაო ავიაცია 2 529 თვითმფრინავს ითვლის.

ჩემთვის ცნობილია, რომ სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობა კარგადაა მომზადებული, ფლოტების, ფლოტილიების სარდლები და მათი შტაბები მზადაა საომარი ოპერაციებისთვის. ნაკლოვანებათა შორის მთავარი სანაპირო და საჰაერო თავდაცვისა და ნაღმებითა და ტორპედოებით აღჭურვისადმი უყურადღებობაა.

იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ღონისძიებები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ განახორციელა ქვეყნის თავდაცვისუნარია-

ნობის გასაძლიერებლად 1939-1941 წლებში, მეტყველებს ჩვენი შეიარაღებული ძალების რაოდენობის ზრდა.

ამ დროში ისინი გაიზარდა 2,8-ჯერ, ჩამოყალიბდა 125 ახალი დივიზია. 1931-დან 1941 წლამდე პერიოდში სახმელეთო ჯარების საცეცხლე შესაძლებლობა სამჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, საბრძოლო თვითმფრინავების რაოდენობა — 7-ჯერ, ტანკებისა — 43-ჯერ. ამ დროის განმავლობაში მწყობრში ჩადგა 312 საბრძოლო გემი, მათ შორის, 206 წყალქვეშა ნავი.

მხოლოდ 1941 წლის დასაწყისში შეიარაღებულმა ძალებმა მიიღო ახალი კონსტრუქციის 2 650 თვითმფრინავი, 600-ზე მეტი მძიმე ტანკი „KB“ და 1 440 მსოფლიოში საუკეთესო ტანკი T-34. 1941 წლის პირველი იანვრისათვის სახმელეთო ჯარებში, სამხედრო ავიაციაში, ფლოტსა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაში 4 200 ათასზე მეტი კაცი მსახურობდა. დიდი ყურადღება ეთმობა თეორიული სამხედრო აზროვნების, კვალიფიციური სამეთაურო და პოლიტიკური კადრების მომზადებას. დღეისთვის მათ ამზადებს 19 აკადემია, სამოქალაქო უმაღლესი სასწავლებლების 10 ფაკულტეტი, 7 უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 37 ათას კურსანტი; 203 სამხედრო სასწავლებელი (238 ათას 900 კურსანტი). მაგრამ 1941 წელს შეიარაღებული ძალების მეთაურთა კადრების საკითხი კვლავ მწვავედ რჩება. უმაღლეს სამეთაურო თანამდებობებზე ახალგაზრდა მეთაურების დაწინაურება გარკვეული დროით ასუსტებს არმიის ბრძოლისუნარიანობას. ჩვენი შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი ზრდის გამო იგრძნობა კვალიფიციური სამეთაურო შემადგენლობის, სპეციალისტი ტანკისტების, არტილერისტებისა და მფრინავთა და ტექნიკოსთა შემადგენლობის ნაკლებობა.

ომის საშიშროებასთან დაკავშირებით ხორციელდება ღონისძიებანი ჯარების თავდაცვისა და სტრატეგიული გაშლის გეგმების რეალიზაციისთვის. 1941 წ. იანვარში განსაკუთრებული ოლქების (კიევისა და ბელორუსიის) ჯარებს ებრძანათ, გადავიდნენ გაძლიერებულ მზადყოფნაზე. სასწრაფოდ გადმოგვყავს სტრატეგიული რეზერვები ბაიკალისპირეთიდან, ურალიდან, აღმოსავლეთ ციმბირიდან და თურქმენეთიდან. გენერალური შტაბის 1941 წ. 13 მაისის დირექტივით დასავლეთი დვინა-დნეპრის მიჯნაზე გადავიდა: 22-ე არმია — ურალის სამხედრო ოლქიდან, 21-ე — ვოლგისპირეთის ოლქიდან, მე-19 — ჩრდილო-კავკასიის ოლქიდან, 25-ე მსროლელთა კორპუსი — ხარკოვის სამხედრო ოლქიდან. ა.წ. 22 მაისიდან დაიწყო მე-16 არმიის გა-

დაყვანა ბაიკალისპირეთის სამხედრო ოლქიდან მარჯვენა ნაპირის უკრაინაში.

1941 წ. მარტში გენერალურმა შტაბმა დაასრულა სამხედრო პროდუქციის მწარმოებელი მრეწველობის ომის დროს სამობილიზაციო გეგმის შემუშავება.

გენშტაბმა მოამზადა და საკ. კპ (ბ) ცკ-სა და სსრკ სახკომსაბჭოს გაუგზავნა განსაკუთრებული მოხსენება საბრძოლო მასალების შესახებ.

ძალიან მწვავედ დგას სამხედრო ნაწილების საარტილერიო ჭურვებითა და ნაღმებით უზრუნველყოფის საკითხი. არ გვყოფნის ჰაუბიცის, საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები. საბრძოლო მასალებით განსაკუთრებით ცუდად მარაგდება უახლესი საარტილერიო სისტემები.

მოხსენების დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ პარტიის ბრძნული გადაწყვეტილებების წყალობით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, ეკონომიის რეჟიმის შესახებ, შეიარაღებულ ძალებში შეიქმნა საწვავ-საცხები მასალების, საკვების, ფორმის ტანსაცმლის სტრატეგიული მარაგი, რომელიც ომის შემთხვევაში რამდენიმე წელიწადს გვეყოფა.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების განმტკიცებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა 1939 წ. სექტემბერში მიღებულმა კანონმა „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“

ამხანაგებო! შეიარაღებულ ძალებში ინტენსიურად იხვეწება საომარი მოქმედების წარმართვის ფორმები და მეთოდები, მნიშვნელოვანად იცვლება ჯარების ორგანიზაციული სტრუქტურა ახალი ტექნიკის ბაზაზე. შეიარაღებული ძალები ყველაზე მოწინავე მეცნიერებაზე დაყრდნობით ემზადება ქვეყნის თავდაცვისათვის. ჩვენი შეიარაღებული ძალების განვითარების თანამედროვე პერიოდი არის ძირფესვიანი სამხედრო რეფორმების, საბრძოლო ტექნიკის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების ახალ საშუალებათა ძიების, ჯარების საბრძოლო მომზადების მთელი სისტემის გაუმჯობესების, საბჭოთა სამხედრო დოქტრინის შემუშავების პერიოდი. 1940 წელს მოეწყო მრავალი სწავლება და ფართომასშტაბიანი მანევრები ბელორუსიის, კიევის და სხვა სამხედრო ოლქებში, სადაც დამუშავდა ტანკების, ავიაციისა და სადესანტო ჯარების მასირებული გამოყენების, აგრეთვე, დიდ სიღრმეში შეტევითი ოპერაციების წარმართვის საკითხები.

სამხედრო აკადემიების მოსწავლეებს ასწავლიან, რომ თანამედრო-

ვე ეპოქაში ომებს არ უცხადებენ, რომ აგრესორი მიისწრაფვის უეცარი თავდასხმით უპირატესობის მოსაპოვებლად, ამიტომ ნებისმიერი სამხედრო ნაწილი მზად უნდა იყოს ნებისმიერ წუთს თავდასხმის მოსაგერიებლად.

სამხედრო სტრატეგია ძირითადად აგებულია იმ მტკიცებულებაზე, რომ მხოლოდ შეტევით შეიძლება აგრესორის განადგურება. სამწუხაროდ, ბრძოლის სხვა ვარიანტები — შემხვედრი შებრძოლება, იძულებითი უკანდახევა, ომი ალყის პირობებში (თუ, რა თქმა უნდა, ცალკეულ შრომებს კი არ ავიღებთ, არამედ სამხედრო დისციპლინების სწავლების მიმართულებას) არასაკმარისად საფუძვლიანად განიხილება.

მე დავამთავრე, ამხანაგო სტალინ.

სტალინი: არის შეკითხვები?

მოლოტოვი: გაუგებარია, რატომ ურიგდება გენერალური შტაბი ქვეყნის თავდაცვისათვის მზადებაში არსებულ ისეთ დიდ ნაკლოვანებებს, რომლებზეც დღეს ამხანაგმა ჟუკოვმა მოგვახსენა?

სტალინი: მოიცადე, სულ რამდენიმე თვეა, რაც ჟუკოვი გენერალური შტაბის უფროსია. იგი პასუხს ვერ აგებს მიღებულ მემკვიდრეობაზე. ეს კითხვა, უპრიანია, მე და შენ დაგვისვან.

ჟუკოვი: უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გენერალური შტაბის ოთხი უფროსი შეიცვალა. გენერალური შტაბის ხელმძღვანელობის ასეთი ხშირი შეცვლა საშუალებას არ იძლეოდა, სრული მოცულობით აგვეთვისებინა ქვეყნის თავდაცვის საკითხები და ღრმად შეგვესწავლა მომავალი ომის ყველა ასპექტი.

სტალინი: გაქვთ კიდევ შეკითხვები ჟუკოვთან? რადგან შეკითხვები არ გაქვთ, მაშინ შევაჯამოთ.

1939-დან 1941 წლამდე პერიოდმა დაადასტურა პარტიის მიერ აღებული ქვეყნის ყოველმხრივი თავდაცვის მომზადების კურსის სისწორე. ჩვენ შევქმენით მძლავრი ეკონომიკური ბაზა აგრესიის მოსაგერიებლად — ეს ერთი. და ამჟამად ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის მზადება ხორციელდება მყარ ეკონომიკურ საფუძველზე, რომელიც შექმნილია ხუთწლიანი გეგმების წარმატებით შესრულების შედეგად.

ამიტომაა, რომ თუ 1913 წლის განმავლობაში, პირველი მსოფლიო ომის წინა დღეს მეფის რუსეთში აწარმოეს 4 მლნ 220 ათასი ტონა თუჯი, 4 მლნ 230 ათასი ტონა ფოლადი, 29 მლნ ტონა ქვანახშირი, 9 მლნ ტონა ნავთობი, 21 მლნ 600 ათასი ტონა სასაქონლო მარცვლეული, 740 ათასი ტონა ხამი ბამბა, 1940 წელს ჩვენს ქვეყანაში ვაწარ-

მოეთ 15 მლნ ტონა თუჯი, ე.ი. თითქმის ოთხჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს, 18 მლნ 300 ათასი ტონა ფოლადი, ე.ი. ოთხ-ნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს, 166 მლნ ტონა ქვანახშირი, ე.ი. ხუთ-ნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს, 31 მლნ ტონა ნავთობი, ე.ი. სამ-ნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს, 38 მილიონ 300 ათასი ტონა სასაქონლო მარცვლეული, ე.ი. 17 მლნ ტონით მეტი, ვიდრე 1913 წელს, 2 მლნ 700 ათასი ტონა ხამი ბამბა, ე.ი. სამ-ნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. ეს ჭეშმარიტად ისტორიული გარდაქმნა ზღაპრულად მოკლე ვადაში, სამი ხუთწლედის განმავლობაში განხორციელდა, 1928 წლიდან — პირველი ხუთწლედის პირველი წლიდან დაწყებული. ამ დრომდე ქვეყანა აღადგენდა დანგრეულ მრეწველობას და პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომებით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა. ამჟამად სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით ჩვენ გვიკავია პირველი ადგილი ევროპაში და მეორე — მსოფლიოში. სოციალისტური წარმოების წესის კაპიტალისტურზე უპირატესობის, სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობის წყალობითა და მათი გონივრული გამოყენების შედეგად ჩვენ გარდავიქმენით დიად ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, თანაც მტრული კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. ვადა ფანტასტიკურია. ცნობილია, რომ ინგლისს სამისოდ 150 წელიწადი დასჭირდა, აშშ-ს — 80.

შეიარაღებულ ძალებზე ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, ჩვენ აღვზარდეთ ძლიერი და ბრძოლისუნარიანი არმია, მოვამზადეთ იგი ქვეყნის დასაცავად. ეს, მეორე.

ისტორია გვასწავლის, რომ როცა სათანადოდ არ ზრუნავენ არმიაზე და მორალურად მხარს არ უჭერენ, ჩნდება ახალი მორალი, რომელიც ხრწნის არმიას. სამხედროებს აბუჩად იგდებენ, რასაც ასეთი ქვეყანა და ასეთი ხალხი ყოველთვის კატასტროფამდე მიჰყავს. არმია გარემოსილი უნდა იყოს ხალხისა და მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვითა და სიყვარულით — ამაშია არმიის უდიდესი მორალური ძალა. ეს არის წარმატების საწინდარი, ეს არის გამარჯვების საწინდარი.

თავის მოხსენებაში ამხანაგ ჟუკოვს გამორჩა ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი — პარტიული გავლენის გაძლიერება საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში. ქვეყნის თავდაცვის მზადების პერიოდში საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ მიიღო რიგი მნიშვნელოვანი დადგენილებებისა ამ საკითხზე: „პარტიაში წითელარმიელთა მიღების შესახებ“, „მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში კომკავშირელთა შორის მუშაობის შესახებ“, „წითელ არმიაში პოლიტსამუშაოზე 4 000 კო-

მუნისტის შერჩევის შესახებ“

1940 წლის ბოლოსთვის წითელ არმიასა და ფლოტში 560 800 კომუნისტი იმყოფებოდა — პარტიის მთლიანი შემადგენლობის 15 პროცენტი.

არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის 12,7 პროცენტი კომუნისტები არიან. არმიასა და ფლოტში 2 მილიონზე მეტი კომკავშირელია, ეს კომკავშირის მეხუთედია. საკ. ალკ წევრები არმიისა და ფლოტის მთელი პირადი შემადგენლობის თითქმის 40 პროცენტს შეადგენენ. ამრიგად, ჩვენი შეიარაღებული ძალების 52,7 პროცენტი კომუნისტები და კომკავშირელებია, რაც, თუ ომში ჩავებით, უეჭველად განსაზღვრავს წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ისტორიაში არნახულ სიმტკიცესა და ბრძოლისუნარიანობას.

ოლქებისა და არმიების სარდლები სამხედრო თვალსაზრისით ასი პროცენტით გამოცდილი გენერლები არიან — სამოქალაქო ომის მონაწილენი, რომლებიც შეიარაღებულ ძალებში 20 წელიწადზე მეტია მსახურობენ. ჯარების სარდლების 89 პროცენტი, ოლქების სამხედრო საბჭოების წევრთა 53 პროცენტი, არმიების სარდლების 71 პროცენტი, არმიების სამხედრო საბჭოების წევრთა 65 პროცენტი, ოლქების შტაბების უფროსების 88 პროცენტი და არმიების შტაბების უფროსების 100 პროცენტი უმაღლესი სამხედრო განათლებითაა.

მაგრამ ნაკლოვანებებზე როცა ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამხანაგი ჟუკოვი მართალია: სამშობლოსთვის თავდადებული ჩვენი მეთაურთა კადრების ნაწილი ახალგაზრდები არიან, სამეთაურო თანამდებობებზე ახლახან დაწინაურდნენ და ამიტომ საკმარისი სამხედრო გამოცდილება არა აქვთ. ჩვენი შეიარაღებული ძალების იქ შეღწეული უცხოური აგენტურისგან დროული და სწორი გაწმენდის დროს ამხანაგმა ვოროშილოვმა და სახალხო კომისარიატში მისმა მოადგილეებმა აშკარად ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინეს. სარწმუნოდ მიიჩნიეს „ინფორმაცია“, რომელიც შინსახკომის ყოფილი სახალხო კომისრის ეჟოვისგან მიიღეს და შეიარაღებული ძალებიდან დაითხოვეს 40 ათასი გამოცდილი მეთაური, ვითომდაც პოლიტიკური არასაიმედოობის გამო. უმრავლესობა დაითხოვეს მოდურ ლოზუნგებს ამოფარებით: ხალხის მტრებთან კავშირის გამო ან სიფხიზლის მოდუნებისათვის. საკმარისი იყო, სსრკ შინსახკომს დაედგინა, რომ სამხედრო მოსამსახურის ნაცნობებს შორის, ან იმათ შორის, ვისთანაც იგი სამსახურებრივად ყოველდღე ურთიერთობდა, აღმოჩენილიყო უცხოური დაზვერვის აგენტი, რაც მან არ

იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რათა ასეთი მეთაური დაუყოვნებლივ დაეთხოვათ შეიარაღებული ძალებიდან.

ამხანაგ ვოროშილოვს, რა თქმა უნდა, შეიძლება გავუგოთ. სიფხიზლის დაკარგვა ფრიად სახიფათო რამაა: წარმატებული შეტევისთვის ფრონტზე ასობით ათასი მებრძოლია საჭირო, მისი ჩაშლისთვის ორი-სამი გაიძვერა-მოღალატე — გენერალურ შტაბში. მაგრამ რითაც უნდა გაამართლონ 40 ათასი მეთაურის შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნა, ეს ღონისძიება არა მარტო მეტისმეტია, არამედ ყოველმხრივ უკიდურესად მავნეა ყველა გაგებით. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაუსწორა შეცდომა ამხანაგ ვოროშილოვს.

1938 წ. იანვრისთვის არმიასა და ფლოტში დაბრუნებულია 11 ათასი ადრე დათხოვნილი, სამხედრო საქმეში გამოცდილი მეთაური. ჩვენი მტრები საზღვარგარეთ პროვოკაციული მიზნით ავრცელებენ ხმებს მასობრივი დახვრეტების შესახებ, რომლებსაც თითქოს ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირში, ნიანგის ცრემლებს ღვრიან ჩვენს მიერ მხილებული და დახვრეტილი თავიანთი აგენტების გამო, ყველა იმ ტუხაჩევსკების, ეგოროვების, იაკირების გამო. ამტკიცებენ, რომ უცხოური აგენტურის მხილებამ სსრკ-ში დაასუსტა საბჭოთა შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა, ხოლო საბჭოთა კავშირში დახვრეტილთა რიცხვმა თითქოს მილიონს გადააჭარბა. ეს პროვოკაციული ცილისწამებაა. 1937 წელს კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის სასამართლო ორგანოების მიერ მსჯავრდებულია 841 ადამიანი. მათგან დახვრეტილია 121 კაცი. 1938 წელს კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ მუხლებით შინსახკომის ორგანოებმა დააპატიმრეს 52 372 ადამიანი. სასამართლო ორგანოებში მათი საქმეების განხილვისას მსჯავრი დაედო 2 731 კაცს, მათგან დაიხვრიტა 89 კაცი და 49 641 გამართლდა. გამამართლებელი განაჩენის ასეთმა დიდმა რაოდენობამ დაადასტურა, რომ შინსახკომის ყოფილი სახალხო კომისარი ეჟოვი ბევრ ადამიანს უსაფუძვლოდ აპატიმრებდა. პარტიის ცკ-ის ზურგს უკან თვითნებობდა, რისთვისაც 1939 წ. 10 აპრილს დააპატიმრეს, ხოლო 1940 წ. 4 აპრილს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენით პროვოკატორი ეჟოვი და მისი მოადგილე შინსახკომში ფრინოვსკი დაიხვრიტნენ. რაც შეეხება სსრკ გულაგისა და შინსახკომის სისტემის ბანაკებში მოთავსებულ პატიმრებს, ისინი ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან, რომელთა თავისუფლად ყოფნა, საბჭოთა ხალხის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, შეუძლებელია. პოლიტიკური დამნაშავეები საბჭოთა

კავშირში თითქმის არ არიან, რადგან მონოლითური სოციალისტური საზოგადოების პირობებში, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლის მსურველები უბრალოდ არ არიან. უცხოეთის აგენტურა კი, რომელიც ყოველთვის პროვოცირებს ანტისაბჭოთა გამოსვლებს, ჩვენს მიერ განადგურებულია.

ის, რომ ჩვენ, ამხანაგებო, გავწმინდეთ შეიარაღებული ძალები შეთქმულებისგან და მოღალატეებისგან, ქვეყანა უცხოეთის აგენტურისგან გავათავისუფლეთ, საბჭოთა ხალხის წინაშე კომუნისტური პარტიის დამსახურებაა. ამის გარეშე ქვეყნის თავდაცვისათვის კარგად ვერ მოვემზადებოდით. ხალხის დახვრეტილი მტრები თავიანთ მთავარ ამოცანად მიიჩნევდნენ საბჭოთა წყობილების დამხობას, კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის ძალაუფლების აღდგენას სსრკ-ში, რომელიც ამ შემთხვევაში დასავლეთის ნედლეულის დანამატად, ხოლო საბჭოთა ხალხი მსოფლიო იმპერიალიზმის საწყალ მონად გადაიქცეოდა. ხალხის მტრების გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა: სსრკ-ის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებისთვის ძირის გამოთხრას, უცხოელი აგრესორებისთვის ხელშეწყობას სსრკ-ის თავდასხმის საქმეში, სსრკ-ის სამხედრო დამარცხების მომზადებას.

ძალაუფლებას ხელთ რომ ჩაიგდებდნენ და ქვეყანაში ბონაპარტისტულ წესრიგს დაამყარებდნენ, მათ მიერ შეიარაღებულ კონტრრევოლუციურ ნაძირალებზე, სისხლის სამართლის დამნაშავეებსა და დეკლასირებულ ელემენტებზე დაყრდნობით, ამ საძულველ და საცოდავ მოღალატეებს განზრახული ჰქონდათ, უწინარეს ყოვლისა, უარი ეთქვათ სოციალისტურ საკუთრებაზე და კაპიტალისტური ელემენტებისთვის კერძო საკუთრებაში მიეყიდათ ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ჩვენი სამეურნეო ობიექტები. არარენტაბელობის მომიზეზებით გაეუქმებინათ საბჭოთა მეურნეობები და დაეშალათ კოლმეურნეობები. გადაეცათ ტრაქტორები და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები ერთპიროვნული გლეხებისთვის, რომლებსაც ფერმერებს უწოდებდნენ, სოფლად კულაკური წყობილების აღდგენის მიზნით. დაეკაბალებინათ ქვეყანა უცხოური სესხების მიღებით. იმპერიალისტური სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვანი ჩვენი სამრეწველო საწარმოები კონცესიაში მიეცათ. იაპონიისთვის — სახალინის ნავთობი, გერმანიისათვის უკრაინა გადაეცათ. ხალხის მსჯავრდადებული მტრები მთელი ძალით ისწრაფვოდნენ, დაესუსტებინათ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა.

აი, მაგალითად, რა განაცხადა პროცესზე ხალხის მტრების გეგმე-

ბის შესახებ ანტისაბჭოთა შეთქმულების ერთმა აქტიურმა მონაწილე სოკოლნიკოვმა: „... ჩვენ გვესმოდა, რომ ჩვენი საპროგრამო მიზანდასახულობით უნდა დავბრუნებულიყავით კაპიტალიზმში და წარგვედგინა კაპიტალიზმის პროგრამა, რადგან მხოლოდ ასე შევძლებდით დავყრდნობოდით ზოგიერთ ფენას ქვეყანაში — შეგვექმნა წვრილი მოვაჭრეების, წვრილი ბურჟუაზიის წვრილკაპიტალისტური გარემო“ და შემდეგ: „ძალაუფლებისკენ გზა გადიოდა კაპიტალისტური ელემენტების თანდათანობით აღდგენაზე, რომლებიც განდევნილი და, გარკვეული თვალსაზრისით, შეცვლილი სოციალისტურ ელემენტებს“

სასამართლო პროცესებზე ხალხის მტრებმა აღიარეს, რომ ისინი „თავის ძალისხმევას მიმართავდნენ საიმისოდ, რათა „პარტიისთვის ხერხემალი გადაეტეხათ“, და, ამასთან ერთად, „ხერხემალი გადაეტეხათ საბჭოთა ხელისუფლებისთვისაც“

ამ კომპანიის, ამ ბანდის ფესვები უნდა გვეძებნა უცხოეთის დაზვერვის სამალავებში, რომლებმაც იყიდეს ეს ადამიანები, კმაყოფაზე აიყვანეს, ფულს უხდიდნენ ერთგული მონური სამსახურისთვის. ეს ფესვები ჩვენ ვიპოვეთ. თავაუღებლად მუშაობდნენ უცხოეთის მზვერავები, ეძებდნენ და, სამწუხაროდ, პოულობდნენ თავიანთ მოკავშირეებს ჩვენს ქვეყანაში, თანაშემწეებს, მართალია, გახრწნილ, საბჭოთა წყობილებისადმი მტრულად განწყობილ ადამიანთა შორის.

რადგან მხილებულ და დახვრეტილ ხალხის მტრებს მიზნად ჰქონდათ დასახული, კარი გაეღოთ გადამთიელი მტრისათვის, აგრესორი-მტრისათვის, მათი დროული მხილება და ლიკვიდაცია იქცა ერთერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად ქვეყნის წარმატებული თავდაცვის მომზადების საქმეში. რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რამედ, თუ მან იცის და შეუძლია დაიცვას საკუთარი თავი, — არაერთხელ გავუფრთხილებივართ ლენინს. მიუდგომელი ციხესიმაგრეები ყოველთვის შიგნიდან ტყდება.

ამრიგად, მტრული მეხუთე კოლონის განადგურების წინა დღეს ქვეყანაში ერთმანეთს ებრძოდა ორი პროგრამა, შეურიგებლები, როგორც მოსისხლე მტრები, ერთმანეთს დაპირისპირებულები. ორი პროგრამა, ორი ბანაკი. ერთი მხრივ, — ხალხს მოწყვეტილი და ხალხისადმი მტრულად განწყობილი ერთი პატარა ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც უცხოეთის დაზვერვათა აგენტები გახდნენ, მეორე მხრივ, — ნათელი სოციალისტური საზოგადოების მშენებელი მშრომელები, საზოგადოებისა, რომელიც მათ თავისუფალ და მაძღარ ცხოვრებას

უზრუნველყოფს.

უკანონობის ფაქტები, რომლებიც დაუშვა ეჟოვმა, სამწუხაროდ, ჩვენს უმაღლეს სასამართლო ორგანოებშიც შეინიშნებოდა. 1939 წლის 14 ივნისს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარემ, არმიის სამხედრო იურისტმა ვ. ულრიხმა შემდეგი თხოვნით მომმართა: „დღეისთვის დაგროვდა მემარჯვენე ტროცკისტული, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და ჯაშუშური ორგანიზაციების განუხილველი საქმეების დიდი რაოდენობა: მოსკოვის ოლქში — 700 საქმე, ხარკოვის სამხედრო ოლქში — 500 საქმე, ციმბირის სამხედრო ოლქში — 100 საქმე.

გთავაზობთ, საქმეების საიდუმლოების გამო, დამცველები სასამართლო სხდომებზე არ დავუშვათ.

გთხოვთ მითითებას.

არმიის სამხედრო იურისტი ვ. ულრიხი"

წერილი მეტად უცნაური იყო, განსაკუთრებით საკ.კპ (ბ) ცკ 1938 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ, რომელმაც, როგორც თქვენთვის ცნობილია, მიიღო დადგენილება „პარტორგანიზაციების შეცდომების შესახებ პარტიიდან კომუნისტების გარიცხვის დროს, საკ. კპ (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ", რომელიც მოითხოვდა, განსაკუთრებით გულდასმით განეხილათ და ხელახლა შეემოწმებინათ სასამართლო ორგანოებში წარმართული ყველა საქმე კონტრრევოლუციურ დანაშაულებათა შესახებ. როგორც გახსოვთ, პლენუმის დადგენილებაში ნათქვამი იყო: „ცნობილია ბევრი ფაქტი, როცა პარტიული ორგანიზაციები ყოველგვარი შემოწმების გარეშე, მაშასადამე, დაუსაბუთებლად რიცხავენ კომუნისტებს პარტიიდან, ტოვებენ უმუშევრად, არცთუ იშვიათად, სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებენ მათ ხალხის მტრებად, თვითნებობენ და უკანონობას სჩადიან პარტიის წევრთა მიმართ".

პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ ეს და მსგავსი ფაქტები გავრცელებულია პარტორგანიზაციებში, რომ კომუნისტებს შორის ჯერ კიდევ არ არიან გამოვლენილი და მხილებული ცალკეული კარიერისტი-კომუნისტები, რომლებიც ცდილობენ, თავი გამოიჩინონ და დაწინაურდნენ პარტიიდან გარიცხვებით, პარტიის წევრების მიმართ რეპრესიებით, ცდილობენ, სიფხიზლის მოდუნების შესაძლო ბრალდებისგან თავი დაიზღვიონ პარტიის წევრების მიმართ უსაფუძვლო რეპრესიების მეშვეობით.

ასეთი კარიერისტი-კომუნისტი მიიჩნევს, რომ რახან პარტიის წევრზე შემოვიდა განცხადება, თუნდაც მცდარი ან პროვოკაციულიც კი, იგი, პარტიის ეს წევრი, საშიშია ორგანიზაციისთვის და სასწრაფოდაა მოსაცილებელი და ამით თავი დაიზღვიოს, როგორც ფხიზელმა მოლვაწემ.

ამიტომ იგი ზედმეტად მიიჩნევს, ობიექტურად გაერკვეს კომუნისტისადმი წაყენებულ ბრალდებებში და წინასწარ გადაწყვეტს პარტიიდან მისი გარიცხვის აუცილებლობას.

ამასთან დაკავშირებით პლენუმმა დაავალა საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, ნაციონალური კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს პარტიული თანამდებობებიდან მოხსნან და პარტიულ პასუხისმგებლობაში მისცენ ის პარტიული ხელმძღვანელები, რომლებიც არ ასრულებენ საკ. კპ (ბ) ცკ დირექტივებს, ყველა მასალის საგულდაგულოდ შემოწმების გარეშე პარტიიდან რიცხავენ საკ. კპ (ბ) წევრებს და წევრობის კანდიდატებს და თვითნებობენ პარტის წევრების მიმართ.

გასაკვირია, რომ, იცნობდა რა პარტიის გადაწყვეტილებას, ულრიხი გვთავაზობდა, მომავალ პროცესებზე არ დაგვეშვა დაპატიმრებული სამხედროების დამცველები.

ასეთ თხოვნაში აშკარად ჩანს სურვილი, რომ საქმეების გულდასმით, ობიექტურად შესწავლის გარეშე სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სასამართლო სხდომაზე ფორმალურად დაშტამპონ ისეთი განაჩენები, რომლებსაც ბრალდების ორგანოები ითხოვენ.

მე ვუბრძანე, გულდასმით შეამოწმონ საქმეები, რომლებზეც ულრიხი წერდა. მათი ნაწილი პროვოკაციებსა და ცილისწამებაზე აგებული აღმოჩნდა. ამ საქმეების გამო დაპატიმრებული, წარსულში გამოჩენილი სამხედრო მუშაკები გათავისუფლდნენ და კვლავ დაინიშნენ შეიარაღებულ ძალებში მეთაურთა თანამდებობებზე.

ამხანაგ ჟუკოვის მოხსენებამ კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ ქვეყნის თავდაცვისათვის მზადების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ამხანაგებს, რომლებიც ტანკების გამოშვებაზე აგებენ პასუხს, ვაძლევ ერთ კვირას, რათა გაერკვნენ, რატომ არ ასრულებენ გეგმებს ცალკეული სატანკო ქარხნები. ერთი კვირის შემდეგ მომახსენონ პირადად.

მთავარმა საარტილერიო სამმართველომ ასევე ერთი კვირის ვადაში მომახსენოს, კონკრეტულად რისი გაკეთებაა საჭირო, რა რაოდენობის ტრაქტორია საჭირო, საარტილერიო გაწევის საქმე რომ გავაუმჯობესოთ. ამხანაგებმა, ვინც არტილერიაზეა პასუხისმგებელი, გაა-

კეთონ ყველაფერი, რათა დაუყოვნებლივ დაიწყონ რეაქტიული ნაღმტყორცნების სერიული წარმოება.

კავშირგაბმულობის საშუალებათა შესახებ. ეს ნამდვილად ჩვენი აქილევსის ქუსლია. მაგრამ მეეჭვება, რომ აქ შეიძლება რისამე სწრაფად გაკეთება, ახლავე რომ აღმოიფხვრას ამ სფეროში არსებული ნაკლოვანებანი. მოგვიწევს გარკვეული დროით დავკმაყოფილდეთ იმით, რაც გვაქვს. გეთანხმებით, რომ არ შეიძლება კავშირგაბმულობის კომისარიატისა და შინაგან საქმეთა სახკომის ВЧ კავშირის იმედად ყოფნა.

ამხანაგი ჟუკოვი მართალია: არ შეიძლება ძველ საზღვარზე არსებული გამაგრებული რაიონების მთლიანი განიარაღება. ვფიქრობ, რომ იქ განსაიარაღებელ ნაკვეთებზე შევინარჩუნოთ არა მხოლოდ ტყვიამფრქვევები, არამედ საარტილერიო შეიარაღების ნაწილიც.

ავიაციაზე პასუხისმგებლებმა ყოველმხრივ დააჩქარონ საავიაციო ნაწილების ახალი ტექნიკით აღჭურვა. ყოველკვირეულად მომახსენეთ მე. მესმის, რომ ამ საქმეში არის ობიექტური სიძნელეები. მაგრამ ვითარება, როცა ჩვენ შევძელით ახალი თვითმფრინავებით საავიაციო ნაწილების მხოლოდ 21 პროცენტის გადაიარაღება, მოუთმენელია.

რაც შეეხება ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარებს, მათი უპირველესი ამოცანა ჩვენი სამრეწველო ცენტრების საიმედო დაცვაა, ომის შემთხვევაში მოწინააღმდეგეს არ უნდა მივცეთ საშუალება, გაანადგუროს ჩვენი ეკონომიკური პოტენციალი. იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით, თავდაცვის სახალხო კომისარმა გენერალური შტაბის უფროსთან ერთად მომახსენონ ყოველკვირეულად.

ამხანაგო კუზნეცოვ, სანაპირო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის უსწრაფესი გაძლიერება, ნაღმებითა და ტორპედოებით აღჭურვაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა თქვენს პირად პასუხისმგებლობაშია.

ამხანაგო მალიშევ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ ურალსა და აღმოსავლეთში მრეწველობის უფრო სწრაფი განვითარებისთვის საჭირო პირობების შექმნას. უფრო მალე უნდა დავამთავროთ მანქანათმშენებელი, ნავთობგადამმუშავებელი და ქიმიური დუბლიორი ქარხნების მშენებლობა, უზრუნველვყოთ მეტალურგიული ქარხნების შეუფერხებელი მუშაობა იმიერბაიკალეთსა და ამურზე, ფერადი მეტალურგიის საწარმოებისა — ცენტრალურ აზიაში. არ დაგავიწყდეთ, რომ აქ შენდება ყველა ახალი ბრძმედის სამი მეოთხე-

დი, ხოლო ვოლგასა და ურალს შორის — ჩვენი მეორე ნავთობის ბაზა. ახლადშექმნილ სამრეწველო რაიონებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ჰიდროსადგურების, ავტომაწყობი ქარხნების, მილსაგლინავი საწარმოებისა და ალუმინის კომბინატების მუშაობას.

საჭიროა, მოვიფიქროთ და დავხვეწოთ პირველი რიგის კონკრეტული წინადადებები ქვეყნის თავდაცვისათვის მზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და გადასაწყვეტად შევიტანოთ მთავრობაში. წერილობითი წინადადებები ამ საკითხებზე წარმომიდგინეთ სამი დღის შემდეგ. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი რეალური შესაძლებლობანი და არ იფანტაზიოროთ იმაზე, რისი მატერიალური უზრუნველყოფა არ შეგვიძლია.

ამხანაგებმა, ვინც ხელმძღვანელობს ტრანსპორტს, საავიაციო, ქიმიური მრეწველობის, ტყვია-წვამლის, ელექტრომრეწველობის, სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელებმა, რომელთაც თავდაცვითი მნიშვნელობა აქვთ, დასკვნები უნდა გააკეთონ დღევანდელი კრიტიკიდან და ძირფესვიანად გაააუმჯობესონ მუშაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მოიხსნებიან დაკავებული პოსტებიდან. ყველა თავისუფალია.

დედანთან სწორია: ა. ჯუღა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

პირადი სტრატეგიული დაზვერვის ხელმძღვანელთან, გენერალ-კოლკოვნიკ ალექსანდრ ლავროვთან ი.ბ. სტალინის საუბრის სტენოგრამა. 1941 წლის 12 ივნისი

ლავროვი: ჰიტლერული ჯარებისა და მათი მოკავშირეების კონცენტრაცია ჩვენს დასავლეთ საზღვრებთან დამთავრდა, ამხანაგო სტალინ. 1940 წლის ივლისის ბოლოდან დღემდე გერმანიის გენერალურმა შტაბმა მოახერხა, რომ ჩვენს დასავლეთ საზღვრებთან თავი მოეყარა თავდასხმის უზარმაზარი არმიისათვის — 190 დივიზიისათვის (მათ შორის, 45 სატანკო და მოტორიზებული დივიზიისთვის). მათგან 152 დივიზია გერმანულია (224 დივიზიიდან, რომლებიც გერმანიას 1941 წლის ზაფხულისთვის ჰყავდა), 18 — ფინური, 18 — რუმინული და 2 — უნგრული. საერთო რაოდენობა — 5,5 მლნ კაცი.

იაპონიაში რთულდება შიდაპოლიტიკური და ეკონომიკური სიძ-

ნელეები, რომელთა გადაწყვეტასაც, ჩანს, შეეცდებიან სამურაების მიერ ორგანიზებული ახალი სამხედრო ავანტიურების მსვლელობისას. საომრად განწყობილ მათ ნაწილს განსაკუთრებით აღიზიანებს ის, რომ იაპონიის შეიარაღებულმა ძალებმა ვერა და ვერ შეძლეს ჩინეთის ხელში ჩაგდება და სამარცხვინოდ დამარცხდნენ საბჭოთა კავშირისთვის გამოუცხადებელ ომში ხასანის ტბასთან და ხალხინ-გოლში.

იაპონიის მმართველ წრეებში დღეს ერთმანეთს ებრძვის ორი დაჯგუფება. პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთა ზურგს უკან დგანან იაპონური კონცერნები „მიცუი“, „მიცუბისი“, „სუმიტომო“ (ძაიბაცუ), მხარს უჭერენ მეტ-ნაკლებად რეალისტურ, ფრთხილ კურსს საგარეო პოლიტიკაში, ხოლო იაპონიაში გავლენიანი პოლიტიკოსები, რომლებიც ეყრდნობიან სამხედრო-ფაშისტურ წრეებს, ვის უკანაც დგანან იაპონური კონცერნები „აიუკავა“, „კუხარა“ და სხვები, აკრიტიკებენ იაპონიის მთავრობას „დუნე“, არააქტიური საგარეო პოლიტიკის გამო და მოითხოვენ, დაიწყონ ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის. ძირითადად კამათობენ საკითხზე, თუ ვის უნდა დაესხნენ თავს პირველ რიგში — საბჭოთა კავშირს თუ აშშ-სა და ინგლისს (განადგურებულ საფრანგეთს ანგარიშში უკვე აღარ აგდებენ), რათა ხელთ იგდონ მათი კოლონიები თბილი ზღვების რაიონში. საომარი განწყობილების მქონე სამურაები, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ჰიტლერის იდეები მიბაძვის ღირსია, აცხადებენ: შევასრულოთ იაპონური ერის მითიური დამაარსებლის იამატოს ანდერძი, გადავხუროთ მსოფლიო ერთი სახურავით და გადავაქციოთ იგი ჩვენს სახლად. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი კი იქნება ახალი აღმოსავლეთ აზიის აშენება. მათ განზრახული აქვთ, გამოიყენონ უკვე მიმდინარე მეორე მსოფლიო ომი თავიანთი ველიკოდერჟავული გეგმების განსახორციელებლად და შექმნან მძლავრი იაპონური აღმოსავლეთ-აზიური იმპერია.

ჰიტლერელები ვარაუდობენ, რომ ამ ზაფხულში ჩვენზე თავდასხმის შემდეგ, ისინი შეძლებენ, იაპონია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაითრიონ, დაგვარტყან ზურგში, რაც არსებითად დაეხმარება მათ წინსვლას რუსეთის შუაგულისკენ.

იაპონიას სსრკ-ის წინააღმდეგ ომისკენ რომ უბიძგებენ, ჰიტლერელები არწმუნებენ სამურაებს, რომ საბჭოთა შორეული აღმოსავლეთი მათთვის უაღრესად იოლი ლუკმაა, რადგან ყველა ჩვენი ძირითა-

დი შეიარაღებული ძალა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იქნება დაკავებული. ჰიტლერელები არწმუნებენ იაპონელებს, რომ სსრკ-ის ტერიტორიიდან მათ სჭირდებათ მხოლოდ ევროპული ნაწილი და ამიერკავკასია. ყველაფერი, რაც ურალის აღმოსავლეთითაა, უნდა მიეკუთვნოს იაპონიას. ჰიტლერელებისთვის ფრიად დამაიმედებელია მაცუოკას განცხადება იაპონიის საიდუმლო საბჭოს კვლევითი კომიტეტის სხდომაზე 1940 წლის 16 სექტემბერს. მაშინ მაცუოკამ თქვა, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის შემთხვევაში, სსრკ-სთან დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულების მიუხედავად, იაპონიამ გერმანიის მხარეს უნდა იომოს. და თუ დაიწყება რუსეთ-იაპონიის ომი, მაშინ გერმანია, თავის მხრივ, დაეხმარება იაპონიას.

მაგრამ, სავარაუდოა, რომ იაპონიის ექსპანსია მიმართული იქნება სამხრეთის ზღვების რაიონისკენ, რომელშიც იგულისხმება ყველა ტერიტორია ბირმის აღმოსავლეთით. თავდასხმის მთავარი ობიექტი იქნება ინდოჩინეთი, რომელსაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდგომარეობა უკავია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მისი ოკუპაციის შემდეგ განზრახული აქვთ დაიპყრონ ჰონკონგი, ბირმა, ტაილანდი, ფილიპინები, კამბოჯა, ინდონეზია, ახალი გვინეა, ბრიტანეთის ბორნეო, სინგაპური, მალაიზია, ხელთ იგდონ ოქროს, ნავთობის, კალის, ვოლფრამის, სპილენძის, კაუჩუკის, რკინის მადნის, ქრომის, მანგანუმის საბადოები, რაც ასე აკლია იაპონიას.

იაპონელები იმედოვნებენ, რომ მსოფლიო ბატონობისთვის მომავალ ბრძოლაში თავიანთი ინტერესებისთვის გერმანიასა და იტალიას გამოიყენებენ.

1940 წლის 12 ივლისს არმიის, ფლოტის და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა საიდუმლო თათბირზე, რომელზეც განიხილებოდა წინასწარი გეგმა სახელწოდებით „იაპონიას, გერმანიასა და იტალიას შორის ჰარმონიის გაძლიერების შესახებ", მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება:

„მოცემულ მომენტში იაპონია ომში არ ჩაებმება, გერმანიამ რომ მოსთხოვოს კიდეც"

საერთოდ, იაპონიის მმართველი წრეები, რომელთაც კარგი გაკვეთილი მიიღეს ხასანის ტბისა და ხალხინ-გოლის რაიონებში, გაცილებით ფხიზლად აფასებენ საბჭოთა კავშირის, წითელი არმიისა და ფლოტის ძლიერებას, ვიდრე მათი გერმანელი მოკავშირეები სამთა პაქტით, რომელიც გერმანიას, იტალიასა და იაპონიას შორის დაიდო

1940 წლის 27 სექტემბერს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა იაპონიის ყოფილი სამხედრო მინისტრის ჰატას გამონათქვამი, რაც პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა: „... მიყენებული ზარალი ნამდვილად უდიდესი გაკვეთილია ჩვენი არმიისათვის... სისხლი, რომელიც ნომონხანის (ხალხინ-გოლის) ველზე დაიღვარა, არავითარ შემთხვევაში არ დარჩება ამაოდ დაღვრილ სისხლად“

1940 წლის სექტემბრის ბოლოს გაიმართა იაპონიის საიდუმლო საბჭოს სხდომა, რომელსაც იმპერატორი თავმჯდომარეობდა. ამ თათბირზე გამოსულმა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაცუოკამ, რომელმაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, მოსკოვიდან ტოკიოში დაბრუნების შემდეგ, თავის მოადგილესთან ოსაკისთან საბჭოთა კავშირთან დადებული ნეიტრალიტეტის პაქტის შესახებ საუბრისას განაცხადა: „იაპონიის დიპლომატიის ღერძი სამი სახელმწიფოს მოლაპარაკებაა. ყველა სხვა შეთანხმება ქმედითობას ინარჩუნებს იმ ფარგლებში, რომლებშიც მას არ ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, თუ გერმანიასა და სსრკ-ს შორის ომი დაიწყება, იაპონია ხელფეხშეკრული არ იქნება იაპონია-საბჭოთა კავშირის პაქტით ნეიტრალიტეტის შესახებ“, ამ თათბირზე დაჟინებით მოითხოვა, მხარი დაეჭირათ გერმანიისათვის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში, რომ იაპონია ომში მის მხარეს ჩაბმულიყო.

სტალინი: ხომ არ ფიქრობთ, რომ მაცუოკა ფრიად უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს? როცა თანამოსაუბრეს რაიმეში არწმუნებს, მუცელზე ხელს განუწყვეტლივ იტყაპუნებს.

ლავრენტი: მაცუოკა აბსოლუტურად ნორმალურია, ამხანაგო სტალინ, და თუ რამე სჭირს, მხოლოდ ტუბერკულოზი. მუცელზე ხელის ტყაპუნი იმითაა გამოწვეული, რომ, თუ რუსული რწმენით, ადამიანის სული მის მკერდშია, გულთან ახლოს, იაპონური რწმენით, ადამიანის სული მის მუცელშია. ამიტომ, თუ ჩვენი ნათქვამის სისწორეში ვარწმუნებთ ვინმეს, ხელს მკერდზე მივიდებთ, სამურაები კი ამ შემთხვევაში ხელს მუცელზე იტყაპუნებენ.

სტალინი: მაშასადამე, როცა სამურაი ჰარაკირის დროს მუცელს გამოიფატრავს, თავის სულს ათავისუფლებს!

ლავრენტი: ხოლო რაც შეეხება მაცუოკას პირწავარდნილ ანტისაბჭოთა პოზიციას, მის ქცევაში საიდუმლო არაფერია: იაპონური ექსპანსიის ეს იდეოლოგი ჯერ კიდევ მანჯურიაში მოღვაწეობის დრო-

იდან მჭიდროდაა დაკავშირებული ეგრეთ წოდებულ ახალ, „ახალ-გაზრდა“ იაპონურ კონცერნებთან, რომლებიც საბჭოთა კავშირზე შეტევას მოითხოვენ.

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიის საიდუმლო საბჭოს უმრავლესობა არ იზიარებს ამ თვალსაზრისს. ისინი არ ენდობიან ჰიტლერს. მაცუოკას წინადადების განხილვისას იაპონიის საიდუმლო საბჭოსთან არსებული კვლევითი კომიტეტის (სტრატეგიული დაზვერვა) ვიცე-თავმჯდომარემ, ამ თათბირზე მთავარმა მომხსენებელმა სუძუკიმ თქვა: „ჯერ არცერთ სახელმწიფოს ხეირი არ დაყრია გერმანიასთან და მის წინამორბედ პრუსიასთან კავშირით. და არა მარტო ეს: არიან ქვეყნები, რომლებიც გერმანიასთან კავშირის გამო მხოლოდ გადაულახავ უბედურებას კი არ გადაეყრებოდნენ, არამედ, ბოლოს და ბოლოს, ჰკარგავდნენ თავიანთ ეროვნულ დამოუკიდებლობას. კანცლერ ბისმარკს ნათქვამი აქვს, რომ საერთაშორისო კავშირში ერთი მხედარი უნდა იყოს, მეორე — ვირი, და რომ გერმანია ყოველთვის მხედარი უნდა იყოს. ჰიტლერი ყოველგვარ ხელშეკრულებას ბისმარკზე გაცილებით ნაკლებად აფასებს და დაუფიქრებლად წყვეტს ნებისმიერ ხელშეკრულებას, თუ იგი მისთვის წამგებიანი ხდება. ჰიტლერის ჭეშმარიტი განზრახვის გარკვევა შეუძლებელია, რადგან სხვამ კი არა, მან თვითონ, მასთან დაახლოებულთა წრეში განავითარა აზრი, რომ არ შეიძლება, იაპონიას გაძლიერების საშუალება მისცენ. ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავიჯერებთ, რომ ნაცისტური გერმანია, რომელსაც ჰიტლერი ხელმძღვანელობს, შეიძლება დიდხანს დარჩეს იაპონიის ერთგულ მეგობრად. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, გერმანია თავისი არსით სხვათა სისხლისმწოველია, და სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ გერმანია ერთადერთი მხედარი არ გახდეს“

სუძუკის მხარი დაუჭირა იაპონიის დაზვერვის უფროსმა. მან დამსწრეთ აცნობა, რომ გერმანიიდან მიღებული აგენტურული მონაცემებით, ჰიტლერის ერთ-ერთი ყოველდღიური სუფრის საუბრის დროს ჰიტლერული ახალგაზრდობის ბელადის ბოლდურ ფონ შირახის აღშფოთებულ და გაოცებულ შეკითხვაზე: „როგორ, ჩემო ფიურერო, რუსეთზე ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში მთელ შორეულ აღმოსავლეთს აძლევთ ამ კაცუნებს, ამ მაკაკა-იაპონელებს?“ — ჰიტლერმა უპასუხა: „თქვენ ყოველთვის ჩქარობთ, ბოლდურ, მოიცადეთ, ჯერ გავუსწორდეთ რუსეთს, მაკაკების დროც დადგება“

საზღვაო შტაბის უფროსმა, პრინცმა ფუსიმამ, რომელიც შესაშური სიტყვამახვილობით გამოირჩევა და ჯერ კიდევ 1940 წლის 10 აგვისტოს იმპერატორს ურჩევდა, არ ეჩქარა ომში ჩაბმა, რადგან იაპონია ამისთვის ჯერ მზად არ არის, იაპონიის დაზვერვის უფროსის ამ განცხადების შემდეგ დამსწრეთა საერთო ხარხარში მწარე სარკაზმით თქვა: „ჩვენ დაწყებითი განათლება მივიღეთ ხასანზე, საშუალო — ხალხინ-გოლში, როგორც აზიელები, უმაღლესი განათლების მიღებას არ ვჩქარობთ, ჯერ ჰიტლერმა მიიღოს“.

იაპონიის დაზვერვისათვის ცნობილია, რომ ჰიტლერი ოცნებობს, ხელთ იგდოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და სამხრეთის ზღვების ძირითადი რაიონები.

სტალინი: მართლდება ჩვენი იმედი იმპერიალისტთა შორის წინააღმდეგობათა შესახებ. განაგრძეთ.

ლავროვი: მას შემდეგ, რაც იაპონიის დაზვერვის უფროსმა დარწმუნებით განაცხადა, რომ სსრკ-ის წინააღმდეგ ჰიტლერის აშკარად მომწიფებული ომი არც ელვისებური, არც იოლი არ იქნება გერმანიისათვის, გენერალური შტაბის უფროსმა სუგიამამ განმარტა, რომ იაპონიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის ხელსაყრელ მომენტად მიიჩნევს შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ძალების, სულ ცოტა, განახევრებას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჰიტლერი მოსკოვს აიღებს, იაპონია ჩაებმება ომში და ირკუტსკამდეც კი მივა, თუმცა, იდეალში, მთავარი მიზანი ურალამდე მისვლაა.

ამრიგად, იაპონელი სამურაები თავიანთ საომარ გეგმებში იმედოვნებენ, რომ სანამ გერმანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იომებს და ეს ომი, მათი რწმენით, არც ელვისებური, არც იოლი არ იქნება, ისინი მოასწრებენ წარმატებით წაწევას ინდოჩინეთის სამხრეთ ნაწილში და მის ტერიტორიას გამოიყენებენ პლაცდარმად სამხრეთის ზღვების დაპყრობისათვის, შემდეგ ხელთ იგდებენ მთელ აზიას და მიაღწევენ ინდოეთის ნავთობამდე. მსოფლიო ნედლეულის რესურსებს ხელთ რომ იგდებენ და ამის შემდეგ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს საჭირო მოკულობით გააძლიერებენ, თავიანთ ნებას უკარნახებენ მთელ მსოფლიოს, მათ შორის, სამთა პაქტის მიხედვით თავიანთ მოკავშირე ფაშისტურ გერმანიას, რომელმაც, რომც გაიმარჯვოს ჩვენზე, ეს იქნება პიროსის გამარჯვება, რომლის შედეგად გერმანია სიკვდილის პირას იქნება მისული. შემთხვევითი არ არის, რომ 1940 წლის 19 ივ-

ლისს იაპონიაში გერმანიის ელჩმა ოტმა ბერლინს აცნობა — იგი არ ენდობა იაპონიის პრემიერ იონაის.

1941 წლის 3 და 4 ივნისს ჰიტლერის რეზიდენციაში გაიმართა გერმანიაში იაპონიის ელჩის ოსიმას საუბარი ჰიტლერსა და რიბენტროპთან. მათ იაპონიის ელჩს იაპონიის იმპერატორის მთავრობისთვის გადასაცემად აცნობეს, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიის ომი გარდუვალია და რომ ეს საქმე გადაწყვეტილია.

ამ შეხვედრის შესახებ ტოკიოში გაგზავნილ თავის პატაკში ოსიმა წერდა: „რაც შეეხება გერმანია-საბჭოეთის ომის დაწყების ვადას, არცერთ მათგანს (ჰიტლერსა და რიბენტროპს) ამ საკითხზე არაფერი განუცხადებია, თუმცა, წარსულში ჰიტლერის მოქმედებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი უახლოეს დროში დაიწყება“

იაპონიაში შემუშავებულია საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმა, რომელიც დაშიფრულია სახელწოდებით „კან-ტო-კუენი“ (კვანტუნის არმიის განსაკუთრებული მანევრები). მობილიზება იაპონიაში მთლიანად დამთავრებულია. მობილიზებულია ხომალდები საერთო ტონაჟით 800 ათასი ტონა. კორეის, მანჯურიისა და კურილის კუნძულების ნავსადგურებში, რომელთა პლაცდარმებად გამოყენება აქვთ განზრახული ჩვენს შორეულ აღმოსავლეთზე თავდასასხმელად, შედიან ჯარით, იარაღითა და აღჭურვილობით დატვირთული გემები.

იაპონელ ჯარისკაცებიანი ბევრი ხომალდი ჩადის კურილის კუნძულებზე. ჩანს, ტყუილად არ წაურთმევიათ 1905 წელს იაპონელებს რუსეთისთვის მათი ეს მიწები.

სტალინი: მათი მიწებიო, ამბობთ. საიდან მოიტანეთ, რომ კურილის კუნძულები იაპონიის ძირძველი მიწაა? არა, ეს ოდინდელი რუსული მიწაა, რომელიც ჯერ კიდევ XVII საუკუნეში აღმოაჩინეს და აღწერეს რუსმა ზღვაოსნებმა და მოგზაურებმა. კურილის კუნძულები 1679 წელს აღმოაჩინა და პირველად აღწერა შორეული აღმოსავლეთის ცნობილმა რუსმა მკვლევარმა ატლასოვმა, ხოლო ეს სამუშაო დაამთავრეს რუსმა ზღვაოსნებმა და მოგზაურებმა ანციფეროვმა და კოზირევსკიმ 1711 წელს, ლუჟინმა 1721 წელს, გოლოვინმა 1811 წელს და კრუზენშტერნმა 1805 წელს. შემთხვევითი არ არის, რომ 1745 წელს კურილის კუნძულები რუსული სახელწოდებით იყო აღნიშნული „რუსეთის იმპერიის გენერალურ რუკაზე“ და „აკადემიურ ატლასზეც“ ასევე რუსული სახელწოდებით იყო აღნიშნული. შენი სამშობლოს ისტორია უნდა იცოდე, პატივცემულო გენერალო.

კურილის კუნძულები — უაღრესად მნიშვნელოვანი პლაცდარმია იაპონელებისათვის იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაწყვეტენ, კვლავ თავს დაგვესხან. ამას გარდა, კუნძულები მძლავრ ჯაჭვად ერტყმის საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთს, და იაპონიასთან კონფლიქტის შემთხვევაში საიმედოდ გვიკეტავენ წყნარ ოკეანეში გასასვლელს. ჩემთვის კიდევ რის მოხსენებას მიიჩნევთ საჭიროდ?

ლავროვი: შორეული აღმოსავლეთის ჩვენს საზღვრებთან იაპონელებს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავთ განლაგებული კვანტუნის მრავალრიცხოვანი არმია — იაპონიის საუკეთესო დამრტყმელი ძალა, რომელიც მხოლოდ შეტევის ბრძანებას ელოდება. კვანტუნის არმიის სარდალმა, გენერალმა უმეძუმ, რომელიც სამურაებს შორის საბჭოთა კავშირზე იაპონიის თავდასხმის ყველაზე უფრო თავგადაკლული მომხრეა, 1941 წლის 26 აპრილს მის ქვეშევრდომ მეთაურებთან თათბირი გამართა.

მოხსენებით გამოვიდა კვანტუნის არმიის შტაბის უფროსი, გენერალი კიმურა ხეიტარო. მან დამსწრეთ მოახსენა, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის საზღვარზე თავს იყრიან ფაშისტური გერმანიის ჯარები, და გააფრთხილა, რომ თავდაუსხმელობის შესახებ დადებული პაქტის მიუხედავად: „ჩვენი არმია უმცირესადაც არ უნდა მოდუნდეს სამხედრო ოპერაციებისათვის მზადების პროცესში.

არმიისათვის ადრე მიცემულ მითითებაში არავითარი ცვლილება შეტანილი არ იქნება“.

იაპონელები ემზადებიან იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში გამოიყენონ ბაქტერიოლოგიური იარაღი: ჩვენს ქვეყანაში გაავრცელონ შავი ჭირის, ქოლერისა და სხვა გადამდები და უაღრესად საშიში დაავადებების ეპიდემია.

მანჯურიაში, ხარბინის რაიონში მოქმედებს ორი საიდუმლო იაპონური რაზმი: №100 და №731, რომლებიც სინამდვილეში ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოებისა და დამზადების ექსპერიმენტული ლაბორატორიებია. მათ განკარგულებაშია პოლიგონები, აეროდრომები და თვითმფრინავები, რომლებითაც, საგანგებო მოწყობილობების საშუალებით, მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე შავი ჭირით დაავადებულ რწყილებს განაბნევენ.

ექსპერიმენტების დროს შეისწავლიან ბაქტერიების ზემოქმედებას ადამიანებზე, უმთავრესად — ჩინელ პარტიზანებზე, რომლებიც იაპონელ ოკუპანტებს ტყვედ ჰყავთ და რომლებიც მოთავსებულნი არიან № 731 რაზმთან არსებულ ციხეში.

იაპონელებმა ცენტრალურ ჩინეთში უკვე ჩაიტანეს 70 კილოგრამი მუცლის ტიფის ბაქტერიები და 50 კილოგრამი ქოლერის ბაქტერიები.

№ 731 რაზმის თანამშრომლებმა, რომელთაც მეთაურობს გენერალი ისიი სირო, ჩინეთის ქალაქ ნიმბოს რაიონში იაპონური ბაქტერიოლოგიური იარაღი პრაქტიკულად გამოიყენეს. მას შემდეგ, რაც თვითმფრინავიდან გაფანტეს შავი ჭირით დაავადებული რწყილები, ამ რაიონში იფეთქა შავი ჭირის ეპიდემიამ, რომელმაც ათობით ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

იაპონიის უმაღლეს სარდლობას აჩვენეს ფილმი ნიმბოს რაიონში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების შესახებ.

სტალინი: დღეს კონკრეტულად რას წარმოადგენს კვანტუნის არმია?

ლავრენტი: მის რიგებში მილიონ ასი ათასამდე კაცია, რაც მთელი იაპონიის არმიის 35 პროცენტია, მისი სამხედრო-საჰაერო ძალების თითქმის ნახევარი, ტანკების — ორი მესამედი. ამას გარდა ჩინეთში არის იაპონიის ქვეითთა 28 დივიზია, ქვეითთა 15 ბრიგადა, ცხენოსანი ჯარის 2 ბრიგადა, არტილერისტთა 4 ბრიგადა, არტილერისტთა 3 პოლკი, სამთო-არტილერისტთა 4 პოლკი, 2 საზენიტო პოლკი, 1 საზენიტო რაზმი, ნაღმმტყორცნთა 1 პოლკი, 6 სატანკო პოლკი, 4 სატანკო ბატალიონი, 5 საარკინიგზო პოლკი, 1 მოტომექანიზებული ბრიგადა, 8 სატყვიამფრქვევო ბატალიონი და 6 ცალკეული ბატალიონი. ამ ჯარებში მილიონ თხუთმეტი ათასი კაცია. შეიარაღებაში აქვთ 3 262 საარტილერიო ქვემეხი, 942 ტანკი და ჯავშანმანქანა, 1 080 თვითმფრინავი. ჩვენზე თავდასხმის შემთხვევაში იაპონიის არმიას თავისუფლად შეუძლია გადმოისროლოს ეს ნაწილები კვანტუნის არმიის დასახმარებლად.

სტალინი: საეჭვოა, რადგან იაპონია მაგრად ჩაეფლო ჩინეთში, რომლის დაპყრობაზე, როგორც ვიცი, უარის თქმას არ აპირებს. თუმცა, ჩინეთში მყოფი იაპონიის ჯარებით კვანტუნის არმიის გაძლიერების შესაძლებლობას ანგარიში უნდა გავუწიოთ. რა აზრისა ხართ საერთოდ იაპონელებზე, როგორც ჯარისკაცებზე?

ლავრენტი: იაპონელებს ძალიან კარგი უნტერ-ოფიცერთა შემადგენლობა ჰყავთ. საშუალო და უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობა ბევრად სუსტია. იაპონელ ოფიცრებსა და გენერლებს სერიოზულად უშლის ხელს ზედმეტი თავდაჯერებულობა. ეგრეთ წოდებულმა „სამურაის სულისკვეთებამ“ ისინი, ისევე, როგორც გერმანელები, საკუთარ განსაკუთრებულობაში დაარწმუნა. აქედან — მოწინააღმდეგის ძალიან საშიში შეუფასებლობა, რომელსაც, როგორც ცნობი-

ლია, ბრძოლაში დამარცხება და დაღუპვა მოსდევს.

ბევრი იაპონელი ოფიცერი და გენერალი სერიოზულად ფიქრობს, რომ ისინი, ისევე როგორც იაპონელი ხალხი, „ღვთაებრივი" წარმოშობისანი არიან. რომ იაპონელები, ღვთის რჩეული ხალხი, მოწოდებულნი არიან, დაიპყრონ მთელი მსოფლიო და უხელმძღვანელონ ყველა სხვა ხალხს, რომლებიც თავიანთი განვითარებით მასზე „გაცილებით დაბლა" დგანან.

სტალინი: კვლავ ზღაპრები არასრულყოფილ ადამიანებზე?

ლავროვი: არის კიდევ ერთი მომენტი, რომლის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება. იაპონელებს ბავშვობიდანვე უნერგავენ ომის კულტს. არწმუნებენ, რომ იაპონელი მამაკაცის მთავარი დანიშნულებაა იმპერატორის არმიაში სამსახური, და, თუ საჭირო გახდება, — გმირული სიკვდილი ბრძოლის ველზე „ღვთაებრივი" იაპონელი იმპერატორისთვის. ამგვარ აღზრდაში დიდ როლს თამაშობს იაპონელების რელიგია სინტოიზმი. ამ რელიგიური მოძღვრების თანახმად, ჯარისკაცი, რომელიც იაპონიისათვის ბრძოლაში დაეცემა, დაუყოვნებლივ სამოთხეში მოხვდება და იმპერიის მფარველ ანგელოზად იქცევა. ტოკიოს უდიდეს ტაძარში საომარი მოქმედების დროს მოკლული იაპონელების სახელებს სპეციალურ „წმინდა" ფირფიტებზე წერენ, რის შემდეგაც მათ წმინდანებად აღიარებენ. იაპონელი ჯარისკაცის აღზრდის მთავარი დევიზია: „მებრძოლის მოვალეობა მთაა, სიკვდილი ბუმბულზე უმსუბუქესია" ბრძოლის ველიდან გაქცევა და ტყვედ ჩავარდნა განიხილება როგორც უდიდესი სირცხვილი და ღალატი.

სტალინი: მიუხედავად ამისა, თუ ხასანთან და ხალხინ-გოლთან ბრძოლებით ვიმსჯელებთ, ბრძოლის ველზე ღირსეულ მოწინააღმდეგეს რომ შეხვდებიან, იაპონელები სიკვდილს გაქცევას ან ტყვედ ჩაბარებას ამჯობინებენ.

ლავროვი: არც უმაგისობაა. მაგრამ როგორც მებრძოლები, იაპონელები გერმანელებივით შეუდარებლად ძლიერები არიან ინგლისელებსა და ამერიკელებზე, რომლებმაც არც კი იციან, როგორ უნდა მოკვდნენ, ბრძოლის ველიდან იაპონელებსა და გერმანელებზე უფრო სწრაფად გარბიან.

სტალინი: ვაჭრები არასოდეს გამოირჩეოდნენ მამაცობით, მკვდრებს ფული არ სჭირდებათ. სხვა იდეალები ინგლისელებს და ამერიკელებს არა აქვთ. როცა ყველაფერზე მოგება მეუფებს, სიკვდილი ძნელია, იმიტომ, რომ, აბა, რისთვის გასწირონ თავი? ისინიც თავიანთ ტყავს

უფრთხილდებიან. რევოლუციური მოვლენების დროს კი, მაგალითად, კრომველის ხანაში, აშშ-ში სამხრეთელებისა და ჩრდილოელების ომის პერიოდში ინგლისელები და ამერიკელები სრულიად სხვაგვარად ომობდნენ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საქმეებს. იაპონია, რომელსაც პრაქტიკულად არა აქვს ბუნებრივი რესურსები და, უწინარეს ყოვლისა, ნავთობი, მზად არ არის სერიოზული ხანგრძლივი ომისთვის. ამასთან, რუსეთის წინააღმდეგ კამპანია უცებ ვერ მისცემს მსოფლიო ბატონობისთვის მისთვის ესოდენ საჭირო ნავთობსა და ნედლეულს. ყველაზე იოლად მათი მოპოვება იაპონიას შეუძლია სამხრეთის ზღვების რაიონში. ეს არის მთავარი ჩვენს ურთიერთობაში იაპონიასთან. ამასთან, ეს ქვეყანა მართლაც ჩაეფლო ომში ჩინეთის ტერიტორიაზე, მის დედაქალაქს კი ადვილად მისწვდება ჩვენი სამხედრო-საჰაერო ძალები. მაგრამ ავანტიურისტები ავანტიურისტები არიან. არ გვაქვს გარანტია, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში იაპონიაში არ გაიმარჯვებს ავანტიურისტული კურსი.

მაშასადამე, როგორც ყველაფრიდან ჩანს, მთავარი დასკვნა არის ის, რომ გერმანიის ჩვენზე თავდასხმის შემთხვევაში, აღმოსავლეთში, დაუფარავად თავს რომ არც დაგვესხან, მეორე ფრონტი გვექნება. ჩვენი 40 დივიზიიდან, რომლებიც მკაცრ ბუნებრივ პირობებში გამოიწრთო და რომლებსაც იაპონელების წინააღმდეგ ბრძოლის კარგი საომარი გამოცდილება აქვთ, ჩვენი დასავლეთის საზღვრების დასაცავად ვერცერთს ვერ გამოვიყენებთ. თქვენი მთავარი ამოცანაა, ყველაფერი — შესაძლებელი და შეუძლებელი გააკეთოთ იმისათვის, რათა გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში, იაპონია პირდაპირ თავს არ დაგვესხას აღმოსავლეთში. გააქტიურეთ თქვენი აგენტურის საქმიანობა ამ მიმართულებით. არ დაგენანოთ სახსრები, რომლებიც ამისთვისაა დაგროვილი. მაგრამ გახსოვდეთ, რომ ეს სახალხო საკუთრებაა, ხარჯეთ მომჭირნედ. რა ხდება თურქეთში?

ლავროვი: გამორიცხული არ არის, რომ თურქეთი გერმანიასთან ერთად ჩვენზე თავდასასხმელად ემზადება. თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად დართო ნება, გამოსცენ ქვეყანაში პანთურქული, პროფაშისტური ჟურნალები „ბაზკურატი“ (რუხი მგელი) და „ჩინარ ალთი“ (ალვების ძირას). ეს ჟურნალები, აგრეთვე, ზოგიერთი თურქული გაზეთი დაუფარავად და დაჟინებით მოუწოდებს საბჭოთა კავშირთან ომისკენ, აცხადებს, რომ თურქეთის საზღვარი კავკასიონის

ქედის გადაღმა, კასპიის ზღვის იქით უნდა გადიოდეს, რომ ვოლგა ის მდინარეა, რომლის წყალს საუკუნეების განმავლობაში თურქები თავიანთ ცხენებს ასმევდნენ. თურქეთში აშკარად და დაუფარავად ვრცელდება „დიდი თურქეთის“ რუკა, რომელიც მოიცავს ჩვენს ამიერკავკასიას, შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებს. თურქეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრი სარჯოღლუ გერმანელ დიპლომატებთან საუბარში პირდაპირ აცხადებს: „როგორც თურქს, გაგიჟებით მსურს რუსეთის განადგურება. რუსული პრობლემა გერმანიამ შეიძლება გადაწყვიტოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთში მცხოვრები ყველა რუსის სულ ცოტა ნახევარს გაწყვეტს“.

საბჭოთა კავშირზე თურქეთის შემოტევა ნავარაუდებია ირანის ზეგანის გავლით ბაქოს მიმართულებით.

სტალინი: მაშასადამე, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ თურქები ჰიტლერის მხარეს გამოვლენ?

ლავროვი: ყველაფერია შესაძლებელი, მაგრამ პირდაპირ შემოტევას ვერ გაბედავენ. თურქეთის მმართველ წრეებში ჰიტლერის იაპონელებზე ნაკლებად არ ეშინიათ. ამასთან, ამ ქვეყანაში პროინგლისური გავლენა ძალიან ძლიერია, გერმანია კი, ცნობილია, ინგლისს ეომება. სარჯოღლუს გაუჭირდება განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი გერმანიის აშკარა მხარდაჭერის შესახებ, თუ იგი მაინც გაბედავს ჩვენზე თავდასხმას. უფრო სავარაუდოა, რომ თურქები დაძაბავენ ჩვენთან ურთიერთობას საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე.

სტალინი: მაშასადამე, ჩვენ გვჭირდება კიდევ ორმოცი დივიზია, ახლა უკვე ახალ ფრონტზე. პირდაპირ ვთქვათ — ბევრია... რა ხდება რუმინეთსა და ფინეთში?

ლავროვი: ჰიტლერელები ფიქრობენ, გამოიყენონ ფინეთი და რუმინეთი თავიანთი ჯარების ფლანგების დასაცავად სსრკ-ის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში. ერთობლივი თავდასხმის შესახებ ჰიტლერი უკვე მოელაპარაკა ანტონესკუს, რომელიც დაჰპირდა, რომ გამოვა გერმანიის მხარეს, როგორც კი მისი ჯარები საბჭოთა კავშირის ფარგლებში შეიჭრება. წაიტრაბახა, რომ 400 წლის განმავლობაში რუმინეთი ევროპის მოწინავე ბასტიონი იყო, რომელიც, თურმე, თურქებისა და სლავების შემოტევისგან იცავდა მას. იგი დაჰპირდა ჰიტლერს, სრულად დაუმორჩილოს რუმინეთი შმაგ ფიურერს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში წარმატების მიღწევის მიზნით. გერმანია რუმინეთით უმთავრესად არა იმდენად მისი შეიარაღებული ძალების

გამოა დაინტერესებული, რამდენადაც ამ ქვეყანაში არსებული ნავთობის რეწვით.

რაც შეეხება ფინეთის მმართველ წრეებს, საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში დამარცხებამ მათ ჭკუა ვერ ასწავლა. სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც ჩვენთან 1940 წლის 12 მარტს აქვთ დადებული, განიხილავენ, როგორც დროებით დაზავებას და მხოლოდ მოხერხებულ შემთხვევას უცდიან, რომ, როგორც ისინი ამბობენ, ანგარიში გაუსწორონ საბჭოთა კავშირს.

1940 წლის 22 აგვისტოს გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსმა გალდერმა თავის დღიურში ჩაწერა: „ფიურერის პოზიციის შეცვლა ფინეთის მიმართ. შეიარაღებითა და სამხედრო აღჭურვილობით მხარდაჭერა“

1940 წლის აგვისტოში ფინეთში იმყოფებოდა გერინგის მოადგილე ველტენსი, რომელმაც ნორვეგიის დასაპყრობად ფინეთის ტერიტორიაზე გერმანიის ჯარების გატარების ნებართვა მიიღო.

1940 წლის დეკემბერში ბერლინში ჩავიდნენ ფინელი გენერალი ტალველა, შემდეგ, 1941 წლის იანვრის ბოლოს — ფინეთის არმიის შტაბის უფროსი, გენერალი ჰეინრიკსი. შეიმუშავეს გერმანია-ფინეთის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ერთობლივი გეგმა. ჰეინრიკსმა გალდერს აცნობა, რომ რუსეთთან ომის შემთხვევაში ფინეთის მხარე განახორციელებს შეტევას შემდეგი მიმართულებით: ლადოგის ტბის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ — ხუთი დივიზიით, აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ — სამი დივიზიით, საბჭოთა სამხედრო ბაზის წინააღმდეგ ხანკოს ნახევარკუნძულზე — ორი დივიზიით. ფინეთის ჯარების მთავარი ამოცანაა — ჩვენი ჯარების ბლოკირება ლადოგის რაიონში. ამა წლის აპრილში ჰიტლერის სპეციალური რწმუნებული, ვინმე შნურე იმყოფებოდა ფინეთში და ფინელებს ურჩევდა, არ შეესრულებინათ აღებული ვალდებულებანი, რომლებიც ჩვენთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. ჰიტლერის სახელით შნურე დაჰპირდა ფინელ ხელმძღვანელებს, რომ დაეხმარებოდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის სამშვიდობო ხელშეკრულების გადახედვის საქმეში. დანიური ფირმა „მადსენის“ მეშვეობით ჰიტლერელები ფინეთს შეიარაღებით ამარაგებენ. ჩვენს წინააღმდეგ ომში ფინეთი „ბარბაროსას“ გეგმის ამოქმედებიდან სავარაუდოდ 14 დღის შემდეგ ჩაებმება. დღეისთვის ფინეთში იმყოფება 40 600 გერმანელი ჯარისკაცი. ჰიტლერი დაჰპირდა, რომ გამარჯვების შემთხვევა-

ში, ფინეთს ჩვენს მიმართ ყველა ტერიტორიულ პრეტენზიას დაუკმაყოფილებს.

სტალინი: ესეც — მეოთხე ფრონტი.

დედანთან სწორია: ***ა. ლავროვი***

სრულიად საიდუმლოდ

დირექტივა

„ლენინგრადის სამხედრო ოლქის (ლსო), ბალტიისპირეთის საგანგებო სამხედრო ოლქის (ბსსო), დასავლეთის საგანგებო სამხედრო ოლქის (დასსო), კიევის საგანგებო სამხედრო ოლქის (ცსსო), ოდესის სამხედრო ოლქის (ოსო) სამხედრო საბჭოებს.

ასლი: სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარს.

1. 22-23.06.41 წ. განმავლობაში შესაძლებელია გერმანელების უეცარი თავდასხმა ლსო, ბსსო, დასსო, ცსსო, ოსო ფრონტებზე. თავდასხმა შეიძლება დაიწყოს პროვოკაციული მოქმედებებით.

2. ჩვენი ჯარების ამოცანაა, არ აჰყვეს არავითარ პროვოკაციულ მოქმედებას, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დიდი გართულებები. ამავდროულად ლენინგრადის, ბალტიისპირეთის, დასავლეთის, კიევისა და ოდესის სამხედრო ოლქების ჯარები იყვნენ სრულ საომარ მზადყოფნაში გერმანელების ან მათი მოკავშირეების შესაძლო უეცარი თავდასხმის მოსაგერიებლად.

3. ვბრძანებ:

ა) 22.06.41 წ. ღამის განმავლობაში ფარულად დაიკავეთ სახელმწიფო საზღვრებზე გამაგრებული რაიონების საცეცხლე წერტილები;

ბ) 22.06.41 წ. გამთენიისთვის გააშორიშორეთ საველე აეროდრომებზე მთელი ავიაცია, მათ შორის — საჯარისოც, გულმოდგინედ შენიღბეთ;

გ) ყველა ნაწილი მოიყვანეთ საომარ მზადყოფნაში. ჯარები გყავდათ გაშორიშორებული და შენიღბული;

დ) ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა მიწერილი შემადგენლობის გარეშე იყოლიეთ საომარ მზადყოფნაში. მოამზადეთ ყველა ღონისძიება ქალაქებისა და ობიექტების ჩასაბნელებლად;

ე) არ განახორციელოთ არავითარი სხვა ღონისძიება განსაკუთრებული განკარგულების გარეშე.

ტიმოშენკო. ჟუკოვი
21.06.41 წ.“

ეს დირექტივა სრულიად საკმარისი იყო ჯარების მოსამზადებლად ჰიტლერელთა შესაძლო აგრესიის მოსაგერიებლად, რადგან სამხედრო დანაყოფი მშვიდობიან პერიოდშიც მზად უნდა იყოს, ნებისმიერ წუთში ჩაერთოს ომში, რადგან ამისთვის არსებობს. არავითარი დამატებითი მითითება საამისოდ საჭირო არ არის. ფაშისტური გერმანიის შესაძლო თავდასხმის შესახებ ზეპირი გაფრთხილება ოლქების სარდლებმა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დროულად, ამ დირექტივამდე მიიღეს. ხოლო კიევისა და დასავლეთის სამხედრო ოლქების ჯარები კარგა ხნის წინათ იყო გადაყვანილი გაძლიერებულ საომარ მზადყოფნაზე.

ხშირად გვესმის შეკითხვა: თუ საბჭოთა კავშირი ჰიტლერელთა შემოსევის მოსაგერიებლად მზად იყო, ომის პირველ თვეებში რატომ განიცადა საბჭოთა ჯარებმა მნიშვნელოვანი დანაკარგი, ხოლო მტერი მოსკოვს მიადგა? ამისთვის არსებობდა რიგი ობიექტური მიზეზებისა.

1. საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს ჰყავდა ძლიერი, შესანიშნავად შეიარაღებული მოწინააღმდეგე, რომლისთვისაც მთელი დაპყრობილი ევროპა მუშაობდა, ომამდე კი გერმანიას აშშ და ინგლისი აიარაღებდა. გერმანელთა ჯარების ძირითადი ძალები დაკომპლექტებული იყო ფაშისტური პროპაგანდის მიერ სრულიად გაბრუებული ჯარისკაცებით და ამ ჯარისკაცებს თანამედროვე პირობებში საომარ მოქმედებათა ორწლიანი გამოცდილება ჰქონდათ, მხოლოდ შემდეგ მივიდნენ მათ ადგილზე რეზერვისტები.

2. ჰიტლერული გერმანიის ეკონომიკა ხანგრძლივ ომს ვერ გაუძლებდა (აქედან — „ბლიცკრიგის“ ავანტიურისტული გეგმები). ამიტომ იყო, რომ ჰიტლერი არად აგდებდა თავისი სამხედრო ძალების დანაკარგებს და რადაც უნდა დასჯდომოდა, უმოკლეს დროში მოსკოვის აღებას ცდილობდა. მიაჩნდა, ეს შესაძლებლობას მისცემდა, ომი გამარჯვებით დაემთავრებინა. ჰიტლერელთა ბევრმა ნაწილმა, მოსკოვს რომ მიუახლოვდა, თავისი შემადგენლობის 80 პროცენტი დაკარგა და, ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა.

3. ომის დაწყებისთვის სსრკ-მ ვერ მოასწრო არმიის ახალი ტექნიკით გადაიარაღება. ჩვენი შეიარაღებული ძალების გადაიარაღება მხოლოდ ომის მსვლელობის დროს დამთავრდა. ეს კარგად ჩანს აქ გამოქვეყნებული ცხრილიდან, რომელიც დაბეჭდითებით გვიდასტურებს, გერმანიასთან შედარებით როგორ ძლიერდებოდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკა.

1941 წლის ივნისში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ძალთა შეფარდება ასეთი იყო:

შეიარაღებული ძალების რაოდენობა

გერმანია		სსრკ
5,5 მლნ კაცი		2,9 მლნ კაცი*
47 260	ქვემეხი და ნაღმსატყორცნი	34 645
3 712	ტანკი	1 800 (უახლესი მოდელი)
4 980	თვითმფრინავი	1 590 (უახლესი მოდელი)

1942 წლის შემოდგომისთვის

გერმანია		სსრკ
6,2 მლნ კაცი		6,1 მლნ კაცი
70 000	ქვემეხი და ნაღმსატყორცნი	72 500
6 600	ტანკი	6 014
3 500	თვითმფრინავი	3 088

1944 წლის ზაფხულისათვის

გერმანია		სსრკ
4 მლნ კაცი		6 425 მლნ კაცი
48 634	ქვემეხი და ნაღმსატყორცნი	92 557
5 250	ტანკი	7 752
2 796	თვითმფრინავი	13 428

1945 წლის იანვარში

გერმანია		სსრკ
4 მლნ კაცი		6 მლნ კაცი
28 500	ქვემეხი და ნაღმსატყორცნი	91 400
4 000	ტანკი	11 900
2 000	თვითმფრინავი	14 500


** თითქმის მილიონიანი არმია იდგა იაპონიის საზღვართან, თურქეთის საზღვართან კი — 30 დივიზია.*

1942 წლის ბოლოსთვის ომამდე არსებული ეკონომიკის საფუძველზე შეიქმნა აწყობილი, მუდმივად მზარდი სამხედრო მეურნეობა. შედეგად, 1942 წელს მრეწველობამ ფრონტს მისცა 25 ათასი თვითმფრინავი — 1,5-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე გერმანიის მრეწველობამ, 24,6 ათასი ტანკი — 2,5-ჯერ მეტი და 29 ათასი ქვემეხი — თითქმის სამჯერ მეტი. მაშინ, როცა გერმანიის საომარი ძლიერება ომის დროს მცირდებოდა, საბჭოთა კავშირის ძლიერება სისტემატურად იზრდებოდა.

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა მთავარი გამარჯვებების მოპოვება დაიწყეს სწორედ მას შემდეგ, როცა მთელი ძალით ამოქმედდა საბჭოთა კავშირის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი და ჰიტლერელებმა დაკარგეს თავიანთი ძირითადი უპირატესობა — ტანკებისა და თვითმფრინავების რაოდენობრივი უპირატესობა.

1943 წელს ჰიტლერული გაზეთი „დას შვარცე კორპი“ წერდა: „ჩვენ სასწაულად გვეჩვენება, რომ თვალუწვდენელი საბჭოთა სტეპებიდან წამოიმართება ადამიანებისა და ტექნიკის ახალი და ახალი მასები, თითქოს რომელიღაც დიდი ჯადოქარი ურალის თიხისგან ნებისმიერი რაოდენობით ძერწავს ბოლშევიკურ ტექნიკასა და ადამიანებს“

ვ. ეუბრაი



უმაღლესი მთავარსარდალი იოსებ სტალინი




ვოროშილოვი, სტალინი, ეჟოვი, ორჯონიკიძე




სტალინი და პოლიტბიუროს წევრები
დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე




მოსკოვის მეტროპოლიტენის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო
კრებაზე კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. 1935 წელი




ლაზარ კაგანოვიჩი, იოსებ სტალინი, პაველ პოსტიშევი,
კლიმენტ ვოროშილოვი. მოსკოვი, 1934 წელი




ანასტას მიქოიანი, იოსებ სტალინი და ვიაჩესლავ მოლოტოვი.
მოსკოვი, 1935 წლის თებერვალი




იოსებ სტალინი და პოლიტბიუროს წევრები საბჭოების VIII საგანგებო საკავშირო ყრილობის დელეგატებს შორის. 1932 წელი



იოსებ სტალინის 50 წლის იუბილეს დროს გადაღებული სამახსოვრო ფოტო. ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, კუიბიშევი, სტალინი, კალინინი, კაგანოვიჩი, კიროვი




ლიონ ფოიხტვანგერი და
იოსებ სტალინი



რომენ როლანი
სტალინთან მიღებაზე.
მოსკოვი, 1935 წელი




სტალინი —
ყოველთვის
ხალხთან ერთად



ფიზკულტურელთა საკავშირო აღლუმზე, რომელიც
ფიზკულტურელთა დღის აღსანიშნავად ყოველწლიურად
მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე იმართებოდა



იოსებ სტალინი და თურქეთის პრეზიდენტი ისმეთ ფაშა ტუშინოს აეროდრომზე. 1932 წელი



იოსებ სტალინი და აშშ-ის პრეზიდენტის ფრანკლინ დელანო რუზველტის უახლოესი მრჩეველი ჰარი ჰოპკინსი



ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ენტონი იდენი (მარცხნივ) სტალინთან სტუმრობისას




ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაური ოტო კუუსინენი ხელს აწერს სსრკ-ფინეთის ხელშეკრულებას ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის შესახებ. დგანან: მოლოტოვი, ჟდანოვი, ვოროშილოვი, სტალინი. 1939 წლის 1 დეკემბერი



იგი სტალინის
დამარცხებას ლამობდა...



ბენიტო მუსოლინი (დუჩე) და
ადოლფ ჰიტლერი (ფიურერი)



მილიტარიზებული ფაშისტური გერმანია



საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმის — „ბარბაროსას“
განხილვა ფაშისტების მთავარბანაკში:
ბრაუხიჩი, ჰიტლერი, გალდერი. 1941 წელი



რიბენტროპი მიუთითებს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს
ედუარდ დალადიეს, სად უნდა მოაწეროს ხელი
„მიუნჰენის შეთანხმებას“. 1938 წელი




ადოლფ ჰიტლერი და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ესუკე მაცუოკა. ფაშისტური ღერძი — ბერლინი-რომი-ტოკიო ოფიციალურად გაფორმდა



ხალხინ-გოლი. იაპონელი ჯარისკაცის დაკრძალვა ბრძოლის ველზე



ჟუკოვი ხალხინ-გოლზე



იოსებ სტალინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე 1941 წლის 7 ნოემბერს



მოსკოვი, წითელი მოედანი, 1941 წლის 7 ნოემბერი:
სამხედრო აღლუმიდან — ფრონტის წინა ხაზზე




ქვეითთა კოლონა ფრონტის ხაზისკენ მიემართება
(1941 წლის ივნისი)



გერმანია. 1941 წელი. პლაკატი:
„რუსები უნდა მოკვდნენ, რათა ჩვენ, გერმანელებმა ვიცოცხლოთ!“



ასინი მსოფლიო ბატონობისთვის ემზადებოდნენ:
კეიტელი, გერინგი, ჰიტლერი, ბორმანი



SS-ის რაიხსფიურერი ჰიმლერი სროლაში ვარჯიშობს,
კაცისკვლაში ოსტატდება

თავი III
დიდი სამამულო ომი
1941–1945
ნაწილი 1
1941-ის მძიმე თვეები

საიდუმლოდ

ცნობა

საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს 1941 წლის 23 ივნისის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს შექმნის შესახებ (საკ. კპ (ბ) და სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილება). მიღებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

1. საერთაშორისო მოვლენების, ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და აგრეთვე, საომარ მოქმედებათა გაშუქების ყველა სამუშაოს ხელმძღვანელობის თავმოყრის მიზნით შეიქმნას საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

2. დამტკიცდეს საბჭოთა ინფორმბიურო შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით:

1. შჩერბაკოვი (უფროსი). **2.** ლოზოვსკი. **3.** ხავინსონი. **4.** პოლიკარპოვი. **5.** საკსინი. **6.** გოლიკოვი.

დაეკისროს საბჭოთა ინფორმბიუროს:

ა) საერთაშორისო მოვლენებისა და საბჭოთა კავშირის საშინაო ცხოვრების გაშუქება ბეჭდვით სიტყვასა და რადიოში.

ბ) გერმანული და სხვა მტრული პროპაგანდის წინააღმდეგ კონტრპროპაგანდის ორგანიზება;

გ) ფრონტული მოვლენებისა და საომარ მოქმედებათა გაშუქება და მთავარსარდლობის მასალების მიხედვით საომარი ცნობების გამოქვეყნება.

ა. ჯული
1941 წლის 23 ივნისი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრებს შორის მოვალეობათა განაწილება: მოლოტოვი — ტანკები, მალენკოვი — ავიაცია, ბე-

რია (სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობის გარდა) — ჰურვები და მომარაგება.

ა. ჯუკი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

ფაშისტური გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი გალდერი ომის დღიურს წერს, რომელშიც შეაქვს ყველაფერი მთავარი, რაც იმ ან სხვა დღეს ფრონტებზე ხდება. აი, რამდენიმე ამონარიდი საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შემდგომი პირველი დღეების საომარ მოქმედებათა შესახებ.

1941 წლის 24 ივნისი (ომის მე-3 დღე):

„ჩრდილოეთის“ ჯგუფის ჯარები თითქმის მთელ ფრონტზე მოწინააღმდეგის ტანკების ძლიერ კონტრშეტევას იგერიებდნენ“

1941 წლის 26 ივნისი (ომის მე-5 დღე):

„სამხრეთის“ არმიების ჯგუფი წინ ნელა მიიწევს და, სამწუხაროდ, დიდ დანაკარგებს განიცდის. მოწინააღმდეგის მხარეს, რომელიც „სამხრეთის“ არმიების ჯგუფის წინააღმდეგ მოქმედებს, შეინიშნება მტკიცე და ენერგიული ხელმძღვანელობა“

1941 წლის 29 ივნისი (ომის მე-8 დღე):

„ფრონტიდან მიღებული ცნობებით დასტურდება, რომ რუსები ყველგან უკანასკნელ კაცამდე იბრძვიან, მხოლოდ ზოგჯერ ბარდებიან ტყვედ“.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ცნობა

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ბრძოლების პირველი დღეების შესახებ გებელსმა თავის პირად დღიურში ჩაწერა: „1941 წლის 24 ივნისი. მოწინააღმდეგე კარგად იბრძვის. (...) რუსები თავს მამაცურად იცავენ. სამხრეთის ფრონტი თავგანწირვით გვიწევს წინააღმდეგობას და კარგი სარდლობა ჰყავს. მდგომარეობა საშიში არ არის, მაგრამ ჩვენ ყელამდე საქმე გვაქვს“

ჰიტლერის პირადი დაცვის უფროსი: „1941 წლის 24 ივნისი: ბოლ-

შევიკები მშიშრები არ არიან". „1941 წლის 1 ივლისი. რუსები უფრო ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევენ, ვიდრე წარმოგვედგინა. ჩვენი დანაკარგები ცოცხალ ძალასა და მატერიალურ ნაწილში მნიშვნელოვანია. (...) საერთოდ, ძალიან მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს. „გასეირნებაზე" ლაპარაკიც ზედმეტია. (...) ჩვენი ჯარისკაცები თავს ძლივს ართმევენ"

ა. ლავროვი

ცნობა

1941 წლის 20 ივლისს გერმანული რადიომ გადმოსცა, სტალინის ტყვედ ჩავარდნილი ვაჟი ფელდმარშალ ფონ კლიუგეს შტაბში იმყოფება. იგივე ინფორმაცია გამოქვეყნდა ნაცისტურ გაზეთ „ფელკიშერ ბეობახტერში" რადგან იაკობ ჯუღაშვილი ტყვედ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი და უდოკუმენტოდ აიყვანეს, მან თავი რიგით ქართველ ლავაძედ გაასაღა და „ბერეზინის" ბანაკის შესაკრები პუნქტის 12 ათას საბჭოთა სამხედრო ტყვეთა შორის ყურადღებას არ იქცევდა. მაგრამ ორი დღის შემდეგ მოღალატემ გასცა.

იაკობ ჯუღაშვილი პირველად დაკითხეს IV გერმანული არმიის სარდალთან არსებული ინფორმაციის სამსახურის საგანგებო ოცეულის მეთაურმა მაიორმა ვალტერ როიშლემ და აბვერის მაიორმა ვალტერ ჰოლტერსმა. მეორედ დაკითხეს 19 ივლისს გამოცდილმა გერმანელმა მზვერავმა კაპიტანმა ვილფრიდ შტრი-შტრიკფელდმა, რომელიც სრულყოფილად ფლობს რუსულს და კაპიტანმა შმიდტმა. ისინი უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ ტყვე ნამდვილად არის სტალინის შვილი და მისი გადაბირება უნდა ეცადათ.

ტყვის პიროვნების დადგენის შემდეგ იგი ბერლინში პროსტკენის ბანაკში გადაიყვანეს, სადაც სერიოზულად მოჰკიდეს ხელი გერმანული სპეცსამსახურების პროფესიონალებმა. ამავდროულად განახორციელეს პროვოკაციული აქციები თითქოს იაკობ ჯუღაშვილის სახელით. მაგრამ მრავალრიცხოვანი დაკითხვა უშედეგოდ დამთავრდა, იაკობი გულჩათხრობილი იყო და ხმას არ იღებდა. ზოგიერთი ინფორმაციით იგი აწამეს და თავის მოკვლას ცდილობდა.

გესტაპოელებს იგი ჰამელბურგში, სამხედრო ტყვე ოფიცრების ბანაკ „XIII-დ"-ში გადაჰყავთ, შემდეგ — ლიუბეკში „X-C"-ში, სადაც სხვა სამხედრო ტყვეებთან თანაბარ პირობებში იმყოფებოდა. 1942 წლის აპრილში იაკობ ჯუღაშვილს გესტაპოს ცენტრალურ ციხეში აბრუნებენ, ხოლო 1943 წლის თებერვალში ჰიმლერის პირადი მითითებით

ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. აქ იგი ზონდერბანაკ „ა“-ს სარეჟიმო ბანაკში იმყოფებოდა, რომელსაც იცავდნენ ელიტური დივიზიის „მკვდარი თავის“ ესესელები. ამ ზონაში ჰყავდათ აგრეთვე ჩერჩილის ნათესავი თომას კუჩინი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის შვილი, კაპიტანი ბლიუმი, ვასილ კოკორინი, რომელიც მოლოტოვის დისშვილად ასაღებად თავს, და ზოგიერთი მსგავსი რანგის ტყვეები. სტალინისთვის სულერთი არ იყო შვილის ბედი. ვ. ჟუხრაისთან საუბარში ს.ვ. ნიკოლაევმა როგორღაც თქვა, რომ 1942-1943 წლებში გერმანელთა ზურგში გაგზავნეს რამდენიმე საგანგებოდ მომზადებული ჯგუფი იაკობ ჯუღაშვილის გასათავისუფლებლად, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. შემდეგ დაზვერვამ შეძლო საერთო ენის გამონახვა გერმანელ ოფიცრებთან, რომელთაც შეგნებული ჰქონდათ ომის უპერსპექტივობა გერმანიისთვის და მზად იყვნენ, გაერისკათ და გარიგებაზე წასულიყვნენ. მაგრამ ამ მომენტისთვის იაკობ ჯუღაშვილი დაიღუპა.

(შემდგენ.)

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ამხ. სტალინის უფროსი ვაჟის, უფროსი ლეიტენანტის იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილის დაღუპვის გარემოებათა შესახებ, რომელიც 1941 წელს, მძიმე კონტუზიის გამო უგონო მყოფი გერმანელებმა ტყვედ იგდეს.

მისი დაღუპვის გარემოებათა გარკვევის პროცესში დადგინდა, რომ 1946 წლის 10 ივლისს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სექტორის თანამშრომლებმა ბერლინში დააპატიმრეს გერმანიის ჯარების ცენტრალური ჯგუფის მთავარი შტაბის „1-ც“ განყოფილების თანამშრომელი პაულ ჰენსგერი.

დაკითხვაზე ჰენსგერმა აჩვენა: 1941 წელს ქ. ბორისოვში, სადაც იგი თარჯიმნად მუშაობდა, მონაწილეობდა ამხ. სტალინის ვაჟის არტილერიის უფროსი ლეიტენანტის იაკობ ჯუღაშვილის დაკითხვაში. დაკითხვას აწარმოებდა „1-ც“ განყოფილების კაპიტანი, დოქტორი შულცე, გერმანიის იმპერიული უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომელი. დაკითხვის შემდეგ იაკობ ჯუღაშვილი გადაგზავნეს საკონცენტრაციო ბანაკ ზაქსენჰაუზენში. მალე სსრკ შსს ოპერატიული სექტორის თანამშრომლებს ბერლინში ხელთ ჩაუვარდათ ზაქსენჰაუზენის ბანაკის კომენდანტი, ესესის შტა-

ნდარტენფიურერი (პოლკოვნიკი) კაინდლი და ამ ბანაკის დაცვის ბატალიონის (დივიზია „მკვდარი თავი“) უფროსი, ესესის ობერშტურმბანფიურერი (პოდპოლკოვნიკი) ვერნერი.

დაკითხვაზე კაინდელმა აჩვენა: „ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში იყო საგანგებო ბანაკი „ა“, რომელშიც მოთავსებული ჰყავდათ საბჭოთა არმიის, ინგლისისა და საბერძნეთის არმიების გენერლები და მთავარი ოფიცრები.

1943 წლის მარტში ბანაკ „ა“-ს №2 ბარაკში ჰიმლერის მითითებით ბანაკის ციხიდან გადაიყვანეს ორი უფროსი ლეიტენანტი — იაკობ ჯუღაშვილი და სტალინის მოადგილის მოლოტოვის ნათესავი — კოკორინი.

ბერლინში ყოფნისას იაკობ ჯუღაშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა გერმანულ ხელისუფლებასთან რაიმე სახით თანამშრომლობაზე, რის გამოც სიკვდილის ბანაკ ზაქსენჰაუზენში აღმოჩნდა.

აქ ყოფნის დროს კარჩაკეტილი იყო, ბანაკის ადმინისტრაციას არაფერს სთხოვდა, გაზეთების გარდა, რომლებშიც ინტერესდებოდა ფრონტზე არსებული მდგომარეობით.

თავისი გვარი არ დაუსახელებია. თავი დამოუკიდებლად ეჭირა და ბანაკის ადმინისტრაციას ერთგვარად აგდებულად ეკიდებოდა“.

იაკობ ჯუღაშვილის დაღუპვის გარემოებათა შესახებ კაინდელმა აჩვენა: „ბანაკი „ა“ სამი ბარაკისგან შედგებოდა, რომლებიც ქვითკირის კედლით იყო შემოღობილი და, ამას გარდა, კედლიდან ორი მეტრის დაშორებით შემორტყმული ჰქონდა მავთულხლართის სამი ღობე. მათგან ერთ-ერთში მაღალი ძაბვის ელექტროდენი გადიოდა. 1943 წლის ბოლოს №2 ბარაკის პატიმრები ბარაკთან სასეირნოდ იყვნენ გამოყვანილი. 7 საათზე ესესელმა იუნგლინგმა ბარაკში შესვლა უბძანა. ყველა წავიდა. იაკობ ჯუღაშვილი არ წავიდა და ბანაკის კომენდანტი მოითხოვა. იუნგლინგმა გაიმეორა თავისი ბრძანება, იაკობ ჯუღაშვილმა უარი თქვა ბრძანების შესრულებაზე. მაშინ იუნგლინგმა უთხრა, რომ წავიდოდა და დამირეკავდა.

ტელეფონით ჩემთან საუბრის დროს იუნგლინგმა მითხრა, რომ გაიგონა გასროლის ხმა და დამიკიდა ყურმილი. ამ დროს შემდეგი რამ მოხდა. იაკობ ჯუღაშვილი ჩაფიქრებული მიდიოდა და ნეიტრალური ბილიკიდან მავთულისკენ წავიდა. გუშაგმა იარაღი შემართა და შესძახა „სდექ“ ჯუღაშვილმა განაგრძო სიარული. გუშაგმა დაიძახა: „გესვრი“. ამ შეძახილზე ჯუღაშვილმა გინება დაიწყო, გიმნასტურას

ხელები ჩაავლო, გადაიგლიჯა საყელო, გაიშიშვლა მკერდი და უყვირა გუშაგს: „მესროლე“. გუშაგმა ესროლა და მოკლა იაკობ ჯუღაშვილი, რომელიც მავთულხლართის პირველ ორ რიგს დაეცა.

მოკლული ჯუღაშვილი ამ მდგომარეობაში, ჩემი მითითებით, 24 საათი იწვა, სანამ არ მივიღეთ ჰიმლერის განკარგულება გვამის ბანაკის კრემატორიუმში გამოსაკვლევად გადატანის შესახებ. შემდეგ კრემატორიუმში იმპერიის უშიშროებიდან ორი ოფიცერი მოვიდა, რომლებმაც შეადგინეს აქტი იმაზე, რომ იაკობ ჯუღაშვილი მაღალი ძაბვის ელექტროდენის დარტყმით გარდაიცვალა, ესროლეს კი მხოლოდ ამის შემდეგ. რომ გუშაგი სწორად, ინსტრუქციის თანახმად მოქმედებდა.

პროფესორების დასკვნის შემდეგ იაკობ ჯუღაშვილის სხეული კრემატორიუმში დაწვეს, ფერფლი კი ურნაში მოათავსეს, რომელიც იაკობ ჯუღაშვილის მკვლელობის გამოძიების მასალებთან ერთად იმპერიის უშიშროების მთავარ სამმართველოში გაიგზავნა“ სად გაჭრა ამის შემდგომ ეს ურნა, უცნობია.

ბოლოს კაინდელმა თქვა, რომ პატიმარ იაკობ ჯუღაშვილის საქმე მის სეიფში ინახებოდა, მაგრამ გერმანიის კაპიტულაციის წინ ადიუტანტს მისი დაწვა უბრძანა, დაკითხულმა ვერნერმა დაადასტურა კაინდელის ჩვენება იაკობ ჯუღაშვილის დაღუპვის გარემოებათა შესახებ.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ა.ს. სვანიძე — ამხ. სტალინის პირველი მეუღლის ეკატერინე სვანიძის ძმა 1941 წლის 20 აგვისტოს გერმანული დაზვერვისათვის სასარგებლო ჯაშუშობისთვის დაიხვრიტა. მისი ცოლი მ.ა. სვანიძე იმავე დანაშაულისთვის 1942 წლის 3 მარტს დაიხვრიტა.

ა. ჯულა
1942 წლის 3 მარტი

ცნობა

სტანისლავ ფრანცევიჩ რედენსის დახვრეტის განაჩენი 1940 წლის 12 თებერვალს სისრულეშია მოყვანილი.

სსრკ შინსახკომის პირველი სპეცგანყოფილების უფროსის თანაშემწე, უფროსი ლეიტენანტი ***კალინინი***

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

(ბერმანიის გენშტაბის აბენტურული პატაკის მონაცემებით)

საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდგომი სამი კვირის განმავლობაში გერმანიის ჯარებმა სსრკ-ის ტერიტორიაზე 300-დან 600 კილომეტრამდე წაიწიეს. ხელთ იგდეს ლიტვა, ლატვია, ბელორუსია, მარჯვენა ნაპირის უკრაინა, მოლდავეთის ნაწილი.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანელ-ფაშისტთა შეიარაღებების პირველი დარტყმა 1941 წლის 22 ივნისს თავის თავზე ჩვენმა მესაზღვრეებმა მიიღეს. საზღვრის მთელ გაყოლებაზე მათ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს და უთანაბრო ბრძოლაში თითქმის ყველა დაიღუპა.

ერთ თვეზე მეტ ხანს უწევდნენ წინააღმდეგობას ათჯერ უფრო მეტ მტერს ბრესტის ციხესიმაგრის მესაზღვრეები. გმირმა მესაზღვრეებმა ამჯობინეს დაღუპულიყვნენ ციხესიმაგრის ნანგრევებში, მაგრამ უკან არ დაეხიათ. ბუგზე სასაზღვრო საგუშაგოს ორმოცი მესაზღვრე, რომელთაც ლეიტენანტი მაქსიმოვი მეთაურობდა, მთელი დღე და ღამე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ებრძოდა გერმანელი ფაშისტების ბატალიონს. 11 დღეს ებრძოდნენ მტრის აღმატებულ ძალებს მესაზღვრეები, რომლებსაც მეთაურობდნენ ლეიტენანტი ლოპატინი და პოლიტხელი გლასოვი და გერმანელების ორი ასეული გაანადგურეს.

მტერს უშიშრად დახვდნენ მესაზღვრეები, რომლებსაც მეთაურობდნენ ლეიტენანტი ჩუკოვიცკი, ლეიტენანტი ფედოტოვი, ლეიტენანტი ლუკიანოვი, ლეიტენანტი ნეჩაევი, კაპიტანი პოპივოდა, ლეიტენანტი სლუსარევი, პოდპოლკოვნიკი ტარუტინი, ბატალიონის კომისარი უტკინი.

პერემიშლთან ბრძოლების დროს გერმანელებმა მხოლოდ მოკლულთა სახით 5 000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს. მესაზღვრეებმა მოკლულის, დაჭრილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის სახით 706 კაცი დაკარგეს.

1 და 2 კომენდატურების, 5 და 6 საგუშაგოების პირადი შემადგენლობა მთლიანად დაიღუპა.

ა. ლავროვი

ცნობა

გერმანიის მრეწველთა წრეები იმედოვნებენ, გამოიყენონ ჩვენი ქვეყნის აურაცხელი სიმდიდრე მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის მონაცემებით, ვლადიმირ-ვოლინსკის, ლუცკის, დუბნასა და როვნოს რაიონში გამძაფრებული ბრძოლების შედეგად გერმანელთა შეტევა 10 დღით იქნა შეჩერებული.

გენშტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა გალდერმა 1941 წლის 29 ივლისს ომის დღიურში ჩაწერა: ტანკების პირველი ჯგუფის მარჯვენა ფლანგზე რუსების მე-8 სატანკო კორპუსი ღრმად შემოიჭრა ჩვენს განლაგებაში და ჩვენი მე-11 სატანკო დივიზიის ზურგში შევიდა, რამაც დიდი არევ-დარევა გამოიწვია ჩვენს ზურგში ბროდის და დუბნოს შორის რაიონში.

ა. ლავროვი
1941 წლის 2 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

როცა 1941 წლის 4 აგვისტოს ჰიტლერი ეწვია ფრონტის შტაბს, რომელსაც სარდლობს გენერალ-ფელდმარშალი ბოკი, მთავარ სატანკო დაჯგუფებათა სარდლებმა, რომლებმაც მოსკოვი უნდა აიღონ, გენერლებმა გუდერიანმა და გოტმა ჰიტლერს შესჩივლეს, რომ ომის პირველი კვირების განმავლობაში ტანკებისა და პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტი დაკარგეს, რომ მათ დაქვემდებარებაში მყოფი გაერთიანებების დაუყოვნებლივ შეუვსებლად მოსკოვზე შეტევას ვერაო შეძლებენ.

გუდერიანმა უთხრა: „ჩემო ფიურერო! ჩემი დიადი არმია აღარ არის, ბოლშევიკებმა იგი მიწაში ჩადეს“

ჰიტლერი: „დასანანია, რომ არ დაგიჯერეთ, როცა შეეცადეთ, დაგერწმუნებინეთ, თავს არ დავსხმოდით რუსეთს და მის სამხედრო ძლიერებას მიმტკიცებდით. მე იმ არამზადა კანარისმა შემაცდინა და დამარწმუნა, რომ რუსებს ფანერის ტანკები აქვთ. უმცირესი წარ-

მოდგენაც რომ მქონოდა წითელი არმიის გიგანტურ ძალაზე, არასოდეს მივიღებდი რუსეთზე თავდასხმის გადაწყვეტილებას. ამჟამად მე ვგავარ ლეგენდარულ მხედარს, რომელსაც რკინის ჯავშანი აცვია, რომელმაც ისე გადალახა გაყინული ტბა, რომ არც შეუმჩნევია და თავზარდაცემული მოკვდა“

ა. ლავროვი
1941 წლის 7 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანიის გენშტაბის საორგანიზაციო განყოფილების უფროსის ჰოიზინგერის 1941 წლის 28 აგვისტოს მოხსენებიდან გერმანიის სახმელეთო ჯარის გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ გალდერს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ომის პირველი თვეების შესახებ

ჰიტლერული არმიის დანაკარგების შესახებ

სატვირთო ავტომანქანების რაოდენობა მოტორიზებულ დივიზიებში 1/2-ით შემცირდა, რეზერვის ნაწილებში — 1/4-ით, ქვეითთა დივიზიებში — ასევე 1/4-ით. პირველი სატანკო ჯგუფის ნაწილებმა თავიანთი ტანკების საშუალოდ 50 პროცენტი დაკარგეს. მეორე სატანკო ჯგუფის ნაწილებს თავიანთი ტანკების 45 პროცენტი დარჩათ. მესამე სატანკო ჯგუფში: მე-7 სატანკო დივიზიას ტანკების თავდაპირველი ოდენობის 24 პროცენტი აქვს. ამ ჯგუფის დანარჩენ დივიზიებს თავიანთი ტანკების თავდაპირველი რაოდენობის საშუალოდ 45 პროცენტი აქვთ. უკეთესი მდგომარეობაა მე-4 სატანკო ჯგუფის დივიზიებში. ამ ჯგუფის დივიზიებს აქვთ თავიანთი ტანკების საშუალოდ 50-დან 75 პროცენტამდე“.

ა. ლავროვი
1941 წლის 2 სექტემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება
(აბვერტურული პატაკების მიხედვით)

დასავლეთის ფრონტის წინააღმდეგ მოქმედებს გერმანელთა ჯგუფი „ცენტრი“ და მე-16 გერმანული არმია. სმოლენსკს უტევს 28 დივიზია,

მათგან 9 სატანკო და მოტორიზებულია და 1 მოტორიზებული ბრიგადა. რეზერვში გერმანელებს 34 დივიზია და ორი ბრიგადა ჰყავთ.

გერმანელთა 24-ე და 46-ე კორპუსების შეტევა, რომლებიც გერმანიის დამრტყმელ დაჯგუფებაში შედიან, 21-ე არმიამ 1941 წლის 26 ივლისამდე შეაჩერა.

გერმანელთა მონაცემებით, სმოლენსკთან ბრძოლაში ჰიტლერელებმა დაკარგეს ასი ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ოდესასთან ბრძოლებში — 110 ათასზე მეტი და სამხედრო ტექნიკის დიდძალი რაოდენობა.

ომის პირველი სამი კვირის განმავლობაში გერმანელ-ფაშისტმა დამპყრობლებმა დაკარგეს მოკლული, დაჭრილი და დატყვევებული ჯარისკაცი და ოფიცერი — მილიონზე მეტი, 2 300-ზე მეტი თვითმფრინავი, 3 000-ზე მეტი ტანკი.

ომის მეორე თვის ბოლოსთვის გერმანელთა ჯარების დანაკარგები იყო: 2 მილიონი კაცი, 8 000-ზე მეტი ტანკი, 10 000-მდე საარტილერიო ქვემეხი და 7 500-ზე მეტი თვითმფრინავი. შედეგად, ჰიტლერელებს აღარა აქვთ შესაძლებლობა, შემოგვიტიონ მთელ ფრონტზე და იძულებული არიან, მხოლოდ ცალკეულ მიმართულებებზე შემოგვიტიონ.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

კოლოსალური დანაკარგების გამო, რაც გერმანულმა არმიამ ომის პირველ თვეებში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განიცადა, ჰიტლერის მთავარ ბანაკში უაღრესად ნევროზული მდგომარეობაა; გამეფებულია გულგატეხილობა, დაუსრულებლად გაცხარებით კამათობენ მნიშვნელოვანი სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებისას.

ა. ლავროვი
1941 წლის 2 სექტემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ლენინგრადის ბლოკადის რკალი საბოლოოდ შეიკრა.

1941 წლის 8 სექტემბრიდან ლენინგრადთან დაკავშირება შეიძლება

მხოლოდ ლადოგის ტბით და ჰაერიდან.

ა. ჯუღა
1941 წლის 9 სექტემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ომის პირველსავე თვეებში ლენინგრადის მოსახლეობა სასტიკი შიმშილის პირობებში აღმოჩნდა. ომამდე ლენინგრადის ხელმძღვანელებმა ქალაქის სურსათის სტრატეგიულ მარაგს თავი მოუყარეს ბადაევის საწყობებში, მიწის ზედაპირზე, ნაცვლად იმისა, რომ მიწის ქვეშ შეენახათ. ომის დაწყების შემდეგ 1941 წლის 8 სექტემბერს გერმანულმა ავიაციამ და დივერსანტებმა დაწვეს ბადაევის საწყობები. ცეცხლმოკიდებული კარაქი და შაქარი მდინარედ მიედინებოდა ქალაქის ქუჩებში. შედეგად ლენინგრადში მცირე ოდენობით სურსათი დარჩა მხოლოდ მაღაზიებსა და რაისურსათვაჭრობის საწყობებში. ეს მარაგი ორ-სამ დღეს ეყოფა.

ა. ჯუღა
1941 წლის 9 სექტემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

(აბვერტურული პატაკების მიხედვით)

გერმანიის გენერალური შტაბის მონაცემებით, ე.წ. ელნინის შვერილზე ბრძოლაში მთლიანად განადგურდა ათზე მეტი გერმანული დივიზია, რამაც არსებითად გააძნელა გერმანელთა შეტევა მოსკოვზე.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ბერმანიის ბენშტაბის მონაცემების
(ბრძოლების მიმდინარეობის შესახებ მიღებული აბვერტურული პატაკების მიხედვით)

რუსეთის ჯარებმა, რომლებიც კოველის, ლუცკის, როვნოსა და ბროდის რაიონში გამართულ ბრძოლებში მონაწილეობდნენ, მძიმე დანაკარგები განიცადეს და მოცემულ მომენტში უკან იხევენ.

მძიმე დანაკარგების მიუხედავად, გენერალ კლაისტის პირველმა სატანკო ჯგუფმა 1941 წლის 21 სექტემბერს დაიპყრო ქ. კიევი და ხელთ იგდო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, ქ. კოროსტენი.

ვინიცის სამხრეთ თავმოყრილმა დაჯგუფებამ, რომელშიც მე-11 და მე-17 არმიები შედის, გაარღვია რუსული ფრონტი, შეუტია უმანსა და ვოსკრესენსკს და 1941 წლის აგვისტოში კიროვოგრადისა და ხერსონის რაიონში გავიდა.

ამან აიძულა რუსეთის სარდლობა, ალყაში მოქცევის და განადგურების საფრთხის გამო, მარჯვენა ნაპირის უკრაინიდან ჯარები დნეპრს იქით გადაეყვანა.

მეორე სატანკო ჯგუფმა მეორე არმიისა და „არმიების ჯგუფის ცენტრის“ ნაწილების მხარდაჭერით გადალახა დნეპრი და ძლიერად დაარტყა რუსების კიევის დაჯგუფებას. მხოლოდ ზოგიერთმა ნაწილმა, რომლებიც კიევს იცავდნენ, შეძლეს, თავი დაეღწიათ ალყისთვის. განადგურებას გადარჩენილი რუსული ნაწილები აზოვის ზღვისა და ყირიმისკენ უკან იხევენ. მოცემულ მომენტში რუსეთის უმთავრესი ამოცანაა ოდესის დაცვა, რაც დაკისრებული აქვს განცალკევებულ ზღვისპირეთის არმიასა და შავი ზღვის ფლოტს. მიუხედავად იმისა, რომ ოდესასთან ჩვენ *(გერმანელებმა. — შემდგენ.)* და რუმინელებმა ბრძოლებში დავკარგეთ 160 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, საბრძოლო ტექნიკის დიდძალი რაოდენობა, ქალაქის აღება ჯერ ვერ შევძელით.

ა. ლავროვი
1941 წლის 17 სექტემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანელების გენერალური შტაბის მონაცემებით, გერმანელთა ჯარების მოძრაობა მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის სამი სტრატეგიული მიმართულებით, რაც „ბარბაროსას“ გეგმით განსაზღვრული იყო, ჩაიშალა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჩაიფუშა მოსკოვზე შეტევის ვადები. ნაცვლად იმისა, რომ ბრძოლები მოსკოვის მისადგომებთან ეწარმოებინათ, ჰიტლერელები იძულებულნი იყვნენ, გააფთრებული ბრძოლები ეწარმოებინათ კიევისთვის, მინსკისთვის,

გომელისთვის, ბორისოვოსთვის, მოგილიოვისა და სმოლენსკისთვის.

გერმანელების მთავარი დაჯგუფების „ცენტრის“ სარდალმა, ფელდმარშალმა ფონ ბოკმა თავის დღიურში ჩაწერა: „ბრძოლა კიევისთვის. ბრწყინვალე წარმატებაა, მაგრამ რუსები როგორც იდგნენ, ისევე დგანან ჩემს წინ გაუტეხელნი და მე არ ვიცი, შევძლებთ კი მათ დამარცხებას“. ერთი თვით შეჩერდა მე-4 სატანკო ჯგუფის შეტევა, რომელიც ლუგიდან ლენინგრადისკენ გარღვევას ცდილობდა.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ბერიას მისამართით მიღებული შეტყობინებების მიხედვით, ომის დაწყებიდან (1941 წ.) 10 ოქტომბრამდე სსრკ შინსახკომის საგანგებო განყოფილებებმა და სსრკ შინსახკომის ზურგის დაცვის გადამღობმა რაზმებმა დააკავეს 657 364 სამხედრო მოსამსახურე, ვინც თავიანთ ნაწილებს ჩამორჩა და ფრონტიდან გაიქცა.

დაკავებულთაგან სსრკ შინსახკომის საგანგებო განყოფილებების მიერ დაპატიმრებულია 25 878 კაცი. დანარჩენი 632 486 კაცი გაერთიანდა სამხედრო ნაწილებად და კვლავ გაგზავნილია ფრონტზე.

სსრკ შინსახკომის საგანგებო განყოფილებების მიერ დაპატიმრებულთა შორის არიან:

ჯაშუში — 1 505 კაცი
დივერსანტი — 308 კაცი
მოღალატე — 2 621 კაცი
მშიშარა და პანიკიორი — 2 643 კაცი
დეზერტირი — 8 772 კაცი
პროვოკაციული ხმების გამავრცელებელი — 3 987 კაცი
თვითდამზიანებელი — 1 671 კაცი
სხვა — 4 371 კაცი
სულ — 25 878 კაცი.

სსრკ შინსახკომის საგანგებო განყოფილებების დადგენილებებითა და სამხედრო ტრიბუნალების განაჩენებით დაიხვრიტა 10 201 კაცი. მათ შორის: მწყობრის წინ დაიხვრიტა 3 321 კაცი.

ა. ჯულა
1941 წლის 14 ოქტომბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაბაკი

თანამშრომლებთან საუბარში, რომელიც მას 1942 წლის ოქტომბერში ჰქონდა, შელენბერგმა თქვა: „საწვავის მდგომარეობა გერმანიაში კრიტიკულია“

ა. ლავროვი
1941 წლის 14 ოქტომბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაბაკი

ბოკის შტაბის მონახულების შემდეგ, თავისი უახლოესი ადამიანების წრეში 1941 წლის 13 აგვისტოს ჰიტლერმა თქვა: „რუსი ხალხის ძლიერება მის რაოდენობაში ან ორგანიზებულობაში კი არ არის, არამედ მის უნარში, შვას სტალინის მასშტაბის პიროვნებები. თავისი პოლიტიკური და სამხედრო თვისებებით სტალინი ბევრად აღემატება ჩერჩილსა და რუზველტს. იგი ერთადერთი მსოფლიო პოლიტიკოსია, ვინც პატივისცემის ღირსია. სტალინის მოცილება თუ შევძლით, მათ ყველაფერი დაეშლებათ. ჩვენი ამოცანაა, რუსი ხალხი გავანადგუროთ ისე, რომ აღარ გაჩნდნენ სტალინის მასშტაბის ადამიანები“

1941 წლის ოქტომბერში შელენბერგთან საუბრის დროს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა, თავისი ფიურერის სიტყვები რომ გაიმეორა, თქვა: „მთელი რეჟიმი რუსეთში ემყარება ერთი კაცის უნარსა და ხელოვნებას. ეს ადამიანი სტალინია. ის რომ მოვიცილოთ, მათ ყველაფერი დაეშლებათ“

ა. ლავროვი
1941 წლის 30 ოქტომბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მოსკოვისთვის ბრძოლის წინა დღეს ჰიტლერის დირექტივაში ნათქვამია: „მოსალოდნელი მოვლენების მნიშვნელობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით არმიის ცუდი მომარაგების გამო, ვბრძანებ, უახლოეს დროში, რადაც უნდა

დაგვიჯდეს, გავუსწორდეთ დედაქალაქ მოსკოვს. მოწინააღმდეგის წინააღმდეგობამ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. მის განკარგულებაში არავითარი ახალი ძალა აღარ არის... იქ, სადაც დღეს მოსკოვი დგას, უდიდესი ზღვა შეიქმნება, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის თვალთაგან სამუდამოდ დაფარავს რუსი ხალხის დედაქალაქს“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეგყობინება

გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბიდან წყაროს შეტყობინებით, „ბარბაროსას“ გეგმით სმოლენსკის რაიონში მყოფ გერმანიის ჯარებს: მე-3 და მე-4 სატანკო დაჯგუფებებს გუდერიანისა და გოტის სარდლობით, მე-4 და მე-9 გერმანული არმიებს (რომლებიც „ცენტრის“ ჯგუფში შედის) გერმანელთა შეტევის პირველ კვირებსა და თვეებში ალყაში უნდა მოექციათ და მთლიანად გაენადგურებინათ წითელი არმიის დასავლეთისა და ბრიანსკის ფრონტების ნაწილები, რის შემდეგაც უნდა დაეწყოთ მძლავრი შეტევა მოსკოვზე. დაჯგუფება „ცენტრი“ გაძლიერებულია იმ გერმანული ნაწილებით, რომლებიც ჰიტლერმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ჩრდილოეთისა და სამხრეთის უბნებიდან მოხსნა. იმავდროულად დაიწყო შეტევა ლენინგრადზე. გერმანელების გენშტაბის გეგმით, დაჯგუფება „სამხრეთს“ დასახული აქვს ამოცანა, ხელთ იგდოს დონბასი, გროზნოსა და მაიკოპის ნავთობსარეწები, ხელთ იგდოს სტალინგრადი, ოდესა და ყირიმი.

ბრძოლების პირველ თვეებში მიყენებული უზარმაზარი დანაკარგების გამო გერმანელებს ამჟამად საშუალება არა აქვთ, შეუტიონ მთელ ფრონტზე. შეჩერებულია ლენინგრადზე შეტევა. მთელ თავიანთ ძალებს ჰიტლერელები ამჟამად მოსკოვის ასაღებად მიმართავენ. ჰიტლერი არწმუნებს დაახლოებულ პირებს, რომ, როგორც კი აიღებენ მოსკოვს, გერმანელები ომს გამარჯვებით დაამთავრებენ.

არსებული მონაცემებით, მოსკოვის ასაღებად ჰიტლერელებმა თავი მოუყარეს 80 დივიზიას, მათ შორის 23 სატანკო და მოტორიზებულია (ეს გერმანელთა იმ ჯარების თითქმის ნახევარია, რომელიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჰყავთ), 1 100 თვითმფრინავი,

რომლებიც მე-2 გერმანული საჰაერო ფლოტის შემადგენლობაშია, უახლესი კონსტრუქციის 750 ტანკი.

ა. ლავროვი

სტალინის რეზოლუცია: *„მოსკოვის დასაცავად გვყავს შემომტევი გერმანული ჯარების რაოდენობის ნახევარი“*

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

(აბვერტურული პატაკი
გერმანიის გენშტაბის მოწაცემების მიხედვით)

ჰიტლერული სარდლობის რეზერვის ათზე მეტი დივიზია მოსკოვისკენაა მიმართული. ვოლოკოლამსკი-კლინსკისკენ მიმართულია მე-3 სატანკო ჯგუფი. მე-2 სატანკო ჯგუფმა, რომელმაც მძიმე დანაკარგები განიცადა, ახალი ტანკები მიიღო. ახალი ტანკები მიიღეს მე-4 გერმანული არმიის საარმიო კორპუსებმაც.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აბვერტურული პატაკი

მოსკოვის მისადგომებთან გერმანელთა უპირატესობა (რაოდენობრივი) ტანკებში, ქვემეხებსა და ნაღმსატყორცნებში კვლავინდებურად რჩება. ასე, კალინინის მიმართულებით 30-ე არმიას აქვს 56 ტანკი და 210 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, ჰიტლერელების 300-მდე ტანკისა და 910 ქვემეხის წინააღმდეგ.

ისტრის მიმართულებით მე-16 არმიას აქვს 150 ტანკი და 707 ქვემეხი, ჰიტლერელთა 400 ტანკისა და 810 ქვემეხისა და ნაღმსატყორცნის წინააღმდეგ.

კაშირის მიმართულებით 50-ე არმიას აქვს 45 ტანკი და 315 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, ჰიტლერელთა 400-ზე მეტი ტანკისა და 810 ქვემეხისა და ნაღმსატყორცნის წინააღმდეგ.

1941 წლის 15 და 16 ნოემბერს ჰიტლერელები აპირებენ დაიწყონ გენერალური შეტევა მოსკოვზე. მთავარ დარტყმას განახორციელებენ იახრომისა და კრასნაია პოლიანას რაიონში. გერმანელთა მე-3 და მე-4 სატანკო ჯგუფებს დაკისრებული აქვთ ამოცანა, გავიდნენ მოსკოვის უახლოეს მისადგომებზე ქალაქის ხელში ჩასაგდებად. მე-

ტევაში მონაწილეობას მიიღებს გერმანელთა 51 დივიზია, მათ შორის, 21 სატანკო და მოტორიზებული.

ჰიტლერულმა საინფორმაციო ბიურომ მოვლენებს წინ გაუსწრო, როგორც ყოველთვის, სასურველი სინამდვილედ გაასაღა და განაცხადა: „სამხედრო ოპერაციები დასკვნით ფაზაში შევიდა. ლენინგრადისა და მოსკოვის დამხობა და სხვა ობიექტების აღება უფრო დროისა და მეტეოროლოგიური პირობების საკითხია, ვიდრე სამხედრო წინააღმდეგობის გადალახვისა“

ა. ლავროვი
1941 წლის 12 ნოემბერი

ცნობა

გენშტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალმა ვატუტინმა მიიღო უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება, სასწრაფოდ შეკრიბოს სტრატეგიული რეზერვები მოსკოვთან. ურალიდან, ციმბირიდან და ყაზახეთიდან მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლის წინ 39 დივიზია და 42 ბრიგადა ჩამოვიდა.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

(აგენტურული პატაკების მიხედვით)

მოსკოვზე შეტევის დროს დიდი დანაკარგების გამო, ჰიტლერმა ფელდმარშალ ფონ ბოკს უბრძანა, დროებით შეაჩეროს შეტევა მოსკოვზე და გადავიდეს თავდაცვაზე. გერმანელთა შეტევა მოსკოვზე მალე განახლდება.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

(აგენტურული პატაკების მიხედვით)

გერმანელთა გენშტაბის მონაცემებით, მოსკოვზე ე.წ. მე-2 გენერალური შეტევის დროს 1941 წლის 16 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე ჰიტლერელებს დაეხოცათ 55 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 100 ათასზე მეტი დაიჭრა და მოიყინა; დაკარგეს 777 ტანკი, 297 საარ-

ტილერიო ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 1 500-ზე მეტი თვითმფრინავი. დღეს შეიძლება ითქვას, რომ გერმანელების შეტევა მოსკოვზე ჩაიშალა.

ა. ლავროვი
1941 წლის 7 დეკემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

(აგენტურული პატაკების მიხედვით)

გერმანული მონაცემებით, მოსკოვთან ბრძოლის დროს ჰიტლერელებმა საერთოდ დაკარგეს 500 ათას კაცამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 1 300-ზე მეტი ტანკი, 2 500 საარტილერიო ქვემეხი, 15 ათასზე მეტი ავტომანქანა და სხვა ტექნიკა.

ა. ლავროვი
1941 წლის 16 დეკემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1941 წლის ნოემბერში ბერლინიდან მიღებული აგენტურული შეტყობინებების მიხედვით დასტურდება, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალები განიცდის სერიოზულ სიძნელეებს ნავთობით, ბენზინით, ტყვია-წამლით მომარაგების საქმეში, არსებული მარაგი თითქმის მთლიანად გამოელიათ.

გენერალ-ფელდმარშალმა ფონ ბოკმა, მოსკოვთან გერმანელების დამარცხების მიზეზებს რომ განმარტავდა, თავის დღიურში ჩაწერა: „საჭირო ბენზინის მხოლოდ ნახევარს ვიღებთ, სარკინიგზო ტრანსპორტის მოშლა, ტანკების ცვეთა, ორთქლმავლებისა და ავტოტრანსპორტის კარგად მუშაობა შეუძლებელია რუსული ზამთრის პირობებში“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პატაკი

მოსკოვთან დამარცხების შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკმა ჰოფნერმა 1941 წლის 24 დეკემბერს თავისი შტაბის თანამშრომლებთან სა-

უბრისას თქვა: „გერმანული იარაღის გასამარჯვებლად ფანატიკური ნებისყოფა სულაც არ არის საკმარისი. ნებისყოფა არის, აი, ძალა კი არა გვაქვს“ მანამდე ჰოფნერი საბჭოთა კავშირს მოიხსენიებდა როგორც თიხისფეხებიან კოლოსს. ამბობდა, რომ საკმარისია, ხელი ჰკრა და დაინგრევა. ჰიტლერმა დაკავებული თანამდებობებიდან მოხსნა ჰოფნერი და გუდერიანი, ფელდმარშალი ფონ ბოკი ავადმყოფობის მოტივით სამსახურიდან დაითხოვა.

ა. ლავროვი
1941 წლის 26 დეკემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მოსკოვთან დამარცხების შემდეგ ჰიტლერმა 1941 წლის 19 დეკემბერს გერმანიის სახმელეთო შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტიდან გაათავისუფლა გენერალი ბრაუხიჩი და ამ პოსტზე საკუთარი თავი დანიშნა. გენერალი იოდლი ამტკიცებს, რომ ჰიტლერი დიდი სამხედრო ნიჭითაა დაჯილდოებული.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

საბჭოთა სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობის შესახებ

1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე სარკინიგზო ტრანსპორტით ფრონტზე ჩავიდა 291 დივიზია, 94 ბრიგადა და სამარშო შევსების ორ მილიონზე მეტი ადამიანი.

ამავე დროში იმ რაიონებიდან, რომლებსაც გერმანული ოკუპაცია ემუქრებოდა, აღმოსავლეთში ევაკუირებულია 2 593 საწარმო, მათ შორის, 1 560 თავდაცვითი, ევაკუირებულია 18 მილიონზე მეტი ადამიანი.

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

1941 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში ჩვენს დასავლეთ ფრონტზე დამატებით გაიგზავნა 100 ათასზე მეტი მებრძოლი, 300 ახალი ტანკი და ორი ათასი საარტილერიო ქვემეხი. 1941 წლის 10 ნოემ-

ბერს დასავლეთის ფრონტს ბრიანსკის ფრონტიდან გადაეცა 50-ე არმია, 1941 წლის 17 ნოემბერს — კალინინგრადის ფრონტიდან 30-ე არმია. როგორც მოსკოვიდან ყურადღების გადასატანი მანევრი, დაიწყო შეტევა სამხრეთის, ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტებზე. ამჟამად დასავლეთის ფრონტს უფრო მეტი დივიზია აქვს, ვიდრე გერმანელებს, ჩვენი ავიაცია რაოდენობრივად 1,5-ჯერ აჭარბებს გერმანელებისას.

ჰიტლერული ძალების მოსკოვთან განადგურებამდე ცოტა ხნით ადრე, ამბ. სტალინის ბრძანებით, საბჭოთა არმიამ მტერს მძლავრი დარტყმა მიაყენა დონის როსტოვის მისადგომებთან და ტიხვინთან. საბჭოთა ჯარებმა შეუტიეს ფართო ფრონტით კალინინგრადიდან კასტორნაიამდე და ზოგიერთ ადგილზე დასავლეთით 400 კილომეტრით წაიწიეს.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამბ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეგყობინება

გენერალმა გუდერიანმა, რომლის ნაწილები (გერმანიის საუკეთესო ნაწილები), ფაქტობრივად, მნიშვნელოვანწილად განადგურდა ომის პირველ კვირებში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, თავის დღიურში ომის პირველი დღეების შესახებ ჩაწერა შემდეგი: „ჯერ კიდევ ფრიდრიხ დიდმა თავის რუს მოწინააღმდეგეებზე თქვა, რომ ისინი ორჯერ უნდა დახვრიტო, შემდეგ კიდევ ჰკრა ხელი, რომ, ბოლოს და ბოლოს, წააქციო“ 1941 წელს ჩვენ იძულებული ვიყავით, დავრწმუნებულიყავით იმავეში. ეს ჯარისკაცები მედგრად იცავდნენ პოზიციებს, რომლებზეც დაეყენებინათ. და ისინი ან უნდა მოგვეკლა, ან დაგვეტყვევებინა ხელჩართული ბრძოლის შედეგად, მაგრამ ტყვედ ისინი იშვიათად გვბარდებოდნენ“

გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალმა ბლიუმენტრიტმა შტაბის თანამშრომლებთან საუბრისას აღნიშნა: „რუსეთზე შეტევის პირველ დღეებში დავრწმუნდით, რომ საქმე გვქონდა სრულიად ახალ ჯარისკაცთან, რომელიც ბრძოლაში წარმოუდგენლად მედგარია“

ა. ლავროვი

ნაწილი 2
ძნელი გზა გამარჯვებამდე

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

აბვერის მონაცემებით, ჩვენი სამხედრო ობიექტები, რომლებიც ურალზეა, გერმანელებისთვის მიუწვდომელია.

ა. ლავროვი
1942 წლის 10 იანვარი

სტალინის რეზოლუცია: *„ამხ. ლავროვ, თავს ნუ მოიტყუებთ, თორემ თავბრუ დაგეხვევათ წარმატებებისგან. უმჯობესია, ჯუღასთან ერთად მოიფიქროთ, როგორ გააუმჯობესოთ მათი დაცვა“*

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ჩეხოსლოვაკიაში სასიკვდილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა გერმანიის იმპერიული უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსი ჰაიდრიხი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მსოფლიო იმპერიალისტურ წრეებთან, მათ შორის, ნიუ-იორკის ანტისაბჭოთა როკფელერის ცენტრთან.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

შელენბერგთან საუბრისას გერმანული დაზვერვის თანამშრომელმა ვინმე იანკემ ჰაიდრიხის შესახებ თქვა: „მას უფრო მეტი ჭკუა ჰქონდა, ვიდრე ყველა ჩვენს ლიდერს ერთად აღებულს. ამიერიდან ჩვენი კონტრდაზვერვა ორივე ფეხით დაკოჭლდება“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაბაკი

უშიშროების ჰიტლერული პოლიციის ესესის ხელმძღვანელთან ბალტიისპირეთში, ესესის ობერგრუპენფიურერ კელნთან საუბრისას

ესესის რაიხსფიურერმა ჰიმლერმა 1942 წლის ივნისში თქვა: „თქვენ უნდა მოამზადოთ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოსახლეობის ფიზიკური მოსპობა. ეს უნტენმენშენები (არაადამიანები) — ლიტველები, ლატვიელები და ესტონელები გერმანელებს არ სჭირდებათ. ტერიტორიას, რომელზეც ისინი ამჟამად ცხოვრობენ, გერმანელი კოლონისტები დაიკავებენ“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

(აბვერტურული პატაკი)

წარმატებით განხორციელებული დეზინფორმაციის შედეგად, გერმანელთა სარდლობას მიაჩნია, რომ 1942 წელს წითელი არმია მთავარ დარტყმას განახორციელებს ჩრდილოეთ კავკასიაში და რჟევთან.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აბვერტული პატაკი

1942 წლის 1 ივლისს პოლტავის რაიონში საარმიო დაჯგუფება „სამხრეთის“ სარდლებთან გამართული თათბირის დროს ჰიტლერმა განაცხადა, რომ თუ მაიკოპისა და გროზნოს ნავთობს არ მიიღებს, იგი იძულებული იქნება, ბოლო მოუღოს ამ ომს.

გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა გალდერმა ომის დღიურში ჩაწერა: „1941 წლის 19 ნოემბერს ჰიტლერმა 1942 წლის მთავარი ამოცანა დასახა ასე: „მომავალი წლის ამოცანაა — უპირველეს ყოვლისა კავკასია“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

1942 წლის 5 აპრილის №41 დირექტივაში, რომელსაც ჰიტლერმა მოაწერა ხელი, ნათქვამია: უპირველესად საჭიროა გავაერთიანოთ ყველა არსებული ძალა სამხრეთ უბანზე მთავარი ოპერაციის განსა-

ხორციელებლად დონის დასავლეთით მოწინააღმდეგის განადგურების მიზნით, რათა შემდგომ ხელთ ვიგდოთ ნავთობის რაიონები კავკასიაში და გადავლახოთ კავკასიონის ქედი. 1942 წლის 1 ივლისს პოლტავის რაიონში საარმიო დაჯგუფება „სამხრეთის“ სარდლებთან გამართულ თათბირზე ჰიტლერმა კვლავ განაცხადა, რომ თუ არ მიიღებს მაიკოპისა და გროზნოს ნავთობს, იძულებული იქნება, ბოლო მოუღოს ამ ომს.

ა. ლავროვი

გახსნა შეუძლია მხოლოდ ადრესატს.

სრულიად საიდუმლოდ
ა.მ. ლავროვს. პირადად

მანჯურიაში იაპონელები ატარებენ თათბირებს თეთრგვარდიელ ლიდერებთან (სემიონოვი, კისელევი, როძიევსკი, უხტომსკი), სადაც ამტკიცებენ, რომ იაპონია დაიწყებს ომს სსრკ-ის წინააღმდეგ, როგორც კი ჰიტლერის ჯარები აიღებენ მოსკოვს. მანჯურიაში განუწყვეტლივ ჩადიან იაპონური ჯარები. დაიწყო დაირან-ხარბინის ავტოსტრადის მშენებლობა. არემონტებენ შარაგზებსა და გრუნტის გზებს, რომლებიც საბჭოთა საზღვრებისკენ მიდის. იაპონელებმა ბევრი თავიანთი ნაწილი უკვე გაიყვანეს უშუალოდ საბჭოთა საზღვართან. ზღვისპირეთის მიმართულებით საბრძოლო წესით განლაგდნენ.

დღეისთვის მანჯურიასა და კორეაში საბჭოთა საზღვართან უშუალო სიახლოვეს 32 იაპონური დივიზიაა განლაგებული.

მანჯურიაში დისლოცირებულია პირველად ჩამოყალიბებული პირველი იაპონური სატანკო არმია, სამი სატანკო დივიზიის შემადგენლობით, რომელსაც სარდლობს გენერალ-ლეიტენანტი კოსიდო. განსაკუთრებით საშიშია კვანტუნის არმია — იაპონიის საუკეთესო დამრტყმელი ძალა. მის რიგებშია მილიონ ასი ათასამდე კაცი, მთელი იაპონური არმიის დაახლოებით 35 პროცენტი, მისი სამხედრო საჰაერო ძალების თითქმის ნახევარი, იაპონიის ტანკების ორი მესამედი. კვანტუნის არმიის შტაბი სინძიანშია, სახელმწიფო მანჯოუ გოს დედაქალაქში.

1942 წლის აგვისტოს მეორე ნახევრიდან კვანტუნის არმიაში აკრძალეს სამხედრო მოსამსახურეთა შვებულებები. იაპონელი გენერლებისა და ოფიცრების მნიშვნელოვანი ნაწილი სტაჟირებას გერმანიის ჯარებში გადის.

გენერალ-ლეიტენანტი დერევიანკო
1942 წლის 30 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

ჰიტლერული დაზვერვა ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში მყოფ რუსულ ემიგრაციასა და კომუნისტურ იატაკქვეშეთში აქტიურად ნერგავს გესტაპოს აგენტურას.

ა. ლავროვი
1942 წლის 23 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ფრონტების სარდლების წინაშე
ამხ. სტალინის ბამოსვლის სტენოგრამიდან

სტალინი: „1942 წლის ოქტომბერში ცხადი გახდა, რომ გერმანელთა სარდლობა იძულებული იქნებოდა გადასულიყო სტრატეგიულ თავდაცვაზე მთელ აღმოსავლეთ ფრონტზე. ჰიტლერელთა ჯარებმა კოლოსალური დანაკარგები განიცადეს და ამ დროისთვის საბოლოოდ დაკარგეს შეტევის შესაძლებლობა. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის ყველა გეგმის საბოლოო ჩაფუშვას. რაც შეიძლება უკეთ უნდა გამოვიყენოთ ჰიტლერელთა სუსტი ადგილები:

1. ჯარების ზომაზე მეტი გაჭიმვა შავი ზღვიდან კავკასიონზე, სტალინგრადისა და დონის გავლით ბარენცის ზღვამდე.

2. თავისუფალი სტრატეგიული რეზერვების უქონლობა ფრონტზე და ქვეყნის ზურგში.

3. მძიმე მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც გერმანელთა ჯარების დანაკარგებითაა გამოწვეული“.

დედანთან სწორია: ა. ჯუღა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეგყობინება

ოკუპირებული აღმოსავლეთ ტერიტორიების საქმეთა ჰიტლერული სამინისტროს დირექტივაში ნათქვამია: „საქმე ის არის, რუსების, როგორც ხალხის განადგურების შემდეგ, განვაცალკევოთ ისინი... ჩვენთვის, გერმანელებისთვის, მნიშვნელოვანია, იმდენად დავასუსტოთ

რუსი ხალხი, რომ მან ხელი ვერაფრით შეუშალოს ევროპაში გერმანელების ბატონობის დამყარებას“

ა. ლავროვი
1942 წლის 8 დეკემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პატაკი

1942 წელს თანამშრომლებთან საუბრისას შელენბერგმა თქვა: „დაზვერვის მასალები აშკარად არასაკმარისია. ამასთან, არ შეიძლება, არ ვაღიაროთ, რომ აგენტურულ პატაკებში მცდარ დასკვნებს აკეთებენ არა მხოლოდ პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ რუსეთში, არამედ მისი სამხედრო მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. ამავე დროს გვიპირისპირდება ხოლმე რუსული კონტრდაზვერვის კარგად დამუშავებული და დაუნდობელი ღონისძიებები“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პატაკი

თანამშრომლებთან საუბრისას შელენბერგმა თქვა: „რუსებმა ჩვენზე გაცილებით ადრე გაიგეს, რას ნიშნავს დაზვერვის ეფექტურობა. ჩვენმა სპეციალისტებმა აღიარეს მათი მეთოდების გააზრებული ორგანიზებულობა და მრავალფეროვნება. ჩვენთან კი დაზვერვას აშკარად ვერ აფასებენ“.

ა. ლავროვი

სტალინის რეზოლუცია: *„ამხ. ლავროვ! არაა საჭირო, დამარწმუნოთ ჩვენი დაზვერვის ეფექტურ მუშაობაში. ამგვარად ნუ შეარჩევთ დოკუმენტებს. უკეთესია, იფიქროთ, როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი სადაზვერვო მუშაობა“*

ი. სტალინი
1943 წლის 18 ივლისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეციფიკაცია

(აგენტურული პატაკების მიხედვით)

ლონდონიდან მიღებული ცნობებით, ინგლისური დაზვერვისთვის ცნობილი გახდა, რომ ჰიტლერული სარდლობა ამზადებს გენერა-

ლურ შეტევას კურსკ-ბელგოროდის რკალის რაიონში *(ოპერაცია „ციტადელი“. — შემდგენ.)*. ინგლისელებს თითქოს აქვთ მონაცემები გერმანელთა მოსალოდნელი შეტევის არა მხოლოდ ვადების შესახებ, არამედ გერმანელთა ჯარების რაოდენობის შესახებაც, რომელთა გამოყენებასაც აპირებენ ამ ბრძოლაში. ამრიგად, გერმანელების ახალი შეტევა იქნება არა ველიკიე ლუკის რაიონში, რასაც ადრე ვვარაუდობდით, არამედ კურსკის რაიონში, იქ, სადაც ადრე არ ველოდით.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

დეზინფორმაციული ოპერაციის შედეგად, რომელიც გერმანელებმა განახორციელეს, საბჭოთა სარდლობა მთავარ დარტყმას ელოდება ველიკიე ლუკიზე, მაშინ, როცა სინამდვილეში ჰიტლერელები შემოგვიტევენ კურსკ-ბელგოროდის რკალზე. ამ ცნობებს ადასტურებს სსრკ შინსახკომის მე-4 სამმართველოც.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ცნობა

გულმოდგინე მზადებამ გერმანელთა ჯარების შეტევის წინ კურსკ-ბელგოროდის რკალზე, შეგვაძლებინა, ჩაგვეშალა გერმანელების 1943 წლის ზაფხულის შეტევა, გაგვნადგურებინა ისინი კურსკ-ბელგოროდის რკალის ბრძოლაში, დაგვეყენებინა გერმანია (ამხ. სტალინის განსაზღვრით) კატასტროფის პირზე.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

1943 წლის ნოემბერში ჰიტლერთან ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაახლოებული გერმანელი გენერალი იოდლი მიუნჰენში გამართულ ერთ-ერთ თათბირზე, სადაც გააანალიზეს ჰიტლერული ჯარების დამარცხების მიზეზები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, ამბობ-

და: „ჩვენთვის გადამწყვეტი ფაქტორი იყო ის, რომ რუსეთის ტერიტორიის შეუსწავლელ სივრცეებში შეტევის დროს აღმოვაჩინეთ, რომ მოწინააღმდეგის განკარგულებაშია სამხედრო მრეწველობის ისეთი ტექნიკური დონე, რომელმაც გვაიძულა, გვეწარმოებინა ტოტალური ომი და გაგვეზარდა ძალისხმევა სამხედრო მრეწველობაში“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

(აგენტურული პატაკი)

მიღებულია შეტყობინება, რომ ჰიტლერმა დროებით უარი თქვა „ზღვის ლომის“ გეგმის განხორციელებაზე — ინგლისის კუნძულებზე შეჭრაზე სსრკ-ზე გამარჯვებამდე.

ა. ლავროვი

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *„ეს გასაკვირი არ არის. დანახარჯი დიდია, ხოლო ასეთი კამპანიის შედეგი — აშკარად უმნიშვნელო. ბრიტანეთის კუნძულებზე არ არის არც ნავთობი, არც მარცვლეული, რომელიც ობიექტურად სჭირდება გერმანიას მსოფლიო ბატონობისთვის ბრძოლაში, თანაც გერმანიის ფლოტი ლა-მანშის ფორსირებისთვის აშკარად მოისუსტებს“.*

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანიის იმპერიული უშიშროების მეექვსე მთავარი სამმართველოს (ესესის სადაზვერვო სამსახური) უფროსმა შელენბერგმა თავის დღიურში ჩაწერა:

„დღეს ფიურერი იმდენად იყო შეწუხებული მოხსენებით (საბჭოთა დაზვერვის საქმიანობის შესახებ) და იქ აღნიშნული მონაცემებით, რომ არ მოისურვა არავისთან საუბარი და ამ მიზეზის გამო ამ საღამოს მასთან არ გამოვუძახებივართ არც მე, არც კანარისი. გაირკვა, რომ თანამშრომლებს შორის, ვისაც პასუხსაგები თანამდებობები უკავიათ, საბჭოთა დაზვერვის ბევრი აგენტია. ჰიტლერი მიიჩნევს, რომ საბჭოთა საიდუმლო სამსახური უკეთაა ორგანიზებული, ვიდრე გერმა-

ნული, ინგლისური და ამერიკული. ასობით ადამიანი დაპატიმრებული და გასამართლებულია.

კონტრდაზვერვითი ოპერაციის დროს, რომელსაც მიენიჭა სახელწოდება „წითელი კაპელა“, აღმოჩენილი და ლიკვიდირებულია მსხვილი რუსული ჯაშუშური ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად მოქმედებდა როგორც თვით გერმანიაში, ასევე, ოკუპირებულ ქვეყნებში. თუმცა, როგორც ჩანს, რუსეთის ბევრი აგენტი გადარჩა“

ა. ლავროვი
1943 წლის 11 ნოემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

თურქეთი აპირებს 1944 წლის აპრილში გაწყვიტოს ურთიერთობა გერმანიასთან და მოკავშირეთა ბანაკში გადავიდეს.

ა. ლავროვი
1944 წლის 12 მარტი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

შეტყობინება ინტრიგების შესახებ, რომლებიც გერმანიის უმაღლეს დონეებზე მიმდინარეობს.

მიულერი და კალტენბრუნერი აკეთებენ ყველაფერს, რაც მათზეა დამოკიდებული, რათა ჰიმლერს შელენბერგი ინგლისის აგენტად წარუდგინონ. ამისთვის გამოიყენეს ადვოკატ ლანგბენის დამოწმება, რომელიც მჭიდროდ იყო შელენბერგთან დაკავშირებული. გესტაპომ შეძლო მოესმინა კანარისისა და შელენბერგის საუბარი, როცა კანარისმა თქვა: „იყავით უაღრესად ფრთხილად, ჩემთვის დიდი ხანია ცნობილია, რომ მიულერი და კალტენბრუნერი თქვენზე ნადირობენ“

ა. ლავროვი
1944 წლის 12 აპრილი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ჰიმლერი მუშაობს სპეციალურ მატარებელში, რომელიც ბერჰტს-

გადენის მახლობლად, გრანიტის კლდეში ჰიტლერის ბომბსაფარის გვერდით დგას.

ა. ლავროვი
1944 წლის 10 ივნისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეჯუმბინება

გერმანიაში ჰიტლერზე თავდასხმა მზადდება. მისი თავიდან მოცილების შემდეგ შეთქმულები აპირებენ შექმნან მთავრობა გერმანიის ყოფილი კანცლერის ფონ პაპენის მეთაურობით, რომელსაც ამჟამად თურქეთში გერმანიის ელჩის თანამდებობა უკავია. შეთქმულთა აზრით, ეს გზას გაუხსნის გერმანიის ახალ მთავრობას პაპენის მეთაურობით, რათა მან დადოს სეპარატული სამშვიდობო ხელშეკრულება აშშ-სა და ინგლისთან. ჩვენთვის ეს მომგებიანი არ არის. მიზანშეწონილია პაპენის მოცილება. გთხოვთ თქვენს სანქციას.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ცნობა

პაპენის ლიკვიდაცია დავალებული ჰქონდა წითელი არმიის გენშტაბთან არსებულ დაზვერვის მთავარ სამმართველოს, რომელმაც ამ ამოცანას თავი ვერ გაართვა.

სამმართველოს მზვერავებმა (პავლოვმა და კორნილოვმა) პაპენს ბომბი ესროლეს, მაგრამ იგი გადარჩა, მხოლოდ კონტუზირებულ იქნა. სერიოზულად გართულდა ურთიერთობა თურქეთთან. ამჟამად გერმანიაში ჩვენი აგენტურის მეშვეობით ხორციელდება ღონისძიებები ჰიტლერზე თავდასხმის ასაცილებლად. მისი ლიკვიდაცია მოცემულ მომენტში ჩვენთვის არახელსაყრელია არა მხოლოდ გერმანიას, აშშ-სა და ინგლისს შორის სეპარატული მშვიდობის დამყარების საშიშროების გამო, არამედ იმიტომაც, რომ სამხედრო თვალსაზრისით, ჰიტლერის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის არაკომპეტენტური ქმედება კოლოსალურად აზარალებს გერმანულ არმიას.

ა. ლავროვი

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *„ჰიტლერზე თავდასხმის აცილება საჭირო არ არის. რუზველტი სეპარატულ მშვიდობას მხარს არ დაუ-*

ჰერს, უჩვენოდ იგი ვერ დაამარცხებს იაპონიის კვანტუნის არმიას — აშშ-ის ამ უშუალო სასიკვდილო მუქარას“

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანიის ყოფილი ელჩი სსრკ-ში შულენბურგი 1944 წელს დახვრიტეს ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებასა და მასზე თავდასხმაში მონაწილეობისთვის *(1944 წლის 20 ივლისს ჰიტლერის მთავარბანაკ „მგლის ბუნაგში“ სამხედრო თათბირის დროს რასტენბურგის მახლობლად, აღმოსავლეთ პრუსიაში. — შემდგენ.)*.

ა. ლავროვი
1944 წლის 1 სექტემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ვალენბერგების საბანკო სახლს დიდი გავლენა აქვს ფინეთის მთავრობაზე. ფინეთში ამ ბანკის ფინანსური ინტერესები ომიდან გამოსვლას, გერმანიასთან კავშირის გაწყვეტას და სსრკ-სთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას უკარნახებს. ამასთან დაკავშირებით, აქტიურად ვეძებთ ვალენბერგებთან დაახლოების გზებს, მით უფრო, რომ ფინეთის სამხედრო ძალები ხედავენ გერმანიის კატასტროფის გარდუვალობას და ომიდან გამოსვლის წინააღმდეგი არ არიან.

ა. ლავროვი

ცნობა

1944 წლის 4 ოქტომბერს ფინეთთან დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება. ფინეთი ომიდან გამოვიდა.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1944 წლის აგვისტოში დააპატიმრეს „აბვერის“ უფროსი, ადმირალი კანარისი. საინტერესო და საკვირველია, რომ 1944 წლის 20 ივ-

ლისს ჰიტლერზე თავდასხმის გამოძიება ჰიტლერმა დაავალა გესტაპოს უფროსს მიულერს და იმპერიული უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს უფროსს კალტენბრუნერს, რომლებსაც პირველ რიგში პასუხი უნდა ეგოთ იმის გამო, რომ ვერ შეძლეს ჰიტლერზე თავდასხმის აცილება.

ა. ლავროვი
1945 წლის მარტი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲙᲘ

ჰიტლერს აშკარად ეტყობა პარკინსონის ავადმყოფობის ნიშნები. ამასთან დაკავშირებით ჰიმლერმა შელენბერგთან საუბრისას 1945 წლის 12 თებერვალს თქვა: „ყველაფრიდან ჩანს, რომ ფიურერი უახლოეს დროში საბოლოოდ გამოვა მწყობრიდან“

ა. ლავროვი
1945 წლის 11 აპრილი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲙᲘ

1945 წლის აპრილში იმპერიული კანცელარიის ბაღში მდებარე ჰიტლერის ბუნკერში მასთან ერთად იმყოფებიან: გებელსი ოჯახით; ევა ბრაუნი; გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, გენერალი კრებსი; პარტიაში ჰიტლერის მოადგილე მარტინ ბორმანი; რიბენტროპის წარმომადგენელი, დესპანი ჰეველი; ჰიტლერის მთავარი ადიუტანტი, გენერალი ბურდორფი; სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ფონ ბელოფი; სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენელი, ვიცე-ადმირალი ფოსი; გესტაპოს უფროსი მიულერი; გენშტაბის სამი ოფიცერი; მომსახურე პერსონალი; ტექნიკური პერსონალი და ჰიტლერის პირადი დაცვა. აპრილის ბოლოს ჰიტლერის ბუნკერს ესტუმრნენ რიბენტროპი, გერინგი და ჰიმლერი.

ა. ლავროვი
1945 წლის 28 აპრილი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

1945 წლის 1 მაისის ღამეს ჰიტლერის ბუნკერში მყოფნი შეეცადნენ გაერღვიათ ალყა და გამოსულიყვნენ ბუნკერიდან. მცდელობა ჩაეშალათ.

ა. ლავროვი
1945 წლის 2 მაისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1945 წლის 2 მაისს ადმირალმა დენიცმა მონტგომერის *(არმიათა 21-ე ჯგუფის სარდალი, ფელდმარშალი სერ ბერნარდ მონტგომერი. — **შემდგენ.**)* შტაბში გაუგზავნა პარლამენტიორები გენერალ-ადმირალ ფრიდენბურგის მეთაურობით გერმანიის ფრონტის კაპიტულაციის შესახებ წინადადებით.

კაპიტულაცია მიღებულ იქნა და მონტგომერიმ უბრძანა, 1945 წლის 4 მაისიდან შეეწყვიტათ გერმანული ბაზებისა და გემების დაბომბვა.

1945 წლის 5 მაისს ადმირალმა დენიცმა უბრძანა, შეეწყვიტათ საომარი მოქმედება ინგლისელებისა და ამერიკელების წინააღმდეგ, ამასთან, 1945 წლის 7 მაისს უბრძანა ყველა გერმანულ ხომალდს, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ბალტიის ზღვის ნავსადგურები და ბაზები, რომლებიც შეიძლება ხელთ ეგდოთ საბჭოთა ჯარებს.

ა. ლავროვი
1945 წლის 7 მაისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

თავის მოკვლის წინ ჰიტლერმა თქვა: „მე მივხვდი, როგორი გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი, როცა თავს დავესხი საბჭოთა კავშირს“

ჰიტლერის პირადი დაცვის უფროსის რატენჰუბერის მოწმობით, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ჰიტლერმა თქვა: „წითელი არმია ბერლინშია. ამის გაკეთება შეეძლო მხოლოდ გიგანტ სტალინს“

ა. ლავროვი

ნაწილი 3
პარტიზანული და დივერსიული ომი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ერთ-ერთ თათბირზე ჰიტლერმა თქვა: „ჩვენ ვალდებული ვართ, ამოვწყვიტოთ მოსახლეობა (ლაპარაკია სსრკ-ის ოკუპირებულ რაიონებზე) — ეს შედის გერმანული მოსახლეობის დაცვის ჩვენს მისიაში. ჩვენ მოგვიწევს განვავითაროთ მოსახლეობის ამოწყვეტის ტექნიკა. მე მაქვს უფლება გავფლიტო უმდაბლესი რასის ადამიანები, რომლებიც ჭიებივით მრავლდებიან". გერმანიაში გამოფენილია ტრანსპარანტები: „რუსები უნდა მოკვდნენ, რათა ჩვენ, გერმანელებმა ვიცოცხლოთ!"

ა. ლავროვი
1941 წლის 12 დეკემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

ჩეჩნეთის მოსახლეობა საბჭოთა კავშირისადმი მტრულადაა განწყობილი: არ ეხმარება ჩვენს მედესანტე-ალპინისტებს; სიხარულით ხვდება გერმანელთა ემისრებს. საშიშროება ემუქრება ჩვენს ნავთობსარეწებს. პროფილაქტიკის მიზნით მიზანშეწონილია გადავასახლოთ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა (ჩეჩნები, ინგუშები და ყარაჩაელები) ქვეყნის სხვა რაიონებში. ყველაზე უფრო შესაფერისი ადგილი ყაზახეთი და უზბეკეთია.

ა. ჩუღა

საიდუმლოდ

ჩრდილოეთ კავკასიიდან სპეცგასახლებულთა შესახებ

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების შესრულების მიზნით 1944 წლის თებერვალსა და მარტში ყაზახეთისა და ყირგიზეთის სსრ-ებში მუდმივ საცხოვრებლად გადაადგილებულია ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები 602 193 ადამიანი. მათ შორის: ჩეჩნები და ინგუშები — 496 460 კაცი, ყარაჩაელები — 68 327 კაცი, ბალყარელები — 37 406 კაცი.

სპეცჩასახლებულთა ძირითადი მასა გასახლებულია ყაზახეთის სსრ ტერიტორიაზე (477 809 კაცი).

ა. ჯულა

საიდუმლოდ

კავკასიის ხალხთა ბადასახლების შესახებ

დაევალოს სოფლბანკს (ამხ. კრავცოვი), გასცეს სპეცგადასახლებულთათვის, რომლებიც მიემართებიან უზბეკეთის სსრ-ში განსასახლებლად, სახლების აშენებისა და მეურნეობის მოსაწყობად სესხი 5 000 მანეთამდე თითოეულ ოჯახზე 7 წლამდე განვადებით.

სსრკ შინსახკომს მ.წ. მარტში სსრკ სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდიდან სპეცღონისძიებების ჩასატარებლად მიეცეს 30 მილიონი მანეთი.

ნორმები სპეცჩასახლებულებისთვის:

— პური — 500 გრ დღეში;

— ხორცი-თევზი — 70 გრ;

— ბურღული — 60 გრ;

— ცხიმეული — 10 გრ.

ერთ ადამიანზე თვეში: ფქვილი — 8 კგ, ბოსტნეული — 8 კგ და ბურღული — 2 კგ.

ა. ჯულა

საიდუმლოდ

ცნობა

პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება, რომლითაც ყაზახეთის კპ (ბ) ცკ-ს ნება დაერთო, ვოლგისპირეთიდან გადმოსახლებული გერმანელები *(რომლებიც სპეცჩასახლების მიზნით გადასახლებულნი იყვნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების შესაბამისად. — **შემდგენ.**)* ჩაასახლონ არსებულ კოლმეურნეობებში არა მთლიან კოლმეურნეობებად, არამედ 10 და მეტ სამეურნეო ჯგუფებად.

ა. ჯულა

1941 წლის 25 სექტემბერი

ცნობა

თათარი ეროვნების პირთა გარდა ყირიმში გერმანელების მიერ მისი ოკუპაციის დროს ცხოვრობდა: 12 075 ბულგარელი, 14 300 ბერძენი და 9 919 სომეხი.

ბულგარელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აქტიურად მონაწილეობდა გერმანული არმიისთვის გერმანელი ოკუპანტების მიერ

ორგანიზებულ პურისა და სურსათის დამზადების კამპანიაში, ეხმარებოდა გერმანულ სამხედრო ხელისუფლებას საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეებისა და საბჭოთა პარტიზანების გამოვლენასა და დაპატიმრებაში. გერმანელი ოკუპანტებისთვის გაწეული დახმარებისთვის ბულგარელებმა გერმანელთა სარდლობისგან მიიღეს ე.წ. „დამცავი მოწმობები“, რომლებშიც მითითებული იყო, რომ მავანი ბულგარელის პიროვნებას და ქონებას იცავს გერმანული ხელისუფლება და მათი ხელყოფა სიკვდილით ისჯება.

ყირიმში მცხოვრები ბერძნები — ვაჭრები და წვრილი მეწარმენი — ოკუპაციის დროს აქტიურად ეხმარებოდნენ ოკუპანტებს. არანაკლებ აქტიურად ეხმარებოდნენ გერმანელ ოკუპანტებს ყირიმში მცხოვრები სომხებიც.

გერმანელების მიერ შექმნილ დაზვერვის ორგანიზაცია „დრომსდარს“ ოკუპაციის დროს ხელმძღვანელობდა დაშნაკთა გენერალი დრო.

ოკუპანტების მიერ ჩამოყალიბებული ე.წ. სომეხთა ეროვნული კომიტეტი აქტიურად ეხმარებოდა ჰიტლერელებს. ბერლინიდან და სტამბოლიდან ჩასული ანტისაბჭოთა ემიგრანტების აქტიური მონაწილეობით პროპაგანდას უწევდა „დამოუკიდებელ სომხეთს“, მატერიალურად ეხმარებოდა ოკუპანტებს გერმანიისთვის საჭირო საბრების შეგროვებაში. ჩამოყალიბდა ე.წ. „სომხური ლეგიონი“, რომელსაც აფინანსებდნენ ყირიმის სომხური სათვისტომოები.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების შესაბამისად ანტისაბჭოთა, მოღალატური საქმიანობისთვის ყირიმიდან გასახლებულია:

ბულგარელი — 12 422 კაცი,
ბერძენი — 15 040 კაცი,
სომეხი — 9 621 კაცი,
გერმანელი — 1 119 კაცი,
უცხოეთის ქვეშევრდომი — 3 652 კაცი.

ყირიმელი თათრები, როგორც სპეცჩასახლებულები, განსახლდნენ უზბეკეთის სსრ-ში — 151 604 კაცი, რსფსრ ოლქებში, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 21 მაისის დადგენილების შესაბამისად, — 31 551 კაცი.

ბულგარელები, ბერძნები, სომხები და გერმანელები 38 202 კაცის რაოდენობით ჩასახლებულები არიან ბაშკირეთის ასსრ-ში, მარის ასსრ-ში, კემეროვოს, სვერდლოვსკის, კიროვის ოლქებში, ყაზახეთის სსრის გურიევის ოლქში.

სულ ყირიმიდან სპეცჩასახლებაზე გასახლებულია 225 009 კაცი. 3 652 უცხოეთის ქვეშევრდომი გაგზავნილია უზბეკეთის სსრ-ის ფერგანის ოლქში ჩასასახლებლად.

ანტისაბჭოთა ელემენტებისგან ყირიმის განწმენდის პროცესში დაპატიმრებულია 7 833 კაცი, მათ შორის 998 ჯაშუში. გამოვლენილია სპეცკონტინგენტის 225 009 კაცი. ამოღებულია მოსახლეობაში არალეგალურად დამალული იარაღი: 15 990 ერთეული, მათ შორის, 716 ტყვიამფრქვევი, 5 მილიონი ცალი ვაზნა.

ა. ჯუღა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ხელთ ვიგდეთ (1942 წელს) ჰიტლერის მთავარბანაკის „პარტიზანებთან ომის საბრძოლო დარიგება“, რომელშიც ნათქვამია:

„ახალგაზრდობა ევროპის ბევრ ქვეყანაში შეგვეძლო გამოგვეყენებინა როგორც გერმანული დაზვერვის აგენტები, მაგრამ საბჭოთა რუსეთში მას უაღრესად ფრთხილად უნდა მივუდგეთ, რადგან მისი უდიდესი უმრავლესობა ბოლშევიზმის ფანატიკურად ერთგულია“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მე-4 სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ გერმანელთა ზურგში დივერსიისა და ტერორის, პარტიზანული მოძრაობის ორგანიზების მიზნით წარგზავნილია 2 ათასი ჯგუფი — 15 ათასი ოპერატიული მუშაკი. მათ განკარგულებაში იყო 25 ათასი შესანიშნავად მომზადებული ჯარისკაცი და ოფიცერი. მე-4 სამმართველოს თანამშრომლების მიერ გერმანელების ზურგში ლიკვიდირებულია გერმანელ-ფაშისტთა 87 გამოჩენილი ჩინოვნიკი და გესტაპოს, აბვერისა და გერმანელთა სხვა სადაზვერვო ორგანოების 2 045 რეზიდენტურა. მე-4 სამმართველოს თანამშრომლებმა მოზდოკის რაიონში ააფეთქეს ნავთობის ჭაბურღილები. შედეგად, გერმანელებმა ვერ შეძლეს, ესარგებლათ ჩრდილოეთ კავკასიის ნავთობით, რისი დიდი იმედიც ჰქონდათ.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანიის საიმპერიო სახელმწიფო უშიშროების ორგანოები აქტიურად ემზადებიან ოპერაციისთვის კოდური სახელწოდებით „ცეპელინი“ იგულისხმება საბჭოთა ზურგსა და პარტიზანულ რაზმებში გერმანული დაზვერვის მიერ გადაბირებული საბჭოთა სამხედრო ტყვეების შეგზავნა. გერმანელთა აგენტების წინაშე დაყენებულია ამოცანა: შეაგროვონ დაზვერვითი ინფორმაცია, განახორციელონ დივერსიები სამრეწველო საწარმოებში და რკინიგზაზე, სსრკ-ის მოსახლეობაში აწარმოონ ძირგამომთხრელი იდეოლოგიური მუშაობა, მთავარი ამოცანაა ბრძოლა პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ. საბჭოთა ზურგში გადასროლილ აგენტებს აქვთ ველოსიპედები ბატარეებითა და რადიოგადამცემებით, რომლებიც ჩამონტაჟებულია ამ ველოსიპედის პედლებში, რაც საშუალებას იძლევა, ველოსიპედით სიარულისას გარშემომყოფთათვის შეუმჩნევლად გადაიცეს მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაცია.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

შელენბერგმა თავის დღიურში ჩაწერა შემდეგი: „ოპერაცია „ცეპელინი“, ფაქტობრივად, ჩავარდა. ჩვენი შეგზავნილი აგენტების უმრავლესობა ლიკვიდირებულია შინსახკომის ორგანოების მიერ, რომლებსაც საშუალება აქვთ მათ დასაკავებლად და სალიკვიდაციოდ, ადგილმდებარეობის გასაცხრილად გამოიყენონ წითელი არმიის რეგულარული ნაწილები (დივიზიების ჩათვლით) და პარტიზანული რაზმები. ჩვენი დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურები კვალიფიციური კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიან“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანული მონაცემებით, ომის პირველი ორი წლის განმავლობაში საბჭოთა პარტიზანებმა გაანადგურეს 300 ათასზე მეტი ოკუპან-

ტი, მათ შორის, 30 გენერალი, 6 336 ოფიცერი, 1 520 გერმანელი სამხედრო მფრინავი. გაანადგურეს და ხელთ იგდეს 476 საბრძოლო თვითმფრინავი, 1 267 ტანკი და ჯავშანმანქანა, 541 ქვემეხი, 2 320 ტყვიამფრქვევი, 14 645 ავტომანქანა. აგრეთვე — ათობით ათასი შაშხანა და ავტომატი.

ომის ორი წლის განმავლობაში სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მე-4 სამმართველოს თანამშრომლებისა და პარტიზანების მიერ ორგანიზებული იყო ჯარებითა და სამხედრო მასალით დატვირთული გერმანელების სამხედრო ეშელონების 3 ათასი კატასტროფა. რკინიგზასა და საავტომობილო მაგისტრალებზე აფეთქებულია 3 263 ხიდი.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

შეტევითი ოპერაციების მსვლელობის დროს ბელორუსიაში პარტიზანებმა და სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის თანამშრომლებმა მოამზადეს და განახორციელეს მსხვილმასშტაბიანი დივერსიული ოპერაცია სახელწოდებით „სალიანდაგო ომი“ ამან საშუალება მოგვცა, შეგვეფერხებინა გერმანელების ჯარების მომარაგება სურსათით, სამხედრო ტექნიკითა და ტყვია-წამლით, გერმანელებს საშუალება არ მისცა, სამხედრო ნაწილები შეეცვალათ რეზერვებით, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შეტევის წარმატებით განხორციელებას.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის მონაცემებით, 1943 წლის 3-დან 15 აგვისტომდე მხოლოდ ბელორუსმა პარტიზანებმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ააფეთქეს 94 477 რკინიგზის რელსი. შედეგად, 1943 წლის აგვისტოში გერმანელების ეშელონების მოძრაობა ბელორუსიის ტერიტორიაზე შემცირდა 50 პროცენტით. ოკუპაციის პერიოდში უკრაინელმა პარტიზანებმა მწყობრიდან გამოიყ-

ვანეს 5 ათასი გერმანული ორთქლმავალი და 50 ათასამდე სარკინიგზო ვაგონი.

საბჭოთა ჯარების მიერ დნეპრის ფორსირების დროს, ჯერ კიდევ მათ მოსვლამდე, უკრაინელმა პარტიზანებმა ხელთ იგდეს და დაკავებული ჰქონდათ 25 გადასასვლელი მდინარეებზე დნეპრი, დესნა და პრიპიატი.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1943 წლის აგვისტოში აბვერის ერთ-ერთმა შტაბმა „ვალიმ", რომელიც აშკარად ემზადებოდა ომში გერმანიის დამარცხებისთვის, საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რომლის დატოვებაც მოუწევდათ გერმანელებს საბჭოთა ჯარების შეტევის შედეგად, შექმნა 200 ჯაშუშურ-დივერსიული რეზიდენტურა. აქტიურად მიმდინარეობს უკრაინელი ნაციონალისტების ბანდფორმირებების ჩამოყალიბება. ამ მიზნით გერმანელებმა ბანდეროველებს გადასცეს 100 ათასი ცალი ცეცხლსასროლი იარაღი, ნაღმსატყორცნი და ქვემეხი და რამდენიმე მსუბუქი თვითმფრინავიც კი. აუცილებელია, მიეცეს მითითება სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატისა და კონტრდაზვერვა „სმერშის" ხელმძღვნელობას, გააძლიერონ კონტრდაზვერვითი მუშაობა, დაუნდობლად დახვრიტონ გერმანელების აგენტურა.

ა. ლავროვი
1943 წლის 22 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

უკრაინელი ნაციონალისტების ერთ-ერთ ლიდერს სტეპან ბანდერას პოლონეთის მინისტრის პერაცკის მკვლელობისთვის პოლონეთში მიესაჯა სიკვდილი. სახრჩობელიდან იგი იხსნეს გერმანელებმა, რომლებმაც პოლონეთი დაიპყრეს. ბანდერა გერმანული დაზვერვის აგენტია.

ა. ლავროვი

ცნობა

1943 წლის შემოდგომისთვის გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმატებით მოქმედებდა 1 780 იატაკქვეშა კომკავშირული ჯგუფი. პარტიზანული რაზმები, რომლებიც ამ ტერიტორიებზე მოქმედებენ, 60 პროცენტით კომკავშირელებით და ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული.

ა. ლავროვი

ცნობა

საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობას დაბეჯითებით ადასტურებს სახალხო ომის — პარტიზანული მოძრაობის — მასშტაბები.

ომების ისტორიაში ასე სრულად არასოდეს გამოვლენილა სახალხო ხასიათი პარტიზანული ბრძოლის, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული რეგულარული ჯარების მოქმედებასთან. მრავალი ეროვნების მილიონზე მეტი საბჭოთა პატრიოტი იბრძვის პარტიზანულ რაზმებში, უშიშრად მოქმედებს პარტიულ იატაკქვეშეთში. 1943 წლის ზაფხულისთვის პარტიზანების მიერ კონტროლირებადი რაიონების საერთო ფართობი 200 ათას კვადრატულ კილომეტრს აჭარბებდა. პარტიზანებმა მოკლეს ასობით ათასი ჰიტლერელი, სერიოზულად არღვევენ მტრის კომუნიკაციებს, მოაწყვეს მატარებლების 18 ათასზე მეტი კატასტროფა. პარტიზანებმა ითამაშეს უაღრესად მნიშვნელოვანი როლი კურსკის ბრძოლასა და დნეპრის ფორსირების დროს, აქტიურად უწყობდნენ ხელს ბალტიისპირეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და ყირიმის გათავისუფლებას. 1942 წლის მეორე ნახევრიდან პარტიზანებთან საბრძოლველად აღმოსავლეთ ფრონტზე მოქმედი მტრის ძალების 10 პროცენტი იყო მიმართული. ეს, თავისებურად, ჩვენი მეორე ფრონტია. პარტიზანების ყველა მოქმედება ორგანიზებულია კომუნისტური პარტიის მიერ და წარიმართება პარტიული ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობით. მაგალითად, უკრაინასა და ბელორუსიაში პარტიზანულ ბრძოლას ხელმძღვანელობს 32 საოლქო, 805 საქალაქო და რაიონული იატაკქვეშა პარტიული კომიტეტი და 5 429 იატაკქვეშა პირველადი ორგანიზაცია.

ა. ლავროვი

1944 წლის 20 აგვისტო

ნაწილი 4
სსრკ-ის დასავლელი მოკავშირეები. დაზვერვითი სპეცოპერაციები

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

აგენტურული მონაცემებით, ინგლის-ამერიკელი ვაი-სტრატეგები ამტკიცებენ, რომ გერმანიის ომი რუსეთის წინააღმდეგ დამთავრდება გერმანიის გამარჯვებით 1941 წლის 1 აგვისტოსთვის.

ა. ლავროვი
1941 წლის 26 ივნისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება
(ჩილეგული აგენტურული პატაკებით)

ევროპის, ამერიკისა და ჩინეთის წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეების გამონათქვამები ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესახებ.

გავლენიანი ამერიკელი სენატორი ჰარი ტრუმენი: „თუ დავინახავთ, რომ იგებს გერმანია, ჩვენ უნდა დავეხმაროთ საბჭოთა კავშირს. მაგრამ თუ დავინახავთ, რომ იმარჯვებს საბჭოთა კავშირი, უნდა დავეხმაროთ გერმანიას. დაე, დახოცონ ერთმანეთი რაც შეიძლება მეტი"

აშშ-ის პრეზიდენტმა 1941 წლის აგვისტოში (თავის შვილთან ელიოტთან საუბარში) თქვა: „ჩინელები კლავენ იაპონელებს, რუსები კი გერმანელებს კლავენ. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ, განაგრძონ თავიანთი საქმე მანამდე, სანამ ჩვენი საკუთარი არმიები და ფლოტები მზად არ იქნებიან მათ დასახმარებლად. ამიტომ უნდა დავიწყოთ მათთვის ასჯერ, ათასჯერ იმაზე უფრო მეტი მასალის გაგზავნა, რასაც ამჟამად ჩვენგან იღებენ. წარმოიდგინე, რომ ეს ფეხბურთის მატჩია. ჩვენ კი, ვთქვათ, სათადარიგო მოთამაშეები ვართ და სათადარიგოთა სკამზე ვსხედვართ. მოცემულ მომენტში ძირითადი მოთამაშეები რუსები და ჩინელები არიან, უფრო ნაკლებად — ინგლისელები. ჩვენთვის განკუთვნილია იმ მოთამაშეების როლი, რომლებიც თამაშში გადამწყვეტ მომენტში ჩაერთვებიან.

მანამდე, სანამ ჩვენს ფორვარდებს ძალა გამოეცლებათ, ჩვენ ჩავერთვებით თამაშში, რათა გადამწყვეტი გოლი გავიტანოთ. ჩვენ ახალი ძალით მივალთ. თუ სწორად შევარჩევთ მომენტს, ჩვენი ფორვარდები ჯერ ძალიან არ დაიღლებიან“

ამხანაგ სტალინის განკარგულებით, გენერალმა დერევიანკომ მაო ძედუნთან საუბრისას იკითხა: „რით დაეხმარება საბჭოთა კავშირს მოძმე ჩინეთის კომპარტია, თუ იაპონელები, ჩინეთში ომის დაუმთავრებლად, გაგიჟდებიან და საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ საზღვრებს მიესევიან?“ მაო ძედუნმა უპასუხა: „ჩვენ მტკიცე პროტესტს განვაცხადებთ“

დერევიანკო: „ეს ჩვენ არ გვიშველის. ამხანაგი სტალინი გთხოვთ, მანჯურიაში მიიზიდოთ თუნდაც ათი იაპონური დივიზია“

მაო ძედუნმა უპასუხა: „მოცემულ მომენტში ჩვენ ამისთვის მზად არ ვართ“

ჩინეთის სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის მერვე და მეოთხე ჯარები დიდი ხანია იაპონელების წინააღმდეგ საომარ მოქმედებას არ აწარმოებენ, ჩინეთის კომპარტიის სამხედრო ნაწილები იაპონელებს წინააღმდეგობას არ უწევენ და ან მთებს აფარებენ თავს, ან ხუანხეს გადადიან.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სტოკჰოლმში იმყოფება რუზველტის სპეციალური წარმომადგენელი აბრამ სტივენს ჰიუტი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო სიონისტურ წრეებთან. ამოცანად დასახული აქვს ამ წრეების ჰიტლერის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმვა. გთხოვთ, დამრთოთ ნება, ჩვენი ინტერესებისათვის გამოვიყენოთ იგი.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მოკავშირეები გვთავაზობენ, შემოიყვანონ ჯარები ჩვენს ტერიტორიაზე, რათა „დაიცვან კავკასიის ნავთობი და მურმანსკის მისადგომე-

ბი. იაპონელებისგან დაიცვან შორეული აღმოსავლეთი“

ა. ლავროვი

1942 წლის 12 იანვარი

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *„შეხედე, რა მოინდომეს! ეს იქნებოდა თავისებური ოკუპაცია, შემდეგ იქიდან მათი გაძევება ფრიად გაძნელდება“*

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

ამ დღეებში ჰიტლერმა დაახლოებულთა წრეში აშშ-ის შესახებ განაცხადა: „სანამ აღმოსავლეთში ოპერაციები მიმდინარეობს, ჩვენ პროვოკაციას არ წამოვეგებით. შემდეგ კი ამერიკელები თავიანთ ომს მიიღებენ, თუ ასე სურთ იგი“

ა. ლავროვი

სტალინის რეზოლუცია: *„ამხ. ლავროვს! გააკეთეთ ისე, რომ ჰიტლერის ეს გამონათქვამი აუცილებლად შეიტყოს რუზველტმა“*

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის
განსაკუთრებულად სასწრაფო!

სპეცშეტყობინება

თეირანში ამხ. სტალინის მოსალოდნელ ბამბზავრებასთან დაკავშირებით

1943 წლის 24 ნოემბერს ცნობილი გახდა, რომ ჰიტლერმა პირადად დაავალა გერმანიის სახელმწიფო უშიშროების იმპერიული სამმართველოს სპეციალური ოპერაციების უფროსს სკორცენის, თეირანის კონფერენციის დროს ხელთ იგდოს საბჭოთა და ამერიკის საელჩოები და მოკლას სტალინი და რუზველტი *(ოპერაცია „დიდი ნახტომი“ — შემდგენ.)*.

ამ ცნობებს ადასტურებს სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მე-4 სამმართველო.

ვახორციელებთ განსაკუთრებულ ღონისძიებებს ამხ. სტალინის დასაცავად.

ა. ლავროვი, ა. კუღა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ჰიტლერის ჩანაფიქრი ჩაშლილია. სკორცენის ტერორისტებიანი თვითმფრინავი განადგურებულია ჰაერში თეირანთან ახლოს. სკორცენი გადარჩა, რადგან თეირანში ორი დღით ადრე ჩავიდა. მას შემდეგ, რაც რუზველტი კარგად დაცულ თეირანში საბჭოთა საელჩოში გადავიდა, ამხ. სტალინი და რუზველტი საბოლოოდ მიუწვდომელი გახდნენ გერმანული დაზვერვისათვის.

ა. ლავროვი, ა. ჯულა
1943 წლის 29 ნოემბერი

ცნობა

რუზველტმა მიიღო სტალინის წინადადება და საბჭოთა საელჩოში დაბინავდა, რადგან რჩებოდა თავდასხმის რეალური საშიშროება, ვინაიდან ოტო სკორცენი ცოცხალი გადარჩა და შესაძლებელია იყო ოპერაციის სარეზერვო გეგმები. გასათვალისწინებელი იყო იგივე შესაძლებლობა „აბვერის“ მხრიდან. ამერიკის საიდუმლო სამსახური, რომელსაც არ ჰქონდა სრული ინფორმაცია თავდასხმის ასაცილებლად საბჭოთა სპეცსამსახურების საქმიანობის შესახებ, სერიოზულად ეკიდებოდა მოსალოდნელ საშიშროებას გერმანული სპეცსამსახურების მხრიდან. პრეზიდენტი რუზველტი სტალინის მიპატიჟებას დათანხმდა მას შემდეგ, რაც ამერიკული საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლის მაიკლ რეილის მოხსენებას გაეცნო.

ძირითადმა საშიშროებამ „დიდი სამეულის“ მიმართ განვლო საბჭოთა მზვერავების ძალისხმევისა და სტრატეგიული დაზვერვის აგენტის თავგანწირვის წყალობით. მისი სახელი უცნობი დარჩა.

(შემდგენ.)

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

თეირანის კონფერენციის მონაწილეთა შორის ვრცელდება შემდეგი ანეკდოტი.

დილით, მორიგი სხდომის წინ ჩერჩილი ამბობს: „დღეს დამესიზმრა, რომ მსოფლიოს მბრძანებელი გავხდი“ „მე კი დამესიზმრა, — თქვა რუზველტმა, — რომ მე სამყაროს მბრძანებელი გავხდი. თქვენ

რა დაგესიზმრათ, მარშალო სტალინ?“

„მე კი დამესიზმრა, — როგორც ყოველთვის დინჯად უპასუხა სტალინმა, — რომ არც თქვენ, ბატონო ჩერჩილ, არც თქვენ, ბატონო რუზველტ, მე არ დაგამტკიცეთ“

მოლოტოვის მოწმობით, რუზველტი და ჩერჩილი გაღიზიანებული არიან, თუმცა, არ იმჩნევენ, რომ კონფერენციაზე ძირითადად ამხანაგ სტალინის წინადადებებს იღებენ.

ა. ლავროვი
1943 წლის 30 ნოემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გერმანიასთან ომის დროს, ყველა საერთაშორისო კონფერენციაზე რუზველტი, ჩერჩილის მოთხოვნის მიუხედავად, მხარს დაუჭერს ამხ. სტალინის მიერ შეტანილ წინადადებებს. რუზველტი უაღრესად დაინტერესებულია იაპონიასთან სსრკ-ის ომით, რადგან მხოლოდ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს შესწევთ უნარი, გაანადგურონ კვანტუნის არმია, იაპონიის საუკეთესო დამრტყმელი ძალა.

ამერიკელები უხეიროო მეომრები არიან და თვითონ ამას ვერ შეძლებენ. ატომური იარაღი კი, რომელიც მალე ექნებათ ამერიკელებს თავიანთ განკარგულებაში, მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებით, კარგად იმოქმედებს ქალაქების დანგრევისას, მაგრამ ნაკლებად ეფექტური იქნება ჯარების წინააღმდეგ საველე პირობებში, ხოლო ომის დროს დიდი დანაკარგები აუცილებლად გამოიწვევს აშშ-ში რუზველტის მთავრობის დაცემას.

ა. ლავროვი
1943 წლის 1 დეკემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ერთმა გერმანულმა ესესის მე-6 არმიამ მოკავშირეებს გამანადგურებელი მარცხი მიაყენა. ამერიკელმა სარდალმა, გენერალმა ეიზენჰაუერმა დაკარგა ჯარების მართვა, ინგლისელი სარდალი, ფელდმარშალი მონტგომერი გაიქცა ისე, რომ ყოველგვარი კავშირი დაკარგა

მისდამი დაქვემდებარებულ სამხედრო ნაწილებთან და ინგლისური შტაბის თანამშრომლებმა აქამდე ვერ შეძლეს მისი პოვნა. ცოტაც და ინგლის-ამერიკულ ჯარებს ზღვაში გადაჰყრიან.

ჩვენთვის ეს წამგებიანია: უმოკავშირეებოდ დავრჩებით, რომლებსაც, გამოუვალ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდებიან, შეუძლიათ დადონ სეპარატული სამშვიდობო ხელშეკრულება ნებისმიერი პირობებით.

ა. ლავროვი

ცნობა

ომში დამარცხებების წყებამ, რაც ფაშისტურ ვერმახტს 1941 წლის დასასრულიდან თან სდევს, ჰიტლერი გააცოფა და სტალინისადმი სიძულვილი გაუძლიერა. დღე არ გავიდოდა ისე, ჰიტლერს სტალინზე რომ არ ელაპარაკა. ომის შემდეგ კეიტელმა ეს ფაქტი დაადასტურა. ჰიტლერი უფრო და უფრო იქითკენ იხრებოდა, რომ სტალინის მოკილება არამარტო დატოვებდა საბჭოთა კავშირს ულიდეროდ, არამედ შეცვლიდა ძალთა თანაფარდობას საერთაშორისო ასპარეზზე და აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს ბიძგს მისცემდა გერმანიასთან სეპარატული მოლაპარაკების საწარმოებლად. გერმანელების უმაღლესი ჩინოსნების შემდგომი კონტაქტები აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების წარმომადგენლებთან, ცნობილი ალენ დალესის ჩათვლით, ადასტურებს, რომ ჰიტლერის ვარაუდი არ იყო უსაფუძვლო და შეეძლო ამ პროცესის მნიშვნელოვნად დაჩქარება.

ჰიტლერის განწყობილების შესახებ სტრატეგიული დაზვერვა კარგად იყო ინფორმირებული, მაგრამ რეალური ნაბიჯები გერმანულ სპეცსამსახურებს გარკვეულ დრომდე არ გადაუდგამთ. საზღვარგარეთ სტალინი არ გამგზავრებულა, ხოლო მასთან მიახლოება ან მის გარემოცვაში ჩანერგვა, მით უფრო შეზღუდულ დროსა და ომის პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

1943 წლამდე ცნობილია მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა გერმანიის კოალიციის ქვეყნები სერიოზულად ცდილობდნენ, მოეწყოთ თავდასხმა სტალინზე.

ოპერაციას ამზადებდა 1938 წელს იაპონიის დაზვერვა სსრკ-დან გაქცეული, სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისრის, გენრიხ ლუშკოვის მონაწილეობით. 1931 წელს ლუშკოვი გადაიყვანეს სსრკ ОГПУ-შინსახკომის ცენტრალურ აპარატში, სადაც დიდხანს მუშაობდა ერთერთი საკვანძო დანაყოფის — საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილე-

ბის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. სტალინი პირადად იცნობდა მას როგორც სამრეწველო ჯაშუშობის სპეციალისტს, შემდეგ მონაწილეობდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგ რეპრესიულ ოპერაციებში. შინსახკომში ნ.ი. ეჟოვის მისვლის შემდეგ ლუშკოვი 1936 წელს გადაიყვანეს აზოვის ზღვის მხარის შინსახკომის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე, 1937 წელს — ანალოგიურ თანამდებობაზე შორეული აღმოსავლეთის მხარეში. 1938 წელს გადავიდა მანჯურის საზღვარზე და ჩაბარდა იაპონელებს. ლუშკოვმა იაპონელებს გადასცა უაღრესად მნიშვნელოვანი სამხედრო ხასიათის ცნობები და, აგრეთვე, ინფორმაცია სახელმწიფო უშიშროების საბჭოთა ორგანოების მუშაობის შესახებ. დაიმსახურა მათი პატივისცემა და დანიშნეს კიდეც უფროს კონსულტანტად საიდუმლო განყოფილებაში, რომელიც დაკავებული იყო პროპაგანდით, დაზვერვით და ფსიქოლოგიური ომით სსრკ-ის წინააღმდეგ, შემდეგ კი — კონსულტანტად კვანტუნის არმიაში.

ლუშკოვმა წარადგინა და მონაწილეობდა სტალინის მოკვლის პროგრამის დამუშავებაში. ტერორისტული აქტის განხორციელება განზრახული ჰქონდათ სტალინის ავარაკზე სოჭში. გეგმა ითვალისწინებდა ჯგუფის შეღწევას მაცესტის პავილიონში მიწისქვეშა კომუნიკაციებით და ავტომატური იარაღიდან სასკდომი ტყვიებით იქ მყოფი სტალინის მოსპობას.

ამ გეგმას რომ იღებდნენ, იაპონელები, როგორ ჩანს, თვლიდნენ, რომ ლუშკოვი, როგორც შინსახკომის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საკმაოდ კარგადაა ინფორმირებული კომპლექსის გეგმისა და დაცვის სისტემის თაობაზე. მაგრამ ლუშკოვს, რომელიც კომპეტენტური სპეციალისტი იყო სხვა სფეროებში, წარმოდგენა არ ჰქონდა სტალინის დაცვის ორგანიზებაზე. მისი გეგმა ეფუძნებოდა პირად დაკვირვებასა და არაკომპეტენტურ დასკვნებს. სტალინის დაცვა შინსახკომის შემადგენლობაში კი შედიოდა, მაგრამ აბსოლუტურად დამოუკიდებლად მოქმედებდა, ანგარიშს არ უწევდა მისთვის ფორმალურ შინსახკომის ხელმძღვანელობას.

1938 წელს მოსკოვმა აგენტურული არხებით მიიღო ინფორმაცია ლუშკოვის გეგმის შესახებ. და შემუშავდა კონტროპერაცია. ჯგუფის წევრებმა სათითაოდ გადაკვეთეს სსრკ-ის საზღვარი და ნეიტრალიზებულ იქნენ.

ამრიგად, ჰიტლერის მისწრაფებას „დიდი სამეულის“ — სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის ხელში ჩაგდების ან განადგურების შესა-

ხებ, დიდი ხნის წინაისტორია ჰქონდა.

1943 წლის იანვარში გერმანულმა სპეცსამსახურებმა ხელიდან გაუშვეს კასაბლანკაში აშშ-ის პრეზიდენტის რუზველტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჩერჩილის შეხვედრა. ფიურერმა ამის შესახებ ოფიციალური კომუნიკედან შეიტყო და მისი რისხვა თავს დაატყდა გერმანელების სამხედრო დაზვერვის (აბვერის) ხელმძღვანელს, ადმირალ კანარისსა და იმპერიული უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსს (რსხა) კალტენბრუნერს, რომელმაც ეს თანამდებობა ნახევარი წლის წინათ მიიღო ჰაიდრიხის დაღუპვის შემდეგ.

მალე კანარისმა შეძლო თავისი თავის რეაბილიტირება. მისმა თანამშრომლებმა გაშიფრეს ამერიკელების სამხედრო-საზღვაო კოდი და გერმანელებმა შეიტყვეს „დიდი სამეულის“ შეხვედრისთვის მზადების შესახებ.

რსხა-ს და აბვერს ჰიტლერმა დაუსახა ამოცანა, რადაც უნდა დაჯდომოდათ, ხელთ ეგდოთ ან გაენადგურებინათ „დიდი სამეულის“ წევრები.

გერმანული სპეცსამსახურების მეთაურები სპეციალურ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ ცალ-ცალკე იმოქმედებდნენ. ეს შეხვედრა გაიმართა ბერლინში, „ედემის“ ბარში, რომელსაც გესტაპო აკონტროლებდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: რსხა-დან კალტენბრუნერი და პოლიტიკური დაზვერვის ხელმძღვანელი შელენბერგი, აბვერიდან — კანარისი და აბვერის „განყოფილება-1“-ის ხელმძღვანელი, გენერალი გეორგ ჰანსენი.

რსხა-ში ოპერაციამ მიიღო სახელწოდება „დიდი ნახტომი“ ან „გრძელი ნახტომი“, რუსულად თარგმანის მიხედვით, აბვერში კი — „3X3“ („სამჯერ სამი“). ყველა ინფორმაცია „დიდი სამეულის“ შეხვედრისა და დივერსანტების ჯგუფების მზადების შესახებ ეგზავნებოდა ჰიტლერს: რსხა-ს ხაზით კალტენბრუნერისა და ჰიმლერის მეშვეობით, აბვერის ხაზით — კანარისისა და კეიტელის მეშვეობით.

კალტენბრუნერმა ოპერაციის თავისი ნაწილის უშუალო ხელმძღვანელად დანიშნა ოტო სკორცენი. ეს კაცი აირჩიეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჰიტლერი მისდამი კეთილად იყო განწყობილი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ სკორცენი, რომელიც სათავეში ედგა VI-C განყოფილების დივერსანტებს, ამასთან ერთად, გერმანული დაზვერვის ირანის აგენტურას ხელმძღვანელობდა და სისტემატურად ჩადიოდა ირანში.

საბჭოთა სპეცსამსახურებიც ემზადებოდნენ სახელმწიფოთა მეთა-

ურების შეხვედრისათვის. „დიდი სამეულის“ პირისპირ შეხვედრის იდეა ამერიკის პრეზიდენტმა რუზველტმა სტალინისათვის გაგზავნილ 1942 წლის 2 დეკემბრის წერილში წამოაყენა. თავდაპირველად დასავლელმა მოკავშირეებმა სტალინს შესთავაზეს, შეხვედრა გამართულიყო კასაბლანკაში, მაგრამ სტალინმა დაჟინებით მოითხოვა თეირანი, რასაც ასაბუთებდა დაბეჯითებითი აუცილებლობით, ყოფილიყო თავის ქვეყანასთან ახლოს, რომელიც მძიმე ომს აწარმოებდა. გასათვალისწინებელი იყო საკუთარი სტრატეგიული კონტრდაზვერვის დაბეჯითებული რეკომენდაციებიც, რადგან საბჭოთა სპეცსამსახურებს ირანში გაცილებით მეტი აგენტურული შესაძლებლობა ჰქონდა, ვიდრე კასაბლანკაში. ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკების შემდეგ 1943 წლის 8 ნოემბერს რუზველტი დათანხმდა, რომ შეხვედრა სწორედ თეირანში გამართულიყო.

ლავროვის სტრატეგიულმა დაზვერვამ შეძლო მიეღო ინფორმაცია თავდასხმის მზადების შესახებ. მიიღეს ინფორმაცია უკრაინის როვნოს ტყეებიდან ლეგენდარული მზვერავის ნიკოლაი კუზნეცოვისგან, რომელმაც შეძლო მეგობრული და ნდობით აღსავსე ურთიერთობა დაემყარებინა გერმანული მრავალსვლიანი კომბინაციის ერთ-ერთ მონაწილესთან, გამოცდილ მზვერავთან, ესესის შტურმბანფიურერ ულრიჰ ფონ ორტელთან.

გააქტიურდა ირანში საბჭოთა სპეცსამსახურების ყველა შესაძლებლობა. სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის ხაზით გერმანული აგენტურის წინააღმდეგ ოპერაციებს ხელმძღვანელობდა გენერალი კრავჩენკო, რომელმაც ჩინებულად შეასრულა ირანში ჩანერგილი გერმანული აგენტურის განადგურების ამოცანა. გერმანული აგენტურული ქსელი, პრაქტიკულად, სრულად იქნა განადგურებული.

სტრატეგიულმა დაზვერვამ ლავროვის ხელმძღვანელობით შეუძლებელი შეძლო — ჩანერგა თავისი აგენტი სკორცენის დივერსიული ჯგუფის ძირითად შემადგენლობაში. ჯგუფი ემზადებოდა აბვერის საუკეთესო სწვრთნელ ბანაკ „კვენცუგში“, სადაც განლაგებული იყო აბვერის განსაკუთრებული დივიზია „ბრანდერბურგი“ ჯგუფის წევრებმა იცოდნენ რუსული და ინგლისური ენები. დივერსანტების მომზადება უმკაცრესად გასაიდუმლოებული იყო — არცერთ მათგანს არ უნდა სცოდნოდა, რომელი ოპერაციისთვის ამზადებენ მას.

1943 წლის ზაფხულში გერმანელებმა ირანში, ყუმის ტბის რაიონში,

თეირანის მახლობლად ჩამოსხეს უზრუნველყოფის ჯგუფი სკორცენის ექვსი დივერსანტის შემადგენლობით. ისინი დაბანაკდნენ თეირანში, სსრკ-ის და აშშ-ის საელჩოების მახლობლად, ვილაში, რომელიც გერმანელთა რეზიდენტურის მიერ იყო მომზადებული. მაგრამ საბჭოთა დაზვერვამ ჯგუფი მალე აღმოაჩინა და იგი ნეიტრალიზებულ იქნა.

(შემდგენ.)

ცნობა

უინსტონ ჩერჩილმა ამხ. სტალინის სახელზე გამოგზავნა დეპეშა: „თუ ღმერთი გწამთ, ჩაერიეთ, თორემ მოკავშირეთა არმიებს ზღვაში გადაყრიან“

ამხანაგ სტალინის ბრძანებით დაიწყო მასირებული შეტევა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ამან აიძულა ჰიტლერი, შეეწყვიტა შეტევა არდენში და ესესის მე-6 არმია გადაესროლა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, სადაც მისმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა თავები დასდეს.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

აშშ-ს სპეცსამსახურმა, რომელიც შიფრებზე მუშაობს, შეძლო იაპონური შიფრების ამოხსნა. ამერიკელები თავისუფლად კითხულობენ იაპონელების მთელ დაშიფრულ მიმოწერას. ამ მიმოწერიდან შეიტყვეს, რომ სამხედრო-საზღვაო ბაზა პერლ-ჰარბორზე თავდასხმა მზადდებოდა, მაგრამ გასაოცარი უდარდელობა გამოიჩინეს (რაც ღალატს ჰგავს), რის შედეგადაც ამერიკელების წყნარი ოკეანის ფლოტმა გამანადგურებელი დარტყმა მიიღო.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

დასავლელ მეცნიერებს, ეროვნებით ებრაელებს, გულწრფელად მიაჩნიათ, რომ აშშ-ში ატომური იარაღის შექმნის მათთვის ცნობილ საი-

დუმლოებათა სსრკ-სთვის გადაცემით ისინი ეხმარებიან მოკავშირეებს, რათა მათ გაუსწრონ გერმანელებს ატომური ბომბის შექმნის საქმეში.

ა. ლავროვი
1944 წლის მაისი

ცნობა

1945 წლის 23 თებერვალს ჩერჩილმა ამხანაგ სტალინს გაუგზავნა პირადი წერილი: „წითელი არმია თავის ოცდამეშვიდე წლისთავს ზეიმობს ტრიუმფით, რომელმაც მისი მოკავშირეების უსაზღვრო აღფრთოვანება გამოიწვია და რომელმაც მილიტარიზმის ბედი გადაწყვიტა. მომავალი თაობები თავიანთ ვალს წითელი არმიის წინაშე ისევე უსიტყვოდ აღიარებენ, როგორც ამას ვაკეთებთ ჩვენ, ამ ბრწყინვალე გამარჯვებების ცოცხალი მოწმეები. გთხოვთ თქვენ, დიდი არმიის დიად ხელმძღვანელს, მიესალმოთ წითელ არმიას ჩემი სახელით დღეს, საბოლოო გამარჯვების ზღურბლზე“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲙᲘ

ინგლისის პარლამენტის გავლენიანმა წევრმა ბილიკუსმა განაცხადა: „დოკუმენტებიდან, რომლებიც ინგლისის არმიამ გერმანელებისგან ხელთ იგდო, ირკვევა, რომ 1944 წლის 1 ნოემბრამდე მთელი დანაკარგების ოთხმოცი პროცენტი გერმანელებმა განიცადეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე და მხოლოდ 14 პროცენტი სხვა ქვეყნებში შეტევისას.

ა. ლავროვი

ნაწილი 5
შეცდომები და ღალატი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1941 წლის 22 ივლისს სამშობლოს ღალატისთვის დაიხვრიტნენ გენერლები: პავლოვი *(არმიის გენერალი, დასავლეთის ფრონტის სარდალი. — **შემდგენ.**)*, კლიმოვსკიხი *(გენერალ-მაიორი, ფრონტის შტაბის უფროსი. — **შემდგენ.**)*, გრიგორიევი *(გენერალ-მაიორი, ფრონტის კავშირგაბმულობის ჯარების უფროსი. — **შემდგენ.**)* და კორობკოვი *(გენერალ-მაიორი, მე-4 არმიის სარდალი. — **შემდგენ.**)*.

ა. ჯულა

ცნობა

პოლიტბიუროს ბევრი წევრი უცებ მზად არ აღმოჩნდა, ომის პირობებში ემოქმედა მათთვის გამოყოფილ სამუშაო უბნებზე და სტალინს მოუწია სხვა თანამდებობებზე მათი გადაადგილება. მაგალითად, ლაზარ მოისეევიჩ კაგანოვიჩი, რომელიც 1941 წლის ზაფხულში ევაკუაციის კომიტეტში შეიყვანეს და ტრანსპორტის მუშაობაზე იყო პასუხისმგებელი. საწოლი დასასვენებელ ოთახში დაიდგა და სამუშაოდან, პრაქტიკულად, არ მიდიოდა, ცხოვრების ასეთივე წესი დაუდგინა თავის მოადგილეებს. მისი მრავალსაათიანი თათბირები სამუშაოზე უფრო მეტად აცლიდა სიქას ადამიანებს, რადგან თავიანთი სახალხო კომისრის გრძელი მონოლოგების მოსმენა უხდებოდათ. ამასთან, თავის ქვემდგომებს უხეშად ეკიდებოდა, შეურაცხყოფდა.

გენერალი ერმოლინი იხსენებს, როცა შეფერხდა სამხედრო ეშელონების სტალინგრადის რაიონისკენ მოძრაობა, სტალინმა იგი კაგანოვიჩთან გაგზავნა დავალებით, გაერკვია დაბრკოლების მიზეზები. ერმოლინი კაგანოვიჩის კაბინეტში შევიდა და სტალინის შეკითხვები გადასცა კაგანოვიჩს. პასუხის ნაცვლად კაგანოვიჩმა იყვირა: — მე ძველი ბოლშევიკი ვარ! — ხელი მოიქნია და ისე ძლიერად დაარტყა მუშტი მაგიდას, რომ გასკდა მინა, რომელიც მაგიდაზე ედო.

ერმოლინი მშვიდად შეეკითხა: — მაშ, ამხანაგ სტალინს უნდა გადავცე, რომ თქვენ ძველი ბოლშევიკი ხართ? მომენტალურად ფერ-

დაკარგულმა კაგანოვიჩმა შეცვალა ტონი და შეეცადა მოეცა მონაცემები, რომლებსაც მისგან ელოდნენ. სტალინმა დანიშნა კომისია სახალხო კომისარიატის მუშაობის შესასწავლად და ამ კომისიის საქმიანობის შედეგების შესახებ მალენკოვის მოხსენების შემდეგ, კაგანოვიჩი ჩამოაშორა ტრანსპორტის სახალხო კომისარიატში მუშაობას და ა.ვ. ხრულევი შეთავსებით გზათა მიმოსვლის სახალხო კომისრად დანიშნა.

სტალინმა გაითვალისწინა პოლიტბიუროს წევრების შეზღუდული შესაძლებლობანი, რაც ან სამუშაოთი გადატვირთვით, ან აუცილებელი პირადი შესაძლებლობების არქონით იყო განპირობებული და მოადგილეებად დიდი ორგანიზატორული უნარის მქონე პროფესიონალები დაუნიშნა. მოლოტოვის ნაცვლად, რომელიც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში ტანკების წარმოებაზე იყო პასუხისმგებელი, სატანკო დარგს ხელმძღვანელობდა სახალხო კომისარი ვიაჩესლავ მალიშევი. მიჭოიანს, რომელიც სურსათით, საქონლითა და ტყვია-წამლით ფრონტის მომარაგებაზე იყო პასუხისმგებელი, მოადგილედ ჰყავდა წითელი არმიის ზურგის უფროსი ა.ვ. ხრულევი. მალენკოვი პასუხისმგებელი იყო საავიაციო მრეწველობაზე, რაშიც იმდენად არაკომპეტენტური იყო, რომ სტალინი ყველა ტექნიკურ საკითხს სახალხო კომისრის მოადგილესთან, თავის პირად მრჩეველთან და მთავარი საავიაციო სამმართველოს უფროსთან ა.ს. იაკოვლევთან განიხილავდა.

სახალხო კომისრებს სტალინი ხაზგასმული პატივისცემითა და ნდობით ეკიდებოდა. მაგრამ ეს ნდობა ეფუძნებოდა მათი საქმიანობის უმკაცრეს კონტროლს, რომელსაც მძლავრი სახელმწიფო აპარატი ახორციელებდა. საკმარისია ითქვას, რომ ოფიციალურ კონტროლს განახორციელებდნენ ცკ-ის შესაბამისი განყოფილებანი და გენერალური პროკურატურა, ხოლო ფარულს — სახელმწიფო უშიშროების ორგანოები და სტრატეგიული კონტრდაზვერვა.

ვ. ყუხრაი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ცნობა

ამონაწერი გენერლების: დ.გ. პავლოვის, ვ.ე. კლიმოვსკიხის, ა.გ. გრიგორიევის, ა.ა. კოროპკოვის საქმის განაჩენიდან, რომლებსაც მიესაჯათ დახვრეტა.

„... აღმოჩნდნენ მშიშრები, გამოავლინეს ძალაუფლების უმოქმედობა, მოშალეს ჯარების მართვა". განაჩენში აგრეთვე ლაპარაკია იმაზე, რომ მსჯავრდებულები იყვნენ ანტისაბჭოთა შეთქმულების მონაწილენი."

ეს წინადადება, პუბლიკაციისათვის დამტკიცების დროს ამხ. სტალინმა ამოშალა: თუ ამას გამოვაქვეყნებთ, წითელარმიელები და წითელფლოტელები იფიქრებენ, რომ შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობაში შემორჩნენ მოღალატეები და აღარ ენდობიან მეთაურებს.

მაშინ, როცა 1941 წლის 21 ივნისის საღამოს ოლქების ყველა სარდალი თავის საკომანდო პუნქტზე იმყოფებოდა, არმიის გენერალი პავლოვი თეატრში იყო. როცა მოახსენეს, რომ საზღვარზე ისეთი რამ ხდება, რაც ომის დაწყებას ჰგავს, უპასუხა: „აი, ბოლომდე ვნახავთ სპექტაკლს და მაშინ გავარკვევთ"

ა. ჯუკა
1941 წლის 23 ივლისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

არმიის გენერალ პავლოვის დახვრეტასთან დაკავშირებით გენერალმა ჟუკოვმა თქვა: „წინასწარ კარგად იყო ცნობილი, რას წარმოადგენდა პავლოვი, რომ მისი დონე დივიზიის მეთაურობაა. ეს ყველამ იცოდა და, მიუხედავად ამისა, იგი ფრონტს სარდლობდა და თავი ვერ გაართვა იმას, რისთვისაც თავის გართმევა არ შეეძლო"

ა. ჯუკა
1941 წლის 23 ივლისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სამშობლოს მოღალატე ვლასოვთან ყველაზე ახლოსაა მე-19 არმიის შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი მალიშკინი, რომელიც გერმანელების მხარეს გადავიდა. ომამდე, 1938 წელს მალიშკინი დააპატიმრეს და როგორც ხალხის მტერს მიუსაჯეს დახვრეტა, რაც არ აღსრულებულა. ომის დაწყებისთანავე გაათავისუფლეს და აღადგინეს სამსახურში წითელი არმიის რიგებში.

ა. ჯუკა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

დასავლეთის ფრონტის შტაბში ყოფნის დროს მოლოტოვს გენერალ ჟუკოვთან მოუხდა კონფლიქტი. მოლოტოვი დაუშვებლად უხეში ფორმით დახვრეტით დაემუქრა ჟუკოვს, თუ დასავლეთის ფრონტის ჯარები მისი მეთაურობით მოსკოვის მისადგომებთან დაკავებული პოზიციებიდან ერთი მეტრითაც უკან დაიხევენ. ამასთან, მოლოტოვმა თავს უფლება მისცა, დილეტანტურად ჩარეულიყო წმინდა სამხედრო-სტრატეგიულ საკითხებში.

დამცინავად უხეში ფორმით ჟუკოვმა უპასუხა მოლოტოვს: „თქვენ, უწინარეს ყოვლისა, თქვენი თავი დახვრიტეთ. სწორედ თქვენ, ვისაც ამდენ წელიწადს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა გეკავათ, ხართ დამნაშავე იმაში, რაც ახლა მოსკოვის მისადგომებთან ხდება. თუ თქვენ ჩემზე უკეთ გესმით მოსკოვის მისადგომებთან შექმნილი საომარი ვითარება და შეგიძლიათ გაიმარჯვოთ გერმანელებზე, დაიკავეთ ჩემი ადგილი და უსარდლეთ. თუ მზად არ ხართ დაიკავოთ დასავლეთის ფრონტის სარდლის თანამდებობა, წაეთრიეთ აქედან და ხელს ნუ მიშლით მუშაობაში“

ამის მეტად ჟუკოვის შტაბში მოლოტოვი, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, არ გამოჩენილა.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

საბჭოთა კავშირის მარშალ კულიკის საქმის ბამო

1942 წლის 19 თებერვალს საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ თავის სხდომაზე განიხილა საქმე სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშლის გ.ი. კულიკის ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულებრივ საქმიანობაში ბრალდების შესახებ. მის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ საკ. კპ (ბ) ცკ წევრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა და თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გ.ი. კულიკმა, რომელიც იყო უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარბანაკის რწმუნებული ქერჩის მიმართულებით, ნაცვლად იმისა, რომ პატიოსნად და უეჭველად შეესრულებინა სევასტოპოლისა და ქერჩის ნახევარკუნ-

ძულის აქტიური დაცვის შესახებ მთავარბანაკის 1941 წლის 7 ნოემბრის ბრძანება და მთავარბანაკის 1941 წლის 14 ნოემბრის ბრძანება „შევინარჩუნოთ ქერჩი რადაც უნდა დაგვიჯდეს და საშუალება არ მივცეთ მოწინააღმდეგეს, დაიკავოს ეს რაიონი“, თვითნებურად, მთავარბანაკის ბრძანების დარღვევით და საკუთარი სამხედრო მოვალეობის საწინააღმდეგოდ, გასცა დანაშაულებრივი განკარგულება, ორი დღის განმავლობაში ყველა ჯარის ევაკუაციისა და მოწინააღმდეგისთვის ქერჩის რაიონის ჩაბარების შესახებ, რის შედეგადაც 1941 წლის 15 ნოემბერს ქერჩი მტერს ჩაბარდა.

1941 წლის 10 ნოემბერს ქერჩში ჩასვლის შემდეგ კულიკმა არათუ არ განახორციელა ადგილზე გადამწყვეტი ღონისძიებანი ყირიმის ჯარების სარდლობის წინააღმდეგ, არამედ თავისი მოქმედებით კიდევ უფრო გააძლიერა „პორაჟენური“ განწყობილება და დემორალიზაცია ყირიმის ჯარების სარდლობის წრეში. კულიკის ასეთი ქცევა შემთხვევითი არაა, რადგან ანალოგიური „პორაჟენული“ ქცევა გამოავლინა 1941 წლის ნოემბერში როსტოვის თვითნებურად, მთავარბანაკის სანქციის გარეშე და მთავარბანაკის ბრძანების საწინააღმდეგოდ ჩაბარების დროს.

ყველა ამ დანაშაულებრივი ქმედების გამო სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტმა გადასცა სასამართლოს გ.ი. კულიკი. სსრკ უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა საკრებულომ დაადგინა კულიკის ბრალეულობა. კულიკმა თავი დამნაშავედ ცნო სასამართლოს მიერ მისთვის წარდგენილ ბრალდებებში. სასამართლომ მიუსაჯა: ჩამოერთვას კულიკს მარშლისა და საბჭოთა კავშირის გმირის წოდებები, აგრეთვე ჩამოერთვას ორდენები და მედალი „მუშურ-გლეხური წითელი არმიის XX წელი“. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კულიკის აპელაციაზე უარი თქვა.

ამას გარდა, საკ. კპ (ბ) ცკ-სთვის ცნობილი გახდა ფაქტები, რომ ფრონტზე ყოფნის დროს კულიკი სისტემატურად ლოთობდა, ეწეოდა გარყვნილ ცხოვრებას, ბოროტად იყენებდა მარშლის წოდებას და თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობას, ეწეოდა თვითმომარაგებას, იტაცებდა სახელმწიფო საკუთრებას და სახელმწიფო სახსრების ასობით ათას მანეთს ფლანგავდა.

გ.ი. კულიკი გამოყვანილია საკ. კპ (ბ) ცკ შემადგენლობიდან და მოხსნილია თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან.

ა. ჯულა

ცნობა

საკ. კპ (ბ) ცკ დადგენილებიდან „ამხ. ვოროშილოვის მუშაობის შესახებ“

1. 1939-40 წლებში ფინეთთან ომმა გამოამჟღავნა არასასიკეთო და დიდი ჩამორჩენა თავდაცვის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობაში. ამ ომის დროს გაირკვა, რომ თავდაცვის სახალხო კომისარიატი მოუმზადებელი იყო სამხედრო ოპერაციების წარმატებულად განვითარების უზრუნველსაყოფად. წითელ არმიას არ ჰქონდა ნაღმსატყორცნები და ავტომატები, სწორად არ იყო აღრიცხული თვითმფრინავები და ტანკები, არ აღმოჩნდა ჯარებისთვის საჭირო ზამთრის ტანსაცმელი, ჯარებს არ ჰქონდა საკვები კონცენტრატები. გამომჟღავნდა დიდი ხელმოშვებულობა თავდაცვის სახალხო კომისარიატის ისეთ მნიშვნელოვან სამმართველოებში, როგორიცაა მთავარი საარტილერიო სამმართველო, საბრძოლო მომზადების სამმართველო, სამხედრო-საჰაერო ძალების სამმართველო, სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში საქმის ორგანიზაციის დაბალი დონე და სხვ. ეს ყველაფერი აისახა ომის გაჭიანურებაში და გამოიწვია ზედმეტი მსხვერპლი.

ამხ. ვოროშილოვი, რომელიც იმ დროს თავდაცვის სახალხო კომისარი იყო, იძულებული გახდა, ელიარებინა თავისი ხელმძღვანელობის უსუსურობა საკ. კპ (ბ) ცკ პლენუმზე 1940 წლის მარტის ბოლოს.

გაითვალისწინა რა საქმის მდგომარეობა თავდაცვის სახალხო კომისარიატში, აგრეთვე ის, რომ ამხ. ვოროშილოვს უჭირს მოიცვას ისეთი დიდი საკითხები, როგორიცაა თავდაცვის სახალხო კომისარიატი, საკ. კპ (ბ) ცკ-მ საჭიროდ ჩათვალა, გაეთავისუფლებინა ამხ. ვოროშილოვი სახალხო კომისრის პოსტიდან.

2. გერმანიასთან ომის დასაწყისში ამხ. ვოროშილოვი დაინიშნა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების მთავარსარდლად, რომელსაც მთავარ ამოცანად ლენინგრადის დაცვა ჰქონდა დაკისრებული. როგორც შემდგომ გაირკვა, ამხ. ვოროშილოვმა თავი ვერ გაართვა დაკისრებულ საქმეს და ვერ შეძლო ლენინგრადის დაცვის ორგანიზება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტმა გამოიწვია ამხ. ვოროშილოვი ლენინგრადიდან და მისცა მას სამუშაო ზურგში ახალ სამხედრო ფორმირებათა სფეროში.

3. ამხ. ვოროშილოვის თხოვნით, თებერვალში (1942 წ.) იგი მიავლინეს ვოლხოვის ფრონტზე მთავარბანაკის წარმომადგენლად ფრონტის სარდლობის დასახმარებლად და იქ თითქმის ერთი თვე

იმყოფებოდა. მაგრამ ვოლხოვის ფრონტზე ამხ. ვოროშილოვის ყოფნამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

ფრონტულ სამუშაოზე მისი გამოცდილების გამოყენების კიდევ ერთხელ გამოყენების შესაძლებლობის მისაცემად, საკ. კპ (ბ) ცკ-მ ამხ. ვოროშილოვს შესთავაზა, ეკისრა ვოლხოვის ფრონტის უშუალო სარდლობა. მაგრამ ამხ. ვოროშილოვი ამ წინადადებას უარყოფითად მოეკიდა და არ მოისურვა პასუხისმგებლობა აეღო ვოლხოვის ფრონტზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფრონტს ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლენინგრადის დაცვის საქმეში, მოიმიზეზა, რომ ვოლხოვის ფრონტი მძიმე ფრონტია და მას არ სურს ჩაიჭრას ამ საქმეში.

ცკ-მ აღნიშნა, რომ ამხ. ვოროშილოვმა ვერ გაამართლა ფრონტზე მუშაობაში და გაგზავნა იგი ზურგის სამხედრო სამუშაოზე.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

1942 წელს ქერჩის ნახევარკუნძულზე საბჭოთა ჯარების დამარცხების შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკი მეხლისი პატიებას რომ იხვეწებოდა, მუხლებზე ხოხვას შეეცადა ამხ. სტალინის წინაშე, დაცვა იძულებული გახდა, ფეხებით გაეთრია და მხოლოდ ასე მოეცილებინა უმაღლესი მთავარსარდლისთვის.

მეხლისს აქტიურად შეისწავლის ბელადის კონტრდაზვერვა, და ამ პროცესში მისდამი ბევრი ეჭვი იბადება. რეზერვის და ყირიმის ფრონტებმა, სადაც მეხლისი სამხედრო საბჭოს წევრი იყო და აქტიურად ერეოდა ფრონტების სარდლობის საქმეში, დამარცხება იწვნიეს.

ა. ჯულა

ცნობა

(ს.ვ. ნიკოლაევი ხრუშჩოვის შესახებ)

ხრუშჩოვში საოცრად იყო შერწყმული პატივმოყვარეობა და ქვეშრომობა, დაუნდობლობა და სიმხდალე, შეზღუდულობა და დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე.

სწორედ ხრუშჩოვმა, კაგანოვიჩთან და მოლოტოვთან ერთად ხელი მოაწერა დადგენილებას მაცხოვრის ტაძრის დანგრევის შესახებ და მხოლოდ სტალინმა არ მისცა უფლება ხრუშჩოვს, გაენადგურებინა ვასილ ნეტარის ტაძარი წითელ მოედანზე.

სტალინის სიკვდილის შემდეგ სპეციალური ჯგუფები არქივებში ანადგურებდნენ დოკუმენტებს, რომლებიც ხრუშჩოვისა და მისი თანამებრძოლების დამნაშავეობას ადასტურებდნენ.

სახელმწიფო უშიშროების მოსკოვის სამმართველოს ძველი თანამშრომლები იხსენებდნენ თათბირებს, რომლებზეც საკ. კპ (ბ) მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივანი ნ.ს. ხრუშჩოვი გაცოცხავდა ხოლმე მათ ხელმძღვანელებს და მოითხოვდა რეპრესირებულთა რიცხვის გაზრდას, რათა ამ მაჩვენებლით გაესწროთ სხვა ქალაქებისთვის.

ამასთან, სხვების მიმართ დაუნდობელი რომ იყო, თვითონ ხრუშჩოვი ფრიად მშიშარა გახლდათ.

მარშალმა ჩუიკოვმა ერთხელ, თავის მეგობრებთან რომ იჯდა, გაიხსენა ხრუშჩოვთან ერთად ფრონტზე მივლინება. მათ მანქანას აედევნა გერმანული თვითმფრინავი, რომელმაც რამდენჯერმე შეუტია — თავს დაუარა, ესროდა ტყვიამფრქვევიდან, მაგრამ მძღოლი ყოველ ჯერზე მანევრით იცდენდა ცეცხლს. ბოლოს და ბოლოს თვითმფრინავმა ჩამოაგდო ბომბი და აფეთქების ტალღამ ავტომობილი გადააბრუნა და თხრილში ჩააგდო. ყველა გადარჩა, მანქანა კი უმნიშვნელოდ დაზიანდა და შეძლო განეგრძო მოძრაობა. მანქანა ბორბლებზე რომ შევაყენეთ, ყველა მოვთავსდით და განვაგრძეთ გზა, მაგრამ სალონში განავლის სუნი დადგა. ხრუშჩოვს დათვის ავადმყოფობა დაემართა.

თუმცა, ერთ შემთხვევას ხრუშჩოვი კინალამ შეეწირა. საბჭოთა ჯარების ხარკოვთან დამარცხების შემდეგ, ხრუშჩოვმა, რომელიც არმიათა ჯგუფის სამხედრო საბჭოს წევრი იყო, მიატოვა ჯარები და მოსკოვში გაიქცა. სტალინთან ახსნა-განმარტების მისაცემად რომ გამოიძახეს, შეეცადა დაემტკიცებინა, რომ გამოძახებით ჩამოვიდა. მას შემდეგ, რაც სტალინმა ბრძანა დაეპატიმრებინათ და დაეხვრიტათ ხრუშჩოვი, იგი ყვირილით მუხლებში ჩაუვარდა ბელადს: — მამავ მშობელო! შემიცოდე! გამოვისყიდი! ამ სცენას შეესწრო მოლოტოვი, შეეცოდა ხრუშჩოვი და დაუდასტურა სტალინს, რომ ხრუშჩოვი მან გამოიძახა.

სხვა შემთხვევა შეეხებოდა ხრუშჩოვის ვაჟს პირველი ცოლისგან — ლეონიდს. საკ. კპ (ბ) უკრაინის ცკ პირველი მდივნის შვილი ლეონიდ ხრუშჩოვი ყველაფრის შემძლეობის გარემოში იზრდებოდა. ომამდე იგი კიევში ბანდიტებს დაუახლოვდა. ისინი დახვრიტეს, ლეონიდს არაფერი შეხებია. საფრენოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ომის დროს დაიჭრა და კუიბიშევში აღმოჩნდა. ლოთობის დროს ლეონიდი მეგობრებთან ერთად მიზანში ესროდა ბოთლებს, რომლებსაც ოფიცრებს თავზე ადგამდნენ. ლეონიდმა ააცდინა და მოკლა

მეზღვაური — წითელი არმიის მეთაური, რის შესახებაც დაუყოვნებლივ მოახსენეს სტალინს. უცნობია, ჩაუვარდა თუ არა ამჯერად მუხლებში სტალინს ხრუშჩოვი, მაგრამ პატიება კი გამოსთხოვა და ლეონიდი ფრონტზე გაგზავნეს, მაგრამ არა საჯარიმო ბატალიონში, არამედ საავიაციო ნაწილში.

ომში ლეონიდ ხრუშჩოვის თვითმფრინავი დაიკარგა და ხრუშჩოვმა მოსკოვში შვილის შესახებ შეიტყო პროპაგანდისტული ოპერაცია „ცეპლინის" დროს, რომელშიც გერმანელებმა პოლიტბიუროს წევრის ნ.ს. ხრუშჩოვის შვილი გამოიყენეს. განრისხებულმა სტალინმა, რომლის ვაჟი აგრეთვე ტყვედ იყო ჩავარდნილი, მაგრამ გერმანელებთან თანამშრომლობაზე უარი თქვა, ბრძანა, გერმანელებისთვის მოეპარათ ლეონიდ ხრუშჩოვი. რთული ოპერაციის შედეგად ლეონიდ ხრუშჩოვი ტყვეობიდან გამოიხსნეს და პარტიზანულ რაზმს გადასცეს. პოლიტბიუროს არავითარი სხდომის შესახებ, რომელზეც თითქოს განიხილებოდა ხრუშჩოვის შვილის ბედი, ს.ვ. ნიკოლაევი არ ლაპარაკობდა. იგი იხსენებდა მხოლოდ ხრუშჩოვის შეხვედრას სტალინთან, როცა ხრუშჩოვი მუხლებში ჩაუვარდა სტალინს და შვილის შეწყალებას სთხოვდა. სტალინმა ჰკითხა: „თქვენ მე მთხოვთ, როგორც პოლიტბიუროს წევრი, თუ როგორც მამა?" „როგორც მამა", — უპასუხა ხრუშჩოვმა. „მაშინ რა ვუთხრა მილიონობით მამებს, ვისი შვილებიც ფრონტზე იბრძვიან და კვდებიან?" — თქვა სტალინმა. ნიკოლაევის წინადადებას, ჩამოეყვანათ ლეონიდი მოსკოვში და სამხედრო ტრიბუნალით გაესამართლებინათ, სტალინი არ დაეთანხმა: „არ შემიძლია გავრისკო მფრინავების სიცოცხლით მოლალატის გამო, — და მისცა მითითება, სამხედრო ტრიბუნალის სხდომა უშუალოდ პარტიზანთა რაზმში გაემართათ. ომის დროის კანონების და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, ლეონიდ ხრუშჩოვს სიცოცხლის შენარჩუნების შანსი არ ჰქონდა.

ა. ჟუბრაი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრმა ხრუშჩოვმა მისი უფროსი შვილის სამშობლოს ღალატისთვის გასამართლებასთან დაკავშირებით შეწყალების თხოვნით მიმართა ამხ. სტალინს. ამხ. სტალინმა უარი განაცხადა, დაეკმაყოფილებინა მოღალატის მამის თხოვნა. სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით ხრუშჩოვის შვილი დახვრიტეს.

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სსრკ სახალხო კომისრების შესახებ
(1942 წლის აგვისტოსათვის)

საბრძოლო მასალების კომისარი — ვანიკოვი,
შეიარაღების სახალხო კომისარი — პარშინი,
საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარი — აკოპოვი,
სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარი — ზალცმანი,
გემმშენებელი მრეწველობის სახალხო კომისარი — ნოსენკო,
მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარი — კაზაკოვი,
დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარი — ეფრემოვი,
ენერგეტიკული მრეწველობის სახალხო კომისარი — კაბანოვი,
გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარი — არუტუნოვი,
ჯანდაცვის სახალხო კომისარი — მიტერევი,
საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარი — აკიმოვი,
მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი — ლუკინი,
რსფსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი — სმირნოვი,
შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველო — მოსკატოვი.

ჩამოთვლილი პირები არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და გამოცდილი ხელმძღვანელები, რომლებიც სრულ პოლიტიკურ ნდობას იმსახურებენ.

ა. ჯულა
1942 წლის 30 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მე-4 სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე სუდოპლატოვის დანიშვნასთან დაკავშირებით.

მოსკოვში ოპერატიულ სამუშაოზე სუდოპლატოვი წამოსწია აქტიურმა ტროცკისტმა, ხალხის მტერმა ბალიცკიმ, უკრაინის შინსახკომის ყოფილმა სახალხო კომისარმა. უკრაინელი ნაციონალისტების ერთ-ერთი ლიდერის (კონოვალეცის) ფიზიკური ლიკვიდაციისთვის დაჯილდოებულია „საბრძოლო წითელი დროშის“ ორდენით.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი მერკულოვი და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის გენერალი სუდოპლატოვი თავიანთ საკუთარ ბინებს გორკის ქუჩაზე იყენებენ როგორც კონსპირაციულს უცხოელ დიპლომატებთან შესახვედრად, რაც ძვირფასი აგენტურის ჩავარდნის საშიშროებას შეიცავს. გთხოვთ მითითებას ამგვარი პრაქტიკის აკრძალვის შესახებ.

ა. ჯულა
1943 წლის 18 ნოემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1943 წლის 1 მარტს ამხ. სტალინის მისამართით მიღებულია შიფროგრამა ბერიას ხელმოწერით. მიღ. №3541.

„თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, ამხ. სტალინს. შინსახკომის რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ორგანოებში თვეობით ჰყავთ პატიმრები, რომლებსაც ოლქების სამხედრო ტრიბუნალებისა და ადგილობრივი სასამართლო ორგანოების მიერ მისჯილი აქვთ სასჯელის უმაღლესი ზომა და ელოდებიან უმაღლესი სასამართლო ინსტანციების მიერ დამტკიცებას.

ამჟამად შინსახკომის რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ციხეებში თავმოყრილია 10645 პატიმარი, რომლებსაც მისჯილი აქვთ სასჯელის უმაღლესი ზომა. საომარი დროის პირობებიდან გამომდინარე, შინსახკომს მიზანშეწონილად მიაჩნია:

1. ნება დაერთოს სსრკ შინსახკომს აღასრულოს განაჩენები.

2. ნება დაერთოს სსრკ შინსახკომის განსაკუთრებულ სათათბიროს სსრკ პროკურორის მონაწილეობით (რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე და 59-ე მუხლების მიხედვით) მიუსაჯოს სასჯელის შესაბამისი ზომები დახვრეტამდეც კი. განსაკუთრებული სათათბიროს გადაწყვეტილება ჩაითვალოს საბოლოოდ.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლ. ბერია“
1943 წლის 2 მარტი

დედანთან სწორია: ა. ჯულა

ნაწილი 6
დიდი მხედართმთავარი

1941 წლის 7 აგვისტოს ი.ბ. სტალინი დაინიშნა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად.

„უნდა ითქვას, რომ ი.ბ. სტალინის დანიშვნისთანავე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, უმაღლეს მთავარსარდლად და თავდაცვის სახალხო კომისრად, — წერდა თავის მოგონებებში გ.კ. ჟუკოვი, — გენშტაბში, თავდაცვის სახკომისარიატის ცენტრალურ სამმართველოებში, სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში და მთავრობისა და სახალხო მეურნეობის სხვა ორგანოებში, მყისვე იგრძნეს მისი მტკიცე ხელი.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თითოეულმა წევრმა მიიღო კონკრეტული დავალება და მკაცრად აგებდა პასუხს სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებაზე. ერთს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ტანკების გამოშვებაზე, მეორეს — პასუხისმგებლობა საბრძოლო მასალებით, სურსათითა და ტანსაცმლით მომარაგებაზე და ა.შ.

ჯარის სახეობათა სარდლებს ი.ბ. სტალინმა პირადად დაავალა, დაკავშირებოდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრებს და დაბმარებოდნენ მათ ზუსტად დანიშნულ ვადებში საჭირო ხარისხის სამხედრო პროდუქციის წარმოების პროგრამის შესასრულებელი სამუშაოს წარმართვაში.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ზემოქმედებით, ჯარების მართვის ხელოვნების ამაღლებით, შეიარაღებული ბრძოლის გამოცდილების დაგროვებით ძლიერდება მტრისთვის გაწეული წინააღმდეგობა. ყველა სახეობის ჯარების მებრძოლები გმირულად და თავგანწირვით მოქმედებდნენ. ჯარებში შესამჩნევად ამაღლდა სამხედრო დისციპლინა“

მსოფლიოში ცნობილი სამხედრო ავტორიტეტები და უდიდეს სახელმწიფოთა ხელმძღვანელები ახასიათებდნენ ი.ბ. სტალინს როგორც უგამოჩენილეს პოლიტიკურ მოღვაწეს.

დიდი სამამულო ომის დროს სტალინის მხედართმთავრული მოღვაწეობის შესახებ მარშალი ალექსანდრ ვასილევსკი, რომელიც ომის დროს დიდი ხნის განმავლობაში სათავეში ედგა საბჭოთა შეიარაღებული ძალების ტვინის — გენერალური შტაბის მუშაობას, წერდა: „მთავარბანაკის საქმიანობაში წარმმართველი და ხელმძღვანელი როლი მთელი ომის განმავლობაში უეჭველად ეკუთვნოდა უმაღლეს მთა-

ვარსარდალს. მას ჰქონდა უდიდესი გონება, რკინისებური ნება და გასაოცარი მეხსიერება, შეეძლო შესანიშნავად გარკვეულიყო ურთულეს საომარ სიტუაციაში (...) მიმაჩნია, რომ სტალინი უეჭველად უნდა მოვიხსენიოთ უგამოჩენილეს მხედართმთავართა შორის". და შემდეგ: „დიდი სამამულო ომის დროს ყველა უმნიშვნელოვანესი სწორი გადაწყვეტილება ი.ბ. სტალინის მიერ იყო ნაკარნახები".

აი, როგორ აღწერდა ი.ბ. სტალინის სამხედრო ნიჭს უინსტონ ჩერჩილი: „შემდეგ ზუსტად განვუმარტე ოპერაცია „ტორჩი". როცა თბრობა დავამთავრე, სტალინმა ცხოველი ინტერესი გამოხატა (...) სტალინმა, ჩანს, მყისიერად შეაფასა „ტორჩის" სტრატეგიული უპირატესობა. ჯერ ერთი, ეს გენერალ რომელს ზურგში დაარტყამს, მეორე, დააშინებს ესპანეთს, მესამე, გამოიწვევს საფრანგეთში გერმანელებისა და ფრანგების შეტაკებას, მეოთხე, იტალიას უშუალო დარტყმით დაემუქრება. (...) ამ შესანიშნავმა განცხადებამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან დამანახვა, რომ რუსმა დიქტატორმა სწრაფად და სრულად აითვისა პრობლემა, რომელიც მანამდე მისთვის სრულიად ახალი იყო. ადამიანთაგან ცოტა ვინმე თუ ჩაწვდებოდა იმ მოსაზრებებს, რომლებზეც თვეების განმავლობაში თავს ვიმტვრევდით. მან ეს ყველაფერი ელვისებურად შეაფასა".

ი.ბ. სტალინის როგორც უმაღლესი მთავარსარდლის განსაკუთრებულ როლის, ბრწყინვალე ნიჭისა და სამხედრო ცოდნის უმძლავრესი თანხვედრის გამოვლენის შესახებ თავიანთ მოგონებებსა და შრომებში საუბრობენ მისი თანამებრძოლნი, ფრონტების სარდლები.

1941 წლის ივლისში სტალინმა შეამოწმა, როგორ მიმდინარეობს მე-19, მე-20, 21-ე და 22-ე არმიების თავმოყრა იუხნოვოს რაიონში. იგი დაინტერესდა იმით, თუ რა აცვიათ ჯარისკაცებს, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს ზამთრის პირობებში ბრძოლების საწარმოებლად მოსკოვზე გერმანელების შეტევის შემთხვევაში. შედეგად, მოსკოვის მისადგომებთან ზამთრის კამპანიის დროს საბჭოთა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ეცვათ ხარისხიანი ჯუბები და „ვალენკები" — თექის ჩექმები, ეხურათ ზამთრის ქუდები. ამ დროს კი გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 30 პროცენტზე მეტი, ვისაც საზაფხულო ტანსაცმელი ეცვა, მოიყინა და ბრძოლებში მონაწილეობა ვერ მიიღო.

1941 წლის სექტემბერში სტალინმა პირადად შეამოწმა, როგორ მიმდინარეობდა მოჟაისკის თავდაცვის ხაზის (სერპუხოვი-სოლნეჩნოგორსკი-ზვენიგოროდი) გამაგრებითი სამუშაოები. ამ საინსპექციო დათვალიერების შემდეგ სტალინის ბრძანებით მთავარბანაკის რე-

ზერვიდან ამ მთავარ მიმართულებაზე დამატებით გადმოიყვანეს მსროლელთა ექვსი დივიზია, ექვსი სატანკო ბრიგადა და ათი საარტილერიო პოლკი. ოქტომბრის 20-იან რიცხვებში სტალინმა მოინახულა ვოლოკოლამსკის გზატკეცილზე განლაგებული მე-16 არმია, რომელსაც როკოსოვსკი სარდლობდა და დააკვირდა საარაკეტო დანადგარების БМ-13 („კატიუშა") მუშაობას.

1941 წლის შუა ნოემბერში სტალინი მივიდა ვოლოკოლამსკის გზატკეცილთან მდებარე სოფელ ლენინო-ლუპიხაში განლაგებულ საველე ჰოსპიტალში, ესაუბრა დაჭრილ მებრძოლებს, დაწვრილებით გამოჰკითხა მოსკოვზე შეტევაში მონაწილე გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების საბრძოლო თვისებების შესახებ. ამას გარდა, ესტუმრა სოფელ გუსევოს რაიონში ვოლოკოლამსკის გზატკეცილზე განლაგებული 316-ე დივიზიის ნაწილებს, რომლებსაც მეთაურობდა გენერალი პანფილოვი.

სწორედ ეს დივიზია აღუდგა წინ მთავარი მიმართულებით მოსკოვზე შემტევ გერმანელთა ჯარებს. სწორედ მის რიგებში იყვნენ სახელგანთქმული გმირები: 28 პანფილოველმა, რომლებსაც მეთაურობდა პოლიტხელი კლოჩკოვი, მოსკოვისკენ მიმავალი ჰიტლერელთა 50 ტანკი გაანადგურა.

დედაქალაქის მისადგომებთან ბრძოლები იმდენად მძაფრი იყო, რომ თვით ჟუკოვმაც ვერ გაუძლო. მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილი სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. არტემიევი თავის მოგონებებში წერდა: „როცა მოსკოვს საშიშროება დაემუქრა, არცერთი ჩვენგანი დარწმუნებული არ იყო ჩვენი ჯარების წარმატებაში. ჟუკოვმაც კი ვერ გაუძლო. მან დაურეკა სტალინს და სთხოვა, ნება დაერთო, თავისი შტაბი პერხუშკოვოდან ბელორუსიის რკინიგზის სადგურზე გადაეტანა. სტალინმა უპასუხა: „თუ თქვენ ბელორუსიის სადგურზე დაიხევთ, თქვენს ადგილს მე დავიკავებ". ჟუკოვს მეტჯერ არაფერი უთხოვია უმაღლესი მთავარსარდლისთვის"

მოსკოვისთვის ბრძოლის დროს ზურგის სარდლის მოადგილე, შემდგომში თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი ვასილ ვინოგრადოვი, რომელიც თითქმის ყოველდღე ხვდებოდა სტალინს, ადასტურებდა, რომ სწორედ უმაღლესი მთავარსარდალი იყო ყველაზე მშვიდი და საოცრად გაწონასწორებული ადამიანი. ამასვე ადასტურებს მარშალი კონსტანტინე როკოსოვსკი.

„ფრონტის სარდალთან ცხარე კამათიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ღამე დავბრუნდი ისტრის პოზიციიდან, სადაც მწვავე ბრძოლა

მიმდინარეობდა. მორიგემ მიპატაკა, რომ არმიის სარდალს ВЧ კავშირზე იძახებს სტალინი. იმ დროს მოწინააღმდეგემ ჩვენს ნაწილებს უკან დაახევინა. უმნიშვნელოდ დაახევინა, მაგრამ მაინც... ერთი სიტყვით, ტელეფონის აპარატისკენ რომ მივდიოდი, ჟუკოვთან საუბრიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებით, წარმოვიდგინე, რა ღვთის რისხვაც მელოდა. ყოველ შემთხვევაში, უარესისთვის მოვემზადე. ავიღე სასაუბრო ყურმილი და წარვუდექი. პასუხად გავიგონე უმაღლესი მთავარსარდლის მშვიდი ხმა. მან მკითხა, რა მდგომარეობა არისო ისტრის მიჯნაზე. ამის შესახებ რომ მოვახსენებდი, შევეცადე, უცებვე მეთქვა მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახული ღონისძიებების შესახებ. მაგრამ სტალინმა რბილად შემაჩერა და მითხრა, რომ ჩემი ღონისძიებების შესახებ ლაპარაკი საჭირო არ იყო, რითაც ხაზი გაუსვა, რომ ენდობოდა არმიის სარდალს. (...)

საუბრის დასასრულს სტალინმა მკითხა, გვიჭირს თუ არა. დადებითი პასუხი რომ მიიღო, მითხრა, რომ ჩემი კარგად ესმის: „გთხოვთ, ცოტა ხანს კიდევ გამაგრდეთ, ჩვენ დაგეხმარებით...“ საჭიროა კი ბევრი ლაპარაკი იმაზე, თუ რას ნიშნავდა უმაღლესი მთავარსარდლის ასეთი ყურადღება მათთვის, ვისთვისაც იგი განკუთვნილი იყო. თბილი, მამობრივი ტონი გვამხნევებდა და რწმენას გვიმტკიცებდა.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ დილისთვის არმიამ დაპირებული დახმარება მიიღო: „კატიუშების“ პოლკი, ორი ტანკსაწინააღმდეგო პოლკი, ოთხი ასეული ტანკსაწინააღმდეგო თოფებით და ტანკების სამი ბატალიონი. კიდევ სტალინმა გამოგვიგზავნა 2 ათასზე მეტი მოსკოველი — შევსება“.

თავის მოგონებებში საბჭოთა კავშირის მარშალი გ.კ. ჟუკოვი, რომელმაც, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილემ, სტალინთან ერთად მთელი ომი განვლო, წერს:

„ი.ბ. სტალინი მტკიცე ნებისყოფის ადამიანი იყო და უშიშარი, ვითარცა უხორცო. ერთგვარად დათრგუნვილი მხოლოდ ერთხელ ვნახე. ეს იყო 1941 წლის 22 ივნისის გამთენიისას.

ი.ბ. სტალინის გამოსვლიდან 1942 წლის 5 იანვარს მთავარბანაკში წითელი არმიის საერთო შეტევის პროექტის განხილვის დროს: „გერმანელები დაბნეულები არიან მოსკოვის მისადგომებთან დამარცხებით, ზამთრისთვის ისინი ცუდად მოემზადნენ. უნდა შევუტიოთ. ვაიძულოთ გერმანელები, ჯერ კიდევ გაზაფხულამდე ამოწურონ თავიანთი რეზერვები. (...)

მთავარი დარტყმა მივაყენოთ დაჯგუფება „ცენტრს“. გავანადგუროთ

ჩრდილო-დასავლეთის, კალინინის და დასავლეთის ფრონტების მარცხენა ფრთის ძალებით მოწინააღმდეგის მთავარი ძალების ორმხრივი შებოჭვით, შემდგომ ალყაში მოქცევითა და განადგურებით რჟევის, ვიაზმისა და სმოლენსკის რაიონში. სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტების ჯარებმა გაანადგურონ არმიების დაჯგუფება „სამხრეთი“ და გაათავისუფლონ დონბასი.

კავკასიის ფრონტმა შავის ზღვის ფლოტთან ურთიერთმოქმედებით გაათავისუფლოს ყირიმი.

საბრძოლო წარმატებების მოსაპოვებლად ორი პირობის დაცვაა აუცილებელი.

პირველი. მოქმედება დამრტყმელი ჯგუფებით. ჩვენი ჯარები, ჩვეულებრივ, უტევენ ცალკეული დივიზიებით ან ბრიგადებით, რომლებიც ფრონტის გასწვრივ ჯაჭვისებურად არიან განლაგებული. გასაგებია, რომ შეტევის ასეთი ორგანიზება ეფექტს ვერ მოგვცემს, რადგან ვერ უზრუნველყოფს ძალების უპირატესობას რომელიმე უბანზე. აუცილებელია, რომ ყველა არმიაში, რომელიც მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევას, შეიქმნას დამრტყმელი ჯგუფი სამი ან ოთხი დივიზიის შემადგენლობით, რომლებიც მიმართული იქნება ფრონტის განსაზღვრულ უბანზე დარტყმის განსახორციელებლად. ეს არის არმიების სარდლობის უპირველესი ამოცანა, რადგან მხოლოდ ამგვარად გახდება შესაძლებელი ძალთა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება და ფრონტის განსაზღვრულ უბანზე მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის წარმატებულად განხორციელება.

მეორე. ჩვენები მოწინააღმდეგის თავდაცვით ზოლებს ხშირად უტევენ ქვეითი ჯარით, უარტილერიოდ, არტილერიის მხრიდან რაიმე მხარდაჭერის გარეშე და შემდეგ ჩივიან, რომ ქვეითები არ მიდიან თავდაცვაში მყოფი და ჩასანგრებული მტრის წინააღმდეგ. გასაგებია, რომ ასეთი „შეტევა“ სასურველ ეფექტს ვერ იძლევა. ეს შეტევა კი არა, დანაშაულია — დანაშაული სამშობლოს წინაშე, ჯარების წინაშე, რომლებიც იძულებულია, გაიღოს უაზრო მსხვერპლი. ეს ნიშნავს, ჯერ ერთი, იმას, რომ არტილერია არ შეიძლება შეიზღუდოს შეტევამდე ერთი ან ორი საათის განმავლობაში ერთდროული მოქმედებით, არამედ უნდა შეუტიოს ქვეითებთან ერთად, ცეცხლი უნდა გახსნას შეტევის მთელი დროის განმავლობაში მცირე შესვენებებით, სანამ მოწინააღმდეგის თავდაცვის ზოლი მთელ სიღრმეში არ იქნება განადგურებული.

ეს ნიშნავს, მეორეც იმას, რომ ქვეითმა ჯარმა უნდა შეუტიოს არა

არტილერიის ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, რაც ხდება ხოლმე ე.წ. „საარტილერიო მომზადების“ დროს, არამედ არტილერიის შეტევასთან ერთად, არტილერიის ცეცხლის თანხლებით.

მესამეც, ეს ნიშნავს იმას, რომ არტილერიამ გაფანტულად კი არ უნდა იმოქმედოს, არამედ ძლების თავმოყრით და იგი ფრონტის ნებისმიერ ადგილზე კი არ უნდა იყოს, არამედ არმიის, ფრონტის დამრტყმელი ჯგუფის მოქმედების რაიონში და — მხოლოდ ამ რაიონში, რადგან ამ პირობის დაუცველად უაზროა საარტილერიო შეტევა“.

სტალინის ეს უბრალო, მაგრამ მნიშვნელოვანი დებულებები გაფორმდა მთავარბანაკის დირექტიულ წერილად, რომელიც 1942 წლის 10 იანვარს ფრონტებისა და არმიების სარდლებმა მიიღეს.

წერილში ფრონტებს პრაქტიკული მითითებები ეძლეოდა დამრტყმელი ჯგუფების მოქმედებისა და საარტილერიო შეტევის ორგანიზების თაობაზე“.

2. 1942 წლის 28 აგვისტოს ი.ბ. სტალინმა მითითებები მისცა გ.კ. ჟუკოვს სტალინგრადის ფრონტზე მთავარბანაკის წარმომადგენლად მისი მივლინების წინ:

„მძიმე მდგომარეობის გამო ვუბრძანე, სასწრაფოდ გადაეყვანათ პირველი გვარდიული არმია, რომელსაც მოსკალენკო სარდლობს, ლიოზნოეს რაიონში და 2 სექტემბრის დილიდან მას და სტალინგრადის ფრონტის სხვა ნაწილებს კონტრდარტყმა განეხორციელებინათ ვოლგაზე გაჭრილი მტრის დაჯგუფების წინააღმდეგ და შეერთებოდნენ 62-ე არმიას. ამავე დროს, სტალინგრადის ფრონტის შემადგენლობაში გადაჰყავთ გენერალ მალინოვსკის 66-ე არმია და გენერალ კოზლოვის 24-ე არმია. თქვენ უნდა მიიღოთ ღონისძიებანი იმისთვის, რომ გენერალ მოსკალენკოს პირველმა გვარდიულმა არმიამ 2 სექტემბერს განახორციელოს კონტრდარტყმა და მის საფარქვეშ შეტევის რაიონებში გავიდნენ 24-ე და 66-ე არმიები. ეს ორი არმია ბრძოლაში დაუყოვნებლივ უნდა ჩაებას, თორემ ჩვენ სტალინგრადს დავკარგავთ“.

1942 წლის 3 სექტემბერს ჟუკოვმა სტალინის დეპეშა მიიღო:

„სტალინგრადის მდგომარეობა გაუარესდა. მოწინააღმდეგე სტალინგრადიდან სამ ვერსზე იმყოფება. სტალინგრადი შეიძლება დღეს ან ხვალ აიღონ, თუ ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფი დაუყოვნებლივ არ დაეხმარება. მოსთხოვეთ ჯარების სარდალს, რომლებიც სტალინგრადის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით დგანან, დაუყოვნებ-

ლივ დაარტყან მოწინააღმდეგეს და დაუყოვნებლივ დაეხმარონ სტალინგრადელებს. დაყოვნება დაუშვებელია. დაყოვნება ახლა დანაშაულის ტოლფასია. მთელი ავიაცია სტალინგრადის დასახმარებლად გადაისროლეთ. სტალინგრადში ავიაცია ძლიან ცოტა დარჩა".

1942 წლის 5 სექტემბერს, გვიან საღამოს სტალინმა ჟუკოვს უბრძანა: „განაგრძეთ შეტევა. თქვენი მთავარი ამოცანაა, მოწინააღმდეგის რაც შეიძლება მეტი ძალა მოაცილოთ სტალინგრადს".

1942 წლის 11 ნოემბერს უმაღლესმა მთავარსარდალმა ი.ბ. სტალინმა გ.კ. ჟუკოვს დეპეშით განუმარტა, მომავალი კონტრშეტევის დროს როგორ უნდა გამოიყენონ ავიაცია.

„თუ ერიომენკოს და ვატუტინს ოპერაციის ავიამომზადება არადამაკმაყოფილებელი ექნებათ, — უდეპეშებდა სტალინი, — ოპერაცია ჩაიფუშება. გერმანელებთან ომის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ოპერაცია გერმანელების წინააღმდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოვიგოთ, თუ გვაქვს უპირატესობა ჰაერში. ამ შემთხვევაში ჩვენმა ავიაციამ სამი ამოცანა უნდა შეასრულოს:

პირველი — ჩვენი ავიაციის მოქმედება მიმართეთ ჩვენი დამრტყმელი ძალების შეტევის რაიონზე, რათა დაჯაბნოს გერმანელების ავიაცია და საიმედოდ დაიფაროს ჩვენი ჯარები.

მეორე — გზა გაუკაფოს ჩვენს შემტევ ნაწილებს მათ პირისპირ მდგარი გერმანელთა ჯარების სისტემატური დაბომბვით.

მესამე — მისდიოს მოწინააღმდეგის უკან დახეულ ნაწილებს სისტემატური დაბომბვითა და შეტევითი მოქმედებით, რათა საბოლოოდ გაშალოს ისინი და საშუალება არ მისცეს, გამაგრდნენ თავდაცვის უახლოეს ზღუდეებზე.

თუ ნოვიკოვი ფიქრობს, რომ ჩვენს ავიაციას ამჟამად ძალა არ შესწევს ამ ამოცანების შესასრულებლად, უკეთესი იქნება, ოპერაცია გარკვეული დროით გადავდოთ და რაც შეიძლება მეტი ავიაცია დავაგროვოთ".

როცა უმაღლესი მთავარსარდალი ვერ დააკმაყოფილა დონის ფრონტის მარჯვენა ფრთის მოქმედებამ, 1942 წლის 23 ნოემბერს მან შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ამ ფრონტის სარდალს კ.კ. როკოსოვსკის:

„... გერმანელების მე-3 მოტოდივიზია და მე-16 სატანკო დივიზია მოხსნილია თქვენი ფრონტიდან და ამჟამად ისინი იბრძვიან 21-ე არმიის ფრონტის წინააღმდეგ. ეს გარემოება კეთილსასურველ ვითარებას ქმნის საიმისოდ, რომ თქვენი ფრონტის ყველა არმია აქტიურ მოქმედებას შეუდგეს. გალანინი დუნედ მოქმედებს, მიეცით მითითე-

ბა, რომ არაუგვიანეს 24 ნოემბრისა აიღოს ვერტიაჩი. მიეცით ასევე მითითება ჟადოვს, რათა დაიწყოს აქტიური მოქმედება და მიიზიდოს მოწინააღმდეგის ძალები. უბიძგეთ როგორც საჭიროა ბატოვს, რომელსაც ამჟამად შექმნილ მდგომარეობაში შეუძლია უფრო მტკიცედ იმოქმედოს“.

სტალინის მხედართმთავრული ნიჭი ნათლად გამობრწყინდა კურსკის რკალის ბრძოლის გეგმის შემუშავების დროს. ამ ბრძოლაში დამარცხებამ ფაშისტური გერმანია კატასტროფის წინაშე დააყენა.

დაისვა კითხვა, როგორ უნდა წარიმართოს ბრძოლა კურსკთან: დალოდებოდნენ, სანამ გერმანელები დაიწყებდნენ შეტევას, თუ ჩვენ წინმსწრებად დაგვერტყა მტრისათვის.

მრავალგზისი განხილვის შემდეგ უმაღლესმა მთავარსარდალმა გადაწყვიტა, დახვედროდნენ გერმანელების შეტევას ღრმად ეშელონირებული თავდაცვის ყველა სახეობის ცეცხლით, ავიაციის მძლავრი დარტყმებითა და ოპერატიული და სტრატეგიული რეზერვების კონტრდარტყმებით. შემდეგ, მოწინააღმდეგის დასუსტებითა და სისხლისგან დაცლით, ბოლო მოუღოს მას მძლავრი კონტრშეტევით ბელგოროდ-ხარკოვისა და ორლოვის მიმართულებებით, რის შემდეგაც განხორციელდეს ღრმა შეტევითი ოპერაციები ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებით.

ი.ბ. სტალინის გადაწყვეტილება სავსებით სწორი გამოდგა და გამოიწვია გერმანელების განადგურება ბრძოლაში, რამაც ბევრად განსაზღვრა დიდი სამამულო ომის შედეგი.

კურსკის რკალის გაცხარებული ბრძოლის დროს, 1943 წლის 9 ივლისის განთიადისას სტალინმა დაურეკა ჟუკოვს და შეეკითხა:

— ხომ არ დადგა დრო, საქმეში ჩავრთოთ ბრიანსკის ფრონტი და დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთა?

დადებითი პასუხი რომ მიიღო, უბრძანა: — წადით პოპოვთან და ჩართეთ საქმეში ბრიანსკის ფრონტი.

კურსკის რკალის ბრძოლის დროს სტალინმა ვორონეჟის ფრონტის გასაძლიერებლად ძალიან გონივრულად გამოიყენა სტეპის ფრონტი. ამ ოპერაციაზე რომ ლაპარაკობდა, გ.კ. ჟუკოვმა აღნიშნა, რომ სტეპის ფრონტის ჯარები თავდაცვითი ბრძოლების დროს ვორონეჟის ფრონტის გასაძლიერებლად რომ არ შეეყვანათ, ეს უკანასკნელი უკიდურესად რთულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩენილიყო.

1943 წლის 12 ივლისს სტალინმა დაწვრილებითი მითითებები მისცა ჟუკოვს, როგორ უნდა მოეხდინა ვორონეჟისა და სტეპის ფრონ-

ტების მოქმედების კოორდინირება. ამასთან, უმაღლესმა მთავარსარდალმა დაავალა ა.მ. ვასილევსკის, ვორონეჟისა და სტეპის ფრონტების დასახმარებლად დაეწყო შეტევა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე. სტალინის ამ მითითებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გამარჯვების მიღწევის საქმეში.

1943 წლის 4 იანვარს სტალინმა გენერალურ შტაბს უკარნახა დეპეშა ამიერკავკასიის ფრონტის სარდალ, არმიის გენერალ ტიულენინისთვის. მისი შინაარსი დაბეჯითებით ადასტურებს, რამდენად დიდად იყო კომპეტენტური სტალინი მხედართმთავრულ ხელოვნებაში.

„პირველი. მოწინააღმდეგე ჩრდილოეთ კავკასიიდან უკან იხევს, ცეცხლს უკიდებს საწყობებს და აფეთქებს გზებს. მასლენიკოვის ჩრდილოეთის ჯგუფი გარდაიქმნება სარეზერვო ჯგუფად, რომლის ამოცანა მოწინააღმდეგის მსუბუქად დევნაა. ჩვენთვის მომგებიანი არ არის მოწინააღმდეგის ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოდევნა. ჩვენთვის უფრო მომგებიანია მისი იქ შეჩერება, რათა შავი ზღვის ჯგუფის დარტყმით ალყაში მოვაქციოთ იგი. შედეგად, ამიერკავკასიის ფრონტის ოპერაციების ცენტრი გადაინაცვლებს შავი ზღვის ჯგუფის რაიონში, რაც არ ესმით არც მასლენიკოვს, არც პეტროვს.

მეორე. მსროლელთა მე-3 კორპუსი ჩრდილოეთის ჯგუფის რაიონიდან დაჩქარებული ტემპით დაუყოვნებლივ გადაიყვანეთ შავი ზღვის ჯგუფის რაიონში.

მასლენიკოვს შეუძლია საქმეში ჩართოს 58-ე არმია, რომელიც რეზერვში ჰყავს და რომელსაც ჩვენი წარმატებული შეტევის პირობებში შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა.

შავი ზღვის ჯგუფის პირველი ამოცანაა, გავიდეს ტიხორეცკაიამდე და ამით ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგეს, გაიტანოს თავისი ტექნიკა დასავლეთში. ამ საქმეში თქვენ დაგეხმარებათ 51-ე არმია და, შესაძლოა, 28-ე არმია.

მეორე და მთავარი ამოცანა არის ის, რომ შავი ზღვის ჯგუფიდან გამოიყოს ჯარების მძლავრი კოლონა, დაიკავოთ ბოტაისკი და აზოვი, აღმოსავლეთიდან შეაღწიოთ როსტოვში და ამრიგად ჩაკეტოთ მოწინააღმდეგის ჩრდილო-კავკასიური ჯგუფი მისი დატყვევებისა და განადგურების მიზნით. ამ საქმეში თქვენ დაგეხმარებათ სამხრეთის ფრონტის მარცხენა ფლანგი — ერიომენკო, რომლის მიზანია როსტოვის ჩრდილოეთით გასვლა.

მესამე. უბრძანეთ პეტროვს, რათა დროზე დაიწყოს თავისი შეტევა და ეს საქმე რეზერვების მოლოდინში არცერთი საათით არ გააჭია-

ნუროს. პეტროვი ყოველთვის თავდაცვაში იმყოფებოდა და შეტევის გამოკლდილება არ გააჩნია. გააგებინეთ, რომ თითოეული დღე, თითოეული საათი ძვირად უნდა უღირდეს.

მეოთხე. დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ შავი ზღვის ჯგუფის რაიონში და უზრუნველყავით აღნიშნული დირექტივის შესრულება“

ი.ბ. სტალინის მხედართმთავრული გენიის ჭეშმარიტი გამოვლინება იყო ომის დაწყების წინა დღეს სსრკ შეიარაღებული ძალების ძირითადი კადრების დასავლეთის ახალ, გაუმაგრებელ საზღვრებზე გადაყვანის აკრძალვა, რამაც, საბოლოო ჯამში, ჩაშალა ჰიტლერელების შორსმიმავალი გეგმები და დაამარცხა ფაშისტური გერმანია.

ი.ბ. სტალინმა აბსოლუტურად სწორად შეაფასა სსრკ-ზე გერმანიის თავდასხმის შესახებ მიღებული ცნობები, როგორც, ერთი მხრივ, სარწმუნო და, მეორე მხრივ, როგორც მისწრაფება წითელი არმიისთვის არახელსაყრელ პირობებში საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძირითადი კადრების თავმოყრა დასავლეთის ახალი გაუმაგრებელი საზღვრების გასწვრივ.

ამასთან, დაზვერვის მონაცემების მიღებამდე სტალინმა გამოიცნო ჰიტლერელთა „ნორდული“ ცბიერება: სსრკ-ის წინააღმდეგ ელვისებური ომის გეგმა („ბარბაროსა“). იმის გამო, რომ გერმანიის ეკონომიკა ვერ გაუძლებდა ხანგრძლივ ომს სსრკ-ის წინააღმდეგ, ფაშისტურმა ხელმძღვანელობამ მთელი იმედი „ელვისებურ“ ომზე დაამყარა.

ჰიტლერული „ელვისებური“ ომის არსი შემდეგი იყო. როგორც კი მიიღებდა სტალინი მონაცემებს იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირის საზღვართან თავს იყრიან გერმანიის ჯარები და ცნობილი გახდებოდა თავდასხმის თარიღი, იგი საყოველთაო მობილიზაციის, სამხედრო ძალებში სამხედრო ვალდებულთა გაწვევის გამოუცხადებლად (რადგან ეს იქნებოდა გერმანიისთვის ომის გამოცხადება, რასაც სტალინი არასოდეს გააკეთებდა. ცნობილია, რომ ასეთი პრეცედენტი რუსეთის ისტორიაში უკვე იყო, როცა 1914 წელს მეფის რუსეთს გერმანიისთვის ომი არ გამოუცხადებია, მხოლოდ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა), თავს მოუყრიდა სსრკ-ში არსებულ ძირითად შეიარაღებულ ძალებს სსრკ-ის ახალი, ფაქტობრივად ჯერ კიდევ გაუმაგრებელი საზღვრების გასწვრივ. ამასთან, საბჭოთა სარდლობას მოუწევდა საზღვრისპირა რაიონებში თვითმფრინავების და ტანკების განთავსება ჰიტლერელებისთვის კარგად ცნობილ რაიონებში განლაგებულ აეროდრომებსა და ტანკოდრომებზე, რადგან პოლონეთის, ყოფილი კაპიტალისტური სახელმწიფოების — ლატვიის, ეს-

ტონეთის, ლიტვის გენერალური შტაბების რუკები მათ ხელთ ჰქონდათ ჩაგდებული. მას შემდეგ, რაც სსრკ-ის ძირითადი შეიარაღებული ძალები თავს მოიყრიდა სუსტად გამაგრებულ საზღვრებზე, ჰიტლერელები ომის გამოუცხადებლად მოულოდნელად თავს დაგვესხმოდნენ და არმიების სამი ჯგუფით — ჩრდილოეთის, ცენტრის და სამხრეთის, სამი სატანკო სოლით, რომელთაც დაიცავდა გერმანულ-ფაშისტური ავიაცია, გაარღვევდნენ ფრონტს. იმ პირობებში, როცა გერმანელებს ჰქონდათ სამჯერადი უპირატესობა ახალ ტანკებსა და თვითმფრინავებში, გერმანიის არმია უახლესი სამხედრო ტექნიკით იყო აღჭურვილი, როცა ფაშისტური გერმანიის ძირითად შეიარაღებულ ძალებს პრაქტიკულად ათვისებული ჰქონდათ ომის წარმოების ახალი მეთოდები, შეძენილი ჰქონდათ თანამედროვე სამხედრო ოპერაციების წარმართვის ორწლიანი გამოცდილება, ამასთან, სსრკ შეიარაღებულ ძალებს რაოდენობრივად აჭარბებდა, ფრონტის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ფრონტის გარღვევის შემდეგ ჰიტლერელთა ჯარები ალყაში მოაქცევდნენ წითელი არმიის დანაყოფებს, წარმოქმნიდნენ უზარმაზარ „ქვაბს“, რომელშიც საბოლოოდ გაანადგურებდნენ ალყაში მოქცეულ წითელი არმიის რეგულარულ ნაწილებს. ამრიგად, ერთი ელვისებური დარტყმით ბოლოს მოუღებდნენ რეგულარულ წითელ არმიას, გაანადგურებდნენ მის ძირითად ბირთვს და საბჭოთა მთავრობა ვერსად გაიწვევდა თავის რეზერვისტებს, რადგან კადრის მეთაურთა შემადგენლობა აღარ იარსებებდა. საზღვრისპირა რაიონებში სსრკ-ის ძირითადი რეგულარული შეიარაღებული ძალების განადგურების შემდეგ, ჰიტლერელთა ჯარები სსრკ-ის ტერიტორიაზე მეტ-ნაკლები წინააღმდეგობის გარეშე განაგრძობდნენ სვლას და ომს რამდენიმე კვირაში, უკიდურეს შემთხვევაში, რამდენიმე თვის განმავლობაში მოიგებდნენ. 1941 წლის 31 იანვრის დირექტივაში ОКХ №21, რომელიც განმარტავდა და ავსებდა „ბარბაროსას“ გეგმას, გერმანული შეიარაღებული ძალების წინაშე დასახული იყო მთავარი პრაქტიკული ამოცანა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დროს: „ოპერაცია იმგვარად უნდა წარვმართოთ, რომ დასავლეთ რუსეთში მყოფი რუსული ჯარების მასა გავანადგუროთ დამრტყმელი სატანკო ჯგუფების უსწრაფესად წინსვლის გზით და ხელი შევუშალოთ ბრძოლისუნარიანი ჯარების რუსეთის ტერიტორიის სივრცეში უკანდახევას“.

აი, რა ჩაწერა გერმანიის შეიარაღებული ძალების სსრკ-ზე თავდასხმის ამ მთავარი ამოცანის შესახებ თავის დღიურში გებელსმა:

„ფიურერი დაწვრილებით მიხსნის მდგომარეობას. რუსეთზე შეტევა დაიწყება, როგორც კი დამთავრდება ჩვენი ძალების გაშლა. ყველაზე საუკეთესო, რისი იმედიც შეიძლება გვქონდეს: სილრმეში რომ მოახდინონ ეშელონირება, ეს დიდი საფრთხე შეიძლება გახდეს ჩვენთვის. მათ განკარგულებაშია 150-200 დივიზია, შეიძლება, ოდნავ ნაკლებიც, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, დაახლოებით იმდენი, რამდენიც ჩვენ გვაქვს, თუმცა, მატერიალური ძალის თვალსაზრისით საერთოდ ვერც შეგვედრებიან. ჩვენ არ ვკამათობთ პრესაში, ხმას არ ვიღებთ და ერთ მშვენიერ დღეს უბრალოდ დავარტყამთ“.

ამრიგად, „ელვისებური“ ომის სტრატეგია ავანტიურაზე იყო აგებული, იმ იმედით, რომ ჰიტლერი სტალინის მოტყუებას შეძლებდა: საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადებამდე საბჭოთა კავშირი თავის რეგულარულ ჯარებს ახალ საბჭოთა საზღვრებთან განალაგებდა.

ამ პირობებში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო არა ახალ საბჭოთა საზღვრებთან ჯარების თავმოყრა, არამედ ღრმად ეშელონირებული თავდაცვის ორგანიზება: საბჭოთა რეგულარული ჯარების გაშლა უდიდეს ტერიტორიაზე — 4,5 ათას კილომეტრის ფრონტზე და 400 კმ სიღრმეში გაშორიშორება.

1941 წლის 22 ივნისის დილისთვის 170 საბჭოთა დივიზიიდან ბალტიკიდან კარპატებამდე პირველ ეშელონში აღმოჩნდა მხოლოდ 56 დივიზია, დანარჩენი დისლოცირებული იყო საზღვრიდან 400 კილომეტრ სიღრმეში.

სტალინის მხოლოდ ამ ბრძნული გადაწყვეტილების წყალობით, ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ საყოველთაო მობილიზაციის და ქვეყნის ერთიან სამხედრო ბანაკად გამოცხადების შედეგად შესაძლებელი გახდა ჰიტლერელთა ელვისებური ომის გეგმის ჩაფუშვა, აქტიური სტრატეგიული თავდაცვის ორგანიზება და უახლეს ტანკებსა და თვითმფრინავებში მოწინააღმდეგის რაოდენობრივი უპირატესობის ლიკვიდირებით გამარჯვების მიღწევა.

სწორედ ამის გაკეთება შეძლო დიდმა მხედართმთავარმა და ბრძენმა სახელმწიფო მოღვაწემ იოსებ ბესარიონის ძე სტალინმა.

ჰიტლერული გეგმის „ბარბაროსას“ ძირითადი იდეის შესახებ მარშალი ჟუკოვი შემდგომ წერდა: „მაგრამ ძალიან მალე გაირკვა, რომ „ბარბაროსას“ გეგმა არარეალური აღმოჩნდა. როგორ ჩვენთვის ცნობილია, ამ გეგმის ძირითადი იდეა იყო საზღვრისპირა ოლქებში განლაგებული წითელი არმიის მთავარი ძალების ალყაში მოქცევა და

განადგურება. მტერი იმედოვნებდა, რომ მათი დაკარგვით, საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობა ვერაფრით დაიცავდა მოსკოვს, ლენინგრადს, დონბასსა და კავკასიას. მაგრამ გერმანელ-ფაშისტთა სარდლობამ ვერ შეძლო ამ ამოცანების განხორციელება".

ალბათ, თქმულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანელ-ფაშისტთა ჯარების მძიმე დანაკარგების გამო ჰიტლერს, რომელმაც შეიტყო, რომ მის მიერ ჩაფიქრებული პროვოკაცია ჩაიშალა და რომ სტალინმა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არ მოიყვანა ძირითადი შეიარაღებული ძალები სსრკ-ის სუსტად გამაგრებულ საზღვრებთან, დაემართა მძიმე ჰიპერტონიული კრიზი, რამაც, ჰიტლერის პირადი ექიმის მოწმობით, გამოიწვია ტვინში სისხლის ჩაქცევა.

აი, რას წერდა შემდგომ თავის მოგონებებში ჰიტლერის ადიუტანტი ფონ ბელოფი:

„...ივლისის ბოლოს ავადმყოფობის გამო ჰიტლერი სრულიად განერიდა საქმეებს. ოფიციალურად მალავდნენ, რომ იგი არ გამოდიოდა საერთო მაგიდასთან და არ მონაწილეობდა ოპერატიულ თათბირებში. მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ იგი თავს ცუდად გრძნობდა. დოქტორი მორელი მიანიშნებდა, რომ ლაპარაკია შესაძლო მსუბუქ ჩაქცევაზე. გული და სისხლის მიმოქცევა ნორმიდან ამოვარდნილია, მაგრამ იგი შეძლებს, მოკლე დროში დაუბრუნოს ფიურერს უწინდელი ქმედუნარიანობა. მართლაც, რამდენიმე დღეში უკეთესობა შევამჩნიეთ. ჰიტლერის დაავადების შესახებ მკაცრად გვიბრძანეს, ჩუმად ვყოფილიყავით".

ფაშისტური გერმანიის თავდასხმის წინ ი.ბ. სტალინის დამსახურება საბჭოთა ხალხის წინაშე, ჯერ შემარიტად უდიდესია. ჰიტლერელებს რომ განეხორციელებინათ ელვისებური ომის გეგმა და გაემარჯვათ, საბჭოთა კავშირის ხალხებს დაემუქრებოდა არა დამონება, არამედ ფიზიკური განადგურება.

„ბარბაროსას" პარალელურად ჰიტლერელებმა შეიმუშავეს გეგმა „ოსტი". ამ გეგმით გათვალისწინებული იყო, გამარჯვების შემდეგ მთელი ციმბირი დაეფარათ „ოსვენციმის" ტიპის ბანაკებით და პრაქტიკულად განეხორციელებინათ საბჭოთა ადამიანების მასობრივი ამოწყვეტა: დაახლოებით 30 წელიწადში ფიზიკურად გაენადგურებინათ საბჭოთა ხალხის უდიდესი ნაწილი, უწინარესად — რუსები.

წიგნში „მაინ კამპფ" ჰიტლერი დაუფარავი ცინიზმით წერდა: „ყველა საშუალებით უნდა შევძლოთ, რომ მსოფლიო დაიპყრონ გერმა-

ნელებმა. თუ გვსურს შევქმნათ ჩვენი დიადი გერმანული იმპერია, უწინარეს ყოვლისა, უნდა განვდევნოთ და ამოვწყვიტოთ სლავი ხალხები — რუსები, პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, ბულგარელები, უკრაინელები, ბელორუსები. არ არის არავითარი მიზეზი, ეს რომ არ გავაკეთოთ“

1945 წლის 24 ივნისს გამარჯვების აღლუმზე გამოსვლისას, გ.კ. ჟუკოვი გამარჯვების მოპოვებაში ი.ბ. სტალინის გადამწყვეტ როლს რომ აღნიშნავდა, ლაპარაკობდა:


„წითელმა არმიამ თავისი გენიალური მხედართმთავრის, მარშალ სტალინის ხელმძღვანელობით პირწმინდად გაანადგურა ჰიტლერული არმია და გამარჯვების დროშა ბერლინის თავზე აღმართა. (...) ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ გამარჯვებისკენ მიგვიძღვოდა ჩვენი დიდი ბელადი და გენიალური მხედართმთავარი საბჭოთა კავშირის მარშალი სტალინი!“

დაბოლოს, არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ ბოლო წლებში შენიშნული მცდელობა გამარჯვების მოპოვებაში სტალინის როლის დაკნინების და მისთვის მარშალ ჟუკოვის დაპირისპირებისა, თითქოს სწორედ ჟუკოვმა მოიგო ომი, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

გამარჯვების მოპოვებაში გ.კ. ჟუკოვის როლის დაუმცირებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე, მონაწილეობდა უმნიშვნელოვანესი სამხედრო ოპერაციების მხოლოდ კოლექტიურ განხილვაში და, მთავარბანაკის დირექტივების შესაბამისად, რომლებიც სტალინის ხელმძღვანელობით იყო შემუშავებული, განახორციელებდა ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო, მაგრამ მაინც ცალკეულ ოპერაციებს. უმაღლესი მთავარსარდალი, მარშალი ი.ბ. სტალინი მთელი ომის განმავლობაში უშუალოდ ხელმძღვანელობდა ყველა ოპერაციას ყველა ფრონტზე.

ი.ბ. სტალინის მოღვაწეობა დიდი სამამულო ომის წლებში დაბეჯითებით ადასტურებს, რომ მისი სახით ჩვენს ქვეყანას ჰყავდა გენიალური მხედართმთავარი, შესაძლოა, ყველაზე დიადი კაცობრიობის ისტორიაში.

ვ. ჟუბრაი



გამარჯვება!
მოკავშირენი — უინსტონ ჩერჩილი,
ფრანკლინ დელანო რუზველტი, იოსებ სტალინი



გამარჯვება!



კრახი!




უკანასკნელი „გამოსვლა“:
ჰიტლერი მესამე რაიხის ნამსხვრევებზე



კეიტელი ხელს აწერს გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. კარლსჰორსტი, 1945 წლის 8 მაისი



მათ დაამხეს „ათასწლოვანი რაიხი“



„ოეთრი ბაირაღები“ ბერლინში. 1945 წლის 2 მაისი





„დიდი სამეული“ თეირანის კონფერენციაზე
(1943 წლის 28 ნოემბერი — 1 დეკემბერი)



„დიდი სამეული“ იალტის კონფერენციაზე
(1945 წლის 4-11 თებერვალი)




იოსებ სტალინი იალტის კონფერენციაზე
ლივადიის სასახლეში შედის




ჩერჩილი აღიარებდა, სტალინი
რომ შემოდიოდა სხდომათა
დარბაზში, უნებურად ფეხზე
წამოვუდგებოდიო ყოველთვის.
იოსებ სტალინი და უინსტონ
ჩერჩილი იალტის კონფერენციაზე



მიხეილ კალინინი
იოსებ სტალინს გადასცემს
„გამარჯვების“ ორდენს




აშშ ელჩი სსრკ-ში ავერელ ჰარიმანი აბარებს სტალინს პრეზიდენტ რუზველტის სიგელებს ლენინგრადსა და სტალინგრადს კრემლში მიღების დროს. 1944 წელი




იოსებ სტალინი და უინსტონ ჩერჩილი ჩაუვლიან საპატიო ყარაულს. 1944 წელი



სტალინისა და ჩერჩილის მოლაპარაკება მოსკოვში. 1944 წელი




ფელდმარშალი მონტგომერი (დიდი ბრიტანეთი),
გენერალი ეიზენჰაუერი (აშშ), სსრკ მარშალი ჟუკოვი,
გენერალი დე ტასინი (საფრანგეთი). გერმანია, 1945 წლის 5 ივნისი




მოლაპარაკების მაგიდასთან პოტსდამის კონფერენციაზე
(1945 წლის 17 ივლისი — 2 აგვისტო)




სტალინი, ტრუმენი, ჩერჩილი პოტსდამის კონფერენციაზე




უინსტონ ჩერჩილი, ჰარი ტრუმენი და იოსებ სტალინი
პოტსდამის კონფერენციაზე. 1945 წელი



ანტიჰიტლერული კოალიციის ხელმძღვანელები
პოტსდამის კონფერენციაზე.
სხედან: ეტლი, ტრუმენი, სტალინი. 1945 წლის ივლისი



ნიურნბერგი. ფაშისტი დამნაშავენი
საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე




გერინგი და ჰესი ნიურნბერგის პროცესზე




სემიონ ბუდიონი, იოსებ სტალინი, გიორგი ჟუკოვი
გამარჯვების აღლუმზე. 1945 წლის 24 ივნისი



იოსებ სტალინი საბჭოთა სარდლებთან სამახსოვრო სურათის
გადაღების წინ. 1946 წელი



გამარჯვების აღლუმი წითელ მოედანზე.
მოსკოვი, 1945 წლის 24 ივნისი



გამარჯვებული ბელადის ფერხთით ფაშისტურ შტანდარტებს ყრიან!
მოსკოვი, 1945 წლის 24 ივნისი

თავი IV
მშვიდობა ომის შემდეგ
ნაწილი 1
ომის გამოძახილი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა
მეორე მსოფლიო ომში დანაკარგების შესახებ

მეორე მსოფლიო ომში მოკლულთა საერთო რიცხვი 50 მილიონზე მეტი ადამიანი იყო.

საბჭოთა კავშირმა მოკლულთა სახით 20 მილიონზე მეტი ადამიანი დაკარგა. დაღუპულთა დიდი ნაწილი მშვიდობიანი მოსახლეობაა, რომელიც ჰიტლერელებმა მათ მიერ ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე აწამა. გერმანელების მიერ ორგანიზებულ სიკვდილის ბანაკებში იმყოფებოდა 18 მილიონი ადამიანი, მათგან 11 მილიონი დაიღუპა.

უშუალოდ ფრონტებზე მოკლული იქნა 7,5 მილიონი საბჭოთა მეომარი. გერმანული ავიაციის მიერ ქალაქების, დასახლებების და სოფლების დაბომბვის დროს დაიღუპა დაახლოებით 1,5 მილიონი ადამიანი და გერმანელთა მიერ ლენინგრადის ბლოკადის დროს — 664 ათასი ადამიანი.

გერმანიამ დაკარგა 13 მილიონ 600 ათასი მოკლული, პოლონეთმა — 6 მილიონზე მეტი, იუგოსლავიამ — 1 მილიონ 700 ათასი ადამიანი, ინგლისმა — 375 ათასი, აშშ-მ — 405 ათასი ადამიანი.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა
ზურგის მუშაობის შესახებ

დიდი სამამულო ომის დროს საომარი მასალების მრეწველობამ დაამზადა 333,3 მილიონი ჭურვი, 37 189 მილიონი საავიაციო ბომბი, 242 808 მილიონი ნაღმი, თითქმის 200 მილიონი ხელყუმბარა, ათობით მილიონი ვაზნა, ასობით ათასი ტონა დენთი და ასაფეთქებელი ნივთიერებები. 1941 წელს — 332 ქარხანა, 1942 წელს — 1 108

ქარხანა და 1943 წელს — 1 300 ქარხანა გადავიდა საბრძოლო მასალების წარმოებაზე.

ა. ჯული
1945 წლის 18 ივნისი

ცნობა

ამხ. სტალინი ომში მუდმივად მოქმედი ფაქტორების შესახებ:
ა) ზურგის სიმტკიცე;
ბ) არმიის მორალური სულისკვეთება;
გ) დივიზიების რაოდენობა და ხარისხი;
დ) შეიარაღება;
ე) არმიის მეთაურთა უნარიანობა.

ა. ჯული

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ჰიტლერის პირადმა მფრინავმა, ესესის გრუპენფიურერმა ჰანს ბრაუნმა, რომელიც დატყვევებული გვყავს, დაკითხვაზე განაცხადა: „ჰიტლერის წიგნი „ჩემი ბრძოლა“ („მაინ კამპფ“) წაკითხული მაქვს. სრულად ვიზიარებდი მასში გამოთქმულ შეხედულებებს. როგორი მტკიცე ნაცისტიც ვიყავი, ისეთივე ვრჩები“

ა. ჯული
1945 წლის 18 მაისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ამოწაწერი ბერიას მოხსენებიდან პოტსდამის კონფერენციაზე ი.ბ. სტალინის მგზავრობის დროს მისი დაცვის ორგანიზების შესახებ

საცხოვრებლად გამზადებულია ორსართულიანი ცალკე სახლი დაცვის სამმაგი რკალით.

დაცვა — შინსახკომის 7 პოლკი და ოპერატიული შემადგენლობის 1 500 კაცი. პოტსდამში მიმავალი მატარებლის საერთო მარშრუტი — 1 923 კმ: სსრკ-ის ტერიტორიაზე — 1 095 კმ, პოლონეთის ტერიტორიაზე — 599 კმ, გერმანიისაზე — 234 კილომეტრი. გზის უსაფრ-

თხოებას უზრუნველყოფს შინსახკომის ჯარების 17 ათასი და ოპერატიული შემადგენლობის 1 515 კაცი, რკინიგზის თითოეულ კილომეტრზე — დაცვის 6-დან 15 კაცი, ხაზზე ივლის შინსახკომის ჯარების 8 ჯავშანმატარებელი.

დაცვა კარგადაა გააზრებული და აბსოლუტურად საიმედოა.

ა. ჯუკი
1945 წლის 3 ივლისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ამხანაგ სტალინის პოტსდამის კონფერენციაზე მომავალ გამგზავრებასთან დაკავშირებით, ამხ. სტალინის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაემგზავრა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამმართველოს ოპერატიული ჯგუფი. მათ შორის არიან ამხ. სტალინის პირადი დაცვის თანამშრომლები ს. ეფიმოვი, ი. ორლოვი და ი. ფედოსეევი. პოტსდამში ბიბელსბერგის რაიონში ამხ. სტალინისთვის გამოყოფილია ყოფილი ცნობილი გერმანელი გენერლის ლუდენდორფის ვილა. დაცვა კარგადაა მოწყობილი.

ა. ჯუკი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს 1945 წლის 7 ივლისის დადგენილების თანახმად, საპატიმრო ადგილებიდან ამნისტიით გათავისუფლებულია 680 ათასი ადამიანი ომით განადგურებული სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში გამოსაყენებლად.

1945 წლის 9 ივლისს ბერიას მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება.

ა. ჯუკი
1945 წლის 10 ივლისი

ცნობა

სსრკ-დან საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის შემადგენლობა:

მთავარი ბრალმდებელი — უკრაინის სსრ პროკურორი რ.ა. რუდენკო.

საერთაშორისო ტრიბუნალის წევრი — სსრკ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, იუსტიციის გენერალ-მაიორი ი.ტ. ნიკიტჩენკო.

საბრალდებო მასალების მომზადების კომისია:

ა.ი. ვიშინსკი (თავმჯდომარე), კ.პ. გორშენინი (სსრკ პროკურორი), ი.ტ. გოლენკოვი (სსრკ უზენაესი სასამართლო), ბ.ზ. ქობულოვი (უშიშროების სახალხო კომისარიატი), ს.ნ. კრუგლოვი (სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი), დ.ი. კუდრიავცევი (გერმანელების ბოროტმოქმედებათა გამოძიების საგანგებო კომისია), ა.ნ. ტრაინინი — აკადემიკოსი, ვ.ს. აბაკუმოვი (კონტრდაზვერვა „სმერში").

აღნიშნული შემადგენლობა დამტკიცებულია საკ კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს სხდომაზე.

ა. ჯულა

ცნობა

საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს (საკდესი) სპეციალურ კორესპონდენტად ნიურნბერგის პროცესზე დამტკიცებულია მწერალი ლ.რ. შეინინი. წარსულში — სსრკ გენერალური პროკურორის ამხ. ვიშინსკის თანაშემწე, რომელმაც თავი გამოიჩინა ტროცკისტ-შეთქმულებთან ბრძოლაში.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

1945 წლის ბოლოს საბჭოთა ჯარების მიერ დატყვევებული გერმანელი გროს-ადმირალი რედერი მოკავშირეთა თხოვნით გაიცვალა ყოფილ თეთრგვარდიელ ადმირალ კრასნოვზე და სამშობლოს მოღალატე ყოფილ საბჭოთა ოფიცრებზე, რომლებიც ვლასოვის არმიაში გერმანელთა მხარეს იბრძოდნენ და ინგლისისა და აშშ-ის კონტრდაზვერვას ხელში ჩაუვარდნენ.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეგყობინება

ლიტვაში ბანდფორმირებებს, რომელთა მონაწილეები იმალებიან ტყეებში, ხელმძღვანელობდა ლიტვის ბურჟუაზიული არმიის ყოფი-

ლი კაპიტანი ჟელაიტისი. დღეისთვის ლიკვიდირებულია. ლიტვაში ცხოვრობს 2 მილიონ 700 ათასი ადამიანი. საზღვარგარეთ, მათ შორის, აშშ-ში ცხოვრობს 800 ათასი ლიტველი, რომელთა შორის უცხოური დაზვერვა აგროვებს აგენტურას საბჭოთა კავშირში შემოსაგზავნად. ამის გათვალისწინება აუცილებელია ლიტვაში ანტისაბჭოთა ბანდების ლიკვიდაციისას.

ა. ჯულა
1949 წლის 18 დეკემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეგყობინება

ტერორისტული აქტების განსახორციელებლად გერმანელმა კონსტრუქტორებმა შექმნეს მოკლელულიანი ზარბაზანი სახელწოდებით „პანცერკფაკე“ მის 33 მმ კალიბრის 9 ჭურვს შეუძლია 300 მეტრის მანძილიდან გახვრიტოს 45-მილიმეტრიანი ჯავშანი. ზარბაზანი ქამრებით მაგრდება ტერორისტის მარჯვენა ხელზე. ისვრის ღილაკიანი გამშვები მოწყობილობით.

ა. ლავროვი
1952 წლის 2 ნოემბერი

ნაწილი 2
«ცივი ომის» დასაწყისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

ამერიკელმა გენერალმა არნოლდმა 1945 წლის მაისში თანამშრომლების წრეში განაცხადა: „ჩვენი შემდეგი მტერი რუსეთია. სტრატეგიული ავიაციის წარმატებით გამოსაყენებლად ჩვენ გვჭირდება ბაზები მთელ მსოფლიოში, რომლებიც ისე იქნება განლაგებული, რომ ჩვენ შეგვეძლება შევუტიოთ ყველა იმ ობიექტს, რომლის განადგურებასაც გვიბრძანებენ“

ა. ლავროვი
1945 წლის მაისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში

1945 წლის მაისის ბოლოს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დ. გრიუმ განაცხადა: „მომავალი ომი რუსეთთან ისევე გარდუვალია, როგორც თვით რეალობა. იგი შეიძლება დაიწყოს უახლოეს წლებში. ჩვენ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა დავრჩეთ“

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

სსრკ სახელმწიფო უშიშროების რეზიდენტი სან-ფრანცისკოში, პოლკოვნიკი ხეიფეცი, რომელსაც პირადი ურთიერთობა აქვს ატომის დარგში ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ოპენჰაიმერის ოჯახთან (განსაკუთრებით, მის ძმა ფრენკთან), ასევე აშშ-ის ებრაულ თემთან, გვატყობინებს, რომ აშშ-ში დაწყებულია მუშაობა ატომური ბომბის შესაქმნელად.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ

(ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲙᲘ)

ევროპაში ამერიკული დაზვერვის ხელმძღვანელმა ალენ დალესმა, თანამშრომლების ინსტრუქტირებისას საკ. კპ (ბ) დაშლის შესახებ თქვა: „კომუნისტური პარტია, ლენინის დროიდან მოყოლებული, გაწვრთნილია ისე, რომ მექანიკურად, უაზროდ მიჰყვეს ლიდერს. ეს უნდა გამოვიყენოთ. საკმარისია, საკ. კპ (ბ) ცკ გენერალური მდივნის ადგილზე ჩავნერგოთ ვაცი-პროვოკატორი (ცნობილია, როგორ მორჩილად მიჰყვებიან სასაკლაოზე ასეთ ვაცს ცხვრები), რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დანდობით გაჰყვება მას უფსკრულისკენ“

ა. ჯული
1946 წლის 12 აპრილი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲡᲞᲔᲪᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ

სსრკ-ის წინააღმდეგ აშშ-ის საიდუმლო ომის გაშლის შესახებ

დეტალურად დამუშავებულია სსრკ-ის წინააღმდეგ ყველაფრის მომცველი საიდუმლო გეგმა.

ამ გეგმის მთავარი მიზანია, ამერიკული კაპიტალის სრული სიმძლავრის გამოყენებით, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიათა ხელმძღვანელ პოსტებზე გაიყვანონ ამერიკისა და ინგლისის აგენტები, ან ის პირები, ვინც თანაგრძნობით ეკიდება ინგლისურ-ამერიკულ იმპერიალიზმს, ამერიკულ-ინგლისური აგენტურის დახმარებით უზრუნველყონ კომუნისტურ პარტიებში რევიზიონისტურად გაწყობილი ადამიანების, ყველა ჯურის კარიერისტებისა და ვიგინდარების მოზღვავება, რომლებიც მიისწრაფიან მატერიალური სარგებლის მისაღებად მიეკედლონ მმართველ პარტიებს და ააფეთქონ ისინი შიგნიდან. ამგვარ ხრიკებს ხელი შეუწყო იმან, რომ გერმანული ფაშიზმისა და იაპონური მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს დაიღუპა ბევრი ნამდვილი, სოციალიზმის საქმის ერთგული კომუნისტი — 3,5 მილიონამდე ადამიანი.

ამერიკულ-ინგლისური აგენტურის მთავარი ამოცანაა მუშათა და მშრომელი გლეხობის კლასობრივი კომუნისტური პარტიების ე.წ. საერთო-სახალხო პარტიებად გარდაქმნა და ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის ყალბი დროშის საფარქვეშ სოციალისტურ ქვეყნებში პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოების ე.წ. საერთო-სახალხო სახელმწიფოებად გადაკეთება. ეს მოახდენს ჩვენი დამსჯელი ორგანოების პარალიზებას და ყველა ჯურისა და შეფერილობის ანტისაბჭოელებს შეუქმნის მოქმედების ფართო სარბიელს კაპიტალისტური წესების რესტავრაციისთვის. თავის კონტრრევოლუციურ საქმიანობაში ინგლისურ-ამერიკული აგენტურა, რომელიც ფარულად ჩაინერგა სოციალისტურ ქვეყნებში, ამ გეგმის მიხედვით, უნდა დაეყრდნოს ბავშვებს, ვისი მშობლებიც უწინ ექსპლოატატორულ კლასებს ეკუთვნოდნენ და ვისი ქონებაც კონფისკებულია სოციალისტური რევოლუციების მიერ, აგრეთვე, იმათ, ვისი მშობლებიც რეპრესირებულები იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ასევე, სხვადასხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურად განწყობილ ელემენტებსა და სისხლის სამართლის აშკარა დამნაშავეებს, რომლებიც ოცნებობენ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს დასუსტების შემთხვევაში „ტკბილ“ ცხოვრებაზე საბჭოთა ხალხის გაძარცვის ხარჯზე.

დამუშავებულია სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის სფეროში მავნებლობის პროგრამა, რომელიც მოწოდებულია წარმოების სოციალისტური წესის კომპრომეტაციისათვის. ამ მიზნით, ამერიკულ-ინგლისური აგენტურის წინაშე დასმულია ამოცანა, სოციალისტურ ქვეყნებში და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირში ყალბი ეკონომიკური რეფორმებით ყოველმხრივ ძირი გამოუთხარონ ცენტრალიზებულ დაგეგმვას, დააქუცმაცონ კაპიტალდაბანდებები მრავალ დაუმთავრებელ მშენებლობაზე განაწილებით, მანქანებსა და დაზგებში ლითონის დეტალების პლასტმასის დეტალებით შეცვლის „ნოვატორული“ წინადადებების საშუალებით მოშალონ მეტალურგია — მძიმე მანქანათმშენებლობის განვითარების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საფუძველი. საბჭოთა სოციალისტური სოფლის მეურნეობის დაშლის მიზნით მიაღწიონ მანქანა-ტრაქტორების სადგურების ლიკვიდაციას, რაც კოლმეურნეობებს სწრაფად დააყენებს გაკოტრების ზღვარზე.

დიდ იმედებს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ თავიანთ ძირგამომთხრელ მოღვაწეო-

ბაში ამერიკისა და ინგლისის მმართველი წრეები ამყარებენ პროვოკაციული რადიოსადგურების „ამერიკის ხმის“, „ბი-ბი-სის“, „თავისუფალი ევროპისა“ და მათ ანალოგიურ სხვა რადიომაუწყებლობათა მუშაობაზე. სოციალისტურ ქვეყნებში ამერიკულ-ინგლისური აგენტურის წინაშე დასმულია ამოცანა, მიაღწიონ ამ რადიოსადგურების ჩახშობის გაუქმებას, ასევე, — სოციალისტურ ქვეყნებში ხელთ იგდონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ლიტერატურული ჟურნალების რედაქციები, ანტისაბჭოთა მოღვაწეობისთვის გადაიბირონ კინორეჟისორები და დრამატურგები.

ეს გეგმა აქტიურად ამოქმედდება მას შემდეგ, რაც თქვენ, ამხანაგო სტალინ, ჩამოსცილდებით საქმეებს და ამ ცხოვრებიდან ბუნებრივად წავლენ კომუნისტების დიადი თაობის წარმომადგენლები, რომლებმაც ყველა მტერი დაამარცხეს.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გაბლეჩის, კომუნისტური პარტიების შიგნიდან აფეთქების საქმეში ამერიკული და ინგლისური დაზვერვები იმედს ამყარებენ იოსიპ ბროზ ტიტოს, ტოლიატისა და მათ მსგავს რენეგატებზე.

დაზვერვითი და კონტრდაზვერვითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შემოგვაქვს სამი წინადადება.

პირველი. ძირფესვიანად გაუმჯობესდეს სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მუშაობა. აბაკუმოვი აშკარად თავს ვერართმევს მინისტრის მოვალეობას. „ხმაურიან“ საქმეებს გამოდევნებულმა, როგორც ჩანს, რიგ შემთხვევებში უკვე მისცა საშუალება უცხოურ აგენტურას და ფარულ ანტისაბჭოელებს, გამძვრალიყვნენ ზოგიერთ მნიშვნელოვან პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე. არც თვითონ აბაკუმოვია უცოდველი. ეჭვი გვაქვს, როგორც თვით იგი, ასევე, სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უმაღლეს ოფიცერთა უმრავლესობა ფარული ანტისაბჭოთა შეთქმულების მონაწილეა. საჭიროა სამინისტროს ხელმძღვანელობის სერიოზული გაძლიერება. დიდად საეჭვოა პოლიტბიუროს რიგი წევრების — ბერიას, მალენკოვის, მიქოიანისა და ხრუშჩოვის სოციალიზმის საქმისადმი ერთგულება. ჩვენი კონტრდაზვერვა აგენტურულ-ოპერატიული ხაზით მათ აქტიურად ამოწმებს.

მეორე წინადადება. სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ ჩეკისტების მარქსისტულ-ლენინურ მომზადებას. სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პარტკომმა როგოვმა, რომელმაც მხოლოდ ის იცის, რომ ამტკიცოს — ამხანაგი აბაკუმოვი დღევანდელი ძერჟინსკიაო,

მთლიანად ჩაშალა ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პარტიული განათლების ქსელის სემინარების დიდი ნაწილი ფორმალურად ტარდება, ჩეკისტური კადრები მარქსისტულ-ლენინურ თეორიას შემოქმედებითად ფაქტობრივად არ სწავლობენ, ამიტომაა, რომ მათ შორის, განსაკუთრებით, მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილსა და სამინისტროს სამთავრობო დაცვის მთავარ სამმართველოში უიდეობაა გამეფებული. სემინარების ხელმძღვანელთა კადრები ხშირად მცირემცოდნენი არიან. ისეთნი, როგორიც, მაგალითად, ჩვენი დიდად პატივცემული ნიკოლაი სიდოროვიჩ ვლასიკია, რომელსაც სამრევლო სკოლის ოთხი კლასის განათლება აქვს, და რომელიც ერთ-ერთ ასეთ სემინარს ხელმძღვანელობდა.

სემინარის ერთმა მონაწილემ მას ჰკითხა: „ამხანაგო გენერალო, რა არის თიხისფეხებიანი კოლოსი, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი თავის ერთ-ერთ გამოსვლაში?“ ვლასიკმა, რომელმაც, ჩვეულებისამებრ, თავისი პასუხი სართულიანი დედის გინებით გაალამაზა, წამოაყრანტალა: „აი, სულელი, არ იცი, რა არის თიხისფეხებიანი კოლოსი? აიღებ ხორბლის თავთავს *(რუსულად — კოლოს. — მთარგმნ.)*, ჩაასობ თიხაში, აი, შენ კოლოსი თიხის ფეხებზე“

სემინარის მეორე მონაწილემ, დაცვის ოფიცერმა, რომელიც დაუსწრებლად სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რაც სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში უაღრესად იშვიათი ფაქტია, სთხოვა ვლასიკს, ნება დაერთო, შეევსო მისი პასუხი. ვლასიკმა მადლი მოისხა და ნება დართო. „სიტყვებში „თიხისფეხებიანი კოლოსი“, — თქვა ოფიცერმა, — ამხანაგმა სტალინმა იგულისხმა ალექსანდრე მაკედონელის და სპარსეთის მეფის კიროსის ძველი იმპერიები, მათში შემავალ მრავალრიცხოვან ქვეყნებს არ ჰქონდათ ეკონომიკური ერთობა და ამიტომ ეს იმპერიები იყვნენ გოლიათები (კოლოსები) უკიდურესად არამყარ თიხის ფეხებზე და მაკედონელისა და კიროსის სიკვდილის შემდეგ უცებვე დაიშალენ ცალკეულ სახელმწიფოებად“ ვლასიკი არ დაიბნა, კმაყოფილებით ამოიზმუილა და პასუხი შეკითხვის დამსმელ ოფიცრისთვის კითხვის დასმით შეაჯამა: „აი, გაიგე ახლა, სულელო? მე ხომ ეს ხატოვნად აგიხსენი“

მესამე წინადადება. რადგან ამერიკელებმა და ინგლისელებმა ფარული ომი გამოგვიცხადეს, უნდა ვიფიქროთ სპეციალური ორგანოს შექმნაზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს, სწრაფად და სანდოდ

აღვკვეთოთ ჩვენს ქვეყანაში მათი ძირგამომთხრელი ხრიკები, ფიზიკურად გავანადგუროთ მათი აგენტურა, როგორც ეს ნებისმიერ ომში ხდება. რა მნიშვნელობა აქვს, როგორაა შემოსილი მტრის ჯარისკაცი? უცხოელი აგენტი სწორედ ასეთი ჯარისკაცია, მიუხედავად იმისა, სამხედრო მუნდირი აცვია თუ სამოქალაქო პიჯაკი! მთავარია, რომ იგი უხილავი ფრონტის ჯარისკაცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ იბრძვის. ინგლისისა და ამერიკის დაზვერვათა მხრიდან მომდინარე საშიშროების შეუფასებლობა არ შეიძლება, თუმცა, ჩვენ, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, არ ვიზიარებთ ჩერჩილის მტკიცებას, რომ ინგლისური დაზვერვა საუკეთესოა მსოფლიოში. ინგლისელი პროფესიონალი მზვერავების უმეტესობა მშიშარაა. როცა მათ სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება, იოლად თანხმდებიან გადაბირებას და ღალატობენ დიდი ბრიტანეთის მთავრობას. ამასთან, მრავალწლიანი გამოცდილება, ინგლისური დაზვერვის მზაკვრობა გვაიძულებს, განსაკუთრებით სერიოზულად მოვეკიდოთ მათ ხრიკებს. ამერიკული და ინგლისური აგენტურის დაუნდობელი მოსპობა ჩვენი კონტრდაზვერვითი მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი სადღეისო ამოცანაა.

საბჭოთა კონტრდაზვერვის თვალსაწიერში მოხვედრილი ინგლისელი და ამერიკელი აგენტები ჩვენს ქვეყანაში, რომლებიც არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებიან, განსაკუთრებით, უცხოეთის მოქალაქეები, უნდა მოისპონ ფიზიკურად, უკეთესია — ფარულად, ან გადმოვიბიროთ და დავაბრუნოთ ინგლისსა და აშშ-ში ჩვენთვის მუშაობის მიზნით. ეს თუ არ გავაკეთეთ, საბჭოთა ხალხს მომავალში დიდი უსიამოვნებანი ემუქრება. რადგან ჩვენი სტრატეგიული კონტრდაზვერვა უცხოეთის აგენტურის არც დაპატიმრებით, არც მოსპობით დაკავებული არ არის, წმინდა ინფორმაციულ ამოცანას ასრულებს, დადგა დრო, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან შეიქმნას სპეციალური ორგანო, რომელიც მიღებული მონაცემების საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში უცხოური არალეგალური აგენტურის ლიკვიდაციას მოახდენს. ომში ისე, როგორც ომში.

ლავროვი, ჯულა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

1950 წლის 9 სექტემბერს საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება უცხო აგენტურის წინააღმდეგ საბრძოლველად სპეცი-

ალური ორგანოს შექმნის შესახებ. სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის 1950 წლის 28 ოქტომბრის №00533 ბრძანებით ამ ორგანოს ეწოდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ბიურო №2.

ბიუროს ძირითად ამოცანად განისაზღვრა განსაკუთრებული საშუალებებით ცალკეული პირების მიერ მტრული საქმიანობის აღკვეთა სსრკ-ში.

ბიურო №2 კონკრეტულად ვალდებული იყო, თვალყური ედევნებინა ცალკეული პირებისათვის, რომლებიც მტრულ საქმიანობას ეწევიან, რისი აღკვეთაც, საჭირო შემთხვევაში და სპეციალური ნებართვით, შეიძლება მოხდეს განსაკუთრებული საშუალებებით. სსრკ-ის წინააღმდეგ უცხოელებისა და სხვა პირების მტრული საქმიანობის აღსაკვეთად შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი ღონისძიებები: კომპრომეტირება, საიდუმლო გატაცება, ფიზიკური ზემოქმედება და მოცილება. დაბოლოს — მთავარი: ბიუროს შემადგენლობა შეირჩევა კომუნისტური პარტიის ერთგული ადამიანების რიცხვიდან, ვინც მზადაა, შეასრულოს ნებისმიერი დავალება და საჭიროების შემთხვევაში საკუთარი სიცოცხლეც კი გაწიროს.

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ფარული ომის მსვლელობისას აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეიმუშავა ლიტერატურის, მხატვრული ნაწარმოებების, მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენების გეგმა საბჭოთა სოციალისტური წყობისთვის ძირის გამოსათხრელად და სსრკ-ში კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის.

დამუშავებულია ძირითადი საშუალებანი:

1. გამოსახონ კომუნიზმის მშენებლები საწყალი, კარიკატურული ფორმით. გაამასხარაონ დადებითი გმირი, პროპაგანდა გაუწიონ უცხოურისადმი ქედის მოხრას, ყოველმხრივ ქება შეასხან კოსმოპოლიტიზმს;

2. თეატრების რეპერტუარებში საბჭოთა პიესები შეცვალონ უცხოურით, რომლებიც პროპაგანდას უწევენ ბურჟუაზიულ მორალს და ცხოვრების კაპიტალისტურ წესს;

3. მუსიკასა და მხატვართა ნაწარმოებებში პროპაგანდა გაუწიონ ფორმალისტურ მიმართულებებს და აბსტრაქტულ მხატვრობას.

ა. კულა

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *„უნდა მოვიფიქროთ ღონისძიებები, რომლებიც მტკიცედ საფარს აღუმართავს ანტისაბჭოთა იდეოლოგიურ დივერსიებს“.*

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეგყობინება

დონის მონასტრის კრემატორიუმი ერთადერთია მოსკოვში. სიკვდილით დასჯილი ხალხის მტრების ფერფლს, როგორც წესი, კრემატორიუმის ტერიტორიაზე საერთო საფლავში მარხავენ, ასევე მარხავენ მოსკოვის ოლქის დასახლება ბუტოვოს სასაფლაოზე.

ა. ჯულა
1950 წლის 28 აგვისტო

ცნობა

შემოქმედებით ინტელიგენციასთან
ი.ბ. სტალინის შეხვედრის სტენოგრამა

სტალინი: რა გსურთ მითხრათ, ამხანაგო ფადეევ? *(სსრკ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე).*

ფადეევი: ამხანაგო სტალინ, ჩვენ თქვენთან რჩევის მისაღებად მოვედით. ბევრი მიიჩნევს, რომ ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება ერთგვარად ჩიხში მოექცა. ჩვენ არ ვიცით, რომელი გზით განვავითაროთ. დღეს მიხვალ ერთ კინოთეატრში — ისვრიან, მიხვალ მეორეში — ისვრიან: ყველგან აჩვენებენ კინოფილმებს, რომელთა გმირები დაუსრულებლად ესვრიან მტრებს, სადაც ადამიანების სისხლი მდინარედ მიედინება. ყველგან მხოლოდ ნაკლოვანებებსა და სიძნელეებს უჩვენებენ. ხალხი დაღალა ბრძოლამ და სისხლმა.

გვინდა რჩევა გკითხოთ — როგორ ვაჩვენოთ ჩვენს ნაწარმოებებში სხვა ცხოვრება: მომავლის ცხოვრება, რომელშიც არ იქნება სისხლი და ძალადობა, სადაც არ იქნება ის წარმოუდგენელი სიძნელეები, რომლებსაც დღეს ჩვენი ქვეყანა განიცდის. ერთი სიტყვით, მოიწყინა იმის აუცილებლობა, რომ მოვუთხროთ ჩვენს მომავალ ბედნიერ და უღრუბლო ცხოვრებაზე.

სტალინი: თქვენს მსჯელობაში, ამხანაგო ფადეევ, არ არის მთავარი, არ არის იმ ამოცანების მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, რომლებსაც ცხოვრება აყენებს ლიტერატურული მუშაკების წინაშე, ხე-

ლოვნების მოღვაწეთა წინაშე.

ოდესღაც პეტრე I-მა გაჭრა ფანჯარა ევროპაში, მაგრამ 1917 წლის შემდეგ იმპერიალისტებმა თავიანთ ქვეყნებში სოციალიზმის გავრცელების შიშით მაგრად აჭედეს იგი, და დიდი ხნის განმავლობაში, დიდი სამამულო ომის წინ თავიანთი რადიოს, კინოს, გაზეთებისა და ჟურნალების საშუალებით მსოფლიოს წინაშე წარგვადგენდნენ როგორც ჩრდილოელ ბარბაროსებს — მკვლელებს, სისხლიანი დანით კბილებში. ასე ხატავდნენ ისინი პროლეტარიატის დიქტატურას. ჩვენს ადამიანებს კი წარმოსახავდნენ ლაპტებით ფეხებზე და თოკშემოჭერილი პერანგებით, რომლებიც სამოვრებიდან არაყს სვამენ. და უცებ ჩამორჩენილმა, ლაპტების რუსეთმა, ამ გამოქვაბულის ადამიანებმა, როგორც მსოფლიო ბურჟუაზია წარმოგვსახავდა, პირწმინდად გაანადგურეს მსოფლიოს ორი უდიდესი ძალა — ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია, რომელთა წინაშეც მთელი მსოფლიო შიშით ძრწოდა.

დღეს მსოფლიოს სურს იცოდეს, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს ასეთი დიადი გმირობა და გადაარჩინეს კაცობრიობა.

კაცობრიობა კი გადაარჩინეს უბრალო საბჭოთა ადამიანებმა, რომლებმაც ურთულეს პირობებში ხმაურისა და რახარუხის გარეშე განახორციელეს ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, ძირფესვიანად განამტკიცეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და თავიანთი სიცოცხლის ფასად, კომუნისტების მეთაურობით გაანადგურეს მტერი. ომის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ფრონტებზე გამართულ ბრძოლებში დაიღუპა 500 ათასზე მეტი კომუნისტი, სულ კი ომის განმავლობაში — სამ მილიონზე მეტი. ისინი იყვნენ ჩვენს შორის საუკეთესონი, კეთილშობილნი და კრისტალურად წმინდა, თავდადებულნი და უანგარო მებრძოლნი სოციალიზმისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის. როგორ გვაკლია ისინი დღეს... დღეს ისინი ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, ბევრი ჩვენი სიძნელე უკვე უკან მოტოვებული გვექნებოდა. ჩვენი შემოქმედებითი საბჭოთა ინტელიგენციის დღევანდელი ამოცანაც ის არის, რომ თავიანთ ნაწარმოებებში ყოველმხრივ წარმოაჩინონ ეს უბრალო, შესანიშნავი საბჭოთა ადამიანი, გახსნან და გვაჩვენონ მისი ხასიათის საუკეთესო თვისებები. დღეს სწორედ ეს არის ლიტერატურისა და ხელოვნების გენერალური ხაზი.

რატომაა ჩვენთვის ძვირფასი ლიტერატურული გმირი, რომელიც

თავის დროზე შექმნა ნიკოლაი ოსტროვსკიმ წიგნში „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ — პავლე კორჩაგინი?

იგი ჩვენთვის ძვირფასია, უწინარეს ყოვლისა, რევოლუციისადმი, ხალხისადმი, სოციალიზმის საქმისადმი თავისი უსაზღვრო ერთგულებით, თავისი უანგაროობით.

ჩვენი დროის უდიდესი მფრინავის ვალერი ჩკალოვის მხატვრულმა სახემ კინოში ხელი შეუწყო ათობით ათასი უშიშარი საბჭოთა შევარდენის აღზრდას, მფრინავებისა, რომლებმაც დიდი სამამულო ომის დროს გაუხუნარი გმირობით ისახელეს თავი, ხოლო კინოსურათის „ბიჭი ჩვენი ქალაქიდან“ შესანიშნავმა გმირმა ტანკისტმა პოლკოვნიკმა სერგეი ლუკონინმა — ასობით ათასი გმირი ტანკისტის აღზრდას.

უნდა განვაგრძოთ ეს დამკვიდრებული ტრადიცია — ასეთი ლიტერატურული გმირების შექმნა, კომუნიზმისთვის მებრძოლებისა, ვისთვისაც მხარის გასწორებას ისურვებდნენ საბჭოთა ადამიანები, ვის მიბაძვასაც ისურვებდნენ.

მე მაქვს შეკითხვების ჩამონათვალი, რომლებიც, როგორც მითხრეს, დღეს აინტერესებს საბჭოთა შემოქმედებით ინტელიგენციას. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, გიპასუხებთ.

შეძახილები დარბაზიდან: *„ძალიან გთხოვთ, ამხანაგო სტალინ! გვიპასუხეთ, თუ შეიძლება!“*

შეკითხვა: *თქვენი აზრით, რა მთავარი ნაკლოვანებებია საბჭოთა მწერლების, დრამატურგებისა და კინორეჟისორების მუშაობაში?*

სტალინი: სამწუხაროდ, ფრიად მნიშვნელოვანი.

ბოლო დროს ბევრ ლიტერატურულ ნაწარმოებში აშკარად შეინიშნება საშიში ტენდენციები, რომლებიც სიდამპლეშეპარული დასავლეთის გამხრწნელი გავლენითა და, აგრეთვე, უცხოეთის დაზვერვათა ძირგამომთხრელი საქმიანობითაა გამოწვეული. საბჭოთა ლიტერატურული ჟურნალების ფურცლებზე სულ უფრო ხშირად ჩნდება ნაწარმოებები, რომლებშიც კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანები წარმოდგენილია საცოდავი, კარიკატურული ფორმით. მასხრადაა აგდებული დადებითი გმირი, პროპაგანდა ეწევა უცხოურის წინაშე ქედის მოხრას, ქება აქვს შესხმული კოსმოპოლიტიზმს, რომელიც საზოგადოების პოლიტიკური ნაყარ-ნუყარისთვისაა დამახასიათებელი.

თეატრების რეპერტუარებში საბჭოთა პიესები გამოაძევა ბურჟუა-

ზიული ავტორების მანკიერმა პიესებმა.

კინოფილმებში გამოჩნდა წვრილთემიანობა, მახინჯდება რუსი ხალხის გმირული ისტორია.

შეკითხვა: *იდეოლოგიური თვალსაზრისით რამდენად საშიშია ავანგარდისტული მიმართულება მუსიკაში და აბსტრაქციონიზმი მხატვრებისა და მოქანდაკეების შემოქმედებაში?*

სტალინი: მუსიკალურ ხელოვნებაში ნოვატორობის სახით საბჭოთა მუსიკაში შეღწევას ცდილობს ფორმალისტური მიმართულება, ხოლო მხატვართა შემოქმედებაში — აბსტრაქტული ფერწერა. ზოგჯერ შეიძლება გაიგონოთ შეკითხვა: „საჭიროა კი, ისეთი დიდი ადამიანები, როგორებიც ბოლშევიკი-ლენინელები არიან, მოცდნენ წვრილმანებისთვის — აბსტრაქტული ფერწერისა და ფორმალისტური მუსიკის კრიტიკისათვის დახარჯონ დრო? დაე, ამით ფსიქიატრები დაინტერესდნენ".

ამგვარი ხასიათის შეკითხვებში გამოსჭვივის ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის წინააღმდეგ მიმართულ იდეოლოგიურ დივერსიებში ასეთი მოვლენების როლის შეუფასებლობა. ამ დროს, სწორედ მათი დახმარებით ცდილობენ გამოვიდნენ ლიტერატურასა და ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმის პრინციპების წინააღმდეგ. პირდაპირ ამის გაკეთება შეუძლებელია, ამიტომ შეფარვით გამოდიან. ეგრეთ წოდებულ აბსტრაქტულ სურათებში არ არის რეალური სახეები ადამიანებისა, ვისაც მოგინდება მიბაძო ხალხის ბედნიერებისთვის ბრძოლაში, კომუნიზმისათვის ბრძოლაში, ვისი გზითაც სიარულის სურვილი გაგიჩნდება. ასეთი გამოსახულება შეცვლილია აბსტრაქტული მისტიკით, კაპიტალიზმის წინააღმდეგ სოციალიზმის ბრძოლის მიჩქმალვით. რამდენი ადამიანი მოდიოდა ომის დროს წითელ მოედანზე მინინისა და პოჟარსკის ძეგლის სანახავად, საგმირო საქმეებისთვის რომ შთაგონებულიყო! რისთვის შეიძლება აღგაფრთოვანოთ რკინის გროვამ, რომელსაც „ნოვატორი" მოქანდაკენი ხელოვნების ნაწარმოებად ასაღებენ? რისთვის შეიძლება აღგაფრთოვანოთ მხატვართა აბსტრაქტულმა სურათებმა?

სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ თანამედროვე ამერიკელი ფინანსური მაგნატები პროპაგანდას უწევენ მოდერნიზმს, ამგვარ „ნაწარმოებებში" ზღაპრულ ჰონორარებს უხდიან, ისეთ ჰონორარებს, რომლებიც

არც დასიზმრებიათ რეალისტური ხელოვნების უდიდეს ოსტატებს.

კლასობრივი სარჩული აქვს ეგრეთ წოდებულ დასავლურ პოპულარულ მუსიკასაც. ამგვარი მუსიკა იქმნება „მოძიგძიგეთა“ სექტებისგან ნასესხებ რიტმებზე, ვის „ცეკვებსაც“ ადამიანები ექსტაზამდე მიჰყავს, უმართავ ცხოველებად აქცევს, რომლებიც ნებისმიერი ველური საქციელისთვის არიან მზად. ასეთი ხასიათის რიტმები ფსიქიატრების მონაწილეობით იქმნება, აიგება იმგვარად, რომ ტვინის ქერქქვეშაზე, ადამიანის ფსიქიკაზე იმოქმედოს. ეს არის თავისებური მუსიკალური ნარკომანია, რომლის გავლენის ქვეშ მოქცეულ ადამიანს აღარავითარ ნათელ იდეალებზე ფიქრიც არ შეუძლია, იქცევა საჭონლად. უაზრობაა, რევოლუციისკენ, კომუნიზმის მშენებლობისკენ მოუწოდო მას. როგორც ხედავთ, მუსიკაც ომობს.

1944 წელს მომიხდა ინგლისური დაზვერვის ერთი ოფიცრის მიერ დაწერილი ინსტრუქციის წაკითხვა, რომელიც დასათაურებული იყო: „როგორ გამოვიყენოთ ფორმალისტური მუსიკა მოწინააღმდეგის ჯარების გასახრწნელად“

შეკითხვა: *კონკრეტულად რაში გამოიხატება უცხოური დაზვერვის აგენტურის ძირგამომთხრელი საქმიანობა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში?*

სტალინი: საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე როცა ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ ისინი ვითარდება ფარული ომის ისტორიაში არნახული მასშტაბით, რომელიც მსოფლიო იმპერიალისტურმა წრეებმა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გააჩაღეს, მათ შორის, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროშიც. ჩვენს ქვეყანაში უცხოური აგენტურის წინაშე დასახულია ამოცანა, შეაღწიოს საბჭოთა ორგანოებში, რომლებიც კულტურის საქმეებს განაგებენ, ხელთ იგდონ გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები, გადამწყვეტი გავლენა იქონიონ თეატრისა და კინოს სარეპერტუარო პოლიტიკაზე, მხატვრული ლიტერატურის გამოცემაზე. ყოველმხრივ დააბრკოლონ რევოლუციური ნაწარმოებების მზის სინათლეზე გამოტანა, რომლებიც მოწოდებულია პატრიოტიზმის აღსაზრდელად და საბჭოთა ხალხს კომუნისტური მშენებლობისათვის რაზმავს, მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს ისეთი ნაწარმოებების მზის სინათლეზე გამოტანას, რომლებიც ქადაგებენ კომუნისტური მშენებლობის გამარჯვების ურწმუნოებას, პროპაგანდას უწევს და ქე-

ბას ასხამს კაპიტალისტური წარმოების საშუალებას და ცხოვრების ბურჟუაზიულ წესს.

ამავე დროს, უცხოური აგენტურის წინაშე დასახულია ამოცანა, მოახერხოს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში პესიმიზმის, დაცემულობისა და მორალური გახრწნის პროპაგანდირება.

ერთმა თავგამოდებულმა ამერიკელმა სენატორმა თქვა: „ჩვენ რომ შეგვეძლოს ბოლშევიკურ რუსეთში საშინელებათა ჩვენი კინოფილმების ჩვენება, აუცილებლად ჩავუშლიდით კომუნისტურ მშენებლობას“. ტყუილად კი არ ამბობდა ლევ ტოლსტოი, რომ ლიტერატურა და ხელოვნება შთაგონების ყველაზე ძლიერი ფორმებია.

სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ, დღეს ჩვენთან ვინ და რას შთაგონებს ლიტერატურისა და ხელოვნების საშუალებით, ბოლო მოვუღოთ იდეოლოგიურ დივერსიებს ამ სფეროში, ჩემი აზრით, დროა, ბოლომდე გავიგოთ და შევიგნოთ, რომ კულტურა, რომელიც საზოგადოებაში გაბატონებული იდეოლოგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, ყოველთვის არის კლასობრივი და გამოყენებულია გაბატონებული კლასის ინტერესების დასაცავად, ჩვენთან — მშრომელთა ინტერესების — პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად.

არ არსებობს ხელოვნება ხელოვნებისათვის, არ არიან და არც შეიძლება იყვნენ „თავისუფალი“, საზოგადოებისგან დამოუკიდებელი, თითქოს ამ საზოგადოებაზე მაღლა მდგომი მხატვრები, მწერლები, პოეტები, დრამატურგები, რეჟისორები, ჟურნალისტები. ისინი არავის სჭირდება. ასეთი ადამიანები არ არსებობენ, არ შეიძლება არსებობდნენ.

მათ კი, ვისაც არ შეუძლია, ან ძველი, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული ინტელიგენციის ტრადიციების, გადმონაშთების გავლენით არ ძალუძს, ერთგულად ემსახუროს საბჭოთა ხალხს, რადგან მტრულადაა განწყობილი მუშათა კლასის ხელისუფლებისადმი, ნებას მივცემთ, მუდმივად საცხოვრებლად გაემგზავრონ საზღვარგარეთ. დაე, იქ თვალნათლივ დარწმუნდნენ, რას ნიშნავს უბადაღებული ბურჟუაზიული „შემოქმედების თავისუფლება“ იმ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი იყიდება და სადაც ყველაფერს ყიდულობენ, ხოლო შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები თავიანთ შემოქმედებაში მთლიანად დამოკიდებულნი არიან ფინანსური მაგნატების

ფულის ტომარაზე.

სამწუხაროდ, ამხანაგებო, დროის მწვავე დეფიციტის გამო, იძულებული ვარ, დავასრულო ჩვენი საუბარი.

მსურს მქონდეს იმედი, რომ გარკვეულწილად მაინც ვუპასუხე კითხვებზე, რომლებიც გაინტერესებდათ. ვფიქრობ, რომ საკ. კპ (ბ) ცკ-ის და საბჭოთა მთავრობის პოზიცია საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე თქვენთვის ნათელია.

ცნობა

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხის წინაშე რთული ამოცანა დაისახა: უმოკლეს დროში გამოგვესწორებინა ფაშისტური შემოსევის მძიმე შედეგები, მოგვეშუშებინა ჭრილობები, რომლებიც მან მიაყენა საბჭოთა ეკონომიკასა და კულტურას, მოსახლეობის ცხოვრების დონეს. დანაკარგი კი საშინელი იყო: 20 მილიონი დაღუპული, საბჭოთა ხალხმა დაკარგა თავისი ეროვნული სიმდიდრის თითქმის ერთი მესამედი.

მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე გერმანელმა ფაშისტებმა დაწვეს და იავარქმნეს ათობით ათასი ქალაქი და სოფელი, ქარხანა და ფაბრიკა, 227 000 სოფლის სკოლა, 7 250 საავადმყოფო და ამბულატორია, 2 250 ბავშვთა ბაგა და უამრავი სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობა.

ამის გამო გამარჯვების შემდეგ არამარტო ბევრი სამრეწველო საწარმო იყო ჩამორჩენილი, არამედ მრეწველობის ცალკეული დარგებიც კი. ბევრი კოლმეურნეობა და მთელი სასოფლო-სამეურნეო რაიონებიც კი მიგდებული იყო. მიწა მწირ მოსავალს იძლეოდა. ამიტომ ხალხის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილება არასაკმარისად კმაყოფილდებოდა.

ამ ფაქტს რომ აანალიზებდა 1946 წელს ამომრჩევლების წინაშე გამოსვლისას, სტალინი ამბობდა, რომ ომში ასეთი კოლოსალური დანაკარგების შემდეგ, ნებისმიერი კაპიტალისტური სახელმწიფო, ყველაზე მძლავრიც კი, გარედან დაუხმარებლად ვერასოდეს დადგებოდა ფეხზე, მეორეხარისხოვან ქვეყნად გადაიქცეოდა. სსრკ-ს — ეკონომიკურად მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოს ეს არ დაემართა. საბჭოთა სოციალისტურმა წყობილებამ უკვე მერამდენედ აჩვენა მსოფლიოს თავისი უეჭველი უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით.

მაგრამ ქვეყნის ეკონომიკურ აღდგენას სერიოზულად უშლიდა ხელს ომის შემდგომი საერთაშორისო ვითარების მკვეთრი გამწვავება.

მეორე მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოს სახე. საერთაშორისო ვითარებაში საფუძვლიანი ცვლილებები მოხდა. მსოფლიო ასპარეზზე ძალთა განლაგება სოციალიზმის სასარგებლოდ შეიცვალა. საბჭოთა კავშირი, რომელმაც ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის სახით მსოფლიო იმპერიალიზმის ძირითადი დამრტყმელი ძალა გაანადგურა, ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების ვარაუდის საწინააღმდეგოდ, სამხედრო თვალსაზრისით უფრო გაძლიერდა, ვიდრე შემოსევამდე იყო. განსაკუთრებით გაიზარდა საბჭოთა კავშირის პრესტიჟი და გავლენა საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. ამავე დროს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპი, რომლის უშუალო შედეგი იყო რევოლუციები ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, შემდეგ კი იმპერიალიზმის ჯაჭვი გაწყდა აზიაშიც. სოციალიზმი ერთი ქვეყნის ჩარჩოებიდან გამოვიდა და მსოფლიო სისტემად იქცა. საბჭოთა კავშირის დიადმა გამარჯვებებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხედრო თვალსაზრისით გააწონასწორა ძალთა შეფარდება სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის.

აქედან მომდინარეობდა აშშ-ის მმართველი წრეების მისწრაფება — სსრკ-ის განადგურება თუ არა, იმპერიალიზმის დაკარგული პოზიციების აღდგენა მაინც მოეხერხებინათ და ხელთ ეგდოთ ნედლეულის ახალი წყაროები, გასაღების ბაზრები, გაეფართოებინათ კაპიტალის მოქმედების სფერო და ამრიგად ეცადათ, თავი დაეღწიათ ეკონომიკური კრიზისისათვის. ვაშინგტონს სწორედ ეს მიაჩნდა თავის გენერალურ ამოცანად, რომელიც გასაგებად ჩამოაყალიბა აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა. მან დაუფარავად განაცხადა: „მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ ამერიკელი ხალხი მსოფლიოს ხელმძღვანელობის მწვავე პრობლემის წინაშე დააყენა". ასე კვლავ აღაზევეს მსოფლიო ბატონობის ბოდვითი იდეა. ხოლო მარშალის ამერიკული იდეის განხორციელებას მოჰყვა მსოფლიო ურთიერთობის განვითარების ისტორიაში არნახული ამერიკული კაპიტალის შეღწევა ევროპის, აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკაში.

მსოფლიო ბატონობის მოპოვებისთვის ბრძოლაში ამერიკული იმ-

პერიალიზმი აღვივებს ატომურ შანტაჟს და მის მომყოლ „ცივ ომს“ მოწოდებით, დაიწყოს „ჯვაროსნული ომი“ კომუნიზმის წინააღმდეგ. აშშ გამალებით ემზადება სსრკ-ზე თავდასასხმელად, რისი გეგმაც ოფიციალურად იყო დამუშავებული 1945 წლის 18 სექტემბრის 1496/2 დირექტივაში, რომელიც დასათაურებული იყო „სამხედრო პოლიტიკის ფორმულირების საფუძველი“, და 1945 წლის 9 ოქტომბრის 1518 დირექტივაში სათაურით „სტრატეგიული კონცეფცია და აშშ-ის შეიარაღებული ძალების გამოყენების გეგმა“ აშშ-ის გაერთიანებულმა სადაზვერვო კომიტეტმა მონიშნა 20 საბჭოთა ქალაქი, რომლებიც ატომური დაბომბვისათვის გამოდგებოდა. ამასთან, აღნიშნული იყო, რომ ატომური დაბომბვა ნაკლებეფექტურია ჩვეულებრივი სამხედრო ძალების, სატრანსპორტო სისტემის წინააღმდეგ, ამიტომ ატომური ბომბი უფრო შედეგიანია ქალაქების მოსახლეობის მასობრივად მოსასპობად. ასე მიიღო აშშ-მ „პირველი დარტყმის“, სსრკ-ის წინააღმდეგ მოულოდნელი ატომური აგრესიის დოქტრინა. 1945 წლის ნოემბერში გენერალმა ეიზენჰაუერმა, აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე ტრუმენის მემკვიდრემ, განაცხადა: „უაზრობაა, თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ ჩვენ ვფიქრობთ რუსეთთან ომზე“

სამშვიდობო მშენებლობას რომ აფართოებდა, ამხ. სტალინმა რეალურად შეაფასა, თუ რა საშიშროება ემუქრებოდა სსრკ-ს აშშ-ის მხრიდან და ყველა ღონისძიება განახორციელა უმოკლეს დროში ატომური იარაღისა და მისი გადატანის საიმედო საშუალებათა შესაქმნელად. შედეგად, შვიდ-რვა წელიწადში (1946-1953 წწ.) სსრ კავშირს უკვე ჰქონდა თავისი ატომური იარაღი. 1953 წლის აგვისტოში კი, აშშ-ზე ადრე, საბჭოთა კავშირში გამოსცადეს წყალბადის ბომბის ერთ-ერთი სახეობა, გაცილებით უფრო ძლიერი, ვიდრე ატომური ბომბია. ერთდროულად, სწრაფი ტემპით წყდებოდა უძნელესი სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანა — სხვადასხვა დანიშნულების ატომური ქობინების გადამტანი რაკეტების წარმოება. შეიქმნა ჯარების ახალი სახეობა — სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები.

ამასთან, საბჭოთა შეიარაღებული ძალები აღიჭურვა უფრო თანამედროვე სახეობის ავტომატური იარაღით, ტანკებით, არტილერიით, რადიოლოკაციური და სხვა სამხედრო ტექნიკით, რომლებიც საბჭოთა მეცნიერებმა შექმნეს. დგუშიანი ავიაცია რეაქტიულმა შეცვალა, არმია მთლიანად მოტორიზებული გახდა. ამ ფაქტის კონსტა-

ტირებისას აშშ-ის პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა თქვა: „მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა სტრატეგიული იარაღის სფეროში თანაბრობას მიაღწია, მასთან ნებისმიერი შეტაკება ცივილიზებული ქვეყნების ბირთვული განადგურების პოტენციური საშიშროების შემცველი გახდა“

ასეთ პირობებში აშშ-ის მმართველმა წრეებმა, რომლებმაც უარი არ თქვეს სსრკ-ის სამხედრო ძლიერების რაიმე მიზეზით შესუსტების შემთხვევაში მასზე დაუფარავ საომარ თავდასხმაზე, თავიანთი მთავარი ძალისხმევა სსრკ-ის შიგნიდან აფეთქებისკენ მიმართეს. საამისოდ ტრილიონობით დოლარი გამოყვეს. აქტიურად დაიწყეს სსრკ-ში ამერიკული აგენტურის შემოგზავნა, ქვეყნის შიგნით კი მერყევი, მორალურად გახრწნილი, საბჭოთა ხელისუფლებაზე ამა თუ იმ მიზეზით გაბოროტებული ადამიანების გადაბირება. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წიაღში აღმოცენდა ღონიძიებათა დეტალურად დამუშავებული გეგმა, რომელიც სსრკ-ში კაპიტალიზმის აღორძინებისკენ იყო მიმართული. მზის სინათლეზე კვლავ ამოათრიეს სსრკ-ის დაშლის სანუკვარი ოცნება.

აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს 1948 წლის 18 აგვისტოს საიდუმლო დირექტივაში (20/1) ნათქვამი იყო: „ამჟამად მიმდინარე პოლიტიკური ომის ინტერესებიდან გამომდინარე, მთავრობა იძულებულია, განსაზღვროს უფრო გარკვეული და მებრძოლი ამოცანები რუსეთის წინააღმდეგ. (...) ჩვენი მიზანია საბჭოთა წყობილების დამხობა. (...) ჩვენი საქმეა, ვიმუშაოთ და მივაღწიოთ იმას, რომ იქ (სსრკ-ში) განვითარდეს შიდა მოვლენები. ლაპარაკია, უწინარეს ყოვლისა, იმაზე, რომ დავასუსტოთ და ასეთად ვამყოფოთ საბჭოთა კავშირი პოლიტიკური, სამხედრო და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით“.

აი, როგორ წარმოედგინათ იმავე დირექტივის მიხედვით ამერიკის მმართველ წრეებს არაკომუნისტური ხელისუფლება რუსეთში, თუ მათი აგენტები შეძლებდნენ საბჭოთა წყობილების დამხობას:

„მთელი ძალით ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ნებისმიერი არაკომუნისტური რეჟიმის იდეოლოგიური საფუძვლის მიუხედავად და იმის მიუხედავად, რამდენად იქნება იგი მზად, ქება შეასხას დემოკრატიას და ლიბერალიზმს, უნდა მივაღწიოთ ჩვენი მიზნების განხორციელებას. უნდა შევქმნათ ავტომატური გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ არაკომუნისტურ და ჩვენს მიმართ ნორმალურად მე-

გობრულად განწყობილ რეჟიმს:

ა) არ ჰქონდეს სამხედრო ძლიერება;

ბ) ეკონომიკის თვალსაზრისით ძლიერ იყოს დამოკიდებული გარე სამყაროზე;

გ) არ ჰქონდეს სერიოზული ძალა და გავლენა მთავარ ეროვნულ უმცირესობებზე;

დ) ვერ ჩამოაფაროს რკინის ფარდის მსგავსი რამ.

იმ შემთხვევაში, თუ ეს რეჟიმი გამოავლენს მტრულ დამოკიდებულებას კომუნისტებისადმი და მეგობრობას ჩვენს მიმართ, უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ ეს პირობები თავს არ მოვახვიოთ შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფორმით. მაგრამ ვალდებული ვართ, თავს მოვახვიოთ ისინი ჩვენი ინტერესების დასაცავად".

ასე გამოუცხადეს აშშ-ის იმპერიალისტებმა საბჭოთა კავშირს ყოვლისმომცველი ფარული ომი.

საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა, კაპიტალდაბანდებათა უმეტესი ნაწილი მიემართა ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისა და სამხედრო მრეწველობისკენ და, მიუხედავად ამისა, აღდგენითი სამუშაოების მასშტაბი ჭეშმარიტად გრანდიოზული იყო.

1948 წლისთვის აღდგენილ იქნა სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე, 1951 წლისთვის სოფლის მეურნეობის მაჩვენებლებიც გათანაბრდა.

ვ. ეუხრაი

ნაწილი 3

«ავიატორებისა» და «მარშლებისა» საქმე

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

მეშორანდუმი ავიატორების საქმის შესახებ

1946 წელს კონტრდაზვერვის მთავარ სამმართველო „სმერშიდან“ ამხ. სტალინმა მიიღო ცნობები ავიანაწილებში თვითმფრინავების მრავალრიცხოვანი კატასტროფისა და მფრინავების დაღუპვის შესახებ.

კონტრდაზვერვა „სმერშის“ მოხსენებითი ბარათიდან გაცხადდა, რომ ომის განმავლობაში საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელები აწარმოებდნენ და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობასთან მორიგებით წითელ არმიას შესაიარაღებლად აწვდიდნენ თვითმფრინავებსა და ძრავებს დიდი წუნით ან სერიოზული კონსტრუქციულ-საწარმოო ხარვეზებით.

ამას შედეგად მოსდევდა სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო რიგებში ავარიებისა და კატასტროფების დიდი რაოდენობა, იღუპებოდნენ მფრინავები, ხოლო აეროდრომებზე რემონტის მოლოდინში თვითმფრინავების დიდი პარტიები გროვდებოდა, რომელთა ნაწილი ფუჭდებოდა და უვარგისობის გამო ჩამოსაწერი ხდებოდა.

1942 წლის ნოემბრიდან 1946 წლის თებერვლამდე სამხედრო-საჰაერო ძალების ნაწილებსა და სასწავლო დაწესებულებებში უხარისხო მატერიალური ნაწილის მიზეზით ორმოცდახუთი ათასზე მეტჯერ თვითმფრინავები საომარ დავალებაზე არ გასულან, მოხდა შვიდას ორმოცდათექვსმეტი ავარია და სამას ხუთი კატასტროფა.

სახალხო კომისარი შახურინი და კომისარიატის სხვა თანამშრომლები გეგმების შესრულების რიცხობრივ მაჩვენებლებს იყენებენ გამოკიდებული და სისტემატურად არღვევდნენ მთავრობის დადგენილებებს ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების შესახებ, სერიულ წარმოებაში უშვებდნენ თვითმფრინავებსა და ძრავებს დიდი კონსტრუქციული ხარვეზებით.

შახურინისავე მიზეზით სერიულ წარმოებაში უშვებდნენ ისეთ თვითმფრინავებსა და ძრავებს, რომლებსაც გავლილი არ ჰქონდა სახელმ-

წიფო და საჯარისო გამოცდები. საკ. კპ (ბ) ცკ პასუხისმგებელმა მუშაკებმა, რომლებიც საავიაციო მრეწველობაზე აგებდნენ პასუხს, იცოდნენ ეს, მაგრამ არავითარ ღონისძიებას არ განახორციელებდნენ ამ ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად და რიგ შემთხვევაში ეხმარებოდნენ კიდეც შახურინს წუნდებული თვითმფრინავებისა და ძრავების „გათრევაში“ სამხედრო-საჰაერო ძალების შესაიარაღებლად.

სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი მარშალი ნოვიკოვი, შახურინთან შეთანხმებით, წუნდებულ ტექნიკას ავიანაწილებში საომარი ტექნიკის დიდი დანაკარგების სასწრაფოდ შევსების მიზნით იღებდა.

ავიატორების საქმის გამო დაპატიმრებულები არიან: საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარი, საინჟინრო-საავიაციო სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკი შახურინი; წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო მარშალი ნოვიკოვი; სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის მოადგილე, სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი ინჟინერი, საინჟინრო-საავიაციო სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკი რეპინი; სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო საბჭოს წევრი, გენერალ-პოლკოვნიკი შიმანოვი; სამხედრო-საჰაერო ძალების დაკვეთების მთავარი სამმართველოს უფროსი, საინჟინრო-საავიაციო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი სელეზნიოვი; საკ. კპ (ბ) ცკ განყოფილებათა გამგეები ბუდნიკოვი და გრიგორიანი.

ამონაწერები გამოძიების დროს დაპატიმრებულთა ჩვენებებიდან

შახურინი: „ვალიარებ, რომ სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის დეფექტიანი თვითმფრინავების მიწოდების პრაქტიკა ნამდვილად არსებობდა. ამის შედეგად, სერიულ წარმოებაში ჩაიშვებოდა თვითმფრინავები და ძრავები სერიოზული კონსტრუქციული ხარვეზებით, რომელთა გამოსწორება პროდუქციის მასობრივად გამოშვების დროს შეუძლებელი ხდებოდა, რის გამოც სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის დეფექტიანი მატერიალური ნაწილის მიწოდების პროცენტი იზრდებოდა“

ნოვიკოვი: „ჩემსა და შახურინს შორის ნათლიმამობა და ურთიერთთავდებობა იყო დამყარებული. შახურინი არაერთხელ გამრიგებია საიმისოდ, რომ მისგან მიმეღო წუნდებული თვითმფრინავები და

ძრავები და შახურინის ასეთი თხოვნა უმეტესწილად დამიკმაყოფილებია“

რეპინი: „მე არათუ არ ვიბრძოდი საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ მოწოდებული თვითმფრინავებისა და ძრავების მაღალი ხარისხისთვის, არამედ სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობას შორის მორიგების, ნათლიმამობისა და შახურინთან ჩემი ახლო ურთიერთობის გამო, ხელს ვუწყობდი ამ უკანასკნელს, სამხედრო-საჰაერო ძალების შესაიარაღებლად „გაეთრია“ წუნდებული საავიაციო ტექნიკა“

რეპინს, რომელიც სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის მოადგილე და სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი ინჟინერი იყო, დამატებით ეკავა სამხედრო-საჰაერო ძალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსის პოსტი და ამ თანამდებობას თვითმფრინავების ახალი ნიმუშების სახელმწიფო გამოცდების დანაშაულებრივად წარმოებისთვის იყენებდა.

სახელმწიფო გამოცდების გავლის ნებას რთავდა სტატისტიკურ გამოცდაგაუვლელი თვითმფრინავების ახალ ნიმუშებს, ანუ ნიმუშებს, რომლებსაც გავლილი არ ჰქონდათ წინასწარი შემოწმება. ზოგიერთი თვითმფრინავი, სერიოზული კონსტრუქციული ხარვეზის გამო, ფაქტობრივად, სახელმწიფო გამოცდას ვერ გადიოდა, მაგრამ სამხედრო-საჰაერო ძალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გასცემდა დასკვნას ამ თვითმფრინავების სერიულად დამზადებისათვის გამოცდის მიერ გამოვლენილი დეფექტების გამოსწორების პირობით.

შედეგად, სერიული წარმოების პროცესში თვითმფრინავების კონსტრუქციაში ბევრი შესწორება შეჰქონდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბოლომდე დაუმუშავებელ თვითმფრინავებს აწვდიდნენ სამხედრო-საჰაერო ძალებს.

სელეზნიოვი: „სამხედრო-შეიარაღებული ძალებისა და საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობის ერთობლივი მუშაობის პრაქტიკაში შექმნილი იყო ურთიერთგარიგების ატმოსფერო. სწორედ ასეთ პირობებში იშვა ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა, როცა შახურინი არასაკმარისი ხარისხის თვითმფრინავებს ამზადებდა, ხოლო სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელები ნოვიკოვის, შიმანოვისა და, განსაკუთრებით, რეპინისა და ჩემი სახით

სამხედრო-საჰაერო ძალების შესაიარაღებლად წუნდებულ პროდუქციას „გავათრევდით“

სამამულო ომის წლებში შახურინმა და კომპანიამ „გაათრიეს“ სამგზის სახელმწიფო გამოცდაგაუვლელი გამანადგურებელი „Як-9У“ ძრავით „ВК-107А“ თვითმფრინავი შახურინმა წარადგინა მხოლოდ საცდელი ნიმუშის საქარხნო გამოცდის შედეგების საფუძველზე. ამასთან, შახურინმა აცნობა მთავრობას, რომ თვითმფრინავმა „Як-9У“ გაიარა გამოცდა და აჩვენა სიჩქარე 680 კილომეტრი საათში, მაშინ, როცა პირველი 16 თვითმფრინავი, რომლებიც № 61 ქარხანამ დაამზადა, ავიაციისთვის სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

თვითმფრინავს შემდეგი ნაკლი ჰქონდა: ფრთას აკლდა სიმტკიცე, რაც აუცილებლად გამოიწვევდა ავარიებსა და კატასტროფებს; არ ჰქონდა მტვრის ფილტრები, რაც იწვევდა ძრავის ვადამდელ ცვეთას და მწყობრიდან გამოსვლას; აღჭურვილი არ იყო რადიოანძით, რის გამოც თითქმის ორჯერ მცირდებოდა კავშირის მოქმედების რადიუსი; ცუდად ნიავდებოდა მფრინავის კაბინა, რაც იწვევდა ტემპერატურის 45 გრადუსამდე ზრდას და მფრინავთა შემადგენლობას მუშაობას უძნელებდა. ამასთან, თვითმფრინავი ვერ განავითარებდა მთავრობის მიერ დადგენილ სიჩქარეს.

საკ. კპ (ბ) ცკ განყოფილებათა გამგეებმა ბუდნიკოვმა და გრიგორიანმა იცოდნენ, რაც ხდებოდა, მაგრამ არ მიუღიათ ღონისძიებანი ამ თვითმფრინავების დამზადების შესაწყვეტად და მთავრობას უმალავდნენ შახურინის დანაშაულებრივ საქმიანობას. თავდაცვის სახალხო კომისარს უმალავდნენ სიმართლეს ამ თვითმფრინავთან დაკავშირებით.

1944 წელს შიმანოვი და სელეზნიოვი ეწვივნენ № 301 ქარხანას, სადაც სამხედრო წარმომადგენელმა დაიწუნა „Як-9У“ ტიპის 100 თვითმფრინავი, და გასცეს განკარგულება, გაეგრძელებინათ მთელი რიგი ხარვეზების მქონე თვითმფრინავების მიღება. სამხედრო ნაწილებში გაიგზავნა 4 000-მდე ასეთი წუნდებული თვითმფრინავი. „Як-9У“ ტიპის 2 267 თვითმფრინავზე, რომლებიც სამხედრო-საჰაერო ძალებში მიიღეს, კონსტრუქციული და სამრეწველო ხარვეზების გამო აიკრძალა ფრენა. მე-2 საჰაერო არმიის ტექნიკური ექსპლუატაციის განყოფილების გამგემ, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკმა ნ. ბ. გრებენიკოვმა, რომელიც მოწმის სახით დაიკითხა, აჩვენა: „1945 წლის აპრილი-

დან ა. წ. მარტის ჩათვლით მე-2 საჰაერო არმიაში ვამუშავებდით „ВК-107а“ ძრავიან 113 „Як-9у“ თვითმფრინავს. ექსპლუატაციის დროს დაფიქსირდა კონსტრუქციული ხარვეზებისა და საწარმოო დეფექტების 179 შემთხვევა, რომელთა შორის 170-ის გამო თვითმფრინავი ვერ გაფრინდა და ორ შემთხვევაში თვითმფრინავი დაიმტვრა, ძრავებში აღმოჩნდა დეფექტების 31 შემთხვევა, რამაც თვითმფრინავების ორი ავარია გამოიწვია, 21 ძრავა ვადამდე მოვხსენით, 8-ჯერ ჩაიშალა გაფრენა“

1943 წელს შახურინმა სერიულ წარმოებაში ჩაუშვა დიდი ხარვეზების მქონე „Як-3“ თვითმფრინავი „ВК-105ПФ“ ძრავით, რომელსაც სამხედრო გამოცდა არ გაუვლია, ასევე არ გაუვლია გამოცდა სიმტკიცეზე, რის გამოც სამხედრო-საჰაერო ძალების ნაწილებში, რომლებიც „Як-3“-ით იყო შეიარაღებული, ხდებოდა ავარიები და კატასტროფები ადამიანთა მსხვერპლით.

მე-16 საჰაერო არმიის ექსპლუატაციისა და საბრძოლო რემონტის განყოფილების უფროსი, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი ჟუკოვი: „Як-3“ თვითმფრინავების კონსტრუქციულ-საწარმოო ხასიათის დეფექტი იყო ფრთის ზედა გარეშემოსვის არამყარად დამაგრება. ამგვარი დეფექტები აღენიშნა ნაწილების შეიარაღებაში მყოფი თვითმფრინავების 40 პროცენტს. ასეთი დეფექტები იწვევდა გარეშემოსვის აგლეჯას ჰაერში და გარდაუვალ ავარიას, იძულებით დაშვებას და, არცთუ იშვიათად, — კატასტროფას“.

იგივე აჩვენა სხვა მოწმემაც, 278-ე გამანადგურებელი ავიადივიზიის ინჟინერ-მაიორმა სალნიკოვმა.

1945 წელს „Як-3“ თვითმფრინავებით ფრენა აიკრძალა.

1945 წლის ბოლოს შახურინმა მიმართა ნოვიკოვს წინადადებით, სამხედრო-შეიარაღებული ძალების შეიარაღებაში მიეღო № 31 ქარხნის მიერ დამზადებული 100-მდე წუნდებული ლითონის თვითმფრინავი „Як-3“ „ВК-107“ ძრავით. ნოვიკოვმა გასცა ბრძანება, მიეღოთ 40 ასეთი დეფექტიანი თვითმფრინავი, რომელთაგან 28 საავიაციო ნაწილებმა მიიღეს.

სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში არსებულ „ИЛ-2“ თვითმფრინავებზე 1942-1943 წლებში აღმოაჩინეს გარეშემოსვის სისუსტე, რაც გამოწვეული იყო საავიაციო მრეწველობის მიერ ტექნოლოგიური პროცესის დარღვევით. ამას გარდა, გამოავლინეს თვითმფრი-

ნავის ფრთების შეპირაპირების კვანძების არასაკმარისი სიმტკიცე, რის შედეგადაც სამხედრო-საჰაერო ძალების ნაწილებში „ИЛ-2“ თვითმფრინავების ექსპლუატაციისას გამოვლინდა შემთხვევები, როცა ამ ტიპის თვითმფრინავებს ჰაერში სძვრებოდა ფრთები და ამით გამოწვეულ კატასტროფებში იღუპებოდნენ ეკიპაჟები. მოწმემ, მე-15 საჰაერო არმიის მთავარი ინჟინრის მოადგილემ, ინჟინერ-პოლკოვნიკმა ბოდროვმა აჩვენა: „1943 წლის ივნის-ივლისი. — ჩვენი შეტევის მომზადების პერიოდში ადგილი ჰქონდა „ИЛ-2“ თვითმფრინავების შასის მწყობრიდან მასობრივად გამოსვლას, ჰიდრომასის გაჟონვას საამორტიზაციო დგამებიდან და ბზარებიდან შეპირაპირების კვანძებში. ამ დეფექტების გამოსასწორებლად გამოიძახეს ბრიგადები მასალებით და შეაკეთებინეს თვითმფრინავები. ეს დროზე რომ არ გამჟღავნებულიყო და არ გამოსწორებულიყო, მაშინ ჩვენი შეტევის პერიოდში არმია, ფაქტობრივად, მოიერიშე ავიაციის გარეშე დარჩებოდა“.

სხვა მოწმემ — სამხედრო-საჰაერო ძალების ფორმირებისა და სამხედრო მომზადების სამმართველოს მე-7 განყოფილების უფროსმა მელნიკოვმა აჩვენა: „მოიერიშე-თვითმფრინავი „ИЛ-2“ 1941 წელს მიიღეს შეიარაღებაში. მისი ექსპლუატაციის დროს მხოლოდ სამწყობრო ნაწილებში 485 კატასტროფა და ავარია მოხდა. ამ ტიპის თვითმფრინავზე კონსტრუქციულ-საწარმოო წუნის გამო ავარიების რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობდა. თუ 1941 წელს კატასტროფისა და ავარიის 8 შემთხვევა იყო, 1942 წელს — 74 შემთხვევა, 1943 წელს — 147 შემთხვევა, 1944 წელს — 133 შემთხვევა და 1945 წელს — 123 შემთხვევა“

1946 წლის 10 და 11 მაისს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის, იუსტიციის გენერალ-პოლკოვნიკ ულრიხის თავმჯდომარეობით და წევრების: იუსტიციის გენერალ-მაიორ დმიტრიევის და იუსტიციის პოლკოვნიკ სოლდინის შემადგენლობით, მდივნების: იუსტიციის პოდპოლკოვნიკ პოჩიტალინის და იუსტიციის მაიორ მაზურის დასწრებით სასამართლოს დახურულ სხდომაზე განიხილა შახურინის, რეპინის, სელეზნიოვის, ნოვიკოვის, შიმანოვის, ბუდნიკოვის, გრიგორიანის ბრალდების საქმე.

სასამართლო განხილვის მსვლელობისას განსასჯელებმა წაყენებული ბრალი მთლიანად აღიარეს.

შახურინი: „წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებს მთლიანად ვადასტურებ. მე ჩავიდინე ჩემთვის წაყენებული დანაშაული გეგმის შესრულებისა და გრაფიკის დაცვის გამოდევნების სურვილით, რაოდენობრივი მონაცემების გამოდევნებით. სამამულო ომის ფრონტებიდან მიღებულ მონაცემებს ჩვენი თვითმფრინავების დეფექტიანობის შესახებ არ ვაცნობებდი სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს და სწორედ ეს არის ჩემი უმძიმესი დანაშაული. ვაღიარებ, რომ 800 თვითმფრინავი სრულიად უვარგისი აღმოჩნდა“.

რეპინი: „ფრონტი ითხოვდა თვითმფრინავებს და დეფექტები ადგილზე სწორდებოდა. იქ კი, შედეგად, მფრინავები იღუპებოდნენ“

შიმანოვი: „ომის დროს მიღებული იყო ხუთი ათასამდე წუნდებული თვითმფრინავი.

შახურინი ჰქმნიდა იმის მოჩვენებითობას, რომ მრეწველობა საწარმოო პროგრამას ასრულებს და ამისთვის ჯილდოებს იღებდა.

ნაცვლად იმისა, თავდაცვის სახალხო კომისრისთვის მოგვეხსენებინა, რომ თვითფრინავები ჰაერში იშლება, ჩვენ ვისხედით თათბირებზე და თვითმფრინავების დეფექტების გამოსწორების გრაფიკებს ვადგენდით. ნოვიკოვი და რეპინი დევნიდნენ ადამიანებს, რომლებიც გვაცნობებდნენ, რომ არმია უვარგის თვითმფრინავებს იღებს. მაგალითად, ასე დაიჩაგრა პოლკოვნიკი, გვარად კაცი“.

სელეზნიოვი: „ძრავები მასობრივად გამოდიოდა მწყობრიდან. ვაღიარებ ჩემს ბრალს, რომ სამხედრო წარმომადგენლები ნაწილებს ფორმალურად „ვარგის“, სინამდვილეში კი დეფექტიან თვითმფრინავებს აწვდიდნენ“.

ნოვიკოვი: „სამხედრო-საჰაერო ძალებს ვსარდლობდი 1942 წლის აპრილიდან 1946 წლის მარტამდე. თვითმფრინავების მიღების მანკიერი სისტემა ჩემამდე არსებობდა.

ფრონტებზე თვითმფრინავების ნაკლებობა იგრძნობოდა და ეს მაიძულებდა, რეაგირება არ მომეხდინა სხვადასხვა ხასიათის დეფექტებზე. შედეგად — თავგზა ამებნა. ამასთან, მე ინჟინერი არ ვარ, რის გამოც, რიგ ტექნიკურ საკითხებს მხედველობაში არ ვიღებდი.

ძირითად დანაშაულად მიმაჩნია, რომ ვიცოდი თვითმფრინავების ნაკლოვანებათა შესახებ და ეს ნაკლოვანებები რომ გროვდება, არ მოვახსენე მთავრობანაკს და თავდაცვის სახალხო კომისარს და ამით დავფარე შახურინის ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა“

ბრიგზორიანი: „ვიყავი რა საკ. კპ (ბ) ცკ განყოფილების გამგე საავიაციო ძრავების მშენებლობის დარგში, ვიცოდი, რომ საავიაციო მრეწველობის ყოფილი სახალხო კომისარი შახურინი, რომელიც რაოდენობრივ მაჩვენებლებს იყო გამოდევნებული, საავიაციო ტექნიკის გამოშვების გეგმებს სათანადო ხარისხით უზრუნველყოფის გარეშე ასრულებდა, რის გამოც საავიაციო მრეწველობა მნიშვნელოვანი რაოდენობის უხარისხო თვითმფრინავებსა და ძრავებს ამზადებდა, რომელთაც სერიოზული კონსტურქციული ხარვეზი და სამრეწველო წუნი ჰქონდა.

ჩემი ბრალია ის, რომ ვიცოდი — შახურინი ამზადებდა და სამხედრო-საჰაერო ძალებს ამარაგებდა უხარისხო თვითმფრინავებითა და ძრავებით, მაგრამ არ განვახორციელებდი ზომებს ასეთი საქმიანობის აღსაკვეთად.

სხვადასხვა წახალისებით და საჩუქრებით მე, ისევე, როგორც საკ. კპ (ბ) ცკ სხვა საავიაციო დარგების განყოფილებათა მუშაკები დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩამაყენეს. მივიღე ცალკე ბინა, შახურინმა დასაჯილდოებლად წარმადგინა“.

ბუდნიკოვი: „სიგნალები მივიღე, კერძოდ, ორიოლ-კურსკის მიმართულებით შეტევის დროს.

დეფექტები დაფარული იყო და მხოლოდ ფრონტზე გამოვლინდა.

შახურინი სამუშაოთი არ იყო დაკავებული. არ მუშაობდა დირექტორებთან. არ მუშაობდა ადამიანებთან. წუნს არ ებრძოდნენ“

სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მიუსაჯა: შახურინს შვიდი წლით პატიმრობა, რეპინს — ექვსი წლით, ნოვიკოვს — ხუთი წლით, შიმანოვს — ოთხი წლით, სელეზნიოვს — ექვსი წლით, ბუდნიკოვს — ორი წლით, გრიგორიანს — ორი წლით პატიმრობა.

ყადაღა დაედო ბრალდებულების პირად ქონებას. მათ წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი განისაზღვრა 520 031 მანეთით. სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის შუამდგომლობით სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1946 წლის 20 მაისს შახურინს, რეპინს, ნოვიკოვს და სელეზნიოვს ჩამოართვა სამხედრო წოდებები. ბრალდებულებს ჩამოერთვათ მთავრობის ჯილდოები.

ამხ. სტალინი სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენს და სსრკ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას დაეთანხმა.

ა. ჯუკა, ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ავიაციის ყოფილი მთავარი მარშალი ნოვიკოვი 1946 წლის 26 აპრილს დააპატიმრეს. სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში მას სთხოვენ, მისცეს ჩვენება რიგი მარშლების — ჟუკოვის, ვორონოვისა და სხვათა შეთქმულებით საქმიანობაში მონაწილეობისა და სამხედრო-საჰაერო ძალებში თვით მისი — ნოვიკოვის მტრული მოღვაწეობის შესახებ.

ა. ჯულა
1946 წლის 30 აპრილი

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *ამხანაგო ჯულა, გულდასმით შეამოწმეთ ეს ცნობები. მე ძალიან მეპარება ეჭვი, რომ ისინი სწორია.*

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ცნობა

არტილერიის მთავარი მარშალი ნ. ნ. ვორონოვი ეჭვმიტანილია სამხედრო შეთქმულების ორგანიზებაში ხელისუფლებაში ჟუკოვის მოყვანის მიზნით. ხომ დანიშნესო ომის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტად გენერალი ეიზენჰაუერი, ამბობს ვორონოვი. ეს ცნობა მიღებულია სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ დაპატიმრებული, მარშალ ვორონოვის მკურნალი ექიმის, მედიცინის პროფესორ იუდინის დაკითხვის დროს, რომელსაც ბრალად ედება ჯაშუშობა ინგლისის დაზვერვის სასარგებლოდ. ასევე, ვინმე ჩელოდაევას დაკითხვის დროს, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნ. ნ. ვორონოვთან.

ამჟამად სახელმწიფო უშიშროების ციხეში იმყოფება 38 ყოფილი გენერალი.

ა. ჯულა
1946 წლის 15 მაისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ დაპატიმრებულმა ავიაციის ყოფილმა მთავარმა მარშალმა ა. ნოვიკოვმა აღიარა, რომ ჟუ-

კოვთან ერთად იყო ანტისამთავრობო შეთქმულების მონაწილე.

კერძოდ, ამხანაგ სტალინისთვის გაგზავნილ განცხადებაში ნოვიკოვი წერს:

„ჩემს განცხადებაში თქვენს სახელზე საჭიროდ ჩავთვალე, მომეთხრო ჩემს კავშირზე ჟუკოვთან, მასთან ურთიერთობისა და მავნე პოლიტიკური საუბრების შესახებ, რომლებსაც ვაწარმოებდით ომის პერიოდში და დღემდე“

ასეთი საუბრები ჟუკოვსა და ნოვიკოვს შორის ნამდვილად წარმოებდა. ამავე დროს ჟუკოვი აცხადებს: „მე არასოდეს მსურდა სახელმწიფო ძალაუფლება. მე ვარ სამხედრო, არმიაშია ჩემი უშუალო საქმე“

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ დაპატიმრებულმა გენერალ-ლეიტენანტმა კრიუკოვმა ასევე აჩვენა, რომ ჟუკოვთან ერთად მონაწილეობდა ანტისამთავრობო შეთქმულებაში, ასევე ჟუკოვის მიერ დიდი რაოდენობით ნადავლი ქონების მითვისებაში.

რაც შეეხება ნოვიკოვისა და კრიუკოვის ჩვენებებს, ისინი სწორია მხოლოდ ჟუკოვის მიერ გერმანული ნადავლი ქონების მითვისების ნაწილში. ხოლო მათი ჩვენებები — ჟუკოვთან ერთად ანტისამთავრობო შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ, უფრო აბაკუმოვის ხრიკების, დაშინების და აქტიური დაკითხვის შედეგია.

ამჟამად სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო აქტიურად ამუშავებს საქმეებს, რომლებიც „ჟუკოვის საქმესთან“ არის დაკავშირებული. ამ საქმეში სულ 75 კაცი გადის. 1946 წლის აპრილისათვის ყველა მათგანი დაპატიმრებულია სამეურნეო დანაშაულის ბრალდებით (ძირითადად, გერმანული ნადავლი ქონების მითვისებისათვის). ახლობლებთან საუბრების დროს მარშალი მალინოვსკი ამბობდა: „ჟუკოვი კიდევ გამოაჩენს თავს. ყველას ყელში სწვდება“.

1942 წლიდან გრანოვსკის ქუჩა №3-ში, გათბობის სისტემის რემონტის საფარქვეშ, ბინებში, სადაც ცხოვრობენ ჟუკოვი, ტიმოშენკო და ბუდიონი, პროფილაქტიკის მიზნით დაყენებულია მიყურადების აპარატურა. ჟუკოვი დაპატიმრებას ელოდება და გამზადებული აქვს ჩემოდანი საცვლებით. საჭიროდ ვთვლი, ჟუკოვი თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან მოიხსნას და გაიგზავნოს ერთერთი სამხედრო ოლქის სარდლად. დიდ სამამულო ომში მისი დამსახურების გათვალისწინებით, არ იქნას დაპატიმრებული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცეს. ჟუკოვს მუდმივად, ფარულად ვუთვალთვალებთ.

სტრატეგიული კონტრდაზვერვის უფროსი,
გენერალ-პოლკოვნიკი ა. ჯულა

ცნობა

კრემლის სხდომათა მცირე დარბაზში გაიმართა საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელზეც მიწვეულები იყვნენ ყველა მარშალი და ჯარის სახეობათა მარშლები. სხდომის გახსნისას სტალინმა განაცხადა, რომ მან მიიღო ბევრი საჩივარი ჟუკოვზე, რომელიც შეურაცხყოფდა ხელქვეითთა ადამიანურ ღირსებას. ამასთან ერთად, ჟუკოვი იმდენად გადიდგულდა, რომ აცხადებს, თითქოს დიდი სამამულო ომის ყველა მნიშვნელოვანი ოპერაცია მის მიერაა შემუშავებული. არადა, ყველა დამსწრისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ისინი უმაღლესი მთავარსარდლის მთავარბანაკის კოლექტიური აზრის ნაყოფია. იმის გამო, რომ აქ დამსწრე ყველა მარშალი აცხადებს, რომ არ შეუძლია ჟუკოვთან მუშაობა, საკ. კპ (ბ) ცკ სურს იცოდეს თქვენი აზრი, როგორ მოვექცეთ ამხანაგ ჟუკოვს.

დამსწრენი მკაცრად აკრიტიკებდნენ ჟუკოვს, ამავე დროს, სთხოვდნენ საკ. კპ (ბ) ცკ-ს, გაითვალისწინოს მისი დიდი დამსახურება დიდ სამამულო ომში. ჟუკოვმა თავის გასამართლებლად გარკვეული ვერაფერი თქვა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის სამართლიანობა.

საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ ერთხმად დაუჭირა მხარი წინადადებას თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან ჟუკოვის გათავისუფლების შესახებ.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

იაგოდინის საბაჟოზე დაკავებულია გერმანიიდან ჩამოყვანილი 7 ვაგონი, რომლებშიც განთავსებული იყო 85 ყუთი ავეჯით. დოკუმენტაციის შემოწმებით გაირკვა, რომ ავეჯი ეკუთვნის მარშალ ჟუკოვს.

ა. ჯულა

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *საჭიროა ფარული ჩხრეკის ჩატარება ჟუკოვის ბინასა და აგარაკზე.*

სრულიად საიდუმლოდ
ამხანაგ სტალინს
1948 წლის 5 იანვარი
ქ. მოსკოვი

ა.წ. 5 მაისის თქვენი მითითების საფუძველზე მოსკოვში ჟუკოვის ბინაში ჩატარდა ფარული ჩხრეკა. ამოცანა იყო, მოგვეძებნა და ამოგ-

ველო ჟუკოვის ბინიდან ჩემოდანი და ზარდახშა ოქროთი, ბრილიანტებითა და სხვა ძვირფასეულობით. ჩემოდნისა და ზარდახშის შესახებ გვაცნობა ჟუკოვის ყოფილმა ადიუტანტმა, დაპატიმრებულმა სემოჩკინმა.

ზარდახშაში, რომელიც სეიფში იდო, აღმოჩნდა ოქროს 17 საათი, 15 კულონი და ბეჭედი, მათგან 8 — ძვირფასი ქვებით.

სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი,
გენერალ-პოლკოვნიკი **აბაკუმოვი**

სრულიად საიდუმლოდ
ამხანაგ სტალინს
1948 წლის 9 იანვარი

ა.წ. 8-დან 9 იანვრის ღამეს ჩატარდა ფარული ჩხრეკა ჟუკოვის აგარაკზე, რომელიც მოსკოვის შემოგარენში, სოფელ რუბლიოვკაშია. ჩხრეკის შედეგად აღმოჩნდა, რომ აგარაკის ორი ოთახი საწყობადაა გადაქცეული, სადაც შენახულია 4 ათას მეტრზე მეტი ქსოვილი — აბრეშუმი, ფარჩა, აბრეშუმხავერდი, 323 ბეწვეული, 44 ძვირადღირებული ნოხი და გობელენი, აგრეთვე — აურაცხელი სერვიზი, ჭანდაკება და ძვირფასი ნახატი. აგარაკი მთლიანად გაწყობილია უცხოური, ძირითადად — გერმანული ავეჯით, ნოხებით, ჭურჭლით, მოკაზმულობით, ფარდებით.

შედგენილია აქტი საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვისთვის უკანონოდ შეძენილი და მითვისებული ნაალაფარი ქონების, ფასეულობისა და სხვა ნივთების ჩამორთმევის შესახებ.

სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი,
გენერალ-პოლკოვნიკი **აბაკუმოვი**

ასლი
ამხანაგ სტალინს

ახსნა-განმარტებითი ბარათი

ნახატები და ნოხები, ასევე, ჭაღები ნამდვილად აღებულია მიტოვებული სახლებიდან და სასახლეებიდან და გამოგზავნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს აგარაკის მოსაწყობად. გობელენების შესახებ მითითება მივეცი ამხ. აგეევს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან, რათა ჩაებარებინა სადმე მუზეუმში, მაგრამ ის გუნდიდან ისე წავიდა, რომ არ ჩაუბარებია. ოქროს ნივთებისა და საათების შესახებ ვაცხადებ,

რომ ძირითადად ეს არის საჩუქრები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან.

ჩემთვის თავგასულობის დაბრალება ყალბი სიცრუეა.

ვადასტურებ ერთ ფაქტს — ეს არის ჩემი სიახლოვე ზუევასთან, რომელიც მთელი ომის განმავლობაში პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას დაცვის გუნდსა და მთავარსარდლის მატარებელში. ზუევამ დაცვის მთელი გუნდის თანაბრად მიიღო ორდენები და მედლები, მიიღო ჩემგან კი არა, არამედ დააჯილდოვა სარდლობამ იმ ფრონტისა, რომელსაც მთავარბანაკის მითითებით მე ვემსახურებოდი. სავსებით შეგნებული მაქვს ჩემი დანაშაული, რომ მასთან ვიყავი დაკავშირებული, აგრეთვე ისიც, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში ჩემთან ცხოვრობდა. ის, რასაც სემოჩკინი აჩვენებს, ცილისწამებაა. ჩემი თავისთვის არასოდეს მიმიცია უფლება, სამსახურებრივ კაბინეტებში ჩამედინა ისეთი უხამსობა, რის შესახებაც ასე უსირცხვილოდ იტყუება სემიჩკინი.

საბჭოთა კავშირის მარშალი ***გ. ჟუკოვი***

1948 წლის 12 იანვარი, ქ. მოსკოვი

დედანთან სწორია: ***ა. ჯულა***

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ჟუკოვი ცრუობს, როცა აცხადებს, რომ 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ყველა ძირითადი სამხედრო ოპერაცია შემუშავებულია არა ამხანაგ სტალინის მიერ, არამედ მისი — ჟუკოვის მიერ, ის ოპერაციებიც კი, რომლებშიც მას საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა. ხოლო ამხ. სტალინი როგორი „შტაფირკაც“ იყო *(სამხედრო წრეებში იმ სამოქალაქო პირის დამცინავი სახელი, რომელიც სამხედრო საქმეში ვერ ერკვევა. —* ***შემდგენ.)***, ისეთივე დარჩა. ნოვიკოვი ამტკიცებს, რომ ეს ჟუკოვის თავხედური ტრაბახი და ცრუ ლაყბობაა, რომ ჟუკოვი, რომელმაც ირწმუნა „თავისი დამსახურებანი დიდ სამამულო ომში“, — რაც არნახულად გაზვიადებულია, — თუ საშუალება მიეცა, შეიძლება სათავეში ჩაუდგეს სამხედრო შეთქმულებას. ამას ადასტურებს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ დაპატიმრებული, ჟუკოვთან დაახლოებული გენერალ-ლეიტენანტი კრიუკოვი, რომელმაც დაკითხვის დროს განაცხადა, რომ ჟუკოვს ბონაპარტი-

სტული მიდრეკილებები გაუჩნდა.

პროფილაქტიკის მიზნით, ჟუკოვი, რა თქმა უნდა, დათხოვნილ უნდა იქნას შეიარაღებული ძალებიდან და გადასახლებულ იქნას სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ღია ზედამხედველობის ქვეშ. მაგრამ დღეს ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან ამხანაგმა სტალინმა თავისი უსაზღვრო სიკეთისა და ადამიანების სიყვარულის გამო ჟუკოვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება სამგზის მიანიჭა, რამაც იგი ეროვნული გმირის შარავანდედით შემოსა. ჟუკოვმა კი, საკუთარ თავზე განუზომლად დიდი წარმოდგენისა და ნებისმიერი გზით კარიერის გაკეთების სურვილის გამო, ამაოდ დაღუპა ბევრი საბჭოთა მეომარი, თუმცა, უმეტესწილად ეს ოპერატიული აუცილებლობით არ იყო გამოწვეული, მაგალითად, ბერლინის აღებას 400 ათასზე მეტი ადამიანი მხოლოდ იმიტომ შეეწირა, რომ ჟუკოვს უნდოდა, ბერლინის ამღება მხედართმთავრად შესულიყო ისტორიაში. ასეთი უზარმაზარი დანაკარგები ომის დასასრულს შეიძლებოდა და კიდეც უნდა აგვეცილებინა თავიდან.

გენერალ-პოლკოვნიკი ***ა. ჯუკა***
1948 წლის 14 იანვარი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ორგანოების მიერ დაპატიმრებულმა გენერალ-ლეიტენანტმა კრიუკოვმა აჩვენა: „ჟუკოვს არაერთხელ უწოდებია თავისი თავისთვის სამშობლოს გადამრჩენი". ჟუკოვი იმდენად გაყოყოჩდა, რომ დაუპირისპირდა უმაღლეს მთავარსარდალს, უსირცხვილოდ აცხადებდა, რომ გერმანელების განადგურების დამსახურება ეკუთვნის მხოლოდ მას, ჟუკოვს. იგი ყოველთვის მტრულად იყო განწყობილი პოლიტმუშაკებისა და მთლიანად პარტიის მიმართ"

ა. ჯუკა
1947 წლის 18 დეკემბერი

ცნობა

სტალინის გარემოცვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სამხედრო ხელმძღვანელები. მათი დამოკიდებულება პარტიული ელიტისადმი ფრიად დაძაბული იყო. ომის დროსაც კი უმაღლესი პარტიუ-

ლი ხელმძღვანელები უარს არ ამბობდნენ მათთვის ჩვეულ ინტრიგებზე, რაც მხედართმთავრებზეც მოქმედებდა. ნ.ა. ბულგანინმა მიმართა სტალინს, დასავლეთის ფრონტის სარდლის თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა ს.კ. ტიმოშენკო. მეხლისმა სტალინთან დააბეზღა ი. ტ. კოზლოვი. ნ.ს. ხრუშჩოვის ინიციატივით რ.ი. მალინოვსკი გაათავისუფლეს სამხრეთის ფრონტის სარდლის თანამდებობიდან და დაინიშნა მე-2 გვარდიული არმიის სარდლად. უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე გ.კ. ჟუკოვი და გენშტაბის უფროსი ა.მ. ვასილევსკი წმინდა სამხედრო ამოცანების გადაჭრის გარდა, იძულებული იყვნენ, დაეცვათ მხედართმთავრები. სწორედ ამით აიხსნება ჟუკოვის საყოველთაოდ ცნობილი სიძულვილი წითელი არმიის პოლიტმუშაკებისადმი. ა.მ. ჯუღა, რომელმაც კარგად იცოდა დამბეზღებელთა ნამდვილი ფასი, ასევე იცავდა სამხედრო ხელმძღვანელების პოზიციას.

ომმა მკვეთრად გააახალგაზრდავა ოფიცერთა და გენერალთა კორპუსი, საომარმა პირობებმა ოფიცრებს განუვითარა ისეთი თვისებები, რომლებიც ცუდად ესადაგებოდნენ მშვიდობიან პირობებს: სხვათა სიცოცხლის განკარგვა, დამოუკიდებლად ისეთი გადაწყვეტილებების მიღება და ისეთი ზნეობრივი კატეგორიების გამოყენება, რომელთა ახსნა მხოლოდ არსებობის ექსტრემალური პირობებით შეიძლება. გამარჯვებულთა ეიფორია ენერგიის გამოთავისუფლებას, მიჩვეული ძალაუფლების შენარჩუნებას მოითხოვდა და, აგრეთვე, იმ ქვეყნების მდიდარი ფენების მაგალითით ცხოვრებას, რომლებშიც ისინი შევიდნენ, როგორც გამარჯვებულები.

ამ მიზეზებს ორი შედეგი მოჰყვა: ჯერ ერთი, სამხედრო წრეების პოლიტიზება და, მეორე, ომამდელი წლების საკმაოდ თავშეკავებული ცხოვრებიდან, როცა შეძლებულობა არ აფიშირდებოდა, აშკარა მდიდრულ და თავაწყვეტილ ცხოვრებაზე მკვეთრი გადასვლა, რაც აშკარად უცნაურად ჩანდა ომით დანგრეულ ქვეყანაში.

სამხედროების პოლიტიზების ცენტრად გ.კ. ჟუკოვის გარემოცვა იქცა. სტალინი ჟუკოვისგან თანმიმდევრულად ძერწავდა ეროვნული გმირის სახეს. ომის დაწყებისთანავე იდეოლოგიური მუშაობის ცენტრი სტალინმა ადამიანთა შეგნებაში რუსეთის ისტორიული მემკვიდრეობისა და საბრძოლო წარსულით სიამაყის ჩანერგვაზე გადაიტანა, რასაც ხალხი გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა

დაერაზმა. სასწრაფოდ შეიქმნა მხატვრული ფილმები ალექსანდრე ნეველის, სუვოროვის, ნახიმოვისა და სხვათა შესახებ. ისტორიულ გმირებს დაემატნენ დიდი სამამულო ომის გმირები, რომელთა თავდადებაზეც ბევრს წერდა საბჭოთა პრესა. მაგრამ სტალინს შეგნებული ჰქონდა, რომ საჭირო იყო სუვოროვის ტიპის რუსი მხედართმთავრის სახის შექმნა, რომელიც ჯარისკაცებს იმედსა და გამარჯვების რწმენას ჩაუნერგავდა. ნიჭიერი მხედართმთავარი ჟუკოვი, თავისი ბიოგრაფიული მონაცემებით იდეალურად ესადაგებოდა ასეთი გმირის როლს. სტალინის მითითებით, ჟუკოვის პიროვნება, როგორც ახლა ამბობენ, პიარის ობიექტი გახდა. მას მიაწერდნენ უმეტესი სამხედრო ოპერაციის ავტორობასა და წარმატებას.

ა.მ. ჯულა ეთანხმებოდა ამგვარი პროპაგანდისტული კამპანიის აუცილებლობას, მაგრამ არ უყვარდა ჟუკოვი და არ ენდობოდა მას. მას აღიზიანებდა ჟუკოვის თავხედური ქცევის მანერა, რომელსაც რატომღაც ხასიათის სიმტკიცედ ასაღებდნენ, უსაზღვრო პატივმოყვარეობა და მზადყოფნა, დაუნდობლად გაეწირა ადამიანების სიცოცხლე. ეს უკანასკნელი თვისება მართლაც მკვეთრად გამოარჩევდა ჟუკოვს დანარჩენ საბჭოთა მხედართმთავართაგან.

ჯულას მიაჩნდა, რომ ჟუკოვი დამნაშავეა ადამიანთა უზარმაზარ და გაუმართლებელ მსხვერპლში. მხოლოდ ერთ თვეში (1941 წლის 5.12-დან 1942 წლის 7.01-მდე) დასავლეთის ფრონტმა ჟუკოვის მეთაურობით დაკარგა 260 ათას კაცზე მეტი. 1945 წელს ვისლა-ოდერის ოპერაციისთვის მზადების პერიოდში ჟუკოვს უდიდესი უპირატესობა შეუქმნეს მოწინააღმდეგესთან შედარებით: 4-ჯერ მეტი — ცოცხალი ძალა, 6-ჯერ მეტი — ტანკები, 7-ჯერ მეტი — ქვემეხები, 8-ჯერ მეტი — ავიაცია. მაგრამ დანაკარგმა 194 ათას კაცს გადააჭარბა. ჯულა განსაკუთრებით ადანაშაულებდა ჟუკოვს 400 ათასი ადამიანის დაღუპვაში, რომელთა სიცოცხლე ჟუკოვმა ომის უკანასკნელ დღეებში გაწირა თავისი ამბიციური სურვილის — ისტორიაში ბერლინის ამღები მხედართმთავრის სახელის დასამკვიდრებლად.

ჯულას თქმით, მას სტალინთან სერიოზული კონფლიქტი მოუხდა 1945 წელს, ჟუკოვის საბჭოთა კავშირის გმირის მესამე ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოების წინ. დაჯილდოების საწინააღმდეგო ჯულას ყველა მოსაზრება სტალინმა მოისმინა, მაგრამ არ გაიზიარა და ხელი მოაწერა ბრძანებულებას.

შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს ჯულას სიმართლე. ჟუკოვის ზნეობრიობის შესახებ პირველი ინფორმაცია სტრატეგიულ კონტრდაზვერვაში ჯერ კიდევ ომის წლებში მიიღეს. საკმაოდ ფართოდაა ცნობილი რუსული ხალხური სიმღერების სახელგანთქმული შემსრულებლის ლიდია რუსლანოვას კომერციული ოპერაციები, რომელიც ჟუკოვისგან მიღებული სურსათით ბლოკადაში მყოფი ლენინგრადის მომაკვდავი მოქალაქეებისგან შეისყიდდა ძვირფასეულობას და სურათებს. რუსლანოვას ქმარმა, ჟუკოვის ახლო მეგობარმა, ცხენოსანთა მე-2 გვარდიული კორპუსის მეთაურმა კრიუკოვმა სახელი მაროდიორობით გაითქვა.

ჟუკოვის შოფერს ბუჩინს ახლობლები „გენერალ ეიზენჰაუერს" უწოდებდნენ, რადგან შეფისგან მიღებული საბრძოლო ჯილდოების რაოდენობით იგი ამერიკელთა არმიის სახელგანთქმულ სარდალს დაეწია.

ჟუკოვის დაუსჯელობას და ბონაპარტისტულ ამბიციებს შედეგად მის გარემოცვაში მარშლის „გერმანიის დამმარცხებლად" მოხსენიება მოჰყა, სხვა საბჭოთა მხედართმთავრებისა და პირადად სტალინის დამსახურებას არად დაგიდევდნენ. სამხედროების ნაწილმა სახელმწიფო ხელისუფლებაში მოსვლის შესაძლებლობა ჟუკოვის სახელს დაუკავშირა. ზოგჯერ იმასაც კი წაიკითხავთ, რომ სტალინს ჟუკოვის ეშინოდა. ჯულას არაერთხელ უთქვამს, რომ სტალინს თავისი უზარმაზარი ავტორიტეტით, ძალაუფლებითა და უძლიერესი სპეცსამსახურებით, არავის შიში არ ჰქონდა, მით უფრო, ისეთი უმნიშვნელო და მთლიანად მასზე დამოკიდებული ფიგურისა, როგორიც ჟუკოვი იყო. მაგრამ სტალინს ჯულას გაფრთხილება არ დავიწყებია.

ჯულამ ილაპარაკა ერთი თათბირის შესახებ, რომელზეც სტალინმა ჯულას წინადადება მისცა, დაეპატიმრებინა ჟუკოვი. — დაგვიანებულია, ამხანაგო სტალინ, — უპასუხა ჯულამ, — თქვენ იგი ეროვნულ გმირად აქციეთ. ხალხი ვერ გაგიგებთ.

აუცილებელია, ერთი ლეგენდის შესახებაც ვთქვათ, რომელიც თვით ჟუკოვმა შეთხზა. ლაპარაკია ჟუკოვის უნარზე მტკიცედ შეპასუხებოდა სტალინს. ნიკოლაევი აღნიშნავდა, რომ სტალინთან შეკამათება შეიძლებოდა მხოლოდ იმ საზღვრებში, რომლებიც თავად მას ჰქონდა დადგენილი, თანაც — ყოველი ადამიანისთვის განსხვავებული. ჟუკოვი გამონაკლისი არ ყოფილა და ზოგიერთ მომენტში გაჩუმებას

ან სტალინისთვის კვერის დაკვრას ამჯობინებდა. დამახასიათებელია ჟუკოვის მიერ აღწერილი უმაღლესი სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელიც 1946 წლის 1 ივნისს გაიმართა და ჟუკოვის შეუფერებელი ქცევის განხილვას მიეძღვნა. ჟუკოვის მოგონებებში, იგი მტკიცედ და გარკვევით უპასუხებდა სტალინს, ჯულა, კი, რომელიც ამ სხდომას ესწრებოდა, შემდგომ ამბობდა, რომ ფერდაკარგულ ჟუკოვს რაიმეს თქმის უნარი საერთოდ ჰქონდა წართმეული, რაც ემთხვევა მარშალ კონევის და თათბირის სხვა მონაწილეთა მოგონებებს.

გერმანიის გაძარცვა, არა სამართლიანი რეპატრიაცია, არამედ უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელების მიერ ქონების გაზიდვა, დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი ყველაზე ბინძური ფურცელია. ოფიცერთა უმრავლესობა პატიოსან ადამიანებად დარჩა, მაგრამ ჟუკოვსა და მისნაირებს თვითმფრინავებითა და ვაგონებით გამოჰქონდათ ხარახურა და, ამასთან, საბრძოლო ორდენებით დაჯილდოებული ჯარისკაცების დახვრეტის ბრძანებებს გასცემდნენ მაშინ, როცა ამ ჯარისკაცების დანაშაული გერმანელებისთვის ერთი წართმეული ქათმით განისაზღვრებოდა.

ერთი შემთხვევა უშუალოდ ა.მ. ჯულას ოფიცერს შეეხო, რომელიც შინსახკომის კაპიტნის დოკუმენტების საფარით გერმანიის ტერიტორიაზე დავალებას ასრულებდა. იგი, მნიშვნელოვანი დოკუმენტებით სასწრაფოდ უნდა დაბრუნებულიყო მოსკოვში. ბერლინის მახლობლად სამხედრო აეროდრომზე მისულმა შეიტყო, რომ გასაფრენად ემზადებოდა სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომელსაც ერთ-ერთი მარშლის ხარახურით ტვირთავდნენ. ოფიცერმა მას ყველა წესის დაცვით მიმართა, წარუდგინა შინსახკომის თანამშრომლის დოკუმენტები, აცნობა, რომ სასწრაფოდ უნდა ჩასულიყო მოსკოვში და სთხოვა, თვითმფრინავში ერთი ადგილი მისთვის დაეთმოთ. მარშალმა, რომელსაც ზედმეტი ასი კილოგრამის დატოვება დაენანა, ოფიცერს დედა აგინა. ოფიცერი შტაბიდან დაუკავშირდა ჯულას და შექმნილი პრობლემის შესახებ აცნობა. ათი წუთის შემდეგ გენერალმა მიიღო ჟუკოვის ბრძანება ბორტზე ოფიცრის მოთავსების შესახებ და თვითმფრინავი მოსკოვში გაფრინდა. როცა თვითმფრინავი მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე დაეშვა, მარშალი ხარახურასთან ერთად დაატიმრეს.

ქალისა და კაცის ურთიერთობის საკითხებს სტალინი ნორმალუ-

რად აღიქვამდა, პირმოთნე არ ყოფილა, მით უფრო, რომ ხელმძღვანელ წრეებში ამ მხრივ თავისუფლება იყო და, გარდა ჩახლართული ნათესაური ურთიერთობებისა, გასათვალისწინებელი იყო არანაკლებ რთული და მრავალრიცხოვანი სასიყვარულო კავშირები. მაგრამ სასიყვარულო კავშირების გამო სტალინი არავის დევნიდა, მით უფრო, როცა საქმე ნამდვილად ღირსეულ მუშაკს ეხებოდა.

ფართოდაა ცნობილი შემთხვევა, როცა სტალინს მოახსენეს, რომ მარშალ როკოსოვსკის თან დაჰყვება თავისი საყვარლების ნამდვილი ჰარამხანა, რომელთაც ფორმალურად რაღაც თანამდებობები ეკავათ. შეკითხვაზე: — რა უნდა გქნათ? — სტალინმა, მისთვის დამახასიათებელი იუმორით უპასუხა: — უნდა შეგვშურდეს!

მაგრამ სტალინი ალარ იყო შემწყნარებელი, როცა ხელმძღვანელების სასიყვარულო ისტორიები სკანდალური ხდებოდა, ბინძურდებოდა და ხელისუფლების დისკრედიტაციას იწვევდა.

კანონზომიერად შეიძლება დაიბადოს შეკითხვა, რატომ იყო, რომ სტალინი, რომელმაც იცოდა მისი პოლიტიკიდან ნებისმიერი გადახვევის მკაცრად და გადამჭრელად აღკვეთა, არსებულ გარემოებაში არ მიმართავდა მკაცრ ღონისძიებებს უმაღლეს წრეებში შექმნილი მდგომარეობის შესაცვლელად?

ომის წლების გადატვირთვა სტალინის ჯანმრთელობაზეც აისახა. სტალინის ოფიციალური გარემოცვისთვისაც კი დამალული იყო, რომ 1943, 1944 და 1945 წლებში სტალინმა ტვინის სისხლძარღვების სპაზმი და, შესაძლოა, ტვინში სისხლის ჩაქცევაც კი გადაიტანა. ეს იცოდნენ მხოლოდ ძალიან ახლობელმა ადამიანებმა და სტალინის სპეცსამსახურმა. მაგრამ 1949 წლის დეკემბერში სტალინმა მძიმე ინსულტი გადაიტანა, რომლის შედეგები ყველასთვის თვალსაჩინო გახდა. პრაქტიკულად წაერთვა ხელი და ფეხი, დაერღვა მეტყველება. შემდგომ მდგომარეობა ერთგვარად გამოუსწორდა, მაგრამ სტალინი თითქმის არ იღებდა მომსვლელებს, შეწყვიტა დოკუმენტებზე მუშაობა.

სტალინის პირადი სპეცსამსახური განაგრძობდა ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ შექმნილ მდგომარეობაზე დაკვირვებას, ძირითადი პოლიტიკური ფიგურების აქტიურ აგენტურულ დამუშავებას. მაგრამ დაიკარგა მთავარი: სტალინთან აქტიური უკუკავშირი. ინფორმაციული შეტყობინებები და აგენტურული პატაკები ყოველთვის

არ განიხილებოდა, მათზე გადაწყვეტილებებს არავინ იღებდა. შემცირდა სტალინისა და ჯუღას შეხვედრების რაოდენობა, ის შეხვედრებიც კი, რომლებიც შედგა, იყო ხანმოკლე და უშედეგო. ჯუღა ცდილობდა, სტალინის ყურადღება მიეპყრო მთელი რიგი პირველხარისხოვანი პრობლემებისთვის, მაგრამ სტალინს არ შეეძლო წარდგენილ მასალებზე ყურადღების გამახვილება. ჯუღას მრავალგზისი მცდელობა დამთავრდა იმით, რომ სტალინმა მას უთხრა: „ხომ ხედავ, რომ ახლა ალარ შემიძლია მუშაობა“

მაგრამ ჯუღას არ შეეძლო, უმოქმედოდ ყოფილიყო, რადგან ხედავდა, რომ ქვეყანაში სიტუაცია იცვლებოდა. სტალინის ინსულტის შედეგი მძიმე იყო არა მხოლოდ ფიზიოლოგიური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. სტალინს ალარ შეეძლო, მკაცრად გაეკონტროლებინა თავისი აპარატი. სტალინის გარემოცვაში მომენტალურად გაჩნდა დაჯგუფებები, რომელთაც შინაბრძოლები დაიწყეს.

ყველა ინტრიგის მთავარი ამოცანა სტალინის მემკვიდრის შექმნის მცდელობა იყო. მემკვიდრეობითობის საკითხი სტალინმა 1948 წელს წამოსწია. ესაუბრა ჯუღას და აცნობა თავისი გადაწყვეტილება, განეხილა ჯუღა თავის მემკვიდრედ, ამასთან, — მზადყოფნა, დაეწყო ხელისუფლებაში ჯუღას ოფიციალური შეყვანა. სტალინმა განუცხადა, რომ განზრახული ჰქონდა დაესვენა, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკული გახდა და დაღლილობა ნორმალურ მუშაობაში ხელს უშლიდა. სტალინმა თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთა არა მხოლოდ იმ გარემოებით, რომ სტრატეგიული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ქსელის მეშვეობით ჯუღა აკონტროლებდა სახელმწიფო უშიშროების მთელ სისტემას, სამხედრო, პარტიულ და სამეურნეო ორგანოებს, არამედ იმითაც, რომ იგი მუდმივად სტალინის გვერდით იმყოფებოდა, ფაქტობრივად, ახორციელებდა ქვეყნის მართვის რიგ ფუნქციებს, გამოიმუშავა სახელმწიფოს მეთაურისთვის აუცილებელი თვისებები. ჯუღამ უარი თქვა, განეხილა ასეთი შესაძლებლობა.

თავისი გადაწყვეტილება სტალინმა ბრძანებით გააფორმა: „მზად იყავი ქვეყნის მართვის მისაღებად. მე მძიმედ ვარ ავად. არ ვკითხულობ ჭაღალდებს, არ ვხვდები ადამიანებს“

ამ პერიოდში ჯუღა დაუახლოვდა ქალს, რომელიც შემდგომ მისი ცოლი გახდა, რომელიც სიკვდილამდე გულწრფელად უყვარდა და

რომელმაც მის მკაცრ ცხოვრებაში რაღაც ახალი და უცნობი შეიტანა. თან დაღლილობამაც თავისი როლი ითამაშა. ჯულამ მტკიცე უარით უპასუხა: „ამხანაგო სტალინ, ათ წელიწადზე მეტია, სხვა ცხოვრება არ ვიცი, გარდა მუშაობისა. მინდა ცოტა ხანს ნორმალური ადამიანივით ვიცხოვრო“. უარი, როგორც ჩანს, სტალინისთვის შოკისმომგვრელი იყო. მას სახე გაუქვავდა და ჯულას უთხრა: „შენ ყალბი კომუნისტი ხარ და კიდევ ამბობ, რომ ხალხს ემსახურები. წადი“.

ამ მომენტიდან ურთიერთობა სტალინსა და ჯულას შორის გაგრილდა, შეხვედრები ძალიან გაიშვიათდა. ყველა მასალას ჯულა ძირითადად წერილობითი ფორმით უგზავნიდა სტალინს, მაგრამ მითითებებს იშვიათად იღებდა.

ვ. ჟუხრაი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1948 წლის 27 სექტემბერს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის, 58(10) მუხლით დააპატიმრეს ხალხის საყვარელი მომღერალი ლიდია ანდრეევნა რუსლანოვა (კრიუკოვა), ცხენოსანთა მე-2 გვარდიული კორპუსის ყოფილი მეთაურის, ამჟამად მაროდიორობისთვის, ნაალაფარი ქონების განსაკუთრებულად დიდი ოდენობით დატაცებისთვის დაპატიმრებული კრიუკოვის ცოლი, რომელიც მარშალ ჟუკოვის საქმეში გადის და რომელმაც მისცა ჩვენება ომის დროს მარშალ ჟუკოვის ანტისაბჭოთა გამონათქვამების შესახებ, ვისთანაც კრიუკოვს დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა და რომელსაც ჟუკოვი ყოველმხრივ მფარველობდა.

რუსლანოვას (კრიუკოვას) საქმის გამოძიების დროს დადგინდა, რომ ალყაშემორტყმულ ლენინგრადში ბრიგადასთან ერთად გასტროლების დროს რუსლანოვა იმ პროდუქტებით, რომლებსაც ჟუკოვისგან საჩუქრად იღებდა, შიმშილით მომაკვდავი ადამიანებისგან იძენდა სხვადასხვა ფასეულობასა და ძვირფას ნახატებს. რუსლანოვას აგარაკზე ჩატარებული ჩხრეკის დროს ამოღებულია დიდი რაოდენობით ნაალაფარი ქონება, რომელიც კრიუკოვმა გერმანიიდან გამოზიდა.

რუსლანოვას ყოფილი შინამოსამსახურის ვინმე ეგოროვას ბინაში,

იატაკის ქვეშ სპეციალურად მოწყობილ სამალავში აღმოჩენილი და ამოღებულია 208 ბრილიანტი, ბევრი სხვა ძვირფასი ქვა და ოქროს ნაკეთობა მრავალი მილიონი მანეთის ღირებულების. რუსლანოვას მოწყობილი აქვს პირადი სამხატვრო გალერეა, 132 მართლაც ფასდაუდებელი სურათით, მათ შორის რეპინის, სეროვის, შიშკინის, პოლენოვის, აივაზოვსკის, სურიკოვის, ლევიტანის, ბრიულოვის და სხვათა ნაწარმოებებით.

რუსლანოვასა და კრიუკოვს ჰქონდათ შესანიშნავად მოწყობილი ორი ბინა, ორი აგარაკი და სამი ავტომანქანა. სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგანგებო სათათბირომ ჩადენილ დანაშაულობათა გამო რუსლანოვას მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ვითვალისწინებ რა შესაძლო შუამდგომლობებს მისი ვადამდელი გათავისუფლების და საერთოდ შეწყალების შესახებ, გთავაზობთ: იმ უმაგალითო ცინიზმის გათვალისწინებით, რომლითაც დანაშაულობანი იყო ჩადენილი, პატიმრობიდან არ გათავისუფლდეს. ყოფილი გენერალი კრიუკოვი მწყობრის წინ დაიხვრიტოს.

ა. ჯულა

ცნობა

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *თანახმა ვარ.*

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეხყობინება

სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, პოლონეთის მთავრობის მრჩეველს, გენერალ ივან ალექსანდროვიჩ სეროვს, რომელმაც პოლონეთის ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთის ლიკვიდაცია განახორციელა, საყვარლად ჰყავს ცნობილი პოლონელი ოპერის მომღერალი ბანდეროვსკა-ტურსკა, რომელიც პოლონეთის ანტისაბჭოთა წრეებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ა. ჯულა

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *ამხანაგო ჯულა! სეროვთან ახლოს მყოფი თქვენი თანამშრომლების მეშვეობით ფრიად დელიკატურად აცნობეთ მას ამის შესახებ. ამხანაგი სეროვი ძალიან კარგი მუშაკია, რომელიც ბრწყინვალედ ასრულებს ყველაზე რთულ და მნიშვნელო-*

ვან ოპერატიულ დავალებებს. ნუ ატკენთ გულს. ეს მხოლოდ მტრებისთვის იქნება მომგებიანი. დაე, მშვიდად იმუშაოს.

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეჯამება

1946 წლის 28 დეკემბერს ოპერატიული საშუალებების დახმარებით ცნობილი გახდა გენერლების გორდოვისა და რიბალჩენკოს ანტისაბჭოთა საუბარი ერთმანეთთან, აგრეთვე, გორდოვისა — ცოლთან (საუბრის ჩანაწერი თან ერთვის).

1947 წლის იანვარში გორდოვი ცოლითურთ, რიბალჩენკო და ყოფილი მარშალი კულიკი დააპატიმრეს.

1950 წლის 24 აგვისტოს უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ანტისაბჭოთა, შეთქმულებითი საქმიანობისათვის კულიკს, გორდოვს და რიბალჩენკოს მიესაჯათ დახვრეტა.

განაჩენი აღსრულებულია.

ა. ჯ ულა
1950 წლის 25 აგვისტო

ნაწილი 4
სტალინის ახლო გარემოცვაში

სრულიად საიდუმლოდ

ცნობების დანართი

რედენსი სტანისლავ ფრანცევიჩი, პარტიული ფსევდონიმი „სტახი“, სახელმწიფო უშიშროების პირველი რანგის 6 კომისრიდან ერთ-ერთი პირველი, ცოლად ჰყავდა ამხ. სტალინის ცოლისდა ა.ს. ალილუევა, რომელიც 1948 წელს დააპატიმრეს.

თანამდებობები, რომლებიც რედენსს ეკავა: ძერჟინსკის მდივანი, ოდესის საოლქო საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე, სსრკ შინსახკომის სამმართველოს უფროსი მოსკოვის ოლქში. დაპატიმრების შემდეგ წაუყენეს ბრალდება: ჯაშუშობაში, პოლონეთის გენერალური შტაბის მეორე განყოფილების(ორიანის) აგენტი; რევოლუციამდელ პერიოდში იყო მეფის ოხრანკის აგენტი, მიიწერა პარტიული სტაჟი და დამალა თავისი მენშევიკური წარსული, იცავდა ხალხის მტრებს.

მისი მტრული საქმიანობის შესახებ ჩვენებები მისცეს უცხოური დაზვერვების აგენტებმა: ს. ვეინბერგმა — 1938 წლის 16 აგვისტოს, ი. ზაკგეიმმა — 1938 წლის 21 აგვისტოს, ს.ვ. კოსიორმა და ნ.ი. ეჟოვმა — 1939 წლის აპრილში. გამოძიების დროს რედენსმა აღიარა თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა და დაიხვრიტა.

P.S. რედენსმა იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილს (ამხ. სტალინის უფროსი ვაჟს) გააცნო ოდესელი ქალი, ერთ-ერთი კაფეს მოცეკვავე იულია ისააკოვნა მელცერი, რომელიც მისი ახალი ცოლი გახდა. მას შემდეგ, რაც 1941 წელს იაკობ იოსების ძე გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა მელცერი დააპატიმრეს და სსრკ შინსახკომის შიდა ციხეში იმყოფებოდა 1943 წლამდე. ამხანაგი სტალინი ეჭვობდა, რომ იგი შეიძლებოდა ყოფილიყო წყარო გერმანული დაზვერვისთვის ფრონტზე ი.ი. ჯუღაშვილის ადგილსამყოფელის დადგენის საქმეში. შემოწმებით ეჭვი არ დადასტურდა და 1943 წელს მელცერი გაათავისუფლეს. ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში ბოლშოი კომსომოლსკის შესახვევში.

ა. ჯუღა
1948 წელი

ცნობა

ვასილ სტალინი ძნელად აღსაზრდელი ყმაწვილი იყო, რადგან ადრევე შეიგრძნო თავისი განსაკუთრებულობა. მის გარშემო მყოფ უფროსებს ეშინოდათ შეპასუხება და იგი სულ უფრო თავს გადიოდა. სტალინმა, რომელსაც შვილის აღსაზრდელად დრო არ რჩებოდა, ეს ამოკანა თავისი გარემოცვიდან ზოგიერთ ადამიანს დააკალა.

(შემდგენ.)

მასწავლებელს ამხ. მარტიშინს

თქვენი წერილი ვასილ სტალინის „შემოქმედებათა“ შესახებ მივიღე. გმადლობთ წერილისთვის.

სამუშაოთი გადატვირთულობის გამო დიდი დაგვიანებით გიპასუხებთ. ბოდიშს გიხდით.

ვასილი საშუალო უნარის მქონე განებივრებული ყმაწვილია, გაველურებული (სკვითის ტიპის!), უმეტესად მართალი არ არის, უყვარს სუსტი „ხელმძღვანელების“ დაშანტაჟება, არცთუ ი'შვიათად თავხედია, სუსტი, უფრო ზუსტად, არაორგანიზებული ნებისყოფისაა.

იგი გაანებივრეს სხვადასხვა „ნათლიებმა“ და „ნათლიდედებმა“, რომლებიც წამდაუწუმ უჩიჩინებდნენ, რომ იგი სტალინის შვილია.

მოხარული ვარ, რომ თქვენი სახით აღმოჩნდა თუნდაც ერთი საკუთარი თავის პატივისმცემელი ადამიანი, რომელიც ვასილს ექცევა ისე, როგორც ყველას და თავხედისგან სკოლის საერთო რეჟიმისთვის დამორჩილებას მოითხოვს. ვასილს აფუჭებენ თქვენს მიერ ნახსენების მსგავსი დირექტორები, ადამიანები-ჩვრები, რომლებსაც არაფერი ესაქმებათ სკოლაში, და თუ კაცდაკაცი ვასილმა ჯერ კიდევ არ დაიღუპა თავი, ეს იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში არიან მასწავლებლები, რომლებიც არაფერს შეარჩენენ ჭირვეულ ბატონიშვილს.

გირჩევთ: უფრო მკაცრად მოსთხოვოთ ვასილს და არ შეგაშინოთ ჭირვეულის ყალბმა, დამაშანტაჟებელმა მუქარამ „თავის მოკვლის“ შესახებ. ამაში დაგეხმარებით.

სამწუხაროდ, მე თვითონ საშუალება არ მაქვს მივხედო, მაგრამ პირობას გაძლევთ, დროდადრო ქეჩოში ჩავავლო ხელი.

სალამი!

ი.ბ. სტალინი

ცნობა

ცნობილმა რეჟისორმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა რომან ლაზარევიჩ კარმენმა თავისი ცოლის, ლამაზმან ნინას დაკარგვის შესახებ განაცხადა მილიციაში. განცხადება ჯულას ოფიცრების ხელში მოხვდა, რომლებმაც იცოდნენ, რომ ნინა კარმენი ვასილ სტალინთან გადავიდა მასთან ცხოვრების განზრახვით. იძულებული გახდნენ, მოეხსენებინათ ი.ბ. სტალინისათვის.

(შემდგენ.)

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეგყობინება

ვასილ იოსების ძე სტალინს ორმხრივი თანხმობით თავისთან აგარაკზე ჰყავს კინორეჟისორისა და კინოოპერატორის კარმენის ცოლი.

ა. ჯულა

სტალინის რეზოლუცია: *„ეს სულელი ქალი დაუბრუნეთ ქმარს. პოლკოვნიკი სტალინი მკაცრი პატიმრობის 15 დღით ჩასვით“.*

ცნობა

ვასილ სტალინი დამნაშავე იყო სკანდალში, რომელიც ფართოდ გახდა ცნობილი. 1942 წელს თავის სახლში მიიყვანა ალექსეი კაპლერი, რომელიც ვასილის დის, 16 წლის სვეტლანას შეყვარებული გახდა.

ალექსეი იაკოვლევიჩ კაპლერი ამ მომენტისთვის ცნობილი კინოსცენარისტი, რეჟისორი, მსახიობი, სტალინური პრემიის ლაურეატი იყო. განსაკუთრებით აღნიშნავდნენ მის სცენარებს ფილმებისთვის „ლენინი ოქტომბერში“ და „ლენინი 1918 წელს“, რომლებიც მიხაილ რომმა დადგა. უდიდესი მამაკაცური მომხიბვლელობით დაჯილდოებული და კინოხელოვნების სფეროში მომუშავე, იგი პლეიბოის ცხოვრებას ეწეოდა და იმ დროს ბევრი ლამაზი საბჭოთა ქალის საყვარელი იყო.

ძნელი დასაჯერებელია, რომ მდიდარი და დახვეწილი სექსუალური გამოცდილების მქონე 40 წლის მამაკაცს მოსწონებოდა 16 წლის გოგონა, რომელიც „შემთხვევით“ აღმოჩნდა ბელადის შვილი.

სვეტლანა, რომელსაც დედის ფსიქიკური დაავადება და ჰიპერსექსუალობა გამოჰყვა, სრულიად შეიშალა. საათობით ეკიდა ტელეფონზე

და კონსპირაციის მიზნით კაპლერს „ლუსიად“ მოიხსენიებდა, ისე, როგორც მას მეგობრები ეძახდნენ.

ჯუღამ ყველაფერი იცოდა და სტალინს ფრთხილად შეაპარა ჭალიშვილის ქცევის ამბავი. სტალინმა სვეტლანას უთხრა, რომ უკმაყოფილო იყო, კაპლერს კი ტელეფონით ელაპარაკა გენერალი რუმიანცევი, სტალინის დაცვის უფროსის — ვლასიკის მარჯვენა ხელი. კაპლერმა არ შეწყვიტა თავისი კონტაქტები სვეტლანასთან. ლავროვმა და ჯუღამ თავიანთი აგენტურული არხებით მიიღეს ინფორმაცია კაპლერის უცხოური კონტაქტებისა და სვეტლანაზე გადაკიდების არაშემთხვევითი ხასიათის შესახებ.

კაპლერის ქცევაში ცვლილება რომ ვერ შეამჩნია, ჯუღამ სტალინს დაწვრილებით მოახსენა კაპლერისა და სვეტლანას ურთიერთობისა და თავისი ეჭვის შესახებ. 1943 წლის 2 მარტს კაპლერი დააპატიმრეს. სვეტლანასა და მამამისს შორის მძიმე საუბარი შედგა, მამამ იგი კარგად გამოლანძღა და რამდენიმე სილაც გააწნა. ჯუღა, რომელსაც სტალინის დამშვიდება სურდა, იმეორებდა: „ამხანაგო სტალინ, სვეტლანა ავადმყოფი ადამიანია. დედისგან ცუდი მემკვიდრეობა გამოჰყვა. საკუთარ ქცევაზე პასუხს არ აგებს. მკურნალობა სჭირდება“

ზოგიერთები ცდილობენ, ამ კონფლიქტში ანტისემიტური კონტექსტი და რეპრესიების უსაფუძვლობის დასტური დაინახონ. მაგრამ სტალინი იყო მამა და საქმე 16 წლის გოგოსა და 40 წლის მამაკაცის ურთიერთობას ეხებოდა. იმ დროს საბჭოთა კანონმდებლობით სრულწლოვნად 18 წლის ადამიანი ითვლებოდა, ამიტომ კაპლერის ქცევა არასრულწლოვანის შეცდენად ითვლებოდა და სოლიდური რაოდენობის წლებით ბანაკის ზონაში სასჯელის მოხდით ისჯებოდა, სადაც ამ მუხლით მსჯავრდებულებს მწარე ცხოვრება ელოდათ.

ვ. ეუხრაი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

კინორეჟისორ ა. კაპლერის მიერ ბანაკიდან ამხ. სტალინისთვის გამოგზავნილი წერილი, რომელიც ბერიას სამდივნოში მიიღეს.

„ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძევ! საგანგებო სათათბიროს მიერ მსჯავრდებული ვარ ანტისაბჭოთა გამონათქვამებისათვის, რაც არ მიღიარებია და არ ვაღიარებ. დაჯილდოებული ვარ ლენინის ორდენით

და მონიშნებული მაქვს პირველი ხარისხის სტალინური პრემია. თანა-მონაწილე ვარ ფილმების: „იგი იცავდა სამშობლოს“, „კოტოვსკი“, „ომის დღე“ შემიძლია ვაღიარო მხოლოდ ჩემი არათავმდაბლობა. ნება მომეცით, წავიდე ფრონტზე. გემუდარებით ამას.

ა. კაპლერი
1944 წლის 27 იანვარი“

ბერიას ხელმოწერილი ცნობა კაპლერის შესახებ

„კაპლერს საფრანგეთში ჰყავს და. ხვდებოდა ამერიკელ კორესპონ-დენტებს შაპიროსა და პარკერს. დამნაშავედ თავი არ უცვნია, მაგრამ მხილებულია აგენტურული მონაცემებით.

1944 წლის 16 მარტი“

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

კაპლერი ნიუ-იორკის ანტისაბჭოთა როკფელერის ცენტრის აგენ-ტია. ჩვენი მონაცემებით, მიიღო დავალება, შეაღწიოს ამხ. სტალინის უახლოეს გარემოცვაში. ბანაკიდან მისი გათავისუფლება და ფრონტ-ზე გაგზავნა მიზანშეუწონელია.

ა. კრული
1944 წლის 26 მარტი

სრულიად საიდუმლოდ
თან ერთვის ცნობებს

აგენტურული პაპაკების მიხედვით

სვეტლანა იოსების ასულ სტალინას არაერთხელ განუცხადებია, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე აწუხებდა საკუთარ თავში, თავის შესაძ-ლებლობებსა და უნარში დაურწმუნებლობა. „ყოველთვის მეჩვენებო-და, — ამბობდა იგი, — რომ ყველაფერს ცუდად და არასწორად ვაკე-თებ. თან მდევს რაღაც შინაგანი შებორკილობა. ყველაზე მეტად მსურს გავეცალო ყველას და რაც შეიძლება მაგრად მივიხურო კარი“

ა. კრული

ცნობა

სამედიცინო შემოწმების შემდეგ, რომელიც სვეტლანა იოსების ასულ სტალინას დისპანსერიზაციის სახით ამხანაგ სტალინის ნებართვით

ჩაუტარდა, დადგენილია, რომ მას აწუხებს ნერვული სისტემის მძიმე დაავადება, რომელიც შიზოფრენიით დაავადებული დედისგან ნადეჟდა ალილუევასგან გენეტიკურად მიიღო.

ა. ჯულა
1951 წლის 23 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

თავის უახლოეს გარემოცვასთან საუბრის დროს სვეტლანა სტალინას არაერთხელ მოუყოლია ი.ბ. სტალინთან თავისი ბოლო შეხვედრის შესახებ 1952 წლის 21 დეკემბერს: „მამასთან 1952 წლის 21 დეკემბერს ვიყავი, როცა მას 73 წელი შეუსრულდა. ამ დღეს ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. ალბათ, ავადმყოფობის გამო, მე-19 ყრილობის შემდეგ მან ორჯერ მიმართა ცკ-ს გადადგომის თაობაზე თავისი სურვილის შესახებ. მამამ მოწვევას თავი დაანება და ძალიან ამაყობს ამით. უწინდებურად, ჭკუის დაკარგვამდე ორთქლის აბანოში ბანაობს, რაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სრულიად დაუშვებელია. მაგრამ ექიმები, ვინც ამას დაუშლიდა, მის გარშემო არ ჩანან“

ს. ნიკოლაევი

ცნობა

ანასტას მიქოიანის შესახებ 1941 წლის ოქტომბერში

1941 წლის 16 ოქტომბერს ამხ. სტალინმა ვერ იპოვა მიქოიანი. გამარჯვების შემდეგ მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე პრონინი იხსენებდა: „აღშფოთებული სტალინი მირეკავს და მეუბნება: მიქოიანი სადღაც გაგვექცა, ვერ ვიპოვე, ძვირფასი ლითონი სადგურზე მიაგდო, ლითონი დანიშნულებისამებრ უნდა გაგზავნოთ“

ა. ჯულა

ცნობა

სტალინს აეჭვებდა ის ფაქტი, რომ 26 ბაქოელი კომისარი დახვრიტეს, ხოლო მიქოიანს, გაუგებარი მიზეზით, შეუნარჩუნეს სიცოცხლე. მიქოიანის შესახებ ინფორმაციით დაინტერესებული სტალინი ხშირად კითხულობდა: „როგორაა 27-ე ბაქოელი კომისრის საქმე?“

ა. ჯულა

საინფორმაციო შეტყობინება

ხრუშჩოვის შესახებ

ხრუშჩოვმა, რომელიც ხარკოვის მისადგომებთან ბრძოლაში ჩაბმული სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების არმიების სამხედრო საბჭოს წევრი იყო, კრიტიკულ მომენტში, როცა გერმანელებმა ალყაში მოაქციეს ჩვენი ჯარები, მიატოვა ფრონტი და მოსკოვში გაიქცა. სამხედრო ტრიბუნალისა და დახვრეტისგან იგი იხსნა მოლოტოვმა, რომელმაც ამხ. სტალინს მოახსენა, რომ ხრუშჩოვი მოსკოვში მისი, მოლოტოვის ბრძანებით გამოიძახეს.

ამხ. სტალინი თავის წერილში ხშირად და საკმაოდ საფუძვლიანად ხრუშჩოვს ბოთედ მოიხსენიებს.

ხრუშჩოვი აბსოლუტურად დაბალი განათლების ადამიანია. 1920 წელს ხმა მისცა ტროცკისტულ პლატფორმას. ხრუშჩოვი ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე წამოსწიეს ნ. ალილუევამ და ლაზარ კაგანოვიჩმა.

ხრუშჩოვი მართლმადიდებლური ეკლესიის დევნის თავგამოდებული მომხრეა.

ა. ჯუღა
1948 წლის 12 ივნისი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ანასტას ივანოვიჩ მიქოიანი — სსრკ მინისტრთა საბჭოთა თავმჯდომარის მოადგილე, ყოფილი 27-ე ბაქოელი კომისარი*, რომელიც დახვრეტას ინგლისელი მზვერავების მეშვეობით გადაურჩა (ბაქოში ინგლისის დაზვერვის აგენტების მიერ იყო დაპატიმრებული), არ იმსახურებს პოლიტიკურ ნდობას, ფარული ანტისაბჭოელია.

ა. ჯუღა
1952 წლის 13 ივლისი

ცნობა

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *უთვალთვალეთ მიქოიანს, მაგრამ მისი გამოყენება ჯერ შეიძლება, კარგი მეურნეა, ომის დროს ბევრი სასარგებლო რამ გააკეთა.*

ა. ჯუღა

---

* ა.ი. მიქოიანი, ფაქტობრივად, ბაქოს პარტორგანიზაციის პროპაგანდისტად ირიცხებოდა.

ნაწილი 5
ლევინგრადის საქმე

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

1938 წელს სუხანოვის ციხეში მყოფმა, სსრკ შინსახკომის ყოფილმა სახალხო კომისარმა ნ.ი. ეჟოვმა ბერიას მიერ დაკითხვის დროს აჩვენა, რომ აზნაური მალენკოვი, რომელმაც თითქოს 1921 წელს ხმა მისცა ტროცკის, ნიუ-იორკის ანტისაბჭოთა ცენტრის აგენტია. ბერიამ ამის შესახებ ამხ. სტალინს არ აცნობა და ეჟოვის ამ ჩვენების დახმარებით მალენკოვისთვის სადავე აქვს ამოდებული.

ა. კუნა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის
მოხსენდა. ა. კუნა

საინფორმაციო შეტყობინება

კრემლში ბერიას კაბინეტის სეიფში ინახება სსრკ შინსახკომის ყოფილი სახალხო კომისრის ეჟოვის ხელნაწერი განცხადება, რომელიც ბერიამ სუხანოვის ციხეში ეჟოვისგან მიიღო. ამ განცხადებაში ეჟოვი ამტკიცებს, რომ მალენკოვი მტერია, ფარული ტროცკისტია — ნიუ-იორკის ანტისაბჭოთა ცენტრის აგენტი. ეჟოვის ეს განცხადება ბერიამ ამხ. სტალინს დაუმალა.

ა. კუნა
1947 წლის 27 მარტი

რეზოლუცია: *მალენკოვის საქმეში.* ***ი. სტალინი***

ცნობა

მალენკოვი მოხსნილია საკ. კპ (ბ) ცკ მეორე მდივნის პოსტიდან და გაგზავნილია ხანგრძლივ მივლინებაში ყაზახეთში. აქტიურ დამუშავებაშია.

ა. კუნა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

გენერალ ჯუღას მკაცრი პროტესტის მიუხედავად, 1948 წელს ამხ. სტალინმა მალენკოვი ყაზახეთში ფაქტობრივი გადასახლებიდან დააბრუნა და კვლავ დანიშნა საკ. კპ (ბ) ცკ მდივნად და საკ. კპ (ბ) ცკ ორგბიუროს ხელმძღვანელად, რომელიც პასუხისმგებელი იყო საკადრო პოლიტიკაზე. მალე კი ამხანაგ სტალინის ნაცვლად ხელმოწერის უფლება მიიღო. ჯუღა მისთვის დამახასიათებელი უკმეხობით ეუბნებოდა ამხ. სტალინს, რომ პარტიის ცკ-ში მალენკოვის კვლავ დანიშვნით იგი დიდ შეცდომას უშვებს. „ეს აზნაური, — ამბობდა ჯუღა მალენკოვზე, — ფარული ანტისაბჭოელია და მჯერა, როგორც ეჟოვი სუხანოვის ციხეში დაკითხვაზე ამტკიცებდა, რომ იგი უცხოეთის დაზვერვის აგენტია. ეს ბებერი დედაკაცი მალანია, — დაცინვით ასე უწოდებდა ჯუღა მალენკოვს, — თავს კიდევ გამოიჩენს".

მიუხედავად ამისა, მალენკოვი დაინიშნა.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მალენკოვი და საკ. კპ (ბ) ცკ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე კოზლოვი თვალის ამხვევები არიან. ამხანაგ სტალინს მოახსენეს, რომ ორჯერ მეტი ხორბალი მოიწიეს, ვიდრე სინამდვილეში (წარუდგინეს მოუმკელი მოსავალი და არა ის, რომლის აღება და ბეღელში შენახვა შეძლეს).

ა. ჯუღა
1951 წლის 25 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
გენერალ ჯუღას ჩანაწერებიდან

ცნობა

1949 წლის 12 დეკემბერს ლ.პ. ბერიასა და ნ.ს. ხრუშჩოვის ჩაწერილი საუბრიდან.

ბერია: „ყური მიგდე, მალენკოვი უნებისყოფო კაცია. თხაბენტერაა, მაგრამ თუ არ დაიჭირე, შეუძლია უცებ ისკუპოს. ამიტომაც მიჭირავს, დავდივარ მასთან ერთად"

ა. ჯუღა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1952 წლის 18 ოქტომბერს ხრუშჩოვისა და მალენკოვის საუბრის ჩანაწერი: „მიკვირს, ნუთუ ვერ ხედავ და არ გესმის, ბერია როგორ გეპყრობა? შენ გგონია, რომ პატივს გცემს? ჩემი აზრით, ის შენ დაგცინის“ მალენკოვი — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ: „დიახ, ვხედავ, მაგრამ რისი გაკეთება შემიძლია?“

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ავიატორთა საქმეში გასული შახურინი, ნოვიკოვი და შიმანოვი ირწმუნებიან, რომ მოლოტოვმა, რომელიც პოლიტბიუროში საავიაციო მრეწველობაზე იყო პასუხისმგებელი, თითქოს იცოდა დიდი ნაკლოვანებების შესახებ საავიაციო მრეწველობის მუშაობაში და ფარავდა მათ.

ა. კულა
1947 წლის 20 იანვარი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აგენტურული პაპაკი

არსებული ინსტრუქციის დარღვევით, მოლოტოვმა იდენთან ერთად (მხოლოდ ინგლისელი თარჯიმნის თანხლებით) რამდენიმე სარკინიგზო გადასარბენის მანძილზე იმგზავრა. მათი საუბრის ჩაწერა ვერ მოხერხდა. მიგვაჩნია, პროფილაქტიკის მიზნით, მოლოტოვი საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლდეს, რაც საშუალებას მოგვცემს, აღკვეთოთ მისი შეხვედრები არასასურველ უცხოელებთან.

ა. ლავროვი, ა. კულა

ცნობა

მოლოტოვი საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებულია. აქტიურ დამუშავებაშია.

ა. კულა
1949 წელი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

საკ. კპ (ბ) ცკ ორგბიუროს წევრი 1946 წლიდან და საკ. კპ (ბ) ცკ მდივანი მ.ა. სუსლოვი (ნამდვილი გვარი — ზიუსი) არ იმსახურებს პოლიტიკურ ნდობას, აშკარად ჩააგო ბალტიისპირეთში ბანდიტიზმთან ბრძოლა. ბელადის კონტრდაზვერვის მიერ აქტიურ დამუშავებაშია, მაგრამ კონკრეტული მონაცემები მისი მტრული საქმიანობის შესახებ ჯერ არ მიგვიღია.

ა. ჯულა
1949 წლის 18 ნოემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

კუზნეცოვმა და პოპკოვმა შემოიკრიბეს მლიქვნელები და პოლიტიკურად საეჭვო ადამიანები.

კომუნისტებს შორის უნიჭო პიროვნებების სახელი აქვთ, არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნიათ, ქედმაღლობენ.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ლენინგრადის საქმეზე დაპატიმრებულები არიან: კუზნეცოვი, ვოზნესენსკი, პოპკოვი, როდიონოვი, კაპუსტინი, ტურკო, ზაკარჟევსკაია. სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილში აქტიურად დაჰკითხავენ.

ა. ჯულა
1949 წლის 29 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ლენინგრადის ქალაქკომის მდივანი, დაპატიმრებული კაპუსტინი, რომელსაც ბრალად ედება ჯაშუშობა ინგლისური დაზვერვის სასარ-

გებლოდ, 1949 წლის 23 ივლისიდან 1949 წლის 4 აგვისტომდე სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილში დაიკითხებოდა ყოველდღიურად. მოგვცა ჩვენება კუზნეცოვის, პოპკოვის და ლენინგრადის სხვა ხელმძღვანელთა მტრული საქმიანობის შესახებ.

ა. ჯუღა
1949 წლის 5 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეგყობინება

ლენინგრადის საქმეზე დაპატიმრებულია ლენინგრადის ქალაქის აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე და პარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი პ. გ. ლაზუტინი, ლენინგრადის საოლქო აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე სოლოვიოვი.

ა. ჯუღა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

1949 წლის 10-დან 20 იანვრამდე ლენინგრადში გაიმართა საბითუმო ბაზრობა. 1949 წლის 15 თებერვალს საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება კუზნეცოვის, როდიონოვისა და პოპკოვის ანტიპარტიული საქმიანობის შესახებ.

1949 წლის 14 აგვისტოს სკკპ ცკ-ში მალენკოვის კაბინეტში ისინი დააპატიმრეს.

ა. ჯუღა
1949 წლის 29 აგვისტო

ცნობა

დღის ორ საათზე ვოზნესენსკი სტალინის კრემლის კაბინეტში იყო. ისე, რომ არ მისალმებია, სტალინმა ჰკითხა:

— რა მოხდა თქვენთან ლენინგრადში?

იმით, თუ როგორ გაფითრდა ვოზნესენსკი მის შეკითხვაზე, სტალინი მიხვდა, რომ ლავროვისა და ჯუღასგან მიღებული ცნობები, როგორც ყოველთვის, მართალი იყო. ერთგვარი დაბნეულობის შემდეგ ვოზნესენსკი შეეცადა, დაემალა სიმართლე, თავიდან აეცილები-

ნა პირდაპირი პასუხი სტალინის შეკითხვაზე და ამით დაიღუპა თავი.

— მე მგონი, ყველაფერი რიგზეა, ამხანაგო სტალინ, — თქვა მან.

— რიგზეა? — კითხვა დაუბრუნა სტალინმა, — ოთხი მილიარდის ზარალი, რომელიც ქვეყანას მიაყენეთ, წესრიგად მიგაჩნიათ? და კიდევ, როგორ გაბედეთ, ჩემი ნებართვის გარეშე სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში შეგემცირებინათ 1949 წლის პირველი კვარტლის სამრეწველო წარმოების გეგმა? — ვოზნესენსკის პასუხის გაცემა არ აცალა და უბრძანა, — დადეთ მაგიდაზე პარტიული ბილეთი, იგი შემთხვევით მოხვდა თქვენთან. შეგიძლიათ, სამუშაოზე აღარ გახვიდეთ, ჩათვალეთ, რომ შინაპატიმრობაში ხართ.

დედანთან სწორია: ა. ჯულა

ცნობა

ვოზნესენსკის წასვლის შემდეგ სტალინმა გასცა ბრძანება, დაეპატიმრებინათ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე კრუტიკოვი.

პარტიულ აქტივში გავრცელდა ჭორები: თითქოს სტალინი თავის მემკვიდრეებად საკ. კპ (ბ) ცკ გენერალური მდივნის პოსტზე აპირებს კუზნეცოვის, ხოლო სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ — ვოზნესენსკის დანიშვნას.

1949 წლის 23 ივლისს საკ. კპ (ბ) ლენინგრადის ქალაქკომის მეორე მდივანი კაპუსტინი დააპატიმრეს ინგლისის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით. სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილში 6 დღის განმავლობაში კაპუსტინს აქტიურად დაჰკითხავდნენ, რის შედეგად მან არამარტო აღიარა ლონდონში ინგლისის დაზვერვის მიერ მისი გადაბირების ფაქტი, არამედ მისცა ჩვენება, რომ ლენინგრადში ჩამოყალიბდა ანტისაბჭოთა, ანტიპარტიული ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდნენ საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრი, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვოზნესენსკი, საკ. კპ (ბ) ცკ მდივანი კუზნეცოვი, რომელსაც ცკ-ის ხაზით დავალებული აქვს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების კონტროლი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე როდიონოვი და პარტიის ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივანი პოპკოვი. რომ ამ ჯგუფში მისი, კაპუსტინის, გარდა შედიან: პარტიის ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მეორე მდივანი ტურკო, ლენინგრადის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ლაზუტინი, პარტიის ლენინგრა-

დის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ზაკრუევსკაია. ამ ჯგუფთან ასე თუ ისე დაკავშირებულია და მტკიცედ მხარს უჭერს 75 ადამიანი ლენინგრადის პარტიული აქტივიდან. რომ, თითქოს, ამ ჯგუფის ჩამოყალიბება მისთვის მხარდასაჭერად ჯერ კიდევ 1938 წელს დაიწყო პოლიტბიუროს წევრმა ჟდანოვმა, რომელსაც სტალინი გენერალური მდივნის თანამდებობაზე მოიაზრებდა, თუ იგი, სტალინი, ჯანმრთელობის გამო გადადგებოდა, მაგრამ რომელიც 1948 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა.

გარკვეული დროის შემდეგ ყველა პირი, ვინც კაპუსტინმა დაასახელა როგორც ამ ჯგუფის ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილენი, დააპატიმრეს სახელმწიფო ღალატისა და შეთქმულებითი საქმიანობის ბრალდებით.

ვ. ჟუხრაი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1949 წლის 27 ოქტომბერს დაპატიმრებულია საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრი, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ.ა. ვოზნესენსკი, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს ხალხის მტრებს ლენინგრადის ხელმძღვანელობაში. უკიდურესად ნერვიულობს.

ა. ჯულა
1949 წლის 28 სექტემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ლენინგრადის საქმეში გასული ვოზნესენსკისა და კაპუსტინის მიმართ სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილში გამოიყენეს ფიზიკური ზემოქმედების მეთოდი. მაგრამ მათი აქტიური დაკითხვა მას შემდეგაც გააგრძელეს, რაც დაწვრილებით აღიარეს თავიანთი მტრული საქმიანობა.

ა. ჯულა

ცნობა: *მოხსენდა ამხ. სტალინს.*

ცნობა

აბაკუმოვმა ამხ. სტალინს მოახსენა მომზადებული საბრალდებო დასკვნა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის დაპატიმრებულ ხელმძღვანელთა საქმის გამო.

მასში ნათქვამია:

„კუზნეცოვი, პოპკოვი, ვოზნესენსკი, კაპუსტინი, ლაზუტინი, როდიონოვი, ტურკო, ზაკრჟევსკაია, მიხეევი, რომლებიც 1938 წელს გაერთიანდნენ ანტისაბჭოთა ჯგუფში, ძირგამომთხრელ მუშაობას აწარმოებდნენ პარტიაში, რაც მიმართული იყო საკ. კპ (ბ) ცკ-სგან ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის მოწყვეტისაკენ, იმ მიზნით, რათა გადაექციათ იგი პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ბრძოლის ბურჯად.

ამიტომ ცდილობდნენ, ლენინგრადის ორგანიზაციის კომუნისტებში გამოეწვიათ უკმაყოფილება საკ. კპ (ბ) ცკ ღონისძიებების მიმართ. გამოთქვამდნენ მოღალატურ მოსაზრებებს მათთვის სასურველი ცვლილებების შესახებ საბჭოთა მთავრობასა და საკ. კპ (ბ) ცკ-ში.

ამავე გზით რსფსრ რიგ ოლქებში პასუხსაგებ პარტიულ სამუშაოზე აწინაურებდნენ თავიანთ თანამოაზრეებს.

ვოზნესენსკისა და როდიონოვის აქტიური მონაწილეობით მავნებლობდნენ დაგეგმვისა და მატერიალური ფონდების განაწილების დროს, სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ უპირატესობას ანიჭებდნენ იმ ოლქებს, რომელთა ხელმძღვანელობაში იყვნენ მათი თანამზრახველები, ვოზნესენსკის ხელშეწყობით უმცირებდნენ მათ სახელმწიფო გეგმის მაჩვენებლებს. სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, რომელსაც ვოზნესენსკი ხელმძღვანელობდა, დაიკარგა სსრკ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

მთავრობისთვის შეუტყობინებლად და მისი ნებართვის გარეშე ლენინგრადში მოაწყვეს საკავშირო საბითუმო ბაზრობა, რომელმაც დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა ქვეყანას.

კუზნეცოვი, პოპკოვი, კაპუსტინი, ლაზუტინი, ტურკო, ზაკრჟევსკაია და მიხეევი იტაცებდნენ სახელმწიფო სახსრებს და პირადი გამდიდრებისთვის იყენებდნენ მათ.“

ამხ. სტალინმა აბაკუმოვს ჰკითხა:

— თქვენი აზრით, რა არის ბრალდებულთა მთავარი დანაშაული?

— პარტიის შიგნიდან აფეთქებისა და პარტიული ძალაუფლების

უზურპაციის მცდელობა, ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციისთვის ხელმძღვანელებად გახრწნილი ადამიანების — ლოთებისა და ქურდების, რომლებიც პარტიასა და სახელმწიფოს ძარცვავენ, — თავს მოხვევა.

სტალინმა აბაკუმოვს მეორე შეკითხვა დაუსვა:

— ბრალდებულებმა აღიარეს თავიანთი დანაშაული?

— მთლიანად აღიარეს, ამხანაგო სტალინ.

დედანთან სწორია: ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ქ. ლენინგრადის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყოფილი ხელმძღვანელების სასამართლოს ჩატარებაზე პასუხისმგებლად დაინიშნა სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ოგოლცოვი.

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

1950 წლის 29-30 სექტემბერს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ სასამართლოს ღია სხდომაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე კუზნეცოვის, პოპკოვის, ვოზნესენსკის, კაპუსტინის, ლაზუტინის, როდიონოვის, ტურკოს, ზაკრჟევსკაიას, მიხეევის ბრალდების შესახებ.

სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დროს ბრალდებულებმა თავიანთი დანაშაული მთლიანად აღიარეს.

სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ კუზნეცოვს, პოპკოვს, ვოზნესენსკის, კაპუსტინს, ლაზუტინსა და როდიონოვს მიუსაჯა დახვრეტა.

სტალინის განკარგულებით, მალენკოვმა, ბერიამ და ბულგანინმა დაჰკითხეს ვოზნესენსკი და დაასკვნეს, რომ იგი დამნაშავეა მისთვის წაყენებულ ბრალდებებში, მათ მიერ ხელმოწერილ ამხ. სტალინისთვის წარდგენილ მოხსენებით ბარათში ნათქვამია:

„ამხანაგო სტალინ! თქვენი მითითებით დავკითხეთ ვოზნესენსკი და

მიგვაჩნია, რომ იგი დამნაშავეა“

მას შემდეგ, რაც ამხ. სტალინმა აბაკუმოვის თანდასწრებით კვლავ დაჰკითხა ვოზნესენსკი და კუზნეცოვი და მათ მთლიანად აღიარეს თავიანთი დანაშაული, განაჩენი აღსრულდა.

ბრალდებულ ტურკოს მიესაჯა 15 წლით პატიმრობა, ზაკრუევსკაიასა და მიხეევს — 10-10 წლით.

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ლენინგრადის საქმესთან დაკავშირებით 1949 წლიდან 1952 წლამდე თავიანთი პოსტებიდან მოხსნილია ორი ათასზე მეტი ხელმძღვანელი მუშაკი.

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ლენინგრადის საქმესთან დაკავშირებით სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგანგებო სათათბიროს მიერ საერთო ჯამში მსჯავრდებულია 175 კაცი.

ა. კულა
1950 წლის 12 იანვარი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

1950 წლის 29-30 სექტემბერს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ თავმჯდომარის, იუსტიციის გენერალ-მაიორ ი.ო. მატუსევიჩის, წევრების: იუსტიციის გენერალ-მაიორ ი.მ. ზარიანოვის, იუსტიციის გენერალ-მაიორ ი.ვ. დეტისოვის შემადგენლობით, მდივანი — იუსტიციის პოდპოლკოვნიკი მაზური, განიხილა ლენინგრადის საქმეში ბრალდებულთა საქმე. განაჩენი: 8 ბრალდებული დაიხვრიტოს.

ა. კულა
1950 წლის 30 სექტემბერი

1949 წლის ივლისში ი.ბ. სტალინის საუბრის ჩანაწერი ბენერლებთან ლავროვთან და ჯუღასთან

სტალინი: *(ტელეფონით აბაკუმოვს)* რა გაქვთ ლენინგრადელებზე? კერძოდ, ჭალაქკომის მდივან კაპუსტინზე. *(პასუხის მოსმენის შემდეგ)* დაინტერესდით კაპუსტინით და მისი გარემოცვით. *(ხანმოკლე დუმილის შემდეგ)* აბაკუმოვმა მომახსენა, რომ სახელმწიფო უშიშროების მეორე მთავარი სამმართველოს ხაზით მასაც აქვს გარკვეული, ჯერ შეუმოწმებელი სიგნალები კაპუსტინის შესახებ, ამიტომ არ მოუხსენებია ჩემთვის. კაპუსტინი კი, ირკვევა, ახლო მეგობარია ცკ მდივნის კუზნეცოვის და პარტიის ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნის პოპკოვის. საინტერესოა, რისთვის დასჭირდათ ინგლისელებს პოპკოვი? საეჭვოა, რომ იგი მათ როგორც ჩვეულებრივი ჯაშუში სჭირდებათ. აქ აშკარად რაღაც სხვა იმალება. კარგად უნდა დავფიქრდეთ.

დადასტურდა ცნობები იმის შესახებ, რომ მოლოტოვმა იცოდა დიდი ნაკლოვანებების შესახებ საავიაციო მრეწველობაში და მალავდა მათ?

ჯუღა: ფრონტებზე ჩვენი ავიაციის საერთო მიღწევების ფონზე მან, უბრალოდ, ყურადღება არ მიაქცია მათ.

სტალინი: მაშასადამე, მაინც იცოდა. მიკვირს, რატომ არ მომახსენა ვიაჩესლავმა ამის შესახებ?

ჯუღა: ვფიქრობ, რომ მან იცოდა, როგორი სიყვარულით ეპყრობოდით საავიაციო მრეწველობას და არ სურდა, თქვენთვის გუნება გაეფუჭებინა.

სტალინი: უყურე შენ, როგორი ფილანტროპი ყოფილა!

ჯუღა: მოლოტოვი, მგონი, პოლიტბიუროში ერთადერთი, ბოლომდე თქვენი ერთგული ადამიანია.

სტალინი: ერთგულია, შახურინსა და ნოვოკოვზე კი არ მომახსენა... როგორაა მისი ცოლის საქმე?

ჯუღა: აბაკუმოვი უწინდებურად ცდილობს, მიიღოს მისგან ჩვენება მტრული ნაციონალისტური საქმიანობის შესახებ. მაგრამ ამგვარი ხასიათის ჩვენებას ჟემჩუჟინა არ იძლევა.

სტალინი: მაშასადამე, არ აღიარებს. შენ თვითონ რას ფიქრობ ამაზე?

ჯუღა: ვფიქრობ, ძალიან მოხარული იქნებოდა, მისი ქმარი პარტიასა და სახელმწიფოში პირველი პირი რომ გამხდარიყო. რაიმე მონა-

ცემი რომელიმე ანტისამთავრობო შეთქმულებაში მისი მონაწილეობის შესახებ მე არ გამაჩნია. ჯერ მხოლოდ ლაყბობაა.

სტალინი: კეთილი. აბაკუმოვმა გაარკვიოს. მოლოტოვს კი თვალი არ მოაცილოთ, ამ ბოლო დროს რაღაც არ მომწონს, განსაკუთრებით, ავიატორების საქმის შემდეგ. რა გაქვთ კუზნეცოვსა და ვოზნესენსკიზე?

ლავრენტი: ლენინგრადში, ამხანაგო სტალინ, ჩამოყალიბდა ერთმანეთთან კარგად შეკავშირებული ჯგუფი, რომელშიც შედიან პოპკოვი, კაპუსტინი, ლაზუტინი, გურკო, ზაკრევსკაია, მიხეევი. მოსკოვში მათ მფარველობენ და ყოველმხრივ მხარს უჭერენ ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციიდან გამოსულები: ვოზნესენსკი, კუზნეცოვი და როდიონოვი. ლენიგრადში, პოპკოვის ბინაზე, საკავშირო საბითუმო ბაზრობის გახსნასთან დაკავშირებით, გამართეს ქეიფი, სადაც, გარდა ზემოდასახელებული პირებისა, იყვნენ მოსკოვიდან ჩასულები ვოზნესენსკი, კუზნეცოვი და როდიონოვი. თუ ნებას დამრთავთ, ამხანაგო სტალინ, წაგიკითხავთ პოპკოვის ბინაზე შეკრებილთა გამონათქვამებიდან ყველაზე დამახასიათებელ ამონარიდებს.

სტალინი: წაიკითხეთ.

ლავრენტი: *(კითხულობს)* „პოპკოვი, რომელიც ძლიერი სიმთვრალის სტადიაში იმყოფებოდა: „ბოლო დროს ამხანაგი სტალინი, ყველაფრიდან ჩანს, თავს ძალიან ცუდად გრძნობს. ისე ჩანს, რომ მალე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იგი საქმეებს ჩამოსცილდება. უნდა მოვიფიქროთ, ვის წამოვწევთ მის შემცვლელად".

კაპუსტინი: „ეგ რა ბევრი საფიქრალია? ჩვენ გვყავს სსრკ მინისტრთა საბჭოს გამზადებული თავმჯდომარე — ჩვენი ძვირფასი ნიკოლაი ალექსეევიჩ ვოზნესენსკი".

პოპკოვი: „მართალს ამბობ. საკ. კპ (ბ) ცკ გენერალური მდივნის კანდიდატურაც ჩვენ შორის არის. გთავაზობთ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მომავალი თავმჯდომარის ნიკოლაი ალექსეევიჩ ვოზნესენსკისა და საკ. კპ (ბ) ცკ მომავალი გენერალური მდივნის, ჩვენი ძვირფასი და საყვარელი ალექსეი ალექსანდროვიჩ კუზნეცოვის სადღეგრძელოს"

სტალინი: ვოზნესენსკიმ და კუზნეცოვმა — რაო?

ლავრენტი: ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ შეთავაზებული სადღეგრძელო დალიეს.

ლავროვი აგრძელებს კითხვას.

„პოპკოვი: „მე დიდი ხანია, მინდოდა მეთქვა ერთი ისტორიული

უსამართლობის შესახებ: რატომ არ არის რსფსრ კომუნისტური პარტია? ყველა რესპუბლიკაში არის კომუნისტური პარტიები, ხოლო რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში — არა. რატომაა ასეთი უსამართლობა?"

კუზნეცოვი: „რა თქმა უნდა, უსამართლობაა. მით უფრო, რომ კანდიდატურა რსფსრ კომპარტიის ცკ პირველი მდივნის პოსტზე ამხანაგ პოპკოვის სახით გვყავს. თანაც დიდი ხანია, დროა, რსფსრ დედაქალაქად გამოვაცხადოთ ქალაქი ლენინგრადი"

ვოზნესენსკი: „საჭიროა, ასეთი წინადადება შევიტანოთ პოლიტბიუროში"

სტალინი: როგორც ჩანს, სურთ საფუძველი გამოაცალონ საკავშირო მთავრობას.

ჯუღა: ჯერჯერობით ეს მთვრალების ლაყბობაა.

სტალინი: ნუ მაწყვეტინებ, შენი მუდმივი ჩვეულებაა, მხოლოდ საკუთარ თავს მოუსმინო. დაიხსომე, ყველა შეთქმულება რუსეთში სწორედ „უწყინარი" მთვრალი ლაყბობით იწყებოდა.

ლავრენტი: ყველაზე უფრო უსიამოვნო ისაა, რომ ლენინგრადელმა ხელმძღვანელებმა დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენეს ქვეყანას.

სტალინი: რომელ ზარალზე ლაპარაკობთ?

ლავრენტი: სავაჭრო ბაზრობაზე, რომელიც პოპკოვმა და ლაზუტინმა ლენინგრადში მოაწყვეს. მყიდველთა დაბალი მსყიდველობითი შესაძლებლობის გამო, ვერ შეძლეს მთელი ქვეყნიდან ლენინგრადში ჩატანილი სასურსათო საქონლის დროულად გაყიდვა. პროდუქტები გაფუჭდა და გამოყენებისთვის გამოუსადეგარი გახდა. ეს ხდება იმ პირობებში, როცა ქვეყანაში ასე მწვავედ დგას სასურსათო პროგრამა. მიყენებული ზარალი ასტრონომიული თანხით — 4 მილიარდზე მეტი მანეთით განისაზღვრება.

სტალინი: უჩემოდ ვინ მისცა ბაზრობის გამართვის უფლება?

ლავრენტი: ბაზრობის მოწყობის უფლება მისცა ვოზნესენსკიმ, ხოლო უშუალოდ მის ორგანიზებას ხელმძღვანელობდა ვაჭრობის მინისტრის მოადგილე კრუტიკოვი.

სტალინი: დაუყოვნებლივ ორივენი — ციხეში. *(მიდის ტელეფონთან, იღებს ყურმილს)* ამხანაგო პოსკრებიშევ, ხვალ დღის ორი საათისთვის ჩემთან, კრემლის კაბინეტში გამოიძახეთ ვოზნესენსკი.

დედანთან სწორია: ***ა. ლავროვი***

ნაწილი 6
აბაკუმოვის საქმე

ცნობა

ვიქტორ სემიონოვიჩ აბაკუმოვმა განათლება ოთხკლასიან საქალაქო სასწავლებელში მიიღო. შემდეგ — კომკავშირული სამუშაო და მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებში მივლინება. 1934 წელს, სკანდალის შემდეგ, რომელიც დაკავშირებული იყო აბაკუმოვის მიერ კონსპირაციული ბინების ქალებთან შესახვედრად გამოყენებასთან, იგი გადაიყვანეს შრომა-გასწორების ბანაკებისა და შრომითი დასახლებების მთავარ სამმართველოში. 1937 წლიდან მუშაობს შინსახკომში. 1943 წლის 19 აპრილს არმიისა და ფლოტის საგანგებო განყოფილებები გამოიყო სსრკ შინსახკომიდან და აბაკუმოვის მეთაურობით შეიქმნა კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველო „სმერში“ („смерть шпионам“ — „სიკვდილი ჯაშუშებს“). 1946 წლის 4 მაისს აბაკუმოვი სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის თანამდებობას იკავებს, ცვლის ვ.ნ. მერკულოვს. ნიკოლაევი ჰყვებოდა, რომ აბაკუმოვი კოლეგებს შორის, რომლებიც უნიათობით არ გამოირჩეოდნენ, ცნობილი იყო დიდი ფიზიკური ძალით და გამოძიების უკიდურესად მკაცრი მეთოდების გამოყენებით. სახალხო კომისრის მოადგილის, შემდეგ მინისტრის მოადგილის და ბოლოს მინისტრის პოსტზე მყოფიც კი თვითონ დაჰკითხავდა და პირადად სცემდა დაპატიმრებულებს. ბევრი მისი ქვეშევრდომი სიამოვნებით ითვისებდა უფროსის მეთოდებს. შედეგად, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში ჩამოყალიბდა თანამშრომელთა ორი კატეგორია: „მესანგრეები“, რომლებიც ძალით გამოტეხდნენ სამართალში მიცემულებს და „მწერლები“, რომლებიც „ლიტერატურულად“, დაკითხვის ოქმების სახით აფორმებდნენ სამართალში მიცემულთა გამოტეხით მიღებულ ჩვენებებს. ბუნებრივია, რომ ასეთი პრაქტიკა ხელს უწყობდა საქმეების ფალსიფიცირებას და ფართოდ გავრცელდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში.

მინისტრის თანამდებობას აბაკუმოვი არც ინტელექტით, არც განათლებით არ შეეფერებოდა. ქვეყნის პოლიტიკურ დაზვერვასა და კონტრდაზვერვას სათავეში ედგა კაცი ოთხკლასიანი განათლებით და სერიოზული ოპერატიულ-ჩეკისტური მომზადების გარეშე.

აბაკუმოვის ვარდნა დაიწყო სპეცვაჭრობის საქმიდან. პოლიტბიუროს ორმა წევრმა — მიქოიანმა და კოსიგინმა — შეიტანეს წინადადება (საჭირო რესურსების არქონის მომიზეზებით) სპეცვაჭრობის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც ჩეკისტების კადრებს ფართო მოხმარების საქონლით უზრუნველყოფდა.

ამ წინადადების წინააღმდეგ ძლიან მკვეთრად გაილაშქრა აბაკუმოვმა, რასაც ასაბუთებდა იმით, რომ თავდაცვის სამინისტროს ჰქონდა „ვოენტორგი" (სამხედრო ვაჭრობა) იმის მიუხედავად, რომ არ ომობს და მშვიდობიან მდგომარეობაშია, ხოლო სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, რომელიც ყოველდღიურად და ყოველ საათს უცხოეთის დაზვერვათა აგენტებთან ომობს, სპეცვაჭრობის გარეშე რჩება. გაცხარებული პოლემიკის დროს აბაკუმოვი გასცდა პოლიტბიუროს სხდომებზე ნებადართულ საზღვრებს და, ფაქტობრივად, მიქოიანსა და კოსიგინს სულელები უწოდა.

სტალინმა მკაცრად შეაწყვეტინა აბაკუმოვს და პოლიტბიუროს წევრების შეურაცხყოფა აუკრძალა. მაგრამ სტალინის მრისხანების ჭეშმარიტი მიზეზი გახდა ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილი იყო, ბაღ „ერმიტაჟში" როგორ მიართმევს ვარდების დიდ თაიგულს გაღიმებული აბაკუმოვი ახალგაზრდა ლამაზ ქალს, რომელიც ფარული შემოწმებით ინგლისურ დაზვერვასთან დაკავშირებული აღმოჩნდა. სტალინმა გასცა ბრძანება, აბაკუმოვი აქტიურ აგენტურულ-ოპერატიულ დამუშავებაში აეყვანათ.

პარალელურად შეიქმნა სპეცვაჭრობის მუშაობის შემმოწმებელი კომისია, რომელმაც არსებითი ხასიათის დანაშაულობანი გამოავლინა. სპეცვაჭრობის ცენტრალური საწყობის დირექტორად მუშაობდა კაცი, რომელიც ადრე სპეკულაციისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს და ყაზანის სპეცვაჭრობის უფროსის თანამდებობიდან თაღლითობისთვის იყო მოხსნილი. ხოლო მოსკოვის საოლქო სპეცვაჭრობის ხელმძღვანელობამ დაიტაცა 2 მილიონზე მეტი მანეთის ღირებულების სურსათი და სამრეწველო საქონელი, რისთვისაც მოსკოვის ოლქის სპეცვაჭრობის უფროსს მიესაჯა 25 წელი. აბაკუმოვმა, რომელსაც სსრკ ვაჭრობის სამინისტროსადმი ნომინალურ დამორჩილებასთან ერთად ექვემდებარებოდა სპეცვაჭრობა, სტალინისგან მიიღო პირველი მკაცრი საყვედური გაფრთხილებით.

აბაკუმოვის სამსახურებრივი მოღვაწეობის შესწავლის დროს გამო-

ვლინდა დიდი ჩავარდნები სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთ ყველაზე მეტად გასაიდუმლოებული სამმართველოს მუშაობაში, რომელსაც სათავეში ედგა გენერალ-ლეიტენანტი შევლევი.

ამ ჩავარდნებს აბაკუმოვი უმალავდა სტალინს და საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. უფრო მეტიც, ამ სამმართველოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების ერთ-ერთი მთავარი გამკრიტიკებელი, რომელიც პარტიულ კრებებზე არაერთხელ გამოსულა კრიტიკით, განყოფილების უფროსი, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ეგენი შჩუკინი, აბაკუმოვმა ჩრდილოეთ კორეაში სამუშაოდ მიავლინა, სადაც საეჭვო ვითარებაში დაიღუპა.

სტალინის მითითებით, სამმართველო, რომელსაც გენერალი შევლევი ედგა სათავეში, გამოიყვანეს სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შემადგენლობიდან და გარდაქმნეს საკ. კპ (ბ) ცკ ერთ-ერთ სპეციალურ ქვედანაყოფად. აბაკუმოვმა კი მეორე მკაცრი საყვედური გაფრთხილებით მიიღო.

1947 წლის დასაწყისში გენერალმა ლავროვმა წარუდგინა სტალინს აგენტურული პატაკი, რომ დიდი სამამულო ომის დროს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობამ — ადმირალებმა კუზნეცოვმა, გალერმა, ალაფუზოვმა და სტეპანოვმა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის ნებადაურთველად ინგლისელებს გადასცეს საბჭოთა კავშირში გამოგონებული პარაშუტული ტორპედოს საიდუმლო დოკუმენტაცია, რამაც გააძლიერა ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ამაზევე იყო საუბარი სტალინის სახელზე გაგზავნილ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაღმებისა და ტორპედოების სამმართველოს ოფიცრის, პირველი რანგის კაპიტნის ალფეროვის წერილშიც. სტალინმა ბრძანა, გულდასმით შეემოწმებინათ ეს ინფორმაცია.

როცა დადასტურდა საიდუმლო დოკუმენტაციის ინგლისელებისთვის გადაცემის ფაქტი, სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, რომელსაც ხელი სტალინმა მოაწერა, კუზნეცოვი, გალერი, ალაფუზოვი და სტეპანოვი „ღირსების სასამართლოს" გადასცეს.

სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა აბაკუმოვმა, კარიერისტული მოსაზრებებით, 1947 წლის ბოლოს და 1948 წლის დასაწყისში გადაწყვიტა, ქვეყანაში სამხედრო შეთქმულების დამადასტურებელი

მასალებისთვის („ავიატორთა“ საქმე და „მარშალთა“ საქმე) დაემატებინა „მეზღვაურთა“ საქმე. აბაკუმოვი ისწრაფვოდა, დაეწრმუნებინა სტალინი, რომ მოიპოვებდა მტკიცებულებებს კუზნეცოვის ჯაშუშობის შესახებ ინგლისელთა სასარგებლოდ, თუ სტალინი ნებას დართავდა, დაეპატიმრებინა კუზნეცოვი. ამავე დროს კუზნეცოვს ბრალს სდებდნენ, რომ იგი ვერ აფასებდა წყალქვეშა ატომურ ნავებს და ფლოტის რაკეტებით აღჭურვას.

ლავრენტიმ და ჯუღაშვილმა მოახსენეს სტალინს, რომ მათ სამსახურში არ არიან მასალები, რომლებიც დაადასტურებდნენ ქვეყანაში სამხედრო შეთქმულების არსებობას. კუზნეცოვის მიერ პარაშუტული ტორპედოს შესახებ საიდუმლო ცნობების გამჟღავნებას ისინი მხოლოდ დაუდევრობად მიიჩნევდნენ. კუზნეცოვისთვის ბრალდების წაყენება, რომ იგი სათანადოდ ვერ აფასებს წყალქვეშა ატომური ნავების და ფლოტის რაკეტებით აღჭურვის მნიშვნელობას, მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ, რადგან არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ამის დასამტკიცებლად ჯუღაშვილმა სტალინს წარუდგინა ამონარიდები გემთმშენებელი პროგრამიდან, რომელიც კუზნეცოვმა მთავრობაში წარადგინა და რომელიც ითვალისწინებდა ატომური წყალქვეშა ნავების მშენებლობას და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რაკეტებით აღჭურვას.

შედეგად, კუზნეცოვი, გალერი, ალაფუზოვი და სტეპანოვი გაასამართლეს არა სახელმწიფოს ღალატისათვის, არამედ სამსახურებრივი დაუდევრობისათვის. 1948 წლის იანვარში „ღირსების სასამართლომ“ გადაწყვიტა, გადაეცა მათი საქმე, უკვე როგორც სისხლის სამართლისა, სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისთვის. 1948 წლის 2-3 თებერვალს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ გალერს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ალაფუზოვსა და სტეპანოვს — 10-10 წლით. კუზნეცოვი დამნაშავედ ცნეს, მაგრამ მისი დიდი დამსახურების გათვალისწინებით, გადაწყვიტეს, სისხლის სამართლის სასჯელი არ გამოეყენებინათ. ამავე დროს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ იშუამდგომლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა ნ.გ. კუზნეცოვი ადმირალობიდან კონტრ-ადმირალის სამხედრო წოდებამდე ჩამოექვეითებინათ.

1951 წლის ზაფხულში სტალინმა კვლავ დანიშნა ნ.გ. კუზნეცოვი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრად.

1949 წელს აბაკუმოვი უპირატესად ებრაული ეროვნების პირებს აპატიმრებს.

აბაკუმოვი სულ უფრო ხშირად ახსენებს სტალინს, რომ მოლოტოვის ცოლს პოლინა ჟემჩუჟინას 1939 წლიდან თითქოს აქვს საეჭვო კავშირი ანტისაბჭოთა ელემენტებთან. მოულოდნელად ჟემჩუჟინამ მისი დაპატიმრების მიზეზი მისცა, დაუფარავად დაუმეგობრდა სსრ კავშირში ისრაელის სახელმწიფოს ელჩს გოლდა მეიერს. გოლდა მეიერთან რამდენიმე დაფიქსირებული შეხვედრის შემდეგ, რომელიც საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელ ებრაელთა შორის ანტისაბჭოთა მუშაობის ჩატარებას ცდილობდა, 1949 წლის თებერვალში პოლინა ჟემჩუჟინა სტალინის ბრძანებით დააპატიმრეს. მისი დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სტალინი მას თავისი ცოლის — ნადეჟდა ალილუევას სიკვდილში დამნაშავედ მიიჩნევდა. მას მიაჩნდა, რომ სწორედ მისმა „პროვოკაციულმა მონათხრობმა" კრემლში ნადეჟდა ალილუევასთან ბოლო, ხანგრძლივი გასეირნების დროს, უბიძგა სტალინის ცოლს, ჩაედინა ტრაგიკული აქტი, რომელმაც ასე მძიმედ იმოქმედა სტალინზე.

გოლდა მეიერი, როგორც არასასურველი პერსონა, გაასახლეს ქვეყნიდან. სტალინი პირადად ადევნებდა თვალს მოლოტოვის ცოლის საქმის გამოძიებას. მაგრამ ვერ მიიღეს ვერავითარი კონკრეტული მასალა, რაც მას მოღალატურ საქმიანობაში ამხელდა. აბაკუმოვი აკეთებდა ყველაფერს, რათა ჟემჩუჟინას უახლოესი გარემოცვიდან დაპატიმრებულთა აქტიური დაკითხვისა და დაშინების გზით მიეღო საჭირო სამხილები. ბოლოს და ბოლოს, აბაკუმოვმა შეძლო მიეღო მათგან ჩვენება იმის შესახებ, რომ ჟემჩუჟინა მათთან, თითქოს, აწარმოებდა ნაციონალისტურ საუბრებს და აკრიტიკებდა საბჭოთა მთავრობის საქმიანობას.

როცა სტალინმა ჯულას ჰკითხა, რას ფიქრობდა იგი ჟემჩუჟინას საქმეზე, მან, ამ ქალის მიმართ სტალინის აშკარა არაკეთილგანწყობის მიუხედავად, და რომელსაც მხოლოდ „მელოტ კუდიანად" მოიხსენიებდა, პატიოსნად მოახსენა, რომ არ გააჩნია მისი მაკომპრომეტირებელი მასალები და დაპატიმრებული ჟემჩუჟინა ალიარებით ჩვენებებს არ იძლევა.

1954 წელს აბაკუმოვის სასამართლოზე მასთან ერთად საქმეში გადიოდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრე-

ბით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის ყოფილი მოადგილე, პოლკოვნიკი კომაროვი, რომელიც იძიებდა ჟემჩუჟინას საქმეს. პროცესზე მან განაცხადა: „თვით ჟემჩუჟინას ჩვენებების შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან არც ლიხაჩოვთან (გამომძიებელი, რომელიც კომაროვამდე დაჰკითხავდა დაპატიმრებულ ჟემჩუჟინას), არც ჩემთან მას თავი დამნაშავედ არ უღიარებია“.

ჯულა ირწმუნებოდა, რომ ჩვენებები ჟემჩუჟინას წინააღმდეგ აბაკუმოვმა მიიღო ჟემჩუჟინას ნათესავებისა და მისი უახლოესი გარემოცვის პირების აქტიური დაკითხვებისა და დაშინების გზით. ამის დასადასტურებლად მან წარადგინა ამ საქმეზე დაპატიმრებული მელნიკ-სოკოლინსკაიას წერილი, რომელიც აბაკუმოვის ბრძანებით ხელთ იგდო პოლკოვნიკმა ჩერნოვმა და გადასცა სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილს. 1949 წლის 3 აპრილს დაპატიმრებული მელნიკ-სოკოლინსკაია, რომელმაც ხელი მოაწერა ჩვენებას იმის თაობაზე, რომ ჟემჩუჟინა მასთან საუბრების დროს თითქოს აკრიტიკებდა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, ქმრისადმი გაგზავნილ წერილში წერდა:

„გამოძიების საშინელი რეჟიმის გამო იძულებული ვიყავი, ხელი მომეწერა სიცრუეზე ჩემს შესახებ, და თუკი გამოვჯანმრთელდი, ყველაფერს მივწერ ამხანაგ სტალინს. მე მივწერე აბაკუმოვს, რომ ვცდები, რომ კომაროვი ფალსიფიკატორია და მაიძულა, მიმეცა ჩვენება“.

ამასთან, ჯულამ სტალინს მოახსენა, რომ სხვა დაპატიმრებულმა, რომელმაც მისცა ჩვენება ჟემჩუჟინას „მტრული საქმიანობის შესახებ“, ვინმე კანელმა, რომელიც მასთან კავშირის გამო ორჯერ იყო დაპატიმრებული (1939 წლის 20 მაისს და 1949 წლის 8 ივნისს), 1949 წელს გაანდო თავის საკნის მეზობელს, რომ 1939 წელს მისი დაპატიმრების შემდეგ, როცა იგი შინსახკომის შიდა ციხეში იმყოფებოდა ლუბიანკაზე, გამომძიებელი, გვარად ვიზელი, მას უმოწყალოდ სცემდა. მისგან მოითხოვდნენ, ხელი მოეწერა ჩვენებებისთვის, რომ ჟემჩუჟინა უცხოეთის ჯაშუშია და რომ სახკომსაბჭოს იმდროინდელმა თავმჯდომარემ მოლოტოვმა თითქოს იცოდა ეს. მას შემდეგ, რაც მისით პირადად დაინტერესდა ბერიასთან დაახლოებული, სახელმწიფო უშიშროების კომისარი ბოგდან ქობულოვი და წამება აუტანელი შეიქმნა, იგი იძულებული გახდა, ცილი დაეწამებინა თავისი თავისთვისაც და ჟემჩუჟინასთვისაც და ხელი მოაწერა ვიზელის მიერ

შედგენილ რამდენიმე ოქმს.

მაგრამ, რადგან მისი და ჟემჩუჟინას ჯაშუშური საქმიანობის სხვა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, გარდა კანელისგან ძალით მიღებული აღიარებისა, გამოძიებას არ გააჩნდა, ჩანაფიქრი — მისთვის და ჟემჩუჟინასთვის ჯაშუშობის ბრალდება წაეყენებინათ, ჩაიშალა, კანელი გაასამართლეს და მიუსაჯეს 5 წლით პატიმრობა ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის. ეს სასჯელი კანელმა მოიხადა, მაგრამ 1949 წელს კვლავ დააპატიმრეს და ახალმა გამომძიებელმა კომაროვმა მას იგივე მოსთხოვა — ცრუ ჩვენებები ჟემჩუჟინას წინააღმდეგ.

დაპატიმრებული კანელის გულწრფელობაში რომ დაერწმუნებინა, ჯუღამ სტალინს აჩვენა შინსახკომის ყოფილი გამომძიებლის ვიზელის „აღიარებითი“ წერილი აბაკუმოვის სახელზე. იგი აღიარებდა, რომ 1948 წლის თებერვალში ქობულოვთან და სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსთან — მერკულოვთან ერთად ცდილობდა შეექმნა პროვოკაციული საქმე ჟემჩუჟინასა და მოლოტოვის წინააღმდეგ, მაგრამ ხელი მოეცარა. ვიზელი წერდა: „ამ წერილით მსურს შევასრულო ჩემი მოვალეობა, ჩემი განზრახვა — სტალინს ვუთხრა სიმართლე ჟემჩუჟინას „საქმის“ შესახებ და დავადასტურო, რომ ამხანაგ სტალინის ერთგული თანამებრძოლის, ამხანაგ მოლოტოვის წინააღმდეგ მიცემული ჩვენებები ფალსიფიცირებულია. ეს არის ჭეშმარიტება, რადგან მე პირადად ვმონაწილეობდი ამ ფალსიფიცირებაში. ამხანაგო მინისტრო! ნებისმიერ ბოროტმოქმედს აქვს უფლება, რომ მოუსმინონ. მე მხოლოდ ამას გთხოვთ: მოახსენოთ ჩემი წერილი ამხანაგ სტალინს და მომცეთ საშუალება, მივცე ჩვენება სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ორგანოებს და წარვადგინო ყველა ფაქტი, რაც გამაჩნია“

აბაკუმოვმა გადამალა ვიზელის წერილი, მაგრამ გენერალ ჯუღას მოხსენებაში შეტანილმა ამ წერილმა შეცვალა გამოძიების მსვლელობა. ღია სასამართლო პროცესი ებრაელი „ბურჟუაზიული ნაციონალისტების“ საქმეზე, რომლის სათავეში თითქოს იდგა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოლოტოვის ცოლი პოლინა ჟემჩუჟინა, არ შედგა. აბაკუმოვი იძულებული იყო, ჟემჩუჟინას საქმის გამო დაპატიმრებული „ნაციონალისტები“ ფარულად გაესამართლებინა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სა-

განგებო სასამართლოთი. ხმაურიანი პროცესი არ გამოუვიდათ.

მისი ნათესავებისა და მეგობრების გასამართლების შემდეგ ყემჩუჟინა კვლავ პატიმრობაში რჩებოდა და გაათავისუფლეს მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ.

აპატიმრებენ ებრაული ანტიფაშისტური კომიტეტის წევრებს, რომელმაც ბევრი რამ გააკეთეს ქვეყნისთვის დიდი სამამულო ომის წლებში. იწყებენ ცნობილ „ექიმთა საქმეს".

სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად მუშაობდა პოლკოვნიკი რიუმინი. მასთან დაკითხვაზე მოხვდა ექიმი — პროფესორი ეტინგერი, რომელიც დაპატიმრებული იყო როგორც უცხოეთის დაზვერვის აგენტი. ეტინგერმა აჩვენა, რომ კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს პროფესორ-კონსულტანტების ნაწილი, რომლებიც პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელების მკურნალობაში მონაწილეობდნენ, ქვეყნის მტრები არიან; ჩაფიქრებული აქვთ ტერორისტული აქტები ცკ-ის პოლიტბიუროს წევრებისა და პირადად სტალინის წინააღმდეგ; მათ უკვე მოკლეს ჟდანოვი და შჩერბაკოვი.

დაპატიმრებული ექიმის განცხადებას ერთვოდა კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს ექიმ-კარდიოლოგის ტიმაშუკის განცხადება იმის შესახებ, რომ ჟდანოვსა და შჩერბაკოვს არასწორად მკურნალობდნენ: შეგნებულად მცდარად შიფრავდნენ ელექტროკარდიოგრამებს, რათა არ გამჟღავნებულიყო, რომ მათ მიოკარდიუმის ინფარქტი ჰქონდათ. შედეგად, შჩერბაკოვი, შემდეგ კი ჟდანოვი გარდაიცვალნენ.

ასეთი სენსაციური ჩვენება რომ მიიღო, რიუმინმა მათ შესახებ პირადად მოახსენა აბაკუმოვს, რომელიც პირველივე წუთებიდანვე უნდობლად მოეკიდა ამ ცნობებს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი შეთქმულების არსებობას შეეძლო ბოლო მოეღო მისი კარიერისთვის და სიცოცხლისთვისაც კი, რადგან სტალინი არ აპატიებდა ასეთ შეცდომას. უბრალოდ, სახელმწიფო ორგანოების მიერ იმ პროფესორთა ტოტალური თვალთვალის პირობებში, ვინც მკურნალობდა ქვეყნის ხელმძღვანელებს, ამდენი პირის მონაწილეობა დანაშაულებრივ საქმიანობაში ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ამის შესახებ აბაკუმოვმა დაუფარავად უთხრა რიუმინს. რიუმინი კი პარტიულ კრებაზე გან-

ცხადებით გამოვიდა, რომ მან გახსნა საშიში შეთქმულება, მაგრამ მინისტრი ამას ყურადღებას არ აქცევს და ცდილობს, მიაჩუმათოს საქმე. შედეგად, რიუმინს მინისტრის დისკრედიტაციის მცდელობისთვის გამოუცხადეს მკაცრი საყვედური გაფრთხილებით. იგი ჩამოაცილეს „ექიმთა საქმის“ გამოძიებას და სამუშაოდ ყირიმის ოლქში გაგზავნეს.

რიუმინმა საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრისა და მდივნის მალენკოვის დაცვაში მომუშავე ჩეკისტის მეშვეობით გადასცა მას განცხადება, რომლითაც აცნობა, რომ აბაკუმოვი აბრკოლებს ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ საშიში შეთქმულების გახსნას. მალენკოვმა წაიკითხა განცხადება, რჩევა ჰკითხა თავის მეგობარ ლავრენტი ბერიას და სტალინს რიუმინის განცხადების შესახებ მოახსენა.

სტალინმა გამოიძახა რიუმინი. მისი განცხადება მოისმინა, დაურეკა აბაკუმოვს და უბრძანა, მასთან მიეყვანათ ეტინგერი. სტალინის დარეკვამდე ცოტა ხნით ადრე სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შიდა ციხის უფროსმა მირონოვმა აბაკუმოვს მოახსენა, რომ ციხის რეჟიმის ვითომდა დარღვევისთვის ეტინგერი ჩასვეს მაცივარკარცერში. ამ სათავსოში ადამიანი მაქსიმუმ 5-6 საათს თუ გაძლებდა. ექიმი კი „დაუდევრობით დააგვიწყდათ“ მთელი დღე-ღამე და როცა გაახსენდათ, იგი უკვე მკვდარი იყო. აბაკუმოვს სტალინის რისხვის შეეშინდა და მოახსენა, რომ ეტინგერი ერთი საათის წინ ინფარქტით გარდაიცვალა. სტალინმა აბაკუმოვი სამუშაოდან მოხსნა და შინაპატიმრობაში გაუშვა.

ჯოლა გააანალიზებს ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტისა და „ექიმთა საქმის“ მასალებს და სტალინს თავის დასკვნას წარუდგენს, რომელშიც ამტკიცებს, რომ ეს საქმეები ფალსიფიცირებულია, დაფუძნებულია გამოძიებაში მყოფთა თვითდაბრალებაზე, რაც ფიზიკური ზემოქმედების შედეგად არის მოპოვებული. ჯოლა და ნიკოლაევი მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული, რომ ინგლის-ამერიკის სპეცსამსახურებმა თავიანთი აგენტურის მეშვეობით შეძლეს ებრაელთა წინააღმდეგ საქმეების ინიცირება ორი მიზნის მისაღწევად: პირველი, სსრკ მთავრობისა და პირადად სტალინისთვის ანტისემიტიზმის დაბრალების საერთაშორისო პროვოკაციული კამპანიისთვის საფუძვლის შექმნა; მეორე, დარტყმის მიყენება თავდაცვის მრეწველობის სამეცნიერო კომპლექსისთვის, სადაც თანამშრომელთა ნახევარზე მეტი ებრა-

ელი ეროვნების პირები იყვნენ.

ამავე დროს ცნობილი ხდება, რომ აბაკუმოვის გარემოცვაში განიხილავდნენ სახელმწიფო გადატრიალების შესაძლებლობას და ქვეყნის სათავეში ახალი მთავრობის მოსვლას აბაკუმოვის მეთაურობით.

იოსებ სტალინის პირადი კონტრდაზვერვის მუშაობის შედეგად, რომელიც სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში თავისი აგენტების მეშვეობით მოქმედებდა, 1951 წლის 13 ივლისს სამინისტროს ხელმძღვანელი თანამშრომლების დაჭერები დაიწყო, აბაკუმოვის 10 მოადგილის ჩათვლით. დაპატიმრებულების მიმართ აქტიური დაკითხვის მეთოდებს იყენებდნენ. მარკოვის (ჯუღას მოადგილის) დამოწმებით, აბაკუმოვს მისი ყოფილი ხელქვეითები ისე სცემდნენ, რომ „ძვლები სცვიოდა". ჯუღა იძულებული იყო, ჩარეულიყო და მოახსენა სტალინს, რომ აუცილებელია შეწყდეს აბაკუმოვის ცემა, რადგან იგი სიკვდილის პირამდეა მისული.

მარკოვი აღნიშნავდა, რომ მიღებული მასალების გაანალიზებით, სტალინის კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა დაასკვნეს — ჩანს, აბაკუმოვს არ ჰქონდა კონტაქტები უცხოურ დაზვერვებთან, მაგრამ დაბალი ინტელექტუალური დონის გამო, მის გარემოცვაში ჩანერგილი უცხოეთის აგენტურის ხელში მანიპულირების ობიექტად იქცა.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის და „ებრაელთა საქმის" გამოძიება გააგრძელა. 1952 წელს სტალინმა ჯუღასთან ერთად განიხილა ამ საქმეების გაგრძელების მიზანშეწონილობა. ჯუღა გაგრძელების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რასაც ასაბუთებდა არა მხოლოდ ჰუმანური მოსაზრებებით და თავდაცვის მრეწველობისთვის ზარალის შესაძლო მიყენებით, არამედ, აგრეთვე, საკმარისი საფუძვლის არქონით. სტალინი დაეთანხმა.

ვ. ჟუხრაი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

საკ. კპ (ბ) პოლიტბიუროს 1945 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე დაამტკიცა საკდესის (საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტო) მუშაობის შემსწავლელი კომისია, რადგან საკდესის საქმიანობაში ძალიან ბევრი ნაკლოვანება აღინიშნებოდა. კომისია: მალენკოვი (თავმჯდომარე), კომისიის წევრები: ალექსანდროვი, დეკანოზოვი და მე-2 მთავა-

რი სამმართველოს (კონტრდაზვერვა) უფროსი ფედოტოვი.

არასასურველ ელემენტებთან საეჭვო კავშირისა და სამეურნეო დანაშაულობათა გამო სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლდა ბ.ზ. ჭობულოვი. სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ პოლიტბიურომ დანიშნა ს.ი. ოგოლცოვი და გაათავისუფლა იგი ყაზახეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის თანამდებობიდან.

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეგყობინება

სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია (ლაბორატორია X), რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი მაირანოვსკი, უშუალოდ ემორჩილება სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე სელივანოვსკის. იგი სტრატეგიული კონტრდაზვერვის დამუშავებაშია უცხოეთის დაზვერვასთან მის შესაძლო კავშირში დაეჭვების გამო.

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელობა გადაეცა სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ოგოლცოვს.

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

აბაკუმოვის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი ბერიას უახლოეს დამჭაშ ბოგდან ჭოგულოვთან

„ბოგდან ზახაროვიჩ, ლავრენტი პავლოვიჩის გარეშე ჩვენ აქ ობლებივით ვართ. როგორც შშობელი მამის გარეშე“

ა. კულა

P.S. აკრძალვის მიუხედავად, აბაკუმოვი ბერიას სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საქმიანობის შესახებ ცნობებს აწვდის.

თან ეურთავ ფელდეგერების ხელმოწერების ასლებს, ვისი მეშვეობითაც აბაკუმოვი ბერიას მისამართით გზავნიდა ასეთ მასალებს.

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მოხსენებით ბარათში სტალინის სახელზე აბაკუმოვი წერს: „ამხანაგ პოსკრებიშევის მეშვეობით გამოგიგზავნეთ თქვენს სახელზე გამოგზავნილი შახურინის, ნოვიკოვის და შიმანოვის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი წერილები, რომლებშიც ისინი სრულად აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს და ითხოვენ შეწყალებას“

აბაკუმოვი ცრუობს: ასეთი წერილები ზემოთ დასახელებულ პირებს არ დაუწერიათ. ეს ფალსიფიკაციაა. კარიერისტული მიზნით აბაკუმოვმა მათი დაკითხვებიდან ამოკრეფილი ტექსტები მათ აღიარებით წერილებად გაასაღა.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ადმირალმა კუზნეცოვმა, რომელიც გამოუცდელი იყო „მაღალი წრის“ ინტრიგებში, თავისი მეგობრების წრეში მოჰყვა, მოლოტოვთან ერთ-ერთი საუბრის დროს როგორ დაიჩივლა, რომ ხშირად მოხვედრია სტალინისგან პირდაპირი მსჯელობის გამო, რაზეც მოლოტოვმა უპასუხა: „მარტო შლაპა ამბობს იმას, რასაც ფიქრობს“.

ა. ჯულა
1947 წლის 18 იანვარი

ცნობა

ნიკოლაი გერასიმოვიჩ კუზნეცოვის შესახებ

უხეშია, პრინციპული. ამის გამო ცუდი ურთიერთობა აქვს ბულგანინთან და ჟუკოვთან, რომელიც ქრონიკულად ვერ იტანს სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

ნაკლი: ზედმეტად ენდობა ადამიანებს.

ა. ჯულა
1947 წლის 23 ივნისი

P.S. აბაკუმოვის მტკიცება, რომ კუზნეცოვი ინგლისის ჯაშუშია, სისუ-

ლელის ჩმახვაა. როგორც ჩანს, ინგლისელებს ძალიან სურთ შეცვალონ ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელობა.

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

აკადემიკოსმა იუდინმა, სკლიფასოვსკის სახ. ინსტიტუტის მთავარმა ქირურგმა, რომელიც სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ დაპატიმრებულია 1946 წლის 26 აპრილს, ცხრა დღე-ღამის განმავლობაში აქტიური დაკითხვის შემდეგ სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილში, აღიარა, რომ არის ინგლისის დაზვერვის აგენტი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ჩერჩილს და ინგლისის ელჩს მოსკოვში, რეგულარულად გადასცემდა ცნობებს იმ მოვლენების შესახებ, რაც ხდებოდა სსრკ მმართველ წრეებში და მთავარ მხედართმთავართა შორის არსებულ განწყობილებებზე. კერძოდ, იუდინმა აჩვენა, მარშალ ვორონოვისგან შეიტყო, რომ ქვეყანაში არის სამხედრო შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავს ხელისუფლებაში სამხედროების მოსვლას. ამჟამად ლავროვი ამოწმებს იუდინის ჩვენებებს საზღვარგარეთ თავისი აგენტურის მეშვეობით.

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

იმ წამყვანი საბჭოთა მეცნიერების ბინებში, რომლებიც ატომური ბომბის შექმნაზე მუშაობენ, კონტრდაზვერვითი პროფილაქტიკის მიზნით დაყენებულია მიყურადების ტექნიკა.

ა. კულა
1948 წლის 24 მაისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

თეორიულ ფიზიკაში ცნობილი მეცნიერი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის თეორიული განყოფილების გამგე,

აკადემიკოსი ლ.დ. ლანდაუ კურჩატოვმა ჩართო წყალბადის ბომბის შესაქმნელად მიმდინარე საიდუმლო სამუშაოებში. 1939 წელს დაპატიმრებული იყო, როგორც არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი, მაგრამ გაათავისუფლეს როგორც ცნობილი მეცნიერი თეორიული ფიზიკის დარგში. საბჭოთა წყალბადის ბომბის შექმნასთან დაკავშირებულ დავალებებს ასრულებს კეთილსინდისიერად. ამავე დროს ლ.დ. ლანდაუ აშკარა, მტკიცე ანტისაბჭოელია, თუმცა, ამ მიმართებით მისი ანტისაბჭოთა შეხედულებები ძალიან გვაგონებს შიზოფრენიით დაავადებულის ბოდვებს. მაგალითად, 1947 წელს საბჭოთა მეცნიერებაში შექმნილ მდგომარეობას რომ აფასებდა, ლანდაუმ განაცხადა (აგენტურული პატაკით): „ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება უფრო მეტად არის გამეძავებული, ვიდრე საზღვარგარეთ. იქ მეცნიერებს რაღაც თავისუფლება მაინც აქვთ. ფლიდობა — არამარტო მეცნიერების უპირატესობაა, არამედ კრიტიკოსებისაც, ლიტერატორებისაც, გაზეთებისა და ჟურნალების კორესპონდენტებისაც, ისინი მეძავები და არარაობანი არიან. მათ ფულს უხდიან და ამიტომ აკეთებენ ყველაფერს, რასაც ზემოდან უბრძანებენ".

1948 წელს ერთ-ერთ საუბარში (აგენტურული პატაკით) ლანდაუმ თქვა: „აშშ ყველაზე მადლიანი ქვეყანაა". ერთხელ გაზეთებში ამოიკითხა, რომ ერთ-ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა, ეროვნებით, მგონი, ჩეხმა, საბჭოთა კავშირში გამგზავრების სურვილი გამოთქვა. „აი, სულელი! — თქვა ლანდაუმ, — სიამოვნებით შევენაცვლებოდი". თავის სტუმრებს შორის არაერთხელ განუხილავს პროექტები საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციის შესახებ.

ა. ჯული
1948 წლის 30 ივნისი

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *„მნიშვნელობა არა აქვს, რას ლაპობს შიზოფრენიკი, მნიშვნელოვანია, რომ იგი წარმატებით მუშაობს წყალბადის ბომბის შესაქმნელად. დაპატიმრება მიზანშეუწონელია. დაე, იმუშაოს"*

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ამხ. სტალინის მდივნის ა.ნ. პოსკრებიშევის პირველი ცოლი ბრონისლავა სოლომონოვნა პოსკრებიშევა ჯაშუშობის გამო დააპატიმრეს. სამი წელიწადი დატუსაღებული იყო, რის შემდეგაც დახვრი-

ტეს. მისი და პოსკრებიშევის ქალიშვილი ცხოვრობს მამასთან, მის ახალ ოჯახში. პოსკრებიშევს დღედაღამ უთვალთვალებენ. მაკომპრომეტირებელი კავშირები არ აღმოგვიჩენია.

ა. ჯულა
1948 წლის 18 იანვარი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

(ბანმეორებითი აბენტურული პატაკი)

მოლოტოვის დაპატიმრებულ ცოლს ჟემჩუჟინას სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში დაჰკითხავენ ანტისაბჭოთა კავშირებისა და ნაციონალისტურ განზრახვათა გამო. მტრულ საქმიანობას არ აღიარებს. მისი ანტისაბჭოთა ნაციონალისტური საქმიანობის შესახებ პირველი ჩვენება მოგვცა დაპატიმრებულმა გრინბერგმა.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის
ასლი

საინფორმაციო შეტყობინება

ვ.მ. მოლოტოვის ცოლის პ.ს. ჟემჩუჟინას საქმეზე სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ დააპატიმრა:

ვ.დ. კარტაშოვა — ჟემჩუჟინას სტენოგრაფისტი; ველბოვსკაია — ჟემჩუჟინას ყოფილი მდივანი; მ.ი. კარნოვსკი — თევზის მრეწველობის სამინისტროს საგანგებო მიწოდებათა განყოფილების გამგე; ზ.მ. გოლოვანევსკი; ლიშნევსკაია-კარპოვსკაია, ვ.ი. კარპოვსკი — ჟემჩუჟინას ნათესავები; საფეიქრო-საგალანტერეო მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე; კამელი — ჟემჩუჟინას მეგობარი; შტეინბერგი — ერთ-ერთი საავიაციო ქარხნის დირექტორი, ჟემჩუჟინას შორეული ნათესავი; მელნიკ-სოკოლინსკაია და რასიპინსკი — ჟემჩუჟინას მეგობრები. სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელთა მიერ ფიზიკური ზემოქმედების შედეგად, დაპატიმრებულებმა შტეინბერგმა და მელნიკ-სოკოლინსკაიამ მისცეს ჩვენება იმის შესახებ, რომ, თითქოს, ჟემჩუჟინა მათი თანდასწრებით ნაციონალის-

ტურ საუბრებს ეწეოდა და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს აკრიტიკებდა ებრაელთა საკითხში. შემდგომში მელნიკ-სოკოლინსკაიამ უარი თქვა თავის ჩვენებებზე. ჟემჩუჟინა თავისი მტრული საქმიანობის შესახებ ჩვენებებს არ იძლევა, დამნაშავედ თავს არ ცნობს. ფიზიკური ზემოქმედების ხერხები მის წინააღმდეგ არ გამოუყენებიათ.

რადგან დამამტკიცებელი საბუთები და ბრალდებები აშკარად არასაკმარისი იყო, ჟემჩუჟინას საქმეში გასულ ზემოჩამოთვლილ პირებს სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგანგებო სათათბირომ პატიმრობის სხვადასხვა ვადები მიუსაჯა.

ა. ჯულა

ცნობა

ამხ. სტალინმა გასცა ბრძანება ჟემჩუჟინას ყაზახეთში გადასახლების შესახებ, მისთვის არსებობის ასატანი პირობების შექმნით.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს ლოზოვსკი (საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, ომის დროს სათავეში ედგა საბჭოთა ინფორმბიუროს).

ა. ჯულა
1949 წლის 28 ივლისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელი პოდპოლკოვნიკი რიუმინი ამტკიცებს, რომ აბაკუმოვმა უბრძანა, არ მიეცა მსვლელობა მის მიერ გამოვლენილი შეთქმულების მასალებისთვის, რომელიც მიმართული იყო პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ. რიუმინის განცხადება გამოწვლილვით მოწმდება.

ა. ჯულა
1951 წლის 12 მაისი

ცნობა

ამხ. სტალინმა პირადად მიიღო რიუმინი და დანიშნა იგი სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ საგამოძიებო მუშაობის დარგში.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1951 წლის 24 აგვისტოს სსრკ უშიშროების მინისტრმა ს.დ. იგნატიევმა ამხანაგ სტალინს მოახსენა ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის საქმის შესახებ: „თითქმის სულ არ არსებობს დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდნენ დაპატიმრებულთა ჩვენებებს, მათ მიერ წარმოებულ ჯაშუშურ და ნაციონალისტურ საქმიანობას ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის საფარქვეშ".

ა. ჯულა
1951 წლის 25 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

მემორანდუმი
სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ვ.ს. აბაკუმოვის საქმის შესახებ

აბაკუმოვს, რომელიც მთელი დიდი სამამულო ომის განმავლობაში — 1941-1945 წლებში იყო თავდაცვის სახალხო კომისრის (ი.ბ. სტალინის) მოადგილე კონტრდაზვერვის დარგში, კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველო „სმერშის" უფროსი, უეჭველად ჰქონდა დიდი დამსახურება ომში გამარჯვების მომზადების საქმეში და გარკვეული დროის მანძილზე ამხ. სტალინის ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა. მაგრამ დიადი სახელმწიფოს — სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის თანამდებობას, რომელზეც იგი 1946 წლის მაისში, ამ პოსტიდან მერკულოვის — ლავრენტი ბერიას კაცის მოხსნის შემდეგ დაინიშნა, არც ინტელექტით, არც განათლებით აშკარად არ შეეფერებოდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ქვეყნის პოლიტიკურ დაზვერვასა და კონტრდაზვერვას ხელმძღვანელობდეს ადამიანი ოთხკლასიანი განათლებით, თანაც სერიოზული ოპერატიულ-ჩეკისტუ-

რი გამოცდილების გარეშე.

მიუხედავად ამისა, აბაკუმოვი დანიშნეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ პოსტზე იგი დაიბნა, ბოლოს კი ტიკინად იქცა ბინძური ადამიანების ხელში.

აბაკუმოვის ვარდნა დაიწყო თითქოს უმნიშვნელო სპეცვაჭრობის საქმის გამო. მიქოიანმა და კოსიგინმა შეიტანეს წინადადება (აუცილებელი რესურსების არქონის გამო) სპეცვაჭრობის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც საკვები პროდუქტებითა და ფართო მოხმარების საქონლით უზრუნველყოფდა ჩეკისტურ კადრებს.

ამ წინადადების წინააღმდეგ ძალიან მკვეთრად გაილაშქრა აბაკუმოვმა.

— რატომ აქვს, — განაცხადა მან, — თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ვაჭრობა, მიუხედავად იმისა, რომ ახლა იგი მშვიდობიან მდგომარეობაშია, არ ომობს, ხოლო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, რომელიც ყოველდღიურად და ყოველ საათს ებრძვის უცხოეთის კონტრდაზვერვის ხრიკებს, უნდა ჩამოვართვათ სპეცვაჭრობა?

გაფიცხებულმა აბაკუმოვმა გადალახა პოლიტბიუროს სხდომებზე პოლემიკის დასაშვები საზღვრები და მიქოიანსა და კოსიგინს, ფაქტობრივად, სულელები უწოდა. სტალინმა მკვეთრად შეაწყვეტინა აბაკუმოვს.

— გიკრძალავთ, — თქვა მან, — პოლიტბიუროს წევრები სულელებად მოიხსენიოთ.

სტალინის რისხვა, რა თქმა უნდა, გამოწვეული იყო არა აბაკუმოვის დამოკიდებულებით პოლიტბიუროს ორი წევრისადმი. იგი ამას აპატიებდა სახელმწიფო უშიშროების მინისტრს, რომლის მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი, რომ არა ცოტა ხნის წინათ გამოვლენილი სერიოზული და სტალინისთვის ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველი ვითარება. მას აჩვენეს ფოტოსურათი, რომელზეც მოღიმარი აბაკუმოვი „ერმიტაჟის“ ბაღში ვარდების უზარმაზარ თაიგულს მიართმევდა ლამაზ ახალგაზრდა ქალს, რომელიც ფარული შემოწმებით უცხოეთის დაზვერვასთან დაკავშირებული აღმოჩნდა.

ეს უკვე სერიოზული ამბავი იყო. ეს უკვე აღარ იყო სპეცვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხი. მაგრამ დრომდე სტალინი ჩუმად იყო, თუმცა, ბრძანება გასცა, რომ აბაკუმოვი აქტიურ აგენტურულ-ოპერატიულ დამუშავებაში აეყვანათ. ამჯერად კი, როგორც ყველა სხვა

მსგავს შემთხვევაში, როცა საკითხების განხილვისას ცხარე დებატები იმართებოდა, შეიქმნა კომისია სპეცვაჭრობის მუშაობის შესამოწმებლად.

კომისიამ სპეცვაჭრობაში გამოავლინა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი. სპეცვაჭრობის ცენტრალური საწყობის დირექტორად მუშაობდა კაცი, რომელიც წარსულში მიცემული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში სპეკულაციის გამო და მოხსნილი იყო ყაზანის სპეცვაჭრობის უფროსობიდან ყალთაბანდობისთვის. მოსკოვის საოლქო სპეცვაჭრობის ხელმძღვანელობამ დაიტაცა 2 მილიონზე მეტი მანეთის საკვები პროდუქტი და სამრეწველო საქონელი, რისთვისაც მოსკოვის საოლქო სპეცვაჭრობის უფროსს მიესაჯა 25 წელი. აბაკუმოვმა, რომელსაც, სსრკ ვაჭრობის სამინისტროსადმი ნომინალურ დამორჩილებასთან ერთად, ექვემდებარებოდა სპეცვაჭრობა, სტალინისგან მიიღო პირველი მკაცრი საყვედური გაფრთხილებით.

მაგრამ ტყუილად არ ამბობენ, რომ უბედურება მარტო არ დადის.

აბაკუმოვის სამსახურებრივი მოღვაწეობის შესწავლის დროს გამოვლინდა დიდი ჩავარდნები სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთ ყველაზე მეტად გასაიდუმლოებული სამმართველოს მუშაობაში, რომელსაც სათავეში ედგა გენერალ-ლეიტენანტი შეველევი.

ამ ჩავარდნებს აბაკუმოვი უმალავდა სტალინს და საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. უფრო მეტიც, ამ სამმართველოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების ერთ-ერთი მთავარი გამკრიტიკებელი, რომელიც პარტიულ კრებებზე არაერთხელ გამოსულა კრიტიკით, განყოფილების უფროსი, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ევგენი შჩუკინი, აბაკუმოვმა ჩრდილოეთ კორეაში მიავლინა, სადაც საეჭვო ვითარებაში დაიღუპა.

სტალინის მითითებით, სამმართველო, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი შეველევი ედგა სათავეში, გამოიყვანეს სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შემადგენლობიდან და გარდაქმნეს საკ. კპ (ბ) ცკ ერთ-ერთ სპეციალურ ქვედანაყოფად. აბაკუმოვმა კი მეორე მკაცრი საყვედური გაფრთხილებით მიიღო.

მაგრამ ძლევამოსილი მინისტრის ხიფათები ამით არ დამთავრებულა.

სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილში განსაკუთრებით მნიშვნე-

ლოვან საქმეთა გამომძიებლად მუშაობდა პოლკოვნიკი რიუმინი. მასთან დაკითხვაზე მოხვდა ექიმი, რომელიც დაპატიმრებული იყო როგორც უცხოეთის დაზვერვის აგენტი. მან აჩვენა, რომ კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს პროფესორ-კონსულტანტების ნაწილი, რომლებიც პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელების მკურნალობაში მონაწილეობდნენ, სამშობლოს მტრები არიან; ჩაფიქრებული აქვთ ტერორისტული აქტები ცკ-ის პოლიტბიუროს წევრებისა და პირადად ამხ. სტალინის წინააღმდეგ, რომ მათ მზაკვრულად მოკლეს ჟდანოვი და შჩერბაკოვი.

დაპატიმრებული ექიმის განცხადებას ერთვოდა კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს ექიმ-კარდიოლოგის ტიმაშუკის განცხადება იმის შესახებ, რომ ჟდანოვსა და შჩერბაკოვს არასწორად მკურნალობდნენ: შეგნებულად მცდარად შიფრავდნენ ელექტროკარდიოგრამებს, რათა არ გამჟღავნებულიყო, რომ მათ მიოკარდიუმის ინფარქტი ჰქონდათ. შედეგად, შჩერბაკოვი, შემდეგ კი ჟდანოვი გარდაიცვალნენ.

ასეთი სენსაციური ჩვენებები რომ მიიღო, რიუმინმა პირადად მოახსენა აბაკუმოვს, რომელიც პირველივე წუთებიდანვე უნდობლად მოეკიდა ამ ჩვენებებს. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი შეთქმულების არსებობას შეეძლო ბოლო მოეღო მისი კარიერისა და სიცოცხლისთვისაც კი, რადგან არავინ იცოდა, როგორ შეაფასებდა სტალინი ასეთ შეცდომას. მაგრამ უფრო იმიტომ, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ ქვეყნის ხელმძღვანელთა მკურნალ პროფესორებზე კარგად ორგანიზებული ტოტალური თვალთვალის პირობებში, ამდენი პირის მონაწილეობა დანაშაულებრივ საქმიანობაში ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ამის შესახებ აბაკუმოვმა დაუფარავად უთხრა რიუმინს, რომელიც შემდეგ პირდაპირ განაცხადებს, რომ გახსნა საშიში შეთქმულება, მაგრამ მინისტრი ამას ყურადღებას არ აქცევს და ცდილობს, მიაჩუმათოს. შედეგად, მინისტრის დისკრედიტაციის მცდელობისათვის რიუმინს პარტიული ხაზით გამოუცხადეს მკაცრი საყვედური გაფრთხილებით. იგი ჩამოაცილეს „ექიმთა საქმის“ გამოძიებას და სამუშაოდ ყირიმის ოლქში გაგზავნეს.

შემდეგ მოვლენები განვითარდა, როგორც ნამდვილი დეტექტიურ ფილმში. რიუმინმა საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრისა და ცკ მდივნის მალენკოვის დაცვაში მომუშავე ჩეკისტის მეშვეობით გადას-

ცა მას განცხადება, რომლითაც აცნობა, რომ აბაკუმოვი აბრკოლებს ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ საშიში შეთქმულების გახსნას. მალენკოვმა წაიკითხა განცხადება, გაიქცა თავის „მეგობარ“ ლავრენტი ბერიასთან და რჩევა ჰკითხა, როგორ მოქცეულიყო. მან ურჩია, დაუყოვნებლივ მოეხსენებინა ამხ. სტალინისთვის რიუმინის განცხადების შესახებ.

სტალინმა უთხრა:

— თქვენ სწორად მოიქეცით, რომ მოხვედით. მოდით, ერთად მივიღოთ და მოვუსმინოთ განმცხადებელს, — და თავის თანაშემწე პოსკრებიშევს დაავალა, მოეწვია რიუმინი.

რიუმინის მიღების შემდეგ ამხ. სტალინმა იგი დანიშნა სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ საგამოძიებო მუშაობაში.

ა. კრული

ამასობაში აბაკუმოვის ბრძანებით, ექიმი, რომელმაც მისცა ჩვენება „ექიმთა საქმეზე“, ციხის რეჟიმის ვითომ დარღვევისათვის ჩასვეს მაცივარ-კარცერში. ამ კარცერში ადამიანი მაქსიმუმ 5-6 საათს ძლებდა. ექიმი კი „დაუდევრობით დაავიწყდათ“ — ერთი დღე-ღამე „არ გახსენებიათ“ და როცა „გაახსენდათ“, უკვე მკვდარი იყო.

სრულიად საიდუმლოდ

ამხ. სტალინის აბაკუმოვთან

საუბრის ჩანაწერი

სტალინი: ექიმების რა საქმე გაქვთ?

აბაკუმოვი: ჯერ გაურკვეველია, ამხანაგო სტალინ. ძალიან ჰგავს პროვოკაციას, რომელიც ინგლისურ-ამერიკული დაზვერვის მიერაა ორგანიზებული.

სტალინი: პროვოკაცია? დაუყოვნებლივ მოდით ჩემთან კრემლში იმ დაპატიმრებულ ექიმთან ერთად. პირადად დავკითხავ.

აბაკუმოვი ხმას არ იღებს.

სტალინი: ცუდად გესმით? თქვენ რა, ვერ გაიგეთ, რაც გითხარით? დაუყოვნებლივ მოიყვანეთ ჩემთან დაპატიმრებული ექიმი.

აბაკუმოვი: სამწუხაროდ, მისი დაკითხვა შეუძლებელია. ერთი საათის წინათ ინფარქტით გარდაიცვალა.

სტალინი: გარდაიცვალა? წადით შინ და სამინისტროში აღარ გამოჩნდეთ. ჩათვალეთ, რომ შინაპატიმრობაში ხართ.

დედანთან სწორია: ა. ჯულა

ცნობა

აბაკუმოვის დანაშაულებრივი საქმიანობის კონკრეტული მონაცემები

ჯერ კიდევ ომის პერიოდში აბაკუმოვს ალაფის ავადმყოფობა დაემართა. სპეციალურად შექმნილ საწყობებში, ვითომ ოპერატიული საჭიროებისთვის, ინახავდა დიდ მატერიალურ ფასეულობას, ძირითადად, ნაალაფარს, რომელსაც ოფიციალურად არ აღრიცხავდა, მალავდა. მიჰქონდა ამ საწყობებიდან ყველაფერი, რაც სურდა. დადასტურებული მონაცემებით, პირადი სარგებლობისთვის აბაკუმოვს ამ საწყობებიდან წაღებული აქვს ათას მეტრზე მეტი შალისა და აბრეშუმის ქსოვილი, ავეჯის რამდენიმე გარნიტური, სადილის და ჩაის სერვიზები, ნოხები, საქსონიის ფაიფურის ნაკეთობანი. 1944 წლიდან 1948 წლამდე პერიოდში აბაკუმოვმა მიიტაცა 600 ათასზე მეტი მანეთის ღირებულების ფასეულობა. არსებული მონაცემებით, ამჟამად აბაკუმოვის ბინაში ინახება სამი ათას მეტრზე მეტი შალის, აბრეშუმის და სხვა ქსოვილები, დიდი რაოდენობით ძვირფასი ლარნაკები, ფაიფურისა და ბროლის ჭურჭელი, სხვადასხვა საგალანტერეო საქონელი, დიდი რაოდენობით ოქროს ნაკეთობანი.

1948 წელს კოლპაჩნის შესახვევის №11 სახლიდან გაასახლა 16 ოჯახი და ეს სახლი პირად ბინად მოიწყო. ამ ბინის რემონტსა და მოწყობაზე უკანონოდ, სამინისტროს სახსრებიდან ერთ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა. 6 თვის განმავლობაში კოლპაჩნის შესახვევში მდებარე სახლის გადაკეთებაზე 200-ზე მეტი მუშა მუშაობდა, აგრეთვე, — არქიტექტორი რიბაცკი და ინჟინერი ფილატოვი. ამასთან, მაღალხარისხოვანი მასალებით ამარაგებდნენ უცნობი, ჯერ კიდევ დაუდგენელი წყაროებიდან. ამ დანაშაულობათა გამო პასუხისმგებლობის შიშით აბაკუმოვმა 1950 წლის მარტში უბრძანა, გაენადგურებინათ საბუღალტრო ანგარიშები სამინისტროს საქმეთა მმართველობის პირველ განყოფილებაში, რომლის გამგებლობაშიცაა ხელმძღვანელი შემადგენლობის სამეურნეო მომსახურება.

აბაკუმოვის მითითებით, მისი პირადი სარგებლობისთვის, მინისტ-

რის სამდივნოს უფროსმა, პოლკოვნიკმა ჩერნოვმა ოპერატიული საჭიროებისთვის გათვალისწინებული სახსრებიდან მიითვისა 500 ათასამდე მანეთი.

აბაკუმოვი კარიერისტი და ფალსიფიკატორია. არაკეთილსინდისიერი ხრიკებით ცდილობდა, ამხ. სტალინისთვის თავი მოეჩვენებინა პატიოსან, პირდაპირ და გონიერ ოპერატიულ მუშაკად, რომელიც ფხიზლად იდგა სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე. ამ მიზნით გადააკეთებდა, „კორექტირებას“ უკეთებდა და შეავსებდა დაპატიმრებულთა დაკითხვის ოქმებს და ფარავდა მისდამი რწმუნებული სამინისტროს მუშაობაში არსებულ ჩავარდნებს.

აი, რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ზუსტად ახასიათებენ აბაკუმოვს, როგორც ადამიანსა და მუშაკს.

თავის დროზე ამხ. სტალინმა მიიღო საავიაციო მრეწველობის მინისტრის შახურინის, ავიაციის მთავარი მარშალის ნოვიკოვისა და სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო საბჭოს წევრის, გენერალ-პოლკოვნიკ შიმანოვის „საკუთარი ხელით“ დაწერილი აღიარებანი, რომლებშიც ისინი აღიარებდნენ ანტისახელმწიფოებრივ, მავნებლურ საქმიანობას. სინამდვილეში კი ამ წერილებთან დაკავშირებული საქმე ასე განვითარდა. კონტრდაზვერვის სამმართველო „სმერშის“, რომელსაც იმ დროს აბაკუმოვი ედგა სათავეში, თანამშრომლებმა აღნიშნულ პირთა მიმართ წარმოებული გამოძიების პროცესში აქტიური დაკითხვებით შეძლეს, მათგან მიეღოთ ჩვენებები ანტისახელმწიფოებრივი, მავნებლური საქმიანობის შესახებ.

შემდეგ აბაკუმოვმა აიძულა შახურინი, ნოვიკოვი და შიმანოვი, დაკითხვების ოქმებიდან პირადად გადაეწერათ მათ მიერ მიცემული ჩვენებები. ეს ჩვენებები, როგორც პირადი აღიარებითი წერილები აბაკუმოვმა ამხ. სტალინის მისამართით გაგზავნა.

ამ „წერილებზე“ დართული ბარათის ასლზე აბაკუმოვის მითითებით სსრკ უშიშროების სამინისტროს სამდივნოს უფროსმა კარევმა წააწერა: „განცხადებები (დედნები) გაიგზავნა ამხანაგ სტალინის მისამართზე ასლების შედგენის გარეშე“

სსრკ უშიშროების სამინისტროს სამდივნოს ცრუ მტკიცების საწინააღმდეგოდ, რომ შახურინის, ნოვიკოვისა და შიმანოვის „წერილების“ ასლები თითქოს არ შეუდგენიათ, სინამდვილეში, ასეთი ასლები არსებობს. ამჟამად ისინი ინახება კოლპაჩნის შესახვევში აბაკუმოვის ბინა-

ში, ტანსაცმლის ერთ-ერთ კარადაში დამალულ საქაღალდეში.

კიდევ ერთი მაგალითი. 1945 წელს აბაკუმოვის მითითებით საკ. კპ (ბ) ცკ-ში, კონტრდაზვერვა „სმერშის“ კარგი მუშაობის „დასადასტურებლად“ გაგზავნეს ფოტოალბომები, რომლებშიც მოთხრობილი იყო მანჯურიაში თეთრემიგრანტული ორგანიზაციების შესახებ. სინამდვილეში ეს იყო ОГПУ-ს დროინდელი ძველი დოკუმენტები. ამასთან, სურათებზე წარწერილი თარიღები დაფარეს და ფოტოსურათები ხელახლა გადაიღეს.

აბაკუმოვმა ამხ. სტალინს და საკ. კპ (ბ) ცკ-ს დაუმალა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლის სალიმანოვის ღალატი, აგრეთვე, 1949 წელს დამალა საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის დაუსჯელად გადაკვეთის ფაქტი ინგლისელი მზვერავების მიერ ვინმე ბერიშვილის მეთაურობით. ჯგუფს დავალებული ჰქონდა საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფის მომზადება. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელშეწყობით ბერიშვილის ჯგუფმა დაამყარა პირადი კონტაქტები, საჭირო ინსტრუქტაჟი ჩაუტარა საქართველოში არსებულ აგენტურას და დაუსჯელად გადავიდა თურქეთში.

ა. ჯუღა

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

1951 წლის 13 ივლისს ამხ. სტალინის განკარგულებით დააპატიმრეს გენერალ-პოლკოვნიკი აბაკუმოვი. ამავე დღეს დააპატიმრეს სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამომძიებო ნაწილის უფროსი, გენერალი ლეონოვი, მისი მოადგილეები — პოლკოვნიკები ლიხაჩოვი და კომაროვი იმის გამო, რომ იცოდნენ „ექიმთა შეთქმულების“ შესახებ შემოსული სიგნალების არსებობა და არ აცნობეს ამის შესახებ ამხ. სტალინს. მოგვიანებით, ამავე მიზეზით დააპატიმრეს სსრკ უშიშროების სამინისტროს მეორე (კონტრდაზვერვის) მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალი პიტოვრანოვი, მისი მოადგილე, გენერალი რაიხმანი, სსრკ უშიშროების სამინისტროს პირველი (საგარეო პოლიტიკური დაზვერვა) მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალი გრიბანოვი, სსრკ უშიშროების სამინისტროს სამდივნოს უფროსი, პოლკოვნიკი ჩერ-

ნოვი და მისი მოადგილე ბროვერმანი.

მანამდე დააპატიმრეს კრემლის სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს პროფესორთა ჯგუფი, რომელთაც ბრალად ედებოდათ შეთქმულების ორგანიზება და ტერორის განხორციელება პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

ა. კულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

გორკის სახელობის კულტურის პარკის დანსინგში (საცეკვაო დარბაზში) სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრს აბაკუმოვსა და მის მცველს კუზნეცოვს სცემეს სისხლის სამართლის დამნაშავეებმა, რომლებმაც იეჭვიანეს აბაკუმოვზე ერთ-ერთ მეძავთან დაკავშირებით. აბაკუმოვი რეგულარულად დადის გორკის კულტურის პარკში, სადაც ცეკვის დროს ეცნობა მეძავებს და შემდეგ მიჰყავს სასტუმრო „მოსკოვში“, სადაც ცხოვრობს მათთან სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში, რომელსაც სსრკ უშიშროების სამინისტრო ოპერატიული მიზნებისთვის იყენებს. მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს ხელმძღვანელობა, რომელიც აბაკუმოვის ამ „შემოქმედებათა“ საქმის კურსშია, მისგან შურისძიების შიშით, თავის უმაღლეს ხელმძღვანელობასა და საკ. კპ (ბ) ცკ-ს ამის თაობაზე არ მოახსენებს. სისხლის სამართლის დამნაშავეებმა მას შეარქვეს „ვიტკა ფოქსტროტისტი“

ა. კულა

ცნობა

გორკის სახ. პარკში მომხდარი ინციდენტის შესახებ რომ შეიტყო, ამხ. სტალინმა აბაკუმოვზე თქვა: „ეს როგორი სახელმწიფო უშიშროების დაცვის მინისტრია, საკუთარი თავის დაცვაც რომ არ შეუძლია?! როგორღა დაიცავს ქვეყნის ხელმძღვანელობას?“

აბაკუმოვის მტრული საქმიანობის შესახებ ადრე მიღებული ცნობების გულდასმით შემოწმების შემდეგ, იგი ჩამოაცილეს მინისტრის თანამდებობას და 3 დღის შემდეგ, 1951 წლის 13 ივლისს დააპატიმრეს.

ა. კულა
1951 წლის 15 ივლისი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სახელმწიფო უშიშროების ყოფილ მინისტრს დაპატიმრებულ აბაკუმოვს ბრალად აქვს წაყენებული სამშობლოს ღალატი, შეთქმულთა ჯგუფის ორგანიზება, რომელშიც შედიან ამჟამად დაპატიმრებული სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უმაღლესი ოფიცრები. შეთქმულების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში შეთქმულები აბაკუმოვს ჰპირდებოდნენ საკ. კპ (ბ) ცკ გენერალური მდივნისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტებს. აგენტურული მონაცემებით, აბაკუმოვი სსრკ-ში კაპიტალიზმის რესტავრაციის მომხრეა.

აქტიური დაკითხვების მიუხედავად, აბაკუმოვი მტრული საქმიანობის შესახებ ბრალდებას არ აღიარებს. ამჟამად, აქტიური დაკითხვების შედეგად სიკვდილის პირას იმყოფება, რის გამოც აქტიური დაკითხვები დროებით უნდა შეწყდეს.

ა. ჯუღა
1951 წლის 20 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

აბაკუმოვს ბრალად ედება, რომ მან დამალა მიღებული მონაცემები ექიმთა შეთქმულების შესახებ, რომლის მიზანი ამხ. სტალინის მოკვლა და მისი სიკვდილის შემდეგ ძალაუფლების ხელში ჩაგდება იყო. თავის შეთქმულებით საქმიანობაში ეყრდნობოდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს — სელივანოვსკის, პიტოვრანოვს, გრიბანოვს, ბელკინს, რაიხმანს, შუბნიკოვს და სხვებს.

გამოძიების დროს აბაკუმოვისგან მოითხოვენ, დაასახელოს მის მიერ დაპროექტებული მინისტრთა კაბინეტის წევრები. აქტიური დაკითხვების მსვლელობისას, რის შედეგადაც აბაკუმოვი სიკვდილის პირას აღმოჩნდა, მას არავინ დაუსახელებია, და არავითარი დანაშაული არ უღიარებია, გარდა სამეურნეო დანაშაულისა.

ა. ჯუღა
1951 წლის 21 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დაზვერვისა და დივერსიების სამსახურის უფროსის სუდოპლატოვის მოადგილემ, გენერალმა ეიტინგონმა ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიის (ლაბორატორია X) უფროსის, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკის მაირანოვსკის ჩვენებით, თითქოს დაავალა მას, როგორც შეთქმულებითი ორგანიზაციის წევრს, გაეკეთებინა ყველაფერი, შესაძლებელიც და შეუძლებელიც, რათა საწამლავების დახმარებით მოესპო საბჭოთა კავშირის მთელი ხელმძღვანელობა.

ა. კრულა
1951 წლის 21 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

არის მონაცემები, რომ მინისტრთა კაბინეტში, რომელსაც კონტრრევოლუციური გადატრიალების შედეგად სათავეში აბაკუმოვი ჩაუდგებოდა, საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა ყოფილიყო მაისკი.

დაპატიმრებულმა მაისკიმ გამოძიების დროს აღიარა, რომ ერთბაშად სამი დაზვერვის აგენტია: იაპონიის, ინგლისის და ამერიკის. ასეთი მონაცემები (გარდა მისი კავშირისა ინგლისის დაზვერვასთან და პირადად ჩერჩილთან) მის შესახებ არ გამაჩნია. სავარაუდოა, რომ მაისკიმ შეგნებულად დაიბრალა, რათა გადარჩენილიყო აქტიურ დაკითხვას (წამებასა და ცემას).

ა. კრულა
1951 წლის 22 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

სამშობლოს ღალატსა და უცხოეთის დაზვერვებთან დანაშაულებრივ კავშირში ბრალდებულები — სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკები აბაკუმოვი, ეიტინ-

გონი, პიტოვრანოვი და მატუსოვი თავს დამნაშავედ არაფერში არ აღიარებენ.

ა. ჯული
1951 წლის 23 აგვისტო

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით გააკვირვა და გული დასწყვიტა იმან, რომ მისი პირადი დაცვის უფროსი, რომელიც ამავდროულად სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსია, გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი სიდოროვიჩ ვლასიკი, 25 წლის განმავლობაში მას რომ იცავდა, გულგრილად მოეკიდა ექიმ ტიმოშუკისგან მიღებულ ცნობას. არამარტო არ აცნობა ეს სიგნალი ამხ. სტალინს, არამედ არც არავითარი ღონისძიება განუხორციელებია მის შესამოწმებლად, რაც მისი უშუალო სამსახურებრივი მოვალეობაა.

ამხ. სტალინმა უბრძანა სახელმწიფო უშიშროების ახალ მინისტრს ს.დ. იგანატიევს, ვლასიკისთვის აგენტურულ-ოპერატიული თვალთვალი დაეწინშნათ. სტალინისთვის დიდად გულდასაწყვეტად, მას მალე მოახსენეს, რომ ვლასიკი, თითქოს, სისტემატურად ლოთობდა მხატვარ სტენბერგის ბინაში, რომელიც ცოლთან ერთად დაპატიმრებულია უცხოეთის დაზვერვასთან კავშირის ბრალდებით. რომ სიმთვრალეში ვლასიკი მასთან თითქოს წამოაყრანტალებდა ხოლმე ქვეყნის ხელმძღვანელების დაცვასთან დაკავშირებულ საიდუმლოებებს და, რაც სრულიად არ ჰგავდა სინამდვილეს, თითქოს გაუშიფრა სტენბერგს უშიშროების სამი საიდუმლო თანამშრომელი, ვის დამუშავებაშიც იგი იმყოფებოდა, აჩვენა შეგროვილი აგენტურული მასალები და გააფრთხილა მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ.

ამხ. სტალინს ეჭვი ეპარებოდა ვლასიკზე მიღებული ცნობების სიმართლეში. მაგრამ მალე მოხდა ისეთი რამ, რამაც სტალინს ვლასიკისადმი უნდობლობა გაუძლიერა.

სკკპ ცკ პრეზიდიუმის ბიუროს (ყოფილი პოლიტბიურო) ერთ-ერთი სხდომის შემდეგ, რომელიც ვოლინსკში სტალინის აგარაკზე გაიმართა, ვლასიკი, როგორც ყოველთვის ასეთი სხდომების შემდეგ, ათვალიერებდა შენობას. მოულოდნელად აღმოაჩინა იატაკზე დაგდებული

განსაკუთრებით საიდუმლო დოკუმენტი. წაიკითხა და ჯიბეში ჩაიდო. მოულოდნელად, სახლიდან გასულისას, სტალინის ბრძანებით გაჩხრიკეს. როცა ამხ. სტალინს მოახსენეს ჩხრეკის დროს აღმოჩენილი გახსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტის შესახებ, მან გაათავისუფლა ვლასიკი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისგან და უბრძანა ჯუღას, ფარულად შეემოწმებინა ე.წ. „ექიმთა საქმე“ და ვლასიკისადმი წაყენებული ბრალდება საეჭვო ადამიანებთან კავშირის შესახებ, შემდეგ კი თავისი დასკვნები მოეხსენებინა.

ამხ. სტალინის ბრძანების შესაბამისად, სტრატეგიული კონტრდაზვერვის უფროსი, გენერალი ჯუღა ამხ. სტალინის დაცვითა და კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს ექიმებით დაკავებული არ იყო. ეს ამოცანა დაკისრებული ჰქონდა სსრკ უშიშროების სამინისტროს დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერატიულ განყოფილებას. ამ განყოფილების უფროსი იყო პოლკოვნიკი მასლენიკოვი, რომლის მოადგილე — გენერალ-ლეიტენანტი რუმიანცევი ამხ. სტალინთან ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაახლოებულ თანამშრომლად ითვლება.

ა. ლავროვი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ

თქვენი განკარგულებით გავეცანი ე.წ. ექიმთა საქმეს და ვლასიკის საქმეს. მიმაჩნია, რომ ორივე ეს საქმე ამერიკისა და ინგლისის დაზვერვების მიერ ორგანიზებული პროვოკაციაა. ინგლისის დაზვერვის აგენტს პროფესორ ეტინგერს, რომელმაც მისცა ჩვენება ექიმთა შეთქმულების შესახებ, უეჭველად ჰქონდა დავალება, დაპატიმრების შემთხვევაში ცილი დასწამოს ებრაელი ექიმების ჯგუფს, რომლებიც კრემლის სამკურნალო-სანიტარულ სამმართველოს ემსახურებოდნენ. ამ გზით ჩვენი „ოკეანისგაღმელი მეგობრები“ აშკარად ცდილობენ, გააღვივონ ეროვნებათაშორისი შუღლი ჩვენს ქვეყანაში და, უწინარეს ყოვლისა, ცდილობენ, მთელი მსოფლიოს ებრაელები ააჯანყონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, კომუნიზმის წინააღმდეგ, რუსების წინააღმდეგ. სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს ექიმთა ასეთი რაოდენობის რომელ შემთქმულებაზე შეიძლება საუბარი, როცა

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ ყველა იმ მედიცინის მუშაკზე დაწესებულია ყოვლისმომცველი პროფილაქტიკური თვალთვალი?! ვისაც მიცემული აქვს უფლება, უმკურნალოს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს?! რაც შეეხება ექიმ ტიმაშუკს, იგი მოიქცა სწორად, როცა თავისი ეჭვების შესახებ აცნობა სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს.

სტრატეგიული კონტრდაზვერვის უფროსი,
გენერალ-პოლკოვნიკი ***ა. ჯულა***

სტალინის რეზოლუცია: *ექიმების შეთქმულება მართლაც შეუძლებელია, როცა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს ხელმძღვანელობენ პატიოსანი კომუნისტები. მაგრამ აკი სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი აბაკუმოვი და მასთან დაახლოებულები თვალის ამხვევი და ქურდები აღმოჩნდნენ. ამასთან, ეჭვი არსებობს, რომ ზოგიერთი მათგანი უცხოურ დაზვერვებთანაც იყო დაკავშირებული.*

თუმცა, რადგან ეჭვი გეპარება ექიმების ბრალეულობაში, ჯერჯერობით მათ სასამართლოს არ გადავცემთ. იგნატიევმა და რიუმინმა კიდევ იმუშაონ მათთან და გადააბოროტონ მათზე არსებული მასალები. შენი არხებით გულდასმით გადააბოროტე შეთქმულ ექიმებზე არსებული მასალები.

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეგყობინება

საგამოძიებო მუშაობაში სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე, პოლკოვნიკი რიუმინი კულაკის შვილია, მისი ძმა და და მიცემულნი იყვნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ქურდობისათვის, სიმამრი სამოქალაქო ომის დროს კოლჩაკის არმიაში მსახურობდა. რიუმინი აშკარა კარიერისტი-ფალსიფიკატორია.

ს. ნიკოლაევი
1952 წლის 6 ნოემბერი

ცნობა

რიუმინის შესახებ მოხსენებისთვის

1952 წლის 12 ნოემბერს ამხ. სტალინის განკარგულებით პოლკოვნიკი რიუმინი გაათავისუფლეს სახელმწიფო უშიშროების მინისტ-

რის მოადგილის თანამდებობიდან, რადგან დაკისრებულ სამსახურეობრივ მოვალეობებს თავი ვერ გაართვა.

ხ. ნიკოლაევი
1952 წლის 13 ნოემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეჯამებინება

მიყურადების ტექნიკით ჩაწერილი საუბარი.

ვლასიკის ქალიშვილმა ნადეჟდა ვლასიკმა დედამისს უთხრა, რომ დაჭერის მომენტში მამამისმა ვლასიკმა მას ჩურჩულით უთხრა: „ამხანაგ სტალინის დღეები დათვლილია. სიცოცხლე ცოტაღა დარჩა. მას ჩამოაშორეს ყველა მისი ერთგული ადამიანი".

ხ. ნიკოლაევი
1952 წლის 18 დეკემბერი

ნაწილი 7
ბერიაზე ნადირობა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

სპეცშეტყობინება

ლ.პ. ბერიას სსრკ შინსახკომის სახალხო კომისრის მოადგილედ და სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის გამო.

მუსავატურ კონტრდაზვერვაში (ბაქოში ინგლისის დაზვერვის ფილიალი) მუშაობის საკითხისათვის.

საიდუმლო ჩხრეკის დროს ბერიას სამუშაო კაბინეტში, მის სეიფში აღმოჩნდა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სამსახურს მუსავატურ კონტრდაზვერვაში. ამ დოკუმენტში ნათქვამია:

„ლ.პ. ბერია ჩაირიცხოს გარე თვალთვალის აგენტად, თვიური გაწაკვეთით 800 მანეთი". საქაღალდეზე, რომელშიც იდო დოკუმენტი, ბერიას ხელით წარწერილია: „გადმომცა ამხ. ბაგიროვმა 1.XI.1939 წ."

ა. ჯულა

ცნობა

სტალინისთვის ამ სპეცშეტყობინების მოხსენების დროს მან თქვა: „ჩვენთვის ეს ცნობილია. მაგრამ ორჯონიკიძე და მიქოიანი ირწმუნებიან, რომ ბერია მუსავატურ კონტრდაზვერვაში ბოლშევიკების იატაკქვეშა ორგანიზაციის დავალებით მუშაობდა. წერილობით იგივე დაადასტურეს პარტიული კონტროლის კომისიაში გაგზავნილ განცხადებებში"

ა. ჯულა

ცნობა

ლავრენტი ბერია უზარმაზარი ორგანიზატორული თვისებებით იყო დაჯილდოებული

სტალინის მიერ ბერიას გამორჩევა და მისი კარიერისტული ზრდა კანონზომიერი და დამსახურებულია. 1938 წლის ზაფხულში ბერია გადაიყვანეს მოსკოვში, ხოლო 1938 წლის დეკემბერში დაინიშნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. 1939 წლიდან პოლიტბიუროს

წევრობის კანდიდატი ხდება, 1946 წლიდან — პოლიტბიუროს წევრია. ლ.პ. ბერია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო 1939 წლის დეკემბრიდან 1945 წლამდე, შემდეგ,1953 წელს — სულ 3 თვის განმავლობაში. ომის შემდეგ იგი დაკავებული იყო თავდაცვითი მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს განვითარებით, კერძოდ, 1944 წლიდან კურირებდა ატომური და წყალბადის ბომბების შექმნის საქმეს და დიდ წარმატებასაც მიაღწია.

ბერიას მეორე თვისება იყო პანიკური, პირდაპირ ცხოველური შიში სტალინისადმი. ნიკოლაევი ირწმუნებოდა, რომ ზოგჯერ საკმარისი იყო სტალინის მკაცრი შეხედვა ან აშკარად გამოხატული უკმაყოფილება, რომ ბერიას თავზარი დასცემოდა.

1950 წელს ბერია სტალინთან მიღებაზე ახალ, ძვირფას კოსტიუმში გამოწყობილი გამოცხადდა, რაც ძალიან კონტრასტული გამოჩნდა სტალინის მოკრძალებული ჩაცმულობის ფონზე. ცნობილია, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ მის გარდერობში აღმოჩნდა მხოლოდ ორი კოსტიუმი, მათგან ერთი ქერელის ტილოსი იყო. არც პოლიტბიუროს წევრებში იყო მიღებული ახალი ტანსაცმლით გამორჩევა. სტალინმა ყურადღებით შეათვალიერა ბერია და უთხრა: „კარგად ცხოვრობთ, ამხანაგო ბერია". ბერიას მკვდრის ფერი დაედო, შემდეგ მიღებაზე ბერია აშკარად ძველ და იაფფასიან კოსტიუმში გამოცხადდა.

მაგრამ ბერიას ამგვარ იდეალურ ბიოგრაფიას ერთი ნაკლი ჰქონდა — 1919-1920 წლებში მუშაობდა მუსავატურ კონტრდაზვერვაში, რომელიც ინგლისელების მიერ ბაქოს ნავთობსარეწების კონტროლისთვის იყო განკუთვნილი.

ვ. უხრაი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ცნობა

სსრკ შინსახკომის სახალხო კომისრად ბერიას მოსალოდნელი დანიშვნის შესახებ.

თურქების მიერ ბაქოს ოკუპაციის დროს ბერია ამ ქალაქში ცხოვრობდა, „კასპიის ამხანაგობის" ქარხანაში კანტორის მოსამსახურედ მუშაობდა. ბერიას უბიძგებდნენ და ხელმძღვანელ პოსტებზე აწინაურებდნენ მიქოიანი და ორჯონიკიძე.

ა. კულა

ჯულა აღიარებდა ბერიას ორგანიზატორულ ნიჭს, მაგრამ მისი არ სჯეროდა. ის ფაქტი, რომ იგი მუსავატურ კონტრდაზვერვაში მუშაობდა, სტრატეგიულ კონტრდაზვერვას აღუძრავდა ეჭვს, რომ ბრიტანეთის სპეცსამსახურები ხელიდან არ გაუშვებდნენ შესაძლებლობას, მაკომპრომეტირებელი მასალების გამოყენებით თავიანთი კონტროლისთვის დაექვემდებარებინათ სტალინის გარემოცვის ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურა.

მარკოვი ირწმუნებოდა, რომ ლავროვსა და ჯულას აგენტურული არხებით მიღებული ჰქონდათ ინფორმაცია, სამწუხაროდ, დოკუმენტურად დაუდასტურებელი, ბრიტანეთის დაზვერვის მიერ ბერიას გადაბირებისა და შემდეგ ხანგრძლივი ვადით გაყუჩების შესახებ. კონტრდაზვერვის პროფესიულ ჟარგონზე ასეთი კატეგორიის აგენტებს „კონსერვებს“ უწოდებდნენ. დავალება ერთადერთი იყო: საჭირო მომენტში მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება, არა მაინცდამაინც შეიარაღებული, რათა ძალაუფლება ხელთ ეგდოთ იმ ძალებს, რომლებიც ემორჩილებოდნენ დასავლეთის სახელმწიფოებს და შეეძლოთ ქვეყანა განვითარების სოციალისტური გზისთვის აეცდინათ.

სტალინს არ უნდოდა დაშორებოდა ბერიას, რადგან დიდად აფასებდა მის უნიკალურ ორგანიზატორულ შესაძლებლობებს, მეცნიერებთან მუშაობის უნარს, უწინარეს ყოვლისა, ატომური ბომბის შესაქმნელად მათ ორგანიზებას. ლავროვმა და ჯულამ გააკეთეს ყველაფერი, რაც მათზე იყო დამოკიდებული, რათა აეცილებინათ ბერიას მტრული საქმიანობის ნეგატიური შედეგები. 1946 წელს სტალინის განკარგულებით ბერია ჩამოაცილეს ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელობას. მაგრამ, რადგან მრავალრიცხოვანი აგენტურულ-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ვერ აღმოაჩინეს მისი მტრული საქმიანობის უეჭველი დადასტურება, იგი კვლავ რჩებოდა მაღალ პარტიულ და სახელმწიფო პოსტებზე, სათავეში ედგა სამუშაოებს, რომლებიც დაკავშირებული იყო სახელმწიფოს უდიდეს საიდუმლოებებთან.

1946 წლიდან სტრატეგიულ კონტრდაზვერვას ბერია აქტიურ დამუშავებაში ჰყავდა. მარკოვი ჰყვებოდა, რომ ბერიას ყოველდღიური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ჯულამ გადაიბირა ბერიას პირადი დაცვის უფროსი სარქისოვი. გადაბირება სტანდარტული სქემით ჩატარდა, როცა ჯულამ, ვითომ საკ. კპ (ბ) ცკ ადმინისტრა-

ციული განყოფილების გამგის მოადგილემ, სარქისოვს პარტიული დავალება მისცა, გადაბირება საბოლოოდ შედგა სარქისოვის ჯულასთან და სტალინთან შეხვედრის შემდეგ.

ამ მომენტიდან ჯულა სისტემატურად იღებდა ინფორმაციას ბერიას შესახებ და შესაძლებლობაც მიეცა, შესულიყო მის სახლში, სადაც ჩაატარეს საიდუმლო ჩხრეკა. საკმაოდ დაწვრილებით იღებდნენ მასალებს ბერიას სექსუალური კონტაქტების შესახებაც — მას ავადმყოფური ჰიპერსექსუალობა ახასიათებდა. ამასთან, მარკოვი ირწმუნებოდა, რომ ბერიას ძალადობით არასოდეს დაუმორჩილებია ქალები, რადგან ბევრნი სიამოვნებით უწვებოდნენ მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკს.

სტალინის კონტრდაზვერვას ძალიან აწუხებდა ის გარემოება, რომ ბერია თავის ხალხს აწინაურებდა სახელმწიფო აპარატის მნიშვნელოვან და პასუხსაგებ თანამდებობებზე, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ჩათვლით, რადგან სსრკ შინსახკომს სათავეში ედგა ბერიას ახლო მეგობარი ვ.ნ. მერკულოვი, რომელიც 30-იანი წლების დასაწყისიდან ბერიასთან მუშაობდა ამიერკავკასიაში, შემდეგ კი მოსკოვში — ხელმძღვანელ თანამდებობებზე სსრკ შინსახკომში, რომელსაც ბერია ხელმძღვანელობდა. 1943 წლის აპრილიდან სათავეში ჩაუდგა სსრკ შინსახკომს, რომელიც ცალკე სამინისტროდ გამოჰყვეს.

1946 წელს სტალინმა გაათავისუფლა მერკულოვი დაკავებული თანამდებობიდან.

1951-1952 წლებში „მეგრელთა საქმის" გამო დააპატიმრეს საქართველოს სსრ ხელმძღვანელები, რომელთა უმრავლესობა თავიანთ პოსტებზე ბერიას მიერ იყო რეკომენდებული.

კავკასიაში დასასვენებლად მყოფმა სტალინმა მოისურვა მანქანით წასულიყო თბილისის რაიონში (ასეა ორიგინალში. — მთარგმნ.), მიუხედავად დაცვის წინააღმდეგობისა, რომელსაც მთავორიან ადგილებში მგზავრობა უსაფრთხოდ არ მიაჩნდა. მთის ფერდობებზე შეფენილი საქართველოს პარტიული და საბჭოთა ელიტის მდიდრული აგარაკები რომ იხილა, სტალინმა ჯულას უთხრა: „სამას წელს ებრძოდა ქართველი ხალხი ფეოდალებს. უნდა ამოიძირკვოს ნარჩ".

სტალინი ჯულას და სსრკ სახელმწიფო უშიშროების ახალ მინისტრს აძლევს მითითებას: „ეძებეთ დიდი მეგრელი" („დიდ მეგრელში" სტალინი ბერიას გულისხმობდა). ნიკოლაევმა გაიხსენა წინადადება, რომელიც ბერიას მერკულოვთან საუბარში წამოსცდა, რომელიც შე-

იტყო კონტრდაზვერვამ, მისი მეშვეობით კი — სტალინმა: „ფრთხილად იყავი. სტალინის ბიჭების ხელში თუ ჩავვარდით, მკვდრების შეგვშურდება. ჩინგიზ ყაენის მაგალითისამებრ ცოცხლად გაგვატყავებენ“.

ჯულას მიაჩნდა, რომ მერკულოვი ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას ბერიას საქმიანობაზე და 1952 წლის მარტში მიმართა სტალინს წინადადებით, მერკულოვი აქტიურად დაეკითხათ, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ საკუთარი ინიციატივით, იგი დააკავებს მერკულოვს და დაჰკითხავს. ჯულას ყურადღებას მიიპყრობს ბერიას თხოვნა მერკულოვისა და გოგლიძისადმი, სტალინის პირად დაცვაში ეპოვათ ჩეკისტები, რომლებსაც სურვილი ექნებოდათ, ბებერი, ავადმყოფი პატრონი ახლით შეეცვალათ.

ჯულას წინადადებას ბერიას დაპატიმრების შესახებ სტალინმა უარით უპასუხა, რადგან ამას წყალბადის ბომბის შესაქმნელად მიმდინარე სამუშაოები შეიძლებოდა დაემუხრუჭებინა. ამ სამუშაოებს ბერია კურირებდა.

ვ. ყუხრაი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ბერიას პირად არქივში აღმოჩნდა სსრკ შინსახკომის თანამშრომლების ი. კედროვის და ვ. გოლუბევის განცხადების დედანი, რომელიც ბერიამ შინსახკომის არქივიდან გაიტაცა. კედროვი და გოლუბევი დაუფარავად გამოთქვამენ უნდობლობას ბერიას მიმართ, ბრალს სდებენ მას სსრკ შინსახკომის ცენტრალურ აპარატში თანამონაწილეთა განლაგება-განაწილებაში, მიუთითებენ, რომ „მოხუც კედროვს (კედროვის მამას) აქვს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ აზერბაიჯანის ჩეკა, რომლის სათავეში 1921 წელს იდგნენ ბაგიროვი და ბერია, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოზიციებისა და ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკისკენ იხრებოდნენ“

ა. ჯულა

ცნობა

1945 წლის 26 დეკემბერს პოლიტბიუროს სხდომას ესწრებოდნენ პოლიტბიუროს წევრები: ვოროშილოვი, ჟდანოვი, კოსიგინი, კალი-

ნინი, მიქოიანი, მოლოტოვი, სტალინი, ხრუშჩოვი.

პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები: ბერია, ვოზნესენსკი, მალენკოვი, შვერნიკი.

სარევიზიო კომისიის წევრი: შატალინი.

პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობიდან ბერიას გათავისუფლების და ამ თანამდებობაზე ს.ნ. კრუგლოვის დანიშვნის შესახებ.

საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისრის თანამდებობიდან გათავისუფლებულია შახურინი.

პოლიტბიუროს სხდომები ორ კვირაში ერთხელ, საღამოობით, 8-9 საათზე იმართება.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

აბაკუმოვი ირწმუნება, რომ მისთვის ცნობილია სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრის და საბჭოთა კონტროლის მინისტრის ვსევოლოდ მერკულოვის, ბერიას ერთ-ერთი უახლოესი ადამიანის საეჭვო კავშირები.

გთხოვთ სანქციას მერკულოვის ფარულ, აქტიურ დაკითხვაზე.

ა. ჯულა
1948 წლის 23 დეკემბერი

ცნობა

მერკულოვის აქტიური, ფარული დაკითხვისთვის სანქციის მიცემაზე ამხ. სტალინმა უარი თქვა.

ა. ჯულა

სრულიად საიდუმლოდ

სსრკ სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის, საკ. კპ (ბ) ცკ წევრის, გენერალ-პოლკოვნიკ მსევოლოდ მერკულოვის საიდუმლო დაკითხვის ჩანაწერი

ჯ უ ლ ა: დაბრძანდით, გენერალო, სერიოზული საუბარი გვექნება. დავიწყოთ იმით, რომ მე ვმოქმედებ ამხანაგ სტალინის ბრძანებით *(სტალინის ასეთი ბრძანება ჯულას არ ჰქონია. მოქმედებდა პირადი*

ინიციატივით. — შემდგენ.). აი, ჩემი მანდატი, გაეცანით.

მერკულოვი: დოკუმენტი საჭირო არ არის. ისედაც ვხედავ, ვისთან მაქვს საქმე.

ჯუღა: *(კითხულობს)* „სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული განსაკუთრებული რწმუნებული სტრატეგიული კონტრდაზვერვის საქმეებში გენერალ-ლეიტენანტი ჯუღა ასრულებს განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და საიდუმლოების სპეციალურ დავალებას. ყველა პარტიულმა, საბჭოთა და სამხედრო ხელმძღვანელმა, სსრკ შსს და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების წარმომადგენლებმა აღმოუჩინონ მას ყოველმხრივი დახმარება და უცილობლად შეასრულონ მისი ყველა მითითება. სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი.ბ. სტალინი“.

მერკულოვი: ჩემგან რა არის საჭირო?

ჯუღა: ძალიან ცოტა რამ, გენერალო. დაწვრილებით უნდა მომიყვეთ თქვენი პატრონის ლავრენტი ბერიას განზრახვათა და უახლოესი გეგმების შესახებ. ეს უნდა გააკეთოთ უკიდურესად ალალმართლად და გულახდილად. და მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ, თუ თქვენ ითვალთმაქცებთ, ან, რაც უარესია, უარს იტყვით ჩემს წინადადებაზე, მოგვიწევს აქტიურად დაგკითხოთ. რა არის ეს, ჩემი ახსნა არ გჭირდებათ. თქვენთვის, სსრკ საბჭოთა უშიშროების ყოფილი მინისტრისთვის და ბერიას ძველი ძვალთამსხვრეველისთვის, ეს კარგად არის ცნობილი.

მერკულოვი: ნუთუ მაწამებთ?

ჯუღა: მერე როგორ! ასე რომ, დათანხმდით ჩემს წინადადებას. სხვა გამოსავალი არ გაქვთ.

მერკულოვი: რატომ არ მაქვს? არის გამოსავალი — სიკვდილი.

ჯუღა: არ ღირს. თუმცა, თუ ასეთი გამოსავალი ხელს გაძლევთ, სცადეთ. საშობლოს ერთი მოღალატით ნაკლები ეყოლება. მაგრამ მე მტკიცედ გპირდებით, რომ სწრაფად სიკვდილის ნებას არ მოგცემთ. დაკითხვას დაესწრება ფრიად კვალიფიციური ექიმი. მაგრამ თუ ყველაფერს პატიოსნად და ალალმართლად მოყვებით, გარანტიას გაძლევთ, მშვიდობიანად დაბრუნდებით ქალაქში და თქვენი ჩვენების შესახებ ბერია, სანამ თავისუფალი იქნება, ვერასოდეს ვერაფერს გაიგებს.

მერკულოვი: პირობას მომცემთ, გენერალო, რომ თუ სიმართლეს

ვიტყვი ბერიაზე, ამხანაგი სტალინი შემიწყალებს და ბერიასთან ერთად მეც არ გამაქრობენ?

ჯუღა: კომუნისტის სიტყვას გაძლევთ. მე თქვენს ჩვენებას არც ჩავიწერ.

მერკულოვი: ბოლო დროს ბერია ძალიან ნერვიულობს. არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ „მეგრელთა საქმე“, რომლის გამოც დაპატიმრებულია საქართველოს სსრ მთელი ხელმძღვანელობა, რომლის უმრავლესობა თავიანთ პოსტებზე ბერიას მიერ არის რეკომენდებული, ტყუილუბრალოდ არ არის ჩაფიქრებული.

ბერია დარწმუნებულია, რომ ამხ. სტალინს განზრახული აქვს, მხოლოდ მისთვის ცნობილი მოსაზრებების გამო, მოსპოს იგი, ბერია და მასთან ახლოს მყოფი ადამიანები. შემთხვევით ხომ არ უთქვამს ამხ. სტალინს სსრკ უშიშროების ახალი მინისტრისთვის იგნატიევისთვის: „ეძებეთ დიდი მეგრელი“. აშკარად გულისხმობდა ბერიას.

მაგრამ ბერია ამბობს, რომ იგი ბატკანი არ არის და უდრტვინელად არ დაუცდის, სანამ დაკლავენ.

ჯუღა: რის გაკეთებას აპირებს?

მერკულოვი: ამაზე არ ლაპარაკობს. მაგრამ მე და გოგლიძეს გვთხოვა, მოვძებნოთ, ხომ არ აღმოჩნდება ამხ. სტალინის პირადი დაცვის ჩეკისტებს შორის ისეთები, ვისაც ვიცნობთ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ერთად მუშაობით, ვინც ხედავს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ამხ. სტალინი თავისი ცხოვრების დასასრულს უახლოვდება და მოისურვებენ ახალი უფროსის პოვნას.

ჯუღა: იპოვეთ ასეთი ადამიანები ამხ. სტალინის დაცვაში?

მერკულოვი: ვფიქრობ, რომ — არა. თვითონ ბერიასაც, მგონი, ეეჭვება, რომ ასეთ ადამიანებს იპოვის. ასეთი თხოვნით რომ მოგვმართა, ბერიამ შავი იუმორით შემოგვთავაზა სადღეგრძელო: „დავლიოთ ჩვენი უიმედო საქმის სადღეგრძელო“. საერთოდ კი, ბერია წრიალებს და მეჩვენება, არ იცის, რა გააკეთოს. სულ იმეორებს: ოღონდ იქამდე მიგვაღწევინა, როცა ამხ. სტალინი ბუნებრივი გზით წავა ამ ცხოვრებიდან, და მაშინ ვაჩვენებთ, ვინცა ვართ. საერთოდ კი, ბერია თავისი კონკრეტული გეგმების შესახებ ჩვენთან გულახდილად არ საუბრობს.

ჯუღა: ვის გულისხმობს ბერია სიტყვაში „ჩვენ“?

მერკულოვი: მე, გოგლიძეს, ორ ძმა ჭობულოვს — ბოგდანს და ამაიაკს, ცანავას, დეკანოზოვსა და მეშიკს, ყველას, ვინც საქართვე-

ლოდან ჩამოიყვანა, როცა 1938 წელს სსრკ შინსახკომის სახალხო კომისრად დანიშნეს.

ჯუღა: აი, ხომ ხედავთ, სწრაფად და კარგად მოვილაპარაკეთ. ახლა თქვენ მოსკოვში წაგიყვანენ. გახსოვდეთ, რომ ჩვენი საუბრის შესახებ არავისთან სიტყვა არ უნდა წამოგცდეთ. თუ ამ აკრძალვას დაარღვევთ, თქვენ გვამი ხართ.

დედანთან სწორია: ***ა. ლავროვი***

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მეგრელთა შეთქმულების შესახებ საქართველოში.

პარიზში ქართული ემიგრაციის წრეებში დაჟინებით ვრცელდება ჭორი, რომ ბერია ესწრაფვის დაიკავოს პირველი ადგილი სსრკ ხელმძღანელობაში. იგი უკან არ დაიხევს ამხ. სტალინის და საბჭოთა მთავრობის, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, განადგურების წინაშე.

ა. ლავროვი
1951 წლის 12 ივნისი

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *ამხანაგო ჯუღა! ეძებეთ დიდი მეგრელი. ანალოგიური დავალება მიიღო იგნატიევმაც.*

ცნობა: *დიდ მეგრელში ამხ. სტალინი ბერიას გულისხმობდა.*

ა. ჯუღა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ჩარკვიანი და მგელაძე *(ასეა დედანში. — მთარგმნ.)* ბერიას მფარველობით სარგებლობენ და საქართველოში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პოლიტიკას ახორციელებენ.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე მყოფი მგელაძე ეწინააღმდეგება რუსების მუშაობას პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, მითითებებს აძლევს მილიციას, არ ჩაწერონ რუსები, რუსულ სახელებს უცვლის დასახლებულ პუნქტებს. სოხუმში რუსული თეატრი გააუქმა.

ბერიას კადრები საქართველოში:

საქართველოს კპ ცკ მდივანი შადური — ყოფილი დიდი მენშევიკის, საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის შვილი;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ყოფილი ფედერალისტი ეგნატაშვილი, რომელიც უწინ აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ;

სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ელისავეტიშვილი *(ასეა დედანში, ელისაბედაშვილის ნაცვლად. — მთარგმნ.)*, მენშევიკების ყოფილი კომისარი სხვადასხვა რაიონში;

საქართველოს კპ ცკ წევრი ზაქარია ნიკოლოზის ძე კეცხოველი, ანტისაბჭოთა ნაციონალ-დემოკრატების პარტიის ყოფილი წევრი, 1923 წელს საგანგებო კომისიის ორგანოების მიერ დაპატიმრებული იყო ანტისაბჭოთა მუშაობისთვის. 1938 წელს ბერიამ რეკომენდაცია მისცა პარტიაში შესასვლელად, შემდეგ მანვე წამოაყენა საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.

ბერიას ერთ-ერთი ახლობელი, ვინმე შარია სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს დაპატიმრებული ჰყავდათ როგორც მეგრელი ნაციონალისტი.

როცა კეცხოველის მოხსნის საკითხი დადგა, ბერიამ ჩააგდო ეს საქმე.

საქართველოს კპ ცკ მდივანთან — მირცხულავასთან ბერიას საუბრის ჩანაწერი.

ბერია: რა ხდება თქვენთან, რა განხილვებს აწყობთ, ასე ყველა ადამიანს დაამუშავებთ.

მირცხულავა: ვინ გყავთ მხედველობაში, ლავრენტი პავლოვიჩ?

ბერია: გზის უფროსი კიკნაძე და კეცხოველი.

მირცხულავა: კომუნისტები მათ სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ.

ბერია: ეს სწორი არ არის: მე მათ ვიცნობ. გამომიგზავნეთ მასალები. ამ ადამიანებს ჩვენ ვიცნობთ, თქვენ კი მხოლოდ ახლა შეუდექით მუშაობას.

მირცხულავა: ჩვენ ერთხელ კიდევ შევამოწმებთ ამ მასალას. მაგრამ უნდა გაცნობოთ, რომ კიკნაძე ყოფილი მენშევიკია.

ბერია: იგი კარგი მეურნეა.

მირცხულავა: მეურნე კარგია, მაგრამ პარტიულობა არ გააჩნია.

ბერია: იგი არასოდეს გახდება პარტიული კაცი, მაგრამ მეურნე კარგია. ნახეთ, მისი საკითხის განხილვა საჭირო არ არის, თორემ ყველა დიდი გზა ჩაგენგრევათ.

მირცხულავა: კარგი, ლავრენტი პავლოვიჩ, ჩვენ კიდევ ერთხელ ვნახავთ. ნახვამდის.

დედანთან სწორია: **ა. ჯული**

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეგყობინება

ბერია შეგნებულად ანაგვიანებს საქართველოს ხელმძღვანელ ორგანიზაციებს (პარტიულს და საბჭოთა) უცხო ელემენტებით. აშკარად მიმდინარეობს მზადება საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოსაყოფად. ქართველი ნაციონალისტების დასავლეთისკენ სწრაფვა განპირობებულია მათი გაუმაძღარი მისწრაფებით მომხვეჭელობისაკენ. მათ მოიპარეს ფულის გარკვეული რაოდენობა, მაგრამ მის ისე დატრიალებას, როგორც სურთ, სოციალისტური წყობილების პირობებში ვერ ახერხებენ, ვერ ახერხებენ ნაქურდალი ფულის ისე ხარჯვასაც კი, როგორც სურთ. აქედან ჩნდება მისწრაფება საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფისკენ, მისი დაახლოებისკენ კაპიტალისტურ დასავლეთთან.

საქართველოში უხეშად ირღვევა საკოლმეურნეო ცხოვრების წესდება, ბევრ კოლმეურნეობაში კოლმეურნეები თითქმის არაფერს იღებენ, ყველაფერს ადგილობრივი უფროსები ართმევენ. მშრომელები ითხოვენ ამ საქმის მიხედვას და მათ დაცვას თვითნებობისგან, ქურდებისა და მექრთამეებისგან. ბევრ კოლმეურნესა და მუშას საქართველოში არასწორად და უსაფუძვლოდ მხოლოდ იმის გამო აპატიმრებენ, რომ მათ არ სურთ შეურიგდნენ გადაგვარებულთა თავგასულობას. მე რამდენჯერმე დავაყენე თქვენს წინაშე საკითხი ბერიას დაპატიმრებისა და აქტიური დაკითხვის შესახებ, მაგრამ დღემდე თქვენი სანქცია არ მიმიღია. კიდევ ერთხელ ვაყენებ საკითხს ბერიას დაპატიმრების შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ თავის ნებაზე მიშვებული, იგი ფრიად საშიშია, როგორც პოტენციური შეთქმული.

ა. ჯული

ცნობა

ამხ. სტალინის რეზოლუცია: ბერიას დაპატიმრება, რადგან იგი წარმატებით მუშაობს წყალბადის ბომბის შექმნაზე, ჯერ ნაადრევია, განაგრძეთ მისი დამუშავება, თვალი არ მოაცილოთ. რაც შეეხება სხვა პირებს, ვინც თქვენს შეტყობინებაშია ნახსენები, გულდასმით შემოწმების შემდეგ მათი დაპატიმრებისა და დაკითხვის ნებას გრთავთ. თავის დროზე საქართველოდან განიდევნა 1 400 ადამიანი — კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაციის წევრები და კარგა ხნის განმავლობაში არავითარი ანტისაბჭოთა გამოვლინება საქართველოში არ ყოფილა. ბოსტანი დროზე უნდა გაიმარგლოს. საქართველოში ახალი წმენდის ჩატარების ნებას გრთავთ.

ა. ჯუღა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1951 წლის ნოემბერში დაიწყო დაპატიმრებები „მეგრელთა საქმის" გამო. საქართველოს ხელმძღვანელ მუშაკთაგან უკვე დაპატიმრებულია 400 კაცი.

ა. ჯუღა

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1951 წლის 11 ნოემბერს დაპატიმრებულია ბერიას კაცი, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი რაფავა, მეგრელთა შეთქმულების აქტიური მონაწილე. მის საქმეზე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი რუხაძე.

ა. ჯუღა
1951 წლის 12 ნოემბერი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

ბერიას ყოფილმა საყვარელმა, სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირველი მთავარი სამმართველოს თანამშრომელმა ვარ-

დო მაქსიმალიშვილმა, რომელიც პარიზში იყო მივლინებული ქართული ემიგრაციის გასაშუქებლად, უღალატა სამშობლოს. არის მეგრელთა იმ შეთქმულების აქტიური მონაწილე, რომელსაც უნდა მოემზადებინა სსრკ-დან საქართველოს გამოყოფა და ამ ტერიტორიაზე ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნა.

ა. ლავროვი, ა. ჯული

ამხ. სტალინის რეზოლუცია: *გამოიძახეთ და დააპატიმრეთ.*

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

როცა აბაკუმოვმა ბერიას შეატყობინა მაქსიმალიშვილის დაპატიმრება, მან ჩაისვარა (პოლკოვნიკ სარჭისოვის აგენტურული პატაკიდან). ამხ. სტალინის მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, აბაკუმოვი აგრძელებს ბერიას ინფორმირებას სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საქმიანობის შესახებ.

ა. ჯული

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

1952 წლის 11 ივლისს, როგორც თურქეთის დაზვერვის აგენტი, დაპატიმრებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი რუხაძე. გვაქვს ცნობები, რომ იგი მონაწილეობდა ამხ. სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადებაში. მიმდინარეობს მისი აქტიური დაკითხვა.

ა. ჯული
1952 წლის 13 ივლისი

სრულიად საიდუმლოდ

მემორანდუმი

ლ.პ. ბერიას საქმე-ფორმულარის შესახებ

ფიგურანტის მეტსახელი: „სექსუალური მანიაკი კალოშებში“ *(საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრთაგან კალოშებს იცვამდა მხოლოდ ბერია, რომელსაც პანიკურად ეშინოდა გაცივების. — **ვ. ჟუხრაი**)* შეფერილობა: „შპ“ („შპიონაჟი“ — ჯაშუშობა).

ბერია ლავრენტი პავლეს ძე, დაბადებული 1899 წელს, ვითომ აფხაზე-

თის ასსრ, სოხუმის რაიონის სოფელ მერხეულის მკვიდრი (გამორიცხული არ არის, რომ ეს არის ლეგენდა და ბერია ის პირი არ არის, ვისადაც თავს ასაღებს). დაამთავრა ტექნიკური სასწავლებელი და ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორი კურსი.

1919 წელს თითქოს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში და იატაკქვეშ მუშაობდა.

1921 წელს აზერბაიჯანის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ბაგიროვის შემწეობით დაინიშნა აზერბაიჯანის საგანგებო კომისიის საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების გამგედ და თავმჯდომარის მოადგილედ.

1923 წლიდან 1931 წლის ჩათვლით საქართველოს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარეა.

1931-დან 1938 წლამდე საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი და საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივანია.

1938 წლის აგვისტოში დაინიშნა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ და სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსად, იმავე წლის ნოემბერში დაინიშნა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად.

ამჟამად საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრი, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ატომური მრეწველობის კომიტეტის თავმჯდომარეა.

არის სოციალისტური შრომის გმირი, დაჯილდოებულია ლენინის ოთხი ორდენით, წითელი დროშის ორი ორდენით, სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით.

1945 წლის ივლისში სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბერიას მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდება.

ბერიაზე საქმე-ფორმულარის გახსნის საფუძველი გახდა ეჭვი, რომ იგი ინგლისის აგენტია, შემდეგ თითქოს გადაიბირა ნიუ-იორკის ანტისაბჭოთა ცენტრმა თავისი ემისრის მეშვეობით, და როგორც აგენტი ჩაინერგა იმ მიზნით, რომ, როცა დროთა განმავლობაში პარტიასა და სახელმწიფოში უმაღლეს პოსტს მიაღწევდა, მოეწყო სახელმწიფო სამხედრო-ფაშისტური გადატრიალება, საბჭოთა კავშირში აღედგინა კაპიტალიზმი, მიეღწია მისი დაშლისთვის და გადაექცია

იგი მეორეხარისხოვან ქვეყნად, განვითარებული კაპიტალისტური დასავლეთის დანამატად.

ამხანაგ სტალინის განკარგულებით, 1946 წელს ბერია გათავისუფლდა ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელობისგან და ამ დროიდან მოყოლებული, ბელადის პირადი სტრატეგიული კონტრდაზვერვის მიერ აქტიურად შეისწავლება. მაგრამ, რადგან მრავალრიცხოვანი აგენტურულ-ოპერატიული ღონისძიებების დროს მისი მტრული საქმიანობის დამადასტურებელი სერიოზული და სარწმუნო ფაქტები არ გამოვლინდა, კვლავ რჩება მაღალ პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე და ხელმძღვანელობს სამუშაოებს, რომლებიც სახელმწიფოს ყველაზე დიდ საიდუმლოებებთანაა დაკავშირებული

უცხოეთის დაზვერვებებისთვის სსრკ საიდუმლოებათა გაცემა ბერიას მხრიდან არ დადასტურებულა.

ბერიას და მისი უახლოესი გარემოცვის აგენტურულ-ოპერატიული დამუშავების დროს დადგინდა მთელი რიგი მისი კავშირები, რაც უეჭველ ოპერატიულ ინტერესს წარმოადგენს.

ასე, ბერიას სახლს მოსკოვში, კაჩალოვის ქუჩაზე რამდენჯერმე ესტუმრა მოსკოვში ამერიკის სამხედრო ატაშეს თანაშემწის — აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლის ცოლი.

სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დაცვის სამმართველოსგან ბერიაზე მისი პირადი დაცვის უფროსად მიმაგრებულმა პოლკოვნიკმა სარქისოვმა, რომელიც ამხანაგ სტალინის პირადი ბრძანებით ახორციელებს ბერიაზე ყოველდღიურ თვალთვალს, მოგვახსენა, რომ მან არ იცოდა, თუ ეს ქალი ამერიკელი დიპლომატის ცოლი იყო და მას ინტიმური მიზნებისთვის, როგორც ჩვეულებრივ მეძავს იყენებდა.

სარქისოვმა ეს ქალი გაიცნო მოსკოვის სტოლეშნიკოვის შესახვევში და პირადად მიიყვანა ბერიას სახლში.

პოლკოვნიკ სარქისოვის პატაკიდან: „ბერიას ასობით ქალი ჰყავს. ყველა მოსახვევში, ყველა ქუჩაზე. ბერია სპეციალურად დადის მანქანით მოსკოვის ქუჩებში, განსაკუთრებით, გორკის ქუჩასა და სტოლეშნიკოვის შესახვევში. ეძებს ლამაზი გარეგნობის ქალებს, მე და დაცვის სხვა თანამშრომლებს გვაიძულებს, გავიგოთ ამ ქალების გვარები და მისამართები, შემდეგ გაეცნობა მათ, მიჰყავს თავისთან სახ-

ლში და ცხოვრობს მათთან.

დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა არასრულწლოვან, მეშვიდეკლასელ გოგოსთან, რომელმაც მისგან გააჩინა ბავშვი და ამჟამად დედამისთან ერთად ერთ-ერთ სახელმწიფო აგარაკზე ცხოვრობს.

სხვა ბავშვებს, რომლებიც ქალებთან მრავალრიცხოვანი კავშირების შემდეგ იბადებიან, ბერია ბავშვთა სახლებში გზავნის".

1943 წელს კავკასიაში სამსახურებრივ მივლინებაში რომ იმყოფებოდა, ბერიას შემთხვევითი სქესობრივი კავშირები ჰქონდა მეძავებთან, რის შედეგადაც ათაშანგით დაავადდა.

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ბერიას ცოლის კავშირებიც, რომლებიც მას დამყარებული აქვს პარიზში ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებთან.

ბერიას ცოლს, წარმოშობით ქართველი თავადის ქალს ნინა თეიმურაზის ასულ გეგეჭკორს, მიმოწერა აქვს ბიძამისთან, თავად ევგენი გეგეჭკორთან, პარიზში თეთრგვარდიული ემიგრაციის ერთ-ერთ ლიდერთან, წარსულში აქტიურ მენშევიკთან, რომელიც ამერიკისა და ინგლისის აგენტია.

პარიზიდან ბერიას ცოლისთვის გამოგზავნილ წერილში ე. გეგეჭკორი სწერდა: „დროდადრო, ბევრი რამის მიუხედავად, რაც ერთმანეთისგან გვყოფს, შენი ბებერი ბიძისადმი ყურადღებას მაინც იჩენ"

ბერიას ცოლის წერილები გეგეჭკორისადმი პარიზში არ აღმოჩნდა. შესაძლებელია, რომ ადრესატი მათ წაკითხვისთანავე ანადგურებდა.

ომამდე ეს მიმოწერა ხორციელდებოდა ნინა გეგეჭკორის ერთ-ერთი ნათესავის დახმარებით, რომელიც 1938 წელს ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის შემდეგ პარიზიდან რომ დაბრუნდა და უკვე ეჭვებოდათ, რომ მას უცხოეთის ერთ-ერთ დაზვერვასთან ჰქონდა კავშირი დამყარებული, მოკლა ბერიას ერთმა უახლოესმა ხელქვეითმა, სახელმწიფო უშიშროების კომისარმა სერგო გოგლიძემ.

ზემოთ დასახელებული ფაქტების გარდა, კრემლში ბერიას კაბინეტში ჩატარებული ჩხრეკის დროს სეიფში აღმოჩნდა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ 1919 წელს ქალაქ ბაქოში ბერია ინგლისური დაზვერვის ფილიალში — მუსავატურ კონტრდაზვერვაში მუშაობდა. ამ სამუშაოზე ბერიას ჩარიცხვის ბრძანებაში ნათქვამი იყო:

„ჩაირიცხოს ლ.პ. ბერია გარე თვალთვალის აგენტად, 800 მანეთი

ხელფასით". საქაღალდეზე, რომელშიც ეს დოკუმენტი ინახებოდა, ბერიას ხელით მიწერილი იყო: „გადმომცა ამხ. ბაგიროვმა 1.XI.1939 წ." ამ დოკუმენტის ასლი მოხსენდა ამხანაგ სტალინს, რომელმაც თქვა, რომ ბერიას ბიოგრაფიის ეს ფაქტი მისთვის 1937 წლიდან არის ცნობილი და რომ მიქოიანი ირწმუნება, თითქოს ბერია მუსავატურ კონტრდაზვერვაში ბოლშევიკების იატაკქვეშა ორგანიზაციის დავალებით მუშაობდა.

ბერიას დამუშავების პროცესში უცხოურ დაზვერვებთან მისი კავშირი, ისევე, როგორც მათ მიერ მისი გადაბირების ფაქტი, ჯერჯერობით ვერ დადგინდა.

უცხოურ დაზვერვებთან ბერიას შესაძლო კავშირის ფაქტები არაპირდაპირია და მოითხოვს დამატებით შემოწმებას. ბერიას მავნებლური საქმიანობის პირდაპირი ფაქტები ქვეყნის ეკონომიკის და თავდაცვის სფეროში, აგრეთვე, ჯაშუშობის ფაქტები დამუშავების დროს არ დადგინდა.

მაგრამ ბერიას მოღვაწეობის რიგი ფაქტებისა, ასევე არაპირდაპირი, შეიძლება შეფასდეს როგორც მავნებლობა და ჯაშუშობა.

ფაქტი პირველი.

სსრკ მინისტრთა საბჭოს პირველი მთავარი სამმართველოს უფროსმა ზავენიაგინმა ბერიას მოახსენა, რომ ამერიკელები აშენებენ ახალ დიდ ქარხნებს ასაფეთქებელი ატომური ნივთიერებების საწარმოებლად. ამისთვის უზარმაზარ სახსრებს ხარჯავენ და რომ ჩვენც უნდა დავიწყოთ ახალმშენებლობა ამ მიმართულებით, თორემ შეიძლება ჩამოვრჩეთ და მნიშვნელოვნად დავასუსტოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა.

ბერიამ უპასუხა: „ეშმაკსაც წაუღია, თქვენ ბევრ ფულს ხარჯავთ, ჩაეტიეთ ხუთწლედში" და ამხანაგ სტალინის წინაშე არ დააყენა საკითხი ასეთი სამუშაოების დასაფინანსებლად.

ფაქტი მეორე.

საბჭოთა კავშირი ურანის ნედლეულით კარგად არის უზრუნველყოფილი, მაგრამ ამ ნედლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი რატომღაც საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს. როცა ბერიას შესთავაზეს, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, დაგვეწყო ქვეყანაში ურანის საბადოების დამატებითი დაზვერვითი სამუშაოები, მან უპასუხა: „არა, საჭირო არ არის, დავიწყოთ ურანის დაზვერვითი სამუშაოები საბჭოთა

კავშირში. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ურანი იმაზე ნაკლები არ არის, რაც აშშ-ის განკარგულებაშია“

მაგრამ თუ რაიმე მიზეზის გამო დავკარგავთ გდრ-ს? მაშასადამე, უცებ აღმოვჩნდებით ურანის ნედლეულის ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი მოწოდების გარეშე.

ეჭვი ჯაშუშობაზე. ბერია, საკითხების აუცილებელი განხილვის მომიზეზებით უაღრესად დაინტერესებულია რაკეტებით არმიისა და ფლოტის აღჭურვით, აგროვებს სამხედრო ხასიათის მასალებს, რომლებიც დიდი სამხედრო საიდუმლოებისაა და მის სამსახურებრივ საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული არ არის.

ბერიას აინტერესებს შემდეგი საკითხები:

1. რისი დაპირისპირება შეუძლია ჩვენს სამხედრო საზღვაო ძალებს ამერიკული და ინგლისური ფლოტებისათვის;

2. რას წარმოადგენს ჩვენი სამხედრო საზღვაო სანაპირო დაცვა;

3. როგორია ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვა, კერძოდ, საზენიტო არტილერია, მისი ეფექტიანობა;

4. ჩვენი სამხედრო თვითმფრინავების თავისებურებანი: ჭერი, შეიარაღება.

დროზე განხორციელებული ზომების წყალობით, ბერიას ეს ცნობები არ მიუღია.

ამასთან, ბერიას ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და თავდაცვისუნარიანობის განვითარების საქმეში, როგორც დიდი სამამულო ომის დაწყებამდე, ასევე ომის დროს. ომისწინა 1940 წელს სსრკ შინსახკომის სამშენებლო ორგანიზაციებმა ბერიას ხელმძღვანელობით ქვეყნის კაპიტალური მშენებლობის 13 პროცენტი შეასრულეს, ხოლო დიდი სამამულო ომის სამი წლის განმავლობაში, 1941 წლიდან დაწყებული — მეშვიდედი ნაწილი.

განსაკუთრებით დიდია ბერიას როლი მეტალურგიული მრეწველობის განვითარებაში, რამაც გერმანულ ფაშიზმთან ომში განსაკუთრებული როლი ითამაშა.

ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადებში აშენდა:

— საგლინი დგანები საერთო მწარმოებლობით 542 ათასი ტონა ნაგლინი წელიწადში;

— სამი ბრძმედი, რომლებიც წელიწადში 980 ათას ტონა თუჯს გამოადნობდა;

— 16 მარტენის და ელექტროსადნობი ღუმელი, რომლებიც წელიწადში 445 ათას ტონა ფოლადს გამოადნობდა;

— კოქსის ოთხი ბატარეა, წელიწადში 740 ათას ტონა კოქსს ამზადებდა;

— ქვანახშირის მაღაროები, რომლებიც წელიწადში 6 790 ტონა ქვანახშირს მოიპოვებდა;

ჰეშმარიტად ფასდაუდებელია ბერიას წვლილი საავიაციო მრეწველობის განვითარებაში. დიდი სამამულო ომის დაწყებიდან წელიწად-ნახევრის განმავლობაში ბერიას ხელმძღვანელობით აშენდა და ამოქმედდა ქ. კუიბიშევთან საავიაციო ქარხნების ბეზიმიანის კომპლექსი, რომელშიც გაერთიანდა ათი უმსხვილესი ავიაქარხანა, რომელთა პროდუქციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდ სამამულო ომში გამარჯვების მოპოვებაში.

როგორც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრს, ბერიას დიდი დამსახურება აქვს დიდი სამამულო ომის წლებში სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელობის საქმეშიც — გერმანულ-ფაშისტური აგენტურის ლიკვიდაციაში.

ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით სსრკ-ში შეიქმნა ატომური ბომბი, მზადდება წყალბადის ბომბის გამოცდა, რომელიც, სამუშაოთა მსვლელობით თუ ვიმსჯელებთ, ამერიკულზე ადრე შეიქმნება.

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მტერი არა მხოლოდ გვავნებს, მაგრამ იძულებულია, შეინიღბოს და ამ მიზნით სასარგებლო საქმეც გააკეთოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან ადვილი იქნებოდა მისი მხილება.

ამრიგად, ბერია ნიჭიერი ორგანიზატორია.

ამასთან, ხასიათით მშიშარა, ვერაგი და ცინიკურად მატყუარა ადამიანია, შეუძლია იკადროს ნებისმიერი უნამუსობა და სიმდაბლე ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, უპრინციპო კარიერისტია.

აი, მაგალითად, როგორ შეიქმნა ბერიამ „რევოლუციონერის შარავანდედი“

1937 წლის აგვისტოში ბერიას რეკომენდაციით სომხეთის სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა ერთ-ერთი მისი დაახლოებული პირი, გენერალ-მაიორი გრიგორიანი, რომელსაც ბერიამ მისცა პარტიაში შესასვლელი რეკომენდაცია.

გრიგორიანის „რევოლუციურ“ მოღვაწეობას რომ ახასიათებდა, ბე-

რია წერდა: „ამით ვადასტურებ, რომ ამხ. ხორენ გრიგორიანი იმყოფებოდა წითელი გვარდიის რიგებში მუშათა, წითელგვარდიელთა და მეზღვაურთა საბჭოს გუნდში 1918 წლის მარტის მოვლენების დროს ქ. ბაქოში. ამ გუნდს მე ვედექი სათავეში. ბერია“

შემოწმებით დადგინდა, რომ წითელგვარდიელთა ასეთი გუნდი, რომელზეც ბერია წერს, ბაქოში საერთოდ არ არსებობდა, თვით ბერია კი, ისევე, როგორც გრიგორიანი, 1918 წელს ბაქოში მუსავატისტების კონტრრევოლუციური აჯანყების ჩახშობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა.

თავის დროზე ბერიამ ყალბი ცნობა მისცა ადრე აქტიურ, 1905 წლიდან მენშევიკს, ვინმე სუმბათოვ-თოფურიძეს, რომელიც, ბერიას მტკიცებით, თითქოს 1918 წლიდან ბოლშევიკთა ერთ-ერთი ორგანიზაციის წევრი იყო. ამან საშუალება მისცა სუმბათოვ-თოფურიძეს, შესულიყო საკ. კპ (ბ) რიგებში (როგორც ცნობილია, ყოფილ მენშევიკებს პარტიაში არ იღებდნენ) და შემდგომ დაეკავებინა აზერბაიჯანის სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტი. ხოლო როცა ბერია სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა, სუმბათოვ-თოფურიძე სსრკ შინსახკომის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი გახდა.

ბერიას პიროვნების შესწავლის შედეგები ყველა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეჭვები, რომლებიც საფუძვლად დაედო მასზე საქმე-ფორმულარის შედგენას, სამართლიანია.

გენერალ-ლეიტენანტი ა. ჯულა
1952 წლის 11 მარტი

ცნობა

ბერიას დაპატიმრების შესახებ მორიგ წინადადებაზე ჯულამ სტალინისგან კვლავ უარი მიიღო. უარით უკიდურესად განაწყენებულმა ჯულამ, რომელიც მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ სტალინის სიცოცხლეს ბერიას მხრიდან საშიშროება ემუქრებოდა, გადადგა თავზეხელაღებული ნაბიჯი: გადაწყვიტა, სტალინის დაუკითხავად, თვითმკვლელობის ინსცენირებით მოეკლა ბერია.

სარქისოვის მეშვეობით ჯულამ ხელთ იგდო ბერიას კუთვნილი ერთ-ერთი პისტოლეტი და შეხვდა თავის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომლის ფსევდონიმი იყო „ლილიან“ იგი საოცარი სილამაზის და სი-

ტურფის ქალიშვილი იყო. ოცი წლისამ უკვე შესანიშნავად იმუშავა პოლონეთში, იმიერკარპატების უკრაინასა და ლიტვაში, მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო უშიშროების კაპიტნის წოდება და დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორი ორდენით და წითელი ვარსკვლავის ორდენით. ჯული დონ ჟუანი არ იყო, ხმებს ქალებთან კავშირების შესახებ თვითონ ავრცელებდა და გარეშე თვალთაგან ამით ფარავდა მისთვის მართლაც ახლობელ და ძვირფას ადამიანს. ჯულიასა და „ლილიანის" მრავალწლიანი კავშირის შესახებ მხოლოდ ლავროვმა იცოდა.

ჯული ოპერეტის თეატრთან შეხვდა „ლილიანს", გადასცა მას ბერიას პისტოლეტი, რომელიც საქაღალდეში იყო ჩადებული და ბერიას ლიკვიდაციის დავალება მისცა. დაგეგმილი იყო, რომ სტოლეშნიკოვის შესახვევში „ლილიანს" შეხვდებოდა ჯულას აგენტი, ბერიას დაცვის უფროსი სარქისოვი და წაიყვანდა მას ბერიას სახლში. ეს იყო ბერიასთვის ჩვეულებრივი პროცედურა, რომელსაც მისი დაეჭვება არ უნდა გამოეწვია. როცა ბერია „ლილიანს" შეუჩნდებოდა, მას უნდა ესროლა ბერიასთვის საფეთქელში, ჩაედო პისტოლეტი მის მარჯვენა ხელში და წასულიყო სახლიდან. „ლილიანის" უკანდახევას უზრუნველყოფდა სარქისოვი, რადგან ბერიას ინტიმური შეხვედრების დროს დაცვიდან სარქისოვის გარდა არავინ იყო ხოლმე. ჯულას თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად უნდა დაეზღვია „ლილიანი".

20 საათსა და 30 წუთზე „ლილიანმა" დაურეკა ჯულას და უთხრა, რომ სარქისოვი სტოლეშნიკოვის შესახვევში შეხვედრაზე არ მივიდა. როგორც შემდეგ გაირკვა, სარქისოვმა გამოიყენა სტალინის მიერ მიცემული უფლება, განსაკუთრებულ შემთხვევებში დაერეკა მისთვის (ეს უფლება სტალინთან გადაბირების შეხვედრისას მიიღო). მან სტალინს ჯულას ოპერაციის შესახებ მოახსენა. პოსკრებიშევმა დაურეკა ჯულას და გადასცა სტალინის ბრძანება, სასწრაფოდ გამოცხადებულიყო მასთან ახლო აგარაკზე ვოლინსკოეში.

ასეთი განრისხებული და აღშფოთებული სტალინი ჯულას არასოდეს ენახა.

— როგორ გაბედე ჩემი ნებართვის გარეშე, — მრისხანედ ალაპარაკდა სტალინი, — გადაგეწყვიტა ბერიას ლიკვიდაცია, თანაც ასეთი ბანდიტური საშუალებით? ნუთუ მართლა არ გესმის, რომ პოლიტბიუროს წევრების ლიკვიდაცია არ შეიძლება სასამართლოს გარეშე, თანაც მხოლოდ ეჭვების საფუძველზე? შენ და ლავროვს არ გაქვთ არცერთი სარწმუნო ფაქტი, რომელიც ბერიას ღალატს დაადასტურებ-

და. განა დაგავიწყდა, რომ სწორედ ბერიას ხელმძღვანელობით შეიქმნა ატომური ბომბი?

— თქვენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, — შეეპასუხა ჯუღა.

— მნიშვნელობა არა აქვს, — განაგრძობდა სტალინი, — მიუხედავად ამისა, ატომური ბომბის შექმნაში ბერიას წვლილი ძალიან დიდია. თუ ბერია მართლაც არის დამნაშავე, მას გაასამართლებს უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია.

ჯუღამ მოინდომა რაღაცის თქმა, მაგრამ სტალინმა არ მოისურვა მისი თავის მართლებისა და შეპასუხების მოსმენა და დაასკვნა:

— ერთი სიტყვით, გათავისუფლებ სამუშაოდან, თვალით არ დამენახო, მაგრამ მოსკოვიდან არსად წახვიდე.

ვ. ჟუხრაი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

საინფორმაციო შეტყობინება

მერკულოვთან ერთ-ერთი საუბრის დროს ბერიამ კაგანოვიჩზე თქვა: „ლაზარი — ეს ისრაელია“.

ა. ჯუღა
1952 წლის 12 ივნისი

სრულიად საიდუმლოდ

ბრძანება სტრატეგიული კონტრდაზვერვის უფროსს, გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრე მიხეილის ძე ჯუღას

1952 წლის 12 ოქტომბერს თქვენ და თქვენს მოადგილეს გენერალ-ლეიტენანტ იური მიხეილის ძე მარკოვს მოგეცათ სამთვიანი შვებულება, რომლის დასრულების შემდეგ მიიღებთ ახალ დანიშვნას. თქვენ და გენერალ მარკოვს გულწრფელ მადლობას გიხდით თქვენს მიერ განხორციელებული ჭეშმარიტად კოლოსალური სამუშაოს გამო ჩვენი დიადი სამშობლოს დასაცავად.

წინადადებას 213 ადამიანის ლიკვიდაციის შესახებ, რომლებიც შედიან აქტიური შეთქმულების სიაში მალენკოვის, ბერიას, ხრუშჩოვისა და მიქოიანის მეთაურობით, მივიჩნევ ნაადრევად.

სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ი. სტალინი
1952 წლის 12 ოქტომბერი, ქ. მოსკოვი

ნაწილი 8
მაო ძედუნი მოსკოვში. ვიზიტის საიდუმლოებანი

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხ. ივანოვისთვის

ცნობა
მაო ძედუნის მოსკოვში მომავალი ვიზიტის გამო

ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში მდგომარეობის შესახებ

უკეთ რომ გავიგოთ თანამედროვე ჩინეთში მიმდინარე მოვლენები, უწინარეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ამ ქვეყნის განვითარების რიგი ობიექტური და სპეციფიკური თავისებურებანი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ტერიტორიით მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა, უკავია 9 მილიონ 600 ათასი კვადრატული კილომეტრი და აღემატება აშშ-ს 2,5-ჯერ, ინდოეთს — 18-ჯერ, საფრანგეთს — 18-ჯერ და იაპონიას — 25-ჯერ. ქვეყანაში არის ვოლფრამის, ურანის და ტიტანის მდიდარი საბადოები. დიდი ხნის განმავლობაში, 1949 წლის რევოლუციამდე, ეკონომიკურად უკიდურესად ჩამორჩენილი ქვეყანა, ჩინეთი იყო კოლონია, როგორც უწოდებდნენ, „ღია კარის“ ქვეყანა, რის გამოც უცხოელ დამპყრობთა მიერ ეროვნული ჩაგვრა ჩინეთში განსაკუთრებული ბარბაროსული ფორმებით ხორციელდებოდა.

ასე მაგალითად, მანჯურიელები, რომელთაც დაიპყრეს ჩინეთი, სიკვდილის მუქარით აიძულებდნენ ჩინელებს, ეტარებინათ ნაწნავები, ამით წარმოეჩინათ, რომ „ისინი მამაკაცები არ იყვნენ“ ათობით მილიონი ჩინელი მხეცურად დახოცეს (აწამეს). პარკების შესასვლელებში ეკიდა განცხადებები: „ძაღლებისთვის და ჩინელებისთვის შესვლა აკრძალულია“

ჯოჯოხეთური ჩაგვრის პოლიტიკა, ბუნებრივია, აისახა ერზე და გამოიწვია ნაციონალიზმის ზრდა ჩინეთში. ასე მომზადდა ნიადაგი ჩინური ნაციონალიზმისთვის, ყველაფერ უცხოურისადმი და ყველა უცხოელისადმი ხალხში სიძულვილის გრძნობის გასაღვივებლად.

საყოველთაო წერა-კითხვის უცოდინარობის მიუხედავად (1949 წლის

რევოლუციამდე არასრული მონაცემებით 300 მილიონამდე წერა-კითხვის უცოდინარი ითვლებოდა), ჩინელები ბავშვობიდანვე ეუფლებოდნენ ჩინეთის „თავისებურ“ ისტორიას. სახალხო მთქმელები სოფელ-სოფელ დადიოდნენ, მღეროდნენ და კითხულობდნენ ლექსებს ჩინეთის წარსულ დიდებულებაზე, იმ დროზე, როცა ჩინეთი პირველობდა მთელ მსოფლიოში. იმაზე, რომ ეს დრო კვლავ დადგება და მოუწოდებდნენ ყველა უცხოელის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო ყველა თეთრკანიან უცხოელს თეთრ ეშმაკებს უწოდებდნენ.

ამავე დროს ჩინეთში არსებობს ნაციონალიზმის ზრდის ობიექტური საფუძველი.

ჩინეთის გლეხური, წვრილბურჟუაზიული ხასიათი. სამრეწველო წარმოების არქონის გამო ჩინეთში 650 მილიონი ჩინელიდან მხოლოდ 12-14 მილიონი პროლეტარია, ისინიც — არანამდვილი. ესაა შავი მუშები, რომელთაც ჩინეთში უწოდებენ „კულის“.

თავის დროზე ვლადიმირ ილიჩ ლენინი წერდა: „... რაც უფრო ჩამორჩენილია ქვეყანა, მით უფრო ძლიერია მისი წვრილი მიწათმოქმედება, პატრიარქალობა და დახავსებულობა, რაიც ყველაზე ღრმა წვრილბურჟუაზიულ ცრურწმენებს განსაკუთრებულ ძალასა და სიმყარეს მატებს, კერძოდ: ეროვნული ეგოიზმის, ეროვნული შეზღუდულობის ცრურწმენას“

ჩინეთის კომპარტია 1921 წელს შეიქმნა ჩინეთის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ პროვინცია შანდუნში, სადაც არცერთი სამრეწველო საწარმო არ იყო და თავდაპირველად 70 ადამიანს ითვლიდა, რომლებიც უმთავრესად გომინდანის (გაერთიანებული კავშირი) ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიიდან იყვნენ გამოსულები. ეს პარტია 1912 წლის აგვისტოში, 1912 წლის 12 თებერვალს ცინის დინასტიის დამხობის შემდეგ შეიქმნა.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის მთავარი თავისებურება დღიდან მისი დაარსებისა არის გამწვავებული ბრძოლა ნამდვილ კომუნისტ-ლენინელებსა და პარტიაში შეღწეულ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს შორის, რომლებიც თავიანთ ნაციონალისტურ მისწრაფებებს მარქსისტულ-ლენინური დროშით ფარავენ.

უკიდურესად მცირერიცხოვანი ჩინეთის ბურჟუაზია (დაახლოებით 12 მილიონი კაცი) განვითარების პროცესში ძალიან წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხრიდან მას ყოველნაირად ახრჩობდნენ

კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტები, მეორე მხრიდან — ადგილობრივი ფეოდალები და კომპრადორული ბურჟუაზია. ჩინეთის ეროვნულ ბურჟუაზიას სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ შეერთებოდა ჩინეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. და ბევრნი ჩინეთის ეროვნული მოძრაობის წრიდან ჩინეთის კომპარტიის რიგებში შევიდნენ, ფორმალურად კომუნისტები გახდნენ, სულით კი ბურჟუაზიულ ნაციონალისტებად რჩებოდნენ.

სოციალური წარმოშობის მიხედვით 1934 წლისთვის ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის მუშები 11 პროცენტს შეადგენდნენ, გლეხები — 26 პროცენტს, მიწათმფლობელთა და ვაჭრობის ფენებიდან გამოსულები — 37 პროცენტს.

თვით მაო ბრინჯის მსხვილი ვაჭრის შვილია, ჯოუ ენ ლაი — მსხვილი მემამულის შვილია, განათლებით ისტორიკოსია, დამთავრებული აქვს ორი უნივერსიტეტი, კაპ-შენი — სპეცსამსახურების ხელმძღვანელი — მემამულის შვილია, ჩენ ბოდა — მაო ძედუნის თანაშემწე (როგორც უწოდებენ, მაოს ჩრდილი) — მემამულის შვილია, სახელგანთქმული ჩინელი მხედართმთავარი ჯუ დე რევოლუციამდე ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი გენერალი იყო. ჩინეთის კომპარტიაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი ელემენტების მოზღვავების წყალობით, ეს, უპირატესად გლეხური პარტია ერთგვარად ნაციონალისტურ პარტიად გადაიქცა ნაციონალისტური განწყობილებებით, დეკლარირებული ხელმძღვანელობით ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრიდან. ჩინელ კომუნისტებში ძალიან ძლიერია ნაციონალისტური განწყობილება. აი, მათი გამონათქვამების ზოგიერთი მაგალითი:

„ყვითელკანიანი ადამიანები უნდა გაერთიანდნენ თეთრკანიან ადამიანებთან ბრძოლაში“, „როცა ევროპაში ველურები ჯერ კიდევ ხეებზე დაძვრებოდნენ, ჩინეთში უკვე ვითარდებოდა ცივილიზაცია, უკვე გამოგონებული იყო დენთი და ფაიფური“. „აღმოსავლეთის ქარი ძლევს დასავლეთის ქარს“. ვლადივოსტოკს ჩინურ ქალაქად მიიჩნევენ, ამტკიცებენ, რომ ოდესღაც რუსეთმა მიიტაცა ჩინეთის ტერიტორიის 1,5 მილიონი კვადრატული კილომეტრი.

ჩინელ ნაციონალისტებს შორის ფრიად პოპულარულია ასეთი იდეაც: კარგი იქნება, თუ ერთმანეთს მივუსევთ ორ ვეფხვს აშშ-სა და სსრკ-ს, ჩვენ კი ვისხდებით მთაზე და ვუყურებთ, როგორ ებრძვიან ისინი ერთმანეთს ბარში. როცა ეს ორი, მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფო ერთ-

მანეთს შესანსლავს, ჩინეთი პირველ ადგილზე აღმოჩნდება.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტების სანუკვარი ოცნებაა, ჩინელი ხალხის ცხოვრების დონის ყოველმხრივი ეკონომიის ხარჯზე, მისცენ მას ის მინიმუმი, რომ ადამიანები შიმშილით არ დაიხოცონ და გადააქციონ ჩინეთი მძლავრ სამხედრო სახელმწიფოდ, რომელიც მსოფლიოს თავის ნებას უკარნახებს. ნაციონალიზმით დაავადებულ ჩინელ კომუნისტებს შორის ძალიან პოპულარულია ასეთი „იდეა“: მარქსი და ენგელსი თეთრკანიანები არიან, ევროპელები, და ამიტომ მათი სწავლება გამოუსადეგარია ჩინეთისათვის, რომელსაც თავისი გაჩინურებული მარქსიზმი სჭირდება. ამ „იდეის“ გავლენით მაო ძედუნმა დაიწყო ე.წ. გაჩინურებული სოციალიზმის პროპაგანდა. მისი არსი ობიექტურ ეკონომიკურ კანონზომიერებათა იგნორირებაა. თავის უახლოეს თანამებრძოლთა წრეში საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობას მაო ძედუნმა უწოდა მშენებლობა ხოხვით, განაცხადა, რომ ჩინეთი, გაჩინურებული სოციალიზმის წყალობით ამ გზას გაცილებით სწრაფად და ნაკლები დანაკარგებით გაივლის. მაო ძედუნის მტკიცებით, სოციალიზმისკენ ჩინეთის გზა ითვალისწინებს შემდეგს:

1. სახალხო კომუნების მეშვეობით, რომლებშიც არ არის მატერიალური დაინტერესების პრინციპი, სასურსათო სიუხვის მიღწევა.

2. სოფლად კუსტარული სადნობი ღუმელების ამუშავებით ინდუსტრიულად ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნების ფოლადის წარმოებაში დაწევა.

3. თანამედროვე მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობაში მთავარია არა სოციალიზმისთვის ბრძოლა, არა მუშათა მოძრაობა, არამედ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.

4. თანამედროვე საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი ძალა მუშათა კლასი კი არ არის, არამედ — გლეხობა.

მაო ძედუნის შესახებ

ყველა მონაპოვარს ჩინეთში, მათ შორის 1949 წლის რევოლუციასაც მის სახელს უკავშირებენ, და მართლაც, მან მოიპოვა გარკვეული წარმატებები. მისი ხელმძღვანელობით ჩინეთში დაძლიეს ქრონიკული შიმშილობა. მანამდე ყოველი მეორე ჩინელი შიმშილობდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ჩინეთის მოსახლეობის უმრავ-

ლესობა შიმშილობდა, მილიონობით იხოცებოდა. და როცა მაო ძედუნის დროს ადამიანებს მისცეს დღეში 2 ჭიქა ბრინჯი (რაც მათთვის უდიდესი სიკეთე იყო) და ჩააცვეს კიდეც (თუნდაც ერთნაირი) ბამბის კოსტიუმები და გამძლე ფეხსაცმელები, ქვეყანაში, ფაქტობრივად, აღმოფხვრეს დამნაშავეობა, შეიქმნა ობიექტური პირობები მაო ძედუნის „გასაღმერთებლად“. ამ თვალსაზრისით ფრიად დამახასიათებელია ცნობილი ჩინელი მწერლის ემი სიაოს (ლიტერატურული ფსევდონიმი სიაო სანი) გამონათქვამები მაო ძედუნის შესახებ:

„მაო ძედუნს ახლა მთელი მსოფლიო იცნობს... მისი თანდაყოლილი იუმორი, მისი წკრიალა სიცილი, მისი რისხვა — დამნაშავეთათვის შიშის მომგვრელი, ადამიანისადმი მისი მამობრივი მზრუნველობა და ყურადღება, მისი დაუშრეტელი ენერგია, მისი ბოლშევიკური შეუპოვრობა და გაბედულება, სახელმწიფო მოღვაწის მისი ბრწყინვალე ორგანიზატორული უნარი, ჟურნალისტისა და მწერლის კალამი, ორატორის ენა, მეცნიერის ტვინი, სტრატეგისა და ტაქტიკოსის ნიჭი ქმნის ფიგურას, რომელიც გამორჩეულია არა მარტო ჩინეთის რევოლუციის ისტორიაში, არამედ მთელი მსოფლიოს რევოლუციების ისტორიაში“

მაო ძედუნი ძალიან ჭკვიანურად იყენებს ჩინელი ხალხის ეროვნულ გრძნობებს, არაერთხელ აცხადებს და ხაზს უსვამს, რომ მისთვის პირველ ადგილზე დგას ჩინეთის ეროვნული აღორძინების იდეა. ჯერ კიდევ იაპონელებთან ბრძოლის დროს, მაო ძედუნი ამბობდა: „ჩინელი ხალხი დამჯერი ცხვრების ფარა არ არის. იგი დიადი ერია დიდი ისტორიით, კეთილშობილური ეროვნული თვითშეგნებით და ადამიანური სამართლიანობის ჭეშმარიტი გაგებით. ეროვნული თავმოყვარეობისთვის, ადამიანური სამართლიანობისთვის და სურვილის გამო, იცხოვროს საკუთარ მიწაზე, ჩინელი ხალხი არასოდეს დაუშვებს, რომ იაპონურმა ფაშიზმმა მონად აქციოს“

თავის სხვა გამოსვლაში მაო ძედუნი ამბობდა: „ჩინეთმა უნდა დაიკავოს თავისი ადგილი, პირველი ადგილი მსოფლიოში, რომელიც მას კანონიერად ეკუთვნის“. თანამებრძოლებთან საუბრისას მაო ძედუნი ამბობდა: „როგორც კი ფეხზე დავდგებით, ჩვენ აუცილებლად ხელში უნდა ჩავიგდოთ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, სამხრეთ ვიეტნამის, ტაილანდის, ბირმის, მალაიზიის, სინგაპურის ჩათვლით. ასეთი რაიონი ძალიან მდიდარია, იქ ძალიან ბევრი წიაღისეულია, იგი იმსახუ-

რებს მის ხელში ჩასაგდებად გაწეულ ხარჯებს".

თანამდებობები, რომლებიც მაო ძედუნს ჰქონდა დაკავებული.

1918 წელს დაამთავრა პედაგოგიური სასწავლებელი. სწავლის პერიოდში მის მიერ დაწერილ თხზულებებს, როგორც სანიმუშოს, სასწავლებლის კედლებზე გამოფენდნენ. მისი საყვარელი გმირი ნაპოლეონ ბონაპარტია. აღფრთოვანებულია ბისმარკის და კიაზერ ვილჰელმის მოღვაწეობით. როგორც მხედართმთავარი არცთუ წარმატებულია. 1934 წლის ოქტომბერში ჩინეთის წითელი არმიის მიერ ჩრდილო-დასავლეთისკენ დაწყებული „დიადი ლაშქრობის" ბოლოს ცოცხალი დარჩა 25 ათასზე ცოტა მეტი კაცი. 1935 წლის ზამთარში ცენტრალური პარტიული სკოლის რექტორია, 1935 წლის ივლისიდან — ჩინეთის მუშურ-გლეხური წითელი არმიის აკადემიის პოლიტკომისარი, 1935 წლის ოქტომბრიდან — პირველი ფრონტის პოლიტკომისარი. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი და სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელია.

1945 წელს ჩინეთის კომუნისტური პარტიის VII ყრილობაზე აირჩიეს ჩინეთის კომპარტიის თავმჯდომარედ და სახალხო-რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ. მაო ძედუნი უდავოდ ჭკვიანი კაცი და გამოცდილი პოლიტიკოსია, მაგრამ, სამწუხაროდ, ახასიათებს წვრილბურჟუაზიულად, გლეხურად, ნაციონალისტურად განწყობილი ბელადის თვისებებიც, ბელადის, რომელიც მიეტმასნა კომუნისტურ მოძრობას. მაო ძედუნის იდეოლოგიური შეხედულებანი დიდი დაეჭვებით შეიძლება მივაკუთვნოთ ნამდვილად მარქსისტულ-ლენინურს, რაშიც გვარწმუნებს მისი განცხადებები ჩინური მარქსიზმის შესახებ.

ჩინეთის კომუნისტური პარტიისთვის საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ

სსრკ-ის დახმარებით გაყვანილ იქნა საავტომობილო ტრასა ალმაათა — ლალჯოუ, რომლითაც იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ ჩინეთს საბჭოთა ავტომანქანებით ვაწვდიდით იარაღსა და საბრძოლო მასალებს. მხოლოდ 1937 წელს ჩინეთის წითელმა არმიამ სსრკ-დან მიიღო 885 თვითმფრინავი, 82 ტანკი, 700 ავტომანქანა, 690 საარტილერიო ქვემეხი, 3900 ხელის და დაზგის ტყვიამფრქვევი საბრძოლო მასალების კომპლექტებითურთ. ჩინელი კომუ-

ნისტებისთვის საბჭოთა მიწოდებების საერთო ღირებულებამ 173,2 მილიონი დოლარი შეადგინა, იმ დროისთვის ფრიად მნიშვნელოვანი თანხაა.

1939 წლის შუა თებერვლამდე საბჭოთა კავშირიდან ჩინეთში გაიგზავნა 712 მფრინავი და ავიატექნიკოსი და 200-მდე სამხედრო მრჩეველი. მათ შორის, გენერალ-ლეიტენანტი დერევიანკო, რომელიც წლების განმავლობაში იყო საკ. კპ (ბ) წარმომადგენელი მაო ძედუნთან.

იაპონიის კვანტუნის არმიის განადგურების შემდეგ მისი შეიარაღება გადაეცა ჩინელ კომუნისტებს, რაც დაეხმარა მათ, წარმატებით მოეგერიებინათ ამერიკელი ინტერვენტების აგრესიული მისწრაფებანი. ამერიკელები ჩინეთისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. ჩინეთში უკვე დიდი ხანია, აქტიურად მოქმედებს ამერიკული დაზვერვის ემისარი ედგარ (ენდრიუ) სნოუ, რომელიც მწერლისა და ჟურნალისტის საფარქვეშ აქტიურად საქმიანობს და დღე-ღამის ნებისმიერ დროს აქვს მაო ძედუნთან შესვლის უფლება.

სნოუ ის კაცია, რომელმაც თავის სტატიებსა და წიგნებში დაიწყო მსოფლიო მასშტაბით მაო ძედუნის პოპულარიზება. წიგნები: „წითელი ვარსკვლავი ჩინეთის თავზე", „მაგიური ძალის ადამიანი", „შავი ჩანაწერები წითელი ჩინეთის შესახებ" (1936-1945 წლები), „მდინარის მეორე ნაპირზე" და სხვ. აქტიურად აქებ-ადიდებენ თავიანთ სტატიებში მაო ძედუნს ამერიკელი მზვერავები, რომლებიც ჩინეთში მუშაობენ — აგნესა სმედლი და ანა ლუიზა სტრონგი, რომლებსაც აგრეთვე აქვთ მაო ძედუნთან შეხვედრის საშუალება. სნოუს ინიციატივით სინგაპურში შეიქმნა აშშ-ის სპეციალური მისია, რომელშიც 1 000 თანამშრომელია. ისინი აქტიურად საქმიანობენ ამერიკული აგენტურის ჩანერგვაში ჯერ გომინდანში, შემდეგ კი ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში. ამერიკელები უმაღლეს დონეზე ჩინეთით რომ არიან დაინტერესებული, დაბეჯითებით ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი რუზველტი რეგულარულად პირადად ხვდება სნოუს და ჩინეთის შესახებ არცერთი გადაწყვეტილება მისი რჩევის გარეშე არ მიუღია.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა დიდი ხანია შეამჩნიეს ნაციონალისტური ტენდენციების მოძალება ჩინეთის კომპარტიაში. 1947 წლის 26 ივლისს გაიშიფრა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის დეპეშა ჩინეთში ამერიკის ელჩის სტიუარდისადმი. დეპეშაში ნათქვამია, რომ აშშ-ის

სახელმწიფო დეპარტამენტი დაინტერესებულია, მიიღოს ცნობები იმის შესახებ, თუ ჩინეთის ნაციონალისტურად განწყობილ ხელმძღვანელთაგან ვინ შეძლებს გამოვიდეს საბჭოთა გავლენის წინააღმდეგ, სსრკ-სთან კავშირის წინააღმდეგ.

1949 წლის 9 აპრილს, ჩინეთში საბალხო რევოლუციის გამარჯვების წინა დღეს ე. სნოუმ შანხაის ჟურნალ „ჩაინა უიკლი რევიუში" გამოაქვეყნა მკვეთრად ანტისაბჭოთა სტატია „გახდება თუ არა ჩინეთი რუსული სატელიტი". კერძოდ, ამ სტატიაში ნათქვამია: „ბოლოს და ბოლოს პეკინი შეიძლება გახდეს თავისებური აზიური მოსკოვი, აღმოსავლეთის რომი, რომელიც მოსკოვის კონტროლის გარეშე იქადაგებს აზიურ მარქსიზმს".

თანამშრომლებთან (ჩინეთში ამერიკელ მზვერავებთან) საუბრისას სნოუმ თქვა: „ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მაო ძედუნი ის ადამიანია, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება მოსკოვის დიქტატის წინააღმდეგ გამოვიდეს და გახლიჩოს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა".

გენერალ-პოლკოვნიკი ***ა. ლავროვი,***
გენერალ ლეიტენანტი ***დერევიანკო***
1949 წლის 11 სექტემბერი

სრულიად საიდუმლოდ

ცნობა

1949 წლის 16 დეკემბერს მაო ძედუნი მოსკოვში მოლაპარაკებაზე ჩამოვიდა. პირველსავე შეხვედრაზე სტალინმა უბრძანა თარჯიმანს, მიგებებოდა მას სიტყვებით: „სალამი მარქსისტ-აზიელს". თარჯიმანმა ჩათვალა, რომ სწორად ვერ გაუგო ამხ. სტალინს და ეს წინადადება სხვაგვარად უთარგმნა: „სალამი აზიის მარქსისტს".

ამხანაგმა სტალინმა თქვა: „გადაუთარგმნეთ სიტყვასიტყვით, როგორც მე ვთქვი" თარჯიმანი ისე დაიბნა, რომ ხმა ჩაუწყდა და მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა. მაშინ ამხ. სტალინმა თვითონ თქვა ჩინურად: „სალამი მარქისისტ-აზიელს", მან წინასწარ შეისწავლა ეს წინადადება ჩინურად. ამ მისალმების ასახსნელად სტალინმა მაო ძედუნს მიმართა და თქვა: „თქვენ ლაპარაკობთ რაღაც გაჩინურებულ სოციალიზმზე, ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. არ არსებობს რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური სოციალიზმი, ისე-

ვე, როგორც არ არის ჩინური სოციალიზმი. არის ერთი სოციალიზმი — მარქსისტულ-ლენინური. სხვა საქმეა, რომ სოციალიზმის მშენებლობის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ამა თუ იმ ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებანი. მაგრამ სოციალიზმი მეცნიერებაა, რომელსაც, როგორც ყველა მეცნიერებას, აუცილებლად აქვს საერთო კანონზომიერებანი, და საკმარისია მათ დავცილდეთ, რომ სოციალიზმის მშენებლობა მარცხისთვისაა განწირული.

როგორია სოციალიზმის მშენებლობის ეს საერთო კანონზომიერებანი.

1. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის პროლეტარიატის დიქტატურა — მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, ამ კლასების კავშირის განსაკუთრებული ფორმა ისტორიაში ყველაზე რევოლუციური კლასის — მუშათა კლასის აუცილებელი ხელმძღვანელობით. მხოლოდ ამ კლასს აქვს უნარი, ააშენოს სოციალიზმი; დაძლიოს ექსპლუატატორებისა და წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგობა.

2. ძირითად იარაღებსა და წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება. ყველა მსხვილი ქარხნისა და ფაბრიკის ექსპროპრიაცია და სახელმწიფოს მიერ მათი მართვა.

3. ყველა კაპიტალისტური ბანკის ნაციონალიზაცია და მათი შერწყმა ერთ სახელმწიფო ბანკში და მის საქმიანობაზე უმკაცრესი კონტროლის დაწესება პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს მხრიდან.

4. ერთი, მთავარი ცენტრიდან სახალხო მეურნეობის მეცნიერული, გეგმიური წარმართვა. სოციალიზმის მშენებლობის დროს აუცილებელი გამოყენება პრინციპისა: თითოეულისგან შესაძლებლობის მიხედვით, თითოეულს მისი შრომის მიხედვით, მატერიალური სიკეთის განაწილება თითოეულის შრომის ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

5. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის აუცილებელი გაბატონება.

6. ისეთი შეიარაღებული ძალების შექმნა, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს, დავიცვათ რევოლუციის მონაპოვარი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რამედ, თუ მას შეუძლია და იცის თავის დაცვა.

7. კონტრრევოლუციონერების და უცხოური აგენტურის დაუნდო-

ბელი შეიარაღებული ჩახშობა.

ასეთია, მოკლედ თუ ვიტყვით, სოციალიზმის როგორც მეცნიერების ძირითადი კანონზომიერებანი, რომელთაც ისე უნდა მოვეპყროთ, როგორც მეცნიერებას. გაიგებთ ამას — ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობა კარგად წაგივათ. ვერ გაიგებთ — დიდად დააზარალებთ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას. როგორც ჩემთვის ცნობილია, ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში პროლეტარიატის თხელი ფენაა და ძალიან ძლიერია ნაციონალისტური განწყობილება, და თუ არ განახორციელებთ მეცნიერულ, ნამდვილად მარქსისტულ-ლენინურ კლასობრივ პოლიტიკას, თუ არ შეებრძოლებით ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ნაციონალისტები გაგსრესენ. მაშინ არა მარტო ჩაიშლება სოციალისტური მშენებლობა, არამედ ჩინეთი შეიძლება გადაიქცეს საშიშ სათამაშოდ ამერიკელი იმპერიალისტების ხელში. დაბეჯითებით გირჩევთ, ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობის დროს სრულად გამოიყენოთ ლენინის შესანიშნავი ნაშრომი „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები". ეს წარმატების საწინდარია".

მაო ძედუნმა მადლობა გადაუხადა ამხ. სტალინს ასეთი მკაფიო და მართალი შენიშვნებისთვის ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობასთან დაკავშირებით და აღუთქვა, რომ ჩინელი კომუნისტები გამოასწორებენ ყველა თავიანთ შეცდომას და ივლიან მკაცრად მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური გზით.

ა. ლავროვი

ცნობა

1952 წლის შემოდგომაზე, სიკვდილამდე ნახევარი წლით ადრე იოსებ ბესარიონის ძე სტალინი წერდა: „აუცილებელია... მივაღწიოთ ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისთვის უზრუნველყოფს მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს განათლება, რომელიც საკმარისი იქნება, გახდეს საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწე, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს, თავისუფლად აირჩიოს პროფესია და მთელი ცხოვრების მანძილზე, არსებული შრომის განაწილების გამო, ერთ რომელიმე პროფესიას არ იყოს მიჯაჭვული.

საბჭოთა ხელისუფლებას ექსპლუატაციის ერთი ფორმა მეორეთი

კი არ უნდა შეეცვალა, როგორც ეს ძველი რევოლუციების დროს ხდებოდა, არამედ ბოლო უნდა მოეღო ყოველგვარი ექსპლუატაციისთვის.

ვფიქრობ, რომ ჩვენმა ეკონომისტებმა ბოლო უნდა მოუღონ ძველ წარმოდგენებსა და ახალ ვითარებას შორის არსებულ ამ შეუთავსებლობას ჩვენს სოციალისტური ქვეყანაში და ძველი წარმოდგენები შეცვალონ ახალი, ვითარების შესაბამისი წარმოდგენებით. ამ შეუთავსებლობის მოთმენა გარკვეულ დრომდე შეგვეძლო, მაგრამ ახლა დადგა დრო, როცა ბოლო უნდა მოვუღოთ ამ შეუთავსებლობას.

რეფორმები გარდუვალია, მაგრამ თავის დროზე. და ეს უნდა იყოს ორგანული რეფორმები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ტრადიციებზე, მართლმადიდებლური თვითშეგნების თანდათანობითი აღდგენით. ძალიან მალე ტერიტორიებისთვის ომებს შეცვლის „ცივი“ ომები რესურსებისა და ენერგიისთვის. მზად უნდა ვიყოთ ამისთვის. ენერგიის ახალ სახეობათა დაუფლება ჩვენი მეცნიერებისთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს. მათი წარმატება მომავალში ჩვენი დამოუკიდებლობის საწინდარია“

(შემდგენ.)



მამა და შვილები — ვასილი და სვეტლანა



სტუმრად ბებიასთან — ვასილი, იაკობი, სვეტლანა. 1930 წელი



იაკობ ჯუღაშვილი.
სოჭი. გადაღებულია ომამდე




იაკობი შვილთან —
გალინასთან ერთად



— ჩემო სეტანკა! — ასე ეალერსებოდა სვეტლანას მამა



იაკობ ჯუღაშვილი, რომლის ომში დაღუპვის ამბავი
ბოლომდე გარკვეული დღემდე არ არის.
ფაშისტების მიერ გავრცელებული ნაყალბევი ფოტოები:
ტყვეთა ბანაკში და სიკვდილი





1937 წელი: ადამიანების ბედს „ტროიკები“ წყვეტდა



ვიაჩესლავ მოლოტოვი და მისი ცოლი პოლინა, ამ უკანასკნელის ტაშკენტში გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ



საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი (1935-39 წწ.), საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი (1949-53 წწ.), საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (1953-54 წწ.) ანდრეი ვიშინსკი





პოპულარული რუსი მომღერალი
ლიდია რუსლანოვა ქმართან
გენერალ კრიუკოვთან ერთად
(მარცხნივ) და
დაპატიმრების შემდეგ





ПРАВДА

ПОДЛЫЕ ШПИОНЫ И УБИЙЦЫ
ПОД МАСКОЙ ПРОФЕССОРОВ-ВРАЧЕЙ

ლიდია ტიმაშუკი, რომელმაც „გახსნა“ „ექიმთა საქმე“

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ექიმ ლ. უ. ტიმაშუკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

იმ დახმარებისათვის, რაც მთავრობას გაუწია მკვლელ-ექიმთა მხილებაში, ექიმი ლიდია ფედოსის ასული ტიმაშუკი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 20 იანვარი.

„კომუნისტი“, 1953 წლის 23 იანვარი



ლავრენტი ბერია



ბერია დედასთან,
ქალბატონ მართასთან და ცოლთან
ნინა გეგეჭკორთან ერთად



ლავრენტი ბერია და
სვეტლანა




იოსებ სტალინი დედასთან ერთად. უკანა პლანზე
ლავრენტი ბერია და ნესტორ ლაკობა. 1936 წელი




ლავრენტი ბერია კავკასიის ხალხთა
წარმომადგენლებს შორის



1935 წლის პარტკონფერენციაზე:
ნესტორ ლაკობა, ლავრენტი ბერია და აღასი ხანჯიანი






სტალინი და პოლიტბიუროს წევრები ფიზკულტურელთა
აღლუმზე მიემართებიან. 1945 წლის აგვისტო




სტალინი მიესალმება მიხაილ სუსლოვს.
მეორე პლანზე ბერია და მალენკოვი



იოსებ სტალინი და ალექსეი კოსიგინი კრეისერ „მოლოტოვზე“.
1947 წლის 11 სექტემბერი




ბელადის 70 წლის იუბილე. 1949 წლის 21 დეკემბერი




ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერის მაო ძედუნის
მოსკოვში ვიზიტის დროს



ანდრეი გრომიკო, ნიკოლაი ბულგანინი, ანასტას მიქოიანი,
ნიკიტა ხრუშჩოვი, კლიმენტ ვოროშილოვი, ჯოუ ენლაი,
ვიაჩესლავ მოლოტოვი, იოსებ სტალინი, მაო ძედუნი.
1950 წელი, მოსკოვი



იოსებ სტალინი დასკვნითი სიტყვით გამოდის
სკკპ XIX ყრილობაზე. 1952 წელი



იოსებ სტალინი კრემლის ეზოში